


თკ 8868
2



ანგონ ჭყონდიდელის
ქალაქი

ყოველ-სამღებლოს
ამერიკის ეპისკოპოსის ბესარიონის
გამოცემა.

ქუთაისი
სტამბა მეურნის“ რედ. (ილია მ. ჭყონდიდი).
1898



ანტონ ჭყონდიდელის
ქადაგებანი.

— — — — —

სოფლად-სამღვდელოს

იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის
გამოცემა.

— — — — —

ქუთაისი,
სტამბა „მეურნის“ რედ. (ილია მ. ჭყონიასი).
1898

Печатано съ благословенія Его Пресвѣщенства Пресвѣщеннаго Епископа Пермскаго
Виссариона.—2 Октября 1898 года.

	წინასიტყვაობა, ო. ჟორდანიასი	I—XII
	წინასიტყვაობა ავტორისა	5
თავი	I პლსარებისათვის	5
„	II მეცნიერებისა წვრთისათვის	14
„	III სიძვისათვის	23
„	IV მარხვისათვის	32
„	V სოჯლის ამაოებისათვის	42
„	VI ცოდვისაგან მოქცევისათვის	51
„	VII მკვდართა აღდგომისათვის	63
„	VIII არა-წმიდის გზასა ზედა უსვლელობისათვის	75
„	IX ისმინე ცაო და ყურად-იღე ქვეყანაო: ძენი ვშვენ და აღვამაღლენ, ხალო მათ შეუ- რაცხმევეს მე	85
„	X მზაკვარებისათვის	94
„	XI ბულის წყრომისათვის	107
„	XII შურისათვის	118
„	XIII ამპარტავენებისათვის	129
„	XIV ზანსაცდელთა მოთმინებისათვის	140
„	XV სიყვარულისათვის	149
„	XVI მოწყალებისათვის	161
„	XVII ზანმკითხველობისათვის	171
„	XVIII მღვდელობისათვის	183
„	XIX მონაზონებისათვის	194
„	XX ნაყროვნებისათვის	204
„	XXI მცხლის მოყვარებისათვის	215
„	XXII უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს	225

„	XXIII	ცუდათ მეტყველებისათვის .	236
„	XXIV	შეცოდებათა მიტევებისათვის .	247
„	XXV	სინანულისათვის	259
„	XXVI	სასოწარკვეთილებისათვის .	270
„	XXVII	ლოცვისათვის	282
„	XXVIII	მათთვის, რომელნი ჰგონებენ გრძელსა ცხოვრებასა და ყოვნიან მოქცევად და სი- ნანულად	294
„	XXIX	მათთვის, რომელნი ნაცვლად კეთილისა მიაგებენ ბოროტსა	306
„	XXX	ძრისტეანობისათვის	318
„	XXXI	შღირსებით ზიარებისათვის .	330
„	XXXII	პნგარებისათვის .	342
„	XXXIII	მცონარებისათვის .	353
„	XXXIV	მორჩილებისათვის .	365



წინასიტყვაობა.

გულისხმიერი მკითხველი ადვილად დაიწმუნდება, რომ წინამდებარესა ქადაგების წიგნს, გამოცემულს მისის მეუფების იმერეთის ეპისკოპოსის ბესარიონის საივასით, იმდენი ღირსება აქვს, რომ ის სამართლიანად უნდა იკითხებოდეს ყველა ქართველთა ეკლესიებში და შეგნებულს ოჯახებში, როგორც აწ განსკვნებულის ცხარელის ქადაგებანი.

პირველი ღირსება ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებთა არის მათი მართივი და ყველასათვის განსებები მდბიო ესა. ამ ღირსებით ეს ქადაგება მალა დგას ყველა აქმდი ცნობილ ძველ მქადაგებულთა ნაწერებზე. მეორე და უდიდესი ღირსება ანტონის ქადაგებთა არის მათი საფუძვლიანობა: სქადაგებლად აღებულის საღვთისმეტყველო აზრს მქადაგებელი უსხისის მსმენელს ყოველ მხრით; არატოარს მუდამ სასეში ჭყვს წინ მდგომი მსმენელი, წამ და უწუმ მიმართავს მას კითხვებით; ამ კითხვებზე პასუხს აძლევინებს მას და იქვე თვალწინ ურღვევს ყოველ გავრ ცრუსა და საეჭვო აზრებს. ამასთან არატოარი მსმენელსაც კითხვებს აძლევინებს მქადაგებლისადმი ყოველს შემთხვევაში, სადაც კი შეიძლება რამე საეჭვო ანუ სატოკმანო და გამოურგვეელი დასხეს; მსმენელი კვამთება მქადაგებელს, კბრძვის მას უკანასკნელს შეძლებამდე და დასასრულ სრულიად ურღვევს ყველა ეჭვები და მთლად კმინება მქადაგებლის აზრთა სიღრმეს და სიცხადეს. ერთის სიტყვით ანტონის ქადაგება ცხოველი და სელოვნური ბასია მორის მსმენელისა დი მქადაგებლისა. ამ ღირსებათაც იშვიათი მქადაგებელი შეედრება ანტონ ჭყონდიდელს. — მესამე თვალსაჩინო ღირსება ანტონისა არის მტვიცეთ დგომის საღმრთო წერილის სიდაგზე, რაიცა დიდად მისაბამია ახალ მქადაგებულთათვის... ამასთან ანტონი თუმცა ყოველს თვისს აზრს საღმრთო წერილის სიტყვებზე ამყარებს და აფუნებს, მაგრამ საღმრთო ტექსტისაც მას ყოველთვის შემოატვს ორიოდ სიტყვა და არა მთელი ტექსტი, გრძლად ამოწერილი, როგორც ახალ მქადაგებულს ხვეულებად მიუღიათ

ერთი თავდასხმის თავისებურება სწორს ატყობს წყლისდადღის ქადაგებთან: სიბრძნე, ძლიან სიბრძნე ძველ აღთქმადამ განმარტეს სხვისა სჯესა, დასამტკიცებელა სიბრძნეა, დამსხსნათებელა მკაცრობა. ამის ისიც უნდა დაგუროთ, რომ ძველ სინატორიო მკაცრობადან მქადაგებელს აუარსება სულ მკადა-რეს უმთავრესნი მოთხრობანი, ზგოვითვე სხელ აღთქმიდან ანადგინით უმთავრესნივე, ამისგანთ იათქმის ყოველს ქადაგებაში გქმისთი ასტორიო ადამიანი, განისი ცოდვა, აბრძმის სარწმუნოება, თავგანდვალა ისიც-აკობ-იოსებანი, მოთხრობა მისე და აბრძნე და სხ. თუ ღამად არ დაუგვირდა მეთხველი, გგონება მქადაგებელს მსხლად შემოღება და ერთსა-და-იმეკეს უბრუნებოა, მკაცრად ვისც გულისსიმითად წავიკითხვს, უსთყოფ დაინსხვს, რომ მქადაგებელა თათყოფს ქადაგებაში სხლად სხელ მსარებას განმარტეს ერთსა და იმეკ აღებულს ძველს გინს სხლს აღთქმის მოთხრობებში, სხელ გამნობათ დავობადებს, სხელ მონებს განმარტებს და სხელ დასკვნათადში მიგვივასს გარდა ამის კსრეთი მეთადი ასე კსრეთი სვეულებს მქადაგებლის: ამ მსართაც შესწინისება, რომ ვისც ვა ირის თუნდაც მხოლოდ ის უმთავრესნი მოთხრობანი ძველ და სხელ აღთქმისანი (რომელნიც ყველა ქრისტიანემ უნდა იცოდეს), ყველას შეჟღერა ასტორის ქადაგებთან სიყოფილანად გავება, ანდაც მარჯალ-გვარანობა ყველა სქასატანსო დღელმეტებთა დაუქმებულთა: ამ ანადგინით მოთხრობებზე. — ცხადია, ასტორის სსსეში ჰყავდა იმისთანა მსმენელნი, რომელთაც სქასატანსო დღელმეტობას მხოლოდ ეს უმთავრესნი მოთხრობანი იცოდნენ და ამიტომ მხოლოდ ამ ცოდნისე შექმლათ დამყარებისათ თავისი მსჯელობა.

განსჯეობების მოახერხებებს იდეკას ასტორის ქადაგება იქ, სანდაც აბატორი ზგობელის სიბრძნეათ და აუცილებელის სანსადით დგანსკებს რა ცოდვაში ყოფნის, სწევას განმარტეს, გის გინკენებს, თუ აბატორ იხსნა თავი ცოდვითგან. აქ ასტორის სიტყვას განმარტებელა სიმდიდრეა ზეციურის მადლის, დაუმტეველი ცნისლი მძობანივის სიყვარულის, უფსვარული მსკვერმეტეველების, დაუმტეველი წყარო სანსეულის ცრემლის. აქ ასტორის სიტყვა სკვირვე-

ლი რეცხლია, რომელიც უკიდია ცოდვას, მაგრამ არა სწავს, არამედ აღადგენს და განახლებს მას.

უკანასკნელ ისიც უნდა გითხვას, რომ ანტონის ქადაგების იტალიის ოდენა გავლენა არ ექცეობა სსოფლისტაურის სკოლისა და არც სხვა ქადაგებულთა.

აქ მოვიყვას ანაქსისძე სობოგრაფიო ცნობებს ქადაგებულსე.

სწორადიდელო მატროპოლიტი ანტონი, სსხელ-განოქმული ქადაგებელი და დიდებული ქრისტიანებრივი მოღვაწე, იყო დადასნის ოტის ძე, რომელაც ჳმართავდა სსმეგრუელის 1728—1744 წლებში. მამის სიკვდილს შემდეგ (1744 წელს) ახალგაზდა ანტონი, რომლის სსხელი ურბანში სკენ არ ვაქათ, იზრდებოდა მისის ძმის გარდას სსსსლეში, რომელაც დადასნობდა 1744—1788 წლამდე. მას ურდიდა ჳკათასმოყვარე დედა მისი, ანტონის ურასთავის შომატა III-ის ქალი, გულქანი, რომელაც ქმარის სიკვდალს შემდეგ დადასნის სსსოგრობდა (ის ცოცხალი იყო 1790 წელს) და დიდა გავლენა ჳქონდა სსსსლეში. გარდა დადასნის და ანტონის გარდა მას ჳყვანდა კიდევ სსში გარე, ანტონის ძმები: ნიკოლოზი, გიორგი და გრიგოლ და ერთი ქალი მარამ, ცოლა იმერთა ძევის სოლომონ დიდის (ეს მარამ აღდგოვლა მიიწვდა 1778 წ.).

გადადასნებულ ჩიქოვანებში ას სკეულებს შემოადეს, რომ სწორადიდელო სვამდეს უსოყოოდ თვისის სსხლას გარებს. მოუღს ას სსმოცდა არა წლას მსმადში, ჩიქოვანთა დადასნობისში, მსოლოდ ერთი სწორადიდელო ყოფილა სსვს გვარის გარე (ალოლობურიქე კადემოს), დასარწმენსი ყველა დადასნთა ახლო სოესეგნი იყვნენ. *) ესრეთა ქრეგ დადასნთა იყო სსყოფი მათის ჳოლატაურის მასსწრების: სწორ-

*) ჳირველა სწორადიდელო ჩიქოვანი იყო გარე I-ის ძმ გარბიელ I-ლი (1660—1689 წ. ახ.), რომელმაც უმოგა გარე ჩიქოვანს დადასნობა; მერე კადემოს ალოლობურიქე (1720—1734 ახ.) სსვს სწორადიდელოსი ყველა დადასნ ჩიქოვანები იყვნენ: გიორგი დადასნის ძე გარბიელ II (1690—1719 ახ.); ბუქან დადასნის ძე გარბიელ III (1734—1758 წ. ახ.); გრიგოლ ბუქან დადასნის ძე (1760—1777 წ.); ანტონ ოტისძე (1777—1789), ბესარიონ გარეის ძე (1789—1792 და 1794—1828); იანე გარეის ძე (1792—1794).

დიდლებს დიდი გავლენა ჰქონდათ სამეგრელოში არა თუ არაგაზრც უწინაშინე-უღესთა მკვდელმთავართა, არამედ არაგაზრც დიდის შეძლებისა და ადგილ-მამულის მკვატრანეთა. ჭყონდიდელთ კქირათ ერთი წილი სამეგრელოსი — „საქყოინდლო“ და თვისის გამგეობაში ჰყავდათ დიდძალი ჯარაი, რომელიც „საქყოინდლოდან“ იკრებებოდა. რა თქმა უნდა, ასრეთი გავლენიანი და ძლიერი კათედრას რომ არაგულ კაცის ხელში ხაჯარდნილიყო, სხსიფათო განდებოდა ჩიქოვან-დადინათ მთავრობისათვის. ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ დადინის ოტომაც ჩვეულებრივად ერთი თვისი შვილი, ნიკოლოზ, ბერად შეაყენა, რომ შემდეგ ჭყონდიდელის გრაგულ დადინ-ჩიქოვანისა დაესკა ჭყონდიდელად. რაკი სარულ წლოვანი შეიქნა ნიკოლოზ, მას ებოძა მკვდელმთავრანობა, და ჭყონდიდელის მოადგილედ ითვლებოდა. მაგრამ ნიკოლოზი ვერ გამოდგა ლიბსეული ბერი: ის უარგნულად ცხოვრებას მისდევდა, საღირობაში და ქორო-მიშინობაში მონაწილეობას იღებდა.

რამდენთამე ჰატოისანთა მოსურებულ სამკვდელთ ჰირთავან გამიგანია შემდეგი შემთხვევა ამ ნიკოლოზ ბერის ცხოვრებლამ, რომელმაც ასეღვანდა ანტონი აბოულ ბერად შემდგარიყო. ერთხელ ზემოსსენებული ნიკოლოზ, ანტონის ძმა, მთელი დღე უყრდგლის საღირობაში მონაწილეობდა; წვიმა მოუვიდა და სარულად დასველდა; სჯამო ჯამი გამოდარდა და ნიკოლოზ ბერმა თვისი დასველებული ბერული ქუდი ღობის მარგილზე ჩამოვიდა განსმრობად. ქუდი გაშრა, მაგრამ წინსადელი სსე შეცვალა; ზემო საწილი ქუდისა მარგილისგან აბოურთა და თუმიცა ჰატრანის დიდად სცდილობდა, თავის კალპოტში არ დებოდა. ამ ქუდით ნიკოლოზ ბერი საღაობასხო ოთასში ბრძანდებოდა საჰატო სსზოგადობაში, კაცია დადინის სსსსლეში. ყველამ მიქცია უურადლება ნიკოლოზ ბერის ქუდს და მისს ამო ცოდვილს, რომ ქუდი თვისს ალაგას დამდგარ იყო და სსზოგადობას არ შექმნია მისი უსსსობა. შეიქნა ჩურსეული და სიცილი. მსშინ ასლეგარდა ანტონი წამოდგა და მოასსენა თვისს ძმსს ნიკოლოზს: „ძმომ, გეტყობა, რომ ბერობას ღირსეულად ვერ ატარებ და ცოდვაში ჩააგდებ შენს ნათესავთა; შენ საერო საქმეთადმი დაგიძს გული და არ შეგიძლია ტვირთვა მონაზონობის

მძიმე უღლისა: „არა ძალ-გიძს მონებად ორთა უფალთა“. გვედრები, დააგდე ბერობა და შენ მაგიერ მე ვიტვირთებ ამ საქმეს“. ნიკოლოზმა მართლად დააგდო ბურობა, ცალკე შეერთო და მთელი დასარჩენი ცხოვრება ერთვნობაში გაატარა. ის მოკვდა 1784 წელს *). მის მკვირ ბუროდ შედგა ანტონი.

ანტონის აღსრულზე ხეკლები ცნობების დასრულია. მას შემდეგ სიმკვდელი პირთაგან გამოვიდა, რომ მას მიიღო პირველად წიგნები სწავლა გულქან დედოფლისაგან, რომელმაც შთაბერა მას ის ცხოველი საწმინტოება, რომელითაც თავი იყო აღტყინებული. გულქან კეთილად იმ გუნდს ძველ დედებისას, რომელნიც განთქმულნი იყვნენ ღვთის და მოყვასთა სიყვარულით, ოჯახის ერთგულებით და მსხეობითა, რომელნიც წირვა-ლოცვას არ აკლდებოდენ, ყოველდღე ორჯერ დილა-საღამოს წავითხვიდენ დადებულ ღოცვითა ღოცვისის წიგნში, წელიწადში რამდენჯერმე ღამეს უთქვამენ და ორჯერ მინც კრიატებოდენ. რადგან ანტონი საერთო ცადა იწინებოდა, მას შესწავლეს, გასდა საღმრთო წერილისა, რომელითაც იწიებოდა მამის ყოველი პირველ-დაწიებითი სწავლა, საერთო წიგნები, მელექსეთა ნაწილები და განსაკუთრებით თათრული ენა, იმ დროს მეტად საჭირო ყველა დასაბისელ გვამისათვის.

მაგრამ არადესაც ანტონი ბუროდ შედგა, მან უმეტესად იგონო წყურვილი საეკლესიო განათლებისადმი და ამ წყურვილის მოსაკლავად მას მისცეს რჩეული ბურები მარტვილისა, რომელთა ზედადგომით ის სწავლობდა წმიდა მამების თხუზულებათა. შესავსებლად განათლებისა მას მოგვარეს „ფრანგთა“ ბურები, ანუ კათოლიკის საწმინტო-

*) ამისი ცალი ქსისის ერისთვის ქალი ანატასია და შვილი მისი გიორგი 1806 წელს ცოცხალნი იყვნენ. გიორგის ცალი იყო მიქელაძის ასული მარია. ამათგან ჩამოადის შტო აწინდელ დადასნათა ელიზბარაშვილთა. ნიკოლოზის ძმის გიორგის შვილი იყო „დიდი ნიკო“, ფრად ცნობილი მემკვიდრე, მჭადგებელი, მწიგნალი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც მოკვდა 1834 წელს გენერლის ხარისხში. „დიდ-ნიკოს“ ფრადებანი სურათი მე ვხსნე ქართლში, სოფელს ტირძისში ბ. სულხანიშვილის სახსლეში.

ხლებას მქადაგებელი. ამასთან შემწობათა ანტონის უნდა შეესწავლა ამ დროს მიღებული სსოლანტიუა ივალანსოვია. მაგრამ ანტონის არ მოეწონა ივანეებს ქვეყა და არც მათი სწავლა. ანტონმა შეატყა, რომ ივანეს ბუყება მწკალებლობას ღვანძლს ურეკდენ მართლმადიდებლობათს მოსდგურებაში. ერთჯელ, სდაღობის დროს, ანტონმა უთხრა კათალიკე ბურს: „აბა თუ შეგიძლია ამ წყლიან ქიქაში ღვინო ჩაახა, ისე რომ წყალს არ გაერიოსო“. კათალიკე მოძღვარმა მისი შეუძლებლობა მოახსენა. მასთან ანტონმა უთხრა: „როგორც ერთს ქიქაში წყალი და ღვინო არ ჩაიხხვის ისე, რომ ერთმანეთში არ გაერიოს, ეგრეთვე ერთის კაცის გონება ვერ დაიტევს მართლმადიდებლობითს და მწვალებლობითსა მოძღვრებათა, ისე რომ ერთი მეორეს არ გაპრიოსო,“ და ამ დღადან დაათხოვა კათალიკე მოძღვარმა.

სურველი სწავლანდმა არ ასვენებდა ანტონს. „ურვა მაქვდა სწავლისა და მკურნალსა ვეძიებდ“ — სწუას თვით ანტონი. სსმკურნალში ხმა იყო დაჯანდალი, რომ ქართლში სივილანსოვიო სკოლა არსთა გასსნადა და ამისგანა მან გადასწევიტა წასვლა ურეკლე შეფის სსსსსსსსს, სდაც მას სრულა იმედა ქქანდა სიყვარულით მიღების, ადაცან დასუყან დედოფალა, კრეკლე შეფის შეუღლე, იყო მასი მკვიდრა მამიდა, ოტიან დადასის მმის კაცის ასულა, რომელაც, მისთხოვდა კრეკლეს 1750 წელს. *) ანტონამ მართლ შესრულა თვისი სურველი და 1757 წლის ახლანსებში წამოკადა ქართლს მამადსთან სწავლის მისაღებად. აი მას სწუას თვით ანტონი წინსიტყვაობაში მისგან თარემინლის ღოღიკის: „წარმოვედ (სწავლად) სამეფოსა ქალაქსა, შორსა სოფელსა თფილისსა ეგრელოით (ესე იგი სამეგრელოით) არა განბნევედ სიმღიღრისა, არამედ მოსაღებად გოლისა თაფლისსა... თფილისს ვიხილენ მრავალნი წარმატებულად ხედვათა

*) შემდეგ 1765 წელს, 16 ნოემბერს, ანტონის მამ კაცი დადასნა შეართა კრეკლე შეფის დაი, კლისახედ და სსმკურნალს სსმთავრო სსსლა უფრო მკვიდრად შეუყვამირდა ქართლისს.

შინა ფილოსოფოსობათა, რამეთუ ბრწყინვალესა ირაკლი მეორეს, დიდსა მეფესა, აღეგო სხოლა ქალაქსა თელავს და მუნით წრთენილ იყვნენ; და ამასვე მეფეს მოეპოვა სხოლაპეტი და მოძღვრად სიბრძნისა ჰარმანთა მღვდელი ფილიპე ესე ვითარისა მოძღვრებისა პატივისა, და ამა მოძღვართა მიერ და ამის ერთის რჩეულ მოწათისა ზაქარიას მიერ მიიღო უღირსებამანცა ჩემმან წვრთილებადი ხედვათა შინა ფილოსოფოსობათა“...

ამ მოთხრობას ცნობებისგან სავსეა, რომ ირაკლი მეფეს სკოლა აღუგია თელავში იმ დროს, როდესაც ვახუშტის მეფედ ითვლებოდა, ესე იგი 1762 წელს. შემდეგ ეს სკოლა, როგორც ვიცით, სსრკ-ის სემინარიად გადაკეთდა ცნობილი აქიმინდარტის გაიოზის თაღისობით, ანტონისგან დასუსტებული მისი მსწავლებელი სქარაა უკვე აღადგინოს ანტონისა და მწკრულობისა ცნობილი სქარაა სერგისა გაბაშვილი (აგივე გაბაშვილი), დადიანის დედის კათალიკოსის ანტონ I-ის, ვინც იფრად გასწავლული, დამად მცოდნე ქართულის ენისა და მწკრულობისა, რომელიც განდევნა სქარათელადამ კათალიკოსმა ანტონ შემდეგ მისის არსებითად დაბრუნების 1764 წელს. ამ სქარას მენი ისევე და ქართულითა ბუანსე — „ბესიკი“ (აგივე ბესარიონ) ცნობილი ანტონ ქართულს მწკრულობისა.

ამდენს ხანს დაეყო ანტონიმ თელავში ან იფილისში ჩვენ არ ვიცით. ეს ვა ვიცით, რომ სემკრულოთა დაბრუნების შემდეგ მან მიიღო (1760 ან 1761 წელს) ცაგურლის სემკრულობისა ვახუშტის (ცაგურლობისა და დან-მეფისა თვისს სხლას ვახუშტის მღვდელს) და მღვდელ განთქვა სხელი მწკრულებლობისა. მოგვათხრობენ, რომ ქართულის კათალიკოსმა ანტონიმ ისევე ამ ხალხი იფილისისა სხლას და მისი ქადაგების გაცანება. ანტონის მართლად მოუხდა თფილისში წასვლა 1765 წელს, როდესაც ერეკლეს და იფილისის მისი თხოვდა და დანს ვახუშტის, ანტონის ძმის. წინააღმდეგ დროს ახალგაზრდა ანტონის სელში მისცეს დაეწყო ქადაგება. მასმდელ ხვეულებით ეს იმას ნამსჯდა, რომ მის უხდა ქადაგება ვახუშტის. ის დღე უახალგაზრდას წმიდის მოთხრობისა და ანტონის ქადაგება წამოსთქვა სული

წმიდასე ისრეთის სელაგნებით, რომ აღტაცებულს ანტონ კათოლიკოსს იქვე აზიონსე გადაუყოცნია მსკერძეთქვი მჭადაგებელი. ამას შემდეგ თურმე დიდი ერთობა ჰქონიათ ორსავე ანტონს და სშირი მიწურ-მოწურს. ასლ სსუბედუროთ სელთ არა მატკს, მაგრამ ბუკრან შემსვედრია მათი მიწურ-მოწურისაგან ნაწყვეტი ლექსად, რომელთა შინაარსი ღვთისმეტყველება, იგავად ნათქვამი. ერთს ამგვარ წაიღ-ში ანტონ კათოლიკოსი უწოდს ასალგაზდა ანტონ ცაგურელს „არონისებრ ძველი მღვდელი“, ესე იგი, თუმც შენ წლოვანებით ასალგაზდა სარო, მაგრამ ჭკუით ძველი, ანუ განვითარებული კაცი სარო.

1777 წელს მიიწვალა ჭყონდიდელი გრიგოლ, ბუკან დადიანის ძე და იმავე წელს ჭყონდიდლობა მიიღო ანტონ ცაგურელმა, სოლო ცაგურელის კათედრა მიიღო მისმა ნათესავმა სოფორანმა. იტყვიან, რომ ანტონ ყოველ წაიგსე ქადაგებას იტყოდა:ო და მისს იოტყვას გასწრსომელი გავლენა ჰქონია მსმენელზე. ანტონი ყოიკალა სრულის ტანისა და ასოვანი შეხედულობით, მკაფიოდ და რისიანად მეტყველი, ჰიართისკველი და უშიძარი მამსილელები ძლიერთა და მსრუკე-შელები საგარულთა. მისს, მარსკათაგან განლეულს, ჰიარის სასესე აღბეჭდილი იყო ანეკლოზებრივი სთხიოება, რადცა აღრეკნებდა მისთა სოტყვითა ძლიერებას. ეს იყო კაცი, რომელსაც სამართლიანად შეეძლო ერთად ჰავლე მოციქულთან ეთქვა: „არა რაე დავიდევ გულსა ჩემსა, განა ხოლო იესო და ესეცა ჯვარცმული“. მისი ცხოვრება იყო სრული განსოარცილება ქრისტეს მცნებათა: ყოველგვარი სოარციელი ფუიფუნება უარ ჰყო, მარსკას და მოთმინებას მისცა თავი, უშურანგ-ამსანგო შიძველ ტანსე იცვამდა უსარსულო მჭისე ჩოხას და შეუბილწებისათვის ღია შარვალს, რომ სოარცისთვის სელი არ ეხლო. ესრეთსავე ცხოვრებას თსოულობდა ბურებისაგან, რომელნიც, სოგოარც სისხს ანტონის ქადაგებათაგან, ვერ იტანდენ ესრეთს სისოტიკს ცხოვრებას და დრტყინვიდენ. მისის ბრძანებით საჭყონდლო სახლში მუდამ დლე მიადდებოდა სადილი ღარიბ-ღატაკთათვის; ეს სვეულება ყელა ჭყონდადლებს ჰქონიათ 1853 წლამდე და ზოგიერთებს შემდეგაც.

საუპარჩიო საჭმეებში გართული ანტონი არ ივიწყებდა თავისის

თავის განკითხარებასაც; ის არას ზოგედა წიგნების შექმნისათვის მისის ძვირფასის წიგნთსაცავისაგან ასლა ნატამალიდა დაწინილი მარტვილის საკრებულა ტამარში და ნასარებოუს მონასტერში (ორ კერსზე მარტვილიდამ). უკანასკნელს მონასტერში დაწინილა ანტონ ჭყონდიდელისაგან 1785 წელს თარგმნილი ლოლიკა, რომლის წინასიტყვაობაში ანტონი სსკათა შორის სწერს: „ყოველთა მიერ მასმიოდა ქება ამის წიგნისა“, ამისათვის უშაკნია რა ეს წიგნი სომსურს ენაზე, მოუწადინებია მისი გადმოქართულება და მოუწევია იგივე მღვდელი ფილიპე (წინეთ თელავის სსოლავპეტი). „თანაჯერჩინებითა დიდისა მთავრისა ძმისა ჩემისა საეგრელომსა და თაკვერისა მპყრობელისა კაციასითა, და ვიწყეთ (ანტონიმ და ფილიპემ) გადმოცემად ესრეთ, რამეთუ იგი მღვდელი ფილიპე გადმოსცემდა ჰარმანულთაგან ენათა ჩვენსა ზედა ენასა, როდენცა ძალ-ედვა და მეც შეძლებისაებრ წესიერ კანონითა ვკარგვედ ჩვენსა ზედა ენასა, ვითარცა აწ იხილვებინს“.

მე-XVIII სუკურსში სიმკერულაში ზოგეითი მალა კვარის კაცებმა ტყვის ეიდა შემიიღეს (ჭეიდედენ უფრო თასარებზე ფოთში, უულეკში და სოხუმში), რომლის წინააღმდეგ ანტონი აღიჭურვა არათუ სიტყვით, არამედ საქმითაც. ტყვის შეიდეკლთ შეასკვნებდა, მისს სსსლში მღვდელს არ შეუშკებდა, მისს სოფელში ეკლესიას ჰკეტავდა. ასე მოქცა ფალავებს და ჩინუებს. 1792 და 1794 წელს აგვისტოს 2-ს ანტონის თაკმედომარობით იქმნა სამღვდელა კრება, რომელმან დადგინა: ტყვის შეიდეკლ თაკადების სოფლებში ეკლესიები დაისუროს, ეკლესიები მღვდელმოქმედება ამათ რვასში დაეუენოს, გადა ნათლისღებისა. რასაკვირველად, ესრეთი სსსტიკი ზომა ფოკელთავის მიწანს მიადწკვდა, დამსაშაკენი შენდაბას თხოულობდენ, სკანონოს ისდიდენ და გაეიდულ ტყვეს გამოისინდიენ. ამ კვარის საბუთები მრავალი იპოვება აქამომდე მოღწეულს სიგელ-გუჯრებში.

ამსთან ანტონი დიდად სცდილობდა გურულებს და მკერულებს შორის ერთობა ჩამოეკდო. ამ მიხნით 1783 წელს ანტონმა გაგზავნა არქიმანდრიტი გერმანე (ელავა) გიორგი გურიელთან მოსალა-

ზარკებდავ და მშვედობის წამოსაგებავ. მარტველას სიგელებში ჩვენ ვაპოვებთ ერთი (№№ 108 და 302), რომელშიც გუროელა გიორგია და მისი შვილები სეაქან, ვასტყნუ, ქანოსნო და ლევან სჭყენ: „ქვეყნის შფოთისაგან და უმსგავსოთა კაცთაგან გურისა და საჰყოინდლოს შუა მრავალი შფოთა, მტერობა და ქურდობა მომხდარიყო. ახლა მშვიდობა ვინებთ ჩვენცა და ჰყონდიდელ მიტროპოლიტმა ანტონიმ და მათის ბრძანებით თქვენ (არქაშანდრიტი გერმანე) ჩვენთან მოდით მტრობისა და ხსნისათვის და მშვიდობის ყოფისათვის... მტერობა დაგხსენით და მშვიდობა შემოვიყვანეთ... სწორეს სამართლის მიცემით... ამა პირობით, რომ თუ თქვენის ქვეყნის კაცმა პირ აქეთ ჩვენს მამულზე არაფერი იმარცხოს, ჩვენის ქვეყნის კაცმა, ჩვენის ბრძანების მორჩილმა, თქვენს ქვეყანაზე არც იმტროს, არც იქურდოს, არც უსამართლობა ქნას და შეძლების მსგავსად თქვენის ბატონის ერთგულობისა და თქვენის ქვეყნის ერთობასა და სიყვარულზედ დამტკიცდენ... თუ ვისმე ამისთანები შეამჩნდეს, ჩემს ღალატად მოვითხოვო... დაიწერა ქორონიკონსა ჩიზგ“.

ანტონი ჭყონდიდელად აიღო 1788 წელს. იმ წელს დასასრულს (6 დეკემბერს) მოეკვდა მისი ძმა დადიანი კაცი და გაადადინეს მისი შვილი, ათას წლის ვაჟი, გრაგელ. სამეგრელოს მართვა მიღვან ზარებს წაუკვანდა სეაქანი და მისკალი უწყესობა სდებოდა. ან კაცი, ეს აიღო მასეხა, თუ ანტონის ძაღსადავად მოსახსტრული ცხაკარება და სწულიად მომოსება ქვეყნის ვაჟისა და ამოებისაგან, მან 1789 წელს დაუტრეკა ჭყონდიდლობა და უბრალო ბუნად შედგა მისგანვე გაშენებულს ნახარებოეს მოსახსტრში. ჭყონდიდელად დაიდგინა მისი ძმის წული ახადგანდა (26 წლის) ბესარიონ, უკანონო შვილი კაცი დადიანისა (ქორწინებამდე). ამბობენ, რომ ანტონის დადად უკვანდა ეს ბესარიონ, როგორც ღირსეული კაცი და ამისთვის დაუთმოლო მას თვასა ვათედან, მაგრამ მათა ერთობა მალე დაარღვა, რადან მასეხებთან გამე მათ შორის შთამოკვანდა განსეთქალება და შილითა *).

*) როგორც მახეხნად განსეთქალებას ახსებებენ ბესარიონის

1792 წლის დანახარების მოხსნის კრება, რომელსაც უნდა გაეზიარებინა მისი და ბესარიონის სიქე. კრებას დანართებიან ეპისკოპოსისა ქეთათელა დანართისა, ხალხელა ანტონ, ხანოწმადელი იოანე, ციხელი გრაგელა და სემოქმედელი იოსებ. კრებას განსახებით ბესარიონ გდაყენეს და ჭყონდიდლობა მისცეს მასი ხსელგზნდა მძის, ცეკურელს იოანეს, რომელად ჭყონდიდლობა დახსლოვებით 1793—1794 წ. ეს იოანე არ ყოფილა განათარბული და ღირსეული მღვდელმთავარი. ერთიან სეკარელის კაცის (ერთეშვილის) სიკვდილმა ისე დააღიანა თურმე იოანე, რომ მან თვით დანებდა თავი ჭყონდიდლობას და ისევე ცეკურმ. წავიდა, სიდაც გაატარა დანახარება თვისა ცხოვრება (იოანე მოკვდა 1823 წ. 18 დეკემბერს). მძის ბესარიონ შეურთვდა ანტონს და ისევე ღაიჭიან კათედრა ჭყონდიდლებისა, რომელსაც შემართვდა 1797 წლიდან სიკვდილამდე (+ 16 ავლისს 1828 წ.)

დანახარები თვისა ცხოვრება 1789 წლიდან 1815 წლამდე ანტონამ გაატარა სისტავ ცხოვრებაში ხსნარბოუსი მოხსიტურში. ეს მოხსიტურია გამდიდრა მან სიწმიდეებით, ძველ სიტებით, წიგნებით და დიდმა მამულებით და ელესებით. ჭყონდიდლობადან გდადგომის წინაშეს, 1788 წ., ყველა სეკელსიო მამულები ანტონმა გაათავისუფლებინა დადიანს კაცის ყოველგვარ სეკარ გადასხადისი-გან და რაც დაგარგული მამულები იყო აძოვირა და სელსდა დეუბტიცა მარტვილის ელესიას, ხსნარბოუს და სიომეს მოხსიტურთა. ყველა თავისი შეწირულებანი მან აღწერა სრულს ქარტში, რომელად ინახება სხელმწიფო ქანებათა გამეკობაში ქეთათისს. აგრეთვე დიდმა შეწირულობა უძღვრა სიომეს მოხსიტურს წიგნებით, სიწმიდეებით და მამულებით. უგანსენელს მოხსიტურს მან შესწირა რამდენიმე სხლობა ურბისა. იმ დროს ურბეა, ალოგარც გჭარა სხლობა, მეტად ძვირად იგანობდა.

ანტონი გადაიცვალა 1815 წელს მისგანვე აშენებულს მოხსიტურში—ხსნარბოუში ღრმა მოხუცებულია; იქვე დაძინებულია. სიფ-

მცანსარბობის: ხსელგზნდა ჭყონდიდელი მეტად გასუქდა, დაძმინდა, იშვიათად სწირავდა და სეკელსიო სიქმებს იფინსლად არ ეკიდებოდა. ეს იყოთ კაცი დიდების მოყვარე და თუთუხებით მცხოვრები.

ლაჟი მისი უკელსაგან ჰეტაგეძეულია, როგორც წმიდანისა. შესანიშნავია, რომ ანტონის საფლავის განქმნა ყოველ წელს ამოდის სუნ-ნულოვანი ბაზასი. ამ ოთხიოდე წლის წინეთ ამ დიდებულს საფლავს დაადგეს უბრალო ძეგლი აგურებისაგან, მაგრამ არა ძეგლი არ შეედრება იმ დაუტყნობელს ძეგლს, რომელიც თვით ანტონმა ალუგოთკის სსსელს; ეს ძეგლი არის თვით მისი ქდაგებანი, რომლითაც მან უკვდავ ჯეო თვისა სსსსენებულა ქართულ მქურლობაში.

კრებულა ანტონის ქდაგებთა, როგორცა სსსსს, შეკრებილია მისი საკვდილის შემდეგ. ეს კრებული წარმოგიდგენს მოზრდილს წინამდებარე წიგნს სწულიწადა ქდაგებანს. სსმიოდე ქდაგება მე შემსკვდრია წორა-კითხვის სსსსადობის წიგნით-სსსსსში. ერთი ჰეტონ კრებული ანტონის ქდაგებთა დიდმოზრდის დღეებზე მე ამ მოკლე სსსსს სსმივარდა სელში და ცალკე წიგნად გამოიცემა ყოვლად სსმივადელის სსსსსონის საფასით. უკვლეა, კადე მსაკალი ქდაგება ანტონისა აღმოხსნდება მომავალში და თვისს თვისს დროსზე დაიბეჭდება როგორც ძვირფასა სსსსს ქართულ სსსსსსიო მქვერ-მეტეველობისა.

წინამდებარე ქდაგებანი სკეს დავბეჭდეთ სსმი სელსაწერით: ერთი სელსაწერი გრიგოლ დადიანისა, დაწერილი 1852 წ. რომელიც დიდად გადამსისხეებული აღმოხსნდა, მეორე სელსაწერი კნ. ხატალია აღმსსსსს ნავარაძის ასულის კრისთავისა, გადაწერილი 1846 წლის ასლასსსსს, რომელიც გადმოგვცა სკეს ილია ჭყონიამ და მესამე სკემი სელსაწერი, გადაწერილი 1842 წელს. ორი უკანასკნელი სელსაწერი უფროა სრული და სწორა აღმოხსნდა. ამ სამივე სელსაწერ ქდაგებთა შემოწმებით აღდგენალ იქნა ტექსტი ანტონ ჭყონდიდელის ქდაგებთა, როგორც აწ იხილვების.

თ. ყორღანას.

ქ. შოთი, 1898 წ. 30 სექტემბერს.





საზოგადოდ სმენისათვის მდაბიურად აღწერილი ქადაგება მალა-
ყოვლად სამღვდელოსა ჭყონდიდელ მიხრობოლოიცისა, დადიანის
ოციას პისა, ანტონის მიერ.

მადლსა სუფისა ყოვლად წმიდისა ცხოველს მყო-
ფელისასა გაფუცებ აღმწერელთა და აღმამკითხველთა, რა-
თა არა დაუტოოთ ჩემმიერ ესე ზედწერილი—ნუ უმე სსე-
ნებითა ჩემისა უღიარებისათა აღიძრეთ მოწყალებად და
ლოცვა ჰყოთ ჩემ უბადრუკისათვის. ამას მუსლთ დად-
გმით და ცრემლით ვიკედრებ. სოლო დაღათუ არა ღირს
ვარ სსენებისა, გარისა მიემსგავსებით მამასა სსსიერსა,
ვითარ იგი გკასწავებს მოძღვარნი თქვენი უფალი იესო
ქრისტე: „იუკენით მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი სე-
ცათა მოწყალე არს.“

თავი 1. აღსარებისათვის.

იტყვის წინასწარმეტყველი დიდი ღანიელ: „ესცოდეთ, ვიუ-
სამართლოეთ და განვსდევით მცნებათაგან შენთა და მსჯავრ-
თაგან შენთა.“ ამას წინასწარმეტყველი ლეთისა მიმართ ემოხს,

ვსკოდეთ, ვიუსამართლოეთო; მაგრამ არ იცოდა ლმერთმან, რათ ეუბნება ვსკოდეთო? მან ყოველი უწყის და იცის. მაშ რათ ეუბნება, ეს გამოვიკვლიოთ. ამისთვის ეუბნება, რომე ლმერთს ეს ჰნებაეს, კაცმან თავისის პირით თავისის ცოდვის აღსარება ჰყოს. და წინასწარმეტყველი ლვთის ნებას სრულ ჰყოფს და თავის პირით თავის შეცოდებას აღიარებს. მოვიდეთ და ძველიდამ და ახლიდამ ამისი დასამტკიცებელი სახეები მოვილოთ, რომ კაცისაგან აღსარება ჰნებაეს ლმერთს. როდესაც ადამ ჰსკოდა, ლმერთმან ემა უყო: „ადამ, ადამ, სადა ხარ?“ ლმერთმან არ იცოდა სად იყო? როგორ არ იცოდა, მაგრამ თითონ ადამისგან აღსარება ენებებოდა, თუ სად, რომელსა ცთომაში იყო. ძაენმან რომ აბელი მოჰკლა, თითონ აბელის სისხლი ლმერთს უღალადებდა. ამას თვითვე უფალი ამტკიცებს, და იტყვის: „სისხლი აბელის, ძმისა შენისა, ღალადებს ჩემდამო“. და ძაენს რომ ჰკითხვიდა ლმერთი: „სადა არს აბელი, ძმა შენი?“ როგორ არ იცოდა, სად იყო, მაგრამ ამისთვის კითხვიდა, რომ თითონ ძაენისაგან აღსარება ენებებოდა. ეს ძველისა იყო, აწ ახლისაგან მოვილოთ სიმტკიცე, რომ კაცისაგან ლმერთს აღსარება ნებაეს. მატთე მოგვეთხრობს წინამორბედისა იოანესთვის: „და განვიდოდა მისა ყოველი იერუსალემი და გარემო სოფლები, და ნათელს იღებდეს მისგან და აღუარებდეს ცოდვათა მათთა“. და იაკობ მოციქული იტყვის: „აღუარებდით ურთიერთარს ცოდვათა.“ მგონებ, რომ კმა საყოფელად დამტკიცდა, რომ ლმერთს დიდად ჰნებაეს კაცისაგან აღსარება. მგების ვინმე იძიოს — რათ ნებაეს ჩვენის ცოდვის აღსარება. საყვარელო, ეს ხომ მოციქულისაგან გასმია, ლმერთს ყოველთა ნებაეს ცხოვრება, და ყოველთა ცხოვრება რომ ნებაეს, ცხოვრება თვინიერ აღსარებისა შეუძლო არის. ამას თვით ჰრისტე ამტკიცებს: „რომელმან არა აღმიაროს მე წინაშე კაცთა, არცა მე აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათასა.“ ამ აღგილს ეს ძალი შტანის, ამ სიტყუას ჰრისტე გიბრძანებს: რომელმანცა წინაშე მოძღვრისა თვისი ცოდვა არა აღმიაროსო, არცა წი-

ნაშე მამისა ჩემისა ჩემდა მოწაფედ და შეილად სასუფეველი-
სა მას აღვიარებო. ამისთვის ჰნებავს ლმერთს აღსარება. ნუ
ჰგონებ, თუ ჭეშმარიტი აღსარება არა გაქვს, ძრისტეს მოწა-
ფეობისაგანაც არა განვარდე და ჯოჯოხეთსაც არ მიეცე. თო-
რემ ამისი უცთომელი სახეები მოგართვა. ადამ დაიმალა, არ
აღიარა ცოდვა, რომლითაცა სცოდა და დაისაჯა. მგების
სთქვა, ადამ ახლა სასუფეველში არისო და მეც ისე მიხსნისო.
მს თქმა უგუნურება არის. მეორედ შენთვის ძრისტე ჯუარსა
ზედა აღარ დაემსჭუაღვის. არ განუცხადა ძაენმა თვისი ცთო-
მა და დაიწყევა პირისაგან ლეთისა. შენც ძაენისებრ შენს ცთო-
მას წინაშე ძრისტესსა არ განაცხადებ, მსგავსად მისსა შენც
წყევას მიიღებ პირისაგან ლეთისა. „წარვედით ჩემგან წყეულ-
ნო ცეცხლსა მას საუკუნესა!“ მს ძველისა იყო, ახალში მოვი-
დეთ. იუდამ დაფარა თვისი ცთომა თავისის მოძღვრისა და
შფლისაგან და განვარდა კრებულისაგან მოწაფეთასა. შენც
ჰფარავ შენის მოძღვრისაგან შენს ცთომას, იუდასაებრ შენც
ძრისტეს მოწაფეობისაგან განვარდები. ისიც ძრისტეს ეცრუა,
და შენც ძრისტეს ეცრუები, რომ აღსარებას ჰფარავ. მანდ
არის ძრისტე, თვითვე ბრძანებს: „მუნ ვარ მე შორის მათსა.“
ძიდევ ანანიამ დაუფარა თავისი მოგებული ძრისტეს მოწაფე-
თა, დაეცა ანანია და სული წარხდა. მგრეთვე შენ, შენს მო-
გებულს ცოდვას ძრისტეს მოწაფეს სამღვდელოთაგანს უმა-
ლავე. როგორც ანანიამ თავისი მოგებული ზოგი გამოუცხა-
და, ზოგი დაჰფარა, ეგრეთვე შენ რომელსამე ცოდვას გამო-
უცხადებ და რომელსამე დაუფარავ. ჯეროვანი არის ანა-
ნიასებრ დაეცე და სული წარგხდეს. ჯეროვანი არის მასზედ
თქმული შენთვისაც ითქვას: „არა ეცრუე შენ კაცთა, არამედ
ლმერთსა.“ ლა თვალთ რომ ვერ ხედავ ძრისტეს, ეგებ იქტუ-
ლებდე ამას, რომე მოძღვარსა და შენ შორის სწორებით
ძრისტე არა იყოს, და ამისთვის აღსარებას ჰვარვიდე. საღმრ-
თოს მადლისა შეწვევით დასამტკიცებელი სახეები მოგართვა
ამისი, რომ სწორებით იქ ძრისტე მდგომარე არის. რასაც

თვალით არ ხედავ, იმას თუ არ ირწმუნებ, სწორებით უღმრთო შეიქმნები. წმიდასა სამებას: მამასა და ძესა და სულსა წმიდასა ვერ ხედავ, თუ არა გრწამს, უღმრთო იქმნები. **თუ** ამას მეტყვი: „ამას წინასწარმეტყველნი და მოციქულნი მარწმუნებენ სიტყვით,“—**ქრისტესი** უმეტესად უნდა გრწამდეს, რომ მათი **შუალი** არის, და ის გიბრძანებს: „მუნ ვარ მე შორის მათსა.“ **ან** უღმრთო უნდა იქმნე, ან იქ **აღსარებაში** **ქრისტე** მდგომარედ უნდა ირწმუნო. ძიდევ სხვა სახე მოვილო. სასუფეველსა და ჯოჯოხეთს ვერ ჰხედავ, მაშ არ უნდა ირწმუნო. არც კეთილთათვის კეთილი მისაგებელი, და არც ბოროტისათვის ბოროტი. მსეც უღმრთოება შეიქმნა, ნახე რა უღმრთოება არის. **პეტრე** და **იუდა** სწორე უნდა შეიქმნენ. **პეტრეს** კეთილი არა უნდა მიეგოს, **შენის** იქვის მსგავსად, და **იუდას** ბოროტი. **თუ** მეტყვი და შეიკდიმებ, რომ ამას **ქრისტეს** სიტყვით ვირწმუნებ,—**ცოდვილთ** მიეგება **სატანჯველი**, ვითარცა ბრძანებს **შუალი იესო ქრისტე**: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მასსაუკუნესა,“—და მართალთა საშვებელი: „**მოვედით** კურთხეულნო, მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ თქვენთვის განზხადებული სასუფეველი.“ **მე** გეტყვი, თუ ამას **ქრისტეს** სიტყვით ირწმუნებ, მოძღვრისა და მოწაფისა შორის **ქრისტე** არის, ესეც მისის სიტყვით ირწმუნე, რომ ბრძანებს: „მუნ ვარ მე შორის მათსა.“ მათი მაგალითი კიდევ ვსთქვათ. **შენ** თუ სული გიდგს, არ უნდა გრწამდეს, ამისთვის რომ სულს ვერა ხედავ! **თუ** თვალით უხილავად არას ირწმუნებ, არც ეს უნდა გრწამდეს, შენ **ცოცხალი** და **მკვდარი**, **უსულო**, ერთი უნდა იყო! ნახე, რა უგუნურება არის! **ღა** თუ მეტყვი, სულს სხეულის მოძრაობით ვიცნობო, სამართალი საჯე, **შენის** სხეულის მოძრაობისაგან **ქრისტეს** სიტყვის მოძრაობა უფრო სარწმუნოა, თუ არა. **შენი** სიუელი ერთი უძლური რამ არის, და სიტყვა **ღვთისა** როგორ ძლიერი არის, **მოციქულისა** ისმინე: „ძლიერ არს სიტყვა **ღვთისა** და უმკაცტელეს, უფროს მახვილისა ორპირისა.“ **უ** **კ** **ლურისა**, დასახსნელის **შენის** სხეუ-

ლის მოძრაობისაგან შენ შორის უხილავად მყოფს სულის ირწმუნებ, უუძლიერესის ძრისტეს სიტყვისაგან მოძღვარსა და შენ შორის მყოფი ძრისტე ირწმუნე, რომ იტყვის: „მუნვარ მე შორის მათსა.“ **ღა** თუ ამას იტყვია, რათ ცხადად არა მეჩუბნებაო, მე მოგახსენო, თუ რათ არ გეჩვენება. **მზე** რომ ცხადად აღმობრწყინდება, რასათვის პირის-პირ სწორებით ვერ მიხედავ? **მიზეზი** ეს არის, უძლოურს თუალს მისის მცხინვარების განცდა არ შეუძლია. **შმეტესად** ცოდვისაგან მოუძღოლებულს თვალს ცხადად ძრისტეს მიხედვა არ შეუძლია. **თუ** დაბადებულის მზის მიხედვას ვერ უძლებს, დაუსაბამო **ღმერთი** როგორ უნდა განიხილოს შენჲან თვალმან? ამისთვის არ გვეჩვენება. **თუ** იტყვი, **მოციქულნი** კი ხედვიდნო, აქ ორი სათქმელი რამ არის. **მართი** ესე, რომ **მოციქულთა**ებრ განწმედილებას შენის თავისას ვერ იკადებ. **მეორე** ესე—ამაღლებამდის **მოციქულნიცა** და **სხვანიც** ხედვიდნ, **შემდგომად** **ამაღლებისა** ისე **სახილველი** არ არის.

ამაღლებამდისაც **მარიამ** მაგდალინელს რა უბრძანა: ნუ შემომეხებიო. **ჰიდევ** ცხადად არ გეჩუბნება თავისის კაცთმოყვარებისათვის, ამისთვის რომ უხილავად უდიდეს ნეტარებას მიიღებ, ვითარცა ბრძანებს **შუალი იესო ძრისტე**: „**ნეტარ** არიან, რომელთა არა უხილავ და ვრწმუნე.“ **ჰიდევ** არის მიზეზი, რომ ცხადად არ გეჩვენება: კაცი, რომელიც გონებისაგან განსრული არ არის, თავის ცოდვის თქმისათვის დიდად იზიშვის და ძრწის, და **აღსარების** ჟამში ცხადად **ძრისტე** ეჩვენოს—ასეთი შიში და ძრძოლა შეიპყრობს, ენისა ძვრას ველარ იკადრებს. **თუ** ჰერაბინნი კი ძრწიან მისგან, მიხედვ თუ ცოდვილთათვის რა ძნელი შესაძრწუნებელი იქმნება! ამისთვის ცხადად არ გეჩვენება. **იქნება** რომ კიდევ მიზეზი რამ მოიგონოს ვინმე, და არა აღიაროს თავისი ცოდვა. **მგების** უმეცრება დასდვას ვინმე მიზეზად და სთქვას: არ ვიცი რა ჰყუო. **საყვარელო!** **ღანიელ წინასწარმეტყველმან** მაგალითად დაგიდვა თავისი თავი. **როგორც** ის კომბს **ღეთისა** მიმართ: „**ესცოდეთ,**

ვიუსამართლოეთ“ , ეგრეთჲს შენ შენის ცოდვისათვის დაღადე-
ბა ჰყავ შენს მოძღვართან, და თუ ეს გაბრკოლებს, რომ მძიმე
ცოდვის ტვირთი გაქვს, მაგისტვის ნუ სწუხხარ, უცხო გამსვენებე-
ლი გყავს... **ძრისტე** გიბრძანებს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშე-
რალნი და ტვირთ მძიმენი, და მე განგისვენო თქვენ. **უწყოდე**, სა-
ყვარლო, იმ განსვენებაში საკვირველს ნიავს და წყაროს ჰპოვებ:
ნიავე, რომელ არს **სული წმიდა**, ვითარცა ბრძანებს **უფალი**: „**შო-
ველის** მიერ მიფინო **სულისაგან** ჩემისა; წყარო, რომელ არს
უკვდავ-მყოფელი ხორცი, და სისხლი **ძრისტესი**, ვითარცა ბრძა-
ნებს **უფალი** პირითა **ღვთისითა**: „და უკვდავებისა გემო იხი-
ლეთ.“ **ღა** თუ ამისი ექვი გაქვს, რომ მივიდე და განმაგდოსო,
სხვა ვინ განაგდო? მეძავე მივიდა და არა განუგდია, შეიწყალა, და
ჰრქვა: „**მოგეტევნ** შენ ცოდვანი შენნი.“ **აუზაკსა** ჰრქვა: „**ღღეს**
ჩემთანა იყავი სამოთხესა.“ **მტკიცე** იყავ, არც შენ განგაგდებს.
უტყუელის სიტყვით ამტკიცებს: „რომელი მოვიდეს ჩემდა,
არა განვაძო გარე.“ **მსე** ჰსცანი, მისდა მიმართ მისრულს არ
შერისხავს, ამისთვის რომ მშვიდი და მდაბალი არის. **ამას** თვით
ძრისტე ამტკიცებს: „მშვიდ ვარ და მდაბალი გულითა.“ **ღა** თუ
სირცხვილისათვის აყენებ აღსარებას, ეს უგუნურება არის, ამის-
თვის, რომ ერთის ვინმე სამღვდლოთაგანის გრცხვენიან, და
წინაშე **ძრისტესსა** წარდგინებისათვის არ სძრწი. **თუ** რა შე-
საძრწუნებელი არის, **ღან** იელისაგან ისმინე: „**მდინარე** ცეცხლი-
სა დიოდის წინაშე მისსა, ათასნი ათასთანი სდგენ და ბევრნი
ბევრთანი მსახურებდენ მას.“ **ღა** თუ მკითხავ: „**მოძღვარს** რომ
ჩემი ცოდვა კეთილად აღუარო, საუკუნოს სირცხვილისაგან
ვისნნები?“ **ღავით** წინასწარმეტყველისაგან ჰსცანი, რომ იხსნები,
ვითარ იგი კმობს: „**მსთქუ**, აღუარო ბრალი ჩემი **უფალსა**; და
შენ მომიტევე მე უღმრთოება გულისა ჩემისა.“ **საყვარელნო**,
ესეც ისმინეთ: **ძრისტე** მკურნალი არის ცოდვის წყლულები-
სა, ვითარცა იტყვის **იოანე ღვთის-მეტყველი**, —ამას მივსწერ
თქვენდა, რათა არა სცოდოთ, და უკეთუ სცოდოთ, მკურნალი
გვივის მამისა მიმართ **ძრისტე** იესო მართალი, **ღა** სნეული

რომ მკურნალს წყლულს უფარავდეს, მიხედვით თუ რა დიდი უგუნურება არის. უდიდესი უგუნურება რა იქნება, მკურნალის დაფარული წყლულება სიკვდილს შემოიღებს; ეგრეთვე უაღსარებო ცოდვა—საუკუნოს სიკვდილს, ესე იგი, წარწყმედას შემოიღებს. მგების აღრობდეთ ვინმე და რომელსამე ჟამსა უცდიდეთ, მაგრამ მდიდარს რომ ხმა ესმა: „უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან!“—ეს რომ გესმას, რასა ჰყოფ? მე სხტას არას გეტყვი,—უმჯობეს იყო შენდა, არა თუმცა შობილ-იყავ! საკვირველი არ იქმნება, თუ ამას ჭეიქრობდე, ჩემი დაფარული ცოდტა, სხტას როგორ განუცხადო! **თუ** გამოიძიებ ჩემის უღირსებისაგან და ამას მკითხავ— „რა განსაკვირვებელი არის ჩემი დაფარული ცოდტა, სხტას არ უთხრა?“ **მ**რის საქმისათვის დიდად საკვირველი არის: მართად ამისთვის, შენ შენი ცოდტა დაფარული გგონია, და ყოველითურთ განცხადებული არის. მეორედ ამისთვის, აღსარების თქმა ცოდვის უფრო დაზფარველი არის, არათუ განმაცხადებელი. აღსარება თუ როგორ ცოდვის დამფარველი არის, ის შემდგომად ვსტყუათ. ჯერ ესე ვსტყუათ, თუ უაღსარებო ცოდტა როგორ უფრო განცხადებული არის. მითხარ, საყვარელო, თუ რითი დაჰფარავ შენს ცოდტას? **თუ** მეტყვ ბნელი დამფარავსო, მაგითი ვერ დაიფარვი, მზის უბრწყინვალესი თვალი გხედავს. **თეოდორიტე** მპისკოპოსი იტყვის: „ბევრწილ უნათლეს არიან მზისა თტალნი უფლისანი.“ **თუ** იტყვი არავინ კაცი მხედავსო, ვერც მაგითი დაიფარვი; აღამს კაცი არავინ ხედედა, მაგრამ არ დაიფარა მისი ცოდტა; ძაენს ვინ ხედედა, განვიდა ველად და მოაკვდინა ძმა თვისი, მაგრამ არც იმისი ცოდტა დაიფარა. აგრევე არც შენი ცოდვა დაიფარვის, ნუ სტოები. ძიდევ უცხადესად გიჩტუნო, რომ შენი უაღსარებო ცოდტა უფრო განცხადებული არის. ამის მეტი განცხადება რა იქმნება: ლმერთმან იცის, კაცმან, ანგელოზმან და ეშმაკმან. ლმერთმან ამითი იცის, ყოველგან არს და ყოველსავს აღავსებს, და შენ რით დაეფარვი? ძაცმან ასე იცის, ძრი-

სტე სრული ღმერთი და კაცი არის, მას თუ რამ დაეფარვის, შენვე კეთილის მეცნიერებით იფიქრე; მომავალი პეტრეს შეცოდება თუ არ დაეფარა და პეტრეს ცთომამდის ამხილა და უბრძანა: „ვიდრე ჭათმისა კომბამდე სამგზის უარმყო მე, —“ შენი იგი ქმნილი ცოდტა სულ არ დაეფარვის. ანგელოზმან ასე იცის, მკტპლი ანგელოზი ჟამ მარად თავს გადგს, და სად უნდა დაეფაროს შენი ცოდტა? მშმაკმა ამით იცის, რომ თვთ ის გაქნევენებს ცოდტას. მე გიჩტნე, თუ შენი ცოდვა როგორ განცხადებული არის; ღმერთთან, კაცთან, ანგელოზთან და ეშმაკთან. შენ მიჩტნე თუ დაფარული რითი არის. თუ ამას იტყვი ლიტონმან კაცმან არ იცის, სხტაზე არ განმაცხადებსო, აქაც სკთები, ამისთვის რომ ღმერთი უაღსარებოს ცოდტას არ დაჰფარავს. ღვით წინასწარმეტყველის პირით ცხადად გიბრძანებს: „გამხილო და წარმოვადგინე ცოდტანი შენნი წინაშე პირსა შენსა.“ საყვარელნო, მე გკითხე, თუ თქტნი ცოდტა სად და რაფა დაფარული არის, და ვერა მომიგეთ რა. აწ მე მოგახსენო, თუ აღსარებისაგან ცოდტა როგორ არ დაიფარვის. ნეტარ, მკტდარი დავიწყებული და დაფარული არის, თუ არა? ღიდის წინასწარმეტყველის იერემიასაგან ისწავეთ, თუ როგორ დავიწყებული და დაფარული არის. იერემია იტყვს: „დაივიწყნეს დედამან ნაშობნი მუკლისა თვისისანი.“ მიხედეთ, სადაცა დედა შეიღს დაივიწყებს, თუ ის მკტდარი როგორი დაფარული იქნება? აგრევე აღსარებისაგან ცოდტა რომ კლდეს შეეხეთქება (ესე იგი ძრისტეს), ვითარცა იტყვს წინასწარმეტყველი ღვით: „ნეტარ არს, რომელმან შეიპყრნეს ჩჩვილნი და შეანეთქნეს კლდესა.“ ეს ცოდტა დავიწყებული და დაფარული იქნება. ვითარცა მკტდარს დედა დაივიწყებს, ეგრეთვე აღსარებისა და სინანულისაგან მკტდარს ცოდტას დედა ჩვენი ეკკლესია დაივიწყებს. მართი მაგალითი კიდევ ესთქათ. მართი მაკტდინებელი წამალი ჰქონდეს ერთს ვისმე უგუნურს, მოეგოს გონებას და თავის მასწავებელს უჩტნოს ის მაკტდინებელი წამალი, მასწავებელმან უკიანეს ზღტაში ჩაავდოს და უცნაურად

დაიფაროს. აგრევე, რომელსაც სულის მაკრდინებელი ცოდვა აქუს და ინას მოძღვრისაგან მასწავებელს უჩტუნებს, მასწავებელი ძრისტე არის, ვითარცა თვით ამტკიცებს: „ისწავეთ ჩემგან.“ ძრისტეს რომ აღსარებაში ცოდუას უჩტუნებს, ძრისტე მიუწდომელს და გამოუძიებელს თავისის მოწყალების უფსკრულში დაანთქამს. მიხედვ, თუ მერმე ის ცოდუა როგორ დაიფარვის, როგორ სული წმიდა მზეკიელის პირით ამტკიცებს: „არლა მერმე მოხსენებულ იქმნენ ცოდვანი მისნი.“

ცხადად წარმოჩენილი შეიქმნა რომ აღსარებისაგან ცოდვა დაიფარვის. მიიღეთ კეთილი აღსარება და სინანული, რათამცა განქარდენ ცოდვანი თქტუნნი და მკვიდრ იქმნენ ყოველნი სასუფეველსა ცათასა აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.





თ ა ვ ი 2.

მეცნიერებისა წვრილისათვის.

ბრძანებს უფალი პირითა მალაქია წინასწარმეტყველისათა:
„ბაგენი მღუდელთანი იწურთიდენ მეცნიერებასა და ჰსჯული
იძიოს, რამეთუ ანგელოზი არს უფლისა შოველისა-მპყრობელი-
სა.“ არაინ ჰგონოს, თუ მარტო მღუდელს ეუბნებოდეს უფალი
ამ სიტყუას. მღუდელობის სახელით მღუდელთ-მთავარიც დაინი-
შნება, ვითარცა ღავით წინასწარმეტყველი კმობს ძრისტესთვის:
„შენ ხარ მღუდელი უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკი-
სსა.“ ღა კიდევ მოსე და არონ ძველთა შორის მღუდელთ-
მთავარი იყვნენ, მაგრამ მღუდელობის სახელით იწოდებიან,
ვითარცა კმობს იგივე ღავით: „მოსე და არონ მღუდელთა შო-
რის მისთა“ რადგან ორნივე—მღუდელთ-მთავარიცა და მღვდე-
ლიც ერთის ძრისტეს საიდუმლოს მსახური არიან, ამისთვის
ორნივე ერთის მღუდელობის სახელით ინიშნებიან და ორნი-
ვე ანგელოზად ითქვიან ამისთვის, რომ ანგელოზნი მომთხრო-
ბელად და ქადაგად გამოითარგმანება და ორნივე ჰსჯუ-
ლის მომთხრობელად და ქადაგად ჩინებულნი არიან. რო-

გორც ათორმეტნი მოციქულნიც ქადაგად იყვნენ წარვლენ-
ნილნი და სამეოცდაათნიც, მღვდელთ-მთავარს ათორმეტთა
მოციქულთა მსგავსება აქტს და მღვდელთა—სამეოცდაათისა.
„ბაგენი მღვდელთანი იწვრთიდენ მეცნიერებასა და სჯული
იძიოს.“ ბაგენიო, რომ ამბობს,—გარეშის ზემოსა და ქტსმოს
ბაგეს არ ნიშნავს,—შინაგან გულისა ბაგეს და გარეშისას ორ-
სავეს ნიშნავს, ამისთვის ამბობს ბაგენიო. შინაგანს და გარე-
შე პირს ორსავეს რომ ნიშნავს ამითი ჰსჩანს, ზედ რომ დარ-
თავს: „იწვრთიდენ მეცნიერებასა და სჯული იძიოს.“ აწ თუ ში-
ნაგანის გულითაც არ იწვრთის მეცნიერებას და სჯულსაც
მტკიცედ გულით არ იძიებს, მარტო გარეშის პირით მეცნიე-
რების წყრთა და სჯულის ძიება ფარისეველთ მსგავსება იქმ-
ნება, ვითარცა ბრძანებს უფალი ჩუტნი იესო ძრისტე: „გარეგან
ჰსჩანედ შუტნიერ.“ ღა ფარისევლებრი მარტო გარეშის გან-
სვენება ძრისტეს არ ჰნებავს. სხადად გვიბრძანებს: „საქმეთა მათ-
თაებრ ნუ ჰყოფთ.“ მაშ შინაგანი და გარეშე პირი ორივე ინი-
შნება, ორითავე უნდა იწვრთიდეს მღვდელი მეცნიერებასა და
ორითავე სჯულს უნდა იძიებდეს. თუ არა ჰყოფს და სჯულს
მარტო გარეშე ბავით იძიებს და გონებით კი არა, ის ფარისე-
ველი არის და არა მღვდელი, ამისთვის რომ თქმისაებრ მაც-
ხოვრისა არს: „ბარეგან ცხოვართათა მოსილ, ხოლო შინაგან
მგელ-მტაცებელ.“ ღა თუ იძიებ, რომ გულს ბაგე აქტსო, აქ
მანასესი ლვთისა მიერ მითუალული სიტყვა მოვიხსენოთ: „აწ
მოვიდრეკ მუხლთა გულისა ჩემისათა.“ თუ გულის მუხლი ით-
ქმის, უეჭველად პირიც ითქმის, და ეს რომ არის: იწვრთიდეს
მეცნიერებასა და სჯული იძიოს,—აქ ჰსჩანს სჯულთან მეცნიე-
რებასაც უნდა იწვრთიდეს. თუ ორსავეს ერთად არ იწვრთის,
საუკუნოს დასჯას მიიღებს. აწ მოვიდეთ და ვსთქვათ, რომე-
ლიც მღვდელი მღვდლობაში მეცნიერებას არ იწვრთის, თუ
როგორ დაისჯება, ეს წარმოვაჩინოთ. მაგრამ ჯერ ეს ვსთქვათ,
თუ რომელს მეცნიერებას უნდა იწვრთიდეს, მერმე, რომ არ
იწვრთოს, თუ რა სასჯელი შეუდგება, ის ვაჩუტნოთ. ვილო-

სოფოსნი მეცნიერებას ოთხად განსწვალვენ. მაგრამ რადგან ჩუპ-ნი ქადაგება სამღვდელოთათვის არის, ჩუპნ ეკკლესიის კმისა-ებრ ვიმეტყველოთ. სიბრძნე ორი არის: ერთი წერილობითი, როგორც რომ არიან წიგნი წინასწარმეტყველთა და მამათანი ყოველნივე ძველისა და ახლისანი. ამას უნდა იწუროთიდე მღვდელი, თუ არ იწუროთი, მღვდელობისაგან გარეშე იქმნება. ზაჩუპნოთ ამისი სიმტკიცის სახეები. შოველთა სამღვდელოთა, როგორც ზემო ვსთქუ, მოციქულთა მსგავსება აქუს. ახლა მივხედოთ თუ მოციქულნი წერილის სიბრძნის მქონებელნი იყვნენ, თუ არა, მღვდელობაში წერილის სიბრძნე ექირატბოდათ, თუ არა. თუ არ ექირებოდათ მახარებელთაგან რასათვის არის თქმული: „მაშინ განუხვნა გონებანი მათნი გულის კმის ყოფად წიგნთა.“ სჩანს, რომ თუ მოციქულთ მსგავსი ხარ, შენც წერილის მეცნიერებას უნდა იწუროთიდე. რადგან მათ ექირებოდათ, უფლებლად შენც თანამდები ხარ, რომ უნდა გაქუნდეს წერილთა მეცნიერება. ამასაც მიხედე, თუ წერილს როგორ ხმარობდენ. მს კმა მათი არის: „მსრეთ წერილ არს და ესრეთ ჯერ არს“ და თუ არ იწუროთი წერილს, შეცთომილი ხარ. თვითვე შეთალი იესო ძრისტე გიმტკიცებს. ჰსტებით, რამეთუ არა იკით წიგნი. მრთი ეს უნდა ვიკითხო: ძრისტეს მოწაფე ხარ, თუ არა, თუ მოწაფე არა ხარ მღვდელობისაგანაც შორს იქმნები, თუ მოწაფე ხარ, მოძღუარი და შეთალი შენი იესო ძრისტე თუ იკითხვიდა, შენ რასათვის არ იკითხავ? ძრისტე როგორ იკითხვიდა, ლუკა მოგვითხრობს: „და მოსცეს წიგნი ისაია წინასწარმეტყველისა და აღსდგა კითხუად.“ თვთ ძრისტე გაწვევს კითხუად და გიბრძანებს: „ესრეთ ჰყოფდით, ვითარცა იხილეთ“ ხედავ მის მიერ წერილის კითხუას, და შენც თუ მისი მოწაფე ხარ, უნდა იწუროთიდე წერილს. შტყუელი კმა არის: „კმა არს მოწაფისა, უკეთუ იყოს ვითარცა მოძღუარი თვისი.“ ძიდევ სხუა სახე მოვილოთ. ჰინდოეთის ლედოფლის საქურისი წიგნის კითხვის მიზეზით ურწმუნოების საკთურისაგან ხსნილი შეიქმნა და შილიპვე მოციქულისა მიერ ნათელ-ღებულ იქმნა. შენც თუ ცოდვის საკთუ-

რისაგან ხსნა გნებავს, წერილობითი კითხვა შეიყვარე. ჯერონიმე ფილოსოფოსი იტყვის: „შეიყვარე წერილობითი კითხვა-ნი და არლა სადა შეიყუარო ბორგნეულებითნი ქცევანი.“ ამ ფილოსოფოსის სიტყვა ასე აცხადებს, თუ წერილობით კითხვა არ გიყვარს, თურმე ბორგნეულს ქცევას ჰყვარობ. აწ მეორის მეცნიერებისათვის ვსთქვათ. მეორე მეცნიერება სათნოება არის, როგორც სიმეონ ჯულფაელი დიალიკტიკასა შინა აცხადებს და იტყვის: „სრბანი წმიდათა მოწამეთანი სიბრძნედ ითქმიან.“ მაშ ამასაც უნდა იწვრთიდეს მღვდელი. თუ არ იწვრთის, დასჯა ეუღლებს; თუ როგორ, — ამისი სახე მოვილოთ. აღამ მღვდელი იყო, მღვდელობის ადგილად სასუფეველი აქტნდა. მღვდელობა ამითი სჩანს მის შორის, რომ სახელი მან დასდტა ყოველსავე, ვითარცა იტყვის მოსე ლეთისა მზრახველი: „და უწოდა აღამ სახელი ყოველთა ცხოველთა ქტყანისათა.“ სანამდის ის სიბრძნეს იწვრთიდა, რომელიც ლმერთმან მცნება მისცა, მანამდის მის მღვდელობაც მტკიცედ იყო. როდესაც ის მცნება აღარ იწვრთა და დაივიწყა და გველის ზრახტას შეექტა, მაშინ სასუფეველიდამაც განიღვენა, და მღვდელობიდანაც დაემხვა, ვითარცა ლავით წინასწარმეტყველი ნაცვლად აღამისა იტყვის: „ლმერთო განმთხივენ ჩტსნ და დამამხტსნ ჩვენ.“ მგრეთვე შენ, მღვდლო, ძრისტემან მღვდელობის ადგილად ეკკლესია მოგცა, ვითარცა აღამს სამოთხე მისცა. მცნება მოგცა მეცნიერებისა და უმანკოებისა, ვითარცა გიბრძანა ძრისტემან: „იყტსნით მეცნიერ, ვითარცა გველნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი.“ სანამდის ამ მეცნიერებას და უმანკოებას იწვრთი და მტკიცედ გიპყრია, მანამდის შენი მღვდელობაც კეთილად ჰგიეს. როდესაც მეცნიერებას დაივიწყებ და მზაკუარებას იწყებ, მაშინ ვითარცა მოციქულთ მზაკუარი სიმონ მოგვი განაგდეს, ეგრეთვე შენც განგდებული შეიქმნები ეკკლესიისაგან და მღვდელობისაგან. მზაკვარებისათვის სიმონ მოგვისთვის თქმული, სამართალი არის შენზედაც ითქუას: „ბული შენი არა არს წრფელ ლეთისა მიმართ.“ ლა სული წმიდა ამოსის მიერ ლიდისა გიბრ-

ძანებს: „ზარდაგადგინე ამიერ ოკუტრაჟ საგალობელთა შენთა და ფსალმუნნი ორღანოთა შენთა არა ვისმინო.“ ზაგენი მღუდელთანი იწვრთიდენ მეცნიერებასა. ამ მეცნიერებას უნდა იწვრთიდეს მღუდელი. **თუ** ვისიმე ძვირი აქტუს გონებაში, მასხედ და მის მსხვერპლზედ მოწყალებით ღმერთი არ მოიხედავს. როგორც **ქაენს** რომ ძმის ძვირი აქტუნდა გონებაში, **მოსე** ისე იტყვის მისთვის: „**ქაენს** ზედა და მსხვერპლთა მისთა ზედა არა მოიხილა.“ **თუ** ჭეშმარიტი მღუდელობა გნებავს, **აბელის** სიმართლე მოიგე, რომ **შენცა** და **შენს** მსხვერპლს მოწყალებით მიხედოს. **ვითარცა** **აბელისთვის** **მოსე** ჰსწერს: „**აბელს** ზედა და მსხვერპლთა მისთა ზედა მოიხილა.“ **თუ** **აბელისებრ** შესწირავ, ყოვლად კეთილ, თორემ **ქაენისებრს** შეწირვას დასჯა შეუდგება, და უმჯობესი არის ყოვლად არა შეწირვა, ვითარცა ბრძანებს **შუალი იესო** **ქრისტე**: „**სჯობს** არა ცნობა გზისა მის.“ **აიღვე** ამ სიბრძნეს უნდა იწვრთიდეს. **თუ** ვინმე **შენზედ** სიმართლით გულ-ძვირად არის, მის დაგებადის **მღუდელობა** უნდა დააყენო. **თვითვე** მომცემელი მღუდელობისა **ქრისტე** გაყენებს და გიბრძანებს: „**შკეაუ** ძმა **შენი** გულ-ძვირ რამე არს **შენთვის**, დაუტევე **შესაწირავი** იგი **შენი**, მივედ და დაეგე ძმასა **შენსა** და მოვედ და **შესწირე** **შესაწირავი** **შენი**!“ **იწვართე** ეს სიბრძნე, ჰირველად დაეგე და მერმე **შესწირე**. **თუ** ასე არა ჰყოფ, და უღირსებით **შესწირავ**, **ნადაბ** და **აბიუდ** უღირსებით **შემწირუტლობისათვის** საღმრთოს რისხვით დაიწვენენ. **ქრძალე**, რათა არა **შენცა** განიცადო. **მინდა** ერთი მაგალითი ძველის წერილიდამ მოგახსენო. **იაკობმან** თავის მამას მისართმევი ისე მიართვა, როგორც დედამან მისმან ამცნო და მამისაგან კურთხევა მიიღო. **აგრევე** **შენც** საუკუნო **მამას** მღუდელობის მისართმევი მსახურება ისე მიართვი, როგორც დედამან **შენმან** **ეკკლესიამან** გამცნოს და **შენც**, **იაკობის** მსგავსად, საუკუნო მამისაგან კურთხევას მიიღებ. **ღა** თუ ეკკლესიის მცნებას არ მიიღებ და მამას ისე მიართმევ მსხვერპლს, როგორც **მსავს** დედის მცნება არა აქტუნდა რა, და ისე მიართვა ძღუტნი თავ-

ვის მამას და პირმშობებისაგან დაემხვა, ისრე შენ, სასუფეველის პირმშობებისაგან დაემხობი. ძიღვე უნდა იწჭრთიღვე მეცნიერებას. **თუ** რასმეს სოფლის უჯეროებაში სდგახარ, ჯერ იქედამ უნდა გამოხვიღვე და მერმე მსხვერპლი უნდა შესწირო. ამისდა მაგალითად, ღიღს აბრაჰამს მოგართმევე. **ჯერ** აბრაჰამს ეს უბრძანა **ღმერთმან**: „გამოვეღ ქუტყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა“, —და გამოვიღა. **მერმე** ისავის შეწირვა უბრძანა. **მერმე** შენ პირველად გიბრძანებს, შენის ქუტყანის და შენის ნათესავის უჯეროებისაგან გამოსლუას და მერმე მსხვერპლის შეწირვას. **თუ** ასე არა ჰყოღ და უჯეროებას რასმეში მღგმოებ, და მაშინც იძულებით მიხვალ შეწირვად, — **ღზიაც** მივიღა იძულებით შეწირვად და განკეთროვეღა. **აქაც** გეტყვი: ეკრძალვე, რათა არა შენცა განიცადო. **თუ** მეტყვი, სოფლისაგანი ვარ და ქუტყანასა თვისსა როგორ მოვშორღვეო, — აქ ორი რამ სათქმელი მაქუტს. **მრთი** ჰავღეს სიტყუა: „ღა ნუ თანავზიარებით საქმეთა მათ ბნელისათა, არამეღ ამხიღებღითცა.“ **თუ** არ განეშორო, ნუ ეზიარები და კიღვე ამხიღვე. **მეორე** ჰრისტეს სიტყუა უნდა ვსთქუა, მოციქულთა რომ უბრძანა: „**თქუტუნ** არა ხართ სოფლისა ამისაგანნი.“ **როგორ**, სოფლისაგანნი არ იყენენ ხორციელნი კაცნი?! **მაგრამ** ამითი არ იყენენ სოფლისაგანნი, უჯეროს სოფლის საქმეს არ ეზიარებღღენ. **აგრევე** ეს სიტყუა მარტო მოციქულთათვის არ არის, ვითარცა ბრძანებს **შუღალი**: **არა** ამათთვის ხოლო გკითხავ, არამეღ სხუათა ყოველთათვის. რადგან საერთო არის ეს სიტყუა, მოციქულთ მსგავსად არც შენ უნდა იყო სოფლისაგანი (ესე იგი ამ სოფლის უჯეროებაში არ უნდა ეზიარებღღე). სოფლისაგანი ვარო, რომ მიზეზობ, როგორც მოგახსენე, იმ გზით არ უნდა იყო სოფლისაგანი. **თუ** ჰრისტეს მოწაფე ხარ, ასე უნდა იყო, ამისთვის რომ, ზემო ჰრისტეს სიტყვით გიჩუტენე, რომ ჰრისტეს მოწაფენი ასე იყენენ. „**ბავენი** მღუღელთანი იწჭრთიღღენ მეცნიერებასა.“ **ამ** სიტყუას **შუღალი** ბრძანებს და სადაც ჩუტუღება არის **შუღლის** სიტყვის სმენის თუ იმ აღგიღზე არა

ხარ, უფლის სიტყუას კეთილად ვერ ისმენ. იძიებ, სად არის ჩუქსულება. ძველიდამ გიჩუპნო, თუ არა ადგილიდამ არის ჩუქსულება უფლის უბნობისა. მოსეს ეუბნა უფალი მაკლოვანით გამო, და სინას მთაზედ იყო. მლიას ეუბნა სიტყვა ლეთისა, ისიც მთილამ იყო. რომლის მოსწავება არის, რომ მარტო მთილამ ეუბნა, ძველში ყოველსავე ამას გიჩუქსულებს და ამას გასწავებს, თუ სათნოების მთაზედ არა ხარ აღსრული, კეთილად უფლის სიტყუას ვერ ისმენ. მსეც ძველის სახით დაგიმტკიცო. მოსე რომ მთად აღვიდა, მას ეტყუა ლმერთი, რომელიც მთაზედ არა იყო. მგრეთვე რომელიც სათნოების მთაზედ აღსრული არის, მას ეუბნება ლმერთი, და სათნოების მთაზედ მყოფი კიდევ ისმენს ლეთის უბნობას. თუ სათნოების მთაზედ არ არის, ის ვერც ლეთის სიტყუას ისმენს. პატიოსანო მამაო, ხედავ მტკიცედ აღმოჩენილს სათნოების ადგილს? თუ გნებავს ლეთის სიტყვის სმენა, სათნოების მთაზედ აღხედ და იქილამ ისმინე ლეთის სიტყუა, თორემ სხვიდამ სმენა შეუძლო არის. ამ ქადაგების დასაბამში არის — „ჰსჯული იძიოს“ რომელ ანგელოზი არს უფლისა ყოვლისა-მპყრობელისა. აქ ზემო თქმული სიტყუა კიდევ უნდა მოვიხსენო: „სჯული იძიოსო.“ ნეტარ თუ წერილობითს სიბრძნეს არ იწვრთი, ჰსჯულს რითი გამოიძიებ? ანგელოზი არსო (ესე იგი მომთხრობელი არსო), — რას მოუთხრობ თუ არ აღმოიკითხავ? პავლე მოციქული ზღაპართაგან გაყენებს და გეტყვის: „ღედაბერებრთა ზღაპართაგან იჯმენ.“ ღა უწერილოთ სხუა რა უნდა მოუთხრა, ჰსჯულის თან შემწყო უწერილოთ რა იპოვება? პავლესი რომ არ დაიჯერო და ზღაპრობა იწყო, საღმრთოს ჰსჯულს მაშინც არ დაეზავება. მალი გაქუს წერილობითის წურთისა, თუ წესიერი მლუდელობა გნებავს. მსეც უნდა მოგახსენო, ჰსჯულის ძიება გნებავს, მარხვა უნდა იწვართო და ნაყროვნება უნდა დაუტეო, თორემ ჰსჯულს ვერ მოიპოვებ. თუ როგორ, — ამისი სახეები ძველიდამ მოვილოთ. ისრაელნი რომ დასხდენ ჰამად და სმად, და აღსდგენ სიმღერად, მაშინ ჰსჯული ვერ მოიპო-

ვეს და მოსეს მიერ ჰსჯულის ფიკარიც შეიმუსრა. **ღა** როდესაც მოსემ იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ლამე და კიდევ მთად აღვიდა, მაშინ მოსემ მოიღო ჰსჯული. მგრეთჲს შენ თუ ნაყოვნებას ექცევი, ჰსჯულს ვერ მოიპოვებ და თუ მარხუას შეიტყობ, უეჭველად საღმრთო ჰსჯულსაც მოიპოვებ და ჰსცნობ. **ახლა** ქადაგების დასაბამის შემდგომი სიტყუა მოვიხსენოთ: „**ანგელოზი** არს **შფლისა** ყოვლისა-მპყრობელისა.“ **ანგელოზი** არს (ესე იგი ქადაგი არსო,) არა თუ სხვისი, არამედ **შფლისა** ყოვლისა მპყრობელისა. **დიდი** კრძალვა მართებს მღვდელს, რადგან ანგელოზად იწოდა. **ანგელოზის** თვისება არ დაკარგოს, თორემ ეშმაკის და **იუდას** მსგავსებას მიიღებს, ამისთვის რომ ამათაც ანგელოზთ თვისება სრულიად დაჰკარგეს და უჩინო ჰყუს თავისა თვისისათვის. **ღა** თუ ანგელოზის თვისებას უჩინო ჰყოფს, ესეც მათი მსგავსი შეიქმნება. **მოვიდეთ** და ჯერ **ანგელოზის** თვისება რა არის, ის ვსთქუათ და ზერმე ეშმაკმა და **იუდამ** როგორ უჩინო ჰყუს თავის თავსაგან **ანგელოზთ** თვისება, ის ვსთქუათ; და კიდე მღუდელი ამათ როგორ მიემსგავსება **ანგელოზთ** თვისების უჩინო ჰყოფით ისიც ვსთქუათ. **ანგელოზთ** თვისება ეს არის. **ისაია** იტყვის: „ექუს ფრთე ესხნეს ერთსა; ორითა იფარვიდეს პირთა და ორითა ფერხთა ღ ორითა ფრინვენ. **ახლა** ამათი ძალი გამოვაცხადოთ: ორით პირს იფარვიდენ, რომ რასაც **შფალი** არ უბრძანებს სხუას არას გამოიკვლევენ; ორით ფერხს იფარვენ, რომ თავის უმსგავსო საქმისა მიმართ არ მივლენან; ორით ფრინვენ, რომ **შფალს** მსახურებენ. რადგან ანგელოზად იწოდე, მღუდელი, ეს ანგელოზის თვისება უნდა გაქუნდეს: პირს უნდა იფარვიდე, რომ უჯეროს არას მეტყველებდე. **ბესმის** **შფლისაგან** თუ რას გიბრძანებს? „**ბაგენი** მღუდელთან იწვრთიდენ მეცნიერებასა.“ **უჯერო** არ იწუართო, არ უბრძანებია უჯეროს წერთა. **ორით** ფერხს უნდა იფარვიდე, რომ მღვდელობის უმსგავსოს საქმისა მიმართ არ უნდა ხვიდოდე. **ორით** უნდა ფრინვიდე, რომ **შფალს** მსახურებდე და ჯეროვნებით სხეულთა შენთა. **ღა** თუ არა ყოფ

და უჯეროებისაგან ბაგეს და ფერხს დაიფარავ, სწორებით ეშ-
მაქსა და იუდას მიემსგავსები, ამისთვის რომ. ამათაც არ დაი-
ფარეს უჯეროსაგან პირი და ფერხი და ანგელოზთ თვისება
უჩინო ჰყტის თავისა თვისისათვის; თუ როგორ—ვაჩვენოთ: ეშ-
მაქსან არ დაიფარა პირი და სთქუა უჯერო, ვითარცა მოგვი-
თხრობს ისაია: „აღვხედე ღრუბელთა ზედა და ვუო მე მსგავს
მალლისა მის“. არა დაიფარეს ფერხი, რამეთუ იწყეს ამის უჯე-
როსა მიმართ სულად და იქმნენ განვრდომილ ღვთისაგან მგ-
რეთვე იუდამ არა დაიფარა პირი უჯეროსაგან, რამეთუ ძრის-
ტეს განყიდვა აღუთქუა ჰურიათა: „მე მოგცეო იგი თქტენ“; არა
დაიფარა ფერხი, რამეთუ შეუფისა თვისისა განსყიდვად ჰრბიოდა
და ამისთვის ძე წარწყმედისა ეწოდა. საყვარელო! შენც თუ ამათდა
მსგავსად დაკარგავ შენგან ანგელოზის თვისებას და უჯერო-
საგან პირს და ფერხს არ დაიფარავ. შენც ამათ მიემსგავსები.
და მათს მსგავსებას განეშორე და კეთილთა ანგელოზთა მსგავ-
სება განისაკუთრე წვრთითა მეცნიერებისათა და ძიებითა სალ-
მრთოსა ჰსჯულისათა, რათა ძრისტეს თანა ეგო მისისა უტყუე-
ლისა სიტყვისაებრ: „სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახურნი ჩემნი
იყვნენ“; რომლისა არს დიდება და სიმტკიცე. აწ და საუკუნეთა
უკუნისამდე. ამინ.





თავი 3. სიძვისათვის

მსეს მიერ უფალი იტყვის: „არა მოვიხილო მე ასულთა თქუცნთა ზედა ოდეს ისიძვიდენ“ სიძვაში რომ მარტო ასული ჰსთქუა და კაცის სახელი არ არას ხსენებული, ამისთვის არის ეს, რომ ერთის ხსენებით ორივე უნდა ვიცნათ: ცოდვისათვის ორსავე სასჯელი მიეცემა. პავლე მოციქული ორსავე ერთად მისცემს სასჯელს და იტყვის: „რომელმან განხრწნეს ტაძარი ლეთისა—განხრწნეს იგიცა ლმერთმან.“ აქ სახელისა დებით არც ქალი უთქუაჲს და არც კაცი, ისე სწორებით სასჯელს მისცა. მრავლის სახით ჰსჩანს, რომ ცოდვისათვის ორსავე სასჯელი მიეცემა. აღამსა და მევას სწორებით მიეცა სასჯელი ცოდვისათვის: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც“. ორივე ამითი დაისაჯნენ. სოდომსა და ბომორსა მამაკაციც და ლედაკაციც ორივე ცოდვისათვის ლეთისა მიერის რისხვით დაიწვნენ. წინაშე ძრისტესსა ორნივე ერთად წარსდგებიან განკითხუად. მოციქული პავლე ორსავე განუჩვენებლად იტყვის: „არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა ლედაკაცისა“. ამ მიზეზისათვის აქ, ქადაგების დასაბამში, მამაკაციც და ლედაკაციც ცოდვის პატივისათვის სწორად უნდა მოვიხსენოთ. მგების უმეცარმან ჰსთქუას ვინმე, რომ

შუალი ამას ბრძანებს **მსე წინასწარმეტყველის** პირით—არა მოვიხილოო, და სიძვისათვის არას მოგვაგებსო. **მს** სიტყუა სა-
შინელი გმობა რამ არის. **თუ ღმერთი** შეუნანებელს მძდავს
სასჯელს არ მიაგებს, არცა ქალწულთა კეთილს მიაგებს და
ღმერთი უსამართლო შეიქმნება. **მს** ეშმაკის დათესილი ღუარ-
ძლი არის. **მს** ღუარძლი აღმოვეხურათ და ვაჩუწნოთ, რომ
ღმერთი ქალწულთ დიდს ნიქს მისცემს და უნანელთა მძდავთა—
დიდს სასჯელს. ქალწულთ ეს ნიქი აქტს: პირველად ეს, რომ
ღვთისა მიმართ სასურველი ძღვენი არის, ვითარცა **ღავით** იტ-
ყვის: „**მიერთვნენ** მეუფესა ქალწულნი“; მეორედ ესე, **ქრისტეს**
დედად კმობილი არის, ვითარცა იტყვის **ღვთის-მეტყველი ბრი-**
გორი: „**ღედანო!** ქალწულ-იყვენით, რათა დედა იქმნეთ **ქრის-**
ტესა“. **აწ** მძდავთა და მემრუშეთა სასჯელი ვსთქუათ. მძდაობი-
სათვის **ნოეს** ჟამში **ქტყყანა** წყლით რღენისაგან აღიხოცა,
დიდ-დიდი ქალაქი ხოდომი და **ბომორი** ცეცხლით დაიწვენენ.
ისრაელთ ისიძვეს და **შფლის** რისხვით სრვა მოუვლინდათ, ვი-
თარცა იტყვის **წინასწარმეტყველი ღავით**: „**ღა** განრისხნა **შფა-**
ლი ერსა თვისსა ზედა“. **მტკიცე** სახეობით აღმოჩნდა, რომ მე-
ძავთ სატანჯველი მიეცემა. **ღა** პავლე **მოციქული** ამტკიცებს:
„**მძდავნი** და **მემრუშენი** საჯნეს **ღმერთმან**“. **ღა** თუ ვინმე იძიებს
კიდევ, რომ **შფლის** სიტყუაში არა მოვიხილოო, ასე არის და
ამას რა ძალი აქტსო,—ამას ეს ძალი აქტს: უნანელსა და მიუქ-
ცველს მძდავსა—**მემრუშეზედ** **შფალი** ბრძანებს: „**მოწყალებით**
არა მოვიხილო“. **ხედავთ**, საყვარელნო, თუ მძდავთ რა რისხუა
აქტსთ **ღვთისაგან**? და რა მიზეზი გაქტსთ, რომ არ განეშო-
როთ? რა ნუგეშს აძლევთ თავის თავს? ეგების ჰგონოთ თვი-
ნიერ მოქცევისა და სინანულისა **ღმერთმან** შეგიწყალოსთ? **თუ**
სინანულს და მოქცევას არა ჰყოფთ, შეწყალება შეუძლებელი
არის. **თვითვე** **შფალი** იესო **ქრისტე** ამტკიცებს: „**შკეთუ** არა
მოიქცეთ და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუ-
ფველსა ცათასა“. **მს** **ქეშმარტებით** გამოჩნდა, რომ თუ სიძვი-
საგან არ მოიქცევით, უკურნებელი რისხვა მოიწვევა. **ღა** რა

არის მაყენებელი მოქცევისა? მგების შტენიერის ვისიმე ტრფიალება გაყენებდეს მოქცევისაგან? ჭეშმარიტი ისმინე: ცთომილად ხედავ თორემ შტენიერი არ არის, უმეტესად უშტარი არის; თუ როგორ—გაჩტნო. ჯერ საფილასოფოსოს მაგალითით გაჩვენო. მართი ვინმე მაცთური კაცი, რომელსაც ფილოსოფოსის სიტყვით ბრძენაკი ეწოდება, ეს მაცთური კაცი სხტათა შესაცთუნებელად სიტყუას შემოიღებს; ის სიტყუა საცთურებით მარჯალს ჰგავს, თორემ მართალი არ არის, სასაცთურო არის. რომელიც ბრძენი ამისთანა სამაცთურო სიტყუას ნახავს, ეტყვის: ეგ სიტყუა ჭეშმარიტი არ არის, ამისთვის რომ ყოველს ადგილს არ ჭეშმარიტებსო; სხტა ადგილში უჩტნებს იმ სიტყუას, იქ ის სიტყუა საცთურისაგან განშაშტლდება და ცრუდ აღმოჩნდება; ამითი საცთური კაცი სირჯხვილეულ იქმნება და ბრძენი საცთურისაგან განერება. აგრევე მაცთური ეწმაკი ბრძენის შესაცთუნებელად მაცთურებით შტენიერს სახეს წარმოუდგენს. მაცთურებით, თორემ შტენიერი არ არის. ახლა ჩტნ სობრძენ ვიხმაროთ და ვსტყუათ: ეგ შტენიერი არ არის, ამისთვის რომ ყოველს ადგილს არ არის შტენიერი. უჩტნოთ საფლავში, რომ ყოვლად უშტარად წარმოჩნდება და უკუნ ვაქციოთ მაცთური და ჩტნც ვსცნათ, რომ შეცთომილნი ვართ, თორემ შტენიერი არ არის. და თუ მაცთურმან ეწმაკმან მცირის სოფლის შტსბაში კიდევ შტენიერად წარმოგვიდგინოს, აქ სიკვდილი წარმოვაყენოთ, რომ მისი მაცთურებითი შტენიერება დაიხსნას. პავლე მოციქულისა მიერი თქმული სიკუდილი წარმოვიყენოთ: „რომელი იშტსბდეს—ცოცხლივ მკუტდარ არს“. თუ იმ საფლავმა უშტარად აჩტნა ამისი ხსენებაც, ეწმაკისაგან შტენიერად წარმოდგომილს უშტარად აჩტნებს; თუ საფლავში უშტარად იხილე, აქაც სიკუდილის ხსენებისაგან, სამართალი არის, უშტარად უნდა იხილო: სიკუდილის ხსენებაში მისი შტენიერება დაიხსნება, თუ კი ზედას ზედა იხსენებ, ახლა სხტა მაგალითი მოგახსენო, რომ ცთომილად ხედავ, თორემ შტენი-

ერი არ არის: ტბაში ძელი მრუდედ ჰსჩანს, რომ ამოვიღებთ მრთელად ჰსჩანს აგრევე სადამდის გულის თქმის ტბაში არის კაცი, მადამდის მეძავის სახე უჭსნიერად ჰსჩანს, და იქედამ რომ აღმოვა, მაშინ კი უშტსრად იხილავს. საყვარელო! მყრალი და დამბალი უშტსრი არის,—ეს ცხადი არის. მაშ, შენ რომ უჭსნიერად ხედავ სიძვაში, მაგას ლავით წინასწარმეტყველი უშტსრად აღმოაჩენს და იტყვის: „შეჭყროლდეს და დალპეს წყლულეზანი ჩემნი პირისაგან უგუნურებისა ჩემისა.“ აიღევ უნდა მოგახსენო: ეშმაკს რათ ერწმუნები? მისთან ჰყო სიმართლე? ადამ და მვა შეატუნა. შენ რად ერწმუნები? როგორ ვერ ჰსცნობ, რომ სიძვა ეშმაკისაგან სასაცთუროდ შენზედ შემოღებული არის, რომ თავისა თვისისა მსგავსად ლვთისაგან განგაშოროს—ის ჰნებავს. სიძვაში მყოფი ლვთის აღარ არის, ეშმაკის არის, ვითარცა ბრძანებს უფალი იესო ძრისტე: „თქტსნ მამისა ეშმაკისანი ხართ“. მსეც განსაკვირვებელად მიჩნს: სიძვა რომ ყოვლითურთ უცხო არის წენგან, ყოვლითურთ უცხო და შორს მყოფი რად შეითვისე? ასე შორს არის წენგან: შენი არსება რომ განვიხილოთ შენს არსებაში სიძვისა თვისება არ იპოვება. მიწისაგან ხორცი გაქტს: შთახედე და გამოიძიე, თუ მიწაში სიძვა იპოვება. ხორციან სიტყვიერი სული გაქტს და სიტყვიერი სული ანგელოზის ზიარი არის. სიტყვიერებით და უკვდავებით ანგელოზთ ზიარებაში სად უნდა იპოვბოდეს საზღუარი, გინა ნაწილი სიძვისა?—ყოვლად არა სადა. აწ შენს საზღუარს მივხედოთ, თუ როგორ შორს არის შენი არსება სიძვისაგან. შოველი საზღერის ლექსები არის: „კაცი არის და სიძვა ცოდტა არის და ცოდტა უარსებო“, ვითარცა იტყვის დამასკელი იოანე: „ცოდტაჲ არს ბუნებისა გარეშისა ზედადგომაჲ“. მიხედე: შენ არსება ხარ და სიძვა უარსო; საჯე, თუ რა შორს ხართ ერთმანერთისაგან. შენს საზღუარში არის: „კაცი არს ცხოველი და სიძვა მკტლელი არის“, ვითარცა ჰავლე იტყვის: „ცოდტა სოფლად შემოხდა და ცოდვისა ძლით სიკტდილი.“ რა თვისება და ზია-

რება იპოვება ცხოველობისა და სიკეთილისა?—არა რაჲ; ამისთვის რომ ერთმანერთისა წინააღმდეგომნი არიან. შენს საზღვარში არის „სიტყვიერი“, და სიძვა პირუტყყბა არის; ვითარცა კმობს ლავით წინასწარმეტყველი: „ბაძვიდა იგი პირუტყყთა უგუნურთა და ზიემსგავსა მათ“. სცან, რამდენად განშორებული არის სიტყვიერება და პირუტყყება! შენს საზღვარში არის „მოკდავი“. აქ სხტას არას ვიტყვი: მოკყდავებას შეუდგება წინაშე ძრისტესსა განკითხტა;—და წინაშე ძრისტესსა განკითხვა და მეძაობა ყოვლითურთ უმსგავსონი არიან ურთიერთარს. შინც სიტყვიერებისაგან არ განვალს, წინაშე ძრისტესსა წარდგომის მგულღებელი, სიძვას ყოვლითურთ უჩინო ჰყოფს. შიხედე, საყვარელო, თუ როგორ უცხო არის შენგან სიძვა! არა თუ ერთის გზით—ყოვლით კერძო უცხო შეიქმნა!—აწ მოვიდეთ და ეს ვსთქვათ, თუ ქალწულება როგორ სათვისო არის ჩტჰნის ბუნებისა. მამა ჩტჰნი, ადამ, ქალწულის მიწისაგან აღევო. ღედა ჩტჰნი, მვა, ქალწულისაგან ადამის გვერდისა შეიქმნა. ასე პირველითგან სათვისო არის ჩტჰნის ბუნებისა ქალწულება. შუალი ლმერთიც ამას გტასწავებს: „წმიდა იყჰნით, რამეთუ მე წმიდა ვარ.“ ჩინებულნიც ქალწულებისათვის ვართ, ვითარცა იტყვის პავლე: „არა გვიჩინა ჩტჰნ ლმერთმან არა-წმიდებად, არამედ სიწმიდედ.“ აწ ესე ვსთქვათ, თუ კაცის საზღვარს როგორ შტჰნის ქალწულება. ძაცის საზღვარი არის: „ძაცი არს ცხოველი სიტყვიერი და მოკდავი“. არსებასა და ცხოველობასა ჰშტჰნის, რომ უხრწნელებით შეამკობს, ვითარცა იტყვის ბრძენი სოლომონ „ქებასა შინა ქებათასა“: „ყოვლითურთ შტჰნისიერ ხარ, მახლობელო ჩემო!“ სიტყვიერებას შტჰნის, რომ ანგელოზთა მიამსგავსებს, ვითარცა იტყვის შუალი: „იყენენ ვითარცა ანგელოზნი ლეთისანი ცათა შინა“; მოკყდავებას შტჰნის ქალწულება, რომ შულისა ლეთისა ძლტჰნად ჰყოფს, ვითარცა იტყვის ლავით წინასწარმეტყველი: „მერთტჰნენ მეუფესა ქალწულნი“. ხედავ, თუ როგორი საკუთარი არის შენი ქალწულება? მს საკუთარი განგიგდია და შეუთვისებელი საძაგელი

სიძვა შეგიტკბია. ამისთანა პირუტყუტბა სიტყვიერს კაცს არ შეემსგავსება. ზანსაცვიფრებელი არის ჭეშმარიტად! თუ ვინმე მოეგება გონებას და იკითხავს: „რა ვყო, თავისუფლება აღარა მაქვს, ისე შეპყრობილი ვარ სიძვისაგან, მე გეტყვი, თუ რა ჰყო: წმიდის აღსარებისაგან მოაკუთდინე სიძტა და შენ თავისუფლება და ნეტარება მიიღე, ვითარცა იტყვის ლვთივ-ხმოვანი ლავით: „ნეტარ არს, რომელმან შეიპყრნეს ჩჩვილნი და შეახეთქნეს კლდესა!“ თუ სხვა ძალი არა გაქვს-რა ისევე გულისთქმით სიძვის გულის-თქმა მოაკუთდინე;—თუ როგორ—მაგალითი მოგახსენო: უფლისა ლვთისა მინდობით ლავითმან ისევე გოლიათის მახვილი აღიღო და რომლითაც მახვილით ლავითის სიკუთდილი უნდოდა, თვითვე ლავითმან იმ მახვილით მოაკუთდინა. მგრეთვე შენ უფლისა ლვთისა მინდობით ისევე სიძვის მახვილი აღიღე და რომლითაც მახვილით (ესე იგი გულის-თქმით) შენი სიკუთდილი ჰნებავს, აღიღე ის გულის-თქმა და სულიერის სიბრძნისა (ესე იგი სინანულისა) მიმართ შესცვალე და სიძტა მოაკუთდინე, ვითარცა იტყვის ბრძენი სოლომონი: „გულის-თქმა თქუტნი იყავნ, ჳი კაცო, სიბრძნისა მიმართ და გსუროდენ მისა მიმართ“. თუ ამას იტყვი, უძღური ვარო, ამისი მაგალითი სხტა ვსთქუათ: ისრაელნი ეგვიპტეს უძღურნი იყუტნენ, ამისთვის რომ მონებას ქუტსუე იყვნენ. მოსეც აქ იყო. მრთს დღეს ნახა მოსემ, რომ ეგვიპტელი ისრაელს კუთლიდა; დაივიწყა მოსემ ყოველი უძღურება, ეგვიპტელი მოჰკლა და ქვიშაში დაჰფლა და ისრაელი განარინა. აგრევე შენ ეგვიპტეს ყოფაში (ესე იგი ცოდვისა ყოფაში) უძღური ხარ, ამისთვის რომ ცოდვის მონებაში ხარ; ხედავ რომ შენს სულს სიძტა ჰკლავს, მოსეს მსგავსად უძღურებ; დაივიწყე სიძვა, მოჰკალ და დაწვლილებუღს აღსარებაში დაჰფალ და ისრაელის მსგავსად შენი სული განარინე. ლა თუ ჭეშმარიტებით გნებავს, რომ სიძვის შეპყრობისაგან განთავისუფლდე, იოსებს მიემსგავსე: ვითარ იოსებ საძაგელმან დედაკაცმან სამეძაოდ შეიპყრა, რომლითაც სამოსლით შეიპყრა, იოსებმან ის განაგლო და განერა. აგრევე შენ

მიხედვ და რომლითაც საქმით სიძვა გიქერდეს, ის განაგდე და განერები. აწ ახლის მაგალითი ვსთქვათ: შფლის ჯვარცმაში ერთს შფლის მოწაფეს შეპყრობა მოუნდომეს და სამოსლით იპყრეს; დაუტევა ის სამოსელი და შიშველი წარვიდა, ვითარცა მოგვითხრობს მახარებელი მარკოზ: „დაუტევა არდაგი და ივლტოდა შიშულივ“. მგრეთჲს თუ ჭრისტეს მოწაფე ხარ, რომლითაც საქმით სიძვა გიქირდეს, ის დაუტევე და მისგან შიშულივ ლტოლვა ჰყავ. ნურასფერს რიდებ: ჭრისტე ასე გიბრძანებს: „შკეთუ მარჯუტუნე თვალი შენი გაცთუნებდეს, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან“. თუ იტყვი: უძღური ვარ და ესეები არ ძალმიძსო, ჯერ ლავით წინასწარმეტყველის სიტყუას გეტყვი: „ინებე და აღგადგინოს შენ“; მერმე ამას გეტყვი: არ ძალ-მიძსო რომ ამბობ, ეს თქმა ამას ჰგავს: მყრალის უყის ხედვა კი ძალ-მიძს და კეთილის ადგილის არა! სწორებით მიხედე, თუ შენი თქმა ეს არ არის: სიძვის ხედვა კი შემოძლია და ქალწულების არაო! მე გეტყვი: რომლითაც სიძვას ხედავ და იქცევი, ის ხედავ კეთილისა მიმართ მოაქციე და კმა არს საცხოვრებელად სულისა შენისა. მეტყვი: ჩემი ყოველივე ცოდვისაგან მწვირიანი არის და რა ვჰყოო? მე წინასწარმეტყველისა სიტყუას გეტყვი: „მანრცხას მწიკული იგი ძეთა და ასულთა სიონისათა“; ცოდვისაგან შებლალულს ის განჰბანს. თუ როგორ განჰბანს შფალი ცოდვისაგან შებლალულს, ამისი სახეები ვსთქვათ. მანასემ თავისი გული ცოდვისაგან შებლალული მიართვა ლმერთს; ლმერთმან კიდევ განსწმიდა და კიდევ შეიწირა. უძღებმან შვილმან სახიერს მამას ცოდვისაგან შებლალული თავისი თავი მიართვა; სახიერმან მამამან ლმერთმან კიდევ განსწმიდა, კიდევ ძელ შეიწყნარა. მეთავმან დედაკაცმან მეთაობისაგან შეგინებული თავისი თავი ჭრისტეს მიართვა. ჭრისტემან კიდევ მიართვა, კიდევ შეიწყნარა. აგრევე, რასაც შენ ცოდვისაგან შებლალულს ჭრისტეს მიართმევ, კიდევ განსწმედს და კიდევ მისის მითვალვით შენ ცხოვრებას მოგცემს; თუ ვითარ—სიმტკიცით ვაჩუქნოთ: როგორ ზემო ვსთქუ, იმასვე ვიტყვი: რაც სიძ-

ვაში საქმეები გაქტეს, ის მიაართვი ლმერთს: გაქტეს სიყვარული—
მიაართვი ლმერთს ეგ სიყვარული და შენის ცოდვის სიმრავლე
დაიფარვის, ვითარცა გვამცნევს მოციქული: „სიყვარულმან დაჭ-
ფარის სიმრავლე ცოდუთა“; გაქტეს სიძევიაში გულის-თქმა—ესე
სასუფეველისათვის ლმერთს მიეც და იძიე; უეჭველად კიდეც ჰპო-
ებ. უფალი იესო ძრისტე გიმტკიცებს: „ეძიებდით და ჰპოოთ“.
სხტა რალა ვსტქტა? სიძვაში რომ იღუმალი ზრახტა გაქტეს, ის
საიდუმლოდ ცოდვისათვის ძრისტეს მიაართვი და საუკუნოს
მამისაგან ცხადად სასყიდელს მიიღებ, ვითარ იგი ბრძანებს
უფალი იესო ძრისტე: „შევედ საუნჯესა შენსა და დახშე კარი
შენი და ილოცე მამისა შენისა ფარულად და მამა შენი, რო-
მელი ხედავს დაფარულთა, მოგაგებს შენ ცხადად.“ თუ მეტის
სიძვის შეპყრობისაგან ვერც ეს ჰყო, პეტრე მოციქულს მიემს-
გავსე: პეტრე შეპყრობილი იყო და ეძინა, ანგელოზმან პეტრეს
გვერდზედ ჰსცა, უთხრა: „აღდეგ, პეტრე!“ აღსდგა პეტრე, ჯაჭვი
განიხსნა და ანგელოზს შეუდგა და ანგელოზმან საპყრობილი-
საგან განიყვანა და იხსნა. აგრევე შენ რომ შეპყრობილი ხარ
სიძვისაგან და გული-თქმის ჯაჭვით შეკრული, იქით-აქეთ
მტუტლნი ეშმაკნი გადგს და გძინავს სოფლის სიტკობებაში,
მაშინ დიდისა ზრახვისა ანგელოზნი—ძრისტე—გვერდსა გცემს
ამ სიტყვით და გეტყვის: „აღსდეგ, რომელსა ევე გძინავს!“ მიემს-
გავსე პეტრეს: აღსდეგ სიძვისაგან, რომ გულის-თქმის ჯაჭვი დაი-
ხსნას, შეუდეგ ძრისტეს და სიძვის პყრობილებისაგან გაგიყვანს
და გიხსნის. ისრაელნი ლეთისა მიერ მოვლინილს მოსეს შეუდ-
გენ; მოსემ მგვიპტისაგან იხსნა და განათავისუფლა. მგრეთუც
თქტუნ, ახალნი ისრაელნი, ლეთისა მამისაგან მოვლინებულს
ძრისტეს შეუდექით, სიძვისაგან გიხსნით და განათავისუფ-
ლებსთ. მეწამულის ზღვის მსგავსად თქტუნს ცოდუას ჯტარით
განაპობს და შეცოდების ზღუას დაუნთქმელად განგარინებსთ;
უკდავ-მყოფელს მანანას (ესე იგი უბრწუნელს თავისს ხორცს
და სისხლს) მოგცემსთ. თუ არც ერთს ინებებთ და არც მოიქ-
ცევით, ამის დასასრულს პავლე გეტყვისთ: „არცა მეძავთა სა-

სუფეველი ლეთისა ვერ დაიმკვიდრონ.“ ღა თუ ვინმე სიძვის ბრძოლისაგან ძნელს მწუხარებაში ხარ და ამის ნუგეშს ეძიებთ, ამისი მაგალითი ძველის წერილიდამ მოგახსენო. ნაბუქოდონოსორ მეფემ კერპი აღმართა, განჩინება დასდუა: ვინც იმ კერპს არ თაყვანისცემდა, ცეცხლში უნდა შეგდებულყო. სამნი ყრმანი იყვნენ: ანანია, აზარია და მისაილ,—ამ სამთა არ თაყვანისცეს კერპსა. ამისთვის აღაგზნეს ცეცხლი ფრიადი და სამნიც ცეცხლში შესთხინეს. მათი ნუგეში სხუა აღარ იყო, ლეთისა მიმართ იწყეს ვედრება, ამ გუარის სიტყვით: „ჩუბნ ამ ჟამში არცა გვაქუს საკმეველი, არცა მსხვერპლი შესაწირავად, მარტო ამას შევსწირავთ—სულსა შემუსრვილსა და გულსა დამდაბლებულსა!“ მოხედა ლმერთმან და შეიწირა დიდად შესაწირავად მათი შემუსრვილი სული და დამდაბლებული გული; გარდამოხდა თვთ ძე ლეთისა, როგორც ნაბუქოდონოსორ სწამებს: „ხილვა მეოთხისა, მსგავსი ძისა ლეთისა.“ ამან,--ძემან ლეთისამან,—ცეცხლი ცვარად შესცვალა და ყრმანი უვნებელად დაიტუნა, ვითარცა იტყვის ღანიელ: „და არა შეეხო მათ ყოვლითურთ ცეცხლი“. მგრეთუბ შენ სიძვის ეშმაკმან თუ ვისიმე სახე წარგიმართოს და შენ იმ სახეს არ თაყვანისცე (ესე იგი სიძვად არ მიჰყუტ) და ამისის მიზეზით ეშმაკმან ძნელს გულის-თქმის ცეცხლში შეგაგდოს, სამთა ყრმათაებრ იმ ჟამში არც საკმეველი, არც მსხვერპლი შესაწირავად არ გეპოვება, მხოლოდ სული შემუსრვილი და გული მდაბალი შესწირე ლმერთს და საკუთრად მას მიართვი, რომ შეიწიროს და თვით ძე ლეთისა გარდამოხდეს, ცეცხლი გულის-თქმათა განგიქარვოს, უვნოდ დაგიცვას და თვისსა მას სასუფეველსა ღაგამკვიდრნეს თქუბნ ყოველნი, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.





თავი 4. მარხვისათვის.

ბრძანებას უფალი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: „წმიდა ჰყავთ მარხვა, ჰქადაგეთ მსახურება.“¹ ცხადად სჩანს, რომ უფლისაგან არის მარხუა მოცემული; თუ მარხუა მოცემული არ იყოს, „წმიდა ჰყავთ მარხვა“ ამას არ იტყოდა, მაგრამ მარხვა უფლისაგან არის მოცემული. როგორც ხორცისათვის საზრდელი მოცემული არის, აგრევე სულისთვის მარხუა საზრდელად არის მოცემული. მთხი კავშირი: ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი ხორცს შეამტკიცებს, და მათდა შესაწვენელად საზრდელი მოსცა ლმერთმან. მთხი სათნოების კავშირი სულს შეამტკიცებს, ესე იგი სიბრძნე, სიმბნე, სიწმიდე, და სიმართლე. ამათდა შესაწვენელად, მარხუა მოსცა ლმერთმან. როგორც უსაზრდლოდ ხორცი მოკუდება, აგრევე თეინიერ მარხვისა სული მოკუდება, ესე იგი, წარსწყმდება, ვითარცა ნაყროვნებით მსავე მოკუდა და წარსწყმდა. მაშ ლმერთს ორივე მოუცემია: საზრდელი—ხორცისათვის, მარხუა—სულისათვის; ორივესი სახე აღამის მცნებაში ჰსჩანს. უბრძანა ლმერთმან აღამს: „ყოელისაგან ხისა სამოთხისა ჰსჰამო.“² აჰა სახე ხორციელისა საზრდელისა. ჰიდევ უბრძანა: „ხისაგან ცნობა-

დისა კეთილისა და ბოროტისა არა ჰსჯამო.“ აჰა სახე სულიერისა საზრდელისა, რომელ არს მარხუა. აღმოჩნდა, რომ ხორცის საზრდელთაგან მარხუაც მოცემული არის ლეთისაგან; მაგრამ ასე საჭიროდ არის მოცემული, თვინიერ მარხვისა სულის ცხოვნება არ იქმნება. თვინიერ მარხვისა სულის ცხოვნება როგორ არ იქმნება, გამოვაცხადოთ. მისგანაც ეშმაკი და მისი საცთური არ განვალს, ეს უეჭველი არის, მისი ცხოვნება არ იქმნება. მას ეშმაკი და მისი საცთური თვინიერ მარხვისა კაცისაგან არ განვალს, ვითარცა ეშმაკეულთათვის უფალი იესო ბრძანებს: „არა რათ განვალს ნათესავი ესე, გარნა მარხვითა და ლოცვითა.“ ამისთვის დიდის სიმტკიცით მოგუცა მარხუა; თუ როგორ—კიდევ ვაჩუქნოთ: პირველად თავისის წინამორბედის დიდის იოანესგან გვამცნო მარხუა, რომ ის არას მიიღებდა, ვითარცა ამტკიცებს უფალი და იტყვის: „მოვიდა იოანე ნათლის-მცემელი, არცა სჯამდა, არცა სმიდა.“ მეორედ თვთ ჭრისტემან თავის-თავად გვამცნო მარხუა, ვითარცა მათე გვასწავებს: „იმარხა მაცხოვარმან ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე“—ჩუქნდა სასწავებელად ჰყო, თორემ მას მარხუა არ ეჭირვებოდა. პეტრე მოციქული ცხადად გვამცნებს: „ცოდვა არა ჰქმნა, არცა იპოვა ზაკვა პირსა მისსა.“ და უცოდველს მარხუა რად ეჭირვებოდა, მაგრამ ჩუქნის სწავებისათვის იმარხა. ჭადაგების დასაბამში რომ არის, „წმიდა ჰყავთ მარხუა,“ აწ ესე ვსთქვათ, მარხუა როგორ ბიწიანი იქმნება?—მისი მარხვა ბიწიანი იქმნება, ვინც დაყენებულს ჰამადს შეეხება, როგორც ადამ შეეხო დაყენებულს ჰამადს და უფლისაგან რისხუტულ იქმნა. მგრეთვე რომელიც მამათაგან დადებულს მარხუას გახსნის და შეეხება, უფლისაგან რისხეულ იქმნება. რომელიც ადამს უგვანად ჰამისათვის განურისხდა, იგივე უფალი არის, წინასწარმეტყველის პირით გვიბრძანებს: „მე ვარ და არა ვიცვალეები.“ კიდევ ბიწიანი იქმნება მარხუა: ვითარცა ებრაელნი დასხდეს ჰამად და სმად და აღსდგეს სიმღერად და ბიწიანნი შეიქმნენ, და უფალიც განურისხ-

დათ, რომ იმ ჟამად მოსეს მიერ ჰსჯულის ფიცარი შეიმუსრა, ეგრეთჲც დღესაც რომელნიც ნაყოვნებაში არიან, მათთვის სჯული დახსნილი არის, სჯულიერად ისინი არ შეირაცხებიან; თუ ისრაელთ ჟამში ნაყოვნებისათვის ჰსჯულის ფიცარი შეიმუსრა, უწყოდენ, ნაყოვანო, შენის ნაყოვნებისათვის შენგან ჰსჯული დახსნილი არის. პილვე ბიწიან იქმნება მარხვა, მმარხველმან რომ მკამელი განიკითხოს, ვითარცა ფარისეველი იმარხვიდა. **თ**ვითვე იტყვის: „ვიმარხავ ორგზის შაბათსა შინა“; მაგრამ მეზვერეს რომ აყვედრა, და უთხრა: „არა ვარ მტაცებელი და მემრუშე, ვითარცა ესე მეზვერე“—ამისთვის მისი მარხვა ბიწიან იქმნა, და წარწყმდა. **ფ**არისეველს არავინ დაემსგავსო, მმარხველმან მკამელი არ განიკითხო, თორემ ფარისეველებრ დაისჯები. **ღ**იდს მოძღუარს პავლეს უსმინე: „არამკამელი იგი მკამელსა მას ნუ განიკითხავ“.—პილვე ბიწიან იქმნება მარხვა ამპარტავანებისაგან, ვითარცა მარხვა ფარისეველისა ფარისეველის ამპარტავანებისათვის,—მეზვერე რომ ამალღდა და აყუტდრა,—ბიწიან იქმნა და დაისაჯა, მეზუტარე განმართლდა, ვითარცა ბრძანებს უფალი **ი**ესო: „გეტყვი თქვენ გარდამოვიდა განმართლებული მიერ სახიდ თვისად“. **მ**მარხველნო, არამც ფარისეველის სიმალღე არ მიიღოთ და სანატრელი შრომა არ წარწყმიდოთ. **ქ**რისტე გიბრძანებსთ: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამალღდეს; და რომელმან აღიმდაბლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს.“ **თ**ვალით სახილველი სახეები გაქუს ამპარტავანებისა და სიმდაბლისა და ამითი განისწავლე; ამპარტავანი ფარისეველი დაისაჯა, ხოლო მდაბალი მეზუტარე ცხოვნდა და მოციქული გასწავებსთ: „გამოიძიეთ და უკეთესი იგი შეიკრძალებთ.“ **აწ** თქტუნ გამოიძიეთ და უმჯობესი მეზვერის სიმდაბლე შეიკრძალებთ; თუ ამას არა ჰყოფთ, თქტუნი მარხვა ღმერთს არა სთნავს; ცხადად გიბრძანებსთ წინასწარმეტყველის პირით: „მარხუა და უქმობა და დღესასწაულნი თქტუნნი ჰსძულან სულსა ჩემსა.“ **ღ**ა თუ ვინმე ამას იძიებ, რომ რათ დასდვა ღმერთმან მარხვა, აქ ერ-

თი მაგალითი უნდა მოვიღოთ: მკურნალნი სნეულს დახედვენ, ჰსცნობენ, რომ საქმელთაგან სენი შესულა მათში, ამისთვის რომლისამე საქმლის მარხვას მისცემენ. მგრეთვე ლმერთმან იხილა კაცთა ბუნება, რომ პირველის მამის ადამის უგვანად ჭამისაგან კაცისა შორის ცოდვის სნეულება არის. ამ მიზეზისათვის სამკურნალოდ მარხვა მოგუტყა. ჭამამან სნეულ ჰყო ბუნება ჩუნი, სამართალი არის—მარხუამ უნდა განამრთელოს. მარხვა როგორ განამრთელებს ცოდვისაგან დასნეულებულს, ამისი მაგალითი ძველის წერილიდამ მოვიღოთ: ნინევის ქალაქი ცოდვისაგან ასე სნეული შეიქმნა, უნდა დაქცეულიყო; მაგრამ მარხვამ ასე განამრთელა, ერთი არა—რამ ვნებია—რა. ნინევის მსგავსად ერთს ვისმე ცოდვისაგან სულიერებრივი დაქცევა რომ ეგულვებოდეს, მარხვა უვნებელად დაიცავს. თუ ნინევს არ ემარხა, დაიქცეოდა; უეჭველად თუ შენც არ იმარხავ, სულიერებრივად დაიქცევი. ამისთვის განაწესა ლმერთმან მარხუა. სხუა მიზეზი ვსთქუათ მარხვის განწესებისა: ნაყროვნება სიძვას წარმოშობს, როგორც ლოთს შეემთხვა ნაყროვნებისაგან სიძვა. **ღა** იოანე სინელი იტყვის: „ნაყროვნება დედა არს სიძვისა“. რადგან ნაყროვნება სიძვის დედა არის, ლმერთს ეს ჰნებავს—მარხვით მოვაკუდინოთ სიძვის დედა, ნაყროვნება, რომ მისგან ნაშობი სიძვა ჩუნითან არ აღიზარდოს. **თუ** დედა სიძვისა, ნაყროვნება, შენთან არის, უეჭველად მისგან ნაშობი სიძვაც შენთან იქნება. მოვილოთ კიდევ მიზეზი მარხვისა, თუ რისთვის მოგვეცა. ჭამა ცთომას მერმე შემოვიდა, თორემ ცთომამდის ანგელოზის მსგავსად ღვთის ხედვით იზრდებოდა კაცი, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი **ღა** ვით: „**ღა** პური ანგელოზთა სჰამა კაცმან.“ **ღა** ჰამა რომ ცთომას მერმე შემოვიდა, ეს პირუტყვის მსგავსება არის, ვითარცა ხმობს **ღა** ვით: „ბაძვიდა იგი პირუტყუთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ.“ **ღა** ლმერთს ჩუნი პირუტყვის მსგავსება არ ჰნებავს,—ანგელოზთ მსგავსება ნებავს. მიხედვ მარხვის ძალს: სადამდის მარხვაში მდგმოვებ, მადამდის ანგელოზთ

მსგავსი ხარ: არც ისინი მიიღებენ საზრდელს და არც შენ; ისინიც ჰრისტეს მსახურებენ და შენც. მეგების მკითხო, რომ არ ვიმარხო წარვსწყმდებიო? მაგიერ გკითხავ: საზრდელი რომ არ მიიღო, ხორციით მოკუტდები თუ არა?—მეტყვი, მოვკუტდებიო. აგრევე მე გეტყვი: სულის საზრდელი მარხუა არის; თუ არ იმარხავ—სულით წარსწყმდები. ლა თუ მეტყვი: სნეული ვარ და მარხვა არ ძალ-მიძსო,—სნეულს პავლე საზრდლის მიღებას უბრძანებს. ამითი ჰსჩანს, რომ ტიმოთეს მიუწერს: „ზედას ზედა უძღურებისათვის ფრიადსა წყალსა ნუ სვამ და სტომაქისათვის მცირედი ღვინო იხმიე.“ მაგრამ მაგიერი სხუა მარხუა უნდა ჰყოს სნეულმან; მარხუა მარტო საზრდლის არ არის, სხუაც იქმნება მარხუა, ვითარცა თეოდორე სტოდიელი იტყვის: „მარხუა არა ჰამადთაგან ხოლო შემოისაზღურების.“ მაშ სნეულმან საზრდლის მიღების მაგიერი სხუა უნდა იმარხო. შემოკლებით ვაჩუწნოთ, თუ სხვა მარხუა როგორ იქმნება. საყვარელო, ერთ იმარხე, ვითარცა ლავით წინასწარმეტყველი გიბრძანებს: „ლაცხურე ენა შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკუასა.“ ამას დიდათ მიითვალავს ლმერთი, როგორც მოციქული პავლე გიმტკიცებს: „რომელი სიტყვით არა სცთებოდის, იგი სრული კაცი არს.“ მაგრამ ეს მარხუა ბიწიანი არა ჰყო. ჭადაგების დასაბამისაგან გესმის: „წმიდა ჰყავთ მარხუა;“ რომლით იქმნება ბიწიანი? თუ გულში ზაკვა გაქუს და მხოლოდ გარეშე პირით ზრახავ კეთილს, ლვთის სათნო არ არის; ლმერთს ზაკუა არ ჰნებავს; თვითვე ისაიას პირით გიბრძანებს: „არა ესე ვითარი მარხვა გამოვირჩიე.“ მაშ როგორი მარხვა ჰნებავს? მისვე ისაიას პირით გამცნებს: „განხსენ ყოველი საკრველი სიკრუისა“—და შენ სიკრუით და მზაკვარებით იტყევი; ეგ ლმერთს არ ჰნებავს, არც მიითვალავს. ნაცულოდ მარხვისა კიდევ ჰყავ ქალწულება, რომელიც ანგელოზთ მსგავსება არის; მაგრამ ეკრძალე, ბიწიანი არა ჰყო.— ვითარ? როგორც საქმით ეკრძალვოდე სიძვასა და მრუშებას, აგრევე ხედუაც უნდა შეიკრძალო, თორემ ბრალეული შეი-

ქმნები; ვითარცა გიმტკიცებს მაცხოვარი ლეონი: „რომელმან მიხედა დედაკაცსა მრუშებად, მანვე იმრუშა გულსა შინათვისსა“. **თუ** ვინმე ამას იტყვნებს, რომ არც მარხვასა ვჰყოფ, და არც მის ნაცვალს სათნოებას და თვინიერ სინანულისა ცხოვნებას ჰგონებს, სრულიადი გონებისაგან განსჯულა და უცნობელობა არის. **ზანიხილე**, რა უცნობელობა არის: **ნათლის-მცემელს** სიფიცხე და სიძნელე სინანულისა ცუდად უტვირთავს, თუ თვინიერ სინანულისა კაცო ცხოვნდება; და **ჰეროდემ**, მისმან მკვლელმან, რომ არ შეინანა, უჯეროდ არ ირაცხება შენის უგუნურების მსგავსად. **მაგრამ** შენს უგუნურებას **ჰრისტე** დახსნის და გიბრძანებს: „**შეთუ** არა შეინანოთ, **ეგრეთჲც** სახედ ყოველნი წარსწყმდით“. **და** თუ ამას ჰგონებ ვინმე, რომ სიმდიდრით ცხოვნდები, ამასაც მიხედ, თუ რა უცნობელობა არის: თუ სიმდიდრე კაცს აცხოვნებს, მდიდარი, რომელიც დღითი-დღე იხარებდა და ბრწყინვალედ იშტებდა, შენის უგუნურების მსგავსად, ის უნდა სცხოვნდეს; თუ ის ცხოვნდა სიმდიდრით, **ლაზარე** გლახაკი უნდა წარსწყმდეს.

ივლტოდე ამ გვარის ცთომილის გულის სიტყვისაგან. **ჰრისტე** გიბრძანებს და გამცნებს მდიდრის ჯოჯოხეთში მყოფობას ამ სიტყვით: „**აღიხილნა** თვალნი თვისნი, იყო სატანჯველსა შინა“; და **ლაზარესთვის** გლახაკისა იტყვის: „**და** მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა **აბრაჰამისთა**“. **და** თუ ამას იტყვი ვინმე, ყრმა ვარო და სინანულს აღროებ, ესეც უგუნურება არის, ამისთვის, რომ **ნინევში** მრავალნი ყრმანი იყვნენ, მაგრამ ცოდვისათვის დიდითგან ვიდრე მცირედმდე მარხვა შეიტკბეს და ამითი ხსნილ იქმნენ დაქცევისაგან, თორემ სიყრმით არ ხსნილა ის ქალაქი. **აგრევე** შენ, სიყრმე ცოდვის დაქცევისაგან ვერ გიხსნის, თუ მარხვასა და სინანულსა არ მიიღებ; ამაოდ ნუ ჰსცთები. **და** თუ ამას ვინმე იგონებს— დიდებული ვარო და ამისთვის არა ყოფს მარხვასა და სინანულს, ესეც დიდი უგუნურება არის: **ლავითის** უმჯობესი მე-

ფე ვინ იქმნება, ან იმისი მსგავსი? **თ**ვთ **ლ**მერთი ასე სწამებს მისთვის: „ვპოვე **ღ**ავით ძე **ი**ესესი, კაცი ერთგული გულითადი ჩემი, რომელმან ჰყოს ყოველივე ნება ჩემი“. ამისთანა მეფე იყო, მაგრამ მეფობას არ განუქარვებია მისი შეცოდება, — სინანულმან და მარხვამ განაქარვა. **თ**ვით **ღ**ავით იტყვის, თუ როგორი მარხვა ჰყო: „ვითარცა მკალთა მუკლნი ჩემნი მოუძღურდეს მარხვისაგან“. **თ**უ **ღ**ავით უსინანულოთ ვერ განერა ცოდვისაგან, . ცული გულის სიტყუა ნუ გაცთუნებს: თვინიერ სინანულისა ვერც უნ განერები ცოდვის სასჯელისაგან. **ა**რამც ეს არავის გაბრკოლებდეს: აღსარება მაქტეს და აღსარება განმბანელი არის, ის განმბანს და სხუა სინანული რათ მინდა. **ს**აყვარელო! მარტო აღსარება არ გეკმაება. **პ**ირველად მაგალითით გიჩვენო, რომ მარტო აღსარება არ გეკმაება: მკურნალს რომ წყლული უჩუტნო, თუ წამალსაც არ დასდებ, არ განიკურნება; აგრევე, მოძღუარს ცოდვის წყლულებას რომ უჩუტნებ, თუ სინანულის წამალს არ დასდებ, არ განიკურნება. **ღ**ავით წინასწარმეტყველი აღსარებასაც გაწვევს და სინანულსაც. **ა**ღსარებას გაწვევს ამ თქმით: „მოიქეც ბოროტისაგან“; სინანულს გაწვევს ამ სიტყვის ზედ დართვი: „და ჰქმენ კეთილი“. **ძ**ვალად **ღ**ავითმან აღსარების სახეც ჰყო და სინანულიც დაჰრთო: აღსარების სახე ჰყო, რომ თავისი ცოდუა ნათან წინასწარმეტყველის წინაშე არ დაუფარავს; სინანული ჰყო, ვითარცა თვთ იტყვის: „ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტვე“. **ძ**იდევ სხუა მოგართვა, რომ აღსარება და სინანული ორივე უნდა ჰყო: **პ**ეტრე მოციქულმან აღსარების სახეც ჰყო და სინანულისაც: აღსარების სახე ჰყო, როდესაც უარყო **შ**ფალი — „გამოვიდა გარე“. **პ**ა. აღსარების სახე: აღსარებაც ცოდვის ადგილისაგან გამოსლუა არის, და **პ**ეტრეც შეცოდების ადგილიდამ „გამოვიდა და სტიროდა მწარედ“. **პ**ა სახე სინანულისა! **ძ**ვალად უძღებმან შვილმან აღსარების სახე ჰყო, როდესაც მამისა მომართ მოიქცა: აღსარებაც **ღ**ვთისა მამისა მომართ მოიქცევა არის, და უძღები შვი-

ლიც მამისა მომართ მოიქცა; ჰრქუა მამასა სახიერსა: „ესცოდე მამო ცად მიმართ და წინაშე შენსა“. აჰა სახე სინანულისა! ჰეშმარიტმან სახეებმან დაგარწმუნოს: ორივე ფრთა თუ არა გაქუს: აღსარებისა და სინანულისა, სასუფეველად ვერ აღფრინდები. ტრედს თუ ორივე ფრთა არა აქუს, მკჷლელისაგან ვერ განერება. მგრეთვე, შენ აღსარება და სინანული, ორივე თუ არა გაქუს, მკჷლელის ეშმაკისაგან ვერ განერები. ამისთვისცა ლავით წინასწარმეტყველი ორთავე ფრთეთა ტრფიანობით ითხოვს: „ნეტარ თუქცა მცნა მე ფრთენი, ვითარცა ტრედისანი და აღფრინდე და განვისტუნო“. ზემო სიტყუაში ითქუა: მმარხველჰან რომ მჰამელს აყუტდროს, მმარხუტლი თავის მარხუას ბიწიან ჰყოფს. არამ ეს სულიერებრივი სენი არავის შეხუდეს. ამისთვის მკირედი რამე ვჰსთქუათ: საყვარელო, მარხუა ანგელოზის მსგავსება არის, და თუ მისთვის იმარხავ, რომ ანგელოზს ემსგავსო, ანგელოზი მჰამელს არ აყუტდრებს. მლია ხორცსაც სჰამდა და ჰურსაც, მაგრამ ანგელოზი არათუ აყუტდრებდა, თვითვე ანგელოზი მოუტანდა ამაებს. ანგელოზი არ აყუტდრებს და შენ აყუტდრებ, ეგ მარხუა ანგელოზის თვისება არ არის; ესე ეგონებ, უფრო ფარისეველის თვისება არის. თუ ამისთვის აყუტდრებ, რომ მარხვის სწავება გნებავს, სწავლა ყუტდრებით არ უნდა, უფროსად სიტკბოებით უნდა ასწაო. მიხედვე შენს იოსოს, თუ როგორ სიტკბოებით ასწავებდა: ესრეთ ჰყოფდით, ვითარცა იხილეთ“; და თუ მაშინც აყუტდრებ, ეგ შენი მარხვა ჰრისტეს სათნო არ არის; ჰავლეს ჰირით გიბრძანებს: „არა მჰამელი იგი მჰამელსა მას ნუ განიკითხავ“; და თუ ჰრისტეს სათნო არ არის შენი მარხუა, ცუდად შუტრები. ლა თუ ამას იტყვი: „ყვედრების საქმეს ვხედავ მის შორის და ვაყუტდრებო“, აჰ ჰრისტეს სიტყუა უნდა მოვიხსენოთ: „რასა ხედავ წველსა, თვალსა შინა ძმისა შენისასა და დვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი“. თუ ყუტდრება გნებავს, რასათვის თავის თავს არ აყუტდრებ? თუ ჰგონებ, საყუტდრელი არა მიქნიაო რა,

თავის თავს აცთუნებს, ვითარცა იტყვის ლეთის-მეტყველი **იო-**
ანე: „უკეთუ ესთქუათ, ცოდვა არა გვაქუს, თავთა თვისთა
ვაცთუნებთ და ჭეშმარიტება არა არს ჩუჲსთანა“. ჰიღევ ამ-
პარტავენება მარხუას ბიწიან ჰყოფს, ვითარცა მარხვა ფარისე-
ველისა ბიწიან ჰყო. მაშ ამისთვისაც უნდა ვიმეტყველოთ:
არამც ვისიმე მარხვა ამპარტავენებისაგან ბიწიანი არ იქმნეს?
რომელიც მმარხველი ხარ, ეგების ამისთვის ამპარტავენებდე,
რომ ანგელოზთ თვისება—მარხვა—გიპყროია; ამისთვის არ უნ-
და ამპარტავენებდე. შენ ლმერთმან ასე შეგქმნა, მარად-ჟამ
ანგელოზის მსგავსად უნდა ყოფილ-იყავი, ახლა მცირედ-ჟამ
ანგელოზის თვისება გაქუს, რომ მარხუაში ხარ; ხვალ ისევ
პირუტყულს ჰამას უნდა მიექცე; საუკუნოდ ანგელოზის თვი-
სებისაგან ცოდვით მოშორებული ხარ და ერთის დღისათვის
ამპარტავენებ, ეს გონიერება არ არის. ზარშამანგი შტჲსნიერი
რამ არის და ფერხი თავისი შტჲსნიერების შესამსგავსი არა
აქუს, იტყვიან: ფერხზედ რომ დაიხედავს, დიდად შესწუხდება.
და შენი მარხვა ზეშთა უშტჲსნიერესი, მაგრამ აქ ფარშამანგის
თვისება იხმარე: როგორც ის თავის შტჲსნიერების შეუმსგავს
ფერხს დახედავს და შესწუხდება, აგრევე შენ შენის შტჲსნიე-
რის მარხვის უმსგავსო ცოდუას დახედე, რომლისათვისაც მარ-
ხვასა ჰყოფ, შენის ცოდვის დახედვით მიიღე მწუხარება, და
ამპარტავენებას ამითი განეშორე. თუ ამპარტავენებ, იცან შენი
თავი, რომ შეცთომილი ხარ; ასე შეცთომილი ხარ: მარხვისა-
გან სათნოების მთაზედ ამაღლებულად ჰგონებ შენს თავს და
შენ სათნოებისაგან ყოვლით-ურთ შთამოვრდომილი ხარ, ვი-
თარცა ამტკიცებს **იოსო მაცხოვარი** და იტყვის: „რომელმან
აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს“.

ზემო თქმულს სიტყვაში ითქუა: ნაყოფენება წას-
რულს მარხუას ბიწიან ჰყოფს. პრავის შეეხოს ბიწი; ამის გან-
საკრძალველად შემოკლებით მცირე რამე ესთქუათ ნაყოფენე-
ბისათვის: ხორციელს კაცს საზრდლის სურვილი სდევს, მაგ-
რამ რადგან გონიერი არის, პირუტყვებრივის წარმავალის სა-

ზრდლისათვის სასუფეველის პირმშობეა არ უნდა დაჰკარგოს, მსაფს არ უნდა ემსგავსოს ნაყროვნებით, იაკობის საქმე უნდა შეიტკბოს. იაკობსაც, ვითარცა კაცსა, სურვილი აქუნდა საზრდლისა, კიდევ აქუნდა გბოლვილი, ოსპი და პური, მაგრამ ჰსცნა, რომ წარმავალის საზრდლისაგან მამისაგან პირმშობების კურთხევა უმჯობესი იყო; ეს საზრდელი ნაყროვანს მსაფს მისცა, და თვით თავისის მამის საამო ღღენი შემზადა და მამის კურთხევით პირმშობეა მიიღო. მგრეთვე თქტან, თუმც ვითარცა კაცსა საზრდელი გსურისთ, მაგრამ მიხედვით გონიერებით, რომ სასუფეველის პირმშობეა უტკბოსი არის; ამისთვის საზრდელი ნაყროვნებისა დაუტევით, და ვითარცა მამასა ლმერთსა უყვარს, ესე ვითარი მარხვა შიართვით, რათა მიიღოთ პირმშობეა სასუფეველისა. იაკობ თუ იმ საზრდელს შეექცეოდა, მის მამას როგორც ძღუნნი უყუარდა, იმ ძღუნს ველარ შემზადებდა და პირმშობეას ვერ მიიღებდა. მგრევე თქტან ნაყროვნებას არ შეექცეთ, თორემ რომელიც ლმერთს მარხუა ძღუნად უყვარს, იმას ვერლარ შემზადებთ და სასუფეველის პირმშობებისაგან განვარდებით. მაგრამ ნაყროვნება სრულიად მოყიძაგოთ და მარხვა უბიწო მივართვათ ლმერთსა მამასა, რომლისაგანცა მოვილოთ ზეცისა იგი პირმშობეა, რომლისა არს დიდება, აწ და საუკუნეთა უკუნისაჲდღე. ამინ.



თავი 5. სოფლის ამომავლისათვის.

იტყვის ბრძენი სოლომონ მკლესიასტესა შინა: „ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“. მდაბიურად რომ ვსთქვათ ბრძენის სიტყუთა, ამას აცხადებს: ნივთიური და ქტყცუნის შინა წარვალს და არ დაადგრება. მგების სთქტას ვინმე: ვინ არ უწყის, რომ ნივთიური დაბადებული წარვალს? მართმან ვინმე არ უწყის და ბრძენი მისთვის მტყყველებს, უნდა რომ სოფლის წარმავლობა შეატყობინოს; საღმრთო განგება არის ეს. ვინ არის, რომ სოფლის წარმავლობა არ იცის, რომელიც მარტო სიტკბოებაში იქცევა და ცოდვისაგან მოქცევა არ ნებავს, ამის მსგავსი კაცი ცოდვის დაბრმობილებისაგან ვერ ხედავს, თუ სოფელი წარმავალი არის. ამის დასამტკიცებელად თვითვე ჭრისტეს მიერი იგავი მოვილოთ: მდიდრის კაცის აგარაკი რომ ნაყოფიერ იყო, ის განიზრახვიდა თავსა შორის თვისსა: „ჩემს საუნჯეს დავარღვევ და უმჯობეს აღვაშენებ, ჩემს თავს ვეტყვი: შქამე, სვი და იხარე“! მს განზრახტა ამას აცხადებს, სოფელი თუ წარმავალი იყო, ვერ ხედვიდა. მგრეთვე, ცოდვისაგან მოქცეველი და სოფლის სიტკბოებაში შთაკრული ვერ ჰსცნობს სოფლის წარმავლობას. თუ ვინმე არ ირწმუნებს ამ ჩტყნს სიტყტას, და მაშინც თვით რჩულობით იტყვის, რომ

სოფლის წარმავალობა უეჭველად ვუწყით, აქ მე კითხვა უნდა დაეუწყო: „საყვარელო! თუ სოფლის წარმავალობა იცი, ცოდვისაგან რომ მოუქცეველი ხარ, დიდი ღანიელ წინასწარმეტყველი რომ იტყვის: „მდინარე ცეცხლისა დიოდეს წინაშე მისსა“, აქ რა ნუგეში გაქუს? რა ნუგეში გექმნება, რადგან ცოდვისაგან მოქცეული არა ხარ? **თუ** სოფლის წარმავალობა იცი, მადლით რომ ღვთის ძეობა მოგცა ძრისტემან, ვითარცა იტყვის **იოანე** მახარებელი: „მისცა მათ ხელმწიფება ზვილ ღვთისა ყოფად“—ეს რად დაჰკარგე, ეს უსასყიდლო ღვთის ძეობა? **ცოდვაში** უნანელად მყოფობისაგან ღვთის ძეობა შენგან შორს არის; ვითარცა გიბრძანებს **უფალი იესო**: „თქუტან მამისა ეშმაკისანი ხართ“. რადგან მადლით ღვთის ძეობა დაჰკარგე, სოფლის წარსტლას მერმე რაღა უნდა დაგიშთეს? არა რაჲ დაგიშთება. მაშ რათ დაჰკარგე? მაგრამ უგუნურებით ვერ ხედავ, თუ სოფელი წარმავალი არის. **თუ** ხედავ სოფლის წარმავალობას, სოფლის წარსლვის შემდგომად წინაშე ღვთისა უნდა ნიხვიდე, და სათნოებისაგან ცალიერი ვერ მიხვალ კეთილად. მოსეს პირით გიბრძანებს: „არა მეჩტუნო წინაშე პირსა ჩემსა ცალიერი“! **ღა** შენ, ცოდვისაგან რომ არა ხარ მოქცეული, რა სათნოებას მიაბრძნევ? მაშ ჰსჩანს, რომ ცოდვის სიბრმისაგან სოფლის წარმავალობას ვერ ხედავ. **ღა** სოფლის სიტკბოებას რომ მიუზიდავხარ, ეგების ჰგონო: წარმავალსაც ვიპყრობ და წარუალსაცაო. მს უგუნურების შეცთომილება არის; ამისთვის რომ მაცხოვარი უფალი ბრძანებს: „ვერ ძალ-უძს ორთა უფალთა მონებად“. **თუ** ეს ჩემ მიერ თქმული ვერ დაგარწმუნებს, რომ სოფლის წარმავალობას ვერ ხედავ, და იძულებით მაშინც ამბობ „კი ვხედავო“, აქ მოციქულის სიტყვა უნდა მოვიღოთ. მოციქულის კმა არის: „იკოდეს ღმერთი და არა ღვთაებრ აღიდებდეს“. მგრეთვე მე გეტყვი: იცი წარმავალობა სოფლისა, და წარმავალისაებრ არა იქცევი; თუ სოფლის წარმავალობა იცი, სოფელი წარვალს, დასადგომელი და განსასტყნებელი რომელი გაქუს, რომ საუ-

კუნო სუფევა დაგივიწყებია? მისაც მეცნიერება აქტს, იცნობს, რომ წყალი დაუდგრომელი წარმდინარის და მასზედ ვერ დასდგება; ამისთვის ნავს მოიპოვებს. მგრეთვე შენ თუ სოფლის წარმდინარობის კეთილი ცნობა გქონდეს, იცნობ, რომ ამ სოფელზედ ვერ დაადგრები და სათნოების ნავს მოიპოვებ, და ამითი სულასა ჰყოფ, და სასუფეველის ზღვებრს სიღრმეში მიიწევი,—ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ღვით: „რომელნი შთავლენან ზღუასა ნავებითა“. მაგრამ არა გაქტს კეთილი ცნობა სოფლის წარმდინარობისა, ამისთვის არც სათნოების ნავი შეგიმზადებია, და მენავეთ-მოძღუარი ძრისტეც განგიგდია. ძრისტეს სიტყვით გიჩუქნო, რომ კეთილად ვერ ხედავ სოფლის წარმავლობას. უფალი იცნო გიბრძანებს: „ისხენით თავისა თქუტნისა მეგობარნო, რათა რაჟამს მოაკლდეთ თქუტნ ამიერ შეგიწყნარნენ თქუტნ საუკუნეთა შინა საყოფელთა“. — თუ აქაურის მოკლების კეთილი მეცნიერი ხარ, მიჩუტნე რომელი მეგობარი გივის? ვის მიჩუტნებ? ძრისტე განგიგდია ცოდვის ტრფიალებით; რადგან ძრისტე განაგდე, მისი მსახური და შედგომილი არავინ შეგიყვარებს, ყოვლის მეგობრისაგან დატევებული, დაუძინებელს მტერს ეშმაკთან საუკუნოს ბნელს უნდა მიეცე, — ვითარცა ბრძანებს უფალი: „და უხმარი ეგე მონა განაგდეთ ბნელსა მას გარესკნელსა: მუნ იყოს ტირილი და ღრქენა კბილთა“. სად ჰჩანს შენი კეთილი ცნობა? მგონებ ამ ჟამად უპოვარი იყოს, რომელიც ჩემის უგუნურებისაგან შესაძლო იყო მრავლის სახით გიჩუტნე, რომ სოფლის წარმავლობას ცოდვის სიბრმისაგან ვერ ხედავ. რადგან შენ ვერ ხედავ, მე გიჩუტნო საღმრთოს მადლის შეწევნით. მიხედე საყვარელო, ერთის პალატის შენებულებას: რომელსაც საფუძველზედ სდგას, თუ ის საფუძველი შეუძრველი არის, პალატიც შეუძრველი იქნება, თუ ის საფუძველი იძვრის და ირყევა, ის პალატიც შეიძვრის და დაირღუტება; აგრევე ქუტყანას მიხედე: რაზედაც ქუტყანა სდგას, თუ ის არ იძვრის, აღარც ქუტყანა შეიძვრის: თუ ის იძვრის, რაზედაც ქუტყანა სდგას, უეჭველად ქუტყანა

შეიტყვის და წარვალს. მაშ ამ საქმეს გონიერებით მიხედვ: ქტყ-
ყანა წყალთა ზედა სდგას, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი
ლავით: „რომელმან დააფუძნა ქტყყანა წყალთა ზედა“; (ფსალმ.
დავით. 103 კანონი 14 მუსლ. 5). ღა წყალი ადვილ შესაძრე-
ლი და დასათხვეველი არის, მაშ მასზედ მდგომი ქტყყანაც ად-
ვილი შესაძრველი და წარსასტლელი არის. ძიდევ ეს ვსთქუათ:
სოფელი ჟამიერი არის და ჟამში დგას, და ჟამი მარადის წარ-
მავალი არის; უეჭველად სოფელიც წარმავალი იქნება. უმტკი-
ცესი და უტეშმარტესი გამოჩინება მივსცეთ, რომ ეს სოფელი
არ დაადგრება. უეჭველი სიცხადე აქტეს ამას, რომ ლმერთმან
შეკქმნა ცა და ქტყყანა, ვითარცა იტყვის მოსე ლვთისა მზრახ-
ველი: „დასაბამად ჰქმნა ლმერთმან ცა და ქტყყანა“; და შე-
მოკმედი ქტყყანისა, თვითვე უფალი გვამცნებს პირითა პეტ-
რე მოციქულისათა: „ქტყყანა და მას შინა საქმენი დაიწუნენ“;
აქ საეჭველი არ არის სოფლის წარმავალობა, იმისთვის რომ
თვითვე ლმერთმან გვამცნო პეტრე მოციქულის პარით. მრ-
თობით ვაჩტუნეთ, რომ ქტყყანა წარმავალი არის; აწ უფრო
განჩჩევით თითო თითოდ ვაჩტუნოთ თითოეულის წარმავალობა.
საყვარელო, პირველად შენის თავის ამაოებას და წარსტლას
გაჩტუნებ უცთომელის სარკით: მოხვედ და საფლაფში შთა-
ხედე და იქ განიცადე—შენი სიჭაბუკის შტწნიერება და ყვა-
ვილი როგორ დაწნობილი და უშტწპრი არის; ფეროვნება ხორც-
თა როგორ ბნელად ქმნილი არის, ახოვნება როგორ მოუძ-
ლურებელი არის! იმაში აღმოიციან შენი სახე: იმის მსგავსად
უნდა შეიცვალო! ბრძენი იესო ძე ზირაქისი გიმტყიცებს:
„ერთი არს ყოველთა შემოსლტა და მსგავსი განსლტაცა“. მი-
ხედე თავის თავს საფლაფის სარკეში, თუ როგორ წარსასლველი
ხარ. შენი აღურტცხველი დიდება იქ საფლაფში ნახე. მრთის
ტილოს მეტს ვერას იხილავ. არ გეგონოს, რომ საფლაფის სა-
რკე მრუდედ გაჩტუნებდეს, სწორე ჩტწნება არის. იობ მარ-
თალი გიმტყიცებს: „შიშველი გამოვედი მუცლისაგან დედისა
და შიშველი მივიქცე მუნვე მიწად“. საზრდლის გემოვნება თუ

როგორ განქარდება, წინასწარმეტყველი ღვით გიჟტნებს: ყოველი ქამადი მოიძაგა სულმან ჩემმან და მიეახლა ბჭეთა სიკუდილისათა“. **იქ** საფლავში კიდევ შთახედე, თუ დედას შვილი როგორ დაუვიწყებია; განუქრელი სიყვარული როგორ დახსნილა, ვითარცა ბრძანებს შთალი პარითა იერემიასითა: „დაივიწყნეს დედამან ნაშობნი მუცლისა თვისისანი!“ **თუ** დედამან შვილი კი დაივიწყა, უეჭველად სხვა საყვარელიც და-ვიწყებული იქმნება საფლავის მიზეზით. ახლა მიჩტნე, საყვარელო, ამ სოფლის საქმე, რომელი არ წარვიდა. **მჭგონებ** ვერა მიჩტნო რა ამ სოფლის წარუალად! აქამდის ცუდად ჰგონებდი სოფლის საქმეს წარუალად; მაშასადამე სამართლად სთქტა ბრძენმან სოლომონ: „ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“. **შვილნო** ეკკლესიისანო! აღმოჩნდა, რომ ეს სოფელი დაუდგრომელი არის. **თუ** გულოფიცხელობით არ განაგდებთ, მტკიცე სახეები მოგართვი ამისი, ყოველივე სოფლისა მსწრაფლ წარმავალი არის; რადგან წარმავალი არის, ცოდვისაგან მოქცევას ნუ ჰყოვნით, თორემ სოფლის წარსულას მერმე სინანულის მუშაკობა აღარ არის. **ბესმის** დიდის იერემია წინასწარმეტყველისაგან: „წარხდა მკა და წარვიდა ლეწვა“. **შნანელად** აქედამ განსრულს ძრისტესაგან ეს არ ესმის: „მოვედით ჩემდა“, არამედ „წარვედით ჩემგან“, ეს ესმის. **წოდება** აქ არის, ამასვე სოფელსა და ნულარ ჰყოვნი, ცოდვის სიბნელიდამ გამოდი. **თუ** როგორ უნდა გამოხვიდე, ძრისტეს მიერ მაგალითს მოგახსენებ: **ლახარე** საფლავში მდებარე იყო, მოვიდა **იოსო**, კმა უყო: „ლახარე! გამოვედ გარე!“ (იოანე: თავი 11, მუხ. 43.) **ბამოვიდა** კელით და ფერხით შეკრული. **ბრძანა** ქრისტემან: „გახსენით და დაუტყვეთ“. **აგრეთვე** შენ ცოდვის საფლავში მკუთდარი მდებარე ხარ; ძრისტე გიწოდებს: „მოვედით ჩემდა, გამოდი ცოდვის საფლავისაგან (ესე იგი აღთქმა ჰყავ და განეშორე) ხელით და ფერხით შეკრული“, (ესე იგი ჯერეთ ცოდვისა კრულებათაგან მიტევებით არა განხსნილი.) **მტყვის** ერთსა სამღვდელოთაგანსა: „განხსენით და დაუტყვეთ“, და

მიიღებ ცოდვის კრულების განხსნას და მიტევებას. თუ ასე ვერ გამოხვიდე, სხუას მაგალითს მოგახსენებ ძველის წერილიდამ და იმის მსგავსად ჰყავ: **იონა** რომ **შფლისაგან** ივლტოდა, ზღვაში შთაიგდო თავი და ვეშაპმან შთანსთქა; ვეშაპის მუცლიდამ ევედრა **ღმერთსა**. **შეისმინა** და იხსნა **ღმერთმან** ნათარცა თვითვე **იონა** იტყვის: „ლაღადჰყავ **ქირსა შინა** ჩემსა, და **შფალმან** ისმინა ჩემი“! **მგრეთვე** **შენ** **ქრისტესგან** **ლტოლვა** მიიღე და განეშორე: შთაგნთქვა ვეშაპმან (ესე იგი ცოდვამან სოჟლისა ზღუასა შინა;) იქედამ ლაღადყავ **შფლისა** მიმართ და როგორც **იონა** ვეშაპისაგან იხსნა, ეგრეთვე **შენ** ცოდვისაგან გიხსნის. **პრამც** ამან არ დაგაბრკოლოს და იმისი იქვი არ მიიღო—**შფალს** რომ გავეშორე, ვაი თუ არ შემეწყნაროსო; ამას ნუ იპენეულე **შენ**, ევედრე, ის მოწყალეზად მზა არის.

იონაც განეშორა, რომ თარშედ ივლტოდა, მაგრამ რომ ევედრა, ვეშაპისაგან იხსნა; ეგრეთვე თუ ევედრები **ღმერთს**, **შენც** ცოდვისაგან გიხსნის; თუ გეძნელება ცოდვის მოშორება, ამისთვის რომ დიდად გეტკობა და არ გნებავს მისი განშორება, აქ ერთს მაგალითს მოგახსენებ, და იმ მაგალითის მსგავსად თუ ჰყოფ, ცოდუას მალე დაუტევებ. **ჰრმას** რძის სიტკობება ასე ჰსურის, რომ მის მოშორებას არ ინებებს; მოვლენან და ძუძუზედ მწარეს რასმე დაუცხებენ, ყრმა რომ იმ სიმწარის გემოს ნახავს, რძის სიტკობებას მოიძულებს და განაგდებს. **მგრეთვე**, **შენ** ცოდვის განშორება რომ გეძნელება, სინანულის სიმწარე დასცხე იმ ცოდუას, და სინანულის სიმწარეს რომ განიხილავ, ცოდუას მოიძულებ და განაგდებ. **რადგან** ყრმას შეემგავსეთ, ახალი ცოდვისაგან მოქცეული თავისმან მოძღუარმან ყრმის მსგავსად უნდა აღზარდოს. **ჰრმა** რომ რძეს განეყენება, მაშინვე მტკიცე საზრდელს არ მისცემენ; ჯერ სუბუქს საზრდელს მისცემენ, როცა აღიზრდება, მაშინ მისცემენ მტკიცესა საზრდელსა. **აღზრდამდის** რომ მტკიცე მისცენ საზრდელი, ყრმის აგებულება ვერ დაიტყვის და ყრმა მოჰყიდე-

ბა. მკრეთეც მოძღვარმან, ახლად ცოდვისაგან მოქცეულს ჯერ სუბუქი სინანულის სულიერებრივი საზრდელი უნდა მისცეს, როდესაც სრულის სინანულის ჰასაკში მიიწიოს, მაშინ უნდა მისცენ მტკიცე საზრდელი (ესე იგი უხრწნელი ხორცი, და სისხლი ძრისტესი). თუ მადამდის მისცა, სულით მოჰკლავს. მკრძალეთ და უქამოდ ამ დიდს საიდუმლოს ნურვის მისცემთ, თორემ უქამოდ მიღება მოჰკლავს, როგორც ზემო ვსთქუ, და მის სისხლს თქუნგან იძიებს უფალი, ვითარცა ბრძანებს პირითა მხეკიელ წინასწარმეტყველისათა: „სისხლი მათი კელთაგან თქუნთა გამოვიძიო“. თუ ცოდუას არ განეწორები და არ განაგდებ, ძრისტეს მოწაფე არ იქმნები; არა თუ მოწაფე და მისი შედგომილი შეიქმნები, უფროსად მისგან განშორებული შეიქმნები. უფალი ლმერთი გიმტკიცებს იაია წინასწარმეტყველის პირით: „ცოდუანი თქუნნი განსწვალებენ შორას თქუნსა და ჩემსა“; და რადგან ასე შორს იქმნები, ქრისტეანობის სახელიც შენგან შორს იქმნება. მაშ აქ ორისაგან ერთი უნდა ჰყო: ან ძრისტეს მოწაფეობისაგან უნდა განსდგე, ან ცოდუას უნდა განეშორო. თუ იტყვი, ცოდვის განშორება და სინანული ძნელი არის, მე გეტყვი: ცოდუა უმეტესად ძნელი და შესაძრწუნებელი არის სინანულისაგან, მაგრამ სინანულს შესაწუხებლად და მძიმედ ეშმაკი გიჩუნებს, ვითარცა ლავით წინასწარმეტყველი იტყვის: „რომელი იქმან შრომაა ბრძანებულსა ზედა“. სინანული ტკბილი და უფრო სასუფეო არის. ამას იესო ამტკიცებს და იტყვის: „უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“. მაგრამ ჩუნ კიდევ სხუა სახეები მოვილოთ ამისი, რომ ცოდუა უფრო ძნელი და სამძიმო არის სინანულისაგან, და სინანული უფრო სუბუქი არის. საშინელი შესაწუხებელი ის იყო, სახიერს მამას უძღვები შვილი რომ განუდგა და თავისი სიმდიდრე უძღვობაში განაბნია და ოხერ იქმნა, ძნელი ეს იყო. ლა როდესაც მამასთან მოიქცა, რა სიმძელე დაშვირდა? მს ჰსთქუა: „ესცოდე მამაო ცად მიმართ და წინაშე შენსა და არა

ვარ ღირს წოდებად ჰედ შენდა“. რა სიძნელე აქვს ამ სიტყუას? ამისი უსუბუქესი რაღა იქმნება? მგრეთვე ძნელი და მძიმე შესაწუხებელი ის არის, რომელიც სახიერს ლმერთსა მამასა განუდგება და თავისს სულიერებრივის სიმდიდრეს ცოდუაში განაბნევს; თორემ ცოდვისაგან მოქცევას და სინანულს რა სიძნელე აქვს? პირველი დასაბამი სინანულისა ეს არის: „ესკოდე“. იმის უსუბუქესი სხუა რა უნდა იქმნეს? შფრო ჭეშმარიტი ვსთქვათ: სინანულის უცთომელი დასაწყისი აღსარება არის, და აღსარება—თქმა არის. თქმისაგან უადვილესი რა უნდა იპოვებოდეს? მაგრამ ეშმაკი მძიმედ და ძნელად გიჩუპნებს. ახლა ძველიდამ მოვილოთ მაგალითი, რომ ცოდუა უფრო ძნელი არის სინანულისაგან: ისრაელთათვის ძნელი და მძიმე ის იყო, სადამდის მგვიპტეში იყვნენ, ალიზს ამუშავებდენ; სასყიდელს არას აძლევდენ. როდესაც ეგვიპტიდამ გავიდენ, მათთვის სასუფეველი იყო, რომ ზეცის საზრდელით იზრდებოდენ. მგრეთვე, სადამდის კაცი ცოდუაშიდ არის, ძნელი და მძიმე ის არის, რომ დაუსრულებელის სატანჯველის მეტი არასფერი სასყიდელი არ მიელის; და როდესაც ცოდვისაგან მოიქცევა, სასუფეო ის არის, რომ ზეცის საზრდელით, (ესე იგი უხრწნელის ძირსტეს ხორკით და სისხლით), გამოიზრდება. ძიდევ იონასათვის ძნელი ის იყო, რომ ლეთისაგან ლტოლვილი თარშედ მივიდოდა და ვეშაპმან შთანთქა. იმისგან უძნელესი რა იქნება, სიტყვიერი კაცი პირუტყვის მუცელში იყოს? და როდესაც ვეშაპისაგან გამოვიდა, მისი სუფევა ის იყო. მგრეთვე, ძნელი ის არის, როდესაც კაცი ლეთისაგან ლტოლვილი იქმნება და ცოდუა შთანთქავს. ლეთის ხატად და მსგავსად ქმნილი ცოდვის სიმყრალეში იყოს, მიხედვ რა ძნელი არის? ლა როდესაც ცოდვისაგან გამოვა და მოიქცევა, არა თუ მარტო კაცთათვის სასიხარულო არის, ვითარცა ბრძანებს უფალი ჩვენი იესო: „დიდი სიხარული იქმნების ცათა შინა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს“. აწ ახლიდამ მოვილოთ მაგალითი: შესაძრწუნებელი ის იყო და მძიმე,

როდესაც დიდმან პეტრე თავისი უფალი უარ ჰყო; და როდესაც შეინანა, რა სიმძიმე მიიღო? „ბამოვიდა გარე და სტიროდა მწარედ“. მრთს გამოსლვასა და ტირილში, მახედე, თუ მისი შეცოდების ოდენი სიმძიმე ჩნდეს? მგრეთვე, შესაძრწუნებელი და მძიმე ის არის, რომელიც უფალს უარყოფს და ცოდუას აღერევა, თორემ ცოდვისაგან რომ მოიქცეს და უფლის მცნება დაიმარხოოს, ეს მძიმე არ არის. ამას ცხადად ამტკიცებს მოციქული და იტყვის: „მცნებანი მისნი მძიმე არა არიან“. ძვალად მაგალითი, რომ ცოდუა უფრო მძიმე და სამწუხარო არის სინანულისაგან: ლაზარესთვის მძიმე და ძნელი სიკუდილი იყო, რომ განვიდა მისგან სიტყვიერი სული, დაიფარა საყვარელთა და მეგობართაგან; ეს იყო მწარე საგოდებო, და როდესაც აღდგა—სასიხარულო და საშველი შეიქმნა. მგრეთვე მძიმე და ძნელი ის არის, რომელიც ცოდვისაგან სულით მოპკუდება, სული წმიდა მისგან განვალს, დაიკარგვის დედის ეკლესიისაგან, მამისა ღვთისაგან, მეგობართა, ანგელოზთაგან. ამისთვის მძიმე და საგოდებო ეს არის. ლა როდესაც კაცი ცოდვის სიკუდილისაგან განცხოველდება და სინანულად მოიქცევა, სიხარულის მტკიცე მიზეზი ეს არის. როგორც ამის მიზეზისათვის სიხარულად მოუწოდს ძალთა ზეცისათა უფალი იოსო და ეტყვის: „ჩემთანა გიხაროდენ, რამეთუ ვჰპოვე წარწყმედული ღრაქმა“. ლა თუ ამას დასდებ მოუქცევლობის მიზეზად და იტყვი: ცოდუა ძლიერი არის და მძლე მექმნაო, აქაც გეტყვი—ცოდუა ძლიერი არ არის, მაგრამ შენ ძლიერად რისათვის ხედავ, მისი მაგალითი მოვიღო. ლალილა სამფსონზედ დიდად უძლოური იყო, მაგრამ როდესაც აკთუნა დედაკაცმან და თმა აღპარსა, უძლოური დედაკაცი მასზედ ძლიერი შეიქმნა და შეჰკრა. მგრეთვე ცოდვა შენზედ დიდად უძლოური არის, მაგრამ როდესაც ეშმაკი გაკთუნებს და საღმრთო მადლი აღგეპარსვის, მაშინ უძლოური ცოდვა შენზედ ძლიერად გამოჩნდება და შეგკრავს. აქ ერთი განმსხნელი უნდა მოიპოვო. პეტრე მოციქული რომ

ჯაკვიო შეკრული იყო, იმ კრულებიდან ანგელოზმან გამოი-
ყვანა. მგრეთვე, შენ თუ გონებას ლმერთს მიანდობ, დიდისა
მამისა ზრახვისა ანგელოზი—ძრისტე მაგ ცოდვის კრულებისა-
გან გამოგიყვანს და გიხსნის; როგორც პეტრე ჰეროდეს კე-
ლისაგან იხსნა, ეგრეთვე შენ ეშმაკისაგან გიხსნის. ზემო წა-
სრულს სიტყუაში ჩემის უნდოებისაგან მოგერთვით დასარწმუ-
ნებელი სახეები, რომ ეს სოფელი წარვალს და არ დაადგრე-
ბის. რადგან ეს სოფელი წარვალს, ჩუენ წარუალისა და უკე-
დავისა სულის მქონებელნი ვართ, წარუალს სუფევას უნდა ვე-
ძიებდეთ, თორემ ჩუენი მკვიდრი საყოფელი ეს არ არის. მოცი-
ქული ჰავლე ცხადად გეტყვის: „არა გვაქვს აქ საყოფელად
ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ.“ რადგან აქ საყოფელი
არა გვაქვს, და ზენა სუფევა უნდა ვიძიოთ, რომელიც მისი
ძიების სწორე გზა არის, ის გზა უნდა ვიპყრათ. მრთი გზა
ზენაჲსა სუფევისა თავის თავად ნებისით სიგლახაკის მიღებაჲ
არის, ვითარცა იტყვის უფალი ჩუენი იესო: „ნეტარ-იყვენენ
გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.
და თუ სიმდიდრის მოყუარე ვინმე სიგლახაკეს მძიმედ შერაცხ
და არ ინებებ, აქ ერთის ფილოსოფოსის სიტყუა უნდა მოვი-
ლოთ. იროინ ფილოსოფოსი იტყვის: „ანუ თვით ფილოსო-
ფოს ვიქმნეთ და ანუ სხვათა ფილოსოფოსობასა პატივსცეთ“.
მგრეთვე მე გეტყვი: ანუ თვით გლახაკი უნდა იქმნე, ანუ
სხუათა გლახაკთა პატივი უნდა ჰსცე; ამისთვის რომ ძრისტე
გიბრძანებს: „რაოდენი უყავთ ერთს მცირეთაგანსა ძმათა ჩემ-
თაჲსა, იგი მე მიყავთ“.
ქიდევ გზა არის ზენაჲსა სუფევისა—
სიყვარული მტერთა და მოძულეთა, ვითარცა გუასწავებს უფა-
ლი: „გიყუარდენ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფლით
მოძულეთა თქუენთა“.
თუ კეთილი ვერ უყო შენს მტერს და
მოძულეს, ეს მაინც ჰყავ: ნურც მოიძულე, ნურც შეიყვა-
რებ, როგორც უფალი გიბრძანებს პირითა ბრძნისა სოლო-
მონისითა: „ანუ მტერ-მოყვარე ექმნები კაცსა ამაოსა“.
ქიდევ გზა უქუემპრიტესი ძრისტე არის, ვითარცა ბრძანებს: „მე ვარ

გზა და მე ვარ ქვემარტება!“ შვეულგვით კჯალთა მისთა, რათა წარგვიყუანნეს თავისა თვისისა თანა, ვითარცა ბრძანებს იგივე შთალი: „და წარგვიყუანნე თქჳსნ თავისა ჩემისა თანა“, რომლისა არს დიდება, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 6. ცოდვისაგან მოქცევისათვის.

ბრძანებს შთალი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: „ოდეს მოქცეულმან სულთ ითქვენე, მაშინ სცხონდე და სცნა სადა იყავ“. სულთქმა სინანულს ჰნიშნავს, და ჰსჩანს აქ, რომ თუ ცოდვისაგან არ მოიქცევა კაცი, სინანული უხმარი არის. მს სიტყუა ასე აჩენს: „ოდეს მოქცეულმან სულთ ითქვენე“, ესე იგი, როდესაც ცოდვისაგან მოიქცე და შეინანო. აცხადებს ეს სიტყუა, რომ თუ ცოდვისაგან კაცი არ მოიქცა, ისრე სინანულის სახის ჩჳსნება არა რად შეირაცხება. ამას უფალი ღმერთი მზეკიელ წინასწარმეტყველის პირით დაამტკიცებს და იტყვის: „შკეთუ მიაქციოს მართალმან სიმართლისაგან თვი-

სისა და ჰქმნეს უსჯულოება, არღარა მოხსენებულ იქმნენ სი-
მართლენი მისნი“. პირველად ცოდვისაგან მოქცევა უნდა
ვყოთ, მერმე სინანული, თორემ სინანულად არ შეიარაცება.
ღავით წინასწარმეტყველი ჯერ მოქცევას გჯასწავებს, ვითარ-
ცა იტყვის: „მოიქვე ბოროტისაგან“; შემდგომად სინანულს:
„და ქმენ კეთილი“ (კან. ღაგ. 5. ფსალ. 33 მკუს. 14). ღა თუ
ცოდვისაგან არ არის კაცი განშორებული და დაფარულად
ცოდვის ზაკტა გულში აქტს და ისე საჩუცნებელად სინანულ-
სა ჰყოფს, ეს ფარისევლებრივი ქცევა არის და არა ქეშმარი-
ტი სინანული. ძიდევ ის სიტყუა ამას ნიშნავს: როცა ცო-
დვისაგან მოვიქცეთ, თუ საუკუნო ცხოვრება გვენებავს, მაშინ-
ვე სინანული უნდა დაერთოთ. ჭადაგების დასაბამი უფლის
სიტყუა ასე აცხადებს: „ოდეს მოქცეულმან სულთ-ითქენე,
მაშინ სცხონდე“; და უფალი იცხო ნუგეზს იმას აძლევს,
რომელიც თავის ცოდვისათვის სულთ-ითქვამს და ჰგოდებს,
ვითარცა ბრძანებს: „ნეტარ-იყვენენ მგლოვარენი გულითა, რა-
მეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ“. ჭადაგების დასაბამს
სიტყუაში არის: „სულთ-ითქენე, მაშინ სცხონდე“. აქ ასე
ჰსჩანს ამ სიტყვის ძალისაგან, სინანულში კაცი ცხოველი არის.
მიხედეთ ამ თქმულს, თუ ასე არ არის: „ოდეს მოქცეულმან
სულთ-ითქენე, მაშინ სცხონდე“. მაშ ცოდუაში მკუდარი ყო-
ფილა კაცი, ვითარცა იტყვის მოკიქულნი: „რომელნი ერთ
გზის მოჰკვედით შეცოდებითა“. ღა თუ როგორ მკუდარი
არის ცოდუაში მყოფი, სრული სიცხადე მერმე მივსცეთ ამას:
ჯერ ესე ვსთქუათ: თუ ვინმე სასოწარკვეთილების სიღრმეში
არის, ეს უფლის სიტყუა იმ სიღრმისაგან აღმოიყვანს, დიდად
ნუგეშს სცემს, პირის-პირ უბრძანებს: „ოდეს მოქცეულმან
სულთ-ითქენე, მაშინ ჰსცხონდე“. ამისი უცხადესი ნუგეში
რომელი უნდა იქმნეს: როდესაც მოიქცევი, ჩემ მიერ უეჭვე-
ლად სცხოვნდეთ. უფლის ბრძანება ამას აცხადებს. ძიდევ უფ-
ლის სიტყვის შემდგომი დასასრული არის: „და ჰსცნა სადა
იყავ“. სინანულისა და ცხოვნების შემდგომად იტყვის: „ჰსცნა,

გზა და მე ვარ ქვემარტება!“ შევეუდგეთ კვალთა მისთა, რათა წარგვიყუანნეს თავისა თვისისა თანა, ვითარცა ბრძანებს იგივე უფალი: „და წარგვიყუანნე თქვენ თავისა ჩემისა თანა“, რომლისა არს დიდება, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 6. ცოდვისაგან მოკცებისათვის.

ბრძანებს უფალი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: „ოდეს მოკცეულმან სულთ ითქვენე, მაშინ სცხონდეს და სცნასა და იყავ“. სულთქმა სინანულს ჰნიშნავს, და ჰსჩანს აქ, რომ თუ ცოდვისაგან არ მოიქცევა კაცი, სინანული უზმარი არის. ეს სიტყვა ასე აჩენს: „ოდეს მოკცეულმან სულთ ითქვენე“, ესე იგი, როდესაც ცოდვისაგან მოიქცე და შეინანო. აცხადებს ეს სიტყვა, რომ თუ ცოდვისაგან კაცი არ მოიქცა, ისრე სინანულის სახის ჩვენება არა რად შეირაცხება. ამას უფალი ღმერთი მზეკიელ წინასწარმეტყველის პირით დაამტკიცებს და იტყვის: „შეკეთე მიაქციოს მართალმან სიმართლისაგან თვი-

სისა და ჰქმნეს უსჯულოება, არღარა მოხსენებულ იქმნენ სი-
მართლენი მისნი“. პირველად ცოდვისაგან მოქცევა უნდა
ვყოთ, მერმე სინანული, თორემ სინანულად არ შეირაცხება.
ღვით წინასწარმეტყველი ჯერ მოქცევას გტასწავებს, ვითარ-
ცა იტყვის: „მოიქეც ბოროტისაგან“; შემდგომად სინანულს:
„და ქმენ კეთილი“ (კან. ღვ. ნ. ფსალ. 33 მუს. 14). ღა თუ
ცოდვისაგან არ არის კაცი განშორებული და დაფარულად
ცოდვის ზაკტა გულში აქტს და ისე საჩტსნებელად სინანულ-
სა ჰყოფს, ეს ფარისევლებრივი ქცევა არის და არა ქეშმარი-
ტი სინანული. ჰიდევ ის სიტყუა ამას ნიშნავს: როცა ცო-
დვისაგან მოვიქცეთ, თუ საუკუნო ცხოვრება გვენებავს, მაშინ-
ვე სინანული უნდა დაერთოთ. ჰადაგების დასაბამი შულის
სიტყუა ასე აცხადებს: „ოდეს მოქცეულმან სულთ-ითქენე,
მაშინ სცხონდე“; და შუალი იცხო ნუგეზს იმას აძლევს,
რომელიც თავის ცოდვისათვის სულთ-ითქეაშს და ჰგოდებს,
ვითარცა ბრძანებს: „ნეტარ-იყვენენ მგლოვარენი გულითა, რა-
მეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ“. ჰადაგების დასაბამს
სიტყუაში არის: „სულთ-ითქენე, მაშინ სცხონდე“. აქ ასე
ჰსჩანს ამ სიტყვის ძალისაგან, სინანულში კაცი ცხოველი არის.
მიხედეთ ამ თქმულს, თუ ასე არ არის: „ოდეს მოქცეულმან
სულთ-ითქენე, მაშინ სცხონდე“. შაშ ცოდუაში მკუდარი ყო-
ფილა კაცი, ვითარცა იტყვის მოკვიქულნი: „რომელნი ერთ
გზის მოჰკვედით შეცოდებითა“. ღა თუ როგორ მკუდარი
არის ცოდუაში მყოფი, სრული სიცხადე მერმე მივსცეთ ამას:
ჯერ ესე ვსტყუათ: თუ ვინმე სასოწარკვეთილების სიღრმეში
არის, ეს შულის სიტყუა იმ სიღრმისაგან აღმოიყვანს, დიდად
ნუგეშს სცემს, პირის-პირ უბრძანებს: „ოდეს მოქცეულმან
სულთ-ითქენე, მაშინ ჰსცხონდე“. ამისი უცხადესი ნუგეში
რომელი უნდა იქმნეს: როდესაც მოიქცევი, ჩემ მიერ უეჰვე-
ლად სცხოვნდეთ. შულის ბრძანება ამას აცხადებს. ჰიდევ უფ-
ლის სიტყვის შემდგომი დასასრული არის: „და ჰსცნა სადა
იყავ“. სინანულისა და ცხოვნების შემდგომად იტყვის: „ჰსცნა,

სადა იყავ“ . მაშ ცოდვაში მყოფი ისე შეცთომილი ყოფილა, ცთომილებსაგან არ იცის, სად არის. ამას ღვით წინასწარმეტყველი დაამტკიცებს და იტყვის: „შევსციტი მე ვითარცა ცხოვარი წყმედული“ . (კან. ღვ. 17. ფსალ. 108. მუხ. 176) . შოვილოთ ამისი სახეები, რომ ცოდუაში მყოფი შეცთომილი არის და არ იცის, თუ რა ძნელს საქმეშიდ არის. ადამიან რომ სცოდა, ღმერთმან ემა უყო: „ადამ, ადამ! სადა ხარო?“ . ასე შეცთომილი შეიქმნა, ღმერთს ემალიდა. თვთ ადამ იტყვის: „შიშველ ვარ და დავიმალო“ , სად და რა ძნელს საქმეში იყო, არც ის იცოდა; თუ სცოდნოდა, ღმერთმან რომ ჰკითხა სადა ვარო, რასაც შეცოდების ადგილში იყო, იმას მიუგებდა. იმან ის არ მიუგო, ასე შეცთომილი იყო. ღმერთმან რომ ადგილი ჰკითხა, ადამმა ეს უთხრა: „შიშველ ვარ და დავიმალო“ . მიხედვ, თუ ცოდუაში მყოფი როგორ შეცთომილი არის: ერთი ბრმა ერთმან ვინმე ერთს ადგილში შთააგდებს, რა იცის იმ ბრმამ, თუ სად არის? აგრევე ცოდვის გულის თქმისაგან დაბრმალს ეშმაკი სად სიმყრალეში შთააგდებს, ცოდვისაგან დაბრმალმა რა უნდა იცოდეს. თუ ვინმე იტყვის, როგორ არ ვიცი, რომ ცოდუაში ვარო, —რას სიმყრალეში ხარ, ჯერ არ იცი; თუ როგორ არ იცი, მაგალითი მოგახსენო: მყრალს ჰქვას სადამდის არ მოშორდება კაცი, მადამდის ვერ შეიტყობს, რა ძნელი სიმყრალე აქვს; როდესაც მოშორდება, მაშინ ჰსცნობს მისს ძნელს სიმყრალეს. მგრეთვე, სადამდის ცოდუაში ხარ და არ მოშორდები, არ იცი რა ძნელს სიმყრალის ადგილში ხარ; როცა განეშორები ცოდუას, მაშინ ცნობ, თუ რა ძნელს სიმყრალის ადგილში იყავი. ზემო სიტყვაში ითქვა, რომ თუ კაცი ცოდვისაგან არ მოიქცევა, მისი სინანული უხმარი არის; ცოდვის მოუქცევლისაგან თუ სინანული უხმარი არის, რაცა ვსთქვათ, ყოველივე მისი უხმარი იქმნება. მე უღირსი ასე ვიტყვი, ცოდვისაგან მოქცეულმან კაცმან რომ კეთილი ჰქმნას, იისთვის ისიც კეთილად არ შეირაცხება, ვითარცა ოქრო-ნეკტარი იოანე დამასკელი აცხადებს და იტყვის: „არა კეთილ-

არს კეთილი, უკეთუ არა კეთილად იქმნეს“. **თუ** ცოდვისაგან მოუქცეველის კეთილი კეთილად არ შეირაცხა, სიმდიდრე სულ უხმარი და ამაო იქმნება. მაგალითი მოვიღოთ, თუ ცოდვისაგან მოუქცეველის კაცის სიმდიდრე როგორ უხმარი არის: **ლაზარე** გლახაკის ჟამში რომ მდიდარი იყო, მიხედვით თჳ მისთვის სიმდიდრე რა უხმარი შეიქმნა, ერთის წვეთის წყლის მოპოვნება ვერ უძლო, მისის სიმდიდრისაგან გლახაკი უსანატრელესი შეიქმნა; **აბრაჰამს** ვევედრებოდა: „**ლაზარე** გლახაკი მომივლინე, რათა დააწოს მწვევრვალი თითისა სასასა ჩემსა და განმივრილოს ენა ჩემი“, მაგრამ ვერ მოიპოვა. ასე უხმარი არიო ცოდვაში მყოფის კაცის სიმდიდრე! **მგების** სთქჳს ვინმე, სიმდიდრე ან სინანულში მყოფის კაცისთვის რა სახმარი არის, ერთი ტილოს მეტი არა გაყვება რა. სინანულში მყოფისათვის სიმდიდრე ასე სახმარი არის: თავის სიმდიდრით **ჰრისტეს** ზრდის, რომ თავის სიმდიდრისაგან გლახაკთ გამოზრდის, და გლახაკის გამოზრდა **ჰრისტეს** გამოზრდად შეირაცხება, ვითარცა იტყვის **შთალი იესო**: „**რაოდენი** უყავთ ერთსა მკირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“. **თავისის** სიმდიდრით **ჰრისტე** კაცმან გამოზარდოს, უდიდესი კეთილისა ხმარება რა იქმნება. მიხედვით რა გამოუთქმელს კეთილს მაიგებს: „**მოვედით** კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ თქჳნთვის განმზადებული სასუფეველი ცათა!“ **უდიდესი** სიმდიდრისა ხმარება რა უნდა იქმნეს? **სიმდიდრით** სასუფეველი მოიპოვა. **აწ** ცოდვაში მყოფს მივხედოთ, თუ უნანელობისათვის როგორ უხმარი არის. **შს** აღსარებული არის, რაც ეშმაკის არის, ის კეთილად საკმრად არ შეირაცხება: და უნანეულად ცოდვაში მყოფი ეშმაკის არის, ვითარცა ბრძანებს **შთალი იესო**: „**თქჳნ** მამისა ეშმაკისანი ხართ“. **საყვარელო!** ცოდვისაგან მოუქცევლობამ ესეოდენი უჯეროება შეგამთხვია; რასთვის არ მოიქცევი და სულთქმას და ტირილს არა ჰყოფს? **მგების** ამას ჰფიქრობდე: რა მწუხარება მ:დგს, რომ ვიტრო? **მე** გკითხავ: მკჳდარზედ რასთვის ტირიან? **ვიცი** ამას

ომიგებ, რომ მოკუდა, მისთვის სტირიან. მე გეტყვი შენ: უფრო საწყალობელად მკუდარი ხარ, შენზედ უფრო შესამსგავსი არის ტირილი, ამისთვის რომ შენ უფრო ძნელისა და მწარის სიკუდილით ხარ მკუდარი. შენი და სხვისი სიკუდილი შევამსგავსოთ, თუ შენი სიკუდილი უფრო საგოდებო არ არის: ის ჟამიერ სიკუდილს მიეცა, შენ საუკუნო სიკუდილში (ესე იგი წარწყმედაში) ხარ; მისგან სიტყვიერი სული განვიდა, შენგან სული წმიდა არის განსრული; ის აღარ უბნობს, — უძნელესი ეს არის რომ, შენ აღსარებას აღარ უბნობ; მისი ფერხი შეკრული არის და არ მიმოვალს, — უძნელესი ეს არის, რომ შენი ფერხი ცოდვისაგან შეკრული არის და სასინანულოდ ეკვლესიაშიდ არ მიმოვალს; მისი კეთილი არ იძვრის, — მაგრამ უფრო შესაძრწუნებელი ეს არის, რომ შენი ხელი მოწყალებისათვის აღარ იძვრის; ის ამ წარმავალს სოფელს ვერ ხედავს, — უმწარესი ეს არის, რომ შენ წარუალს სასუფეველს ველარ ხედავ; მის შორის ეს ჟამიერი და წარმავალი ცხოველობა აღარ არის; ვაჟ შენდა, ჩემებრ უბადრუკო, რომ შენ შორის წარუალი ცხოველობა ძრისტესი არ არის! ის წარმავალისა და პირუტყულის საზრდლისაგან მოაკლდა, — შენ, უბადრუკო, წარუალისა და სიტყვიერებრივის საზრდლისაგან, ესე იგი, უკდავ-მყოფელის ძრისტეს ხორცისა და სისხლისაგან დაკლებული ხარ; ის დაიკარგა თავისის საყვარელის მამისა, დედისა, ძმისა და მეგობრისაგან, — უსაშინელესი ეს არის, შენ დაიკარგე მამისა ლეთისაგან, ძმად შენდა წოდებულისა ძრისტესგან, მეგობრისა მცველისა ანგელოზისაგან, დედისა ეკვლესიისაგან: შენის ცოდვის უნანელობისათვის ამათგან დაკარგული ხარ. ის მკუდარი ვერას ისმენს; მაგრამ ის ლიტონის კაცისას ვერას ისმენს, — შენ არათუ ლიტონის კაცისას, ლეთისა და ააცისა იცსო ძრისტესას არას ისმენ. მიხედვე თუ რა უძნელესს სიკუდილში ხარ! ის უძრავად ცხედარზედ მდებარე არის; იმას უძრაობით მდებარეობისათვის ვაება არ მიეცემა, ამისთვის რომ ხორციით მკუდარი არის, — შენთვის ვაება არის ულხინებელი,

ამისთვის რომ ხორციტ ცხოველი ხარ და შენის უღებებისათვის მკუდრისაგან უფრო მღებარე ხარ, რომ ლოცუად და სინანულად არ აღსდგები; ის მკუდარი ჰყარს,—მაგრამ შენი უნანელი ცოდუა უფრო მყარალი არის; იმისი სიყრალე ლიტონს სოფლიურს კაცს აწუხებს,—და შენის ცოდვის სიმყარალე თვთძესა ლვთისასა და ანგელოზთა მისთა შეაწუხებს; თუ ვითარ—გამოვაცხადოთ: თუ ერთის წარწყმედულის პოენისათვის უფალი ეტყვის ანგელოზთა: „ჩემთანა გიზაროდენ, რაჟეთუ ვჰპოვე წარწყმედული დრაქმა“. **თუ** პოენისათვის უხარის, უეჰველად შენის წარწყმედისათვის მწუხარე იქმნება. **მინედე**, თუ იუდას ცოდვისათვის როგორ შესწუხდა ტკილი **იჰსო**: „სთქჳა, შეწუხებულ-არს სული ჩემი!“ **მგრეთვე** შენის ცოდვისათვის სწუხს. ის მკუდარი მატლს მიეცემა საქმელად, მაგრამ მოკუტდაეს განსახრწნელს მატლს მიეცემა. **მინედე**, რამდენად შენ უფრო უბადრუკი ხარ: შენ უკუტდაეს, დაუსრულებელს მატლს უნდა მიეცე, ვითარცა ბრძანებს უფალი ჰირითა **იჰსო**ა წინასწარმეტყველისათა: „გარდავიდენ და იხილონ ძვალები კაცთა გარდამავალთა ჩემდამო, რაჴეთუ მატლი მათი არა დაესრულების“. **მსეოდენად** უფრო უბადრუკი და საწყალობელი ხარ ხორციტ მკუდართაგან! მაშ მკუდრისაგან უფრო შენს თავს უნდა სტიროდე, რადგან ასე მწარის და ძნელის სიკუდილისაგან ხარ შეპყრობილი. **მართი** ვინმე სამღვდელლოთაგან ი აღმადგინებელ უნდა გექმნას. **თუ** ვითარ—ამისი სახე მოვიდოთ: **მლიამ** მკუდარს ყრმას სამ-გზის შთაბერა და განაცხოველა; **ეგრეთვე** შენ, პატროსანო მღვდლო, **მლიას** მსგავსად ცოდვით მკუდარს სამგზის შთაბერე სიტყუა სწავლისა და მოძღვრებისა: სიყრმეში, სიჰაბუკესა და მსცოვანებაში, და განაცხოველე სულით მომკუდარი; ან კიდევ შთაბერე სამ-გზის: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, ასწავე და მით ცხოველად წარუდგინე ჰრისტესა; ან კიდევ შთაბერე სამ-გზის, ასწავე მოქცევა ლვთისა მიმართ, აღსარება და სინანული და ამითი ცხოველ-ჰყავ. **და** თუ ამით ვერ განაცხოველო, აქ ერთს

სახეს მოგართმევ და იმ სახელ უნდა ჰყო: განრღჳსულის განკურნება სხვამ რომ ვერ შეუძლო, ჭრისტეს დაუდევს წინ და ჭრისტემან განკურნა. მგრეთვე, შენ თუ ვერ შეუძლო მისი განკურნება, — განრღჳსულის მსგავსად ჭრისტეს მიაართვი, ესე იგი ჭრისტეს მიერ ითხოვე მისი კურნება. პატიოსანო მამაო! ან მლისეს მიემსგავსე და ისე აღადგინე სულით მომკუდარი: მლისე მკუდარს ყრმაზედ შეიდ-გზის მოდრკა და ისე განაცხოველა და თავის დედას მისცა; — ეგრეთჳ შენ შეიდეულთა შინა ლოცუათა შეიდ-გზის მოსდერკ ლეთისა მიმართ შემუსრვილებითა და სიმდაბლითა გულისათა და ითხოვე ლეთისაგან ცხოვრება მისი, განაცხოველე სულითა და მიეც დედასა თვისსა ეკკლესიასა. ან ესრეთ ჰყავ, მამაო: ვითარცა მლისემ ასწავა ნემან ასურს კეთროვნებისათვის შეიდ-გზის იორდანესა შინა ბანვა და განიკურნა, — ეგრეთვე ასწავე შეიდ-გზის დღესა შინა ბანვა იორდანესა შინა ცრემლისასა, რათა განიკურნოს. მგების ეს ვინმე ჰსთჳთას, რომ ქადაგების დასაბამი სულთქმას და სინანულს გვაწვევს და რასათვის თვინიერ სინანულის სასჯელისა არ მოგვეცემს ლმერთი სასუფეველს? საყვარელნო! ძაცთა ბუნებას თვინიერ სინანულისა და მისის სასჯელისა აქტნდა ლეთისაგან სუფევა საუკუნო, ვითარცა პირველსა მამასა ადამს ცთომამდის თვინიერ სინანულის სასჯელისა გამოუთქმელი სუფევა აქტნდა და წარწყმიდა; რადგან ეს დაკარგა, თვინიერ სინანულისა სუფევა არ მოიპოვება. თუ ამას იტყვი: „ის პირველმან მამამ ადამ დაჰკარგა, მე უბრალო რათ ვიტანჯვი“? აქ ამას გეტყვი: შენ ნუ სკოდავ და თვინიერ სინანულისა მოგვეცემს ლმერთი სუფევას! ამის დასამტკიცებელს სახეს გიჩჳნებ: ჩჩვილნი ყრმანი რომ არ ცოდვენ, მათ სინანული არ უნდა, საუკუნო მამის სუფევაში ისე აღფრინდებიან. შენც ყრმის მსგავსად ნუ სკოდავ, როგორც მოციქული ვასწავებს: „ხორცისათვის ყრმა იყენით“; და თუ ყრმის მსგავსად შენც არას ჰსკოდავ, — მსგავსად ყრმისა, ემბაზსა შინა აღმოშობილისა, თვინიერ სინანულისა საუკუნო სუფევას მიიღებ;

და რადგან სკოდავ,—თვინიერ სინანულისა საუკუნო ცხოვრება შეუძლებელი არის.—აწ ამისი სახე მოგართვა, რომ თვინიერ სინანულისა საუკუნოდ სუფევად ვერ აღვალს კაცი. მგვიპტეს რადგან შთავიდენ ისრაელნი, თუ მეწამული ზღუა არ წიად ევლოთ, თავისუფლებას ვერ მიიღებდენ; ეგრეთვე რადგან ცოდუაში შთახვალ, სინანულის ზღუა არ განვლო, ისე საუკუნო სუფევას ვერ მიიღებ. ახლა სხუა სახე მოგახსენო. მლიას რომ სიტყვა ლეთისა ეუბნა მთასა ზედა, ჯერ გზის მაშურალობა თავს იღვა, რომ ორმეოც დღე და ორმეოც ღამე გზა ვლო, მერმე სიტყვა ლეთისა ეუბნა მლიას. მგრეთვე შენ თუ პირისა ლეთისა ხილვა გსურის და მისი უბნობა, ჯერ შრომა თავს იღვე და სინანულის გზა განვლე და მერმე იხილავ პირსა ძრისტეს ლეთისა ჩტწნისასა და უბნობასა ჰყოფს შენდამი: „მოვედიო კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ თქტწნთვის განშხადებული სასუფეველი“; თორემ თვინიერ სინანულისა ამ ტკბილს სიტყუას ვერ ისმენ,—ეს მოუთმენელი რისხვის კმა უნდა გესმას: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განშხადებულ არს ეშმაკისათვის და ანგელოზთა მისთაჟვის“.—მგების სთქუას ვინმე: „არ ვიცი, როგორ მოვიქცე ცოდვისაგან“. საყვარლო! ძრისტეს რომ განემორე, გახსოვს, რომ თითონ იყავ მისის განშორების მოქმედი: თუ ძრისტეს თითონ განემორე, ცოდვის განშორებაც თითონ თავის-თავად ჰყავ; როგორც ძრისტე დაივიწყე, იგივე დაივიწყება ცოდვისა მომართ მოაქციე და ცოდუა დაივიწყე და ტრფიალება დასიყვარული ძრისტეს მიმართ დასდევ და ცოდვისაგან მოქცევა გეკმაება. თუ ამას იტყვი უგუნურებით: „მაშინ ცოდვას ეშმაკი მასწავებდა“,—ახლა მიხედე, რავალი მასწავებელი გყავს! პირველად შენი მცველი ანგელოზი; პირველად ამისთვის ანგელოზი ესთქვი, ამ უმდაბლესიდამ ზეშთა უუმაღლესის ხარისხისა მიმართ უნდა აღგიყვანო; თვითვე დიდისა მამისა ზრახვისა ანგელოზი არის შენდა მასწავებელად; ეს არის თვითვე ძრისტე

რომ გიწოდებს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქტან“. ჰრისტე გიწოდებს, ცოდვისაგან მოქცევა თუ გნებავს, წრფელით გულით მასთან მოდი. მკითხავ: „სად არის?— მოძღუარსა და შენს შორის. თვითვე ბრძანებს: „მუნ ვარ მე შორის მათსა“. თუ გნებავს, სხტა სახესაც მოგართმევ ცოდვის მოქცევისათვის: ყრმანი გზაზედ ისხდენ; შეიტყუტს ისო წარმოვალსო; ემა უყვეს: „ისო, ძეო ღვითისო, შეგვიწყალენ“! ისომ ხმა უყო: „რა გნებავსთ?“ ისინი ამას ევედრენ: „რათა აღვიხილნეთ თტალნი ჩტანნი“. ჰყო წყალობა ისომ და აღუხილნათვალნი. მგრეთვე შენ დასჯედ გზასა ზედა ჰრისტეს მცნებათასა და როცა გესმას ხმა ჰრისტეს მოსლვისა მარხვათა ანუ დღესასწაულთა შინა, მაშინ ხმა უყავ: „შემიწყალე, ისო ძეო ღვითისაო“! ღა როგორც ბრმათა თვალთ აღხილვის მეტი არა ითხოვეს რა, შენც მეტს ნურას ითხოვე, ეს ითხოვე, ცოდვისაგან დაბრმობილი თვალი აღვიხილოს და ცოდვისაგან მოქცეულმან ქეშმარტი სინანულის ნათელი იხილო. მსრეა ჰყავ ცოდვისაგან მოქცევა. ანუ უძღებს შვილს მიემსგავსე: როგორც ის შორის სოფლიდამ წარმოვიდა, მოვიდა თავის მამასთან, ჰრტა: „ესცოდე მამაო ცად მიმართ და წინაშე შენსა და არა ვარ ღირს წოდებად ძედ შენდა“. მამამ პირველივე დიდების სამოსელი შემოსა და ზტარაკი დაუკლა; ეგრეთტ შენ შორეულის სოფლიდგან (ესე იგი ცოდვიდამ) მოიქეც და წარმოხვედ; არტ ღმერთსა მამასა გულითა მხურვალითა: „ესცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, და არა ვარ ღირს წოდებად ძედ შენდა“. მაშინ სახიერი იგი ღმერთი მამა პირველს ემბაზის ნათლის სამოსელს განგიახლებს და შთაგაცვამს, ზვარაკს დაკლავს შენთვის (ესე იგი, შფალსა ჩტანსა იესო ჰრისტეს), რომელი შვა დიაკეულმან წმიდამან ღვთისმშობელმან მარიამ. თუ ვერცა ესე ჰყო, დიდს პეტრე მოციქულს მიემსგავსე: როგორც ის „გამოვიდა გარე და სტიროდა მწარედ“, ეგრეთვე შენ შენის ცოდვისაგან გამოვედ გარე, ესე

იგი დაუტყვე (კოდვა) და იტირე მწარედ, რათა განიბანენ კოდვანი შენნი და წმიდა იქმნენ, თქმისაებრ ღვით წინასწარმეტყველისა: „უფროს განმზანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და კოდუათა ჩემთაგან განმწმიდე მე“. **თუ** არც ერთს არ ინებებ, ქადაგების დასაბამში დასასრულს რომ არის, მაშინ ჰსცნა სადა იყავ. მოუქცეველად ამას ვერა ჰსცნობ, თუ რა სიძნელეში ხარ; თითონ ქადაგების დასაბამი გიცხადებს, რომ მოუქცეველად ვერა ჰსცნობ: „ოდეს მოქცეულმან სულთ-ითქენე, მაშინ სცხონდე და ჰსცნა სადა იყავ“. სჩანს, რომ მოუქცეველად ვერა ჰსცნობ, თუ რა ძნელს ადგილში ხარ; მაგრამ მცირედრე მე გიჩვენო, ეგების შეიშინო და მოიქცე: სადაც სიკუთდილი შეიქმნა, იმ ადგილში ხარ; კოდვაში ხარ და სიკუთდილიც იქედამ შეიქმნა, ვითარცა ამტკიცებს მოციქული: „კოდუა სოფლად შემოხნდა და კოდვისა ძლით სიკუთდილი“. სიკუთდილის ადგილი როგორც უდია, საფლავში შთახედე და იქ ჰსცნობ. **თუ** ამითი არ შეიშინებ, ახლა სხვა სიძნელე გიჩუბნო კოდვის ადგილში, ყოველი უსჯულოება იქ დაისახა. აჰა მოციქული დამამტკიცებელი: „და კოდუა იგი არს უსჯულოება“. ძიდევ უსაშინელესს მიხედე: რასაც ადგილს ღვთისა მიერი რისხვის ცეცხლი წვიმს, ეგ ადგილი სწორედ კოდუა არის, ვითარცა ამტკიცებს ღვით, მამა ღვთისა: „სწვიმოს კოდვილთა ზედა მახე, ცეცხლი და წუნწუბა“. დასასრულად ამას გეტყვი: ეგ კოდვა ის ადგილი არის, რომლიდამაც საცაგელი ეშმაკი ხელით და ფერხით შეკრულს ჯოჯოხეთში წარგიყვანს. **თვით** მაცხოვარი უფალი რისხვით შენთვის ამისი მბრძანებული არის: „შეუკრენით მაგას ხელნი და ფერხნი, განაგდეთ ბნელსა მას გარესკნელსა: მუნ იყოს ტირილი და ღრქენა კბილთა“! — მრავლის ჰეშმარიტის სიტყვით და შემდგომად თვითვე ძრისტეს სიტყვით გიჩუბნე, თუ რა ძნელი და შესაძრწუნებელი არის კოდუა და თუ რაოდენი ბოროტი იქილამ აღმოეცენა. ახლა თუ სიტყვიერებისაგან არ განხვალ, რადგან ესოდენი უჯეროება იხილვე კოდვისაგან, უნდა შეი-

ნანო და განაგდო. აქ რას იტყვი, არ ვუწყი. თუ იტყვი, ვერას ვხედაო, არამც ტყუვილად არ მიზეზობდე, ამისი მოშიშება მაქვს, თორემ თუ დასტურ ვერ ხედავ, თუ ინებებ, სანატრელს რასმე და ზეშთა ქებისა საქვეს მიემთხვევი. რადგან ვერა ხედავ, ბრმის საქმე ეს არის, სხტა წინამძღვარი უნდა ჰყუანდეს. მაშ, თუ ინებებ, წინამძღვრად ძრისტე იპყარ. მახარებელი გასწავება: „ერთ-არს წინამძღვარი თქტანი ძრისტე“, და თუ იქვენელი ხარ ამ საქმისა, თვთ ძრისტე გიბრძანებს: „და წარგიყვანე თქტან თავისა ჩემისა თანა“. უსანატრელესი საქმე რა უნდა იქმნეს ამისგან: ძრისტე წინამძღვრად გივის! მას შეუდეგ ყოვლითა გულითა და ყოვლითა გონებითა, რომელი უცთომელად მიგიყვანს სუფევისა მიმართ საუკუნოსა, რომლისა არს დიდება, პატივი და თავყვანისცემა თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.





თავი 7. მკვლართა აღდგომისათვის.

ბრძანებს უფალი ღმერთი პირითა მზეციელ წინასწარმეტყველისათა: „და განცხოველდეთ, და ჰსცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი; სცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი“. ამას რომ გვიბრძანებს „ჰსცნათ“ იმ ჟამის არის, რომ გვიბრძანებს „და განცოცხლდეთ“, მაშინ უნდა ვსცნათ; და რომ ვიძიოთ, ახლა არ ვიცით უფალი. ამ სიტყვისაგან ჰსჩანს, ახლა უფლის ცნობა არა გვაქვს. ზეშმარიტიც არის: ჯერ არა გვაქვს უფლის ცნობა. თუ უფლის ცნობა გვქონდეს, მომავლის ჟამისათვის რაღათ გვიბრძანებს „ჰსცნათ“, მაგრამ ახლა რომ არ ვიცით, განცხოველებას მერმე, როცა აღვსდგებით, უმეტესად ვსცნობთ. ამას მოციქული ცხადად გვასწავებს, რომ ამ სოფელსა შინა სწორი ცნობა არა გვაქვს, ვითარცა იტყვის: „ვხედავთ აწ ვითარცა სარკითა და სახითა, ხოლო მაშინ ვითარცა პირისპირ“. ეს მკირედი უფლის ხედვა ცოდვისაგან მოქცეულთა აქვს; თორემ ცოდვისაგან მოუქცეველი სული ვერა ჰსცნობს. ამისთვის განცხოველებას მერმე ბრძანებს უფალი თავისა თვისისა ცნობას:—და ჰსცნათ, რამეთუ მე ვარ უფალი“. და თუ ვისმე ცოდვისაგან მოუქცეველს ჰგონია თავის თავად უფლის

ცნობა, ამაოდ ჰსცდებო. **თ**ვით მოციქული პავლე ეტყვის „რომელსა ჰგონიეს ვითარცა იცის რაჟამე, არღა-სადა უცნობიეს“. **ღ**ა თუ მაშინც უგუნურებით ჰგონებს **შ**ფლის ცნობას, **შ**ფალი მალაქია წინასწარმეტყველის პირით ჰკითხავს: „უკეთუ მამა ვარ, სად არს დიდება ჩემი?“ **ნ**აცვალი მიუგე: თუ მამად იცნობ, მისი დიდება რა უყავ? **ს**ად არის? **მ**კითხავ, რა დიდება მომცა?—**თ**ავისი მსგავსება მოგცა, ვითარცა **მ**ოსე გვამცნებს **შ**ფლის მიერ თქმულს: „მოვედით, ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუბნდა“. **თ**უ იცნობ, ის გკითხავს და შენ უჩუბნე მისგან მოცემული დიდება, — მისი მსგავსება. **ს**ად ჰპოვებ შენში **ღ**ვთის მსგავსებას, რომ აჩუბნო? **შ**ნანელად ცოდტაში მყოფობისათვის შენ პირუტყვს მიმსგავსებულხარ, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი **ღ**ავით: „ბაძვიდა იგი პირუტყთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ!“ **ღ**ვთის მსგავსება სად უნდა იქმნეს შენ შორის? **ღ**ა რადგან მისი მსგავსება არ არის შენ შორის, აღარც მისი ცნობა იქმნება შენ შორის. **ც**ხადად ჰსჩანს, მისი ცნობა არა გაქუს, რადგან მისის დიდებისაგან ცალიერი ხარ; მისი ცნობაც რომ დიდი დიდება არის, ამისგანაც ცალიერი იქმნები; და **შ**ფალს მცნობელობის თვალით რომ ვერ მიხედავ, ამას წინასწარმეტყველი **ღ**ავით ამტკიცებს: „დაუბნელდენ თვალნი მათნი, რათა არა ხედვიდენ“. **ქ**იდევ გკითხავს **შ**ფალი მისვე წინასწარმეტყველისა მალაქიას პირით: „უკეთუ მეუფე ვარ, სადა არს შიში ჩემი?“ **თ**უ კი იცნობ **შ**ფალს, უჩუბნე, სად გაქუს მისი შიში. **ს**ად უჩუბნებ? შენ ცოდტაში სდგახარ, და ცოდვაში დგომა და **შ**ფლის შიში ერთად არ დაზავდება. **ც**ოდვაში დგომა ბიწოვნება არის, და **შ**ფლის შიში წმიდად ყოფა არის, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი **ღ**ავით: „შიში **შ**ფლისა წმიდა არს“. **მ**ერცა ამას უჩუბნებ, სწორებით სჩანს. **ღ**ა რადგან თავისას გკითხავს: სადა არს შიში ჩემი? და შენ ვერ უჩუბნებ, და რადგან შენ შორის მისი შიში აღარ არის, აღარც ცნობა იქმნება მისი შენ შორის. **ა**წ ქეშმარიტი უნდა ვსთქვათ: რადგან **შ**ფლის ცნო-

ბა არა გაქტს, არც ამისი ცნობა გექმნება, თუ მეორედ განცხოველდები და აღსდგები; თუ განმაცხოველებს ვერ იკნობ, განცხოველება მკუდართა სილამ უნდა ირწმუნო? ისეც ცხადი რამე შეიქმნა, რომ მეორედ შენი განცხოველება არა გრწამს. ამის ურწმუნოებაში თუ რაოდენი უჯეროება შემოვა, ის მერმე ვსთქათ. ჯერ ეს ვსთქათ და წარმოვაჩინოთ და ურწმუნოთ დაფუძკიცოთ, რომ უეჭველად მკუდარნი აღსდგებიან და წინაშე ძრისტესა წარსდგებიან განკითხვად.

აწ ვკითხოთ, რომელთაც მკუდართა აღდგომა არა ჰსწამთ: არ შეუძლია ლმერთს რომ მკუდარი აღადგინოს, თუ არ ინებებს? თუ ამას იტყვიან, არ შეუძლია ლმერთს მკუდრის აღდგინება, აქ საღმთოს მადლის შეწვევით სიტყუას ვუგებთ. შიციით ეს ჭეშმარიტებით, რომ კაცი ლმერთმან შექმნა, თორემ თავის თავს კაცი ვერ შეიქმს, ვითარცა ამბობს წინასწარმეტყველი ლავით: „მან შექმნა ჩჷსნ, და არა ჩჷსნ“. და კაცი რომ ლმერთმან შექმნა,—მიწისაგან შექმნა, ვითარცა გვასწავებს მოსე ლეთისა მზრახველი: „და შექმნა ლმერთმან კაცი მტყპრისა მიმღებელმან ქტსყანისაგან“; და მკუდარი მიწა თუ კაცად განაცხოველა, შემძლებელი არის, რომ მკუდარიც განაცხოველოს და აღადგინოს. ძიდევ ვიციით ჭეშმარიტებით, რაც თავისი კერძო ყოვლადს კაცს მოშორდება, ის კერძო მკუდარი იქმნება,—უეჭველი არის. მაშ ლმერთმან რომ აღამისგან გვერდი მოიღო და ის გვერდი მვად აღუდგინა აღამს, ამ საქმეს თვით მოსე გვამცნებს. მს გვერდი, რადგან აღამს მოშორდა, მკუდარი იყო: და თუ მკუდრის გვერდისაგან მვა წარმოადგინა, შემძლებელი არის ლმერთი, რომ მკუდარიც განაცხოველოს და აღადგინოს. იგივე უფალი არის აღმადგინებელი მკუდართა. მოსეს ჰირით ასე გვიბრძანებს: „მე ვარ და არა ვიცვალეები“. აწ ახლიდამ მოვილოთ სახეები. მკუდარი არ იყო ძრისტემან რომ კმა უყო: „ყრმაო, შენ გეტყვი, აღსდგე!“—და აღსდგა? მკუდარი არ იყო ლაზარეს რომ კმა უყო: „ლაზარე, გამოვედ გარე“,—აღსდგა და გამოვიდა საფლავისაგან.

თუ კი ეს აღადგინა, უეჭველად იგივე ძე ლეთისა მკუდართა აღადგინებს და განაცხოველებს. აქ კიდევ ერთი სახე ვსთქვათ. უცილობელი ჭეშმარიტება არის, რომ ლმერთი ყოვლად უუძლიერესი არის კაცთაგან. **ღა** მლიამ და მლისემ თუ კი აღადგინა მკუდარი, ნურც ამაზე ხარ ურწმუნო, რომ ყოვლად უძლიერესი ლმერთი მკუდარს აღადგენს და ცხოველ ჰყოფს. უტყუველი სიტყუა გესმის ლეთისა პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: „აღსდგენ მკუდარნი და აღემართნენ საფლავთაგან“.

ღა თუ ამას იტყვის ვინმე, რომ შემძლებელი არის ლმერთი აღდგინებად მკუდართა, მაგრამ არ ინებებს, ეს გმობა რომ ეშმაკმან ჰსთქვას, ისიც საკვირველი იქმნება, მაგრამ ის არ იტყვის: იცის რომ აღსდგებიან მკუდარნი, და აღსდგომას მერმე იმათ თავისი ყოვლად უკეთურების შესამსგავსი სატანჯველის ადგილი აქუს საყოფლად, მას და მისთა მსახურთა, დაულევნელი და საუკუნო იგი სატანჯველი ჯოჯოხეთისა. მაშ რომელიც ეშმაკისაგან ამ უბოროტეს ხმას აღმოუტევებს და იტყვის, რომ ლმერთი მკუდართა აღდგინებას არ ინებებს, მას ჰრისტეს მოწაფესთან ნაწილი და სამკვიდრებელი არა აქუს; ისიც და მისი უკეთური სიტყუაც ძალითა ჰრისტესითა ჩუტნგან შორს ვჰყოთ. მაგრამ შორს ყოფისაგან უპირველესად ჯერ მისი პირუტყველი სიტყუა ვითარცა ქსელი დედა-ზარდლისა, ისე დავხსნათ: ეგების მოიქცეს და ირწმუნოს აღდგომა მკუდართა. **თუ** არ ირწმუნოს, ლავით წინასწარმეტყველის სიტყვა ვსთქვათ: „განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“. აწ თითო-თითო შემოკლებით ვსთქვათ. რომელიც ამას იტყვის, ლმერთი მკუდართა აღდგინებას არ ინებებს, თუ აქედამ რამდენი საწინელი გმობა წარმოვა და სიტყვა ურწმუნოსი ისე დავხსნათ და უჩინო ვყოთ. **თუ** ლმერთი მკუდართა აღდგინებას არ ინებებს, აღარც განკითხვას ინებებს: ვინ უნდა განიკითხოს, თუ მკუდარნი არ აღსდგებიან? **ღა** რადგან განკითხვას არ ინებებს, აღარც კეთილი და ბოროტი განირჩევა; და რადგან კეთილი და ბოროტი არ განი-

რჩევა, შენის უცნობელობის მსგავსად, ეშმაკი და ანგელოზი ერთი უნდა შეიქმნეს. აწ ჰსთქუ ურწმუნოო, ანგელოზი და ეშმაკი თუ ერთი არის? ანგელოზი. ჯოჯოხეთში უნდა დაიმკვიდროს, თუ ეშმაკი სასუფეველში? თუ ერთნი არიან, ორთაგან ერთი უნდა იქმნეს: ან ანგელოზი ჯოჯოხეთში უნდა შთავიდეს და ან ეშმაკი სასუფეველად უნდა აღვადეს. ბრცხვენოდენ, ურწმუნონო! ორივე ყოვლად ურწმუნო არის: ანგელოზის ჯოჯოხეთში დასჯა შეუძლო არის, ამისთვის რომ ისინი მარადის ლეთის დიდებაში არიან, ვითარცა ბრძანებს შთალი იესო: „ანგელოზნი მათნი მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისა ზეცათასა“. ეშმაკის სასუფეველში სუფევა შეუძლო არის, ამისთვის რომ ისინი საუკუნოდ ბნელსა შინა უნდა იყვნენ, ვითარცა იტყვის შთალი პირითა ლავით წინასწარმეტყველისათა: „ნათელი არა იხილოს უკუნისამდე“. თუ ესენი შეუძლო შეიქმნა, მაშ ინებებს და აღადგინებს ლმერთი მკუდართა. ლა თუ არ ინებებს ლმერთი მკუდართა აღდგინებას, ჩუტნეც პირუტყვის მსგავსნი ვიქმნებით და მათდა მსგავსად უნდა განვჰქარდეთ; და ჰრისტე რომ გვპირდება: „და წარგიყვანნე თქტნ თავისა ჩემისა თანა“,—ეს ჰრისტეს სიტყვა ტყუილი იქმნება და, შენის უგუნურების მსგავსად, ჰრისტე ლმერთი მტყუარად უნდა აღმოჩნდეს. მსეც ყოვლითურთ შეუძლო არის, ამისთვის რომ ლმერთი ყოვლითურთ ჰეშმარიტი არის, ვითარცა იტყვის მოსე ლეთისა მზრახველი: „ლმერთი ჩტნი ჰეშმარიტებით არიან და ყოველნი გზანი მისნი სიმართლით არიან. ლმერთი ჩტნი ჰეშმარიტ არს, და არა არს სიცრუე მისთანა“. ლა შთალი იესო ჰრისტე იტყვის: „ცანი და ჰვეყანა წარხდენ, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა-სადა წარხდენ“. აქაც განცრუვდა შენი ურწმუნოებით გონებული. მაშ, ინებებს და აღადგინებს ლმერთი მკუდართა. მჰკითხოთ ურწმუნოს: ლმერთი სამართალს ჰყოფს, თუ არა? თუ იტყვის: „არა ჰყოფს სამართალს“,—ეს ყოვლითურთ უჰეშმარიტო იქმნება, ამისთვის რომ მას სამართალი უყვარს, ვითარცა იტყვის წინასწარმე-

ტყველი ღავით: „უყუარს წყალობა და მსჯავრი შთაღსა“; ღა რადგან სამართალი უყვარს, უეჭველად კიდევ ჰყოფს სამართალს. აწ ამას მიხედვით, თუ მკუდართ აღდგინებას არ ინებებს, უბრალოდ დასჯილს აბელს რითი უნდა მიაგოს სამართალი? საძაგელის ძაენისაგან როდეს უნდა განირჩიოს ეს წმიდა იფქლი, თუ მკუდარნი არ განცხოველდებიან? თუ მკუდართ განცხოველებას არ ინებებს ღმერთი, განურჩეველი უნდა შეიქმნეს ისაკ და იაკობი, იუდა და პეტრე! ღასცხერ ამ უგუნურებისაგან! შტყუელი სიტყუა მამისა, შთალი იესო ყოველსავე განარჩევს, ვითარცა გვამცნებს მახარებელი: „და აღდგინეს ცხოვარნი მარჯუტნით მისსა და თიკანნი—მარცხენით“; მარჯუტნით მდგომარეთა უბრძანებს: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ თქუტნთვის განმზადებული სასუფეველი“. მარცხენით მდგომარეთა უბრძანებს: „წარვედით ჩემგან წყუელნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და მსახურთა მისთათვის“. რადგან ასე განრჩევა ჰნებავს ღმერთს, უეჭველად მკუდართა აღდგინებაც ჰნებავს; და რადგან ჰნებავს, კიდევ აღადგინებს, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ღავით: „ყოველივე რაოდენი ინება შთაღმან, ჰქმნა ცათა შინა და ქუტყუნასა ზედა“. ღა თუ კიდევ ამას ვინმე იძიებს, რათ ინებებს ღმერთი მკუდართ აღდგინებას, ეს ზემო წერილში ცხადი არის, თუ რასთვის ინებებს ღმერთი მკუდართა აღდგინებას, მაგრამ ჩუტნ კიდევ მეორედ ვსთქუათ. შტყუველი აღწერილი მახარებელთაგან გასმია: „მამამან ყოველი სასჯელი მოსცა ძესა“. ამ სასჯლისა და სამართლის ადგილი დიდმა ღანიელ წინასწარმეტყველების თვალით განიხილა და ჰსთქუა: „საყუდარნი დაიდგნენ და ღმერთი დაჯდეს მსაჯულად; მდინარე ცეცხლისა სდიოდეს წინაშე მისსა“. ხედავ ძველისა და ახლისაგან სიცხადეს, რომ განსჯა და განსამართლება უნდა იქმნეს, განრჩევა კეთილისა და ბოროტისა? ჰერ სწორის სისრულით არ ქნილა; ორნას კალოზე დასაჯდომელი საყუდარი არ დადგმულა; და

ჯერ არც იქ ლმერთი მსაჯულად დაჯდომილა; არც ყოველნი ანგელოზნი და კაცნი ერთად შეკრებულან; ჯერ არც მდინარე ცეცხლისა წარმოჩენილა; ჯერ მარჯტპნით ყოველი მართალი არ დამდგარა და არც მარცხენით ყოველი ცოდვილი; ჯერ მარჯტპნით მდგომარეთა ეს კმა არ სმენია: „მოვედით, კურთხეულნო მამისანო“; და მარცხენით მდგომარეთა ეს არ სმენია: „წარვედით ჩემგან, წყეულნო ცეცხლისა მას საუკუნესა“. მსენი ყოველნივე უნდა აღსრულდეს. ამისთვის ჰნებავს ლმერთს მკუდართა აღდგინება.

ღა თუ ამისთვის არა გრწამს მკუდართა აღდგომა, რომ დახსნილს ნიეთს არა შეაერთებს და დახსნილის ნიეთის შეერთება ძნელი არის, აქ ჯერ ამას გეტყვი: „კაცთაგან შეუძლებელ არს, არამედ არა ლეთისა მიერ, რომელი ლეთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს“; მერმე ამას გეტყვი: თუ ლმერთმან არა-არსისაგან არსად მოიყვანა, ეს რად ურწმუნო გიჩნს, რომ დახსნილი ნიეთი ლმერთმან კიდევ შეაწყოს: რომელიც ხელოვანი საათის გაქედის შემძლებელი არის, ამისი რად ურწმუნო ხარ, უეჭველად დარღვეულსაც შეაწყობს; ეგრეთვე, რადგან ლმერთმან კაცი არა არსისაგან არსად მოიყვანა, ამისი რად ურწმუნო ხარ, შემძლებელი არის დახსნილი ნიეთი კიდევ შეაერთოს და მკუდარი განაცხოველოს. აწ კიდევ ნიეთებს მივხედოთ, თუ როგორ შეუწყობელნი არიან — ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი, როგორ ერთმან-ერთის წინა აღმდგომნი არიან, ცეცხლში და წყალში განვიხილოთ, როგორ ერთ-მან-ერთის დამხსნელნი არიან. თუ ეს შეუწყობელნი კავშირნი ლმერთმან ერთს სხეულში შეაზავა და დააწყოს, რად ურწმუნო ხარ ამისთვის, ეს ნიეთები რომ დაირღუპს, შემძლებელი არის ლმერთი კიდევ შეაწყოს და მკუდარი განაცხოველოს. ძიდევ ამას მივხედოთ, თუ სული და ხორცი ერთმანეთისაგან როგორ განყოფილნი არიან: სული უნიეთო, უსხეულო, უხილავი არის; ხორცი — ნიეთიერი, სხეულევანი და ხილული არის, და ლმერთმან ეს ორნი განყოფილნი — სული

და ხორცი—ერთად შეაერთა და კაცი წარმოაყენა; და თუ პირველ კი შეაერთა, ამაზედ რად ურწმუნო ხარ, სიკუდილის შემდგომად კიდევ სულსა და კორცს შეაერთებს და კაცს განაცხოველებს. ახლა თუ ეს არა გრწამს, რომ პირველ ლმერთმან შეაერთა სული და ხორცი, შენ მიჩუბნე, ვინ არის სხუა ამათი შემაერთებელი? ცხადად ჰსჩანს, რომ ვერვის მიჩუბნებ, თვინიერ ლეთისა, ამათ შემაერთებელს. მაშ უეჭველად უნდა ირწმუნო ლეთისაგან სიკუდილის შემდგომად სულთა და ხორცთა შეერთება და მკუდართა განცხოველება. თუ ამას იტყენულე, შიშველნი ძვალნი ვითარ შეიმოსებიან? მე გკითხავ: შიშველნი ხენი ფოთოლთაგან ვითარ შეიმოსებიან? შენ მეტყვი: ზაფხულის მოწვევისაგან შეიმოსებიან. მგრეთვე მე გეტყვი: ძირისტეს მიერის მოსულის ზაფხულისაგან და მისის მოწვევისაგან ძვალნი შიშველნი შეიმოსებიან და აღსდგებიან. და კიდევ თუ ვერ გარწმუნებს ეს ჩუბნ მიერ მოღებული სახეები და სიტყუბი, ახლა კიდევ სხუა სახეები მოვილოთ. ხედავთ, საყვარელნო, იფქლის ხუბბალს, რომ მკუდარი არის, და როდესაც მიწას მიეცემა და დაღებება, შემდგომად განცხოველება და აღიზრდება; ხედავ სწორებით, რომ ეს ასე არის; და ამ თვალით ხილულის მაგალითისაგან ირწმუნე, რომ მკუდარი კაცი განცხოველება და აღსდგება. ძიდევ სხუა მაგალითი მოვილოთ: როდესაც მუცელსა შინა დედისასა ჩვილი დაისახვის, რისგან განცხოველება? რითი მიეცემა სული? შექველო და ცხადი რამ არის, რომ ლეთისა მიერ ბრძანებით მიეცემა სული. მგრეთვე საფლავსა შინა მყოფთა ლეთისა მიერ მიეცემა სული და განცხოველება.—ახლა წერილიდამ მოვილოთ ამისი სახე. იონა წინასწარმეტყველი რომ ვეშაპმან შთანთქა, ვიცი, რომ ვეშაპის მუცლიდამ ცხოველი უვნებელად გამოვიდა. რითი იქმნა, რომ უვნებელად გამოვიდა? ლეთისა ძიერის ბრძანებით. მგრეთვე ლეთისა მიერის ბრძანების საფლავიდამ ცხოველი და უვნებელი გამოვა კაცი. ბრძენთ სიტყუა არის, ლომის ლეკვი მესამეს დღემდის მკუდარი არის; მესამეს

დღეს ლომი ხმას უყოფს და მკუდარს თავისს ლეკუს განაცხოველებს. მგრეთვე მკუდარნი მეორედ მოსლვის დღემდის მკუდარნი არიან. ძრისტე რომ ლომად ითქმის,— ვითარცა იტყვის ლვთის-მეტყველი და მახარებელი დიდი იოანე გამოცხადებასა შინა: „ჰსძლო ლომმან, რომელ არს თესლისაგან იუდასსა, ძირმანმან ლავითმან“— ეს ლომად წოდებული ძრისტე კმას უყოფს და განაცხოველებს და აღადგინებს მკუდართა. აწ დასამტკიცებელად ამისა შემოვიყვანოთ თვით შუალი ლმერთი, წინასწარმეტყველი და მოციქული. შუალი ლმერთი მზეკიელ წინასწარმეტყველის პირით ამტკიცებს. როგორც ამ ჩუანის ქადაგების დასაბამში არის: „და განცხოველდეთ და ჰსცნათ, რამეთუ მე ვარ შუალი“, წინასწარმეტყველი კიდევ ამტკიცებს: „აღსდგენ მკუდარნი და აღემართენ საფლავთაგან“. მოციქული ჰხმობს: „მოკუტდემან ამან შეიმოსოს უხრწნელება“. საყვარელნო! თუ უძლიერესისა ლვთისა და მისთა წინასწარმეტყველთა და მოციქულთა არ ირწმუნოს, ვითარცა უღმრთო ჩუანგან ისე შორს ვჰყოთ. მაგრამ ერთი კითხუა კიდევ ვჰყოთ: რომელიც მკუდართა აღდგომისა ურწმუნო ხარ, ძრისტეს აღდგომა გრწამს, თუ არა? თუ არა გრწამს, არც განხორციელდება, არც ჯუთარცმა სარწმუნოდ არ გეცქნება: არც აღიარებ წმიდასა ქალწულსა, ლვთის-მშობელსა მარიამს! ივლტოდე, შორს ჩუანგან ესე ვითარისა უღმრთოებისათვის! არა გიძს ნაწილი, არცა სამკვიდრებელი შენ ურწმუნოსა მორწმუნისათანა. ღა თუ ძრისტეს აღდგომას აღიარებ, მკუდართა აღდგომაც უეჭველად უნდა ირწმუნო; აწისთვის რომ მოციქული პავლე ასრე ამტკიცებს და იტყვის: „შეთუ გვრწამს, ვითარმედ იცნო მოკუტდა და აღსდგა, ეგრეთცა ლმერთმან შესტანებულნი იგი იცნოს მიერ მოიყვანნეს მისთანა“.— მკუდართა აღდგომისა ჩუანებისათვის და გამოცხადებისა მრავალი სახე ვაჩუანეთ, უუძლიერესი დამტკიცება ლვთისა მიერი. უუძლიერესი მოციქულთა და წინასწარმეტყველთა თქმულებითა დამტკიცება. სხუა მრავალი ჰეშმარიტი სახე მოვიღეთ მკუდართა

და ხორცი—ერთად შეაერთა და კაცი წარმოაყენა; და თუ პირველ კი შეაერთა, ამაზედ რად ურწმუნო ხარ, სიკუდილის შემდგომად კიდევ სულსა და კორცს შეაერთებს და კაცს განაცხოველებს. ახლა თუ ეს არა გრწამს, რომ პირველ ლმერთმან შეაერთა სული და ხორცი, შენ მიჩუბნე, ვინ არის სხუა ამათი შემაერთებელი? ახლად ჰსჩანს, რომ ვერვის მიჩუბნებ, თვინიერ ლეთისა, ამათ შემაერთებელს. მაშ უეჭველად უნდა ირწმუნო ლეთისაგან სიკუდილის შემდგომად სულთა და ხორცთა შეერთება და მკუდართა განცხოველება. თუ ამას იტყენულეებ, შიშველნი ძვალნი ვითარ შეიმოსებიან? მე გკითხავ: შიშველნი ხენი ფოთოლთაგან ვითარ შეიმოსებიან? შენ მეტყვი: ზაფხულის მოწვენისაგან შეიმოსებიან. მგრეთვე მე გეტყვი: ძრისტეს მიერის მოსულის ზაფხულისაგან და მისის მოწვენისაგან ძვალნი შიშველნი შეიმოსებიან და აღსდგებიან. და კიდევ თუ ვერ გარწმუნებს ეს ჩუბნ მიერ მოღებული სახეები და სიტყუბი, ახლა კიდევ სხუა სახეები მოვილოთ. ხედავთ, საყვარელნო, იფქლის ხურბალს, რომ მკუდარი არის, და როდესაც მიწას მიეცემა და დაღობება, შემდგომად განცხოველდება და აღიზრდება; ხედავ სწორებით, რომ ეს ასე არის; და ამ თვალით ხილულის მაგალითისაგან ირწმუნე, რომ მკუდარი კაცი განცხოველდება და აღსდგება. ძიდევ სხუა მაგალითი მოვილოთ: როდესაც მუცელსა შინა დედისასა ჩვილი დაისახვის, რისგან განცხოველდება? რითი მიეცემა სული? შექველი და ცხადი რამ არის, რომ ლეთისა მიერ ბრძანებით მიეცემა სული, მგრეთვე საფლავსა შინა მყოფთა ლეთისა მიერ მიეცემა სული და განცხოველდება.—ახლა წერილიდამ მოვილოთ ამისი სახე. იონა წინასწარმეტყველი რომ ვეშაპმან შთანთქავიკით, რომ ვეშაპის მუცლიდამ ცხოველი უვნებელად გამოვიდა. რითი იქმნა, რომ უვნებელად გამოვიდა? ლეთისა ძიერის ბრძანებით. მგრეთვე ლეთისა მიერის ბრძანების საფლავიდამ ცხოველი და უვნებელი გამოვა კაცი. ბრძანთ სიტყუა არის, ლომის ლეკვი მესამეს დღემდის მკუდარი არის; მესამეს

დღეს ლომი ხმას უყოფს და მკუთარს თავისს ლეკტს განაცხოველებს. მგრეთვე მკუთარნი მეორედ მოსლვის დღემდის მკუთარნი არიან. ჭრისტე რომ ლომად ითქმის,—ვითარცა იტყვის ლვთის-მეტყველი და მახარებელი დიდი იოანე გამოცხადებასა შინა: „ჰსძლო ლომმან, რომელ არს თესლისაგან იუდასსა, ძირმანმან ლავითიმან“—ეს ლომად წოდებული ჭრისტე კმას უყოფს და განაცხოველებს და აღადგინებს მკუთართა. აწ დასამტკიცებელად ამისა შემოვიყვანოთ თვით შთალი ლმერთი, წინასწარმეტყველი და მოციქული. შთალი ლმერთი მზეკიელ წინასწარმეტყველის პირით ამტკიცებს. როგორც ამ ჩტანის ქადაგების დასაბამში არის: „და განცხოველდეთ და ჰსცნათ, რამეთუ მე ვარ შთალი“, წინასწარმეტყველი კიდევ ამტკიცებს: „აღსდგენ მკუთარნი და აღემართენ საფლავთაგან“. მოციქული ჰხმობს: „მოკუთდემან ამან შეიმოსოს უხრწნელება“. საყვარელნო! თუ უძლიერესისა ლვთისა და მისთა წინასწარმეტყველთა და მოციქულთა არ ირწმუნოს, ვითარცა უღმრთო ჩტანგან ისე შორს ვჰყოთ. მაგრამ ერთი კითხუა კიდევ ვჰყოთ: რომელიც მკუთართა აღდგომისა ურწმუნო ხარ, ჭრისტეს აღდგომა გრწამს, თუ არა? თუ არა გრწამს, არც განხორციელდება, არც ჯუთარცმა სარწმუნოდ არ გეჰქნება; არც აღიარებ წმიდასა ქალწულსა, ლვთის-მშობელსა მარიამს! იელტოდე, შორს ჩტანგან ესე ვითარისა უღმრთოებისათვის! არა გიძს ნაწილი, არცა სამკვიდრებელი შენ ურწმუნოსა მორწმუნისათანა. ღა თუ ჭრისტეს აღდგომას აღიარებ, მკუთართა აღდგომაც უეჰველად უნდა ირწმუნო; ამისთვის რომ მოციქული ჰავლე ასრე ამტკიცებს და იტყვის: „შკეთუ გვრწამს, ვითარმედ ისსო მოკუთდა და აღსდგა, ეგრეთცა ლმერთმან შესტანებულნი იგი ისსოს მიერ მოიყვანნეს მისთანა“. — მკუთართა აღდგომისა ჩტანებისათვის და გამოცხადებისა მრავალი სახე ვაჩტანეთ, უუძლიერესი დამტკიცება ლვთისა მიერი. უუძლიერესი მოციქულთა და წინასწარმეტყველთა თქმულებითა დამტკიცება. სხუა მრავალი ჰეშმარტი სახე მოვილეთ მკუთართა

აღდგომისა საჩვენებელად, როგორც ესენი ყოველნივე ჩიტ-
ნის გონების უძლურებისაებრ ზემო ვაჩუქნეთ. აწ რომელიც
კიდევ სწორებით ვერ ხედავს მკუთართა აღდგომას და ურწმუნ-
ნო არის, ეს ვსტყვათ, უკანასკნელის აღდგომის ხედვა სული-
ერებრივი და კეთილი არის და რომელიც ცოდვისაგან მოუქ-
ცველი არის ის უფრო მშვინვიერი და პირუტყვის მიმსგავსე-
ბული არის, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ლავით: „ბაძვი-
და იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“. რადგან პირ-
უტყვის მსგავსი არის, სულიერს არ შეიწყნარებს, უგუნურებად
ჰრაცხს, ვითარცა მოციქული გვასწავებს: „მშვინვიერი არა შეიწყ-
ნარებს სულიერსა, რამეთუ სიცოფედ უჩნს მას“. მეორედ ამისთვის
ვერ ჰხედავს მთვრალი და ლოთად მდებარე. სადამდის მთვრალი და
ლოთად მდებარე არის კაცი, მადამდის სწორედ ნათელს ვერ
მიხედავს; და როდესაც ღვინის ლოთობისაგან განიფრთხობს, მა-
შინ სწორებით იხილავს ნათელს. მგრეთვე სანამდის ცოდვისაგან
მთვრალი და ლოთი არის კაცი, აღდგომის ნათელს სწორებით
ვერ მიხედავს; როდესაც განიფრთხობს ცოდვის სიმთვრალისა და
ლოთობისაგან, მაშინ სწორებით მიხედავს აღდგომის ნათელს.
მესამედ, თუ რასთვის ვერ ხედავს, მაგალითი დავსდეთათ: ლა-
ზარე რომ მკუთარი საფლავში იყო, თითონ იმ მკუთარმან რა
იყოდა საფლავში, მკუთართ აღდგომა რა იყო; როდესაც
ჰრისტეს კმისაგან სიკუთილს განეშორა და განცხოველდა, მა-
შინ ჰსცნა მკუთართ აღდგომა რა იყო. მგრეთვე სანამდის კა-
ცი ცოდვისაგან მკუთარი არის, — თქმისაებრ მოციქულისა:
„რომელნი ერთ გზის მოვკუტსდით შეცოდებითა“, — ასე ცოდ-
უთაში დაფლული რომ არის, არ იცის აღდგომა მკუთართა რა
არის; და როდესაც ჰრისტეს სიტყვისა მიერ ცოდვის სიკუთდი-
ლისაგან განცხოველდება და ვითარცა ლაზარე ცოდვის სა-
ფლავისაგან გამოვა, მაშინ ჰსცნობს აღდგომა რა ნათელი არის.
რადგან ამათ მიერ, რომელიც ზემო ვსტქუ, აღდგომის
უცნობელობა შეხუდება კაცს, აწ ამ სულიერებრივის სენის
მკურნალობა ვსტყვათ, თუ როგორ უნდა განიკურნოს კაცი.

თუ ვისმე ცოდვისაგან პირუტყუცბა აქტნდეს, პირუტყვის შესამსგავსი ეს არის: განიერმან და სიტყვიერმან აღვირით სწორე გზაზე უნდა იყვანოს; მაშ მოძღუარმან ცოდვისაგან პირუტყვ-ქმნილი კაცი თავისის სწავლის აღვირით სწორე გზაზე უნდა ავლინოს, და აღდგომის გზა ისე უნდა აცნობოს; ვითარცა იტყის წინასწარმეტყველი ლავით: „ხიმითა და აღვირითა უქცინე ლაწუნი მათნი, რომელნი შენ არა მოგეახლნეს“.

თუ ვინმე ცოდვისაგან მთვრალი არის, მარტვისაგან ჯანიურთხოს და ისე მიხედოს აღდგომას; და თუ მკუდარი არის (ესე იგი, თუ მომაკვდინებელს ცოდვაში არის), მაშინ ძრისტეს კმა ისმინოს, რომელსა იტყვის; „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განგისტანო თქტან“.

თუ ლაზარე განაცხოველა ძრისტეს ხმამან, ეს ძრისტეს ხმაც ცოდვისაგან მომკუდარს ისე განაცხოველებს და, ვითარცა ლაზარეს, ცოდვის დაფლულებისაგან გამოიყვანს, და მაშინ ჰსცნობს აღდგომის ნათელს.

თუ არც ერთი კურნების წამალი არ ნებავს, შესამსგავსი არის მისთვის სიტყუა იერემიასი: „ვჰკურნებდი ბაბილოანსა და არა განიკურნა“.

საყვარელნო, მორწმუნენო ერნო, რომელთაც აღდგომა გრწამსთ ჰეშმარიტებით, თქტანთვის ერთი მოშიშება მაქუს, არამც ურწმუნოთაგან უფრო არ დაისაჯოთ, ამისთვის რომ მაცხოვარი უფალი ასე გვასწავებს: „რომელმან იცოდეს ნება უფლისა თვისისა და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს იგი ფრიად“.

თქტან იცით ნება უფლისა (რომელ-არს აღდგომა მკუდართა) და თუ როგორ მას ჰნებავს, ისე არ განემზადებით,—ძრისტეს სიტყუა ასე აცხადებს,—უმეტესად, დაისჯებით.

აწ ის მოგახსენოთ შემოკლებით, თუ ძრისტეს როგორ ჰნებავს. ძრისტეს ასე ჰნებავს შენი განმზადება, რაც ძრისტეს მცნება არის, მხოლოდ ძრისტესი უნდა გეშინოდეს მცნების დამარხვისათვის, თორემ სხვისი მოშიშება არ უნდა გქონდეს.

თვით ძრისტე პირითა თვისითა გასწავებს და გეტყვის: „ნუ გეშინინ მისა, რომელსა შემდგომად მოწყვედისა არა რაჲმე აქტს, უმეტესი რამცა გი-

ყოს შენ; მისა გეშინოდენ, რომელსა შემდგომად მოწყვედისა ძალ-უძს შთადებად გენიასა მას ცეცხლისასა“. **თუ** სხვისა ჴიშისათვის ძრისტეს მცნებას დახსნი, უწყოდე, აღდგომისათვის კეთილად განმზადებული არა ხარ. **ჰიდევე** ჰნებავეს ძრისტეს შენი განმზადება და გიბრძანებს: „რომელმან გცეს მარჯტუნესა ყვრიმალსა, მიუპყარ მარცხენეცა“. **თუ** ასე არა ჰყოფ და შენ არა თუ მცემელსა შენსა უბრალოსაც ვისმე ბოროტს უყოფ, ჰსცან რომ ძრისტეს ნების მსგავსად არა ხარ განმზადებული. **ჰიდევე** ჰნებავეს ძრისტეს შენი განმზადება და ასე გამცნებს: „საუნჯე თქტსნი იყავენ, სადა მლილმან და მკამელმან არა განრყენის და სადა მპარავთა არა დასთხარიან და განიპარიან“. ამისი მსგავსი საუნჯე გლახაკთა აქტს: რასაც მათ მისცემ, შენტვის დამარხული იქმნება, ვნება არა შეეხება რა და აღდგომისათვის ჰეშმარიტი განმზადება ეს არის. **მაშინ** თვით ძრისტე განგიცხადებს: „რაოდენი უყავთ ერთსა მცირეთაგანსა ძმასა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“. ეს არის ჰეშმარიტი განმზადება, რომ გლახაკთა ავასხებდე. **თუ** ამას არა ჰყოფ და მხოლოდ სოფლიურთათვის წარაგებ შენს ცხოვრებას, უწყოდე, რომ კეთილი განმზადებული არა ხარ. **ნურვინ** ჰყოვნით კეთილს განმზადებას, ამისთვის რომ **შთალი** **იხსო** ასე გვიბრძანებს: „აწ უკტს თქტსნეცა იყტსნით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისა მოვიდეს“. **როგორც** **ნოეს** ჟამში სჰამდენ და სმიდენ, მეყვესეულად მოიწია წყლით რღტნა და წარილო ყოველი, არამც მხოლოდ სოფლის მოქცევაში იმისი მსგავსი სიკუდილის რღტნა არ მოვიდეს თქტსნეხედ. ამისთვის იყტსნით კეთილად განმზადებულ, მცნებისაებრ ძრისტესისა, რათა მადლი **შთლისა** **იხსოსი** იყოს თქტსნთანა აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. **ამინ**.





თავი 8. არა-წმიდის გზასა-ზედა უსეღელმობისათვის.

იტყვის ბრძენი სოლომონ: „გზასა ზედა არა-წმიდათასა ნუ ხვალ, ნუცა ჰბაძევ გზათა ჰსჯულის გარდამსვლელთა“. არა-წმიდა პირუტყენიც არიან, მაგრამ აქ პირუტყვისა და ქუცწარმსძრომელისათვის არ არის სიტყუა, არა-წმიდის კაცისათვის არის სიტყუა; ამითი ჰსჩანს, რომ ბრძენის სოლომონის სიტყუა ასე არის, არა-წმიდის სიტყუაზედ ზედ დაჰრთავს: „ნუცა ჰბაძევ გზათა ჰსჯულის გარდამსვლელთა.“ ამას რომ ამბობს,—„ჰსჯულის გარდამსვლელთა,“—ცხადი რამ არის, რომ პირუტყუთ წერილობითი ჰსჯული არა აქტს; მაშასადამე კაცის არა-წმიდებასა და უსჯულოებაზედ არის ბრძენის სოლომონის სიტყვა. მსევ უნდა ვსთქუათ: არა-წმიდება ცოდვის მოქმედება არის; სჯულის გარდასტულაც ისევ ცოდვის მოქმედება არის. მოციქულის ხმა არის კათოლიკეთა შინა: „ყოველმან, რომელმან ცოდუა ჰქმნა, მან უსჯულოება ჰქმნა“. აწ ეს არის ჩუენი საძიებელი: ბრძენი რომ გვასწავებს: „არა წმიდების გზაზედ ნუ ხვალ“, რა არის მათი გზა, ეს ვსთქუათ. არა-წმიდის გზა ეს არის: მხოლოდ სიტკბოება უყუა რსთ და სიტკბოებად ვლენან, როგორც ნოეს ჟამში არა

წმიდანი კაცნი ჰყოფდენ, მარტო ამ სიტკბოებაზედ იყვნენ შექცეულნი: იქორწინებდენ და განქორწინდებოდენ, სქამდენ და სმიდენ. **ღა** მარტო სიტკბოებაზედ ვლაც ცთომილის კაცის შესამსგავსი არ არის. ჰაველე მოციქული განგვიცხადებს და იტყვის: „რომელი იშუტბდეს, ცოცხლივ მკუთარ-არს“. **ღა** თვთ **შ**ფალი **ღ**მერთი თავისის ბრძანებითა და მოქმედებით, სასწავებელს სახეს გვიდებს, რომ ცთომილის კაცის მხოლოდ სიტკბოება არ არის ჯეროანი. **შ**იხილოთ თუ **შ**ფალი სიტკბოებასთან სიმწარესაც როგორ ჰსჯულად გვიდებს. **ა**დამს ჰური ტკბილი მისცა, მაგრამ სიტკბოებასთან სიმწარეც დაურთო და ჰრქუა: „ოფლითა ჰირისა შენისათა შქამდე ჰურსა შენსა“. **მ**ეას შვილი მისცა; შვილისაგან უტკბესი რა უნდა იქმნეს, მიხედეთ თუ რა ტკბილი არის! **ა**ბრაჰამს ჰრქუა **ღ**მერთმან: „შენ მიგცე ქუტყანა ეგე და ნათესავსა შენსა“; მაგრამ ჯერ რომ შვილი არა ჰყუნდა, **ღ**ვთისა მიმართ ასე მწუხარებით იტყოდა: „**შ**ფალო, რა მომიცე რამეთუ წარვსწყმდები უშვილოდ!“ — **ა**სე ტკბილი არის შვილი! მაგრამ **მ**ეასთვის მარტო შვილიერების სიტკბოება არ მიუცემია **ღ**მერთს, — სიმწარეც დაურთო და ჰრქუა: „მწუხარებით შუტნე შვილნი“. სოფელში ცხოვრება თუ როგორი ტკბილი არის, თვითვე იცით; დამამტკიცებელი სახე ამას არ ესახმარება; მაგრამ სიმწარეც თანა აქუტს, ვითარცა ბრძანებს **შ**ფალი თვისთა მოწაფეთა მიმართ: „თქუტან აწ ჰირი გაქუტს“; და მოციქული ჰაველე საზოგადოდ ყოველთაათვის იტყვის: ვიდრემდე ვართ სოფელსა შინა, ვშურებით და ვჰუტნესით“; არათუ მარტო ბრძენი სოლომონ გაყენებს მარტო სიტკბოებით მყოფობისაგან, — გაყენებს მარტო სიტკბოებით მყოფობისაგან ბრძანება **ღ**ვთისა და საქმენი მისნი და სიტყუა მოციქულისა, როგორც ესენი ზემო წარმოიჩინა. რომელნიც ჩემებრ სიტკბოების მოყვარენი არიან, ეგების სიმწარის თავსდება არა ჰყონ, მაგრამ მე ვერას დაფვარავ. მოციქული ჰაველე იტყვის: „**შ**ოველი განცხადებული ნათელ-არს“. **უნ**და ჰეშმარიტი განვაცხადო: ორი არის სიმწარე, ერთი თითონ თავისის ნებით მიღე-

ბული, როგორც არის სინანული თავისის ცოდვისათვის. ეს სიმწარე და ჭირი უდიდესს სიხარულს მოსცემს, ვითარცა იტყვის მოციქული პავლე: „მცირე ესე ჭირი ჩუენი დიდსა გარდარეულსა სიხარულსა ცხოვრებისა საუკუნოსასა შეიქმს ჩუენ შორის“. მეორედ უნებლიეთ შეხდომილი, რომელ არს სატანჯველი ამასვე სოფელსა. ქუცყანასა ზედა მყოფს ორისაგან ერთი თანა-ადს: ანუ თავის-თავად სინანულის ჭირი და სიმწარე უნდა იტვირთოს და ანგელოზად წოდებით ანგელოზთ უნდა შეერთდეს; ანუ საუკუნო სატანჯველს უნდა მიეცეს. მგების სთქუას ვინმე: მიწიერს კაცს თავის ანგელოზად წოდება როგორ ძალ-უძს? მე გიჩუენებ მიწიერს კაცს, ბუნებით შენს თანა-სწორს, რომ ანგელოზად იწოდა, ვითარცა დიდი იოანე წინამორბედი და ნათლის-მცემელი, შენებრ მიწით შობილი იყო, შენის ბუნების იყო; აწ მიხედე, თუ ვისგან იწოდა ანგელოზად?—თვით ძემან ლეთისამან, იცხომ უწოდა ანგელოზად და სთქუა: „მე წარვაელინო ანგელოზი ჩემი წინა-შე პირსა ჩემსა“, რომელმან განმზადნეს გზანი ჩემნი წინა-შე ჩემსა! ახლა აქ ერთი რამ საძნელო არის: შენ თავის-თავის ანგელოზობა დიდად და შეუძლებელად გიჩნს და თუ ჭრისტეს მოწაფეობისაგან არ განხვალ, ჭრისტე მოძღვარი არის შენი, ვითარცა იტყვის მახარებელი იოანე: „ერთ არს მოძღვარი თქუენი ჭრისტე“. ღა მოძღვარი შენი, იცხო, შენგან უფროსს ითხოვეს ანგელოზად წოდებისაგან; ასე გიბრძანებს: „იყუენით სრულ, ვითარცა მამა თქუენი სრულ არს“. შენ ანგელოზობას ძნელობ და უფალი იცხო უუდიდესს საუკუნო მამის სრულებას გაწვევს. არ ვიცი, აქ რას დაზავებასა ჰყოფ. აქ კიდევ მაცხოვრისა იცხოს სიტყუა უნდა მოვიხსენოთ, რომელსა ბრძანებს: „არა არს მონა უფროს უფლისა თვისისა“. რადგან მონა უფროსი არ არის უფლისაგან, უფალი იცხო რომ ქუცყანად მოვიდა, იწროებით და ჭირით იყო, კაცობრივის ბუნებისაებრ, ამას თვით მაცხოვარი ბრძანებს: „არა აქუეს ძესა კაცისასა, სადა თავი მიიღრიკოს“. ახლა აქ მიხედე,

შენ, მცირე მონა; სიტკბოებას ეძიებ და ის გსურის და უფალი შენი, იესო, ქრისტეანასა ზედა იწროებით იყო. აქაც არ ვიცი, რას დაზავებასა ჰყოფ. საყვარელნო! ანგელოზება ძნელად აღვიჩნდა და ვერ ჰყავ, — ძრისტიმან მამისა თვისისა მსგავსება გაწვია: თუ ანგელოზება ვერ ჰყავ, ის უფრო უუზესთაესი არის, — მამისა ლეთისა მსგავსებას უმეტესად ვერ ჰყოფ. მამ ჯერ ეს მცნება იპყარ, რომელსაც ბრძენი სოლომონ გამცნებს: „გზასა არა-წმიდათასა ნუ ხტალ“, რომ ამისგან უდიდესს სრულებაში ახვიდე. არა-წმიდის გზა, როგორც ზემო ვსთქუ, მხოლოდ სიტკბოების მინდობა არის. და შენ თუ ლეთის მონება გნებავეს, მხოლოდ სიტკბოებას ნუ მიენდობი. მოიხსენე, ყინც უფლისა ლეთისა მონა იყო, სიმწარე შეიტკბო; მამად ლეთისად წოდებულს ლავითს მიხედე, თუ ვითარი სიმწარე შეიტკბო და თუ ვითარის სიმწარის სასმელს სმიდა. თვითვე კმობს და იტყვის: „სასმელი ჩემი ტირილითა ჩემითა განვზავი“. თუ დიდი ლავით ასე სიმწარის სასმელს სმიდა, რაოდენ შენ უფროს თანა გაძს, რომ შენის ცოდვისათვის სიმწარე იტვირთო. აწ იობს მიხედე, თუ რა საკვირველი მართალი იყო. თვითვე ლმერთი სწამებს მისთვის და იტყვის: „არავინ არს კაცი მისებრი ქრისტეანასა ზედა“; აწ ამასაც მიხედე, თუ რა ძნელი სიმწარე იტვირთა: ყოველის დიდებისაგან აღსავსე ყოველითურთ ცალიერ იქმნა და წყლულებითა აღსავსე სკორეთა ზედა მჯდომარე იყო, მადლობით მიითვალა და ჰსთქუა: „უფალმან მომცა და უფალმან მიმილო“. ამისთანა საკვირველმან მართალმან ამისთანა სიმწარე იტვირთა! შენ ჯერეთ განუმართლებელი და ცოდუაში მყოფი, რაოდენის უმეტესის სიმწარის თანამდები ხარ, შენ საჯე! თვინიერ სიმწარისა ქრისტეანასა ზედა გლახაკიც არ არის: ლაზარე-გლახაკს მიხედე, მდიდრის წინაშე როგორ იწროებით იყო და ჰირით. — სიმწარის მიღებისათვის სახედ მოგეც უფალი იესო, მეფე დიდი ლავით, მართალი იობ, გლახაკი ლაზარე. თუ არც ერთს არ მიითვალავ, მე ვერ გაიძულე, — არც შეჭვავს იძულება, ამისთვის რომ იოანე ღამას-

კელი იტყვის: „იძულებითი კეთილი არა კეთილ არს“. საყვარელო, ცხადი რამ არის შენგან, რომ მწუხარება არ გნებავს და მხოლოდ სიტკბოებით ძრისტეს მოწაფეობა არ იქმნება, და ლიტონი სახელი რად გნებავს, რომ ქრისტიანებს ეძახი თავის თავს: ცალიერი სახელი არად სახმარი არის. შრიშინე ფილოსოფოსი იტყვის: „სახელნი უკეთუ დასცილდენ მნიშვნელობისაგან არა-რამე არიან“. მე გეტყვი: შენი ქრისტიანობის სახელი ძრისტეს მოწაფეობის მნიშვნელობისაგან დაცილებული არის, და შენთვის არა რამე სარგებელი არის. თუ დაცილებული არ არის, ძრისტეს მოწაფენი სახედ მოვილოთ, იმათში შთაბედლოთ და იქედამ ვსცნათ. შთაბედე ძრისტეს მოწაფეთა და მათში ამ ქცევას იხილავ: იქცეოდენ ხალხებითა და თხის ტყავებითა, ნაკლულევანნი, კირვეულნი, ძვირ-ხილულნი. შენ რადგან სიმწარე გძაგს, ესენი შენ შორის არც ერთი აღმოჩნდება, შენ თხელის სამოსლით და სხტა-და-სხტა საცვალბელით და ფუფუნებით იქცევი. ძრისტეს მოწაფენი ასე იყვნენ, როგორც თითონ იტყვიან: „ვიდევენებით და თავს-ვიდევით, მგმობართა ჩჷსნთა ვულოცავთ“. რადგან სიმწარე გძაგს, ვერც დევნას თავს იღებ, ამისთვის რომ დევნა დიდი ჭირი რამ არის; ვერც მგმობარს ულოცავ შენ, ამისთვის რომ ამასაც დიდი მოთმინების ჭირი შეუდგება. ძრისტეს თავის მოწაფენი ქეშპარიტებით ეტყოდენ ამას: „ჩჷსნ ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ“. მსეც შორს არის შენგან! თუ ერთის ჭამის სიტკბოებას ვერ დაუტევებ, ყოველსავე ვითარ დაუტევებ? ძრისტეს მოწაფენი ასე იყვნენ: „არცა ერთმან ვინმე სთქვის მონაგები თვისი თვისად“, მათი ქონებული ყოველივე ასე საერთოდ სახმარი იყო. შენ მეტის სიტკბოს მოყვარეობისაგან სხტათაგანაც იტაკებ, თორემ შენსას არას აძლევ: ძრისტეს მოწაფენი ასე იტყვიან: „მორჩილება ჯერ არს ლეთისა უფროს, ვიდრე კაცთა“. ისინი ასე ჰყოფდენ: ლმერთს უფრო ემორჩილებოდენ კაცისაგან: შენ სიტკბოების შიშისათვის კაცს უფრო ეშიშვი ლეთისაგან. ძრისტეს მოწაფენი ქეშპარიტებით

ძრისტეს სიყვარულს ამტკიცებდენ, ვითარცა დიდი პეტრე თავის-თავისაგან ძრისტედ სიყვარულზედ თვთ ისსოს მოწაფედ მრიყვანს და იტყვის: „**უფალო, შენ ყოველი იცი და ყოველი უწყი, რამეთუ მიყვარ შენ**“; თვთ ძრისტე ემოწმა, ამითი ჰსჩანს, ძრისტემან უბრძანა: „**დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი**“; და შენ არ გემოწმება ძრისტე თავის სიყვარულზე, ამისთვის რომ თავისის სიყვარულის ნიშნად ამას ბრძანებს: „**რომელსა ვუყვარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენინ**“. — შენ მის მცნებას არ იმარხავ, რომ მოღვაწებისა და სათნოების ჰირს ეკრძალები; მაშასადამე არა გიყურარ. **ზონიერებით მიხედე, თუ მხოლოდ სიტკბოების მინდობამ ძრისტეს მოწაფეობისაგან ვითარ განგაშორა. აწ ამისი სახეები მოვიღოთ კიდევ, თუ მხოლოდ სიტკბოების მინდობამ კაცი ვითარ დაამდაბლა. ადამ გველისაგან მორთმეულს სიტკბოებას მიენდო, და ჰრქვა ლმერთმან: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე“!** მიხედე რა საშინელად დაემხო! ისავ მიენდო საზრდლის სიტკბოებას და მამისაგან პირ-მშობის კურთხევა ვერ მიიღო და დაემხო. **მგრეთვე შენ, მხოლოდ სიტკბოების მინდობილი, ლეთისა მამისაგან სასუფეველის პირმშობის კურთხევას ვერ მიიღებ და დაემხობი. მიხედე, იუდა ვეცხლის სიტკბოებამ როგორ დაამხო: თავისის უფლისა და მოძღვრის განმცემელად ჰყო, ძედ წარწყმედისა ჰყო და ჰკრებულისაგან განხადა, ასე საძაგელი ჰყო!** ძრისტემან თქვა მისთვის: „**უმაჯობეს იყო მისსა, არა თუმცა შობილ-იყო კაცი იგი! ჰურიათაგან უმეტეს საძაგელ ჰყო, ვითარცა ამტკიცებს ისსო მაცხოვარი: „მიმცემელსა ჩემსა უდიდესი ცოდვა აქვს**“. აწ ამას მიხედლოთ: პეტრემ რომ სიმწარე მიითვალა, — ვითარცა იოანეს თავსა შინა წერილ-არს მისთვის; „**გამოვიდა გარედ და სტიროდა მწარედ**“, — ამან სიმწარემან უარის-ჰყოფა ძრისტესი განუქარვა, ძრისტეს მოწაფედ ჰყო და მისთა ცხოვართა მწყემსად დაადგინა, ვითარცა ჰრქვა ძრისტემან: „**დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი**“. **ნეტარ ამისგან უსაწადღელსი სხვა რა უნდა იქმნეს? მხოლოდ სიტკბოების მინ-**

დობამ რაოდენი ბოროტი შეამთხვია კაცთა,—მცირედრე ითქუა.

აწ ესე ესთქუათ ჩუჲნის შეძლების მსგავსად, რომელთაც სიტკბოება განაგდეს და სიმწარე იტვირთეს, თუ რა სიტკბოება და კეთილი მიიღეს. იოსებ იაკობის ძემან სამაცთურო და წუთ-ჟამისა მრუშების სიტკბოება განაგდო და პენტეფრეს ცოლს არ დაემორჩილა, უფროსად სიმწარე თავს იღვა დატევება სამოსელთა, ლტოლვა და მწარესა საპყრობილესა შეწყვედევა. მს სიმწარე რომ იტვირთა, ნაცვალი სიტკბოება მიიღო: მგვიპტის მთავრად და უფლად დაიდგინა შარაოს მიერ, ვითარცა კმობს წინასწარმეტყველი ლავით: „და დაადგინა იგი უფლად სახლისა თვისისა და მთავრად ყოვლისა მონაგებისა მისისა“. ძიდევ იოსებმან დამაბნელებელი შურის ძიების სიტკბოება განაგდო, განმსყიდველის ძმებისათვის შური არ დაიღუა თავის გონებაში, და შეპყრობისა და განსყიდვის სიმწარე მოთმინებით თავს იღვა. ნაცვალი ეს სიტკბოება მიიღო: როდესაც შეიდ-წელ მწარე სიყმილი რომ მოიწია ქტყანასა ზედა თვით თავის-თავად სიყმილისაგან ენება არ შეხებია, სხუანი ყოველნი მან გამოზარდნა; სხუათა-თანა მისი განმსყიდველნი ძმანიც სიყმილისაგან მან იხსნა; შეილიერ იქმნა და ესოდენ ჟამ სცხონდა, თავისი შეილის მესამე ნათესავი იხილა. ძიდევ სამთა ყრმათა ნაბუქოდონოსორ მეფისა ტაბლის სიტკბოება მოიძაგეს და განაგდეს, ცეცხლის სიმწარე აღირჩიეს და უუძლიერეს აღზნებულს ცეცხლში შეგდებულ იქმნენ; მიხედვ თუ რა ძნელი სიმწარე იტვირთეს! მაგრამ ამასაც მიხედვ, თუ რა საკვირველი სიტკბოება მიიღეს: ძე ლვთისა მათთან ცეცხლსა შინა გარდამოხდა, ვითარცა ნაბუქოდონოსორ თვალით მხილველი სწამებს: „ხილვა მეოთხისა, ვითარცა მსგავსი ძისა ლვთისა“; ცეცხლისაგან უვნებლად გამოვიდნენ და ასე დიდებულნი შეიქმნენ, თითონ ნაბუქოდონოსორ მეფემან თაყვანისცა. აწ ძრისტეს მიერი იგავი მოვიღოთ: მეზვერემ ფარისევლისაგან ყვედრების სიმწარე იტვირთა, უგუნურთა კაცთაგან ტკბილად სახედველი ნაცვალი ყვედრება შორს განიოტა,

თავისის ცოდვისათვის მკერდზედ იცემდა და სულთქმით თავისის ცოდვის მოტევებას ითხოვდა, ზე აღხილვას არ იკადრებდა. ამის სიმწარისა ნაცვალის სიტკბოება საუკუნო განმართლება მიიღო, ვითარცა ბრძანებს უფალი იცნო: „გარდამოვიდა განმართლებული მიერ სახიდ თვისად“. ახლა მოციქულნი მოვილოთ სახედ. მოციქულთ ყოველი უტყბა სოფლისა შეურაცხჳყტს, სიმწარე და ჳირი თავს იღვეს ჳრისტესთვის; ვითარცა ხმობს მოციქული პავლე: „ჳირნი ავაზაკთაგან, ჳირნი ძმათა მტყუართაგან“ ამის ჳირისა ნაცვალის მოციქულთ რა მიეცა, თვთ ჳრისტე ახცადებს და იტყვის: „ნეტარ არიან თვალნი, რომელნი ხედვენ, რომელსა თქვენ ხედავთ და ყურნი, რომელსა ესმის, რომელი თქვენ გესმისთ“. საყვარელო, ჳხედავ, თუ როგორის სიტკბოების მომცემელი არის სათნოების ჳირი და სიმწარე? იმისი სახეები მოგართვი, თუ უჯერო სიტკბოებამ რაოდენი სიმწარე და უბადრუკება მოატყუა კაცთა. აწ მოციქულის თქმის მსგავსად გამოიძიე და უკეთესი სათნოებისა და მოღვაწებისა ჳირი შეიკრძაღე. თუ უძღურებას დასდებ მიზნად და იტყვი: „უძღური ვარ და სათნოების ჳირი არ ძალმიძს“,—ჯერ ამას გეტყვი: შენ არ ძალგიძს, ჳრისტეს მიერ უნდა შეიძლო, ვითარცა იტყვის მოციქული: „ყოველივე ძალ-მიძს სგანმადღიერებელისა ჩემისა ჳრისტეს მიერ!“ ახლა ერთი მაგალითი მოვილოთ: დაცემულს რომ აღდგომა არ შეეძლოს, ხელი სხუას ვისმე ძლიერს უნდა მისცეს და ძლიერმან უნდა აღადგინოს; აგრეთჳც ცოდვაში დაცემულს, თავის-თავად აღდგომა არ შეუძლია და თავისი ნება ხელის ნაცვლად ძლიერს ჳრისტეს უნდა მისცეს და ის აღადგინებს, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ლავით: „ინებე და აღადგინოს შენ, რომელმან აღადგინის გლახაკი და სკორეთაგან აღამაღლის დავრდომილი“. აწ ამას გეტყვი: უძღურებას რომ სდებ შენს თავს, ვე ჳეშმარიტი არ არის; თუ რასათვის არ არის ჳეშმარიტი, ვაჩუენოთ. მიხედვ თავის-თავს, თუ ერთის მრუშებისათვის რაოდენი მაშტრალობა გიქმნია: ღამეში უწესოდ ვლა, უგვანთა აღგიღოთა მიმოსლოტა, წარსაწყ-

მედელის საფარის მიცემა, განცხადებისათვის შიში და ძრწო-
ლა;—თუ ესოდენი მაშურალობა კი შეგიძლია ცოდვისათვის,
მოღვაწეების კირი რასთვის არ ძალგიდს? რომელი სიმართლე
აქტს ამ თქმას: რისხვა კი შემიძლია და სიმშვიდე არა? რის-
ხვას ესოდენი სასჯელი შეუდგს: უწესო ხმა-მალლობით ზახი-
ლი ხმისა, უგუნური მეტყველება გინებისა, შფოთება გონები-
სა და მწუხარება; რისხვას ესოდენი სასჯელი შეუდგება; სიმ-
წვიდეს მხოლოდ ერთი მოთმინება უკმს და უმრავლესი რის-
ხვის სასჯელი თუ ძალ-გიდს, უმცირესი,—ერთი მოთმინება,—
როგორ არ შეგიძლია? აქ განცხადებული უნდა ვსთქვათ,—რო-
მელიც ამას იტყვის: „სინანული არ ძალ-მიძს“, ის კაცი სწო-
რედ ეშმაკის მსგავსი არის: ეშმაკმან ცოდვა კი შეიძლო და
სინანული არ ძალ-უძს; ეგრეთვე, რომელიც კაცი ცოდუას კი
იქმს და სინანულს არა, სწორებით ეშმაკის თვისება აქტს. ასე
ვსთქვათ: ყოვლითურთ უძლური ცხედარზედ მდებარე ხარ,
თუ ინებებ, მაშინც ძალ-გიდს სინანული, ვითარცა იტყვის წი-
ნასწარმეტყველი ლავით: „სარეცელთა თქტანთა ზედა შეინა-
ნეთ“. ძიდევ იკითხავ: „მდებარემ რა სინანული უნდა ჰყოს!?“
მე გიჩუბნებ, თუ რა სინანული ჰყო: მეზვერის მსგავსი მდა-
ბალი გონება მოიგე, ისე სიმდაბლით ლეთისა მიმართ ხმა ჰყავ:
„ღმერთო, მილხინე, ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე“. რო-
გორც ის განმართლდა ლვანისა მიერის მოწყალებით, ისე შენ
განმართლდები. ლა თუ ვისმე ამისი შიში და ძრწოლა გაქტს,
რომ მოხუცებულობისაგან მოუძღურებული ხარ და ამას ჰფიქ-
რობ, ძლიერი სინანული არა ძალ-გიდს და მცირის სინანული-
სათვის ამას იქნეულე, შენმა ცოდვის სიმრავლემ სასწორში
არ სძლიოს სიკუდილის ჟამში, ამისი მწუხარება თუ გაურევბს,
აქ ერთი სანუგეშო სიტყვა უნდა მოვილოთ. თუ სწორებით
ცოდვისაგან მოქცეული ხარ და ჰეშმარტი აღსარება გაქტს,
რადგან ასე უძლური ხარ, რომ ცხედარზედ მდებარე ხარ,
ძრისტეს მიერის მადლით შენი მცირედი სინანული ასე გან-
დიდდება, რომ შენს ცოდუას სასწორში, სიკუდილის დღეს,

შენმა მცირედმა სინანულმა ჰსძლიოს. ავაზაკის სინანული მცირე იყო, მაგრამ ძრისტეს მიერმან მადლმან განადიდა და ავაზაკი სამოთხედ მიიტაცა.—მგრეთვე შენისინანული უძლურების ჟამისა მცირე არის, მაგრამ ძრისტეს მიერი მადლი შენის ცოდვისაგან უდიდესად წარმოაჩენს.—შითარ? როდესაც სიკუდილის ჟამში ცოდვის აღწონვას იწყებენ, მაშინ უფალი იცნობს, რასაც ზაქარია წინასწარმეტყველის პირით იტყვის, შენს მცველს ანგელოზს იმ სიტუტას უბრძანებს: „აღწონეთ, მიეცით სასყიდელი ჩემი“, ესე იგი, რომელიც წყლულება ცოდვილთაოვის თავს ვიდევ, ჩემის წყლულების სასყიდელი მცირედს სინანულზედ დასდევით და მიეცით. ამითი განდიდდება უძლურების ჟამში ქმნილი მცირე სინანული შენი, და მკვიდრი იქმნები ძრისტესთანა, რომლისა არს დიდება, პატივი და თაყვანისცემა, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.





თავი 9. ისმინე ცაო და ყურად იღე ქვეყანაო: მენი ვშვენ და აღვამაღლენ, ხოლო მათ შეურაცხ-მყუტს მე.

ბრძანებს უფალი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: „ისმინე ცაო და ყურად იღე ქტყყანაო, რამეთუ ძენი ვშტუნ და აღვამაღლენ, ხოლო მათ შეურაცხ-მყუტს მე“. ეს ჭეშმარიტებით ყოველთა მეცნიერთათვის ცხადი რამ არის, ცასა და ქტყყანასა სასმენელი არა აქტს—და არცა სმენა; მაგრამ ცისა და ქტყყანისა თქმითა ანგელოზთა და კაცთა ჰნიშნავს, და ამ ორთა უბრძანებს ლმერთი: „ძენი ვშტუნ და აღვამაღლენ და მათ შეურაცხ-მყუტს მე“. ანგელოზთა და კაცთა მიმართ ამ სიტყვის თქმა რას აცხადებს? ჩემის უმეცრების გონებით ამას ვგონებ, ეს თქმა ამას აჩტსნებს, რომლითაც ლმერთი შეურაცხ-მყუტს და მადლითი ძეობა ლეთისა განაგდეს წინაშე ძრისტესსა, ანგელოზთა და კაცთა შორის, თავისის ცოდვისაგანვე შესმენილი და განქიქებული უნდა იქმნეს. „ისმინე ცაო და ყურად იღე ქტყყანაო“,—ერთად ეს სიტყვა ბასრობა და ყტ-ბდრება არის მათი, რომელთაც ლმერთი შეურაცხ-მყუტს. უსულოსა და უგრძნობელს ცასა და ქტყყანას კი ესმის ლეთის სიტყუა, და რომელიც კაცი ლმერთს შეურაცხ-ყოფს და მისს მადლით-ძეობას განაგდებს, მას არ ესმის ლეთის სიტყუა. უბრ

ღანა ლმერთმან ქტყანასა: „აღმოაცენენ ქტყანამან მწვანე-
ლი თივისა“ და აღმოაცენა; უბრძანა ლმერთმან ცასა: „იყ-
ნენ მნათობნი შორის სამყაროსა ცისასა“, და იქმნა ეგრეთ,
უბრძანა ლმერთმან კაცთა მოციქულის ჰარით: „განეშორენით
ბოროტსა და შეეყვენით კეთილსა“, — ლვთის შეურაცხის-მყო-
ფელთა ეს არ ისმინეს. **ცხადად იტყვის წინასწარმეტყველი**
ლავით უკეთურთათვის: არავინ არს, რომელმანცა ჰქმნა კეთი-
ლი!“ **უკეთურებისაგან ასე ყრუ შეიქმნა სიტყვიერი კაცი.** სა-
მართალი არის მასზედ ლავით წინასწარმეტყველის სიტყუა მო-
ვილოთ: „თვადი ასხენ და არა ხედვენ, ყურ ასხენ და არა ეს-
მის“; ამისთვის რომ ვერ ხედვენ, ლმერთმან როგორ აღამაღლა,
და არც ესმის ლვთის სიტყუა. რადგან ისინი ვერ ხედვენ,
ჩეტნ ვაჩტნოთ, თუ როგორ აღამაღლა ლმერთმან კაცი.
პირველად ამითი აღამაღლა, ეს პატივი მისცა, სამოთხესა ში-
ნა დაადგინა, ვითარცა იტყვის მოსე ლვთისა მზრახველი: „და
დაადგინა იგი ლმერთმან სამოთხესა მას საშვებელისასა“. **მს**
სამოთხე რომ თავისის ურჩებით დახშო და თავისა თვისისათ-
ვის დაჰკარგა, მოსცა საკვირველი სიმაღლე: მამამან ლმერთ-
მან კაცთა თავისი ძე მოსცა, ვითარცა მახარებელი **იოანე**
იტყვის: „ესეოდენ შეიყვარა ლმერთმან სოფელი, ვიდრეღა ძე-
ცა თვისი მხოლოდ შობილი მოსცა მათ“; და ამან, ძემან
ლვთისამან, ასე აღამაღლა კაცი — მაღლით ლვთის ძეობა მო-
სცა, ვითარცა იტყვის კვალად **იოანე მახარებელი:** „მოსცა
მათ კელმწიფება შვილ ლვთისა ყოფად“. **შდიდესი სიმაღლე**
რომელი იქმნება? მიწიერი კაცი ძრისტეს ძმად იწოდა და მაღ-
ლით საუკუნოს მამის ძე იქმნა, ამის შემდგომად მიეცა სასი-
ხარულო სიმაღლე უხილავ მტერზედ, როგორც ენებება, ისე
თავისს ფერხთა ქტყსე დამორჩილებს ძრისტეს ლვთისა მაღ-
ლითა, მათ ძალი ასე მოაკლდა; ვითარცა იტყვის წინასწარ-
მეტყველი ლავით: „მტერისა მახვილსა მოაკლდა სრულიად“; —
და უხილავისა მტერის დამორჩილება ვითარი სასიხარულო არის,
ძრისტეს მოწაფეთაგან ჰსცანით: ძრისტეს მოწაფეთ ეშმაკნი

რომ დაიმორჩილეს და უკუნ აქციეს, ასე მხიარულ იქმნენ, მეტის მხიარულებისაგან მოვიდენ და თვით ძრისტეს ახარეს: **შფალო, ეშმაკნიცა დაგვემორჩილებიან ჩჷსნ სახელითა შენითა“.** ამისთანა სასიხარულო ძღვევის სიმაღლე მოეცა კაცთა! ძიდევე აღამალა **ღმერთმან** კაცი: არათუ ამ უქტუნაესს სოფელში მისცა სამკვიდრებელი, არამედ ზენას სასუფეველში, ვითარცა იტყვის პავლე: „არა გვაქტს აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ“; და ჩჷსნ რომ ვეძიებთ, მის ადგილისა განშადებად თვით ძრისტე **შფალი წარვიდა, ვითარცა სთქტა:** „მე წარვიდე და განგიშადო თქტუნ ადგილი“, მიხედვე, რა სიმაღლე აღუთქტა კიდევე კაცთა ძრისტემან: „**ღა წარგიყვანნე თქტუნ თავისა ჩემისა თანა და სადაცა მე ვიყო, მუნცა მსახური ჩემი იყავნ“.**

მს მოგახსენვე, საყვარელო და წარმოვეთქვი, თუ **ღმერთმან** ვითარ აღამალა! აწ ვსთქტა და მოგახსენო, თუ შენ ვითარ შეურაცხ ჰყავ. ძე **ღვთისა იესო შენდა ცხოვრებად მოვიდა, — თვითვე ბრძანებს:** „მე მოვედ, რათა ცხოვრება აქენდეს და უმეტესი აქენდეს“. **შფალი შენთან მოვიდა და შენ არ შეიწყნარე. ღიდი იოანე მახარებელი ცხადად გამხილებს ძრისტეს შეუწყნარებლობას და იტყვის;** „თვისთანა მოვიდა და თვისთა იგი არა შეიწყნარეს“. **ძგების არ იცოდვე, თუ შეუწყნარებლობის მიზეზი არა გაქტს? რადგან ეშმაკი შეიწყნარე და მას მორჩილებ და ცოდტაში ხარ, ძრისტეს ვითარ შეიწყნარებ? სადაღა გაქტს ადგილი ძრისტეს განსასტუნებელი? მოციქულის ემა მოიხსენვე:** „რა ზიარება არს ძრისტესი ბელიარისთანა, ანუ რა შეტყტება არს ნათლისა ბნელისთანა?“ **თვით შფალი იესო გიბრძანებს, რომ შენ შორის განსასტუნებელი ადგილი არღარა აქტს:** „არა აქტს ძესა კაცუნასა სადა თავი მიიდრიკოს“. **ძგების სთქტას ვინმე:** „სულ უცოდველი კაცი არა იქმნება: თქმულ-არს, არავინ არს უცოდველ გარნა მხოლო **ღმერთი;** და მცირის ცოდვისათვის ძრისტე არ მომიძაგებს და არ განმაგდებს“. **მს სიტყტა შესაწყნარებელს**

არის, მაგრამ ეს კი უნდა ჰყო, არა მცირედი ცოდუა აღსარე-
ბითა და სინანულითა უნდა მოკლა, თორემ ძრისტეს კიდევ
განგაშორებს. მოიხსენე თქმული უფლისა მიერ: „და მოიყვან-
ნის სხვანი შეიღნი სულნი უბორეტესნი და შევიდის კაცისა
მის და დაიმკვიდრის მის შორის და იქმნის უკანასკნელი კა-
ცისა მის უძვირეს პირველისა“. რომელიც მცირე ცოდუას აღ-
სარებითა და სინანულითა არ მოჰკლავს, ასე უძვირესი საქმე
შეხვდება და ძრისტე განგდებული შეიქმნება მის კაცისაგან, და
უღიდესი შეურაცხყოფა რა იქმნება? საკვირველი ეს არის—მი-
წიერმან კაცმან საუკუნოს მამის ძე არ შეიწყნარა და განაგ-
დო! მაგრამ საუკუნოს მამის-ძემან უკურნებელად წყლულება-
ში რომ იხილა კაცი, უღვაწად დატევებული შეიწყალა და იღ-
ვაწა მისთვის. ღა თუ ვითარ?—ესთქჳთათ: ძრისტეს—მიერ
თქმული იგავი რომ არის: „ქაცი ვინმე გარდამოვიდოდა იე-
რუსალიმით იერიქოდ, და ავაზაკნი დაესხნეს, განსძარცვეს და
სწყლეს და დაუტევეს მწყდარი; მღვდელი ვინმე შთამოვიდო-
და მასვე გზასა, იხილა იგი და თანა-წარხდა; ლევიტელი ვინ-
მე მასვე გზასა მოვიდოდა; იხილა იგი, და თანა-წარხდა; მერ-
მე სამარიტელი ვინმე მოვიდა მასვე ადგილსა, იხილა იგი და
შეეწყალა და შეუხვია წყლული იგი, დაასხა ზეთი და ღვინო
და აღსუა კარაულსა, და მოიყვანა იგი, და ჰრქჳს სადგურის
მოღუაწესა მას: იღვაწე ეგე და თუ რაჲმე წარაგო, უმეტესი
რა მოვიდეს; მიგცე შენ“ საყვარელო! ეს იგავი კაცზედ არის.
ქაცთა ბუნება, სამოთხილამ გამოვრდომილი, ამას ქჳსყანასა
ზედა მოვიდოდა, ეშმაკნი დაესხნენ, ჰსწყლეს სიკჳდილის წყლუ-
ლებით და დაუტევეს მწყდარი; ძველისა ჰსჯულისა მამათ მთა-
ვართა, მღუღელთა შთამოუარეს, მაგრამ ვერა არგეს რა, მე-
რმე შარიამისგან შობილი ძრისტე უფალი მოვიდა, შეიწყალა
კაცი, და დაასხა ზეთი და ღვინო (ესე იგი ნათლის ღება და
ზიარება) და შთააბარა ეკლესიის მოძღვართა, და ორი დრაკა-
ნი მისცა (ესე იგი ძველი და ახალი ჰსჯული), ამითი ზარდევო;
თუ შენსას რასმე წარაგებ (ესე იგი კეთილს სწავლას და მცნე-

ბას), მეორედ მოსლოვისათვის სასყიდელი აღუთქვა. ჭრისტემან ასე შეიწყნარა კაცთა ბუნება, და კაცთა ბუნებამ კი შეურაცხ-
ჰყო. თუ ვითარ, — ახლა მეორედ ვაჩუქნოთ: აღგამალლა ლმერ-
თმან ნათლისღების ბრწყინვალის სამოსლითა და შენ შეურაცხ-
ჰყავ და ცოდვისაგან დაბეკულ და მწვირიან ჰყავ; აღგამალ-
ლა ლმერთმან, რომ მადლით ძე ლეთისა გყო და ჭრისტეს
ძმად გიჩინა, — შენ შეურაცხ-ჰყავ და ჭრისტეს ძმობა განაგდე.
რადგან ნათლის ღების ბეჭედი ცოდვისა — მიერ შებღალე, ჭრი-
სტეს ძმად აღარ იცნობები. მიხედე, შენი ჭრისტე რა საში-
ნელს ხმას გიბრძანებს: „არა გიცნი თქვენ, ვინანი ხართ“.
ასე შეურაცხყოფილი არის შენგან ჭრისტე, თავის საკუთრად
ვერ გიცნო! არ ჰგონო, რომ მარტო ჭრისტე იყოს შენგან
შეურაცხ-ყოფილი: რადგან შეურაცხ-ჰყავ ძე, საუკუნო მამაც
შენგან შეურაცხ-ყოფილი იქმნება. იგივე უფალი იესო ამ-
ტკაცებს: „რომელმან არა პატივსცა ძესა, მან არა პატივსცა
მამასა“. საყვარელო, ეშმაკმან თუ რა გვარად საწყალობელად
დააწყალოლა კაცი, ზემო მოგახსენე; ესეც მოგახსენე, თვინი-
ერ ჭრისტესსა სხუამ ვერაჲინ განკურნა. აწ ამას მეცნიერებით
მიხედე, მწყლელი ეშმაკი ისევ დგას და მკურნალი ჭრისტე გა-
ნაგდე! რომლის საქმით ჰგონებ ცხოვრებას? — სხვითი შესაძლო
არ არის, თვინიერ ჭრისტესა, ვითარცა იტყვის მოციქული
პეტრე: „არცალა არს სხუა სახელი მოცემული ცასა ქრისტე,
რომლითაც შემძლებელ იყო კაცთა ცხოვრება“; მოციქული
პავლე იტყვის: „ყოველი განცხადებული ნათელ არს“. უნდა
განგიცხადო: თუ იუდას მიემსგავსე და მისებრ ჭრისტე შე-
ურაცხ-ჰყავ, შენც მსგავსად მისსა ძე წარწყმედისა უნდა გეწო-
დოს; ესეც უნდა შენზედ ვსთქათ: „მსგავსმან მსგავსისათანა
განიხტნოს“ (ესე იგი, მსგავსმან იუდასმან იუდასთანა). და
თუ ჭრისტე არ შეურაცხ-ყავ და ამისი სასოება გაქუს, საცნო-
ბელს სახეს მოგართმევ და ამითი უნდა წარმოჩნდეს, უარ-
ყავი თუ არა. ჭრისტემან ლმერთმან აღგამალლა და უხილავის
მტერის ფერხთა ქრისტე შემუსვრის ძალი მოგცა, ვითარცა გი-

ბრძანებს პირითა წინასწარმეტყველისა ღვთისითა: „ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხვიდოდი შენ და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი“. შენ თუ მას ემორჩილები და ეშმაკს არ სთრგუნავ და ძრისტეს მადლით შეკრულს ისევ გახსნი, ცხადად ძრისტეს შეურაცხის მყოფელი ხარ და ჯოჯოხეთის საპყრობილის ღირსი. თუ ვითარ—ამისი მაგალითი მოვილოთ. მართლ-მსაჯულნო, ამისი სამართალი სწორებით საჯეთ: ერთს სოფელში ასეთი მგელი შემოვიდა, რაც იმ სოფლის ცხოვარი იყო, რომელიმე მოჰკლა, რომელიმე სასიკუდილოდ დააწყლულა, ერთი ცხოვარი არ მორჩენილა, წყლულება არ დაედუას; ყოველი ცხოვარი წყლულებას მისცა; მასვე სოფელში ერთს დედა-კაცს ერთი კრავი ყუჰანდა; კრავსა ამას მგელმან სხუა კრავის მსგავსად წყლულების დადება მოუხდომა, ჰსძლო კრავმან და მგელი მოაუძლორა და შეჰკრა. მს კრავისგან შეკრული მგელი რომ ვინმე გახსნას, ის კაცი საპყრობილისა და სატანჯველის ღირსი არის თუ არა? ზგონებ სწორის სიმართლით ასე განასამართლოთ: ის კაცი საპყრობილისა და სატანჯველის ღირსი არის. ამის მსგავსად, საყვარელნო, ამას სოფელსა შინა შემოვიდა მგელი, რომელ არს ეშმაკი, რაც სიტყვიერი ცხოვარი არის, რომელიმე წარსაწყმედელს ცოდვის წყლულებას მისცა, რომელიმე ცოდვისა მიერ ხორციით სიკუდილს მისცა; დედაკაცს, ღვთის-მშობელს მარიამს კრავი ჰყუჰანდა, ესე იგი ძრისტე, რომელიც კრავად ითქმის, ვითარცა ხმა ჰყო ღიღამან წინამორბედმან იოანე: „აჰა კრავი ღვთისა, რომელმან აღიხვნეს ცოდუანი სოფლისანი“; ამის კრავისა სხვის სიტყვიერის ცხოვარის მსგავსად ეშმაკმან ენება იწადა, ჰსძლო კრავმან, რომელ არს ძრისტე, და შეჰკრა ეშმაკი; ეს რომ ვინმე გახსნას, სამართლად საუკუნო საპყრობილის ჯოჯოხეთის ღირსი იქმნება. აწ ეს ვაჩუპნოთ ძრისტეს სიტყვიით, რომ ძრისტემან ეშმაკი შეჰკრა. ადამის ცთომისათვის, ძრისტეს მოსულამდის, ეშმაკი ძლიერად იხილებოდა: ადამის ძენი მან მიიტაცა და ჯოჯოხეთში შეაწყვდია; მოვიდა ძრისტე, პირველად ეშმაკი ჯუარ-

ცმითა და ვნებითა თვისითა შეჰკრა, და მერმე ჯოჯოხეთში იავარ ჰყო და მორწმუნენი იხსნა. იესომ რომელიც აღასრულა, თვითვე სიტყვით წარმოაჩინა; პირველად შეჰკრას ძლიერი იგი და მაშინდა საუნჯენი მისნი იავარ ყუნეს. ძიდევ სხტა სახეებით ვაჩტანოთ ეშმაკის უძღურება: ძრისტემან რომ კაცი საგან ეშმაკი განაძო, მაშინ ეშმაკი ევედრა ლმერთს: „მობრძანე რომ ღორებში შევიდეთ“; აქ მიხედვე, თუ ვითარი უძღური არის, — ღორზედაც არა აქუს ძალი. მგების ვინმე სთქუას: „მაშინ თვით ძრისტე იყო შემრისხველი, და ამისთვის იყო ეშმაკი უძღური“; — და ახლაც შენთან ძრისტე არის, ასე გობრძანებს, უტყუველის პირით: „მე თქუანთანა ვარ, ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“. ლა თუ ამას იტყვი: „ეს მოციქულთ უთხრა“, — მარტო მოციქულთათვის არა არის, სხტათა მორწმუნეთათვისცა არის ძრისტეს სიტყუა, ვითარცა ბრძანებს შტალი ჩვენი იესო: „არა ამათვის ხოლო გკითხავ, არამედ სხტათა ყოველთათვის, რათა რწმენეს სიტყვითა მათითა ჩემდა მომართ“. შეიქმნა მტკიცე, რომ ძრისტე შენთან არის და როგორც გინდა ისე ეშმაკს უკუნ აქცევ. პავლესი ისმინე: „ყოველივე ძალ-მიძს განმაძლიერებელისა ჩემისა ძრისტეს მიერ.“ ძრისტეს მიერ რასაც ითხოვ, ეშმაკზედ ყოველსავე ძალს მოგცემს. ლავით წინასწარმეტყველი გიმტკიცებს და იტყვის: „ნება მოშიშთა ჰყოს და ვედრებისა მათისა შეისმინოს“. ეშმაკი ასე უძღური არის, ადამისითგან სოფლის დასასრულადმდე რომ იძიო, მისის ძალით ძღეულის ვერვის იხილავ. მიჩტანე ერთი, თუ რომელს ჰსძლია? თუ ადამს მიჩტანებ, მე გკითხავ, რომლის ძალით აიძულა ეშმაკმან? ვერას მიჩტანებ ამის მეტს: ადამ თითონ თავისის ნებით დამორჩილდა. თუ ეშმაკს ადამზე ძალი ექმნა, ადამ ლმერთს ასე ეტყოდა: „ეშმაკმან მძლიაო“, სხვას მიხეზს არ ეტყოდა. ჰსჩანს რომ, მას კაცზედ ძალა არა აქუს. ნეტარ, ცოცხალს რომ მკუდრის ეშინოდეს და მისგან ძრწოდეს — მის უმეტესი უძღური რაღა იქმნება? ეშმაკი ცოცხალი არის და ხორციითა


მკუდრის წმინდათა ნაწილებისაგან სძრწის და უკუნ-იქცევა; ამისგან უფრო უძლური ვინ იქმნება? **თუ** ეშმაკს ასე ეშიშვი, რომ **ჰრისტეს** მოწაფეზედ ძალა რამე ჰქონდეს, ამას ჰგონებ, აქ ერთი რამ შეგემთხუტავა. **მგვიპტილად** გამოსრულნი ისრაელნი უცხო თესლის ბრძოლისაგან შეშინდნენ **მოსეს** ეამში, და ამის მიზეზისათვის აღთქმის ქტყსაანა ვერ დაიმკვიდრეს; ეგრეთვე რომელიც **ჰრისტეს** მოწაფე **მგვიპტილად** (ესე იგი ცოდვის ვნე-ზილად) გამოსრულა ხარ, ეშმაკის ბრძოლისაგან ნუ შეშინდები, თორემ სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებ. **როგორც** ისუს ხელში უცხო მოსრეს და აღთქმის ქტყსაანა დაიმკვიდრეს, ეგრეთვე **იესოს** ხელში მისმა მოწაფემან ეშმაკი შენგან უნდა მოსპო, და აღთქმის ქტყსაანა (ესე იგი სასუფეველი) უნდა დაიმკვიდრო.

ჩტპნის ქადაგების დასაბამი მოვიხსენოთ, რომელსა ბრძა-ნებს **შფალი**; „ძენი ვშტპნ, და აღვამაღლენ, და მათ შეუ-რა ცხ-მყტს მე!“ რომელი მიზეზი არის, არ ვიცი, რასთვის უნდა შეურაცხ-ჰყოს კაცმან **ღმერთი**? **მრავალი** სიმაღლე მო-სცა, როგორც ზემო წარმოვაჩინეთ; ეშმაკს კაცზედ ძალა არა აქტს, თუ თითონ კაცი არ დამორჩილდა, ესეც ზემო წარმო-ვაჩინეთ; და რა არის მიზეზი, რომ კაცი **ღმერთს** შეურაცხ-ჰყოფს? ეგების რომელიც **ღმერთს** შეურაცხ-ჰყოფს, არ ჰგონებდეს, არც **ჯოჯოხეთს** და არც სასუფეველს. **შექველად** ეჰგონებ, მიზეზი ეს იყოს. **თუ** კი სასუფეველსა და **ჯოჯო-ხეთსა** ჰგონებდეს, არც **ღმერთს** შეურაცხ-ჰყოფს; მაგრამ არც ერთს არ ჰგონებს **ღვთის** შეურაცხის მყოფელი. **მრავალნი** ამასაც იტყვიან: „ვინ მოვიდაო“. **ახლა** ჩტპნ საღმრთო სუ-ლის შეწვევით ზეცილად ვინ მოვიდა ისიც ვაჩტპნოთ და სა-სუფეველი და **ჯოჯოხეთიც** წარმოუჩინოთ; ესენი ვაჩტპნოთ **ღვთისა** მიერ წერილთა და კაცთა მიერ. **თუ** არც ერთი არ ირწმუნო, ნურც ჩტპნ მისს ურწმუნოებას ვირწმუნებთ და ჩტპნგან, ვითარცა ეშმაკი, ისე შორს ვიოტოთ. **ჯერ** ესე ვა-ჩტპნოთ, ზეცილად ვინ მოვიდა. **ძე** **ღვთისა** **იესო** მოვიდა, თვით **იესო** მაცხოვარი სწამებს ამას; „გამოვედ **მამისაგან** და

მოვედ სოფლად“. **თ**ვით მოციქულნი, სულითა წმიდითა გან-
წმედნი, თვალთ ხილვას ამტკიცებენ და იტყვიან: „**შ**უა-
ლი ვიხილეთ თვალთა ჩუნითა და ხელნი ჩუნი მსახურებ-
დეს სიტყუასა მას ცხოვრებისასა“. **თ**ვით ეშმაკნი: ჰსწამებენ
ძრისტეს მოსლუას და იტყვიან: „რა ძეს ჩუნი და შენი,
იესო ძეო ლეთისაო, მოხვედ უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩუნი-
და“. **ე**შმაკმან აღიარა ძრისტეს მოსლვა, და სიტყვიერმან კაც-
მან როგორ უნდა იიკუთნოს ეს, რომ ზეცილამ ვინ მოვიდა?.
აწ სასუფეველი წარმოვაჩინოთ. საყვარელო! თუ არ არის სა-
სუფეველი, შენი გონება რას ეძიებს, რომ სურვილისაგან ვერ
დასდგება? **ან** ესე ვსტყათ: ყოველი ქრესტყანა ერთს კაცს
აქუნდეს, ვითარცა დიდსა აღექსანდრეს მაკედონელსა, მაშინც
მისი გონება ვერ განისტუნებს: ჰსწუხს და სხუასა-და-სხუას
გამოეძიებს. ასეთი კაცი არ იბოება, ყოველს ჟამნი მისი გო-
ნება სხუასა-და-სხუასა არ ზრუნვიდეს, და არ ეძიებდეს. რა
არის გონების ასე დაუდგრომელობა? **ბ**უნებითი სურვილი
აქუს სასუფეველისა ჩუნი სიტყვიერს სულს და იმას ეძიებს;
სადამდის სასუფეველს არ მოიპოვებს, გონება ზრუნვისაგან ვერ
დადგება. ჩუნი უმეცრებით ვერ ვხედავთ, თორემ ჩუნი გო-
ნების განუსტუნებლობა სასუფეველის ძიება არის: გონება და-
უკლებელს და უზრუნველს ცხოვრებას ეძიებს,—ეს სასუფევე-
ლი არის; მას გარდა უზრუნველი ცხოვრება შესაძლო არ არ-
ის. ჩუნი გონების წუხვა და სხვისა და სხვის გამოძიება რომ
სასუფეველის ძიება არის, ამას მოციქული ჰავლევ ამტკიცებს
და იტყვის: „**მ**იდრემდე ვართ სოფელსა ამას შინა, ვშვრებით
და ვკუთნესით და საყოფელი იგი ჩუნი ზეცით გამო შემოსად
გესურის“. **თ**ვით შენის თავისაგან მოციქულის მოწამეობით
გიჩუნიე, რომ სასუფეველს ეძიებ. **მ**აშასადამე არს სასუფე-
ველი. **თ**უ სასუფეველი არ არის, ჰავლევ სად მიიტაცა? **შ**თ-
ქმელი სიტყუა სად ესმა? **ბ**ილევ ჰავლევ რომ იტყვის. „**შ**უა-
ლი თვალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კა-
ცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა **ლ**მერთმან მოყვარე-

თა თვისთა!“ **თუ** სასუფეველი არ არის, სხვა ადგილი რომელი არის ამისი მსგავსი, თვინიერ სასუფეველისა?—სხვა ადგილი ამისებრი არა სადა იპოვება. მაშასადამე არს სასუფეველი. **ნეტარ** თუ სასუფეველი არ არის, **ჭრისტე** რომლის ადგილისათვის იტყვის: „მე წარვიდე და განგიზადო თქვენ ადგილი“. **ქეშმარიტად** არს სასუფეველი საუკუნო, რომელი განუმზადა **ღმერთმან** მოყვარეთა თვისთა. **რადგან** სასუფეველი არის მართალთათვის, უეჭველი არის ეს, რომ ცოდვილთა სატანჯველად ჯოჯოხეთი არის. მაგრამ **ჩუპნ** მაშინც სიმტკიცით ვაჩუქნათ. **თუ** ჯოჯოხეთი არ არის, მდიდარი რომ ევედრა **აბრაჰამს**: „მამო აბრაჰამ, მოავლინე ლაზარე გლახაკი, რათა დააწოს მწვერვალი თითისა სასასა ჩემსა და განმიგრილოს მე ენა ჩემი, რამეთუ ვიწვები მე ალითა ცეცხლისათა“—სიღვან იყო ეს? **თუ** იტყვი იგავი არის,—**ჭრისტეს** მიერ თქმული იგავი ან აღსრულებული არ იყოს და ან არ აღსრულდეს, არ იქმნება; თვითვე ბრძანებს: ცანი და ქრისტიანა წარხდეს, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა სადა წარხდეს“. **თუ** ჯოჯოხეთი არ არის, დიდმან წინამორბედმან **იოანემ** მოციქული რომ მიუვლინა **ჭრისტეს**: „შენ ხარა მომავალი, ანუ სხვასა მოველოდეთა“; წინასწარმეტყველების მადლით უწყოდა დიდმან წინამორბედმან **ჰეროდესგან** თვისი სიკუდილი, და **ჭრისტეს** ჯვარცმამდის ყოველნივე ჯოჯოხეთს მივიდოდენ, დიდი **იოანეც** იქ უნდა მისრულ-იყო,—და **ჭრისტეს** ჰკითხავს დიდი წინამორბედი: ჩუპნდა გამოხსნად ჯოჯოხეთში შენ შთამოხუთალ, თუ სხუას მოველოდეთ? **თუ** ჯოჯოხეთი არ არის, რათ ჰკითხვიდა? **თუ** ჯოჯოხეთი არ არის, სულითა წმიდითა აღსავსე წინასწარმეტყველი **ღვით** რასათვის იტყოდა: „აღმოვიყვანე ჯოჯოხეთით სული ჩემი და მიხსენ მე მათგან, რომელნი შთავლენან მღვიმესა“. აღმოჩნდა მტკიცედ მართალთათვის სასუფეველი, ცოდვილთათვის სატანჯველი ჯოჯოხეთისა. მართალთადაცა და ცოდვილთა შიში და კრძალვა მართებს: მართალთა ამისთვის, რომ მათთვის განმზადებული სასუფეველი არ წარსწყმიდონ და სიმართლის მდგო-

მარეობისაგან არ დაეცნენ, ვითარცა იტყვის მოციქული პავ-
ლე: „რომელი ჰგონებდეს დგომასა, ეკრძალებ, ნუ უკვე დაე-
ცეს“. **მოდვილთა** ამისთვის, რომ დაუსრულებელს ცეცხლს
არ მიეცნენ, არამედ მოიქცნენ და აღსდგენ დაცემულებსაგან
კოდვისა; რათა ზოგებით მაღლი ჰრისტიესი გაქტნდეს ყოველ-
თა აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 10. მსჯელობისათვის.

ბრძანებს უფალი ღმერთი პირითა იერემია წინასწარმეტ-
ყველისათა: „ვახში ვახნსა ზედა, ზაკუა ზაკუასა ზედა, არა
ინებეს ცნობა ჩემი!“ აქ ერთი ლექსი ამ სიტყვაში ძალითად
არის, თუ ამ ლექსს არ წარმოვაჩინოთ, ამ სიტყვის სისრულე
კეთილად არ წარმოჩნდება. ეს ლექსი არის ძალითად ჰყტსს,
და ასე ითქმის ეს სიტყვა: „ვახში ვახნსა ზედა ჰყტსს, ზაკუა
ზაკუასა ზედა ჰყტსს, და არა ინებეს ცნობა ჩემი“. ახლა სწო-
რედ წარმოჩნდა ეს სიტყვა. მინც ვახშს და ზაკუასა ჰყოფს,

შულისა ღვთისა ცნობა არ ნებავს. მაგრამ დღეს ვახ-
შისათვის მეტყველება დავაცადოთ და მარტო ზაკვისათვის
ვიმეტყუტებოთ; ამისთვის რომ დღეს ეს გვეკმაება გამოსაცხა-
დებლად. ზაკუა, მდაბიურად რომ გამოვაცხადოთ, ასე ითქმის:
პირით კეთილის ზრახვა და გულის შინაგან ბოროტისა. ახლა
ვის უნდა ვამხილოთ ეს ზაკუა? მინ უნდა მოვაქციოთ? თუ
ეშმაკს დავუწყუოთ ლაპარაკი, ყოველითურთ ცუდი და ამოა მა-
შურალობა იქნება, ამისთვის რომ ვიცით კეთილს ის არას შეი-
წყნარებს; ღამასკელის იოანესაგან ასე გამოცხადებული არის:
„უსხეულო ბუნება ერთ-გზის ქცევადი არის: ეშმაკი რომ ბო-
როტი შეიქმნა თავისის ნებით და ბოროტი აღირჩია, კეთილს
ველარ შეიწყნარებს“; ანგელოზმან რომ კეთილი აღირჩია, ის
ბოროტს ვერ მიითვალავს, ის კეთილი ანგელოზისა; და რომე-
ლიც სრულიად უღმრთო არის, თუ იმას უქადაგოთ, ესე კანო-
ნიერი არ იქმნება, ამისთვის რომ ჯერ სრულიად ის უღმრთო-
ებისაგან უნდა მოვაქციოთ და ღმერთი უნდა ვარწმუნოთ და
მერმე ეს უნდა ვამხილოთ; თორემ თუ ღმერთი არ ირწმუნა,
მისთვის ყოველი მხილება და სწავება ცუდი და ამოა არის. და
თუ ჭრისტეს მოწაფეს უქადაგოთ, როგორ უნდა ვირწმუნო,
რომ ჭრისტეს მოწაფე მზაკუარი იყოს? ჭეშმარიტად განსაცვიფრე-
ბელი რამ არს და არც დავირწმუნებ, ჭრისტედ მოწაფედ სახელ-
დებული—მზაკუარი იყოს. მაგრამ ერთს რასმე, ზეშთა საკვირ-
ველს, ბრძანებს შუალი იესო: „მომიძულეს მეცა და მამაცა
ჩემი“. რადგან მამა და ძე მოიძულეს, უეჭველად ზაკუასაცა
ჰყოფენ; თორემ ჭრისტეს მოწაფეობა და ზაკუა ყოველითურთ
დაუზავებელი არის. ჯერ მოციქულის ისმინეთ, როგორ დაუ-
ზავებელი არის: „რა ზიარება არს ბნელისა ნათლისათანა; ანუ
რა შეტყუება არს ჭრისტესი ბელიარისათანა!“ აწ ჭრისტეს-
გან ისმინეთ, თუ მზაკუარი როგორ შორს არის მისის მოწა-
ფეობისაგან. ჭრისტემ რომ ხუთის პურით ხუთი ათასი განაძლო
და შეიღის პურით ოთხი ათასი, მაშინ ერთმან სიმდიდრის მო-
ყუარემ ზაკვით ჭრისტეს შედგომა ინება,—მდიდარი შევიქმნე-

ბიო; მოვიდა და მოახსენა ძრისტეს: „მოდღუარ! მიგდევდე შენ, ვიდრეცა ხვიდლოდი“. ძრისტემან რომ იცნა მისი გონების ზაკუა, შორს განიოტა და რქუა: „მელთა ხვრელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს სადა თავი მიიდრიკოს“. მიხედე, თუ თავის-თავისაგან ვითარ განიშორა! აწ წინასწარმეტყველის პირით მზაკუარს როგორ განიშორებს, უმანკოსა და წრფელს ვითარ შეიერთებს, იმას მივხედოთ: „შმანკანი და წრფელნი შემემოყვენს მე“. მზაკუარი აქ შორს განყენებული შეიქმნა; და რადგან მზაკუარება კაცს ასე განაყენებს ძრისტესაგან, ცხადი არის, რომ მზაკუარება ყოვლისავე ძრისტეს მიერ მოცემულის მადლისაგან განაშიშვლებს კაცს. თუ ვითარ, — ვიხილოთ: ნათლის-ღებისაგან და მადლისა მისისა ცალიერ ჰყოფს, ვითარცა სიმონ მოგვმან ნათელს იღო, მაგრამ მზაკუარებისათვის მადლისაგან ცალიერ იყო; მოციქულთ ასე უთხრეს: „არა გიძს ნაწილი, არცა სამკვიდრებელი ჩუბნთანა, რამეთუ გული შენი არა არს წრფელ ლეთისა მიმართ“. ზაკუა მღჭდელობისაგანაც განაყენებს და გარეშე განიყვანს, ვითარცა იუდა განიყუანა და გარეშე განაყენა მღჭდელობისაგან თქმისაებრ იოანე მახარებლისა: „ზანვიდა და იყო ღამე“. საღმრთოს მადლისაგან განაშიშვლებას რად ვამბობ, უფრო შესაძრწუნებელი ეს არის: ზაკუა ასე უცხო ჰყოფს ძრისტესგან, ძრისტეს სახელსაც ველარ იტყვის, ასე სრულიადს დაბნელებას მიეცემა; და თუ ვითარ, — წარმოვაჩინოთ. ქეთილად და სარგებლად ძრისტეს სახელის თქმა არავის შეუძლია, თუ სული წმიდა არა აქუს მკვიდრად თვის შორის, ვითარცა იტყვის მოციქული; „და ვის ძალ-უძს თქმად უფალი იესო, გარნა თუ სულითა წმიდითა“; და სულს წმიდას მზაკუარი ვერ მიიღებს, ვითარცა მზაკუარმან სიმონ ითხოვა, მაგრამ ვერ მიიღო, და ასე, რადგან სულს წმიდას ვერ მიიღებს, ვერც თვისდა საკეთილოდ ძრისტეს სახელს მოიხსენებს; შეიქმნა კაცი ზაკვისაგან სრულიად განწირული და დაბნელებული! სახეზედ ერთი რამ ვნება ექმნება კაცს და როდესაც სარკეში შთაიხედავს, მაშინ უფრო

სწორებით ჰსცნობს, თუ ვითარი წყლულება აქტს თავის სახე-ზედ, აგრეთვე რომელთაც ზაკვის წყლულება აქტს სულის სახეზედ, მოვიდეთ და საცნობი სარკე მივართვათ, და თუ ვითარი ძნელი წყლულება არის ზაკვა, იქედამ სცნან.

სამღვდელმთა იუდა მოვართვათ სარკედ, და იქედამ ცნან, თუ რა ძნელი წყლულება არის სამღვდელმთათვის ზაკვა. მრის კაცთა სიმონ მოგვი მოვართვათ სარკედ, და იქედამ ჰსცნან, სიძნელე ზაკვის წყლულებისა. იუდა მღვდელობისაგან შორს ყოფას აჩუბნებს და სიმონ მოგვი ნათლის-ღების მადლისაგან ცალიერ და უნაყოფო ქმნილებას აჩუბნებს. და თავის თავის წყლულებას თუ არ ირწმუნებს ვინმე და კეთილის რასმე მოღებას ელის, ზემო შემოკლებით ვაჩუბნეთ; თუ მზაკვარი კეთილს როგორ ვერ მიიღებს, მაგრამ აქ კიდევ ვაჩუბნოთ, რომ მზაკუარი კეთილს ვერას მიიღებს. მზაკვარება ასე ძნელი რამ სენი არის,—მიღებულს კეთილსაც დაჰკარგავს, ვითარცა იუდას მადლი მოციქულებისა აქტნდა და ზაკვისათვის შორს იქმნა მისგან მადლი მოციქულებისა. თუ ქონებული კეთილი ზაკუამ დაჰკარგა, უეჭველად მზაკუარი კეთილს ვერას მოიპოვებს. მიხედვ, სიმონ მოგვმან რა კეთილი მოიპოვა?—პრა რაჲ! მგრეთვე მზაკუარი ვერას კეთილს მოიპოვებს. თუ რასთვის,—**იაკობ** მოციქულისაგან ვისწაოთ. **იაკობ** მოციქული იტყვის: „ყოველი მოცემა კეთილი და ყოველი ნიჭი სრული, ზეგარდამო არს შთამომავალი მამისაგან ნათელთასა“. **იაკობ** ასე აცხადებს: „ყოველი კეთილის მოცემა ლმერთისაგან არის, და მზაკვარი ლვთისაგან განდგომილი და უცხო არის, და რით უნდა მოიპოოს კეთილი? ძიდევ ვაჩუბნოთ, თუ მზაკუარი ლვთისაგან როგორ უცხო არის: მზაკუარება ძალის მიმსგავსება არის; ძალდი პირად ლიქნის და ეფერება და ფარულად წყლულება ჰნებავს; აგრეთვე მზაკუარი პირად სიტკბობებით ზრახავს და გულში ვნებას იწურთის, ძალის მიმსგავსებული ლვთისაგან ყოველითურთ უცხო და შორს არის, ეს ცხადი რამ არის. ძიდევ ვაჩუბნოთ, თუ მზაკუარი ლვთისაგან როგორ

შორს არის. პავლე მოციქული იტყვის: „მეტყველი ეგე მსახურება თქტუნია“. **თუ** მსახურება მეტყველი არის, მზაკუარის ცრუ-მსახურება ცხადად მეტყველებს ლეთისაგან შორს ყოფას, და ცხადად აჩუნებენ ამას საქმენი. **თუ** ვითარ, —ესცნათ. **ძრისტეს** ლეთისა მახლობელნი მოწაფენი ასე გვასწავებენ: „იტყოდეთ ქეშმარიტსა კაცად კაცადი მოყვისისა მიმართ თვისისა“ ისინიც ასე ქეშმარიტებით იქცეოდენ; და მზაკუარისაგან ეს ქეშმარიტება უცხო არის, რომლითაც **ძრისტეს** მოწაფენი იქცეოდენ. მათსადამე მზაკუარიც **ძრისტეს** მოწაფეობისაგან შორს არის. **ძრისტე** ქეშმარიტება არის, ვითარცა თვით ბრძანებს: „მე ვარ გზა და მე ვარ ქეშმარიტება“, და მზაკუარებასიცრუე არის. **აწ** მიხედე, თუ სიცრუე ქეშმარიტებისაგან როგორ შორს არის, ვგრეთვე მზაკუარიც **ძრისტეს** ლეთისაგან შორს არის. მგების ჰტიქრობდეს ვინმე მზაკუარი: ვინ იგრძნობს ჩემს ზაკუას? ასე ესთქათ, კაცმან ვერ იგრძნოს; მაგრამ კეთილი რა გაქტს ამითი? **შმეტესად** საშინელი უბადრუკება გაქტს, რომ ეშმაკს მიმსგავსებულ-ხარ: ვერც იმის დაფარულს ზაკუას იცნობს კაცი, და ამითი მას მიმსგავსები-ხარ, და უკანასკნელს აღდგომაში, მსგავსად მისსა, უნდა განიპატიეო, ამისთვის რომ ისიც კაცისა მიმართ ჰყოფს ზაკუას და შენც ამისგან: ორნივე მსგავსნი ხართ ერთმანერთისა. **აქ** ერთი რამ საკვიროვოდ მაქტს: შენ ზაკუას ამისთვის ჰყოფ ვისდამე მიმართ, რომ ნაკლებობა მისცე რამე, და რასთვის ჰყოფ ამას? **თუ** რამე გაკლს, —**ძრისტე** გპირდება: „ითხოვდით და მოგეცეს“; თუ არა გაკლს რა, რად სძულობ მოყუასსა და ძმასა შენსა? **თუ** მაშინაც არ შეიგონებ და ძმისა მიმართ ზაკუასა და სიძულვილს არ დახსნი, —მას ვყრას აენებ, შენს თავს დიდს ვნებას დასდებ. **მორივე** ეს დიდის სიმტკიცით გიჩუტნო. მას **ძრისტე** ნეტარებას აძლევს: „ნეტარ იყვენთ, რაჟამს მოგიძულნენ თქტუნ კაცთა“; ჩვენ დიდი მოციქული **იოანე** ამას ვაებასა გვაძლევს: „რომელსა სძულდეს ძმა თვისი, იგი ბნელსა შინა არს“. **არ** უწყი, თორემ შესაძრწუნებელს საქმეშიდ ხარ: შენ ასე ჰგონებ. მიწიერს ლიტონს კაცს ემზაკუარე-

ბი და ყოველივე შენი მზაკუარება ძრისტეს ლეთისა მიმართ არის. თვით ძრისტეს ლეთისა სიტყვით და მოციქულთა სიტყვითა დაგიმტკიცო ესე. თუ მცირეს და მდაბალს ვისმე ემზაკუარები, მაშინც ასე გიბრძანებს ძრისტე: „როდენ უყავთ ერთსა მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მეყავთ“. თუ ძრისტეს მოწათეს ვისმე ემზაკუარები, კიდევ ძრისტეს სიტყუა ასე არის: „რომელმან თქუენ შეურაცხგყენეს, მე შეურაცხ-მყოფს“. მიხედვ, თუ შენის ძმისა მიმართ ზაკუას ძრისტე თავის-თავისათვის არ ჰრაცხდეს. ახლა მოციქულთ სიტყუა ისმინე: ვინც მათდა მიმართ ზაკუა ჰყო, ის ზაკუა ლეთისა მიმართ შერაცხეს, ვითარცა ანანია და კოლმან მისმან მზაკუარება ჰყუტს მოციქულთა მიმართ, რომელიმე საფასე დაუფარეს; მოციქულთ ეს მზაკუარება ლეთისა მიმართ შერაცხეს და ჰრქუტს ანანიას: „არა ეცრუე შენ კაცთა, არამედ ლმერთსა!“ მიხედვ რა ცთომილებაში ხარ, ლმერთს ემზაკუარები! მსეც ჰეშმარიტებით უწყოდე, თუ ზაკუა შენგან არ მოსპე, სასუფეველს ვერ მიიღებ. თუ ვითარ ვერ მიიღებ, — გამოვაცხადოთ. იაკობ მოციქული იტყვის: „რომელმან მოაქციოს ცოდვილი გზისაგან საცდურისა, მან იხსნას სული თვისი სიკუტდილისაგან და დაჰფაროს სიმრავლე ცოდვათა თვისთა“. იაკობ ასე აცხადებს: რომელმან კაცი საცთურისაგან მოაქციოს, ის დაჰფარავს თავის ცოდვის სიმრავლეს; და რომელიც მზაკუარებასა ჰყოფს, ის საცთურისაგან არ მოაქცევს, უფრო შეაცთუნებს, და შემაცთუნებელი ვერ დაჰფარავს თავის ცოდვის სიმრავლეს; და თუ ცოდვის სიმრავლე არ დაიფარა, არც სასუფეველის მიღება იქმნება. მაშასადამე თვინიერ ზაკვის მოსპობისა მიღება სასუფეველისა არა იქმნების.

ჩუენი ქადაგების დასაბამი მოვიხსენოთ: „ვახში ვახშა ზედა, ზაკუა ზაკუასა ზედა, არა მიცნეს მე!“ აცხადებს ეს სიტყუა: ზაკვის მოქმედი უფალს ვერ იცნობს; და არა თუ მარტო ამ სიტყვით არის ცხადი, რომ მზაკუარი უფალს ვერ იცნობს, ძრისტეს სიტყვითაც ცხადი არის. უფალი იესო ასე ბრძანებს: „ნეტარ იყვენენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ

ღმერთი იხილონ!“ შთაქტირიტე ძრისტეს სიტყუას: „წმიდა გულითა იხილავს ღმერთს“, და რადგან იხილავს, კიდევ ჰსცნობს, რამდენსაცა კაცი დაიტევს. ახლა უფლის სიტყუა ასე აცხადებს: ზაკვით აღსავსე გონება ღმერთს ვერ იხილავს და, რადგან ვერ იხილავს, ვერცა ჰსცნობს, და უხილავი და უცნობო სრულიად დაღიწყებული იქმნება. აწ მიხედეთ, თუ ზაკვამ მზაკვარს რა სენი შეამთხვია: თავის-თავი მოძულებაში შთააგდო და ყოველივე თვისი მყოფობა საცთურში დააქეს მზაკვარს. ვითარ?— მს ზემორე გამოცხადდა ძრისტეს მიერის სიტყვის ძალით, რომ მზაკვარმან ღმერთი სრულებით დაიღიწყა. და აწ მზაკვარის უბადრუკებას მიხედეთ. ქტსყანა ღმერთს უპყრია, და თვით-მპყრობელი ღმერთი დაიღიწყა! თუ თავის მყოფობა არ სძაგდეს, არც ღმერთს დაიღიწყებს, და რადგან ის დაიღიწყა, სძაგს თავისი მყოფობა, რომ თავის-თავი დანთქმად მიუცემია; ვითარცა ღათან და აბირონ დაიღიწყეს ღმერთი, და დაინთქნენ, ეგრეთვე ამან დაიღიწყა ღმერთი და მსგავსად მათდა უნდა დაინთქას. მყოფობის დამცველი კაცისათვის საზრდელი არის, ამისთვის რომ სიცოცხლის ბუნებას იცავს; და საზრდლის მომცემელი დაიღიწყე! თუ სიცოცხლე არ გძაგს, მიჩტნე, რომელი გყავს გამომზრდელი? ვინ უნდა მოგცეს დღითი-დღე დამცველი შენის არსების პური? ვინ უნდა უბრძანოს ქტსყანასა: „აღმოაცენენ ქტსყანამან!“ შენ არა თუ ნაყოფის აღმოცენება, ერთისა თმისა დაშაფება, გინა განსპეტაკება არა ძაღვიძს, ვითარცა ბრძანებს უფალი ჩტსნი იესო. მიხედე თუ არა გძაგს შენი ცხოვრება! თვინიერ საზრდლისა ვერ იცხოვრებ, და საზრდლის მომცემელი აღარ გივის! მგების ეს იიჭტნო: „ღმერთი ძლიერს სიყმილს არა ჰყოფს“; მოიხსენე, თუ იოსების ჟამში შეიდ-წელ ვითარი სიყმილი მოსცა და ილიას ჟამში ვითარი ფიცხელი უწვიმრება იქმნა. ამისი მსგავსი განსაცდელი რომ მოიწიოს, მიჩტნე, რომელი ნუგეშინის მცემელი გივის? ძიდევ ვაჩტსნოთ, რომ შენ სიცოცხლე გძაგს. სიკუდილისა და სიცოცხლის კელმწიფება ღმერთსა აქტს, ვი-

თარცა ბრძანებს პირითა მოსესითა: „მე მოვაკჯდინო და მე ვაცხოვნო“. **თუ** სიკოცხლე არა გძაგს, სიკოცხლის **შუალი** რად დაივიწყე? **ჩატომ** არ მოიხსენებ, **აღამმან** რომ სიკოცხლის მომკემელი დაივიწყა, სიკჯდინოს მიეცა: **შენც** რომ სიკოცხლის მომკემელს **ღმერთს** დაივიწყებ, სულით და ხორციით სიკჯდინოს მიეცემი. **ჩტნის** უღონობის შესამსგავსად კიდევ ვაჩტნით **შენგან** შენის მყოფობის სიძულილი. **რადგან** სხეულევანი ხარ, შენი მყოფობა ოჯის ნივთისაგან არის: ცეცხლისა, წყლისა, ჰაერისა და მიწისაგან; ესენი შენ შორის დაზავებით უნდა იყენენ და ამითი შენი სხეული უნდა მყოფობდეს; თუ დაზავებით არ არიან, შენი სხეული განიხრწნება და სიკჯდინოს მიეცემი. **აწ** ეს უნდა ვსთქვათ: შენ შორის ნივთის დაზავება არ ძალ-გიძს. **მიხედვ** თავის თავს: ცეცხლისა და წყლის დაზავება ასე არ ძალ-გიძს, რომ ერთმანერთს არ ებრძოდნენ, ეს შენგან შეუძლებელი არის; ესენი **ღვთისა** მიმართ დაზავდებიან და ის იპყრობს ამათ უბრძოლველად. **ახლა** სამართლად საჯე, შენი შემამტკიცებელის ნივთების მპყრობელი **ღმერთი** დაივიწყებია! **თუ** შენი მყოფობა არა გძულს, ამას რად ჰყოფ და **ღმერთს** რად დაივიწყებ? **თუ** მოეგები გონებას და ინებებ **ღვთის** მიხედვას, სარკეს მოგართმევ, რომ ამითი მიხედო **ღმერთს**. **ჰავლე** მოციქული ამას სოფელსა შინა სარკით ამბობს ხედვას და იტყვის: „ვხედავთ აწ ვითარცა სარკითა და სახითა“. **პირველად** თავის თავი იხმარე სარკედ და ასე ამის მსგავსად შთახედე, ვითარ მიწა ხარ და ხატად **ღვთისა** იწოდები. **ამისი** ხედვა გაჩტნებს **შუალსა** **ღმერთსა**, რომელმან იგი სთქვა: „ექმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩტნდა“. **ქიდევ** შთახედე გულის-კმის ყოფით ქმნილთა ყოველთა და გაჩტნებენ ისინი თავის-თავის დამბადებელს; ამითი გაჩტნებენ, რომ მათ თავისის-თავის ქმნა არ შეუძლია, ვითარცა წინასწარმეტყველი **ღვით** ქმნილის მაგიერ იტყუს: „მან შემქმნა ჩტნ და არა ჩტნ“. **ღა** ეს თავის-თავად შეუძლებლობა ქმნისა მოქმედს **ღმერთს** გაჩტნებს, ვითარცა იტა

ყვის მოციქული პავლე: „უხილავი იგი ძალი მისი დაბადებითგან სოფლისათ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილევების“. **თუ** ამათით ვერ მიხედო და ვერ ჰსცნა, ძველის წერილიდამ სახეს მოგართმევ და ისე მიხედე **შფალსა ლმერთსა**. იოსებ ძმათა **მგვიბტეს** განყიდეს და **მგვიბტეს** იყო: როდესაც ძლიერი სიყმილი შეიქმნა, მაშინ იოსების ძმათა **იაკობ**, მამამან მათმან, ამცნო **მგვიბტეს** შთასტლა და პურის სყიდვა; შთავიდენ **მგვიბტედ**, მათგან განსყიდული იოსებ იხილეს, რომ იფქლს განუყოფდა ყოველთა; იოსებმან მათ ნაცვალი ბოროტი არ მიაგო, სიყმილისაგან გამოზარდნა; და მერმე მათს ქურჭელში ვეცხლის ბარძიმა შთაუღდა დაჟარულად. როდესაც წავიდენ მისი ძმები, ბარძიმის მიზეზით კიდევ თავისა თვისისა მომართ მოაქცია, სიყვარულით განეცხადა თვისთა ძმათა და **შარაოს** მეფისა წინაშე წარადგინა და ასე ჰრქტს **შარაოს**: „მწყემსნი ვართ ცხოვართა“. აგრევე, საყვარელნო, თქტან თქტანდა ძმად წოდებული **ძრისტე** **მგვიბტეს** განყიდეთ, ესე იგი, თქტანის ცოდვის მიზეზით ვნებად მიცემულ იქმნა, ვითარცა ხმობს წინასწარმეტყველი: „იგი იწყლა ცოდუათა ჩტანთათვის“. ძლიერი სიყმილი არის თქტან შორის (**ღვთისა** სიტყვისა და მისის სმენისა): გიბრძანებსთ **მამა ლმერთი ძრისტეს** ვნებაში გონებით შთასტლას და იქიდამ უნდა მოიყიდოთ იფქლი წმიდა (ესე იგი სმენა სიტყუათა **ღვთისათა**), იქ იხილავთ **შფალს** **იესოს**, სულიერებრივისა იფქლისა განმყოფელად, არ მოიხსენებს თქტანს შეცოდებას; გამოგზრდის სულიერებრივის სათნოებითა, ბარძიმსა (ესე იგი უხრწნელსა ხორცსა და სისხლსა) თქტანს გონებაში შთასდებს, რომ კიდევ თავისა-თვისისა მიმართ მიგაქციოს, გამოგეცხადება სიყვარულით და წარგადგინებს წინაშე თვისისა მამისა: შესამსგავსი არის თქტანი, რომ ჰსთქათ: „ცხოვარნი ვართ სამწყსოსა შენისანი“. **თუ** გნებავსთ ასე იხილეთ **შფალი!** ძველის წერილიდამ კიდევ მოვიდოთ მაგალითი, თუ **შფლის** ხილუა როგორ უნდა. იერემია მწვირის ჯურღმულში შთააგდეს; სადამდის იქიდაჰ არ აღმოყვანებულ

იქმნა, მადამდის მზის სწორე ხედვა არ ძალედვა: ეგრეთვე რომელიც ეშმაკისაგან ზაკვის ჯურღმულში არის შთადებული, სადამდის იმ ზაკვიდამ აღმოყვანებული არ იქმნება და სიწრფოებას არ მიიღებს, შფლისა ლეთისა ნათელს ვერ იხილავს. რომელსაც შფლისა ლეთისა ხილვა ჰნებაეს, მოსეს მსგაყსად უნდა ჰყოს: მოსეს რომ ლეთის ხილვა უნდოდა და მთად აღვიდა და რომელნიც ფიცხელნი და ურჩნი ერნი იყენენ, ისინი დაუტევა, თითონ მთაზედ აღვიდა და იქ იხილა შფალი. მგრეთვე შენ, თუ შფლისა ლეთისა ხილვა გნებაეს, ურჩი და ფიცხელი მაწყინებელი ლეთისა—მზაკუარება დაუტევე; აღვედ მთასა ზედა უმანკოებისასა და იქ იხილავ შფალსა ლმერთსა. თუ მზაკვარი ხარ, ლმერთს ვერ იხილავ. ჰრისტეს სიტყვით დაგიმტკიცებ ამას: ჰრისტემან ნათანაელ რომ იხილა, ჰრკუა: „აჰა ჰეშმარიტად ისრაეტელი, რომლისა თანა ზაკვა არა არს“. „ისრაიტელი“ ამისი ძალი ეს არის: გონება მხილველი ლეთისა. მიხედე ჰრისტეს თქმულსა; ამას ბრძანებს: „ჰეშმარიტი გონება მხილველი ლეთისა არს, რომ ზაკუა არ არის მასთან“. ასე ჰსჩანს ამ სიტყვისაგან: თუ მასთან ზაკუა ყოფილიყო, ჰეშმარიტი გონება მხილველი ლეთისა არ იქმნებოდა. ჰრისტეს სიტყვამ დაგარწმუნოს: თუ ზაკვა შენთან არის, ლეთის მხილველი გონება არ გექმნება; იოანე ლიდი წინამორბედი და ნათლის მცემელი ჰრისტეს გზას ასე განმზადებდა: „განმზადენით გზანი შფლისანი და წრფელყუტნით ალაგნი მისნი“. ლიდი წინამორბედი გზის წრფელ ყოფას ბრძანებს და შენ ზაკუასა ჰყოფ! ეს შფლისა ლეთისა გზის განმზადება არ არის! არც ვგონებ, რომ ზაკვის გზაზედ ლმერთი მოვიდეს! ასე ამტკიცებს მოსე ლეთისა მზრახვალი: „ყოველნი გზანი მისნი სიმართლით არიან“.

ბიჩუნო, საყვარელო, რომ მზაკუართაგან სასუფეველის პოვნა შეუძლო არის, სანამ მზაკუარებას არ მოიხპობს. ძველთა ისრაელთა მიმართ აღთქმის ჰტყყანაში შესულის ბრძანება ასე იყო: „ნუ მიაქცევ მარჯულ, ნურცა მარცხულ“. — მგრეთვე

ახლის ისრაელის ქტყანაში, ესე იგი, სასუფეველში შესუტლას სწორის გზით გვიბრძანებს და მრუდის მზაკუარების გზისაგან გუაყენებს. თვითვე უფალი იესო გვაყენებს მზაკუარების გზისაგან და გვეტყვის: „მე ვარ გზა და მე ვარ ქეშმარიტება“; თუ ამითი არ ირწმუნებს მზაკუარი სასუფეველისაგან შორს ყოფას, უუძლიერესის საქმით ვაჩტნო. უფალი იესო ბრძუნებს; „უკეთუ არა სჯამოთ ხორცი ძისა კაცისა და სვათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქტნთა“; გიბრძანა ძრისტემან: ხორცისა და სისხლის მიღებას გარდა ცხოვრება არ იქმნება, და რომელიც მზაკუარი არის, წმიდის საიდუმლოს მიღება უფრო დამსჯელ-ექმნება, ვითარცა დაისაჯა მზაკუარი იუდა უღირსად მიღებისათვის. მაშასადამე შორს არს მზაკუარი ცხოვრებისაგან, არა თუ მარტო ცხოვრებისაგან, ყოვლის კეთილისაგან მზაკუარი შორს არს. თუ ვითარ, — ვაჩტნოთ: ეს ცხადი რამ არის, რომელიც ძმისა მიმართ ზაკუასა ჰყოფს, მას სიყვარული ძმისა არა აქტს, და რადგან სიყვარული არა აქტს, პავლესი ისმინე, თუ როგორ ყოვლის კეთილისაგან შორს იქმნება: „ენასალა თუ კაცთა და ანგელოზთასა ვიტყოდე (აჰა სიტყვიერება!) მაქტნდესლათუ წინასწარმეტყველება და უწყადი ყოველი საიდუმლო და ყოველი მეცნიერება (აჰა, მადლი სულისა წმიდისა!) და ყოველი სიბრძნე, მაქნდეს თუ სარწმუნოება, ვიდრე მათათა ცვალებადმდე (აჰა სარწმუნოება!) და სასწაული, დალათუ ვჰამო ყოველი მონაგები ჩემი (აჰა სათნოება მოწყალებისა!) და მივსცნე კორცნი ჩემნი დასაწველად (აჰა ღვაწლი მოწამეობისა!) მსოდენის კეთილის ქონებაზედ პავლე დართავს და იტყვის: უკეთუ სიყვარული არა მაქტნდეს, არა რავე ვარ“. თუ სიყვარულს გარდა პავლე ასე არის, ფრიად უმეტესად შორს არის მზაკუარი ყოვლის კეთილისაგან. აწ ეს ვაჩტნოთ: რომელიც წრფელი არის და სიყვარულზედ მდგმობს, ყოვლის კეთილის მახლობელი არის. თუ პავლე მოციქულმან წასრულს ზემო სიტყუაში თვინიერ სიყვარულისა ყოვლის კეთილისაგან შორს

ყოფა დაამტკიცა, უეჭველად წრფელი და სიყვარულის მქონებული ყოვლის კეთილის მახლობელი იქმნება. ძიდე უუძლიერესის საქმით ჰსჩანს, რომ წრფელი და სიყვარულის მქონებული ყოვლის კეთილის მახლობელი არის: რომლისათანა ლმერთი არს, მასთან ყოველი კეთილი იქმნება; წრფელთან და სიყვარულის მქონებელთან ლმერთი არის, ვითარცა იტყვის იოანე კათოლიკეთა შინა თვისთა: „რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, ლმერთი მისთანა ჰგიეს და იგი ლვთისა თანა“. მაშასადამე, წრფელი და სიყვარულის მქონებული ყოვლის კეთილის მახლობელი არის; წრფელობა პირველითგანვე დანერგა ლმერთმან ჩუტნ ზორის; წრფელის ნივთისაგან შეგვქმნა ლმერთმან, ვითარცა ესცნობთ მოსეს თქმულისაგან, რომელსა იტყვის: „და სული ლვთისა იქცეოდა ზედა წყალთა“. — ამისთვის იქცეოდა, რომ ნივთები განეწრფელებინა და წრფელის ნივთისაგან უნდა შექმნილიყო კაცი; და როდესაც შექმნა კაცი, წრფელად, უმანკოდ მზგავსად თვისსა შექმნა, ვითარ იგი ლვთისა მიერ თქმულსა გვამცნებს მოსე: „მოვიდით, ვქმნეთ კაცი ხატად და მზგავსად ჩუტნდა“; და თავისის ზაკვით რომ ეშმაკმან ზაკუა შეიყვანა კაცის ზორის, თვით ძე ლვთისა მოვიდა და ზაკვა ეშმაკისა ისე დაარღვია, ვითარცა იტყვის მოციქული: „ამისთვის მოვიდა ძე ლვთისა, რათა დაარღვიენეს საცთურნი ეშმაკისანი“. საცთური დაარღვია და ქეშმარიტება გვასწავა პირითა მოციქულისათა: „იტყოდედ ქეშმარიტსა კაცად კაცადი მოყვისისა მიმართ თვისისა“. შოვლითგანვე ლვთისა მიერ ასე თან-შექსულად აქუს ჩუტნს ბუნებას სიწრფოება! ნუ წარვსწყმედთ ჩუტნს ბუნებითს სიწრფოებას, არამედ შევიტებოთ ყოვლითა სულითა და გონებითა, რათა შეგვიტკბენეს ჩუტნცა მამამან ლმერთმან საუკუნეთა შინა საყოფელთა, რომლისა არს დიდება, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. — ამინ.



თავი II. გულის წყრომისათვის.

იტყვის ბრძენი სოლომონ ეკლესიასტესა შინა: „გულის წყრომა წიაღთა შინა უგუნურთასა განისვენებს“. გულის წყრომა რომ უგუნურის კერძოდ სთქუა, არამც ეს არავინ იფიქროს, უფალი რომ მონას განურისხდება, მისთვის ამბობდეს უგუნურებას; მისთვის ბრძენს სოლომონს ჰაზრი არა აქვს: უფლისაგან მონაზედ ჯეროვანი განრისხება არა თუ უგუნურება, უმეტესად გონიერება არის; გონიერება რომ არის, პავლე მოციქული მისთვის ხმობს და იტყვის: „საშიშა შიში, პატივისა პატივი“. ძვალად იგივე გვამცნებს: „არა ცუდად ხრმალაბს შეფესა, რამეთუ ღვთის მსახურარს შენდა რისხვისათვის“. ცხადი რამ არის მოციქულისაგან—უფლისაგან მონათა მიმართ ჯეროვანი შერისხუა უგუნურებად არ შეირაცხება და არც სოლომონის სიტყუა მისთვის არის. სოლომონ უგუნურ გულის წყრომად იმას რაცხს, რომლისაც უფალი არ არის, არც მსაჯული და ისე ერთი ვინმე სხეულის სიტკბოსა და თავის პატივის მოყვარებისათვის გულის-წყრომასა ჰყოფს,—ბრძენი სოლომონ უგუნურად მას რაცხს, და ქეშმარიტი რამ არის სოლომონის სიტყუა: უგვანად გულის-წყრომის მოქმედი სამართლად უგუნურთა თანა დაიწესება; და თუ ვითარ—შემდგო-

მის სიტყუბისაგან ვსცნათ. მგების იძიოს ვინმე, თუ რომელი არის უგვანი გულის-წყრომა. აქ ერთი მაგალითი უნდა მოვიღოთ; ამაზედ, ვიცი, ცილობას არაინ ჰყოფს: უგვანი მახვილის ხმარება ის იქმნება, თავის-თავი მოსწყლას და თავისი მოყვასი და მტერს კი არა ავნოს რა; ვგონებ ამისი მსგავსი კაცი სულელად შეირაცხო. ამის მაგალითისა მსგავსი არის, რომელიც არც არის შთალი, არც მსაჯული და ისე გულის წყრომასა ჰყოფს; თავის-თავს მოსწყლავს სულიერად; მოციქულისაებრ: „გულის-წყრომამან კაცისამან სიმართლე ღვთისა არა ჰყვის“. თავის მოყვასს წყლავს სიტყვითა და ნუ უმეხვიოთ. აქ ეშმაკი ამის მსგავსის კაცისაგან უბრძოლველად არის; სამართალი არის, ესეც სულელად შეირაცხოს რისხვის უგვანად ხმარებისათვის. აწ ჯეროვნად ხმარების მაგალითი მოვიღოთ.

საყვარლო, გულის-თქმა გაქუს: თუ უგვანად და სიძვისა და მრუშებისათვის იხმარე, საუკუნო სატანჯველს მიიღებ, თქმისაებრ ჰავლესსა: „მეძაენი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან!“ და თუ კეთილად იხმარებ,—ვითარცა გასწავებს ბრძენი სოლომონ: „გულის-თქმა თქვენნი იყავნ, ოჲ კაცო, სიბრძნისა მიმართ, და გსუროდენ მისა მიმართ“,—მაშინ განათლებას მიიღებ, ვითარცა ხმობს იგივე სოლომონ: „სიბრძნე შულისა განანათლებს ჰირსა გონიერთასა“. აგრევე გულის წყრომა გაქუს; თუ უგვანად იხმარე მოყვასთა მიმართ, თავის თავს დასასჯელს საქმეს მისცემ, მოციქულისაებრ: „გულის წყრომამან კაცისამან სიმართლე ღვთისა არა ჰყვის“; თუ ჯეროვნად იხმარ, —ვითარცა ღვით გასწავებს შერისხვად ეშმაკისა: „განრისხნებოდეთ და ნუ სკოდაეთ“—ძმისა მიმართ მშვიდობა უნდა ჰყო, ვითარ იგი გასწავებს მოციქული: „მშვიდობასა ჰყოფდით ურთიერთარს და აღშენებასა“. თუ ასრე ჰყოფ, მაშინ მადლით ძეობას მიიღებ ღვთისას, ვითარ იგი ბრძანებს შთალი ჩუპნი იცხო: „ნეტარ-იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისა იწოდნენ“. მგების

სტატუსს ვინმე: „როგორ შესაძლებელი არის სხეულევანს კაცს არა ეწყინოს რა, და წყინებაში გულის-წყრომა იქმნება“;— მე ამას არ ვიტყვი, სხეულევანს კაცს არა ეწყინოს რა და ამას კი ვიტყვი: გულის-წყრომა სწორე სიმართლისაებრ უნდა ჰყოთ, თუ ვითარ—მაგალითი ვსტატუსთ. ზრმას ერთი საქმე აქტს: ერთმან ვინმე რომ ჰსცეს, მისდა ნაცვლად სხტას ვისმე სცემს; ეგრეთვე, რომელიც გულის-წყრომით დაბნელებული არის, რომელიც მაწყინებელი ეშმაკი არის,—იმას არ აჩვენებს გულის-წყრომას და მოყვასთა მიმართ ჰყოფს გულის-წყრომას. შეცოდებისა უმეტესი მიზეზი ეშმაკი არის,—გესმის მოციქულისაგან: „ღასაბამითგან ეშმაკი ჰსცოდავს“. შინც ჰსცოდავს, ვინც პირველი მიზეზი არის, გულის-წყრომა მასზედ უნდა ჰყო: მოყუისათვის კიდევ უნდა ცრემლეოდე, რომ ეშმაკმან შეატუნა შენდა წყინებად,—არა თუ გულის-წყრომა მიაგო. მიხედე შენს იტსოს, თუ მკვლელთათვის ვითარ ილოცვიდა: „მამაო, მიუტევე, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“ ჰრისტეს მოწაფეო, მოძღუარსა შენსა იტსოს მიემსგავსე და მავნებელთა შენთათვის ილოცე. თუ ლოცვა ვერ უძლო და გძლიოს გულის-წყრომამ, მოციქულის სწავება ისმინე: „მზე ნუ დავალნ განრისხებასა თქტუნსა“; ნუ განაგრძობ განრისხებას, განრისხება და გულის წყრომა ძალლის ჰვისება არის, და შენ, სიტყვიერი და გონიერი, ხატად ლეთისა ქმნილი, ძალლის თვისებაში ჰყოვნიდე,—მიხედე შენთვის რა შეურაცხება არის! ზონიერებისა და შენის სიტყვის შესამსგავსი ეს არის, რომ ჰრისტეს მიემსგავსო; ვითარ შეცოდებულთა მიმართ მოვიდა ჰრისტე და მიტევება ისე მისცა, ეგრეთვე შენ მიხვედ შეცოდებულისა მიმართ, უსწვრე შენდობისა და მშვიდობის თხოვა: ის უგუნურ ქმნილა, შენ გონიერება ჰყავ; მიხედე, რა საკვირველს გონიერებასა ჰყოფ: შენს მავნებელს შენ კაცისა მიმართს შეცოდებას მიუტევებ, და ამის-მიერ შენ ლეთისა მიმართი შეცოდება მოგეტევება! თვით შუალი იტსო გიბრძანებს: „უკეთუ მიუტევენთ კაცთა შეცოდებანი მათნი, თქტუნ-

ცა მოგიტევენეს მამამან თქუცნმან ზეცათამან“. მსტკლათ: თუ მიგტაცა რაჲმე, ნაცლად მისსა სასუფეველს მიიღებ; ამის შესამსგავსს რას მიგტაცებდა? მიხედე რა უფროსი მიიღე! მან ჟამიერი მცირედი რაჲმე მიგტაცა, და შენ საუკუნო სუფევეს მიიღებ! მს იუდას მიემსგავსა, შეცოდებული იყო და არ შეინანა,—შენ ძრისტეს მიემსგავსე უხვად მიმტევებლობითა! თუ არც შენ ჰყოფ მშვიდობას და არც ის შეიგონებს, ვგონებ, რომ უფალი შორს იქმნეს მაშფოთებელთაგან, ვითარცა იტყვის მოციქული პავლე: „არა არს ლმერთი შფოთისა, არამედ მშვიდობისა“. მგების სტკლას ვინმე: „ესოდენი ვნება დამსდვა მან ვინმე და ვნებისათვის მასხედ გულის-წყრომა მაქუს“. აქ ერთი სიტყუა მაქუს: მაშინც გძულს ღმა, თორემ ვნებისათვის არა გაქუს გულის-წყრომა; ვნება რომ არა ექმნება რა,—ასე ეშმაკის ბირებული ხარ,—მაშინც გულის-წყრომას არ დააცხრობდი; თუ ვითარ—გამოვაცხადოთ. თუ ვნებისათვის ჰყოფ გულის-წყრომას, ქეშმარიტებით გამოაცხადე. შეშმარიტი გამოცხადება ეს იქმნება, თუ ვნებისათვის ჰყოფ გულის-წყრომას: რომელმანც უფროსი გავნო, მას უფროსი გულის-წყრომა უნდა მიაგო. არის ეს ქეშმარიტი თუ არა? თუ იტყვი: „არ არის ქეშმარიტი“,—თვითვე ქეშმარიტებისა და ყოვლის სიმართლისაგან გარეშე იქმნები, ამისთვის რომ ეს საქმე თავის-თავად ქეშმარიტი არის. თუ ვნებისათვის გულის-წყრომასა ჰყოფ, უდიდესს მავნებელს უდიდესი გულის-წყრომა უნდა მიაგო: ამას, ცნობა რომ ჰქონდეს, პირუტყენიც აღიარებენ, არა თუ სიტყვიერნი უარ-ჰყოფენ.—

ახლა ამას მივხედოთ, უდიდესად ვინ გავნო: ეშმაკმან, თუ მოყვასმან? მოყვასმან რაც გავნო ეშმაკის ვნებასთან მცირე რამ არის; მოყვასმან რაც გავნო, მისი ვნება წარმავალი და წუთის ჟამის არის: დიდება მიგტაცა,—წარმავალი და ამაო არის; წყლულება დაგდვა,—ისიც წარმავალი არის; სოფლისა ამის საქმე ყოველივე წარმავალი და ამაო არის, ვითარცა იტყვის ბრძენი სოლომონ ეკკლესიასტესა შინა: „ამაო ამაოება-

თა, ყოველივე ამას არს“. აწ ამას მიხედვით გონიერებით, თუ ეშმაკმან რა უძნელესი ვნება ჰყო შენდა მომართ! ჯერ მხოლოდ ამას მიხედვით, თუ ხორციით რა საკვირველი წყლულება დაგდტა—მოუთმენელი სიკუდილი! თუ როგორ ძნელი არის—საფლავში შთახედვით და იქ ჰსცნობ: დიდებისაგან განგაშორა, არათუ წარმავალისაგან, არამედ საუკუნოსაგან, ესე იგი სასუფეველისაგან უცხო-გყო, უკუბრუნებელს წყლულებაში ჰნებას შენი შრაცყანება, ესე იგი დაუსრულებელად სატანჯველად ჯოჯოხეთისა, ვითარცა იტყვის შფალი პირითა ისაიასითა: „მატლი მათი დაესრულების და ცეცხლი მათი არა დაშრტების!“ სჩანს ჰეშმარიტებით, თუ რაოდენი უუძნელესი ვნება მოილო შენდა მომართ ეშმაკმან,—და თუ ჰეშმარიტი არის შენი სიტყუა, რომ გულის-წყრომა ვნების მიზეზისათვის გაქტს მოყვასთა მიმართ, უდიდესი გულის-წყრომა ეშმაკთა მიმართ უნდა გაქტდეს. ახლა ასე სჩანს შენი საქმე: ეშმაკისა მიმართ არცა ერთი გულის-წყრომა გაქტს, და მოყვასთა მიმართ დაუცხრომელი გაქტს გულის-წყრომა, და შენი გულის-წყრომის სიმართლე რომლით უნდა წარმოჩნდეს? მგების ამას ზრახვიდვ გონებაში: „ხორცთა შინა ვარ და ხორციელს მტერს ნაცვალს გულის-წყრომას ვავებ“. მს განზრახვა ეშმაკისა მიმართ მშვიდობა და უბრძოლველობა არის: სადამდის ხორცთა შინა ხარ, ეშმაკისა მიმართ მშვიდობას უნდა ჰყოფდვ და მოყვასთა მიმართ ბრძოლას; ამისთვის, სადამდის მოყუტას არ დაეგები, მადამდის ეშმაკის ბრძოლას ვერ ჰყოფ, ამისთვის რომ, ეშმაკს ლვით უნდა ბრძოდვ, და მეშფოთეთათვის ლმერთი არ არის, ზემო ითქუა ჰავლეს სიტყუა: „არა არს ლმერთი შფოთისა, არამედ მშვიდობისა!“ და თუ ხორცთაგან განსტლა და სიკუდილი მოყუტის დაუგებელად გეწია, მაშინ ეშმაკის ბრძოლა აღარ ძალ-გიძს,—გესმის იერებია წინასწარმეტყველისაგან: „წარხდა მკა და წარვიდა ლეწვა“; მაშინ ბრძოლის ჟამი აღარა გაქტს. მეუფისა ძრისტესგან შენთვის ეს ხნა ისმის: „შეუკრენილ მავას კელნი და ფერხნი და განაგდელთ ვეგ ბნელსა მას გარე-

სკნელსა, მუნ იყოს ტირილი და ღრქენა კბილთა!“ **თუ** გნებავს ეშმაკის ბრძოლა, მოყუასთა მიმართ მშვიდობა მოიგე და აქავ ებრძოლე, თორემ აქედამ რომ განხვალ მერმე ბრძოლა. შეუძლო არის, როგორც ზემო წარმოვაჩინეთ. **თუ** გულფიცხელობით და შენის თვით-რჩულობით სიტყუას არ შეიწყნარებ და მოყვასთა მიმართ მშვიდობას არა ჰყოფ, აქ ერთი რამ უკურნებელი სენი გეკატბება, სწორედ ლეთის მბრძოლობა შეგემთხვევა. მოყვასთა მიმართ ბრძოლამ რაოდენი ძნელი საქმეები შემოიღო, ზემო შემოკლებით წარმოჩნდა; და ლეთის ბრძოლობა თუ ვითარი ძნელი არის, ამისი თქმა არ ძალ-გიძს, და მოყუასის ბრძოლისაგან, ლეთის მბრძოლობა როგორ შეგემთხვევა, ის გაჩუბნათ. **თვით** უფალი ლმერთი გიბრძანებს პირითა მოციქულისათა: „ჩემი არს შურის გება და მე მივაგო მათ.“ ლმერთი გიბრძანებს და შენ თავის-თავად გნებავს შურის მიგება: მიხედე, თუ ლეთის წინააღმდეგობა და მბრძოლობა არ არის? მაგრამ აქ ერთი განკვირვება შემოვა: თუ მოყვასის კეთილი გნებავს, გულისწყრომას რად ჰყოფ და რად არ დაეგები? **ღა** თუ ვნება გაქუს, ლმერთი გიბრძანებს: „მე მივაგო“. რასათვის ლმერთს არ აცადებ? **შმეტესი** ძალი-გიძს, თუ უფრო სისწორით მიაგებ? **არც** ერთი ძალ-გიძს—არც უმეტესი რისხვა, არც უფრო სისწორით მიგება; და რასათვის არ აცადებ ლმერთს შურის გებას? **ჰენ** მარიტად საკვირვო არის! მგების ჰგონო: შურითა და მტერობით უფრო ავნო? **მტერობისა** და შურისაგან უფრო კეთილის-ყოფით ავნებ, ვითარცა მოციქული ამტკიცებს და იტყვის: „შიოდეს თუ მტერსა შენსა, ჰური ეც მას და სწყუროდეს თუ, წყალი ასუ მას, ესე რა ჰყო, ნაკვერცხალი შეუკრიბო თავსა მისსა!“ მგების ეს სოტყას ვინმე: „ერთმან ვინმე მრავალი დიდება მიმიღო, და ნაცვალი გულის-წყრომა რომ არ მივაგო, ხორციით დავგლახადები“. **მს** სიტყვა ასე აცხადებს, შენ ძრისტე სრულებით დავივიწყებია; თუ შენი ძრისტე არ დავივიწყე, მან შენთვის რაოდენი სიგლახაკე დაითმინა ხორციით, რასათვის არ მოიხსენ-

ნებ? შენთვის მცირედი რამ სიგლახაკე არ მიუღია: ლმერთი და საუკუნოსა მამისა ძე შენთვის ხორციელ იქმნა და ხორცით ესოდენი სიგლახაკე მიიღო შენთვის: ადგილი არა აქტნდა და პირუტყვთ ბაგაში მიიწვინა, არა თუ ღიდების სამოსლით, მჩუ-რითა შეხტსულ-იქმნა; ჰეროდეს შიშისაგან მგვიპტეს ივლტო-და, აღზრდის შემდგომ ასე უპოვარი იყო, სახლი არ აქტნდა და მისნი მოწათენი ჰკითხვიდენ: „სადა გნებავს და მოგიშა-დოთ შენ ჰამად პასკა“; უსაკვირველესი ესე, რომ თვით საყვე-დრელი სიკტდილი შენთვის დაითმინა ხორცითა შიშტლივ ჯვარსა ზედა დამოკიდება ფრიადის შეურაცხებით და უპატო-ებით, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ისაია: „ვიხილეთ იგი და არა აქტნდა სახე, არცა სიკეთე, არამედ სახე მისი უპატო და მოკლებულ უფროს ძეთა კაცთასა!“ ჰრისტემან ლმერთმან შენთვის ესოდენი სიგლახაკე მიიღო, და შენ მის-თვის სიგლახაკეს არ მიიღებ? თუ კი არ დაივიწყე, ხსოვნება სადა სჩანს? ლიტონის კაცის ოდენს ჰატის არ მისცემ საუ-კუნოს მამის ძეს? რასათვის არ მოიხსენებ სიტყუასა ამას: „ჰოველი რაოდენი გნებავს, რათა გიყონ თქტნ კაცთა, ეგრე-თცა თქტნ ჰყვით მათდა მიმართ?“ საყვარელნო, ადამის ცთო-მისათვის რომ დაგლახაკებულნი იყვენით, მაშინ თქტნის სი-ყვარულისათვის ჰრისტემან მიიღო სიგლახაკე, ახლა ნაცვალი მიაგეთ და მისის სიყვარულისათვის რაოდენიც მოყუისაგან სიგლახაკე შეგხტდათ, ის მოითმინეთ და მოყუასთა მიმართ გულის-წყრომა დააცხერეთ, თორემ ჰეშმარიტი უნდა განგი-ცხადო: თუ მოყუასთა მიმართ მშვიდობას არ მოიგებ, ჰრისტეს მოწათედ არ იცნობები. თუ ვითარ, განგიცხადო. მრთი მა-გალითი ძველის წერილიდამ მოვილოთ: მლია ზეცას რომ ამალღდა, თავისს მოწათეს მლისეს თვისისა მოწათეობისა ნიშ-ნად თავისი ხალენი დაუტევა; ეგრეთვე ჰრისტემან თვისთა მოწათეთა თვისისა მოწათეობისა ნიშნად მშვიდობა მისცა, და ჰრქტა: „მშვიდობასა ჩემსა მიგცემ თქტნ, მშვიდობასა ჩემსა დაგიტევებ თქტნ!“ ეს ჰრისტეს მოწათეობის ნიშანი—მშვი-

დობა— არა ვაქტს, და ძრისტეს მოწაფედ რითი უნდა იცნობებოდე? ჰიდევ უხალი იცნო თვისისა მოწაფეობისა ნიშნად ბრძანება და იტყვის: „უკეთუმცა იყვარებოდეთ ურთიერთარს, ამით ცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ.“ შენ მოყუასს არა ჰყვარობ; ჰსჩანს, რომ არც ძრისტედ მოწაფედ იცნობები! **ჰაე**, ჩემ უბადრუკებას! რა საშინელის ხმის თქმა მეგულვება: არათუ მოწაფედ ძრისტესსა, არამედ მოძულვედ აღმოგაჩენს ლეთის-მეტყველი და მახარებელი **იოანე**: „რომელმან სთქუას, ვითარმედ ლმერთი მიყუარს და ძმა თვისი სძულდეს, იგი მტყუარ არს!“ **სხუა** საქმითაც ცხადდება შენგან ძრისტეს სიძულილი; ამითი სცხადდება: შენ შორის განსასტყუნებელი ძრისტესი არ იპოება; ძრისტე ასე ბრძანებს: „ვის ზედა განვისტყუნო, გარნა მშვიდსა და მდაბალსა და მყუდროსა ზედა და რომელი ძრწოდის სიტყუათაგან ჩემთა!“ **უწყოდე**: ქეშმარიტებით, ეს ძრისტეს განსასტყუნებელი ადგილები მოყუასის გულის-წყრომაში არცა ერთი იპოება! მისი განსასტყუნებელი რადგან დაარღვიე, ძრისტე შენგან განგდებული შეიქმნა. **აწ** ეს უნდა ვსთქუათ: ეგების ჰგონო, მოყუასისა შურითა და მტერობით სიმდიდრე რამე მოიგო?—**არათუ** გამდიდრდები, უმეტესად დაგლაზაკდები. **სახეებს** მოგართმევ და იქედამ სცანი, თუ გულის-წყრომა და შური როგორს სიგლაზაკეს მიიღებს. **ჯერ** ეს ვსთქუათ: უსაშინელესი სიგლაზაკე რა იქმნება — ძრისტე შენგან განგდებული შეიქმნა, როგორც ზემო სიტყუაში ვაჩვენეთ! მაგრამ ჩუენ სხუა სახეებიც მოვილოთ: **ჰაენს** რისხვაძან და შურმან არათუ სიმდიდრე მისცა, ქვეყანასა ზედა საძაგელი ძრწოლით მყოფობა მისცა, ვითარცა ჰრქუა ლმერთმან: „იწროებით და ძრწოლით იყო შენ ქტყანასა ზედა!“ **მსავეს** შურმან არათუ სიმდიდრე მისცა, პირმშოებისაგანაც ცარიელ ჰყო და ლეთისაგან მოძულვებულ ჰყო, ვითარცა ჰსთქუა ლმერთმან მისთვის: „**მსავე** მოვიძულე, ხოლო **იაკობი** შევიყვარე“;—**იოსების** ძმათა ძმისა მიმართ რომ შური ჰყტის, მიხედე, თუ როგორ დაგლაზაკებულნი შეი-

ქმნენ, შიმშილისაგან შეწუხებულნი, მათგან განსყიდულის ძმის წინაშე, ვითარცა გლახაკნი, ძრწოლით მდგომარე იყვნენ.

ახედავთ, რომ გულის-წყრომისაგან ესეოდენი კაცი და-გლახაკდა, და შენ რომლითა გაქუს სასოება, რომ გულის-წყრომისაგან არ დაგლახაკდე? რომელიც მაშინ უფალი გან-რისხდა გულის-წყრომისათვის, იგივე უფალი არის, ვითარცა ბრძანებს პირითა მოსესითა: „მე ვარ და არა ვიცვალეები“! **თუ** გულის-წყრომისათვის სხუა დასაჯა და სიგლახაკეს მისცა, უე-ჭველად შენზედაც მოიღებს დასჯასა და სიგლახაკეს, თუ გუ-ლის-წყრომა არ დააცხვრე. **თუ** ქტყენის მფლობელი ხარ და ამისთვის სასოებ, რომ არ დაგლახაკდე, ქაენს მიხედე, თუ ვი-თარი ქტყენის მფლობელი იყო, ყოველი ქტყენა ორს ძმას ჰქონდა, ქაენს და აბელს, მაგრამ გულის-წყრომამ გლახაკად ჰქმნა და ქტყენასა ზედა იწროებით და ძრწოლით მყოფობა მისცა, როგორც ზემო წარმოვსთქვი. **თუ** ძმის მსასოებელი ხარ, ძმისა მის, რომელიცა შეტკობილი გყავს, სხვის ძმისა და მოყვარისა მიმართ რადგან რისხვა გაქუს, მხოლოდ ერთის ძმის შეტკობობა ვერ გიხსნის. ზესმის წინასწარმეტყველისა და-ვითისაგან: „ძმამან ვერ იხსნას“, რადგან სიმშვიდე განაგდე, შენი სასოება ცუდი და ამაო არს, რისხვის მახვილით ჟამ მა-რად, ვითარცა ეშმაკეული, თავის-თავს იწყლავ.—


ჯეროვანი არის, ერთმან ვინმე სულიერმან მამამან შეგი-პყრას და შეგყრას საღმრთოს სწავლით და მრისხანების ეშმა-კისაგან გიხსნას. **თუ** ამისთვის ჰყოფ რისხვას, რომ ნაცვლად კეთილისა ბოროტი მოგაგო, თუ ძრისტეს მოწაფეობისაგან არ განხვალ, აქაც მშვიდობა უნდა აჩუბნო, ამისთვის რომ მოძღუარი, უფალი შენი **იესო**, სიტყვითაც და საქმითაც ბოროტის მყოფელთათვის მშვიდობის ყოფას გასწავებს: სიტყვით ვითარ? „ბკურთხევლით მწყევართა თქტენთა, და ნუ სწყევთ და ულოცევდით მათ, რომელნი მგძლავრობდენ თქტენ და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქტენთა“. სიტ-ყვით ასე გასწავა. **აწ** საქმით როგორ გასწავა და თავის თა-

ვად სახე როგორ მოგცა, ის ვსთქვით: იესომ, ძემან ლეთისამან, ისრაელნი ეგვიპტის მონებისაგან გამოიხსნა და კრულებისაგან განათავისუფლა; ნაცვალი ბოროტი მიაგეს, კეთილისა წილ: შეიპყრეს და შეკრული წაიყვანეს, მაგრამ რისხვის ხმა არ აღმოუტევებია, სიმშვიდით და სიტკბოებით ეს უთხრა: „ღლითი ღღე თქტნთანა ვიყავ, ტაძარსა შინა გასწავებდ და არა შემიპყართ მე“. ძემან ლეთისამან წყლულებით სტანჯა მგვიპტე ისრაელთათვის, და ისრაელნი ისე ძლიერებით იხსნა; ნაცვლად კეთილისა ეს ბოროტი უყტს: „შოლტითა და ხურთითა სცემდენ და ისე დააწყლულეს მისი შტნერი ხორცი.

მაგრამ ტკბილი იესო არ განრისხებულა; ფრიად სიმშვიდით ეტყოდა: „უკეთუ ვიტყოდე ბოროტსა, სწამე ბოროტისათვის, და უკეთუ არა—რასთვის მცემ მე?“ ძემან ლეთისამან ისრაელნი მანანათა და მწყერ-მარხალით გამოზარდნა, წყარო კლდისაგან წარმოუდგინა; ამის ფრიადისა კეთილისათვის ეს ბოროტი მიაგეს: ძმარი და ნალველი ასტს მას ჟამსა, ოდეს სთქვა იესო: „მწყურის“; მაგრამ ამისთვის არ განრისხნა, ეს მხოლოდ ჰყო, — უგვანი სასმისი არ მიიღო, ვითარცა იტყვის მახარებელი იოანე: „და გემო რა იხილა, არა უნდა სტმის“; — ძემან ლეთისამან სნეულნი მათნი განკურნა, მკუდარნი აღადგინა; ამის საკვირველისა კეთილისა ნაცვლად ეს ბოროტი უყტს, — სიკუდიდ დასაჯეს; აქ მიხედე მიუწდომელს ძრისტეს ხიმშიიდეს! მკუთლელთათვის ილოცვიდა და იტყოდა: „მამაო მიუტევე, რამეთუ არა იციან რასა იქმან!“. მიხედე და ჰსცან, შენმან მოძღვარმან და შუალმან რაოდენი სიმშვიდე აჩტნა! შენც ამის მსგავსი სიმშვიდე უნდა აჩტნო ბოროტის მყოფელთა შენთა. ნუ დაივიწყებ ამ სიტყვას: „არა არს მოწაფე უფროს მოძღვრისა თვისისა, არცა მონა უფროს უფლისა თვისისა“. თუ უბრალომან მეუფემან ესეოდენი სიმშვიდე აჩტნა ბოროტის მყოფელთა თვისთა ზედა, შენ მონასა და ბრალეულსა ფრიად უმეტესი სიმშვიდე თანა გაძს ბოროტის მყოფელთა შენთა მიმართ. თუ ძლევის მოყვარე ხარ და ძლევა

უნებავეს შენის მტერისა, და მისთვის რისხვას არ დააცხრობ, აქ ერთი მაგალითი ძველის წერილიდამ უნდა მოვილო. თუ შენის მტერის ბრძოლაში რა უნდა ჰყო: ისრაელნი შარაოს განეშორნენ და მოსეს შეუდგენ, შარაომ დევნა ჯყო: მოსემ ისრაელთ უთხრა: „თქვენ სდუმნეთ და შთალი ბრძოდეს თქვენ წილ“; ისრაელმან ირწმუნა მოსესი: ისრაელი დასდუმდა, და შთალი ებრძოლა მათ მაგიერად. მგრეთვე შენ თუ უხილავს შარაოსს—ეშმაკს—განეშორე და თუ ქეშმარიტებით ძრისტეს შეუდეგ, ძრისტე შენ დუმილს გიბრძანებს და ნაცულოდ შენსა შურს ის მეძიებლობს, ვითარცა გიბრძანებს პირითა მოციქულისათა: „ჩემი არს შურის გება, და მე მივაგო მათ.“ მოსეს შედგომილმან ისრაელმან მოსესი ისმინა, დასდუმდენ მტერის ბრძოლაში, შთალს აცადეს. მგრეთვე შენ აუ ძრისტეს შედგომილი ხარ, ისმინე ძრისტესი, დასდუმდი რისხვისაგან და შთალს აცადე შენ-წილ ბრძოლა: ამასთან კიდევ სხუას თქმას დაესძინებ: თუ ძლევა გნებავეს, სიმშვიდით უმეტესად სძლევ რისხვისაგან, ამისთვის რომ რისხვაში ღმერთი შენ კერძოდ არ არის. ბესმის მოციქულისაგან: „არა არს ღმერთი შფოთისა, არამედ მშვიდობისა“. საქმიითი სახეები გიჩუენო, თუ სიმშვიდით ვითარ სძლიეს: იოსებმან რომ ბოროტის მყოფელთა შმათა მიმართ გონებაში რისხვა არ დაიდვა და სიმშვიდე აქუნდა, ასე სძლია: წინაშე მისსა გლახაკის მსგავსად პურის მთხოველად, ძრწოლით მდგომარე იყვნენ! ნაბუქოდონოსორ მეფე ძლიერის რისხვით განრისხდა სამთა ყრმათა ზედა და შვიდ-წილ აღგზნებულს სახმელში შესთხივნა; სამთა ყრმათა სიმშვიდე აჩუენეს; გულის წყრომა დაუტევეს და სიმშვიდით ღვთისა მიმართ ვედრება იწყეს: ანით სიმშვიდითა ჰსძლიეს ნაბუქოდონოსორს, რისხვა მისი არად შერაცხეს, ცეცხლი, ვითარცა მიწა, დასთრგუნეს, და თვით მეფემან წინაშე მათსა თაყუანისცა შთალსა! აწ ახლიდამ მოვილოთ მაგალითი. პეტრე მოციქული შეიპყრეს, ჯაკვით შეპყრეს და მკველნი დაადგინეს: პეტრე მოციქულმან ყოველივე თავს

იდეა და სიმშვიდით დაადგრა; ჰსძლო სიმშვიდითა უოველსავე-
 შემპყრობელთა და მცველთა: ანგელოზმან ლეთისამან ჯაჭვი-
 დახსნა, კარნი განუხვნა და პეტრე საპყრობილიდამ განათავი-
 სუფლა! საყუარელო, ორივ საჭურველა გაქტნდეს: სიმშვიდე
 და მრისხანება. როდესაც ეწმაკმან სიტკბოებით იწყოს ბრძო-
 ლა შენდა მიმართ გულის-თქმისა, ანუ სხვისა რაჟსამე სიტკ-
 ბოებისაგან, მაშინ გულის-წყრომის მახვილი აღიღე და მის მი-
 ერ განიოჯე უხილავი მტერი; და როდესაც ძმა ვინმე შენი-
 აღიძრას შენდა რისხვად, მაშინ სიმწვიდის მახვილი აღიღე და
 მრისხანების ეშპაკი მით მოაკუდიწე. **თუ** ინებებ, ორივეს ხმა-
 რებით დიდს რასმე ნიქს მოიპოვებ, **ვითარცა** ლავითმან მოი-
 პოვა: **ბოლიათის** მიმართ რისხვა იხმარა და მისთვის ძლევის-
 ქება მიიღო; **საულის** მიმართ, რომელიც სიკუდიდ სდევდა,
 მისდა მიმართ სიმშვიდე იხმარა და მეუობა მისი მიიღო. **მგრე-**
თვე შენ ორთა ამათ ჯეროვნად ხმარებისათვის მიიღებ **უფლი-**
სა მიერ ქებასა და სუფევასა საუკუნოსა აწ და საუკუნეთა
 უჩუნისამდე. **ამინ.**




თავი 12 შურისხათვის.

ი. ჯევის ბრძენი **სოლომონ**,: „შური სიხენეშისა დააბნე-
 ლებს სულსა“. **შური** სიხენეშისა განმრჩეველი არის, საღმრთოს
 შურისაგან განარჩევს ბოროტს შურს. **საღმრთო** შური იყო.

რომელიც მლიას აქტნდა და იტყოდა: „შური შემშურდა შუ-
ლისა ყოვლისა მპყრობელისა“. სიხენეშის შური იყო, რომე-
ლიც სიცრუის მღვდელთა მლიასა და მისის მსხვერპლისათვის
შური აქტნდათ; საღმრთო შური თვისთა მქონებელთა ლეთი-
სა მიმართ აღიყვანს, ვითარცა მლია ეტლითა ცეცხლისათა
აღვიდა ზეცად; შური სიხენეშისა ეშმაკთა თანა ქვესკნელად
ჯოჯოხეთისად შთაიყვანებს, ვითარ იგი სიცრუისა ზღვდელნი
შთახანდა ქვესკნელთა შინა ჯოჯოხეთისათა. მქონებელი სა-
ღმრთოსა შურისა ხადის ლმერთსა შემწედ თვისად და შუალი
შეეწევის მას, ვითარ იგი ხადოდა მლია ლმერთსა ქეშმარიტსა
და შეეწია მას; მქონებელი შურისა ხენეშისა ხადის ეშმაკსა
და იგი ვერა შეეწევის; რამეთუ არა ძალ-უძს შეწევნად, ვი-
თარ იგი ხადოდეს მღვდელნი სიცრუისანი და ვერა შეეწია,
რამეთუ ღვლესა შინა კიშონისასა მოისრნეს. შური სიხენე-
შისა დააბნელებს ოდესმე სულსა, რომელი ყოვლითურთ უც-
ხო-არს სხეულისაგან და არცა მიძღებელ-არს სხეულისა, ვი-
თარ იგი ეშმაკი დაბნელდა შურის მიერ, რამეთუ შეიშურვა
დიდება საღმრთო და იწადა სიმაღლე მისი, ვითარცა იტყვის
წინასწარმეტყველი ისაია: „აღზვიდე ღრუბელთა ზედა ცისა-
თა, და ვიყო მე მსგავს მალლისა მის“; და ამის შურისათვის
დაბნელებულ იქმნენ საუკუნოდ; ოდესმე სხეულის მქონებელს
სიტყვიერს სულს დააბნელებს თვისით ხორციითურთ, ვითარ
იგი ძაენ შურისათვის ძმისა დაბნელდა სულით და ხორცით.
ჯერ ერთობით ვსთქვათ, თუ სიტყვიერს სულს სიხენეშის შუ-
რი როგორ დააბნელებს, მერმე ის ვსთქვათ, თუ თითო ნა-
წილი სულისა შურისაგან როგორ დაბნელდება.

ზემო სიტყვაში დამტკიცდა ჩუპნ-მიერ, რომ შური სი-
ხენეშისა კაცს ეშმაკთა თანა შთაიყვანებს, ვითარცა შთახდა
იუდა ქტსსკნელთა შინა ჯოჯოხეთისათა, — და რადგან ლეთი-
საგან განაშორებს, უეჭველად კიდევ დააბნელებს. ზანმანათ-
ლებელი კაცისა თვით ლმერთი არის, ვითარცა იტყვის იოანე
მახარებელი: „იყო ნათელი ქეშმარიტი, რომელი განანათ-

იღვა და სიმშვიდით დაადგრა: ჰსძლო სიმშვიდითა ყოველსავე-
შემპყრობელთა და მცველთა: ანგელოზმან ლეთისამან ჯაქვი
დახსნა, კარნი განუხვნა და პეტრე საპყრობილიდამ განათავი-
სუფლა! საყუარელო, ორივე საქურველა გაქტნდეს: სიმშვიდე
და მრისხანება. როდესაც ეწმაკმან სიტკბოებით იწყოს ბრძო-
ლა შენდა მიმართ გულის-თქმისა, ანუ სხვისა რაჟსამე სიტკ-
ბოებისაგან, მაშინ გულის-წყრომის მახვილი აღიღე და მის მი-
ერ განიოტე უხილავა მტერი; და როდესაც ძმა ვინმე შენი
აღიძრას შენდა რისხვად, მაშინ სიმშვიდის მახვილი აღიღე და
მრისხანების ეშპაკი მით მოაკუდინე. **თუ** ინებებ, ორივეს ხმა-
რებით დიდს რასმე ნიქს მოიპოვებ, **მითარცა** ღავითმან მოი-
პოვა: **ბოლიათის** მიმართ რისხვა იხმარა და მისთვის ძლევის-
ქება მიიღო; **საულის** მიმართ, რომელიც სიკუდილ სდევდა,
მისდა მიმართ სიმშვიდე იხმარა და მეფობა მისი მიიღო. **მგრე-**
თვე შენ ორთა ამათ ჯეროვნად ხმარებისათვის მიიღებ **შფლი-**
სა მიერ ქებასა და სუფევასა საუკუნოსა აჲ და საუკუნეთა.
უწუნისამდე. **ამინ.**



თავი 12 შურისძიების.

იტყვის ბრძენი **სოლომონ**: „**შური** სიხენეშისა დააბნე-
ლებს სულსა“. **შური** სიხენეშისა განმრჩეველი არის, საღმრთოს
შურიანაგან განარჩევს **ბოროტს** შურს. **საღმრთო** **შური** იყო.

რომელიც მლიას აქტუნდა და იტყოდა: „შური შემშურდა შელისა ყოვლისა მპყრობელისა“. სიხენეშის შური იყო, რომელიც სიცრუის მღვდელთა მლიასა და მისის მსხვერპლისათვის შური აქტუნდათ; საღმრთო შური თვისთა მქონებელთა ლეთისა მიმართ აღიყვანს, ვითარცა მლია ეტლითა ცეცხლისათა აღვიდა ზეცად: შური სიხენეშისა ეშმაკთა თანა ქვესკნელად ჯოჯოხეთისად შთაიყვანებს, ვითარ იგი სიცრუისა მღვდელნი შთახანდა ქვესკნელთა შინა ჯოჯოხეთისათა. მქონებელი საღმრთოსა შურისა ხადის ლმერთსა შემწედ თვისად და შუალი შეეწევის მას, ვითარ იგი ხადოდა მლია ლმერთსა ქეშმარიტსა და შეეწია მას; მქონებელი შურისა ხენეშისა ხადის ეშმაკსა და იგი ვერა შეეწევის; რამეთუ არა ძალ-უმს შეწევნად, ვითარ იგი ხადოდეს მღვდელნი სიცრუისანი და ვერა შეეწია, რამეთუ ღელესა შინა კიშონისასა მოისრნეს. შური სიხენეშისა დააბნელებს ოდესმე სულსა, რომელი ყოვლითურთ უცხო-არს სხეულისაგან და არცა მიჰდებელ-არს სხეულისა, ვითარ იგი ეშმაკი დაბნელდა შურის მიერ, რამეთუ შეიშურვა დიდება საღმრთო და იწადა სიმაღლე მისი, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ისაია: „აღზვიდე ღრუბელთა ზედა ცისათა, და ვიყო მე მსგავს მალლისა მის“; და ამის შურისათვის დაბნელებულ იქმნენ საუკუნოდ; ოდესმე სხეულის მქონებელს სიტყვიერს სულს დააბნელებს თვისით ხორციურთ, ვითარ იგი ძაენ შურისათვის ძმისა დაბნელდა სულით და ხორციით. ჯერ ერთობით ვსთქვათ, თუ სიტყვიერს სულს სიხენეშის შური. როგორ დააბნელებს, მერმე ის ვსთქვათ, თუ თითო ნაწილი სულისა შურისაგან როგორ დაბნელდება.

ზემო სიტყვაში დამტკიცდა ჩუპნ-მიერ, რომ შური სიხენეშისა კაცს ეშმაკთა თანა შთაიყვანებს, ვითარცა შთახდა იუდა ქრისტსკნელთა შინა ჯოჯოხეთისათა, — და რადგან ლეთისაგან განაშორებს, უეჭველად კიდევ დააბნელებს. ზანზანათლებელი კაცისა თვით ლმერთი არის, ვითარცა იტყვის იოანე მახარებელი: „იყო ნათელი ქეშმარიტი, რომელი განანათ-

ლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად, და ვანმანათლებელს ღმერთს რომ განშორდება, დაბნელდება. აქ ერთი მაგალითი უნდა მოვილოთ: მთოვარე სადამდის მზის პირის-პირ არის და არ დასცილდება, მადამდას ნათელი არის, როდესაც მზეს დასცილდება, მაშინ ნათლისაგან ცალიერი შეიქმნება; ეგრეთვე კაცი სადამდის ძრისტესა ღმერთსა პირის-პირ ხედავს, მანამდის განათლებული არის, და როდესაც ძრისტეს დასცილდება და მოშორდება, მაშინ ნათლისაგან ცალიერი შეიქმნება.— აწ სულის ნაწილებს მივხედოთ თითოეულად, თუ როგორ დააბნელებს: შური ბრძოლას შემოიღებს, და ბრძოლა უსიტყვის მხეცის თვისება არის, და უსიტყვის თვისება სიტყვიერების ნათელს; ვითარცა ღრუბელი, დაჰფარავს და დააბნელებს, ვითარცა მირდატ მეფის სიტყვიერება დაიფარა სახესა შინა ღორისასა. შემდგომად გონების სიბნელისათვის ეს ვთქვათ, თუ შური ვითარ დააბნელებს. მაგრამ ჯერ ამისი კითხვა ვყოთ, რომ მეწურნეს რა შურს კაცისათვის? თუ სულიერგბრივი კეთილი გშურს და მისთვის მტერობა რამ გაქვს, სრულიადი გონების დაბნელება არის; თუ შიტაცება გშურის, მას რათ ეშურები, ეს კეთილი ღვთისაგან არის, ვითარცა იტყვის იაკობ მოციქული: „ყოველი მოცემა კეთილი და ყოველი ნიქი სრული ზეგარდამო არს შთამომავალი მამისაგან ნათელთასა“. მას რათ ეშურები? ღვთისაგან ითხოვე და მოიღებ ვითარცა ბრძანებს უფალი იესო: „ითხოვდით და მოგეცესთ“. თუ ნიეთიური რამე გშურს, ვსთქვათ, სოფლის მეფობა გშურს; ესეც დიდი რამ დაბნელება არის; შენთვის არ მიუტაცნია ის მეფობა, შენი არ არის სოფელი, — უფლისა ღვთისა არის, ვითარცა ბრძანებს პირითა წინასწარმეტყველისა ლავითისითა: „ჩემი არს სოფელი და სავსება მისი“ და ღმერთმან თავისი სოფელი მას მისცა; თუ დაბნელებული გონება არა გაქვს, რად ეშურები; მატაცება თუ გნებავს, ტყუილი მაშურალობა არის, რადგან ღმერთმან მისცა, შენ ვერ მისტაცებ. მიხედვ, შურისაგან როგორ დაბნელებული ხარ! ამას ვერ ხედავ, რომ

შურისა და მტერობისაგან ქტსყანა არ დაიმკვიდრება, უმეტესად სიმშვიდით უნდა დაიმკვიდრო ქტსყანა, ვითარცა ბრძანებს შუალო ჩტსნა იესო: „ნეტარ-იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქტსყანა“. თუ კიდევ მეფობის პატივი გშურს, ესეც გონების დაბნელება არის; ამისთვის რომ მეფობა ლეთისაგან არის, ვითარცა იტყვის მოციქული: „არა არს ხელმწიფება. გარნა ლეთისა მიერ“. რადგან ლეთისაგან არის, მან თავის-თავი მეფობის ღირსად უჩტსნა ლმერთს და მისცა ლმერთმან მეფობა; შენ ვერ უჩტსნე ღირსად მეფობისა თავი შენი,—და აქ ერთი მაგალითი უნდა მოგახსენო: საულ მეფე ეშურებოდა ლავით მეფეს და საულ სიკუდილს მიეცა, და ლავით უვნებელად განერა. მგრეთვე შენ ძმისა მიმართ შურს ჰყოფ: შენ სიკუდილს, ესე იგი წარწყმედას, მიეცემი და უმანკო შენი ძმა უვნოდ განერება. თუ ოქრო და ვეცხლი გშურს, აქაც დაბნელების საქმეში ხარ, ამისთვის რომ შუალი ლმერთი წინასწარმეტყველის პირით ბრძანებს: „ჩემი არს ოქრო და ვეცხლი და ვისა მინდეს მივსცე იგი“; მისთვის ინება და მას მისცა. თუ მიმცემლისა ლეთისა შურს დაიწყებ, ასე უგონებობა იქნება, რომ სიტყვიერთა-თანა აღარ შეირაცხება: მიხედვე ამ უგუნურებას, მზის შური რომ ვინმე იწყოს!, რა ნაკლებობა უნდა ჰსცეს?—შოვლად არა რა. შფროსად ლეთისა მიმართ არა რაა ძალ-გიძს. აქ შეუძლებელობა დაუტეოთ, და ჰეშმარიტისა სამართლისაებრ სიტყუა ვსთქუათ. მე-შურნეო, საჯე ჰეშმარიტი: რომელიც კეთილად ითხოვს, ლმერთმან მას უნდა მისცეს, თუ რომელიც ბოროტად ითხოვს? ასე სრულიადს შენს ბოროტებას ვერ განაცხადებ, ამისი თქმა რომ იკადრო, ბოროტად მთხოველს მისცეს და კეთილად მთხოველს არა, აქ ეს უჯერება შემოვა: ბოროტად მთხოველი ფარისეველი უნდა აცხოვნოს და ჯეროვნად მთხოველი მეზვერე უნდა წარსწყმიდოს. ამისი თქმა არცა ეწმაკთა ძალ-უძს. ლა რადგან ეს არის ყოვლით კერძო მტკიცე, რომ ლმერთმან კეთილად მთხოველს უნდა მისცეს, ძმა შენი კეთილად ითხო-

ვდა და მისცა; შენ კეთილად არ ითხოვე და არც მოგცა. იაკობ მოციქული ცხადად, გამხილებს და გეტყვის: „ითხოვეთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვეთ“. შენი მიზეზი შეიქმნა, რომ არა გაქვს ოქრო და ვეცხლი: არც ლეთისა მიმართ გამართებს შური და სიძულელი და არცა მოყსისა მიმართ. ძმისა მიმართ შურსა ჰყოფ; აქ ერთი საშიში საქმე არის: მე ვსძრწი, რომ ეშმაკის მგავსად ლეთის-მოძულე არ შეიქმნა. იოანე ლეთის-მეტყველი და მახარებელი თვისთა კათოლიკეთა შინა იტყვის: „უკეთუ ვინმე ჰსთქვას, ლმერთი მიუჭარს და ძმა თვისი სძულდეს, იგი მტყუარ არს“. მგრეთჲს მოციქულის სიტყვისაებრ მე გეტყვი, თუ ძმისა მიმართ შურსა და მტერობასა ჰყოფ, ეს რომ სთქვა: ლეთისა მიმართ მტერობას არა ვყოფ, მტყუარი იქმნები: თუ ლმერთს არა ჰსძულობ, ძმის შურს რად ჰყოფ? შენგან რა მიიღო, ან რა მიგტაცა, არათუ შენგან რასმეს მიიღებს? რაც კეთილი აქვს, ყოველივე ლეთისაგან აქვს, თორემ თითონ როგორი უძლეური არის, მაცხოვრისა იესოს სიტყუას მიხედვ: „ვერ ძალ-გიძს ერთისა თმისა დაშავებად, გინა განსპეტაკებად“. ასე უძლეურის ძმისა მიმართ შურს რად ჰყოფ? თუ რამ კეთილი შეგ შურდა, ითხოვე ლეთისაგან და მიიღე: უტყუელი სიტყუა მამისა აღვითქვამს: „ითხოვდით და მოგეცესთ“. აქ ძმისა მიმართ შური რად უნდა გაქვდეს, თუ ლეთის სიძულელი და მტერობა არა გაქვს? მგების ჰგონო, „შურისაგან რამე მოიგო? აქ ერთი მაგალითი უნდა მოვიღოთ ამისი საჩუბნებელი, რომ შურისაგან ვერას მოიგებ: ეშმაკი ადამს შურად და მტერად აღუდგა, მაგრამ ეშმაკმან დიდება ვერ შეიძინა რა: ეგრეთჲს შენ ძმის შურით და მტერობით დიდებას ვერას შეიძენ. მგების ვისმე საწყინოდ აღვიჩნდეს მე შურნე რომ ეშმაკს შევამსგავსე, მაგრამ აქ ჰაველე მოციქულის სიტყუა უნდა მოვიხსენოთ: „ყოველი განცხადებული ნათელ-არს“. რომელიც ძმისა მიმართ შურსა ჰყოფს, ეშმაკის მსგავსი არის, თუ ვითარ—წარმოვაჩინოთ: ანასტასი სინელი მოუთხრობს: ლმერთმან რომ ქუც-

ყანა შეჰქმნა, ეგონა ეშმაკს, ქრტყანა მათ მიეცემოდა სამკვიდრებელოდ; ლმერთმან რომ კაცი შეჰქმნა, ჰსცნეს რომ კაცისათვის იყო ქრტყანა. ამის მიზეზისათვის იწყეს შური და მტერობა კაცისა. მგრეთჲს შენ ეშმაკის მსგავსად ერთს რასმეს შენთვის ჰგონებ, ის შენ აღარ მოგეცემა და ერთს ვისმე შენს მოყუასს მიეცემა და ამისთვის შენ მისლა მიმართ შურს და მტერობას ჰყოფ: მიხედვე, თუ ეშმაკის მსგავსი არა ხარ! მგების იძიო ჩემგან და ჰსთქუა: „ნივთიერი ვარ და ნივთისათვის შური და ძიება არა ვჰყო, ვითარ ვიცხოვრო?“ აქ წინასწარმეტყველისა ლავითის სიტყუას გეტყვი: „მიუტევე შეაღსა ზრუნვა შენი და მან გამოგზარდოს შენ“. მსეც უნდა განგიცხადო: სადამდის მოყუთის შურში ხარ, არა რაჟმე შენი კეთილი კეთილად არ შეირაცხება, ყოველსავე ისე დააბნელებს. თუ ვითარ,—მაგალითით და სახით ვაჩუქნოთ: მსაფმან თვისსა მამასა, ვითარცა უყუარდა, ნადირებულისაგან ისე შეუმზადა და მიართვა, მაგრამ კეთილად არ შეიწირა მისი ძღვენი: ძმის შურმან უხმარად წარმოაჩინა. მგრეთჲს შენ ლმერთსა მამასა რასაც ძღვენს შესწირავ, თუ ძმისა და მოყუთის შური გაქუთს, არ შეიწირავს, ვითარცა ხმობს წინასწარმეტყველი ლავით: „შესაწირავი და მსხვერპლი არა გთნა“. საყვარელო, მოიხსენე: საულმან შესწირა შეაღს შესაწირავი, მაგრამ ლავითის შური რომ აქუთდა, ამისთვის არ შეიწირა. თუ ვისიმე შური გაქუთს, შენი შესაწირავიც, მსგავსად მისსა, უხმარი არის, ვითარცა გიბრძანებს შეალი პირითა ლავით წინასწარმეტყველისათა: „არა შევიწირავ მე სახლისა შენისა ზვარაკთა, არცა არვისა შენისაგან კაცთა“. თუ შენგან შურს არ მოსპობ, შენი ლოცვაც უხმარი არის. საქმითაც ვაჩუქნო ეს და სიტყვითაც: საქმით—ვითარცა ფარისეველი ილოცვიდა, მაგრამ მოყუთის შური რომ აქუთდა, მისი ლოცუა უხმარი შეიქმნა; აწ სიტყვით ვაჩუქნო: შეალი ბრძანებს პირითა მოციქულისათა: „მნებავს ლოცვა მამათა ყოველსა ადგილსა წმიდად კელ აღპყრობით თვინიერ რისხვისა“. ამ სიტყვისაგან ასე ჰსჩანს, თუ

რისხვა და გულის წყრომა ვისმე აქუს ლოცვაში, ის ლოცვა-
ღმერთს არ ნებავს; და შური რისხვასა და გულის წყრომასა
გარდა არ იქმნება. მაშასადამე ლოცვა მეშურნის უნაყოფო.
და უხმარი არის. რადგან მეშურნისა ყოველივე ამაო და ცუ-
დი შეიქმნა, თვით მეშურნეც ამაო და ცუდი არის, ვითარცა-
გვაქუს სახე ამისი: ღმერთმან ძაენ და ძღვენი მისი ერთად გა-
ნაგდო, ვითარცა დასწერს მოსე ღვთისა მზრახვალი: „ძაენს-
ზედა და მსხვერპლთა მისთა ზედა არა მოიხილა“; ეგრეთჲც-
მეშურნესაცა და ძღვენსა მისსა ერთად განაგდებს ღმერთი.
მეშურნე დიდს უკუნურებაში არის: წარმავალისა და განსახ-
რწნელისა შურისაგან განილვეა და წარუალს საუკუნო დი-
დებას წარმავალის შურისათვის ჰკარგავს; ეს სულიერებრივი
უკუნურება არის. აწ ხორციელებრივი უკუნურება ვსთქვათ
მეშურნისა. მოყუას რომ ნივთიურისათვის ეშურვები მისატა-
ცებელად, მას მკირედს რასმე მისტაცებ; ეგების არც საკამე-
ბელად გექმნეს, ეგების შფოთებისაგან ხორციელი ვნებაც შე-
გვხდეს და შენი ტკბილი იესო უშფოთველად, უვნებელად
გარდამატებულს მოცემას გიბრძანებს: „მოგეცეს თქუან საწ-
ყაული კეთილი, შეხრილი და დატენილი და ზედა გარდათხე-
ული“. ასე შტანხიერად და უხვად მომცემელს იესოს არა,
სახოვ და მოყვასსა და ძმას ეშურვები! ამის უმეტესი უკუ-
ნურება რა უნდა იქმნეს? ამასაც მიხედვე: ყოველი მეშურნე-
დაგლახაკნა ვითარცა დაგლახაკნა ძაინ, მოშურნე ძმისა, და-
გლახაკნა მსავ, დაგლახაკნა საულ, მოშურნე ღვეითისი, და-
გლახაკნა იუდა, მოშურნე მოძღვრისა და შფლისა თვისისა.
თუ ამათს სიგლახაკეს გამოაძიებ, ძაენ ღვთისა მიერ დაიწყევლა,
მსავ პირმშოებისაგან დაემხო, საულ მოიკლა, იუდა ძედ წარ-
წყმედისა იწოდა.—ჰსკან ჰეშმარიტებით, რომ მოშურნე ამისს-
მსგავს საცთურში ხარ.

აწ ეს ვსთქვათ ჰეშმარიტებით, რომ მშვიდი და წფრ.ფე-
ლი როგორ გამდიდრდა: გამდიდრდა აბელ, რამეთუ სუნად
სუნნელებისად შეიწირა; განმდიდრდა იაკობ, რამეთუ მამისა-


მიერ თავისისა კურთხევა პირმშობებისა მიიღო: განმდიდრდა ღავიდ, რამეთუ შეფობა მიიღო ისრაელისა და იუდასი; განმდიდრდა მატათა, რამეთუ აღირაცხა ათერთმეტთა მოციქულთა თანა. **სხადად** სახილველი არის ზემო თქმულთაგან მოშურნის დაგლახაკება, მშვიდისა და უმანკოს განმდიდრება. **თუ** არ ირწმუნოს მოშურნემ და არ განაგდოს შური, აქ მკურნალის კელოვნება ვიხმაროთ: მკურნალი მაკუთნინებელს გესლიანს თავისის ხელოვნებით სიცოცხლის წამლად შემზადებენ, რომელ არს თქრიალ-ფარუქი; ეგრეთჲც ჩუენ მაკუთნინებელი შური ასე შევაშალოთ—მაცხოვნებელად იქმნეს. **რადგან** შეიყუარა მეშურნემ შური და არ განაგდო, ასე კეთილად შევსცვალოთ, რომ მის მიერ სცხონდეს. **ჯერ** თუ ირწმუნოს ჩვენი მოშურნემ, ვაწვიოთ, რომ შური და მტრობა ეშმაკისა მიმართ ჰყოს, შესამსგავსიკ არის მისდა მიმართ შური, ამისთვის რომ მას დაუცხრომელი შური აქვს კაცთა მიმართ. **თუ** არა ჰყოს ეშმაკისა მიმართ შური და კაცთა შურის სურვილი აქუნდეს, მადლითა ძრისტესითა ესეც სელოვნებით კეთილად წევუშალოთ. საყვარელო, რადგან შურის ტრფიალი ხარ, თავის-თავზედ ჰყავ შური, მტერობა უყავ შენს თავს, მისტაცე საზრდელი და სასმელი და შეიტკებ მარხვა; მისტაცე დიდება და განუყავ გლახაკთა; ნუ განუსტყნებ, დაჰსტანჯე მოლტაწებითა—შურს ეს შეუდგს,—და ძრისტესთვის ნურც სიკუდილად ჰრიდებ შენს სხეულს. **თუ** გნებავს შური, ასე თავის-თავს ეწურვე, ძმისა მიმართ შური წარწყმელას მიგცემს, თავის-თავისა მიმართ შური ამისებრი, როგორც მოგახსენე, საუკუნო ცხოვრებისა მიმართ აღგიყვანს. **თუ** ამას იტყვი: „თავის-თავის შური და მტრობა შესაწუხებელი არის“, აქ აზისი მწუხარებაც უნდა მოიხსენო, რომელსაც შენ ეშურვები: თუ შენი თავი გეწყალოვს, ისიც უნდა შეიწყალო! **ნუ** დაივიწყებ **იასოს** სიტყუას: „ყოველი, რაოდენი გინდეს, რათა გიყონ თქუენ კაცთა, ეგრეთცა თქუენ ჰყვით მათდა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს სჯული და წინასწარმეტყველნი“.

ჩაოდენი სიტკბოება შენ გნებავს მოყუჩისისაგან, ეგეოდენი შენ უნდა ჰყო მოყუჩისის მიმართ და შური უნდა დააცხრო; შენი ძრისტეს სჯულის-დება ამას გიცხადენს. **ღა** თუ შურს არ განადგებ, უეჭველად შენი ძრისტე მოგძულებია; თვით ძრისტეს სიტყვით არის ცხადი, რომ მოიძულე შენი ძრისტე, ამისთვის რომ ძრისტე ასე იტყვის: „რომელსა ვუყუარდე მე—მცნებანი ჩემნი დაიმარხნენ“. მისი მცნება შური არ არის, მისი მცნება ეს არის: „უკეთუმცა იყუარებოდეთ ურთიერთას, ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხარა“. შენ ნატყლად სიყვარულისა შურსა ჰყოფ. **რომ**ლითა ჰსჩანს შენგან ძრისტეს სიყვარული? მაგრამ ეს უნდა გამოცხადნეს, რა მიზეზი გაქტს სიძულილისა? რომელი საწადელი კეთილი არ მოგცა? მოგცა გონებისაგან მიუწლომელი კეთილი, ესე იგი სასუფეველი, მოციქულისა პავლესებრ: „რომელი თვალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რომელი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა“. ეს სულიერებრივად მოგცა. ხორციელებრივად მოგცა ქტყანა, შემკობილი ნერგთა და მცენარეთა მიერ; მოგცა საზრდელი და სასმელი, სამოსელნი და სხუანი სამკაულნი; გყო ქტყანასა ზედა უფლად ყოვლისა; შეგამკო და პატივ-გცა სიტყვიერებითა და გონიერებითა; აღვამალა ხატად და მსგავსად თვისად შექმნითა; მოგცა უზრუნველობა, თქმისაებრ: „ნუ ზრუნავთ რა სპამოთ, ანუ რა სვათ, ანუ რა შეიმოსოთ, რამეთუ იცის მამამან თქტანმან, რა გიხმს ამათ ყოველთაგან“. ცხადად მოგესპო ყოველი სიძულილის მიზეზი! ამისთვის ჯეროვნად ბრძანებს შთალი შენდა მიმართ პირითა ღავითისითა: „მომიძულეს მე ცუდად“. საყვარელო, ძმისა მიმართ შური და მტერობა გაქტს და შენგან შორს მდგომარე არის! ბამოიკტლიე კეთილად, ეს საქმე როგორ ძნელი არის: ძმა და მოყვასი შორს მდგომარე, დაუძინებელი მტერი ეშმაკი მარადის მახლობელად მდგომი და მბრძოლი! ჩით უნდა დაიცვა თავის თავი? ჩით უნდა განერო საცთურისაგან, რომ შემ-

წუ არავენ გივის? **თუ** ამას ჰგონებ, რომ ძმა და მოყვასი შემწე არ არის, ამისი მოგონება უჯერო არის. **ჴეშმარიტი** თქმული არის: „ძმანი ჳირთა შინა საკმარ არიან“, — ეს სიტყვა რათ დაივიწყე? **თუ** არა გრწამს, რომ ძმა და მოყვასი დიდად შემწე არას, ამისი დასარწმუნებელი სახეები მოვილო: **მგიბტელი** ვინმე **ისრაელს** ერეოდა და ჰბრძოდა; **ისრაელის** მოყუასმან **მოსემ**, იხილა, რომ **მგიბტელი ისრაელს** ერეოდა: **მგიბტელი** მოჰკლა და **ისრაელი** განარინა. **მგრეთვე** შენ უხილავი ეშმაკი რომ გბრძოდეს და გერეოდეს, ერთი ვინმე მოყვასი შენი თავისის კეთილობისა და სწავლის ძალით შენგან ეშმაკს მოჰკლავს, ესე იგი, განსდევნის და შენ გიხსნის. **ჰიდევ** მოვილოთ ამის მსგავსი მაგალითი: **ისრაელთ** ამაღეკი ებრძოდა; **მოსე** მთაზედ აღვიდა, ხელი განიპყრო **ღვთისა** მიმართ, **ამაღეკი** დაამხო და **ისრაელი** იხსნა. **მგრეთჳც** შენ, ეშმაკი რომ გბრძოდეს, კეთილი ვინმე შენი მოყვასი, სათნოების მთაზედ მდგომარე, განიპყრობს კელს **ღვთისა** მიმართ, ეშმაკს დაამხოვს და შენ გიხსნის. **აწ** ახლის მაგალითი მოვილოთ: **ლაზარე** სასიკუდინიდ სნეული შეიქმნა, მისთა მოყვასთა **ჰრისტეს** მოახსენეს: „შთალო, რომ გიყვარდა, სნეულ-არს“. მოვიდა **ჰრისტე**. **ლაზარე** საფლავში იყო, განაცხოველა **ჰრისტემან** და საფლავისაგან გამოიყვანა. **მგრეთჳც** შენ სულით სასიკუდინე რომ შეიქმნე, მოყუასი შენი საიდუმლოდ ლოცვასა შინა მოახსენებს **ჰრისტეს** შენს სულით სნეულებას; მოიწვევა **ჰრისტე** შენდა მომართ, ცოდვის სიკუდილისაგან განგაცხოველებს და აღგადგინებს. მოყუასის ლოცვისაგან ამისი მსგავსი შეწვევა ჳეშმარიტმან ამან სიტყუამან დაგარწმუნოს: „ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწვევად“.

აღვიდეთ **ჩუტნის** ქადაგებისა მიმართ დასაბამნი: „**შური** სიხენეშისა დააბნელებს სულსა“ ჳგავს, **შურს** ძნელი სიბნელე და სიბრძნე მოაქუთს, და ვევედროთ **ჰრისტესა**, ვითარცა **შობითგან** ბრმა განკურნა, **მგრეთჳც** **ჩუტნ** საშინელის **შურის** სიბრძმისაგან კურნება მოგუტცეს, ნაცვლად თიხისა—სიმდაბლე

და შემუსრვილება ჰსცხოს თვალთა გულისა ჩტანისათა, წარ-
გველინოს სილოამ საბანელის ნაც ჯლად ცრემლთა წყაროსა.
მიმართ, რათა დავიბანნეთ თვალნი გულისა ჩტანისანი და აღ-
გვეხილნენ თვალნი შურისა მიერ დაბნელებულნი; ანუ იონა-
სებრ ლაღად ვჰყოთ, და როგორც ის ვეშაპისაგან იხსნა, ეგრე-
თვე ჩტან უხილავის ვეშაპის—შურის ეშმაკისაგან გვიხსნას;
ანუ ვითარცა ჯოჯოხეთით თვისნი მორწმუნენი აღმოიყვანნა,
ეგრეთვე ჩტან ჯოჯოხეთის შავავისის შურის სიბნელისაგან აღ-
მოგვიყვანს. თუ შურის სიბრმეში განუნათლებელი დაჰშთი,
მოუთმენელს რასმეს განსაცდელში შევარდები: თუ ვითარ—
მაგალითით გიჩტანო: შობითგან ბრმა სადამდის სიბრმიდამ არ
განიკურნა, რომელს ქტას წარბეთქდა ფერხს, არ უწყოდა და
ამისთვის ურვეულ იყო: ეგრეთვე რომელიც შურის სიბრმეში
არის, რომელს საცთურის ქტას წარეცტთება სულით, არ უწყის
და ამისთვის სულით ურვეულ იქმნება. ძვალად იონა რომ
ვეშაპის მუცლიდამ შთალს არ ეხსნა, უეჭველი არის, ხორციით
ხრწნილებას მიეცემოდა. მგრეთჲც რომელსაც შთალი შური-
საგან არ იხსნის, უეჭველი არის, სულით ხრწნილებას მიეცე-
მა. როგორც ჯოჯოხეთში მყოფთა ცოდვილთა ნათელი არა
აქტს, ეგრეთვე მემურნეობაში მყოფთა ნათელი არა აქტს გა-
ნათლებად სულისა თვისისა. ამისთვის შორს ჰყავთ თქტანგან
დამაბნელებელი შური სიხენეშისა, რათა მახლობელ თქტანდა
იქმნას შთალი იცხო, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა,
რათა განგანათლოს თქტანცა ნათლითა მეცნიერებისათა და
სიმშვიდითა ყოვლად უწფოთველითა აწ და საუკუნეთა უკუ-
ნისამდე. ამინ.



თავი 13. ამპარტავნებისათვის.

იტყვის უფალი პირითა წინასწარმეტყველისა აბდიასითა: „ამპარტავანებამან გულისა შენისამან აღგიღო შენ“. ამპარტავნებას, ჩემის უგუნურის გონების მსგავსად, ორად განვყოფ. ერთი, ამპარტავანება ყოველთა ძრისტეს მოწაფეთათვის ვალი არის და კეთილის მომცემელი. სამართალი არის, ეშმაკისა და მისგან მოღებულის საცთურისათვის კაცი უნდა ამპარტავნებდეს. ამისთვის ერთი უფრო სარწმუნო და სამტკიცო მაგალითი მოვიღოთ. ვინც უფლისა ლეთისა მონა არის, ეშმაკისა და მის საცთურზედ უნდა ამპარტავნებდეს. ძალწულისა ლეთის-მშობელისა მარიამის მიმართ უფლისა მიერ ანგელოზი მოივლინა და სიტყვისა ლეთისა მუცლად-ღება ახარა. ძალწულს მარიამს მვას ცთომისაგან ეშინოდა; ცთომის იღვი რომ ჰქონდა, სიმაღლის სიტყუა მიუგო: „შითარ იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“ და როდესაც ანგელოზმან იღვისაგან გამოიყვანა და ჰრქუა: „სული წმიდა მოვიდეს წენზედა და ძალი მალისა გფარვიდეს შენ“, მაშინ სიმდაბლის სიტყუა მიუგო: „აჰა მხეიალი უფლისა, მეყავნ მე სიტყვისა-ებრ შენისა“. უფლისა ლეთისა მონა რომელიც არის. ასე უნდა ჰყოფდეს: სადაც ეშმაკის საცთურების იღვი ჰქონდეს, უნ-

და ამპარტავენებდეს; ყოვლად წესიერი არის ეშმაკსა და მის საცთურზედ ამპარტავენება. მიზეზები მოვილოთ. ჩჷსნ ლმერთმან სიწმიდელ გვიჩინნა მოციქულისაებრ: „ბრა გვიჩინნა ჩჷსნ ლმერთმან არა-წმიდებად, არამედ სიწმიდელ“, — და ეშმაკი არა-წმიდებას გვაწვევს; ჩჷსნ სიტყვიერი ვართ — და ეშმაკი პირუტყუტებისა მიმართ მიგვიზიდავს, ვითარცა ხმობს წინასწარმეტყველი ლავით: „ბაძვიდა იგი პირუტყვთა უგნურთა და მიემსგავსა მათ“; ჩჷსნ ხატად და მსგავსად ლეთისა ვართ დაბადებულნი, — ეშმაკი კოდვის მოქმედებისაგან ძაღლისა და ღორის მსგავსებად მიგვიზიდავს, თქმისაებრ პეტრე მოციქულისა: „ძაღლი მიეკა ნათხევარსა თვისსა და ღორი ინწუბნა საგორველსა მწვირისასა“. რომელიც ამის მსგავსის საცთურებისათვის ეშმაკზედ ამპარტავენებს, ქეწმარტებით შესამსგავსი არის შფლის სიტყუა, ჭადაგების დასაბამი: „ამპარტავენებამან გულისა შენისამან აღვილო შენ“. ვითარცა ზემო ვსთქუ, იმის მსგავსჷან ამპარტავენებამან ეშმაკთა ზედა აღვილო ქუტყანისაგან და შეგართა ანგელოსთათანა; აღვიგო ამოვებისაგან სოფლისა და შევაერთა და გაზიარა შენსა მამასა და ლმერთსა.

მეორე ამპარტავენება, რომელიცა იქმნების მოყუასთა მიმართ, ასე უჯერო არის, განიყვანს კაცს თავისის ქმნილების წესისაგან, ანგელოსთა ზიარებისაგან და ძრისტეს მოწაფობისაგან. თუ ვითარ — თითოეული ვაჩუწნოთ. ძაკი მიწისაგან შექმნილი არის, ვითარცა იტყვის მოსე ლეთისა მზრახველი „და შექმნა ლმერთმან კაცი მტვერისა მიმღებელმან ქუტყანი-საგან“. უქუტყანესისა და დაშავებულისა მიწისაგან ქმნილს როგორ დაეზავება ამპარტავენება, თუ ამის ბუნებისაგან განსრული არ იყოს? მს უქუტყანესი, რომლისაგანაც კაცი შეიქმნა და კაცი სიმაღლისა მიმართ ვიდოდეს — მიწის ბუნებისაგან ეს უცხო არის. მს ქეწმარტი არის, ჩჷსნს სიტყვიერს სულს სიმაღლის ბუნება აქუს, ამისთვის რომ ანგელოსთა ზიარი არის, მაგრამ ლმერთმან მდაბალი მიწის ბუნება შეაერთა; ამითი სიმაღლისა მიმართ უნდა ვიდოდეს კაცი, და რადგან ამპარტავენ-

ნებით მადლობს, აქ მიწის ბუნებისაგან თავის გონებ-თ განსრული არის. იტყვის ამპარტავანი: „სიტყვიერი სულ, რადგან სიმალლის არის, მე სიმალლისა მიმართ მაქტს სურვილი“. საყვარელო, საწყინოდ ნუ აღვიჩნდება ჩემი სიტყვა: შენი სიმალლით აღსლტა ანგელოსისაგან სრულიადი განშორება და უცხო ყოფა არის, და თუ ანგელოსისაგან შორს ხარ, რადენად უფრო ლეთისაგან შორს იქმნები! უქტუნაესი საშტალთა მიერ უნდა ეზიარებოდეს თავისს უზენაესს, ვითარცა იტყვის პროკლე პლატონური ფილოსოფოსი ლეთის-მეტყველებითსა კავშირსა შინა: „საშტალთა მიერ ეზიარებოდეს და ეზებოდეს მიზეზოვანი თვისსა მიზეზსა და წარმომჩენელსა“. და თუ საშტალის ანგელოსისაგან შორს ხარ, ლმერთს რით უნდა დაუხლოვდე? შოვლად შეუძლო არის.

ახლა ეს ვაჩტუნოთ, ამპარტავნებით ანგელოსისაგან როგორ განშორებულდი ხარ. ანგელოსნი, რომელნიც მათის ბუნების კეთილნი ანგელოსნი არიან, ურთიერთარს მოყტსობა აქტს, ვითარცა იტყვის ისაია ანგელოსთათვის: „ღალადებდა მოყტასი მოყუსისა მიმართ“; თორემ ურთიერთარს არ ამპარტავნებენ. შენ შენის ბუნების კაცზედ ამპარტავნებ და მადლობ. ანგელოსი უფლისა ბრძანებულს ყოვლად სიმდაბლით აღასრულებს და კაცს მცტპლად მსახურებს,—შენ ამპარტავნებით შენის უფლის იესოს ბრძანებულს მოყტსისა მიმართ სიმდაბლეს არ აღასრულებ და მოყვასზედ ამპარტავნებ. ანგელოსნი ეშმაკთა მიმართ ამპარტავნებენ და შერისხვით კაცთაგან განიოტებენ, კაცთა მომართ სიმდაბლეს აჩტუნებენ მცველობით, როგორც ზემო ვთქუ;—შენ ეშმაკთა მიმართ სიმდაბლეს ჰყოფ და კაცთა მიმართ მადლობ! ასე უცხო და განშორებული ხარ ანგელოსისაგან!—აწ ეს უნდა განგიცხადო: ძრისტეს მოწაფეობისაგანაც შორს ხარ, მისი მოწაფეობის სახე არ მოგაქტს, ამისთვის რომ მისი სიმდაბლის სახე შენ შორის არ არის. ის ასე ბრძანებს: „მშვიდ-ვარ და მდაბალ გულითა“. ის მდაბალი—და შენ ამპარტავანი! ასე შორს ხარ,

ვითარცა ქატიკანისაგან. ზენო ჩემნან უძლორნან სიტყუამან წარმოგიჩინა—განწორებული ხარ შენის სხეულის ქნნილცების წესისაგან: ის სიმდაბლის არის,—შენ?—შენ მალლოჲ.

ბანშორებული ხარ ანგელოზთაგან და შირისტეს მოწაფეობისაგან! მსე ყოველი ამპარტავენებამან ჰყო წენ ზედა. ამათგან განყოფილი,—ცხადი რამ არის,—ეშმაკის შედგომილი და მოწაფე იქმნება. ასე ვგონებ ეშმაკის საცთურების მეტი ამპარტავენების მიზეზი კაცს არა აქუს რა. რა მიზეზი ვისმე აქუს ამპარტავენებისა,—კითხვით გამოვიძიოთ. საყვარელო, ჰსთქჳ, რომლისთვის ამპარტავენებ: ხორციელის საქმისათვის, თუ სულიერასათვის? თუ სულიერი რამ სათნოება გაქუს, სათნოებისთვის რად ამპარტავენებ? თუ სულისთვის გნებაეს—სათნოება—ამპარტავენება ყოველს სათნოებას დააბნელებს, და თუ ხორცისთვის გნებაეს—სათნოება ხორცის საწვებელი არ არის, უფრო სამწუხარო არის: გესმის ბრძანებული მესოს მიერ? „იწრო არს გზა იგი და საჭირველ, რომელნი მივლენ ცხოვრებად საუკუნოდ“, და თუ ამპარტავენებ—სათნოება სულისათვის უხმარი არის, და თუ ვითარ—ვაჩვენოთ. ლოცვის უმჯობესი სათნოება რა უნდა იქმნეს? მაგრამ ფარისეველი რომ ამპარტავენებდა, ამპარტავენებისათვის მისი ლოცვა უხმარი შეიქმნა: ანგელოზის მზგავსი რომ იყო, თუ ამპარტავენება გაქუს, მაშინც უხმარი არის. ამის მიერ დაირწმუნე ამის ქეშმარიტება: ეშმაკი პირველ კეთილი ანგელოზის იყო: ამპარტავენებამ საძაგელ ეშმაკად ჰქმნა.—ახლა კიდევ ხორციელი მოვილოთ მაგალითად. სარწმუნოება ყოველთა სათნოებათა შორის უმაღლესი რამ არის; და პეტრეს სარწმუნოება რომ ცეცხლებრ მხურვალე იყო, შირისტეს რომ მოახსენა: „დაღათუ ყოველნი დაბრკოლდენ, მე არა სადა დავბრკოლდე.“—მს სიტყვა მცირედ მჩემებლობისა და ამპარტავენებისა იყო; ამისთვის მცირედ ჟამ მისი სარწმუნოებაც შეირყა და შირისტეს უარის ყოფის ბრალში შთაეარდა. ხედავ ამპარტავენებამ სათნოება როგორ დააბნელა! და თუ სათნოება გნებაეს, დამაბნელებელი

ამპარტავნება შორს ჰყავ შენგან.

ძიღვე უნდა ვსთქვა: ასე განდიდებული სათნოება გაქვს, რომ გიკვირს, და მისთვის ამპარტავნებ? ნათლის-მცემელის უმეტესი სათნოება არავის აქვს, ეს ძირისტეს მიერ დამტკიცებული არის, ვითარცა ბრძანებს: „არა აღდგომილ-არს ნაწიბ-თაგანი დედათასა, უფროს იოანე ნათლის-მცემელისა“. წარმოჩნდა, რომელ ნათლის-მცემელის უფროსი სათნოება არავის აქვს. მოველთავე ჰეშმარიტი აღვიაროთ: ამ ჟამად არც მისი შესამსგავსი სათნოება ვისმე ექმნება; და თუ კი, ის არ მაღლობდა და სიმდაბლით იქცეოდა და იტყუდა: „არა ღირს ვარ მე განხსნად საბელსა ხამლთა მისთასა“, — შენ ერთის მცირისა სათნოების მქონებელი რად ამპარტავნებ? და თუ ხორციელებრივის რასმე საქმისათვის ამპარტავნებ, ცთომილად ჰყოფ, გონების ასამაღლებელი რა გაქვს? თუ იტყვი: „შტწნიერება მაქვს და ამისთვის ვამპარტავნებ“, მთახედვე საფლავში, თუ შტწნიერება რა უშტწრად ქცეული არის, მტვერად, ავლად და წუთხად! რომლისაც შტწნიერებისათვის შენ ამპარტავნებ, იმისი მსგავსი შტწნიერება მატლსა და ჰიას საქმელად და დასათრგუნველად აქვს. თუ ცთომილი არა ხარ, რაც მატლსა და ჰიას შეურაცხად აქვს, შენ მისთვის რად ამპარტავნებ? თუ სიმდიდრე გაქვს და მისთვის ამპარტავნებ, აქ შენის უგუნურების გამოთქმა მე არ ძალმიძს! შენ ცხოველი მკვდრის მსგავსი ხარ, ასე გლახაკად ხარ და ამპარტავნებ! მს უგუნურება რით გამოვიკტილიო? თუ იკითხავ, მკვდრის მსგავსი რითა ხარ, მე გეტყვი: ერთი ტილო მკვდარსაცა აქვს ტილოდ, სუდრად, და შენც შენის სიმდიდრისაგან ერთი სუდრის მეტი არა მიგყუტსა რა, და ამასთვის ამპარტავნებ! ბონიერებით მიხედვე, თუ რა დიდს უგუნურებაში ხარ! ირწმუნე ჩემის უღირსებისაგან, ამპარტავნების მიზეზი არა გაქვს რა, მარტო ეშმაკის საცთურება არის: როგორც თითონ ამპარტავნებით დაემხო, მსგავსად მისსა შენი დამხობა ჰნებავს. მეგების ეს ჰგონო ვინმე, რომ ამპარტავნებით სიმდიდრე მოიპოო? — ამპარტავნებით სიმდიდრე არ

მოიპოვება. სიმდიდრე ხორცს სიტყვიერის სულისაგან აქტს; თუ სიტყვიერი სული არა აქტს ხორცს, ყოველითურთ უხმარობის და გლახაკი; როგორც სიკატლილსა შინა სიტყვიერი სული ხორცისაგან რომ განვალს, ხორცი ყოველად გლახაკი და უშუპრი შეიქმნება, რაოდენათაც ძლიერი მეფე იყოს, ყოველისაგანვე უგლახაკესი შეიქმნება; თითოეულნი თვალით მხილველნი ხართ ამ საქმისა. აწ ამას რასათვის გულის-კმის ყოფით არ მიხედავ? ბანამდიდრებელი სული ამპარტავანებისაგან დაგბნელებია; ხორცი როგორ უნდა განმდიდრდეს? შეუძლებელი არის ამპარტავანის განმდიდრება; თვით შუალი **ის**ო ბრძანებით ამტკიცებს: „რომელმან აღიმალლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს“. ამპარტავანის ამაღლება რით უნდა იქმნეს? — არა უწყი. ღიდება და ამაღლება ანუ ღვთისაგან უნდა მიეცეს კაცს, ანუ კაცისაგან. ჭიცი ამპარტავანს არ აღიდებს, ამისთვის რომ ამპარტავანი ყოველს კაცს შეურაცხ-ყოფს და ჰგოიბს, ამისთვის არც მას აღიდებენ. სოლომონ ბრძენი კაცთა მაგიერ ამტკიცებს: „მე მოყვარენი ჩემნი მიყვარან“. შემეტესად ღმერთი არ აღიდებს ამპარტავანს, კიდევ ჰსძაგს, ვითარცა იტყვის შუალი ჩუნი **ის**ო: „ყოველი მაღალი გულისთა საძაგელ-არს წინაშე ღვთისა“. ბამოცხადდა ჭეშმარიტებით ღვთისა და კაცთაგან ამპარტავანების დამდაბლება. ძველის წერილიდამ მაგალითი ვაჩუენოთ, რომ სიმალლით სიმდიდრე არ მოიგება: პირველს ჟამში კაცთა მაღლის გოდლის შენება იწყეს, თავი ცადმდე უნდა მიწთომილიყო, გარდამოხთა შუალი და დაარღვია მათი შენებული და უჩინო ჰყო. მგრეთუც ამპარტავანი სიმალლისა მიმართ თავისის თავის აღშენებას იწყებს, თვით შუალი გარდამოვალოს და მის სიმალლის შენებულებას ის დაარღვევს, ვითარცა იტყვის შუალი პირითა **ის**აია-სითა: „დავარღვიო ზღუდე მისი და იყოს მიმო-დასატაცებელ“. ახლიდამ მოვილოთ ამისი მაგალით, რომ გონების სიმალლით დიდება არ მოიგება: ზებედეს შვილების დედა ჭრისტეს ევედრა თავისი შვილებისათვის და ითხოვა: „შენს დიდებაწი გრ-

თი მარჯუტნით შენსა დასხდეს და ერთი მარცხენით“: ეს თხოვა გონების სიმაღლის იყო, ამისთვის ჭრისტენან არ მისცა და უბრძანა: „მარჯუტნით და მარცხენით დაჯდომა არა არს ჩემი მიცემად“. ამას აცხადებს ეს სიტყვა: გონების სიმაღლით მოხოველს ჩემგან დიდება არ მიეცება. ამპარტავანო! ირწმუნეთ ყოვლად ჭეშმარიტი ესე სიტყვა: ამპარტავანებისათვის ჭრისტე დიდებას არ მოგცემს. ამისდა დასამტკიცებლად, მაგალითად, ძენი ზებედესნი იპყარით, რომ სიმაღლით თხოვისაგან ვერც მათ მიიღეს დიდება. საყვარელნო, ვგონებ, რომ სიმაღლისა მიმართ აღსლტა თვინიერ სიმდაბლისა არ იქმნეს. ჴერ ეს სოფლიურის მაგალითით ვსტყუათ. ძიბისა მიმართ აღსლტა, უეჭველი არის, სიდაბლიდამ იქმნება. აწ სხტა ჩტნის სიმდაბლე მოვიხსენოთ: კაცთა ბუნება ესეოდენს სიმაღლეში იყო, უზრუნველი ცხოვრება აქტნდა, მადლით უკდავება აქტნდა და სამოთხესა შინა მკვიდრ იყო; ესეოდენის სიმაღლისაგან ცოდტამ ესე ვითარს სიმდაბლეში შთაადღო კაცი, როგორც ხედავთ, რომ პირველის დიდებისაგან სიგლახაკესა და სიმდაბლეში ვართ! თუ სიმდაბლიდამ არ ვიწყებთ აღსლტას, პირველი სიმაღლე არა გვაქტს; და აქ სიმდაბლეში ვართ, და რომელი გზა გვაქტს სხვა სიმაღლისა მიმართ თვინიერ სიმდაბლისა? სხვებრ შეუძლო არის სიმაღლისა მიმართ აღსლტა, თუ სიმდაბლიდამ არ ვიპყრობთ გზას. მსეც უნდა უწყოდეთ, არც თავისის-თავად აღსლტა შეგიძლიათ: აღმყვანებელი თქტნის თვით შფალი ლმერთი უნდა იყოს, ვითარცა მლია აღვიდა სიმაღლედ ცისა, არა თუ თავით თვისით, არამედ შფლისა მიერ, რამეთუ ეტლი ცეცხლისა მოუვლინა. მგრეთვე თქტნ თავის-თავად აღსლტა სიმაღლისა მიმართ არ ძალგაძსთ; ჭრისტემან უნდა აღგიყვანოს; თვითვე აღგიოქტამს აღყვანებას: „და წარგიყვანე თქტნ თავისა ჩემისა თანა“. ახლა ამას გონიერებით მიხედე: აღმყვანებელი შენი, ჭრისტე შფალი, ყოვლითურთ სიმდაბლისა მოქმედი არის, და შენ ამპარტავნებ! როგორ უნდა აღგიყვანოს?—შე არ ვუწყაი. ჭრისტე ასე გიბრ-

ძანებს: „ესრეთ ჰყოფდით, ვითარცა იხილეთ“,—და ძრისტეს შორის მარადის სიმდაბლეს იხილავ: შობასა შინა, რამეთუ პირუტყვთ ბავასა შინა იშტა და მჩჭრითა შეიხვია, შემდგომად შობისა, რამეთუ მგვიბტეს იელტოდა; უსაკვირველესი სიმდაბლე ეს არის ძრისტესი: განსასტყნებელი არა აქტნდა, ვითარცა თვით ბრძანებს: „არა აქტს ძესა კაცისასა სადა თავი მიიღრიკოს“! **ს**უ სიმალლისა მიმართ აღსლტა გნებაეს, შენის აღმყვანებელის ძრისტესაგან სიმდაბლე ისწავე და ისრე აღხედ სიმალლედ, თორემ სხვებრ წეუძლო არის.—ქიდევ ძველის წერილიდამ სახე მოვილოთ, რომ სიმდაბლიდამ უნდა აღვიდეს კაცი სიმალლისა მიმართ. **მ**ოსე რომ ლეთის ხილვის სიმალლედ აღვიდა, მდაბლის აღგილიდამ მთად აღვიდა და ლმერთის ხილვის სიმალლე ისე მიილო. **მ**გრეთტ შენ ჰყავ, საყვარლო: სიმდაბლის აღგილიდამ მთად (ესე იგი სასუფეველად) აღხედ და ისე მიიღე ლეთის-მხილველობის დიდება. ქიდევ დავსძინებ ამის სწავებას: მარტო თავისის თავით ნუ გწადის სიმალლისა მიმართ აღსლტა; ძრისტე უშალი თავისის სიტყვით გასწავებს, რომ თავის-თავად სიმალლის პატივს არ უნდა ეძიებდე, და მოწაფენი საქმით გიჩტნებენ. ძრისტე გიბრძანებს: „არავინ თავით თვისით მიილოს პატივი, უკეთუ არა არს მისსა მოცემულ ზეგარდამო“; მოწაფენი საქმით ასე გიჩტნებენ თავის-თავად სიმალლის უძიებლობას: **პეტრე, იაკობ და იოანე** დიდს რასმეს სიმალლესი აღვიდენ, რომ ძრისტეს დიდებული ფერისცუალება იხილეს, მაგრამ თითონ არ მიუტაცნიათ თავის-თავად ეს დიდება, უფროსად ძრისტემან მისცა, ვითარცა მოგვიტხრობს მახარებელი მატთე: „და წარიყვანნა ძრისტემან **პეტრე, იაკობ და იოანე**“. **ამპარტავანნო** გესმისთ მახარებელისაგან: „წარიყვანნა ძრისტემან“; თორემ თითონ იძულებით არ აღსრულ არიან მთაზედ. **მ**გრეთტ შენ ამპარტავანებისათვის იწულებით ნუ ახვალ სიმალლისა მიმართ, თუ ძრისტემან ლმერთმან არ აღგიყვანოს, თორემ როგორც თავის-თავად სიმალლედ აღმავალი სიმონ მოვევი დაცვა და შეიმუსრა, ისე შენ დაცე-

მი და შეიმუხრვი, ვითარცა იტყვის ბრძენი სოლომონ: „შუალი ამპარტავანთა შემუხრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“. საკვირველი ეს არის, ამპარტავნების მაწვეველი მხოლოდ ეშმაკის მეტი არაფერ გივის, და სიმდაბლის მაჩვენებელი და მასწავებელი მრავალი, და რასათვის ერთის ეშმაკის ირწმუნე და ამპარტავნება ისწავე? **ღა** რასათვის მრავლისაგან სიმდაბლე არ მიიღე და არ ისწავლე?—**ამას** საკვირვოდ ვხედავ! **შე**მოკლებით ვსთქვით, თუ სიმდაბლეს როგორ მრავალი გასწავებს: **ღმერთი** და ანგელოსი სიმდაბლეს როგორ გასწავებს, ეს ზემო ითქვა, მაგრამ მცირედ აქაც ვთქვით. **ბასწავა** ძემან **ღვთისამან** საქმით სიმდაბლე, როდესაც **შენთვის** შენი მსგავსი სიმდაბლის სახე მიიღო; გასწავებს და გიჩუბნებს სიმდაბლის სახეს **ანგელოსი**, უნივთო და უსხეულო ბუნება, წინაშე **ღვთისა** მდგომი და მსახური მისი შენ, მიწიერს და ცოდვილს კაცს, ვითარცა ერთგული მონა, მცველად გამსახურებს;—**გიჩუბნებს** სიმდაბლის სახეს და გასწავებს შენი სხეულის ბუნება, რომ მდაბლის მიწისაგან არის შექმნილი და წარმომდგარი;—**გიჩუბნებს** სიმდაბლის სახეს და გასწავებს შენი ქონებული სიმდიდრე, რომ მათგანი ერთის ტილოს მეტი არა მიგყუბნა რა, —**ყოველნივე** ასე სიმდაბლეს გასწავებენ! **თუ** გულფიცხელობით სიმდაბლეს არ ისწავებ და არ მიიღებ და ამპარტავნებას მიიღებ, აქ ორისაგან ერთი შეგემთხუბნავ: ანუ ამპარტავნება ბოროტად უნდა შეერაცხო და განაგდო, ანუ ამპარტავნება რადგან შეიტკობ და კეთილად ჰრაცხ, ეშმაკიც კეთილად უნდა შეერაცხო, ამისთვის რომ ამპარტავნება მისი ნაყოფი არის, —**და** გესმისა მეუფისა ძრისტესგან: „ვერ ძალ-უძს ხესა ხენეშსა ნაყოფის კეთილისა გამოღებად“. მიხედვ თქმულის სიტყვის ძალს, ამპარტავნებამ რა მოუგონებელს საცთურში შთააგდო! **თუ** ამპარტავნებას არ განაგდებ, ეშმაკი კეთილად უნდა შეერაცხო.

ახლა სიმდაბლისთვის უნდა ვსთქვათ. **თუ** სიმდაბლეს ყოვლად კეთილად არ რაცხ და არ მიიღებ,—**უკუბრუნებელს**

საბრხეში შევარდები. ანუ სიმდაბლე ყოვლად კეთილად უნდა შერაცხო და მიიღო: და თუ სიმდაბლეს არ მიიღებ და ბოროტად შერაცხ, შენი ძრისტეც ბოროტად შეგირაცხია, ამისთვის რომ სიმდაბლე მისი ნაყოფი არის, და თუ ნაყოფს ბოროტად შერაცხ, შენგან ისიც ბოროტად შერაცხილი იქმნება, თქმისაებრ: „ხე ნაყოფთაგან საცნაურ არს“. მიხედვით კეთილად განსჯით თქმულის სიტყვის ძალს: სიმდაბლის განგდებით და შეურაცხებით ძრისტეც შენგან შეურაცხად განგდებული შეიქმნა. სიმდაბლის განგდებამ რადგან ამის მსგავსი მოუგონებელი საბრხე შეგამთხვია, ვალი გაქვს, რომ სიმდაბლე შეიტკბო და ამპარტავანება მოიძაგო. აქ ერთი რამ უნდა ვიკითხო: ამპარტავანება ქებისათვის გნებავს თუ არა? შექველი არის—ქებისათვის გნებავს; და თუ ქებისათვის გნებავს—შეცთომილი ხარ; ამისთვის რომ ამპარტავანება საძაგელი არის, ვითარცა ბრძანებს უფალი იცის: „ყოველი მალალი გულითა საძაგელ არს წინაშე ღვთისა“, და სიმდაბლე ზეშთა რამ საქებელი არის, ვითარცა იტყვის დიდი იოანე სინელი: „სიმდაბლე არს უსახელოჲ მადლი სულისა“. აწ ამპარტავანებისა და სიმდაბლის ნაყოფს მიხედვით, და რომელიც უმჯობესი იყოს, ის შეიტკბე თქმისაებრ მოციქულისა: „გამოიძიეთ და უკეთესი იგი შეიკრძაღეთ. ამპარტავანების ნაყოფი ჯოჯოხეთად შთამხდელი არის, ვითარცა შთახადა ფარისეველი, უფსკრულთა შინა ჯოჯოხეთისათა. სიმდაბლის ნაყოფი სასუფეველად აღმყვანებელი არის, ვითარცა ხმობს წინასწარმეტყველი ლავით: „დავდაბლდი და მაცხოვნა მე“. მგების სწავლა ინებო, თუ სიმდაბლე რა არის. შემოკლებით ვსთქვათ თუ რა არის სიმდაბლე, და ჯერ ერთი სარწმუნო მაგალითი მოვიღოთ სიმდაბლისათვის.—პავლე მოციქული ამისი მსგავსი კეთილი იყო: ლმერთი ბრძანებს მისთვის—„მე კური რჩეული მიპოვნის, რათა ზე აქტუნდეს სახელი ჩემი“; და პავლეს ასე შეურაცხად მიაქტუნდა თავის თავი, ასრე იტყოდა: „მე ვარ ნარჩევი მოციქულთა“. მსგავსად პავლესსა თუ კეთილი ხარ, ასე უმცირო-

სად და შეურაცხად უნდა მიგაჩნდეს თავის თავი ყოვლისაგანვე; და თუ ბოროტი ხარ, რაოდენად უფრო უნდა შეურაცხად შერაცხო თავისი თავი? ეს ცხადი რამ არის, ერთი სიმდაბლე ეს არის. ძიდევი სიმდაბლე ეს არის, კაცს რომელიც კეთილი ექმნას, ქმნილს არ უნდა იხსენებდეს, სხუთა კეთილის ქმნას უნდა შეუდგეს. თუ წასრულისთვისგან ქმნილის კეთილის ხსენება დაიწყო, ამპარტავენებისაგან დაინთქმის; ვითარცა ფარისევლმან იწყო თავისგან ქმნილს კეთილის ხსენება და ჰსთქუა: „ვიმარხავ ორგზის შაბათსა შინა და აიუელსა შვესწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა“; ამის ხსენებისათვის დაინთქა საუკუნოდ. მგრეთვე შენ წასრულს შენგან ქმნილს კეთილს ნუ იხსენებ და ნუ მოქადულობ, თორემ ფარისევლები დაინთქი; შენ ჰავლეს თქმულს შეუდგე, ვითარ იგი იტყვის: „წინასა მათსა დავივიწყებ და უკანასა მას მივსწუთებ“.

წინა წასრული შენგან ქმნილი კეთილი დავივიწყე უკანასა და მომავალსა ქმნად მისწუთი. შენგან ქმნილს კეთილს შენგან ხსენება არ ესახმარება, ამისთვის რომ საუკუნოდ ცათა შინა აღწერილი არის, ვითარცა ბრძანებს უფალი იესო: „გახაროდენ და მხიარულ იყუნით, რამეთუ სახელები თქმუნი დაიწერა ცათა შინა!“ საყვარელო, უფლისა და მაცხოვრისა ჩუქნისა იესოს განწესება არის: „ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ“, თორემ კეთილის მაგიერ ბოროტის მიგება სრულიადი ჰრისტეს მოწაფეობისაგან უცხო ყოფა არის.

აწ ნაცულად კეთილისა შენს ჰრისტეს კეთილი მიაგე და შენ შორის განსასტანებელი ადგილი მიეცე. შენთვის ხორციით გლახაკად მოვიდა; ასე გლახაკად მოვიდა, განსასტანებელი არა აქუს ქტუცყანასა ზედა, ვითარცა თვით ბრძანებს: „არა აქუს ძესა კაცისასა სადა თავი მიიდრიკოს“; მოუწოდე ჰრისტეს და განუსტანე შენ შორის! მან რაოდენი კეთილი მოგცა, ვგონებ აღრიცხვა შეუძლო იყოს. აღურიცხულის მაგიერად შენგან ეს ერთი შენ შორის განსასტანებელი ჰნებავეს. არამც საშინელს საბრხეში არ შთავარდე, ჰრისტე შენგან შეუწყნარე-

ბელი არ განვიდეს. თუ სიმდაბლე შენის სულის სახლს არ განაშენებს, ძრისტე შენგან შეუწყნარებელი იქნება, ამისთვის რომ მისი განსასტყნებელი სიმდაბლე არის, ვითარცათვით უფალი იტყვის: „ვის ზედა განვისტყნო, გარნა მშვიდსა და მდაბალსა და მყუდროსა ზედა, და რომელი ძრწოდეს სიტყუათაგან ჩემთა!“ მიიღე კეთილი სიმდაბლე და კეთილად მორთულ-ჰყავ სახლი სულისა შენისა, რათა განისტყნოს ძრისტემან შენ შორის, და აღგავსოს მადლითა საღმრთოთა, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 14. განსაცდელთა მოთმინებისათვის,

იაკობ მოციქული თვისთა კათოლიკეთა შინა იტყვის: „ყოველივე სიზარულად შერაცხეთ, ძმანო ჩემნო, რაჟამს განსაცდელსა წესცივინეთ პირად-პირადსა“. ეს არავინ ჰგონოთ, რომ სულიერებრივის ცოდვისა და სულის განსაცდელისათვის იყოს მოციქულის სიტყუა. სული რომ ცოდვის განსაცდელში შთავარდება, მაშინ სიზარული არ შეჰგავს,—მწუხარება უნდა ჰყოს, რომელიც ღვთისაგან სრულიად უცხო არ შეიქმნება. ძველიდამ და ახალთაგან სწორედ გამოცხადებული არის,

რომ ცოდვის განსაცდელისათვის კაცმან მწუხარება უნდა ჰყოს. მრისავე სახე წარმოვაჩინოთ. ძველთა შორის ვითარცა ლავით წინასწარმეტყველი ცოდვის განსაცდელისათვის მწუხარე იყო და სტიროდა, ვითარცა თვით იტყვის: „ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტვე“; ახალთა შორის,— ვითარცა პეტრე მოციქული შეცოდების განსაცდელში რომ შთაფარდა, „გამოვიდა გარე და სტიროდა მწარედ“. აღმოჩნდა, რომ მოციქული ხორცის განსაცდელისათვის ამბობს მხიარულებას. ხორცის განსაცდელისათვის კაცი მხიარულებდეს, ძნელი რამ სარწმუნო არის; მაგრამ ეს სიტყვა არათუ მარტო მოციქულისაგან არის, მოციქულს თვით ძრისტესგან აქუს მოღებული, ვითარცა სწამებს მოციქული პავლე: „მე მოვიღე უფლისა შიგნით, რომელიცა მიგეც თქუენ“. რადგან ძრისტეს მიერ მოღებით გვამცნებს მოციქული, თუ ჩუენთვის კეთილობა გვენებავს, ეს მოციქულის თქმული უნდა დავიმარხოთ. მარტო სიტყვით არ გვამცნებენ მოციქულნი განსაცდელისათვის მხიარულებას, თავის-თავად საქმითაც გვიჩუენებენ, ვითარცა ლუკა მახარებელი სწერს საქმესა შინა მოციქულთასა თვით მოციქულთათვის: „და უხაროდა, რამეთუ ღირს იქმნენ სახელისა მისისათვის გინებად“ და გვამცნებენ ყოვლის ხორციელის განსაცდელისათვის მხიარულებას ამის სიტყვისაგან: „ყოველივე სიხარულად შერაცხეთ, რაჟამს განსაცდელსა შესცვივნეთ პირად-პირადსა“. არათუ ცუდად და ამაოდ გვამცნებენ, დიდს რასმე სარგებელს ხედვენ, ვითარცა მოციქული პავლე იტყვის: „მცირე ესე ჰირი ჩუენი დიდსა გარდარეულსა სიხარულსა. ცხოვრებისა საუკუნოსასა შეიქმს ჩუენ შორის“. ასე დიდს რასმე სარგებელს ხედვენ და მისთვის გვამცნებენ განსაცდელში მხიარულებას. მსეც უნდა იცოდეთ: განსაცდელი, რომელიც ლეთისაგან მოიწევა, მამობრივი სიყვარული არის, ვითარცა იტყვის ბრძენი სოლომონ: „შვილი, რომელი უყვარს მამასა, სწავლის და სტანჯის“. სწავლის ღმერთი კაცს განსაცდელისაგან და კიდევ მოწყალეობით მოხედავს და შეიწყალებს.

ვითარცა ბრძანებს პირითა ღვეთისითა: „განვიხილენ კვერთხითა უსჯულოებანი მათნი და გვემითა უსამართლოებანი მათნი, ხოლო წყალობა ჩემი არავე განვაქარვო მისგან“, ვითარცა ისრაელთა ზედა მოავლენდა განსაცდელს და კვალად იხსნიდა და განარინებდა განსაცდელისაგან. ძიდევ სხუთა სახითაც მოწყალებას ჰყოფს ღმერთი განსაცდელთა შინა. რომელიც ღვეთისაგან სრულიად განწირული არ არის, თავისის ძალისა და შეძლების უფროს განსაცდელს არ მოუვლენს, ვითარცა ამტკიცებს მოციქული: „სარწმუნო არს ღმერთი, რომელმან არა მიტევნეს ჩუენ განცდად უფროს ძალისა ჩუენისა“. რადგან ასე მოწყალებით და სიყუარულით მოგივლენს განსაცდელს, ვალი გაქუტს, რომ მხიარულებით მიითვალო მოსრული განსაცდელი. თუ კიდევ არ განისვენებს შენი გონება და განსაცდელისათვის მხიარულება რა მიზეზი არის, ამას ეძიებ,— ძალისაებრ ჩუენისა ვსთქუათ: უგანსაცდელოდ ყოფა—შვება და ფართოება არის; და შვება და ფართოება ჯოჯოხეთად შთამყვანებელი არის, ვითარცა მდიდარი იგი, რომელიც ძოწეულითა და ბისონითა იმოსებოდა ლაზარე გლახაკის ქამში, შვებამ ჯოჯოხეთად შთაიყვანა; და ლაზარე—გლახაკი განსაცდელმან და მწუხარებამან სასუფეველად აღიყვანა, ვითარცა იტყვის შუალი იცხო: „და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა“. ამის მიზეზისათვის განსაცდელს მხიარულებით უნდა მიითვალვიდე. მეგების ეს ვინმე სთქუას: „განსაცდელი შესაწუხებელი არის“. სნეულთათვის მწარე და საზიზღი წამალი შესაწუხებელი არის, მაგრამ მკურნალმან იცის, რომ სნეულთათვის სამკურნალო არის, ამისთვის შესაწუხებელს წამალს არ ჰრიდებს სნეულს. მეგრეთუც განსაცდელი სამწუხარო არის, მაგრამ იცის შუალმან ღმერთმან, მკურნალმან სულთამან, რომ ცოდვისაგან სნეულთა სულთათვის სამკურნალო არის, ამისთვის არ რიდებს განსაცდელს ცოდვილთა კაცთა, ვითარცა მანასეს ზედა მიუშვა განსაცდელი და განსაცდელისა მიერ განიკურნა მანასე ცოდვის სნეულებისაგან, ეგრეთვე

ჰნებავს შენი კურნება განსაცდელისა მიერ ცოდვის სნეულე-
ბისაგან.

ძრისტეს შეყუარებულნო ერნო! **თუ** თვინიერ სინანუ-
ლისა ცხოვრებას ჰგონებთ, ძრისტეს წინააღმდეგობა იქმნება,
ამისთვის რომ, უკეთუ არა შეინანოთ, სახედ ეგრეთვე ყოველ-
ნი წარწყმდეთ. **მს** სწორებით ძრისტეს ბრძანება არის; და თუ
შეინანებ, ეს ძნელი რამ არის, რომ ყოველივე შენის ცოდ-
ვის სინანული აღასრულო და რაც სინანული დაგიშთება, გან-
საცდელმან უნდა აღმოაგოს მისი ნაკლულევანება. **ზმართებს**,
რომ სიხარულით უნდა მიითვალო განსაცდელი, ამისთვის რომ
შენგან დაკლებული კეთილი მან აღმოაგოს. **ღა** თუ ამას იძი-
ებ, რომ ყოველის შენის ცოდვისათვის ნაცვალი ჰყო თუ არა,
მე განგიცხადებ საქმით სიტყვადმდე: უეჭველად ნაცვალი სი-
ნანული უნდა ჰყო. ამას გიმტკიცებს უტყუელი სიტყუა მამი-
სა და გიბრძანებს: „ვერ გამოხვიდე მიერ საპყრობილით ვიდ-
რე არა მისცე უკანასკნელი მწუთილი“. **პქ** ჩუტნის ტკბილის
იისოს სიტყუა კიდევ უნდა მოვიხსენოთ: „არა არს მოწათე
უფროს მოძღურისა თვისისა, არცა მონა უფროს შულისა
თვისისა; უკეთუ მე მღევნენ, თქუტნცა გღევნენ“. **ახლა** ამას
მიხედე, თუ რაოდენის სახით უქუტნაესი და უმცირესი ხარ
მისი! და თუ შენგან ზეშთა აღმატებული მეუფე მიითვალვიდა
განსაცდელსა, შენ, მონა და უმცირესი, რასათვის მხიარულე-
ბით არ მიითვალავ განსაცდელს? **ის** მეუფე იყო და შენის
ცხოვრებისათვის მიითვალვიდა განსაცდელს; როგორ დიდი
უგუნურება არ იქმნება, შენ, მონამ, შენის ცხოვრებისათვის
განსაცდელი მხიარულებით არ მიითვალო! **სხუა**, მეუფე შენ-
თვის მოითმენდეს და შენ შენის თავის-თვის არ ითმენდე,
ამისგან უდიდესი უგუნურება სადალა უნდა იპოვებოდეს?—
ვგონებ არა სადა. **პწ** შენი გონება განიხილე, თუ რაოდენი
განსაცდელი მიგივლინებია სხვისათვის! და რადგან სხვისათვის
განსაცდელი მიგივლინია, შენის განსაცდელისათვის არ უნდა
სწუხბდე? ამისთვის რომ უცხო და შენგან უხილავი არა მოს-

რულა რა: შენივე ქმნილი არის, ძმისა მიმართ ჰყავ განსაცდელი, შენზედაც მოვიდა განსაცდელი; ამისთვის რად მწუხარე ხარ? რასათვის შენის უკლისა და მოძღვრის სიტყუას არ მოიხსენებ: „რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოთ თქვენ“.

აწ კითხუა შემოვილოთ: სიტყვიერება გნებაეს, თუ პირუტყუბა? თუ სიტყვიერება გნებაეს,—უგანსაცდელობა და მარად-ჟამ სიტკბოებაში მყოფობა სიტყვიერს კაცს არ შტუნის: მარად-ჟამ სიამოვნებაში ყოფა ღორის თვისება არის, და ის დაკუთლად მიშტებული არის. მგრეთჲც მარად სიამოვნებაში მყოფი კაცი სიკუთლილად და წარწყმედად მიშტებული არის ეშმაკისაგან. ღა თუ სწორებით კაცობრივის ბუნების თვისებასა შინა მყოფობა გნებაეს, მიჩტნე, რომელი კაცი დაადგრა უგანსაცდელოდ? მხედავ, შენ უგანსაცდელოდ მყოფს კაცს ვერ მიჩტნებ. ღა თუ როგორ პირველითგანვე განსაცდელში არის კაცი, ეს ჩემმან უღირსებამან უნდა გიჩტნოს: ადამ, პირველი მამა ჩტნნი, სამოთხესა შინა ანგელოზთა თანა იყო, და ეშმაკისაგან იქ შეხტდა განსაცდელი; შენ ქტყუანასა ზედა, ეშმაკის მიდევნებულთა კაცთა თანა ხარ და მას ემოყვსები, და რად გიკვირს და ან რად მწუხარე ხარ, შენზედ განსაცდელის მოსვლისათვის? უფროსად მხიარულებით უნდა მიითვალლო, ამისთვის რომ გემხილა და ჰსცანი—უკეთურთა კაცთა ყოფა განსაცდელს მოაველენს. აბელ იყო ძე ადამისი, უმანკო და უბრალო ძმისა მიმართ, კეთილად ღვთისა მიმართ ღღენის შემწირტლი; და მოიხსენე, თუ მას რა განსაცდელი შეხტდა,—უბრალოდ მოკლულ იქმნა ძმისაგან. შენ არც ძმისა მიმართ უბრალო და უმანკო ხარ, ამისთვის რომ მზაკურად ექცევი და შური გაქტს; და რადგან ასრე ხარ, ესეც ცხადი რამ არის, არცა წმიდასა ძღვენსა ღმერთსა შესწირავ; და რად გიკვირს, ან რად მწუხარე ხარ განსაცდელის მოსვლისათვის? უფროსად უნდა მხიარულებდე, ამისთვის რომ ძაენისებრ ღმერთმან არ გწყევა და სინანულად მოსაქცეველი კტტართხი განსაცდელისა შეგახო. იყო საკვირველი დიდი წინამორბედი

და ნათლის-მცემელი იოანე, რომლისაც კაცთა შორის განსაცვიფრებელს მისს ღვაწლს ძრისტე უფალი სწამებს: „მოვიდა იოანე ნათლის-მცემელი, არცა სწამდა, არცა სმიდა“. ამისთანა საკვირველს კაცს შენჭდა ჭეროდესგან განსაცდელი სიკუდილისა! ღა შენ, რომელიც მარადის სჭამ და სჭამ და ტკბილთაგან საფსე ხარ, რად გიკვირს, ან რად მწუხარე ხარ შენზედ განსაცდელის მოსტლისათვის? უფროსად უნდა მხიარულებდე! შინ უწყის, ეგების განსაცდელმან განგაფრთხოს და ნაყოფებისა და სიძვისაგან განგაშოროს. იყუნენ შმიდანნი მოციქულნი, რომელთაც ძრისტესთვის ყოველი დაუტევეს, თვით უფალს იცხოს მოახსენეს: „ჩვენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდევით შენ“. — ამათცა საკვირველი განსაცდელი შეხტდათ, ვითარცა იტყვის პავლე: „ჭირნი ავაზაკთაგან, ჭირნი ძმათა მტყუართაგან“. შენ ძრისტესთვის არა რაჟმე დაგიტევებია, უმეტესად სოფლის სიყვარულისათვის ძრისტე დაგიტევებია, და რად გიკვირს და ან რად მწუხარე ხარ შენის განსაცდელისათვის? უფროსად უნდა მხიარულებდე, ამისთვის რომ დაფიწყებული ძრისტე ეგების განსაცდელმან მოგაგონოს და მისდავე მიმართ მიგაქციოს, ვითარცა პავლე შემთხუტულმან ანაზდითმან სიბრძნემან ძრისტეს მომართ მოაქცია. მგების გაიკვირვოთ ვინმე და სთქჳათ: „კაცი განსაცდელსა და ჭირში იყოს, მხიარულება როგორ იქმნება?“ არ არის ეს განსაკვირვებელი; თორემ თუ განსაკვირვებელი არის, განსაცდელსა და ჭირში მხიარულება ჩემგან მოღებულს მაგალითს მიხედეთ: რომელი სნეული იქმნება, რომ თაისის სნეულების განმამართლებელი, მკურნალი იხილოს და არ განმხიარულდეს? — თუ ცნობა მიღებული არა აქჳს, არ იქმნება. აგრევე რომელი იქმნება განსაცდელსა და ჭირსა შინა მყოფი, რომ მკურნალი ძრისტე იხილოს და მხიარული არ შეიქმნეს, თუ ცნობა მიღებული არ არას? თუ ამას იძიებ, რომ განსაცდელში მყოფისათვის ძე ღვთისა მოვა მხსნელად, თუ არა — აჳნ გარწმუნოს განსაცდელში ძისა ღვთისა მოსლჳა: პეტრე მო-

ციქულის სიღვდრი განსაცდელში იყო, რომ მხურვალეობით იყო დავრდოპალი, თვით ძრისტე მოვიდა და განკურნა; ეს საქმე გაწყნეს, რომ ყოველი კორციელი განსაცდელი მხიარულებით უნდა მიითვალო, აქ ერთი რამ კითხვა უნდა შემოვიღო: განსაცდელისა და ქირისაგან ხსნა გნებაეს,— ხორციელს მწუხარებას რად ექცევი? ლეთისა მიმართ ლაღად ჰყავ მწუხარებით: როგორც იონამ, განსაცდელსა შინა მყოფმან, ლაღად ჰყო და იხსნა შფალმან, ეგრეთვე შენ ლაღადყავ ლეთისა მიმართ, და გიხსნის. მწუხარება ცოდვისათვის ჰყავ, თორემ ხორცის განსაცდელისათვის მწუხარება არ უნდა ჰყო: ამისი დასამტკიცებელი მაგალითი ძველის წერილიდამ მოვიღოთ. სამნი ყრმანი ცეცხლსა შინა შეთხეულნი იყუნენ, ამას არ ამბობდენ— „ცეცხლში ვართო“, უფროსად ლეთისა მიმართ ამას ხმობდენ: „მართალ-ხარ, რომელიც ჩვენ ზედა მოავლინე; ჩუენ ვსკოდეთ, ჩუენ ვიუსამართლოეთ!“ მგრეთვე შენ ამისთვის არ უნდა სწუხდე, ლეთისა მიმართ რომ იუსამართლოე და ცოდუა ჰყავ? ლა თუ ხორციელს მწუხარებას არ დაუტევებ, რასაც ლეთისა მიმართ შესწირავ, არა ვგონებ კეთილად შეწირული იქმნეს. მიზეზს მიხედვ: ლმერთს ყოველივე შესაწირავი მხიარულებით ჰნებაეს, ვითარცა იტყვის მოციქული ჰავლევ: „მხიარულებით მისაცემელი უყურარს შფალსა“. შენ მწუხარე ხარ, და რომლითა სახითა უნდა იქმნეს შენგან კეთილი მისაცემელი ლეთისა მიმართ? ზემო თქმული სიტყუბი ჩემის უნდოებისაგან ამას გიცხადებს: რომლისაგანაც შენზედ განსაცდელი მოვიდეს, მხიარულებით უნდა მიითვალო. მსთქუათ, თუ ვისაც მრავალი კეთილი უყავ, მისგან შეგზვდა განსაცდელი, ანუ ვისაც ბოროტი უყავ, ანუ ეშმაკისაგან,— ყოველივე სიხარულად უნდა შერაცხო. თუ ვითარ— წარმოვაჩინოთ. რომლისა და მიმართ კეთილი გიქმნია, თუ მისგან მოგეცა განსაცდელი, გონიერებით მიხედვ, თუ რა სასიხარულო საქმეები გაქუს: ერთი ეს— ძრისტეს მიემსგავსები; ძრისტეც მისგან ხსნილმან და რომელთაც კეთილი უყო, მათ სიკუდილის განსაცდელში

შეგადეს; და შენც რომელსაც კეთილი უყავ, განსაცდელში შეგადლო. ამან საქმემან რადგან ძრისტეს მიგამსგავსა, ქეშმარიტად სიხარულით უნდა აღივსო და ძრისტეებზე ბოროტის მყოფელთათვის უნდა ილოცო: „მიუტევე, მამაო, რამეთუ არა იციან რასა იქმან“. მეორედ, სასიხარულო ეს არის შენი, რომელსაც შენ კეთილი უყავ, ნაცვალთა კეთილი რომ მოევგო, ის კეთილი ჟამიერი და წარმავალი იქმნებოდა, ახლა ძრისტემან ჟამიერისა და წარმავლისა მაგიერად საუკუნო კეთილი უნდა მოგავგოს! უდიდესი სასიხარულო რა უნდა იქმნეს? მსტქათ: ვისაც ბოროტი უყავ, მისგან მოგეცა განსაცდელი. მსეც სასიხარულო რამე არის, ამისთვის რომ ბოროტის ყოფისათვის აქავ გაზღუტვინა, ჟამიერსა და წარმავალში, და საუკუნოდ სატანჯუტლად დამმარხველად არ გექმნა. მსტქათ, ეშმაკისაგან მოგეცა განსაცდელი,—ესეც სასიხარულოდ მისათვალველი არის; თუ მართალი ხარ და სინანულისა მიერ განწმედილი, მაშინც სასიხარულო არის, ამისთვის რომ სულით და ხორციით უმეტესობას მიიღებ, ვითარცა იობისთვის წერილ-არს: „და იქმნეს უკანასკნელი იობისა მის უფროხ პირველისა“; და თუ უსინანულოდ ხარ, მაშინ უდიდესი სიხარული თანაგაძს, ამისთვის რომ, თუ სიხარულით მიითვალავ, ხორცის განსაცდელი და ტანჯუტა, სულს ცხოვრებად აღიყვანს, ვითარცა ხმობს მოციქული: „ეგე ვითარი იგი მიეცით ხორცითა სატანჯველად ეშმაკთა, რათა სული ცხონდეს“. ზეშმარიტი უნდა გამცნო: თუ წინაშე ძრისტესა სირცხვილეულება არ გნებავს, განსაცდელის ქირი სიხარულით უნდა მიითვალო, და ის ქირი ურცხვენელად წარგადგინებს წინაშე ძრისტესა, ვითარცა ხმობს პავლე: „ქირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინება სასოებასა, ხოლო სასოებამან არა არცხვინის“. თინიერი განსაცდელისა და ქირისა არა ვგონებ, სასუფეველის პოენა იქმნეს, ვითარცა პავლე იტყვის: „მრავლითა ქირითა ჯერ არს ჩუტნდა შესუტლად სასუფეველსა ცათასა“, და უფალი იცნო ამტკიცებს: „იწრო არს გზა იგი და საქირველ, რომელნი

მივლენ ცხოვრებად საუკუნოდ“. შთალი სასუფეველის გზას იწროდ ბრძანებს, შენ იწროება და ჭირი არ გნებაეს! რომლითა უნდა მოიპოვო სასუფეველი? ბრწმენინ ჭეშმარიტი: თუ განსაცდელი და ჭირი არ მიიღე ამას სოფელსა შინა—სასუფეველად ვერ აღზვალ: ანუ უნებლიეთ მოსრული განსაცდელი და ჭირი უნდა თავს იღვა, ანუ თავით-თვისით სინანულის განსაცდელი და ჭირი უნდა იტვირთო; ანუ იტვირთე განსაცდელი შიმშილისა და წყურვილისა და მარხუა შეიტკბე. თუ ხორცის უძლურებისათვის საზრდლის შიმშილი ვერ იტვირთო, სიმართლისათვის მიიღე შიმშილი და წყურვილი, რათა ძრისტეს მიერ ნეტარება მიიღო, ვითარ იგი ბრძანებს შთალი: „ნეტარ-იყვნენ რომელთა შიოდეს და წყუროდის სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღენ“; ანუ სიგლახაკის განსაცდელი იტვირთე და ქონებული სიმდიდრე გლახაკთა განუყავ, რომ ამისთვისაც ნეტარება მიიღო თქმისაებრ იცხოსა: „ნეტარ-იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ!“ მგების სთქუა: „სიმდიდრე არა მაქვს“;—სიმშვიდე მიიღე და სხვისა მიერ რისხვის განსაცდელი სიხარულით მიითვალე, ამისთვის ძრისტეს მიერ ნეტარებულ იქმნები, ვითარცა ბრძანებს: „ნეტარ-იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუცყანა!“ საყვარელო! თვით კაცის შემოსლუა სოფლად და ცხოვრებად ცხადად გიჩუცნებს, რომ თვინიერ ჭირისა სუფევა არ მიიღება; მიხედე, თუ კაცის სოფლად შემოსლუა რა ჭირით არის: „ღედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარე არნ“. აწ სოფელში ცხოვრებას მიხედე, თუ სუფევს უპირველესად ჭირი არ არის: საზრდლის მიღება ერთი დიდი რამ სუფევა არის, მაგრამ პირველად მუშაკობის ღვაწლი და ჭირი უნდა, თვინიერ ოფლისა და ჭირისა არ მოიპოვება, ვითარცა ბრძანებს შთალი ღმერთი: „ოფლითა პირისა შენისათა სკამდე პურსა შენსა“; ახლა ძველის წერილიდამ მოვილოთ მაგალითი: ისრაელთ პირველად უცხო თესლის ბრძოლის განსაცდელი და ჭირი იტვირთეს და მერმე ალთქმის ქუცყანა მიიღეს. მგრეთცა შენ პირველად ეშმაკისა

ბრძოლისაგან მოსრული განსაცდელი და ქირი უნდა იტვირთო, მერმე სასუფეველი უნდა მიიღო. საყვარელნო! მრთს საქმეს შეცუალებულად და გარე-მოქცეულად ვხედავ: ვისაც განსაცდელი შემთხუტავა, ის არა უნდა სწუხდეს: უფროსად რომელმან განსაცდელი შეამთხვია, ის უნდა სწუხდეს; ახლა ასრე ვხედავ, განსაცდელ შემთხუტსული ჰსწუხს და განსაცდელის შემამთხუტაველი მხიარულებს! მს უწესოდ ჰუტნის უგუნურებისაგან შეცვალებული არის, თორემ განსაცდელ-შემთხუტსული უნდა მხიარულებდეს და განსაცდელის შემამთხუტაველი უნდა სწუხდეს; ამისთვის რომ განსაცდელის შემამთხუტაველს უფრო სამწუხარო საქმე აქტს. თუ ვითარ—გამოვაცადლოთ: აბელ განსაცდელ-შემთხუტსული იყო: ძმამან თვისმან, ძაინმან, მოაკუტდინა. მიხედვ, ძაინ უფრო მწუხარებაში არის, თუ აბელ? აბელ საუკუნო სუფევასა შინა მყოფობს და ძაინ სალკუნოსა სატანჯველსა შინა არს! იოსებ განსაცდელ-შემთხუტსული იყო: ძმათა განყიდეს. იოსებ მეფობის პატივით მგვიბტეს მჯდომარე იყო; განმსყიდველნი ძმანი შიმშილის მწუხარებით შეპყრობილ-იყვნენ და მგვიბტეს სყიდვად პურისა შთავიდენ. — ღავით წინასწარმეტყველსა და მეფესა ძემან მისმან აბესალომ განსაცდელი შეამთხვია და სდევნიდა: აბესალომ მოიკლა, და ღავით უვნოდ დაცული მეფედ ეგო. ძველის წერილიდამ მოვიდვ, რომ განსაცდელის შემამთხუტვეელი უფრო სამწუხარო საქმეში არის. ახლა თვით ძრისტეს ღვთისაგან დავიმტკიცებ, რომ განსაცდელის შემამთხუტაველი უფროსად უნდა სწუხდეს. ძრისტე უფალი ასე ბრძანებს: „შეუგვანებელ-არს საცთურისა არა მოსლუა, ხოლო ვაჟ, ვისგან მოვიდეს!“ მიხედვთ ძრისტეს სიტყუას: საცთურში რომელიც არის მისთვის არ უთქვამს ვაება, — რომელიც საცთურის შემომყვანებელი არის, მისთვის ბრძანა: „ვაი ვისგან მოვიდეს (საცთური)!“ ძველი წერილი და უფრო სარწმუნო უფალი იცხო გიმტკიცებს, უფროსად განსაცდელის შემამთხუტაველი უნდა სწუხდეს, და შენ, რომელიც განსაცდელ-შემთხუტსული ხარ, დიდის იაკობ მოციქულის სიტ-

ყუბა უნდა დაიშარხო და ხორციელი განსაცდელი ყოველივე სიხარულად უნდა შერაცხო; და თუ მაშინც მწუხარება ჰყო, სამართალი არის, რომელმანცა განსაცდელი შეგამთხვია, მისთვის უნდა ჰსწუხდე, მისთვის უნდა სცრემლეობდე: ის განმაცხოველებელს ჰრისტეს განეყო და სულიერებრივად ჰკუდება, ჯეროვანი არის მასზედ გოდება და ტირილი. შეგების იკითხო: ბოროტის-ყოფელთა ჩემთა ზედა უნდა ვსცრემლეობდე? მერეთ უნდა ჰყოფდე, რადგან თავის-თავის კეთილობა გნებავს. ამისი დასამტკიცებელი სახეებიც მოვილოთ: იოსებ თვისთა ბოროტის-ყოფელთა ძმათათვის სცრემლეობდა; თვით შთალი იოსებო ჰრისტე განმცემელისა იუდასთვის მწუხარე იყო, ვითარცა იტყვის იოანე მახარებელი: „შედრწუნდა სულითა და ჰსთქუა: ერთმან თქუტანგანმან მიმცეს მე!“ თუ ჰრისტეს მოწაფეობა გნებავს, შენც მსგავსად ჰრისტესა ბოროტის ყოფელთა შენთათვის უნდა სწუხდე. ბოროტის ყოფელთა შენთა ზედა მწუხარებისათვის ჰრისტეს მსგავსებას მიიღებ და ცუდისა და ამოს შენის თავის მწუხარებისათვის მხოლოდ ვნებას შეიძენ, ვითარცა იტყვის ბრძენი სოლომონ: „გულისა მხიარულისა ჰირიცა მხიარულ არნ, ხოლო მწუხარისა განხმინ ძუალნი“. მსეც უნდა მოგახსენო: შენის სიტყვიერებისა და გონიერების შესამსგავსი ეს არ არის; მცირის რამესთვის ზრუნავ და მწუხარე ხარ და უდიდესი დაგიტევებია; ყოველივე სოფლისა ამის მცირე და წარმავალი არის, ამის მცირისათვის მწუხარებით განილვევი, და უდიდესისა და საუკუნოსათვის არცა ერთი ზრუნვა და მწუხარება გაქუს, და ეს გონიერების უმსგავსო საქმე არის. შფროსად გონიერების შესამსგავსი ეს არის: უნდა გაქუდდეს ზრუნვა დაუძინებელის მტერის—ეშმაკისა, რომ მძლე არ გექმნას; უნდა გაქუდდეს ზრუნვა და მწუხარება ამისი, რომ ეშმაკის საბრხისაგან სასუფეველითგან გარე არ განითხიო. მსე ვითარე ზრუნვა და მწუხარე შესამსგავსი არის შენი, რამეთუ ესე მოგცემს შუტაბასა და სიხარულსა გამოუთქმელსა აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 15. სიყვარულისათვის.

იტყვის პეტრე მოციქული თვისთა კათოლიკეთა შინა: „ყოვლისა წინა ურთიერთარს სიყვარული განმარტებული გაქტნდინ“. შოვლის სათნოების უპირველესად რასათვის ეს გვასწავა მოციქულმან, ასე რომ გვიბრძანებს: „ყოვლისა წინა ურთიერთარს სიყვარული განმარტებული გაქტნდინ“. თვით გამოცდილებით ხედავს მოციქული, —ყოველი სათნოება თვინიერ სიყვარულისა უძლური და უხმარი არის; ამისთვის ყოვლის უპირველესად სიყვარულს გვამცნებს. ახლა ეს ვსთქვათ, თვინიერ სიყვარულისა სათნოება როგორ უხმარი არის. ღიდი რამ სათნოება არის სარწმუნოება; და პეტრეს ასეთი მხურვალე სარწმუნოება აქტნდა, პირველ ყოველთასა ძრისტე ძედ ღვთისა მან აღიარა, მაგრამ მცირედ შიშისაგან რომ სიყვარული განშორდა, სარწმუნოებაც მცირედ-ჟამ უხმარი შეექმნა, ამისთვის რომ უარ-ჰყო მოძღვარი თვისი და უფალი და ჰსთქვა: „არა ვიცი კაცი იგი“. ღიდი რამ სათნოება არის ლოცუა და მარხუა, მაგრამ თვინიერ სიყვარულისა უხმარი არის, ვითარცა ფარისეველი ილოცვიდა, რომ ტაძარსა შინა წარდგომილ იყო ლოცვად. იმარხვიდა, ვითარცა თვით იტყვის: „ვიმარხავ ორ-

გზის შაბათსა შინა“, დართული კიდევ ამათ ზედ ქუბლის საქმე აქტნდა, ამასაც თვითტპ ხმოზს: „და ათეულსა შევსწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა“; მაგრამ სიყვარული რომ არ აქტნდა და მეზტპრისა შურსა შინა იყო, ამისთვის ყოველივე მისი სათნოება უხმარი შეიქმნა, და დაისაჯა. შემოკლებით ვსტქტათ, რომ თვინიერ სიყვარულისა ყოველივე სათნოება უხმარი არის. პავლეს რა სათნოება აკლდა? თუ სათნოების ფრთა ჰკლებოდა, ხორციით სამოთხედ რომ აღფრინდა და უთქმელი სიტყუა ესმა, ეს რომლითა სხვითა საქმითა შეიძლებოდა? მაგრამ კაცთა შეძლებისაებრ სათნოებით აღსავსე იყო და მით შეუძლო ხორციით სამოთხედ მიწვენა. ასე საკვირველი პავლე თავისა თვისისათვის ასე იტყვის: „უკეთუ სიყვარული არა ნაქტნდეს, არა რავე ვარ“. უდიდესი დასამტკიცებელი მივსცეთ ამას, რომ ყოველივე კეთილი თვინიერ სიყვარულისა უხმარი არის. მუშაკნი პირველ ანგელოსნი იყვნენ და საღმრთოს მადლისაგან კეთილით აღსავსე იყვნენ; ლეთის სიყვარულს რომ განეშორნენ, ყოვლითურთ ბოროტნი შეიქმნენ: და კაცი თუ სიყვარულს მოშორდა—მისი კეთილი ყოველივე ბოროტად შეიცვალება. ღა რომელსაც თავისის ძმის სიყვარული არა აქტს, უეჭველად ლმერთიც გძულს.—ძმა რომ ვსტქვი, არა თუ მარტო შენის დედისაგან და მამისაგან შობილს ეწოდება ძმა—წმიდის მმზახისაგან აღმოშობილნი ყოველნივე ურთიერთარს ძმანი არიან; ყოველივე თუ სწორებით არ გიყვარს,—ჰსკან ჰეშმარტი,—ლმერთიც გძულს, ვითარცა ამტკიცებს იოანე მოციქული და მახარებელი თვისთა კათოლიკეთა შინა: „უკეთუ ვინმე სტქტას, ლმერთი მიყვარს და ძმა თვისი სძულდეს, იგი მტყუარ არს“. რადგან ლმერთი გძულს, შენი კეთილი უხმარი არის.

ჰიდევ ყოვლისა უპირველესად სიყვარულს გვასწავებს მოციქული ამის მიზნისათვის: კაცთა ბუნებას მრავლის ცოდვისაგან შეტულად და სნეულად ხედავს, და სიყვარული ძლიერი—რამ წამალი არის, რომ ცოდტას უჩინო ჰყოფს, ვითარცა

თვით პეტრე მოციქული იტყვის: „სიყვარულმან დაფარის სიმბრავლე ცოდუათა“. ძიდე ვაჭუპნოთ, თუ სიყვარული ცოდუას როგორ უჩინო ჰყოფს. უჩინო ჰყოფს და აღმოფხვრის დასაბამსა ცოდვისასა—ამპარტავნებას, მოციქულისაებრ, სადა იტყვის: „სიყვარული არა მალლოინ“; უჩინო ჰყოფს უგუნურებისა უწვრთელობასა, სადა იტყვის: „არა განლაღის“; უჩინო ჰყოფს წინაშე ჭრისტესა სირცხვილეულებასა, სადა იტყვის: „არა სარცხვიელ-იქმნეს“; უჩინო ჰყოფს სიცრუეს, სადა იტყვის: „არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჰეშმარიტებასა ზედა“; მტკიცე ჰყოფს კეთილსა სარწმუნოებასა შინა, სადა იტყვის: „ყოველი ჰრწამნ“: განმზადებ: ჭრისტესთვის ვნებათა თავს დებად, სადა იტყვის: „ყოველსა თავს იღებნ“: ზეშთა საქებელ არს ყოველსა ადგილსა შინა თქმისაებრ: „სიყვარული არა სადა დავარდების“. — ძიდე გვასწავებს ყოვლის უპირველესად სიყვარულს ამის მიზეზისათვის, — სათნოებათა შორის უმაღლესი არის, ვითარცა იტყვის დიდი იოანე ოქროპირი: „არა რაჲ არს სათნოებათა შორის უმაღლეს სიყვარულისა“. ძიდე გვამცნებს ყოვლის უპირველესად სიყვარულს, ამისთვის — ყოვლისა უფროსად სიყვარულმან გარდამოიყვანა ძე ლეთისა ქუტყანად, ვითარცა გვასწავებს იოანე მახარებელი: „ესე-ოღენ შეიყუარა ლმერთმან სოფელი, ვიდრეღა ძეცა თვისი მხოლოდ-შობილი მოსცა მათ“. ითქვა მოციქულისაგან ესე: „ყოვლის უპირველესად მოყუტის სიყვარული უნდა ვყოთ“. ამისი მიზეზიც აღმოჩნდა მოციქულისაგან დამტკიცებით, — ეს მიზეზი, რომ თვინიერ სიყვარულისა ყოველივე სათნოება უხმარი არის; და კიდევ მიზეზი მოციქულის სიტყვით ითქვა, ესე იგი: „სიყვარულმან დასაბამი ცოდვისა, ამპარტავნება და სხუანი უჯერონი ცოდვანი, აღმოფხურნა“. ახლა ეს უნდა ვიძიოთ: ზეშთა საქებელს სიყვარულს შეიტკობთ, თუ არა? თუ სიყვარულს არ შეიტკობთ და განაგდებთ, — ჭრისტეს მოწაფეობის სახელი რომ გეწოდება, — ჭრისტიანე, — ეს სახელიც უნდა განაგდო, რადგან ჭრისტეს მოწაფეობის ნიშანი — სიყვა-

რული არის, ვითარცა თვით უფალი იცნო ბრძანებს: „უკეთუმცა იყვარებოდეთ ურთიერთარს, ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ მოწაფენი ხართ ჩემნი“. რადგან ნიშანი ძრისტეს მოწაფეობისა სიყვარული მოიძულე, უეჭველი არის, აღარც ძრისტეს მოწაფეობა გნებავს, — ჰსჩანს, რომ ისიც მოიძულე.

აწ ეს არის ჩუქნი საძიებელი: მიზეზი რა გაქტეს სიყვარულის განგდებისა? თუ ამას იტყვი, მან ვინმე შემცოდა, — აქ უკურნებელს სასო-წარკვეთილებაში შთავარდები; თუ ვითარ — ვსთქვათ: შეცოდებისათვის სიძულილი სამართალი არის, თუ უსამართლოება? თუ იტყვი: „უსამართლობა არის“ — შენ რასათვის ჰყოფ? და თუ სამართალი არის შეცოდებისათვის სიძულილი, შეცოდებული ხარ წინაშე ძრისტესა! ამას ვერ იტყვი, არ გეცოდებოვს. ღვთის-მეტყველი და მახარებელი იოანე თვისთა კათოლიკეთა შინა იტყვის: „შეთუ ვსთქვათ, ცოდუა არა გვაქტეს, თავთა თვისთა ვაცთუნებთ, და ჰეშმარიტება არა არს ჩუქნთანა“; და რადგან შეცოდებული ხარ წინაშე ძრისტესა, და შეცოდებისათვის თუ სიძულილი სამართალი არის — ძრისტემ უნდა მოგიძულოს! მიხედე, რა საშინელს სასოწარკვეთილებაში შთავარდები! თუ ძრისტემ მოგიძულა, ხსტუა სასოება სიღამ უნდა მოიპოო? პეტრე მოციქული იტყვის: „არცაღა არს ხსტუა სახელი ცასა ქტლშე, რომლითაცა ჯერ იყო კაცთა ცხოვრება“. — მოვილოთ კიდევ ამისთვის მეტყველება, რომ სიყვარულის განგდებელი უკურნებელს წყლულებაში არის. ძურნება სათნოებით იქმნება; თვინიერ სათნოებისა სული არ განიკურნება, და ეს ზემო დამტკიცდა — თვინიერ სიყვარულისა ყოველი სათნოება უხმარი არის; სათნოებით აღვსილის ჰავლესაგან გესმის: „უკეთუ სიყვარული არა მაქტნდეს, არა რავე ვარ“. შენ სიყვარული არა გაქტეს, და რადგან სიყვარული არა გაქტეს, ყოველი სათნოება შენ შორის უხმარი არის, და რით უნდა განიკურნო სულის წყლულებისაგან? — შეუძლებელი არის შენი კურნება, თუ სიყვარულს არ შეიტკბობ. ახლა მაგალითი მოვილოთ: მრთი ვინ-

მე სნეულეზისაგან ჰკუდებოდეს და მკურნალი მასთან არ მივიდეს, და არც სნეული მკურნალთან მივიდეს, ამისი განკურნება შეუძლებელი იქმნება. აგრევე, რომელიც ცოდვისაგან სნეული არის და სულით ჰკუდება, თუ მტკიცედ მოყუტის სიყვარულს არ მოიგებს, არც მკურნალი ძრისტე მასთან მივა, და ვერც ის მივა მკურნალს ძრისტესთან, ამისთვის, რომ იოანე ლეთის-მეტყველი და მახარებელი თვისთა კათოლიკეთა შინა ასე იტყვის: „რომელი ეგოს სიყვარულსა შინა, ლმერთი შისთანა ჰგიეს და იგი ლეთისა თანა“. შენ სიყვარულზედ არ ჰგიე, არც ძრისტე ლმერთი შენთანა ჰგიეს, არც შენ ძრისტეს ლეთისა-თანა ჰგიე, ამის გამო დაჰშთი უკურნებელი! საყვარელო, ერთი რამ გამოვიკითხო შენგან, ეს მინდა: ვის სძულლობ, მიჩუტნე? მკითხავ, თუ რად ვეძიებ?—სხვა მიზეზი არა შექუტს რა შენის სიყვარულის მეტი. მინდა, რომ შენი ცთომილება გაცნობო. მეგების ამისთვის ჰსძულობდე ვისმე, რომ მას ვნება უყო?—ცთომილი ხარ: მას შენის სიძულილით ვერას ავნებ, უფროსად თავის-თავს აძლევ ვნებას! თუ ვითარ—ვისთქუათ: მას შენ შენის სიძულილით არათუ ავნებ—უფროსად განადიდებ, ამისთვის რომ მას ძრისტე ნეტარებას აძლევს და უბრძანებს: „ნეტარ იყვენენ, რაჟამს მოგიძულნენ თქუტსნ კაცთა“.—შენს თავს ძნელს რასმე ვნებას აძლევ; ვითარცა ლეთის-მეტყველი და მახარებელი იოანე გამცნებს: „რომელსა ჰსძულდეს ძმა თვისი, იგი ბნელსა შინა არს“. შენ გძულს ძმა,—უეჭველად წარმწყმედელს უმეცრების ბნელნი ხარ! შენ ასე ჰგონებ—სიძულილით მას უყოფ ბოროტს: მას კეთილს მოატყუტს და შენს თავს ბოროტს. ამისი დასამტკიცებელი სახეები ძველის წერილიდამ მოვიდოთ: მსავემან იაკობ ზოიძულა—იაკობ პირმშოების მიღებით გამდიდრდა, მსავე პირმშოებისაგან დაეშო; ძმათა იოსებ მოიძულეს—იოსებ მეფობის პატრივში აღვიდა, ისინი სიყმალის მწუხარებაში იყვენენ. მგრეთუც შენ უწყოდე: მოყუტის სიძულილი შენ სიყვარულსაგან მიგეცემს და მას განამდიდრებს.

მგების ჩემებრმან უშეკარმან კიდევ ვერ გულის-ხმა ჰყო კეთილად სიყვარულის სარგებლობა და სიძულილის მავნებლობა. მრევსათვის ცხადი მაგალითი მოვიღოთ, რომ ყოველთათვის ადვილად საცნობელი იყოს. თვით კაცი და მისი შექმნილება მოვიღოთ მაგალითად. ძაცი ოთხის ნივთისაგან არის შემდგარი. თუ ოთხი ნივთი დაზავებით არის და ურთიერთარს არ იბრძვიან—კაცის სიცოცხლეც კეთილად წარმართება; თუ ოთხი ნივთი დაზავებით არ არის და ურთიერთარს იბრძვიან—კაცი სიკვდილს მიეცემა. მგრეთვე კაცი თუ მოყუჩისა მიმართ სიყვარულის დაზავებით არის და სიძულილის ბრძოლა არა აქტს—მისი საუკუნო ცხოვრება კეთილად წარმართება; თუ სიყვარულით დაზავებული არ არის და სიძულილის ბრძოლა აქტს—კაცი საუკუნო სიკვდილს მიეცემა (ესე იგი წარწყმედანს მიეცემა). ძიდევ კაცი სულისა და ხორცისაგან არის წარმოდგარი; საღმრთოს ბრძანებით ერთმანეთთან შეკრულნი არიან; სინამ ერთმანერთს არ განეშორებიან, კაცი ცხოველად არის; როდესაც ერთმანერთისაგან განშორდებიან, მყის თანად კაცი სიკვდილს მიეცემა. მგრეთჲც თქტან, საყვარელნო, ურთიერთარს სიყვარულით შეკრულნი ხართ საღმრთოს ბრძანებით, ვითარცა ბრძანებს უფალი იცისო: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. სადამდის ასე სიყვარულით ურთიერთარს შეკრული ხართ, სულითაც ცხოველათ ხართ; როდესაც სიძულილისაგან ურთიერთარს განშორდებით, მყის თანად სულით წარსაწყმედელს მიეცემით.

საყვარელნო ერნო ძრისტესნი! ურთიერთარს სიყვარული თქტანის კერძოებისაგან ისწავეთ: თვალისა, კელისა და ფერზისაგან,—თუ თვალი თითოეულს კერძოებს როგორ ხედავს?—ამისთვის ხედავს—ვნება არა შეხედეს რა; ვნებულსაც განიცდის და ჰხედავს, წყლოულებისათვის სწუხს, სიმრთელი-სათვის მხიარულებს. მგრეთჲც თქტან ჰყავთ: მიხედეთ თითოეულს სიყვარულით, ვნება არა შეხედეს რა, ვნებულს მიხედეთ და მასთან იმტკივნეულეთ, და სიმრთელისათვის თანა-

მხიარულ იქმნენით, თქმისაებრ მოციქულისა: „გიხაროდენ მობარულთა-თანა და სტიროდეთ მტირალთა-თანა!“ მგრეთჲც სხელნი მსახურებენ თითოეულსა კერძოსა სიმრთელესა და სწეულებასა შინა: ეგრეთჲც თქტუნცა მსახურეთ სწეულთა და მრთელთა, და იყვარებოდით ურთიერთარს, ვითარცა ძრისტემან შეგიყვარნა თქტუნ. ჰვალად ფერხი მსახურებს სრულიად გტამსა, რამეთუ იტვირთავს მას, მრთელსა და სწეულსა. მგრეთჲც მსახურეთ თქტუნ ყოველსა გვამსა მოყუასთა და ძმათა, არა მხოლოდ მრთელთა, არამედ სწეულთაცა, რათა გესმას ძრისტესგან: „სწეულ ვიყავ და მომხედეთ მე“. თუ არცა ერთს ჩემს მეტყველებას არ შეიწყნარებთ და სიძულილს არ განადგდებთ, ცხადად ეშმაკეულის მსგავსი და ეშმაკის მოყვარე შეიქმნებით. ეშმაკეულს ეს საქმე აქტს,—კეთილი სძულს და ბოროტი უყვარს, და რომელიც მოყვასსა ჰსძულობს, ისიც ეშმაკის მსგავსად კეთილს სიყვარულს სძულობს და ბოროტს სიძულილს ჰყუარობს; ლეთის ხატად და მსგავსად შექმნილს კაცს ჰსძულობს და ეშმაკს ჰყუარობს. მეგების სთქუას ვინმე: „ეშმაკი არ მიყვარს“. აქ იოანე ლეთის-მეტყველისა და მახარებელის სიტყუა მაგალითად უნდა მოვიღოთ: „უკეთუ ვინმე სთქუას, ლმერთი მიყვარს და ძმა თვისი ჰსძულდეს, იგი მტყუარ არს“; ეგრეთჲც გარმოქცევით მე გეტყვი: უკეთუ ვინმე ჰსთქუას, ძმა მძულს და ეშმაკი არა მიყვარს, ის მტყუარი არის, ამისთვის რომ თვით მოყუასის სიძულილი ეშმაკის სიყვარულს აღმოაჩენს. ძრისტეს მიერ თქმული არის, როგორც ზემო ვსთქუ, სიყვარული მოყუასისა ძრისტეს მოწაფეობის ნიშანი არი, ვითარ იგი ბრძანებს უფალი იესო: „უკეთუმცა იყვარებოდეთ ურთიერთარს, ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ ჩემნი მოწაფენი ხართ“. როგორც ძრისტეს სიყვარულისა და მოწაფეობის ნიშანი არის სიყვარული, ეგრეთჲც მოყუასის სიძულილი—ეშმაკის სიყვარულისა და მოწაფეობის ნიშანი არის. შესამსგავსი არის ეშმაკისა, რომ სთქუას: უკეთუმცა გაქუნდეს ურთიერთარს სიძულილი, ამით ჰსცნან ყოველთა, ვითარმედ


მოწათენი ხართ ჩემნი. მეგების სთქლას ვინმე: „ცოდვისათვის მძულს მოყვასი“. აქ კიდევ ძრისტეს მოწათეობისაგან შორს ყოფა გამოჩნდება, ამისთვის რომ მოძღუარი შენი ძრისტე ცოდვილთა არა მოიძულვებს, უფროსად ცოდვილთათვის მოვიდა მოწყალებად, ვითარცა თვით ბრძანებს: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“. ძრისტეს სიტყვისაგან ჭეშმარიტებით ჰსჩანს, თუ ძრისტეს მოწათეობისაგან არ განხვალ, ცოდვისათვის მოყვასს ვერ მოიძულვებ. თუ ამას იტყვი: შეგცოდა და მისთვის ჰსძულვობ—აქაც ამას გეტყვი: თუ ძრისტეს მოწათე ხარ, ვინც შეგცოდა, მას სიტკობებით უნდა მიხედო, თორემ არ უნდა მოიძულო. ამისდა დასამტკიცებლად სახედ თვით ძრისტეს მიერ ქმნილი მოვილოთ, რომელიც მან მისდა მიმართ შეცოდებულთათვის ჰყო: პეტრე მოციქულმან ძრისტე უარყო, ძრისტემან არათუ მოიძულა, უფროსად სიტკობებით მიხედა შეცოდების ქაშში, ვითარცა გვამცნებს ლუკა მახარებელი: „მიხედა იესომ პეტრეს“. თუ მოწათე ხარ ძრისტესი, შენც შენდა მომართ შეცოდებულთა ასე სიტკობებით უნდა მიხედო,—ასე გესმის შენის მოძღუარისა და შულისა იესოსაგან: „ესრეთ ჰყოფდით ვითარცა იხილეთ“. ზემო თქმული სიტყუბი და სახეები საუკუნო ცხოვრებისათვის საჭიროებას შემოიღებს: თუ ვისმე ცხოვრება ჰნებავს, ჭეშმარიტი და უზაკველი სიყვარული უნდა აქუნდეს მოყვასისა, ვითარ იგი გვასწავებს მოციქული: „დასასრული მცნებისა არს სიყვარული გულისაგან წმიდისა და გონებისაგან კეთილისა და სარწმუნოებისა შეუორგულებელისა“. მოციქულის თქმის მსგავსად ასრე უმანკოდ და წმიდად უნდა იპყრო სიყვარული: თორემ თუ მცირედ მანკიერება შეეზავა უმანკო სიყვარულს, ის მცირედი ასე განდიდნება, სიყვარულს უხმარად ჰყოფს. და თუ ჭეშმარიტი სიყვარული გნებავს, ჭეშმარიტისა ძრისტეს ღვთისაგან ისწავე, რომელსაც გასწავებს: „შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. ამას დაბეჭდავს და გრძანებს: „უფროს არს ესე, ყოველთა მსხვერპლთა და შესა-

წირავთა“ . მგების ძნელად ვისმე აღვიჩნდეს და ჰსთქვა; ჩემის თავის მსგავსად როგორ შევიყვარო? რაც ჩემთვის საფასე მაქვს, მას როგორ მივსცე?—მე გკითხავ: რასათვის არ მისცემ? **თუ** იტყვი,—დაგაკლდება—თვით **შფალი იცხო** ფრიალ უმეტესს აღვითქვამს: „მოგეცეს თქვენ საწყაული კეთილი, შეხრილი და დატენილი და ზედა გარდათხეული“ **აქ** რომელი ნაკლებობა გაყენებს, რომ მოყვასი თავის მსგავსად არ შეიყვარო? **თუ** ამას იტყვი,—მოძულე არის შენი,—შენი მოძულე უფროსად უნდა შეიყვარო. მიზეზს თუ იძიებ ჩემგან, რომ რასათვის უფრო უნდა შეიყვარო შენი მოძულე, შემოკლებით წარმოგიტხრა: ნავთიურს თუ რასმე წარაგებ, ამითი შენზედ ნაკლულევანება არა არის რა, ამისთვის რომ, ვითარცა ზემო ვსთქუ, ძრისტემან უფროსი აღვითქვა, და სასყიდელი უფროსი სიყვარულისათვის მაშინ არის, როდესაც შენი მოძულე გიყვარს, ვითარცა ბრძანებს **შფალი იცხო**: „უკეთუ გიყვარდენ მოყვარენი ხოლო თქვენნი, რა სასყიდელი გაქვს; გიყვარდენ მტერნი თქვენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გამძღავრობენ თქვენ“ . **თუ** იკითხავ ძრისტესგან ამის სარგებელს—მიუწოდებელს ნიქს აღვითქვამს: „რათა იყვნეთ თქვენ შვილ მამისა თქვენისა ზეცათასა“ . **თუ** ამას იცნეულებ, ნაცვალი სიძულილი რომ არ მიაგო და დასდუმდე და ამისთვის მტერი მძლე გექმნას, აქაც მოციქულის სიტყუას რასათვის არ მოიხსენებ? „უკეთუ ღმერთი ჩვენ კერძო არს, ვინ არს მტერ ჩვენდა“ . ძიდევე სხუა სანუგეშო მაგალითი მოვილოთ. ისრაელნი თავისის მტერის **ფარაოსაგან** რომ შეშინდენ, მოსემ უთხრა: „თქვენ სდუმნეთ და **შფალი** ბრძოდეს თქვენ წილ“ . ძიდევე ებრძოლა მათ-წილ **შფალი**, და **ფარაო**, მტერი მათი, შეიძუსრა. მგრეთუც მე გეტყვი შენ: შენს მოძულესა და მტერზედ დასდუმდი, და შენ წილ **შფალი** ჰყოფს ბრძოლას. **თუ** კიდევე იქვეული ხარ ამისთვის, რომ შენს მტერს სიძულვილი არ მიაგო და დასდუმდე, და **შფალი** არ ებრძოლოს შენ მაგიერ. ამისი დასამტკი-

ცბელი სახეები ძველის წერილიდამ მოგართვა. თუ სიყვარულით დუმილს მოიგებ შენის მოძულისა მიმართ, შთალი შენ წილ ბრძოლას ჰყოფს: აბელ დადუმებული იყო მოძულისა ძმისა მიმართ, მაგრამ ნაცულოდ მისა შთალი ებრძოლა, დასწყევა ძაინ და დაამხო; იაკობ სდუმდა მოძულისა ძმისა მსავის მიმართ; მას სიძულილი არ აქტნდა,— იაკობის ნაცვლად შთალი ებრძოლა, მსავ პირმწოებისაგან დაამხო და იაკობ პირმწოებისაგან აღაშენა. მგრეთჲც შენ: თუ შენის მოძულისა მიმართ სიყვარულით დუმილს მოიგებ, მოძულე სასუფეველის პირმწოებისაგან დაემოხა, შენ სასუფეველის მიღებით აღეშენები. იოსებ სდუმდა მოძულეთა ძმათა მიმართ, მას გონებაში სიძულილი ძმათა არ აქტნდა; ამისთვის იოსების ნაცვლად მისძმათა ლმერთი ებრძოლა, ისინი სიყმილს მისცა და იოსებ იფქლითა აღავსო. მგრეთვე შენ: თუ შენის მოძულისა მიმართ სიყვარულსა ჰყოფ, ის უხრწნელის ძრისტეს ხორცისა და სისხლის სიყმაღს მიეცემა, რომ ღირსებით ვერ მიიღებს, და შენ მისის მიღებისაგან აღივსები და განმდიდრდები. საყვარელო, მოძულის შეყვარებით შენ ძრისტეს მსგავსებას მიიღებ და შენი მოძულე ეშმაკის მსგავსებას მიიღებს! ეშმაკის მსგავსებას ასე მიიღებს: ეშმაკიც მოძულე კაცის და მტერი არის და კაცის კეთილისათვის ჰსწუხს და ბოროტისათვის უხარის. მგრეთჲც შენი მოძულე შენის შურიით და მტერობით შენის კეთილისათვის ჰსწუხს და ბოროტისათვის ხარობს. შენ შენის მოძულის შეყვარებით ძრისტეს მსგავსებას ასე მიიღებ: ვითარცა ძრისტე იგინებოდა და არავის აგინებდა, ისე დუმილით თავს იღებდა. ყოველსავეს; თუ შენის მოძულისა მიმართ სიყვარულსა ჰყოფ, უეჭველად ყოველსავე შეურაცხებას ძრისტეს მსგავსად თავს იღებ, თქმისაებრ მოციქულისა: „ყოველსა თავს იღებნ“.

საყვარელო, კიდევ მეორედ მიიღე ძრისტეს მსგავსება და იტვირთე; ის ყოვლითურთ გემსგავსა, შენგან ყოვლითურთ მსგავსება შეუძლო არის—ეს კი შესაძლო არის, მეორის სახით კიდევ ემსგავსო. თუ ვითარ—ვსთქტათ: კაცთა ბუნებამ

ღმერთი მოიძულა, ვითარცა ბრძანებს შუალი პირითა ღვით წინასწარმეტყველისათა: „მოიძულეს მე ცუდად“. ამათ მოძულეთა კაცთა მომართ ძე ღვთისა შუალი ისსო მოვიდა, ვითარცა თვით ბრძანებს: „მე მოვედ, რათა ცხოვრება აქტნდეს და უმეტესი აქტნდეს“; თვისთა მოძულეება თანა მოვიდა, თვით სიტკბოებით მიიზიდა და ისე სიყვარულით თავის-თავისა მიმართ დაიგო. მიემსგავსე ჭრისტეს, შენც შენის მოძულისა მიმართ მიხვედ, ტკბილის სიტყვით მოიზიდე და დაიგვი; შან ვერ გულის-ხმა ჰყო? შენ აცნობე კეთილი სიყვარული: ჭრისტესებრ განანათლე შენის მოძულეებისაგან დაბნელებული და ისევ სიყვარულად მოიყვანე, და ვითარცა ჭრისტემან შესწირა ღმერთსა მამასა მის-მიერ განახლებული კაცთა ბუნება, ეგრეთვე შენის სიყვარულისაგან განათლებული შენი მოყვასი ჭრისტეს შესწირე, რათა მადლი ჭრისტესი გაქტნდეს მოუკლებელად, აწდა საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 16. მოწყალეებისათვის.

ბრძანებს შუალი ღმერთი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: „და უნეცვე მშიერსა პური შენი და გლახაკნი უსართულონი შეიყვანენ სახით შენდა“, მს სიტყუა მე უღირსს

ერთს რამე მიჩქნებს, თუ დაეფარო—**ტობიას** მიმართ მოვლენილი **ანგელოზი** დაფარვას არ იტყვის **ღვთის** საქმისას, ასრე: **იტყვის ტობიას**: „საქმეთა **ღვთისათა** განცხადება და აღსარება ჯერ-არს“; თუ განვაცხადო,—**თქუტნს** პატიოსნებას მე ყოველად უღირსმან ამისი განცხადება როგორ ვჰკადრო? მაგრამ რადგან ჰავლე ასე იტყვის: „ყოველი განცხადებული ნათელ არს“,—**ანგელოსისა** და **მოციქულის** ურჩებას ვერა ვჰყოფ, უნდა განგიცხადო. **რომელსამე** **შფალი** **ღმერთი** არა გრწამს? **თუ** **შფალი** **ღმერთი** გრწამს, **მოციქული** ასე გვამცნებს: „დაემორჩილენით **შფალთა** თქუტნთა“; თქუტნ **შფალს** არ ემორჩილებით. **შფალი** გიბრძანებს: „გლახაკი უსართულონი შეიყვანენ სახიდ შენდა“. **შენ** გლახაკი გარე დაგიტევებია, მდიდარი შეგიტკებია და შინაგან შეგიყვანია! **შფალი** **იოსო** გიბრძანებს: „**მღეს** ჰყოფდე სახმარსა, გინა სერსა, ხადე ბრმათა მკელობელთა“;—**შენ** ესენი შორად განგიგდია, და რომელიც მდიდარი არის, იმას ჰხადი ტაბლაზე! ამითი სულიერებრივის ნიქს ვერ მიიღებ. **ჰრისტე** ამას არ ბრძანებს: რაოდენი უყავთ ერთსა მდიდარსა, იგი არა მე მიყავთ,—ასე ბრძანებს: „რაოდენი უყავთ ერთსა მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“. **მიცი** ამას იტყვი: „მდიდარი რომ მოვიძულოთ და განვაგდოდ, სოფელში ვერ ვიცხოვრებთ“. **აქ** ჯერ ძველიდამ გიგებ პასუხს: დიდს ღვით მეფეს და წინასწარმეტყველს მრავალი მდიდარი ჰყავდა და იყო მასთან, მაგრამ მემფიოსთე საულის ყრმა მკელობელი მასთან სუფევით ჰყუანდა. **მგრეთუტ** **შენ** ჰყავ, მდიდართან გლახაკიც სუფევით გამოზარდე. **ახლა** **შფალსა** **იოსოს** სიტყუტს გეტყვი, რომელსა გიბრძანებსთ: „პირველად ეძიებდით სასუფეველსა **ღვთისასა** და სიმართლესა მისსა და ეს ყოველი შეგეძინოს **შენ**“. **ჯერ** გლახაკათვის იზრუნე, მერ-მე მდიდარი **შფლისა** მიერ შეგეძინება. **გესმის** უტყუელი სიტყუა?—**მსე** ჯერ არს ყოფად და იგი არა დატევებად“; ჯერ არს პირველად ზრუნვა გლახაკათვის და ვინადგან სოფლისასა ზრუნავ—მერმე მდიდარი არა დატევებად. **შენ** მხოლოდ მდი-

დრისას ზრუნავ და გლახაკი სრულიად დაგივიწყებია. ასე ამგუარი საქმე ძრისტეს ლეთისა მონებისაგან კაცს შორად ჰყოფს! ძვალად მოვიხსენოთ უფლისა მიერ თქმული: „და უნეცვე მშიერსა პური შენი“. ლიდისა და საკვირველის მოწყალებისათვის გვიბრძანებს ამას ლმერთი; საუკუნოს კეთილობის და სუფევისაგან მშიერნი არ შევიქმნეთ, ამისთვის მშიერისა და გლახაკის გამოზრდას გვამცნებს. მეგების ვინმე იძიოს: გლახაკის გამოზრდებლობისათვის საუკუნოსა მშიერი იქმნება, თუ არა? მდიდარმან ლაზარე გლახაკი რომ არ გამოზარდა, წყურვილისაგან შემწყვარი წვეთს წყალს ითხოვდა აბრაჰამისაგან ენის განსაგრებელად, და ვერ მიემთხვია! მისმან წყურვილმან დაგარწმუნოს—რომელიც გლახაკს არ გამოზრდის, საუკუნოს კეთილობისა და სუფევისაგან ცალიერი და მწყურვალი შეიქმნება.

„და გლახაკნი უსართულონი შეიყვანენ სახიდ შენდა“; ამასაც ლიდის მოწყალებით გვამცნებს. საუკუნოს სასძლოსა და სუფევისაგან გარეშე არ დავშეთ, ამისთვის გლახაკის შეყვანებას გვამცნებს სახლად ჩჷნდა. მეგების ვინმე იძიოს: ვინც გლახაკს თავის სახლად არ შეიყვანს, სამეუფოს სასძლოსაგან გარე დაშთება, თუ არ? მს იგავი მოიხსენეთ: განმზადებულნი სიძისა თანა ქორწილში შევიდნენ და მერმე კარი დაეხშო. შოვლად სხუანი მოვიდნენ და ხმა ჰყუტეს: „უფალო, უფალო! განგვიღე ჩჷნდა“. — მაგიერი ხმა ესმათ: „არა გიცნი, თქჷნ ვინანი ხართ“; ეგრეთჷც რომელიც გლახაკთ მოწყალებით კეთილად განმზადებული არის, ის სიძისა ძრისტესთანა სასუფეველად შევალს; და რომელნიც გლახაკთ მოწყალებით კეთილად განმზადებული არ არიან, იმათთვის სასუფეველის კარი დაიხშვის: რამდენიც ძრისტეს კმა უყონ, — ძრისტესგან ეს ხმა ესმისთ: „არა გიცნი თქჷნ, ვინანი ხართ“. ძიდევ ამითი სჩანს ჩჷნხედ უფლის მოწყალება: ჩჷნ განსჷნების მოყვარენი ვართ და ამისთვის სინანულის ჰირს ვერიდებით და სამწუხაროთ ვხედავთ; უსაზღვროს მოწყალებისა და კაცთ მოყვარებისათვის ის უშრომელი სასუფეველის გზა

მოგუტა, ესე იგი, გლახაკთ მოწყალება. რომელი ოფლი და ქირი შეუდგება გლახაკის მოწყალებას, სახლად შეყვანებას და პურის მიცემას?— არა რამე; და ძრისტეს ღვთისაგან შეწყალება უეჭველად შეუდგება გლახაკთ მოწყალებას, ვითარცა ბრძანებს უფალი იესო: „ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ“. მოველნი სურვილით ჰრბიოდეთ ამას უწრომელსა სასუფეველისა გზასა! რომელთაც უკდავ მყოფელის პურისათვის (ესე იგი უხრწნელისა ძრისტეს ხორცილისა) მოწყალების სასჯელი არ გვეჯიროოს, გლახაკთა და მძიერთა უხვად განუყავ პური შენი; რადგან შენ ძრისტესგან პური (ესე იგი უხრწნელი ხორცი მისი) არ მიიღე, მას მიეც შენი პური, მშიერი ძრისტე გთხოვს; შენ მისგან არ მიიღე; ის შენგან კი მიიღებს, შენ უმადლო ხარ და არას მადლობ და ის მცირის პურისათვის წინაშე ანგელოზთა და კაცთა მადლობის ხმას გასმენს: „მშოიდა და მეციო მე ჰამადი“. არათუ მარტო ამას გიბრძანებს— გამოუთქმელის სიხარულისა მიმართ მიგიწოდს და გიბრძანებს: „მოველით, კუროხეულსო მამისა ჩემისანო, და დაიშკვილრეთ თქვენსთვის განმხადებულისა სასუფეველი!“ ამას მადლობისა ხმასა გიბრძანებსთ. ზონიერებით მიხედე მცირედის პურისათვის რა გამოუთქმელი ნიჭი გეძლევს! მოიხსენე, საყვარელო: იაკობმან პირმშოებისათვის საზრდელს არ ჰრიდა და განჰსცა;— ეგრეთუც შენ სასუფეველის პირმშოებისათვის საზრდელს ნუ რიდებ და გლახაკთა განუყავ; თუ ეკლესიათა შესტლას არ ახშირებდე მოლტაწებისათვის, გლახაკი უსართულო შეიყვანე სახლად შენდა; ღმერთმან მიგიწოდა თავის სახლში (ისე იგი ეკლესიასა შინა,) წინასწარმეტყველისა ღვითის პირით: „ეკლესიასა შინა აკუროხეველით უფალსა“. შენ მის სახლში არ განისუტნე სული. ერებრივად, — შენს სახლში ძრისტეს განუსუტნე ხორციელად (ესე იგი გლახაკს); გლახაკის განსუტნება თვით ძრისტეს განსუტნებად შეგვრაცხება, ვითარცა ბრძანებს უფალი იესო: რადენი უყავთ ერთსა მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მი-

ყავთ“. მის სახლში, (ესე იგი ეკლესიაში) შეხუალ, მაშენც
ჭრისტესაგან უმეტესს მიიღებ. შენ შესამსგავსს ქებასა და
მადლობას ვერას მისცემ, შენს სახლში შეიყვან, კიდე უმე-
ტეს მოგცემს, რომ საუკუნო სუფევად აღგიყვანს. ზემო თქმუ-
ლთაგან ასე ჰსჩანს, თუ ვისმე საუკუნო ცხოვრება ჰნებაეს,
უეჭველად გლახაკიც უნდა შეიწყალოს, თორემ გლახაკის
შეურაცხის-მყოფელი ჭრისტეს შეურაცხის-მყოფელი არის, ვი-
თარცა თვით ბრძანებს შთალი იესო: „რაოდენი უყავთ ერთ-
სა მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“; და ჭრის-
ტეს შეურაცხის მყოფელი საუკუნო ცხოვრებისაგან შორს
იქმნება! მსეც ცხადად ჰსჩანს: გლახაკის შეუწყალებლობის მი-
ზეზი არავის აქუს; მდიდარს მიზეზი მოსპობილი აქუს, ამისთვის
რომ მრავალი რამ ებოვება: თუ ღარიბი ვინმე არის, მასაც მი-
ზეზი მოსპობილი აქუს: შუალი ღმერთი წინასწარსეტყველის
პირით დიდს რასმე არ უბრძანებს, ამას უბრძანებს: „უნეცვე
მპიერსა პური შენი“. თუ ამისი უბოვარი არის, კიდეც უმცი-
რესს უბრძანებს: „და გლახაკი უსართულონი შეიყვანენ სა-
ხიდ შენდა“. მსთქუათ ესეც არ ებოვებოდეს; აქ რომელს მი-
ზეზს ჰპოებს, ჭრისტე რომ უბრძანებს: „რომელმან ასვას ერთ-
სა მცირეთაგანსა სასმელი წყალი ერთი გრილი სახელად მო-
წათისა, ვითარმედ მოწათენი ხართ ჭრისტესანი, არა წარუწყმდეს
სასყიდელი მისი“. აქ შესამსგავსი არის, მიზეზი არა აქუს ცო-
დტუათა მათთა. მს ჭრისტეს სიტყვა აქ შეტანიერად დასაზავე-
ბელი არის. წასრულს სიტყუაში პირველად გლახაკისათვის
ზრუნვა ესთქვი, და ეგების ვინმე ჩემი სიტყუა შეურაცხჳოს
და მსთქუას: მდიდრის უპირველესად გლახაკისათვის რად ვიზ-
რუნო? აქ ერთს კითხუას მე ვჰყოფ: მდიდრისათვის რასა-
თვის პირველად ზრუნავ? რასათვის გლახაკისაგან უფროსად
პატივისცემ, — მიზეზი უნდა ესცნათ. მს თვთა ჭრისტეს მიერ ზე-
მო დამტკიცდა — გლახაკის პატივისცემა ჭრისტეს პატივისცე-
მად ირაცხება. აწ მიჩტანე ჭრისტესგან უმდიდრესი ვინ არის:
ვის აქუს ყოველი სოფელი, თვინიერ ჭრისტესა? მის შეუძლია

ქრისტეს გარდა ამისი თქმა: „ჩემი არს სოფელი და სავსება მისი!“ ღა რადგან ჰსცანი, რომ ყოველი სოფლის სავსება მისი არის, მის შესამსგავსს მდიდარს რომელს იპოვი? რომელი იქმნება, რომ ყოველის სოფლის სავსება ქონდეს?—ღა ქრისტეს ყოველივე აქტს. ჯეროანი არის, მდიდროს უპირველესად გლახაკისათვის უნდა იზრუნო. თუ ამას იტყვი: მდიდრისაგან უფრო მიიღებ, ესეც სიცრუე არის: ქრისტეს მსგავსი მოცემავის ძალ-უძის? სხუა მდიდარი რასაც მოგცემს, ყოველივე განსახრწნელი და ამოა არის, და ქრისტეს მიერ მოცემული დიდება საუკუნო არის! წარმავალს სიმდიდრესაც უმეტესად უხუტობით ქრისტე მოგცემს, უბრძანებს ყოველთა, ას წილად მიიღოს. მიხედვე, მცირედისათვის რაოდენი აღგიტყუა; და სოფლის მდიდარი, რაოდენსაც შენ მასზედ წარაგებ, ეგოდენსაც ვერ გიზღავს. მაშასადამე პირველად გლახაკისთვის უნდა იზრუნო.—თუ ამას იტყვი: მდიდრის უპატიოებას სირცხვილი მაქტს და პატივს ქება,—შენ საჯე: ქრისტეს წინაშე სირცხვილეულება უძნელესი არის, თუ მდიდრის წინაშე? მდიდარი ანუ ერთის სამეფოს, ანუ ორის მფლობელი იქმნება; ქრისტე ყოველთა უფალი და მეუფე არის, და ყოველთა მეფისა წინაშე სირცხვილიც და ქებაც უდიდესი არის,—ეს ცხადად საჩინო არის. ჯეროანი არის, პირველად გლახაკისათვის უნდა იზრუნო; და თუ მოშიშება გაქტს მდიდრისა და შიშისათვის პირველად მისთვის ზრუნავ,—გლახაკის უფროსად უნდა გეშინოდეს, ამისთვის რომ გლახაკის პატივი, თუ უპატიოება, ორივე ქრისტეს მიმართ შეირაცხება. ეს ზემო ქრისტემან დაამტკიცა, ორიგონის თუ სამგზის ვსთქვი. რადგან პატივი, თუ უპატიოება გლახაკისა, ქრისტეს მიმართ აღიწევა, ქრისტესი ისმინე, რომლის შიშს გიბრძანებს: „ანუ გეშინინ მისსა, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცი, ხოლო სულისა ვერ ხელეწიფების მოკუტლად, არამედ გეშინოდენ მისა უფროს, რომელი შემძლებელ-არს სულისა და კორცთა წარწყმედად გეენიასა შინა“—აღმოჩნდა ქრისტეს სიტყვისა მიერ, უფროსად გლახაკის უნ-

და გეშინოდეს, და თუ უფროსად მისი უნდა გეშინოდეს, უფროსად პირველად მისთვის უნდა ზრუნვიდე.

აქამომდე ჩუპნი მეტყველება მისთვის იყო, რომელნიც მდიდრისათვის უპირველესად ზრუნვენ, ვიდრე გლახაკისათვის. აწ მისთვის ვიმეტყველოთ, რომელნიც გლახაკს სრულიად არ შეიწყნარებენ. რომელნიც გლახაკს არ შეიწყნარებენ, სულით უკუბრუნდებიან არიან. რით უნდა განიკურნოს? ძრისტეს ხორცისა და სისხლის მიღება არ ჰნებავს, და ვისაც ამისი მიღება არ ნებავს, უკუბრუნდები არის, ვითარცა ბრძანებს უფალი იცნო: „უკეთუ არა სკამოთ ხორცი ძისა კაცისა და სვათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქუანთა“; არა ჰნებავს ბრწყინვალე ნათლისა სამოსელი; არ ჰნებავს სასუფეველი; რით უნდა განიკურნოს? თუ ძრისტესგან მისის ხორცის და სისხლის მიღება ენებებოდეს, ლიტონს წარმავალს ჰურს გლახაკს როგორ არ მისცემს? ძრისტესგან მის უხრწნელს ხორცს ითხოვს და ეს მცირედს ჰურს არ აძლევს—ეს ორი ერთად არ დაზავდება! თუ ძრისტესგან ნათლის სამოსელი ეწადებოდეს, ძრისტეს შიშველს ხედავს—როგორ არ შემოსს? თუ სასუფეველად შესტლის ტრფიალი იყოს—შემყვანებელს ძრისტეს როგორ თავის სახლად არ შეიყვანებს და არ შეიწყნარებს? მაგრამ არც ერთი კეთილი არ ჰნებავს, რომელიც გლახაკთა მიმართ უწყალო არის; ამისთვის სულით უკუბრუნდები არიან. მსთქუათ და ვიძიოთ: რა არის გლახაკთ მოწყალების მაყენებელი? სხუას ვერას ვბოვებთ მიზეზს—რომელიც ნივთიური ქონებული არის, მის განღვევს ეშიშვით, მისთვის გლახაკს არ შეიწყალებთ და განაგდებთ, ტკბილს იცნო ძრისტეს განაგდებთ! მიზეზი ითქუა განაგდებისა და უმოწყალოებისა, მაგრამ ის მიზეზი ყოვლითურთ უჯერო და უძლური არის, თორემ მიხედეთ სწორე სამართლისაებრ: მიკვირს, რად გშურს გლახაკისათვის მისაცემელი? შენსას არას გთხოვს, შენ რა გაქუხს, ანუ რა მოიპოვე? ღედას შენსა ჰკითხე, როგორ შიშველი იშევი და ყოვლითურთ უპოვარი! თუ დედი-

საგან არ ირწმუნო, დიდის იობისაგან ირწმუნე: „შიშველი შემოვედ სოფლად“, ის ასე სწამებს. მშობელის დედისა და დიდისა მართლისა იობისგან ირწმუნე—შენით მოპოვნებული არა გაქტს რა. იკითხავ, ვისგან გაქტს? მისვე იობ მართლისაგან ჰსცან, რომელსა იტყვის: „შფალმან მოგვცა“; და მოციქული იაკობ დაამტკიცებს: „ყოველი მოცემა კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზეგარდამო არს შთამომავალი მამისაგან ნათელთასა“. აღმოჩნდა დიდის სიმტკიცით, შენგან მოპოვნებული არა გაქტს რა და ყოველივე ძრისტემან მოგცა, და ყოველისავე მომცემელს ძრისტეს არას მისცემ? მან მრავალი მოგცა—შენგან მცირედს ითხოვს; მან რაოდენიც მოგცა შენგან არა მიუღია რა, დღეს გათხოვს მცირედს რასმე, მაგრამ მცირედისათვის ასწილად აღგითქვამს, და შემდგომ ცხოვრებასა საუკუნესა, ვითარ იგი ბრძანებს: „ას წილად მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს“. ასე გარდათხვეით და ყოველად გარდამატებით ნაცულის მოცემას გიბრძანებს, და კიდევ არ შეიწყნარებ! მს ყოველის სიმართლისა და ჭეშმარიტებისაგან განშორება და უცხო ყოფა არის.

საყვარელო! ამას ჟამსა შინა წინაშე შენსა სდგას ძრისტე და მოწყალეობას ითხოვს, და თვინიერ წყალობისა რომ განუტევებ, წინაშე მისსა მისლჳა რომ გეგულევა, რომელი პასუხი გაქტს მისაცემელი? ჩემგან მრავლად მოცემული—მე მცირედი რათ არ მავასხეო? რა სიტყუა გაქტს, როცა გიბრძანებს: „მწყუროდა და არა მასჳთ მე“; რომელი სიტყუა გაქტს განსამართლებელი? ასე ვსთქვით ყოველითურთ უპოვარი იყო.—წყლის უპოვარებას ვითარ იტყვი?—მაშინ ყოველითურთ უხმო უნდა შეიქმნე!—ახლა სადამდის სოფელსა შინა ხარ, რომელიც გლახაკს არ შეიწყალე, ძრისტეს მკუთლელის ჰურისაგან განყოფილი არა ხარ! თუ ვითარ—ვსთქვით:


ძრისტეს შიშველს ხედვედენ ჰურიანნი და არ შეიწყალეს,—შენც ხედავ შიშველს ძრისტეს (ესე იგი გლახაკს) და არ შეიწყალე და არ შემოს! სთხოვა ძრისტემან წყალი და

სთქვა: „მწყურის“, და არავინ მიუპყრა წყალი გრილი, — შენც გთხოვს ძრისტე წყალს და არ შეიწყალებ და არ მიუპყრობ გრილს წყალს! ჰურიათა შეურაცხებით ძრისტე განიყვანეს გარეშე ბანაკისა, ეგრეთჲც შენ შეურაცხებით შენდამო მოსრულს ძრისტეს (ესე იგი გლახაკს) შენის ბანაკისა და სავანისაგან გარეშე განავლენ, რომ არ შეიწყნარებ და სახლად არ შეიყვანებ. შოვლად ქეშმარიტი თქმული არის: „იხილონ რომელსა იგი უგმირეს“; ეგრეთჲც განსჯასა მას საშინელსა იხილავ შენ-მიერ შეუწყალებელს ძრისტესა, რომლისაგან მაშინ შენცა შეუწყალებელ იქმნე; ძრისტეს მიერის სიტყვით ეს მტკიცედ აღმოჩენილი არის, გლახაკის პატივი ძრისტეს პატივად შეირაცხება.

რადგან ეს მტკიცე არის, ჩუენ ძრისტეს მსახურება ძველთაგან მოვიღოთ და მსგავსად მისსა გლახაკის მსახურებაზედ ვაწვიოთ ერი ძრისტესი. ასის თავისა ერთი ვისიმე მონა სნეულ იყო; თვინიერ ძრისტესა მისი განკურნება შეუძლებელი შეიქმნა; ასის თავი ძრისტეს შეევედრა, ძრისტემან უბრძანა: „მე მოვიდე და განვკურნო“ — და განკურნა ძრისტემან. მაგრამ ასისთავმან ეს სიტყვა მოახსენა: შრომას ნუ თავს იღებ, — ამისი ღირსი არა ვარ, შენ ჩემს სახლში შემოხვიდე. მგრეთჲც რომლისაც სნეული იყოს არა თუ მონა, არამედ თვით სიტყვიერი სული, შეევედროს გლახაკს, რომ გლახაკის ვედრებისა და მისის მსახურებისაგან ცოდვისაგან სნეული სული მისი განიკურნეს; არათუ სახლად თვისად არ შეიწყნაროს, უფროსად ეს მოახსენოს, ასის თავის მსგავსად: ამისი ღირსი არა ვარ, შენ ჩემს სახლში შემოხვიდე. ანუ ესრედ უნდა ჰყო, როგორც ზაქემ ისწრაფა და სიმალლიდამ გარდმოვიდა და მსახურება ძრისტესი ისე აჩუენა. მგრეთჲც რომელიც მდიდარი ხარ, ზაქესებრ სიმდიდრის სიმალლისაგან გარდამოხედ და სიმდაბლით გლახაკს მსახურე. ანუ ესრედ ჰყავ: შთაღსა იცნოს სხტანი კიცხედენ და ბასრობდენ — პასენაკი პატივსცემდა და ღიდებით შემოიყვანდა; ეგრეთჲც სხტა რომ გლახაკს ეკიცხედეს და ჰბა-

სრობდეს, შენ პატივით და ღიღებით შეიყვანე სახლად შენდა როგორც სახლსა პეტრესსა შევიდა ძრისტე და სიდედრი პეტრესი მხურვალეებისაგან დავრდომილი განჰკურნა და აღადგინა, ეგრეთჲს სახლად შენდა პატივით შეყვანებული გლახაკი შენს სულს, გულის თქმისა და ცოდვის მხურვალეებისაგან დაცემულს, განკურნებს და აღადგინებს. **ტობია** მკუდარს მსახურებდა, რომ დამარხვიდა,— და **ანგელოზისა** მიერ სიბრმისაგან განიკურნა; ეგრეთჲს შენ მსახურე მკუდრის მსგავსს მდებარის გლახაკის გვამს და ფულის ნაცვლად განსასტანებელსა აღგიღსა შინა დასდევ, რომ **ტობიას** მსგავსად ღიღისა მამისა ზრახვისა **ანგელოზმან** ძრისტემან **ლმერთმან** ცოდვით დაბნელებული თვალი გონებისა შენისა განგინათლოს. **ანუ** მიემსგავსე **იოსებს** და **ნიკოდიმოსს**, და ვითარცა მათ მხრითა იტვირთეს ძრისტე, ეგრეთჲს შენ მდებარე გლახაკი იტვირთე მხრითა და დასდევ განსასტანებელსა შენსა ზედა. **თუ** სხვამ გისწროს და წაიყვანოს, აქ მაგდანელელის მარიამის საქმე უნდა აჩუქნო: როგორც ის ცრემლეობდა, ეძიებდა და იტყოდა: „ალიღეს უფალი ჩემი საფლავისაგან და არა უწყი სადა დასდევს იგი“; ესე შენ ცრემლით მდებარე გლახაკს უნდა ეძიებდე და იტყოდე: „ალიღეს უფალი ჩემი აღგიღისაგან და არა უწყი სადა დასდევს იგი“! **თუ** ასე მიემსგავსები **მარიამს** მაგდანელელსა, როგორც მისგან შეიღი ეშმაკი განვიდა, ეგრეთვე შენგან შეიღი მომაკვდინებელი ცოდუა განვალს და უჩინო იქმნება მოწყალებით და ცრემლით გლახაკის ძიებისათვის. **ანუ** უფლისა და **ლეთისა** შენისა მსგავსება მიიღე; თუ ვითარ—ესთქუათ: **უფალმან** **იოსომ** კაცთა ცხოვრება რომ ინება, საცხოვრებელად კაცთა სიმდაბლის სახე თვით მიიღო და ისე მოგვცა სიმდაბლის სახე სწავებად ჩუქნდა; თვით არდაგი მოირტყა, წყალი შთაასხა საბანელსა და იპყრა, თვისთა მონათა მსახურება აჩუქნა, და ფერხნი სიმდაბლით დაბანნა. **პეტრე** მოციქულმან მოახსენა: „არა დამბანნე ფერხნი ჩემნი უკუნისამდე!—**ტკბილმან** **იოსომ** ეს უბრძანა: „უკეთუ არა დაგბანნე ფერხნი, არა გაქუნ-

დეს ნაწილი ჩემთანა!“ აგრევე შენ, საყვარელო, ძრისტეს მსგავსად სიმდაბლის არდაგი მოირტყი, თუ შენი ცხოვრება გნებავს გლახაკთა და მონათა მიმართ სიმდაბლისა და მსახურებისა სახე აჩუქნე, თვით შენის კელით ჰმსახურე. **მ**უ პეტრეს მსგავსად ვინმე გითხრას: „არა მსახურო მე“, — შენ ასე უთხარ: „უკეთუ არა გმსახურო, არა მექონების ნაწილი ძრისტესთანა“, ნაცულად სიტყვისა ამის: „უკეთუ არა დაგბანე ფერხნი, არა გაქტნდეს ნაწილი ჩემთანა“; და როდესაც მიგიშვას მსახურებად, ვითარცა პეტრემან ძრისტე ფერხთა დაბანად, მაშინ ძრისტესებრ სიმდაბლით აღასრულე მსახურება მონათა და გლახაკთა, რათა ძრისტემანცა მოგაგოს ნაცვალნი მოწყალება, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი **IV**. განმკითხველოებისათვის.

ბრძანებს უფალი ღმერთი პირითა მოციქულისათა: „შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ სხვისა მონასა?“ მონა ორგუჲართ ითქმის — ერთი ხორციელი მონა, როგორც მონებენ მეფეთა, მთავართა და სხუათაცა, და სრული ჯეროვნება ეს არის, მონა თავის უფლის მორჩილებას უნდა ჰყოფდეს კეთილთა საქმეთა ზედა, ვითარცა იტყვის მოციქული პეტრე: „დაემორჩილენით უფალთა თქუქნთა“; მეორედ სულიერებრივი მონა,

ვითარცა სამწყსო მონა არის თვისისა მწყემსისა და მოწაფე მოძღვრისა თვისისა. ამათ სულიერთაცა მონათა მორჩილებად აწვევს მოციქული და ეტყვის: „და ერჩლით წინამძღვართა თქუანთა, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუანთათვის“. ჩუან სულიერებრივის მონის განმკითხულობაზედ ვიმეტყუალოთ, ამისთვის რომ მოციქულნი უმეტესად სულიერად გვასწავებენ, ვითარცა იტყვის პავლე: „უკეთუ ჩუან სულიერი დაეთესეთ თქუან შორის“. რადგან ისინი სულიერად ჰსთესუან, ჩუანც სულიერებრივს გამოძიებას შევეუდგეთ. მოციქულის სიტყუა ასე აცხადებს: დიდმან თუ მცირემან არაინ უნდა განიკითხოს სხვისი მონა. მოციქულს ეს არ უთქუამს: ამან ვინმე განიკითხოს სხვისი მონა, და იგი ნუ განიკითხავს. „შენ ვინ ხახ, რომელი განიკითხავ სხვისა მონასა?“ მსრედ სთქუა, და ეს ნაცვალ-სახელი „შენ“ ყოველსავეზედ ითქმის, დიდსა და მცირესა ზედა; ითქმის ლმერთსა ზედა, ვითარ იგი ხმაზს ღვით ღვთისა მიმართ: „შენ თავადი იგივე ხარ“; ითქმის მეფეზედ, ვითარ იგი იტყვის ღანიელ: „შენ, მეფე, ხედველ“; ითქმის სხუათა კაცთა ზედა, ვითარ იგი პეტრეს ჰრქუა. ძრისტემან: „შენ ხარ კლდე“. რადგან ეს სახელი „შენ“ ყოველს აიტყვიერს განუკუთმელზედ მოიღება, მოციქული სიტყვისა ამის თქმითა: „შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ სხვისა მონასა“ — ყოველსავე კაცს აყენებს სხვისის მონის განკითხვისაგან; არათუ თავის თავად აყენებს მოციქული, თვთ იცხლსო მიერ სწავება მიუღია: „მამამან ყოველი სასჯელი მოსცა ძესა“. აწ რომელიც ძესა ღვთისასა განსჯასა და განსამართლებასა იძულებით ართმევს და სხვის მონას განიკითხავს, მისდა მიმართ სიტყუა ვჰყოთ. მაგრამ ჯერ განრჩევით ნუ ვიმეტყუვლებთ, თუ რომელი განიკითხავს, ისე განურჩეველად ვიმეტყუვლოთ.

საყვარელო, ლმერთი გაყენებს სხვისის მონის განკითხვისაგან და გობრძანებს: „ჩემი არს შურის გება, და შე მიუვაო. მათ“; მოციქული გაყენებს: „შენ ვინ ხარ, რომელი განიკით-

ხავ?“ უნდა ესცნათ: თუ ცოდვის გამოძიება გნებავს,—აქ დიდს. ცთომასა და უგუნურებაშიდ ხარ; შენ ცოდვას რად გამოეძიებ? რად გამოეძიებ? რა მისაგებელი შეგიძლია? ცოდვისათვის ჯოჯოხეთს ვერ მისცემ და ვერ ეტყვი: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა“; უცოდველობისათვის სასუფეველს ვერ მისცემ და ვერ ეტყვი: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო“; და თუ მაშინც ცოდვის გამოძიება გსურის, რასათვის შენს ცოდუას არ გამოიძიებ? თუ იტყვი: ცოდუა არა გაქტს, აქ კიდევ ცთომაში ხარ, ვითარცა იტყვის დიდი იოანე ლეთის-მეტყველი და მახარებელი თვისთა კათოლიკეთა შინა: „უკეთუ ვთსქათათ, ცოდუა არა გვაქტს, თავთა თვისთა ვაცთუნებთ და ჭეშმარიტება არა არს ჩტცნთანა!“ ღა რასათვის შენს ცოდვას არ გამოიძიებ? რასათვის თავის თავს არ განიკითხავ? შენ სნეული ხარ და სხვის სნეულებას ჰკვირობ! რასათვის სასჯელს თავს იდებ სხვისის ცოდვის გამოძიებისას? მსეოდენი სასჯელი შეუდგება: მიმოსლტა უწესო და უჯგერო, კითხუა შეუშგავსებელი, რისხუა ყოვლად უჯგერო, მხილება შურითა აღსავსე; ესენი ხორცისაც სამწუხარო არიან და სულისა საუკუნოდ წარმწყმედელ. თუ გნებავს ცოდვის გამოძიება, შენი ცოდუა გამოიძიე და გამოიკითხე; განაქიქე შენი თავი, თუ გნებავს რისხვა მიაგე შენს თავს. მნებავს გამოცხადება, თუ რასათვის უნდა ჰყო ესე?—ამისთვის: სხვისი განკითხუა და ცოდვის გამოძიება საუკუნო წარსაწყმედელს მიცემს, ვითარცა ფარისეველი მეზვერის განკითხვისათვის დაისაჯა და წარსწყმდა. ღა თავის-თავს ვინც განიკითხავს, საუკუნო ცხოვრებას მიიღებს და რისხვის განკითხვისაგან განერება, ვითარცა მეზვერე განიკითხვიდა თავის თავს და სცხონდა და განერა რისხვის განკითხვისაგან; რომელსა მოციქული ჩტცნცა ცხადად გვიმტკიცებს და გვეტყვის: „უკეთუ თავთა თვისთა განვიკითხევდით, არამცა განვიკითხენით“. საყვარელო, თუ ლეთის მორჩილი ხარ, ლმერთმან ასე გიბრძანა: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“. თუ ურჩი ხარ, ეს საშინელი რისხვა

შიგელის, რომელსა იტყვის მოციქული: „ურჩთა ჭეშმარიტებისათა და მორჩილთა სიკრუვისათა რისხვა და გულის-წყრომა!“ მგების ამას ვინმე ჰფიქრობდეს: იგი ვინმე უფროს ცოდვის მოქმედი არის ჩემგან, და ამისთვის განკითხვასა ჰყოფდეს? — მსე ცთომილება არის. **თუ** ვითარ—თვით მოციქული მოვილო დასამტკიცებელ მაგალითად. იუდას პეტრესაგან უდიდესი შეცოდება აქტნდა, მაგრამ პეტრე იუდას არ განიკითხვიდა თვით თავისის ცოდვისათვის სტიროდა, ვითარცა იტყვის **იოანე მახარებელი**: „გამოვიდა გარე და სტიროდა მწარედ“, ეგრეთჲც შენ სხვას ნუ განიკითხავ, უფროსად შენის ცოდვისათვის სკრემლეობდეს, ვითარცა გამცნებს **იერემია**: „ჰყავ თავისა შენისა გოდება მწარე“. **თუ** არა რაიმეს შეისმენ და კიდევ სხვის განკითხვასა ჰყოფ, ჯეროანი არის, მოციქულის სიტყუა შენზედ ასრე ითქვას: „შენ ვინ ხარ ესრედ ცთომილი და უგუნური, რომელიც, თვით ცოდუასა შინა მყოფი, სხვის მონის ცოდუას გამოეძიებ და განიკითხავ?“

აწ სახელი ვსთქუათ თითოეულის და ისევ საზოგადოდ ვიმეტყველოთ სხვის მონის განმკითხუტლობისათვის. მაგრამ რადგან საზოგადოდ გუნებავს მეტყველება, ისე საზოგადო სახელით ვახსენოთ თითოეული. სამღტდელოთაგანი ვინმე, თუ საეროთაგანი რომელიც სხვის მონას განიკითხავ, ყოვლითურთ ცთომილებასა და წარსაწყმედელსა უგუნურებაში ხარ. **თუ** ვითარ—საღმრთო მაგალითით გამოვაცხადოთ. საყვარელო, განკითხუა მისგან არის ჯეროვანი, რომელიც მცნებას მისცემს კანონისაებრ, ამას და ესე ვითარსა საქმესა ნუ ჰყოფ, ვითარცა **ღმერთმან ადამს** მცნება მისცა და ჰრქუა: „ყოველისაგან ხისა სამოთხისა სკამო, ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სკამო“. **ადამმან** ეს მცნება ვერ დაიმარხა, დაყენებულს ჰამადს შეეხო და ჰამა; ამისთვის მცნების მომცემელმან **ღმერთმან**, გამოიძია ადამის ცთომა და უბრძანა: „ართუ ხისა მის რომლისა გამცენ არა ჰამა და მისგან სჰამე“. **და** შენ რომ სხვის ცოდუას გამოეძიებ, შენგან როდეს ჰქონ-

და მას ეს მცნება მიცემული: არა კაც ჰკლა, არა იმრუშო,—
ეს მცნება ლმერთმან მისცა და შენ არ მიგიცია, და შენ რათ
გამოიკითხავ? ჭეშმარიტად სათქმელი არის აქ შეუფისა ძრის-
ტეს სიტყვა: „მიზეზი არა აქტს ცოდუათა მათა“, (ესე იგი
სხვისა განმკითხველობათათვის). ორი საქმე განმკითხველობას
თანა აქტს: ერთი შეცოდებულთათვის პატივი; და მეორე უბრა-
ლოთათვის ნიჭი წყალობისა, ვითარ იგი ჰყო ლმერთმან: შე-
ცოდებული ძენ დასაჯა და უბრალო აბელ აცხოვნა. შენ
ვერც შეცოდებულს ჯოჯოხეთად შთაიყვანებ, ვერც უბრალოს
სასუფეველად აღიყვანებ; შენდა მომართ არ არის ეს თქმული.
„შთაიყვანებს ჯოჯოხეთად და აღმოიყვანებს“.—მს ლეთისა
მიმართ არის თქმული, მას შეემსგავსება, და არა შენ. რა გაქტს
არ გაკითხვისა მიზეზი?—ჭეშმარიტად არა რაჲ.—მგების სთქუას
ვინმე: მღვდელთ-მთავარს ძრისტემან მისცა შეკვრა და განხსნა
ამით სიტყვითა: „რომელი შეჰკრა ქრსტყანასა ზედა, კრულ
იყოს იგი ცათა შინა, და რომელი განხსნა ქრსტყანასა ზედა,
ხსნილ იყოს იგი ცათა შინა, და რომლისაც ჰნებაეს—შთაი-
ყვანებს ჯოჯოხეთად და აღმოიყვანებს“. აქ ამას გეტყვი: თვის-
თა სამწყსოთა ზედა აქტს კელმწიფება და არა სხვისა სამწყსო-
სა ზედა, ვითარცა არს განწესებულ კანონსა შინა სჯულისა-
სა. ღა თუ ამას იტყვი, კურნება გნებაეს მისი, და მისთვის
გამოეძიებ სხვის ცოდუას,—აქ ორი რამ მაქტს სათქმელი: ერ-
თი ესე, რომელიც შენდა რწმუნებულ იყოს ის კურნე, თო-
რემ რომელიც შენდა რწმუნებული არ იყოს, ის წყლულება-
ში იყოს და შენ სხუას ჰკურნებდე, კურნების მეცნიერების
შესამსგავსი არ არის. ამისი დასამტკიცებელი მაგალითი მოვი-
ლოთ: რომელია ტალანტი მიეცა განსამრავლებელად, თავისი
განამრავლა განსამრავლებელმან ვინმე და არა სხვისი: ეგრეთჲც
შენდა რწმუნებული ჰკურნე, და ნუ სხვისა მონასა განიკით-
ხავ და ნუცა განიკითხვით და განქიქებით ჰკურნებ. თუ ამას
არ ირწმუნებ და განმკითხველობისაგან არ დასცხრები, მეო-
რედ თქმას დავსძინებ და გეტყვი: „მკურნალო, განიკურნე თა-

ვი შენი.“ **თ**ვით უფალი **ი**სსო **ქ**რისტე გიბრძანებს დამტკიცებით: „რასა ჰხედავ წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა და დვირესა თვალსა შინა შენსა არა განიცდი; ორგულო, აღმოიღე ჰირველად დვირე თვალისაგან შენისა და მაშინ იხილო აღმოღებად წველი თვალისაგან ძმისა შენისა“. **და** თუ არც **ქ**რისტეს სიტყვისაგან შეიკდიმებ და კიდევ განიკითხავ ვისმე,—განმკითხებლობა **ქ**რისტესი არის, და განმკითხებლობით **ქ**რისტეს მსგავსება რომ გნებავს, სხვითა რითა ხარ მსგავსი, მიჩუტნე! **რო**მელი სიმდაბლე მიიღე ცოდვილთ ცხოვრებისათვის? **რო**მელი წყლულება და სიკუდილი თავს იღევ ცოდვილთათვის? **მ**სე ყოველი ცოდვილთათვის **ქ**რისტემან მიითვალა, ვითარცა ხმობს წინასწარმეტყველი: „იგი იწყლა ცოდუთა ჩუტნათვის და იგვემა უსჯულოებათა ჩუტნათვის“. **შ**ენ არც ერთისა ამათგანისა გემო გიხილავს და მხოლოდ განკითხვა სხვისა გნებავს. **ს**ხვისი განკითხვა რომ გნებავს, მიჩუტნე, რომელი განკითხვის საყდარი გაქტს? **ა**ნუ თუ უსხეულოთა დასნი დგანან წინაშე შენსა? **ა**ნუ თუ ბევრნი ბევრთა უსხეულოთანი გამსახურებენ? **ა**ნუ თუ მდინარე ცეცხლისა სდის შენ წინაშე? **ა**ნუ თუ დაფარულნი გულის სიტყუანი განგეცხადებიან? **ჰ**სჩანს, რამეთუ არცა ერთი ამათგანი იპოების შენთანა! **ს**ამართალი არის, რომ არცა განკითხვა სხვისა მონისა იყოს შენთანა. **რ**ადგან ესეოდენი მაყენებელი მიზეზი აქტს სხვის მონის გამკითხებლობას, მიზეზი რა არის, რომ არ დასცხრები სხვისა განმკითხებლობისაგან?—**მ**ს უეჭველი არის, მიზეზად სიძული სდგას შენ შორის და მისი განქიქება გნებავს, მაგრამ ვერ განაქიქებ, უფროსად ქებულ ჰყოფ. **თ**უ ვითარ—მაგალითით ვაჩუტნოთ: **შ**არისევდემან მეზვერე განიკითხა და ცოდვა ამხილა, მაგრამ ფარისეველი უფროსად სირცხვილეულ იქმნა, დაისაჯა და წარსწყდა; **მ**ეზვერე უმეტესად ქებულ-იქმნა, რამეთუ განმართლდა და სცხონდა. **მ**გრეთუც შენ, სხვისი განმკითხებლი, უმეტესად სირცხვილეულ იქმნები, რამეთუ წარსწყმდები, შენ მიერ განკითხული უმეტესად ქებული შეიქმნე-

ბა, ამისთვის რომ შენი განკითხვა, თუ სიმდაბლით მიითვალა, საუკუნო ცხოვრებას მიიღებს.— ამას კეთილის განსამართლებით მიხედვე; რომელსაც შენ განიკითხავ და განაქიქებ— წარმავალს და განსახრწნელს სოფლის დიდებას დააკლებ, ეგების შენის მხილების მიზეზით მოიძულოს ვინმე, მაგრამ ნაცვლად ამისა საუკუნო დიდებას მიიღებს. **თუ** ვითარ— ვსთქვათ: რომელსაც შენ წარმავალს სოფელში განიკითხავ, მას **ჰრისტე** აღარ განიკითხავს. **ჰრისტეს** მიერის საქმით ვაჩუქნოთ: **ჰრისტეს** მიერის საქმით ვაჩუქნოთ: **ჰრისტეს** დედაკაცი მოგზარეს და მოახსენეს: „**მე** დედაკაცი ცხადად მრუშებას დაეპყრა, და **მოსე** ამ გვარისათვის ქვის დაკრებას ბრძანებდა, და შენ რას იტყვი?“ **ჰრისტემ**ან დედაკაცს არა უბრძანა რა, სხვათა უბრძანა: — „**ვინ** უცოდველი იყო, პირველად მან დაჰკრიბენ ქვა“. **უცოდველად** თავის თავი ვერვინ იხილა, და თითოეული წარვიდა. **ჰრისტემ**ან დედაკაცს უბრძანა: „**არცა** მე განგიკითხო“. მიხედვე: სხვისაგან განკითხული **ჰრისტემ**ან არღარ განიკითხა. **მგრეთჳს** შენ მიერ განკითხულს **ჰრისტე** არ განიკითხავს. **ახლა** აქ მიხედვე, შენ ჟამიერსა და წარმავალს სოფელში გნებავს მისი სირცხვილეულება და საუკუნო სირცხვილისაგან ხსნილად და განთავისუფლებულად ჰყოფ, და შენ კი საუკუნოდ სირცხვილეულ იქმნები, ვითარცა სხვისი განმკითხტლი ფარისეველი საუკუნოდ სირცხვილეულ იქმნა. **შენ** ერთის ვისმე მცირის მეფისა და ერის წინაშე სირცხვილეულ ჰყოფ, — და ყოველთა მეუფისა და **ღვთისა** **ჰრისტეს** წინაშე და **ანგელოსთა** მისთა და ყოველთა წმიდათა სირცხვილეულისაგან თავისუფალ ჰყოფ, და ნაცვლად მისსა საუკუნოთა სირცხვილითა შორს დაისაჯები.

ზემო წასრულს სიტყვაწმით ითქვა: განსჯა და განსამართლება საუკუნოსა მამისა ძისა **ღვთისა** არს, და რადგან მას ჰბაძავ და ცოდვისათვის სხტას განიკითხავ, — ძემან **ღვთისამან** შეცოდებულთათვის პირველ სიტკბოება ჰყო, და შენ სიმწარით განკითხტას ჰყოფ. ეს ძისა **ღვთისა** მსგავსება არ არის! რად-

გან განკითხვით ემსგავსები და ცოდვილთ განიკითხავ, მოწყალეებითაც მას უნდა მიემსგავსო, და შეცოდებულს სიტკბოება უნდა აჩვენო პირველად—**ძე** ლეთისა ასრე ჰყოფს; და თუ ვითარ—ძველის წერილიდამ ვაჩუბნოთ. შეცოდებულს ადამს პირველად სიტკბოებით ეზრახა და ჰრქვა: „ადამ, ადამ, სადა ხარ?“ **ბე** რომელი სიმწარე და რისხუა ჰსჩანს, მიჩუბნე! ძაენს პირველ სიტკბოებით ეზრახა და ჰრქვა: „ძაენ, სადა არს აბელ, ძმა იგი შენი?“ **ბე**აც მიჩუბნე, რომელი სიმწარე და რისხუა ჰსჩანს?—**ჯერ** არა რამე სიმწარე ჰსჩანს: პირველად ლეთისაგან სიტკბოებით უბნობა არის, და შენ პირველად სიტკბოებისა, აფსინდისა და ნაღვლისაგან უმწარეს განკითხუასა და განქიქებასა ჰყოფ, —ეს ლეთის-მსგავსება არ არის! მსეც კეშმარტი არის: ლმერთმან რისხვაც უწყის, ვითარცა ადამს შერისხნა და ჰრქვა: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც“. მაგრამ უსაზღვრო მოწყალეობაც აქვს, ვითარცა ადამ უსაზღვროს მოწყალეებისაგან შეიწყალა და ქუბსენელით ჯოჯოხეთით აღმოიყვანა. **მრთავე** დაამტკიცებს ლავით და იტყვის: „შემრისხენ და შემიწყალენ ჩუბნ! შენ მხოლო განკითხვის რისხუა და სიმწარე მოგაქვს, და შეწყალება არა სადა! თუ შეწყალება გენებებოდეს, საეროდ არ განაქიქებ და არც განიკითხავ; და რადგან საეროდ განქიქება გნებავს, ეს ძრისტეს ლეთისა მსგავსება არ არის. შენი მოძღუარი და უფალი **მსსო** ასე გამცნებს: „რაჟამს შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, უთხარ, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვენთ მარტონი; უკეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმა იგი შენი, და უკეთუ არა ისმინოს შენი, მიიყვანე შენთანა ერთი, ანუ ორი სხუა, და უკეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა შორის“. შენ არცა მხოლოდ, არცა ორთათანა ეტყვი—უპირველესად საეროდ განიკითხავ და განაქიქებ; **ბე** ძრისტეს მცნებისაგან გარეშე ხარ. **ლა** რადგან მისის მცნებისაგან გარეშე ხარ და არა იმარხავ, მისის სიყვარულისაგანაც გარე იქმნები, ამას თვით ძრისტე გიბრძანებს: „რომელსა ვუყვარდე მე—მცნებანი ჩემნი დაიმარხენინ“. საყვარელო,

კიდევ გიჩტნო, რომ ძრისტე სიტკბოებით მიხედავს ცოდვილს: პეტრე მოციქულმან რომ ჰსცოდა, ძრისტემან სიტკბოებით მიხედა, ვითარცა იტყვის ლვთის-მეტყველი და მახარებელი იოანე: „მიხედა იცსომ პეტრეს“. შენ არა მიხედავ, ზურგ უკუნ ქცევით ძმისათვის ძვირს ზრახავ და განიკითხავ— ესეც ძრისტეს მოწაფეობისაგან შორს არის, ამისთვის, რომ ის ასე გამცნებს: „ნუ განიკითხავთ“. ძიდევ სხტა მაგალითი მოვილოთ: იუდასგან უდიდესი მცოდტპლი ვინ უნდა იქმნას, მაგრამ ძრისტემან საეროთ არ განაქიქა; იდუმალ ერთგულს იოანეს უთხრა: „რომელსა დავაწო პური და მივსცე, იგი არს მიმცემელი ჩემი“. შენ ერთის ვისმეს შეცოდებას არა თუ საიდუმლოთ ვისმე უთხრობ, განცხადებულად ყოველთა შორის ჰქადაგებ! ძრისტემან მცოდველს იუდას ხორცი და სისხლი თვისი უშურველად მისცა; შენ მცოდველს კიცხვას და ბასრობას მისცემ და სხტას არა რადმესა! ამათ მიზეზთათვის, შორს ხარ ძრისტეს მოწაფეობისაგან და მსგავსებისაგან. ამისთვის შორს ხარ: ძრისტე თვისთა მოწაფეთა ასე უბრძანებს— „ესრეთ ჰყოფდით, ვითარცა იხილეთ“. შენ ვითარცა ძრისტესგან ცოდვილზედ სიტკბოება გიხილავს, ისრე არა ჰყოფ, განკითხვით სხტასა და ჰყტდრებასა ჰყოფ; ამისთვის მისის მოწაფეობისაგანაც შორს ხარ; ჩემგან საკრძალველი არის ეს სიტყუა, მაგრამ მაშინც უნდა განვაცხადო ამისთვის: მოციქული ასე იტყვის: „უკეთუ კაცთა სათნო ვეყოფვოდე, ძრისტეს მონამცა არა ვიყავ“. სხვის მონის განმკითხტპლს ვერ სათნო გეყოფვი! პრათუ ძრისტეს მოწაფე და მსგავსი—უფროსად ეშმაკის მსგავსი ხარ: ეშმაკსაც სირცხვილეულება და ტანჯვა ნებავეს კაცის, შენც განმკითხტპლობით სირცხვილეულება და ტანჯტა გნებავეს კაცისა. თუ ძრისტეს მოწაფე ხარ—ცოდვისაგან დაწყლულებულს სიტკბობისა, სიმშვიდისა და მოწყალების სიტყუა უნდა დაასხა, ამისთვის რომ შენმან მოძტუარმან და შტალმან იცსო ავაზაკთაგან წყლულს არა თუ ყვედრება და მხილება—უფროსად ზეთი და ღვინო სიტკბოებისა დაასხა. შენ ყვედრე-


ბას და მხილებას დაასხამ ცოდვისაგან წყლულს! ამ გვარის საქმისაგან ძრისტეს მოწაფეობა არა ჰსჩანს! ზესმის უკვეშმარიტესისა მახარებელისა თქმა, თუ რასა ხმობს ძრისტესთვის: „იგი თავადი ტკბილ არს უმადლოთათვისცა და უკეთურთა“: ის თავადი—შუალი—ცოდვილთათვის ტკბილი არის, შენ სიმწარით განმკითხჳსლი ხარ! სადა ჰსჩანს შენი ძრისტეს მოწაფეობა? საკვირველი ეს არის: რომელიც განმკითხჳსლი არის და რომელმანც ცოდვილთათვის ურიცხვი სატანჯველი თავს იღვა და რომელიც შუალი და მეთუფე არის, ის გობრძანებს: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“.—შენ განიკითხავ და აყვედრებ! მაგრამ მიზეზი რა გაქტს სხვის მონის განკითხვისა?—მიზეზი წარმოუჩინელი არის.

საყვარლო! თუ კეთილის გულის-ხმის ყოფით მიხედავ, განსაკრთომელი ვნება შეუდგება სხვის მონის განმკითხჳსლობას. თუ ვითარ—ვაჩტანოთ: პირველად ეს საშინელი და შესაძრწუნებელი ვნება შეუდგება,—საუკუნოს ცხოვრებას ვერ მიიღებს, ვითარცა მეზვერეს განმკითხჳსლმან ფარისევლმან ცხოვრება ვერ მიიღო და დაისაჯა; მეორედ ეს შეუდგება: რომელიც სხვის მონას განიკითხავს, მის წინაშე ძრისტეს განკითხვის მოშიშება არა გაქტს! თუ მისი მოშიშება აქტნდეს, ძრისტე რომ უბრძანებს: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“,—მცნებასა ამას დაიმარხავს. ღა რადგან ამას მცნებასა არ იმარხავს და სხვის მონას განიკითხავს, ჰსჩანს, რომ წინაშე ძრისტესა განკითხვის მოშიშება არა აქტს.—მესამედ ეს შეუდგება: რომელიც სხვის მონას განიკითხავს, მას თავისის ცოდვის სინანული და მიტევება არა ჰნებაავს; თუ თავისი ცოდვის სინანული და მიტევება სწალოდეს, ძრისტე რომ უბრძანებს: „მიუტევეთ და მოგეტევინენ“—ამას დაიმარხავს. რადგან არ იმარხავს ამას მცნებასა და არ მიუტევებს, უფროსად განიკითხავს და აყვედრებს, ცხადი რამ არის—თავისის ცოდვის სინანული და მოტევება არა ჰნებაავს. ამას ამტკიცებს შუალი იოსო: „უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდე-

ბანი მათნი, არცა თქტან მოგიტევნეს მამამან თქტანმან ზე-
ცათამან“. რაც ზემო ვნება და განწირულება ვსთქვით, ამისი
შიში შემიპყრობს, ამათ იუდის მსგავსი შიშთვილება არ შეუ-
დგეს! საკვირველმან ცოდვის სიდიდემ იუდა გონებისაგან ასე
განიყვანა,—თავის თავი თვითონ მოაშთო. აქაც საშიში არის:
სხვისის განმკითხველბობის ვნების სიმრავლემ ერთი ვინმე გო-
ნებისაგან არ განიყვანოს და იუდასებრ შიშთვილი არ ჰყოს!
მე ვსე მძიმედ ვხედავ განმკითხველბობის ბრალს, თქტან რო-
გორ განსჯით, ის არ ვუწყი. მოვიდეთ მაკადონებელს განმკი-
თხველბობას ასეთი კვლოვნობა დაერთოთ—საცხოვრებელი
შეიქმნეს: თუ ჩტანს თავზედ მოვაქცევთ განკითხვას, მაშინ
სწორებით ცხოვრების მომკემი იქმნება, ვითარცა მოციქული
იტყვის: „უკეთუ თავთა თვისთა განვიკითხვიდეთ, არამცა გან-
ვიკითხვინთ“. საყვარელო! რადგან გსურის განკითხვა და სირ-
ცხვილეულება სხვისა, ესენი თავის თავზედ ამოქმედე: განი-
კითხე შენი თავი და იძიე მისგან, თუ ცოდვის მიზეზი რა
აქტნდა? თუ ცოდვის მოქმედების მიზეზების მოღება დაივიწყ-
ყოს, ცრუ და ამოა ჰყავ ძრისტეს-სიტყვისა მიერ მისი მიზე-
ზების მოღება და აღუხსენე ეს სიტყვა: „მიზეზი არა აქტს ცო-
დვათა მათთა“. თუ არ ირწმუნოს ეს და ნივთიურება გიჩტან-
ნოს და გრქტას: „არავინ არს უცოდველ გარნა მხოლო ლმერ-
თი“,—შენ არცხვინე და არქტ: თუ ვითარცა კაცმან ჰსცოდე
და ცოდვის წყლულება მიიღე, რასათვის მკურნალს ძრისტე-
სთან არ მიისწრაჲე? რასათვის მისგან კურნება არ მიიღე? მის-
და მისრულს არვის განაქებს, ყოველთა უშურველად ჰკურ-
ნებს. ამავებს რომ წინაუყოფ შენ თავს და ეტყვი,—ნაცვალი
ჰემმარიტების პასუხი მისგან შეუძლო შეიქმნება. სხვის გან-
მკითხველობისათვის არქტ შენს თავს: თვით წყლულებასა და
ცოდვის სიმყრალეში მყოფი სხვისას რად ეძიებ? რასათვის არ
მოიხსენებ სიტყვასა ამას: „მკურნალო, განიკურნე თავი შენი“.
თუ ეს არ გისმინოს, რომელიც მოსესს მიმართ სიტყვა ითქვა
ისრაელისაგან, ის არქტ: „ვინ დავადგინა შენ მთავრად და

მსაჯულად?“ შესამსგავსი არის ეს სიტყვა შენის თავისა მიმართ, — „ანუ არა ჩემიკა მოკლუა სულითა გნებავეს, ვითარცა მოჰკალ გუშინ კორციითა შენ მიერ განკითხული?“ შინ უწყის, როგორც ამ სიტყვისაგან მოსე მგობრით ივლტოდა, აგრეთჲც თავი შენი განკითხვის ვნებისაგან ივლტოდეს ესევეითარის სიტყვისათვის. აქ ერთი რამ კიდევ სათქმელი მაქტეს და უნდა მოგახსენო. მოშიშება მაქტეს, ეგების შენ შენს თავს ჰრიდო, და როგორც მე მოგახსენე, ისე არ განიკითხო და არც სირცხვილეულ ჰყო; ამის მიზეზისათვის ჩემმან უღირსებამან კიდევ უნდა გამხილოს და მოგახსენოს: ანტექრისტეს მიგამსგავსებს სხვისის მონის გამკითხულობა: ისიც იძულებით და ბოროტად მიიზიდავს ჰრისტეს საქმესა, და შენც იძულებით და ბოროტად მიიზიდავ ჰრისტეს საქმეს, ესე იგი განმკითხულობას. ანტექრისტესთვის ჰრისტე უფალი ბრძანებს: „მრავალნი მოვიდოდნიან სახელითა ჩემითა და იტყოდენ, ვითარმედ მე ვარ ჰრისტე, და მრავალთა აცთუნებდენ“. შენ ამგვარის მაცთუნებლობისაგან შორს გაყენებს და გიბრძანებს: „ნუ განიკითხავთ“. არა რაჲმე აკლია თქმისა ამას: ანტექრისტესებრ ჰრისტეობას ნუ მიიზიდავთ. და მოციქული კვალად განმხილებს და გეტყვის: „შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ სხვისა მონასა?“ თუ არ შეიძლება, და ჰრისტეს მსგავსად განმკითხულობასა ჰყოფ, მიიჭნენ სხუა რომელი მსგავსება მოგაქტეს ჰრისტესი? რომელსა ქარსა და ზღუასა შერისხენ და დაყუდნა? რომელი განხმელი ხელი განკურნე? რომელი განრღუპული ცხედარსა ზედა მდებარე აღადგინე? ამათგანი არცა ერთი გიქმნიეს, არცა ძალ-გიძს. რადგან ესენი არა ძალ-გიძს, თუ ყოველითურთ ჰეშმარიტებისაგან არ განხვალ, სამართლად არც სხვისი მონის განკითხვა ძალ-გიძს; და თუ ინებებ, განკითხვის ძალსაც მიიღებ და ჰრისტეს მიერ აღსრულებულს საკვირველებასაც აღასრულებ. თუ ვითარ—ესთქუათ: განკითხვის ძალი ასე მიიღებ როგორც ზემო ესთქუე, ისე შენი თავი განიკითხე და დასაჯე: შენს თავზედ შემქლებლობა გაქტეს განკითხვისა, და თუ შენს

შენის ცოდვისათვის განიკითხავ, ძრისტესაგან ქმნილს სასწაულსაც აღასრულებ. საღმრთოს მადლის შეწევნით უბრძანებ შენშორისსა ცოდვისა ქარსა და ლელვისა და დაცუდნებ; უბრძანებ შენს ხელს მოღვაწებისათვის განხმელს და განირთხამ ღვთის-მსახურებისა და მოღვაწებისათვის: უბრძანებ თვითა შენს თავს უდებებისა და მკონარებისა ცხედარსა ზედა მსგავსად განრღუტულისა მდებარეს. ეტყვი: აღსდგე და აღიღე ცხედარი შენი“—აღსდგები და აღიღებ მკონარებისა და უდებებისა ცხედარსა და წარბუალ სახიდ შენდა—ეკლესიად, და მროელ იქმნები სულით და ხორციით აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 18. მღვდელთმსახურის.

ბრძანებს უფალი ჰირითა მოსე წინასწარმეტყველისათა: „იყოს თუ ვისთანამე ბიწი, ნუ მოვალ შესაწირავად მსხვერპლისა ღვთისა მისისა“. მსე სიტყვა ასე არ მიიხედვება: თუ ვისმე კოდუა ექმნას მსხვერპლის შესაწირავად ნუ მოვალნ. ასე მიხედვა—კაცთა შორის მღუდღელობას აღზოცს, ამისთვის რომ კაცთა შორის უკოდველი ვინ იპოვება? მტკიცედ თქმული არის: „არავინ უკოდველი, გარნა მხოლო ღმერთი :“მავრამ

ეს სიტყვა ასე უნდა გულის-ხმა ვკყოთ. ბიწი ცოდვისა ორად გულის-კმის საყოფელი არის. მრთად ბიწი ცოდვისა არის ყოვლად მძიმე, რომელსა შინა მყოფი მღვდელობად და შემწირველობად ვერღარა მოვალს, და თუ იძულებით მოსლჳას იკადრებს, დაისჯება, ვითარცა ნადაბ და აბიულ დაისაჯნენ და ცეცხლითა დაიწვნენ. მსევითარისა მძიმისა ცოდვისათვის ბრძანებს შუალი: „იყოს თუ ვისთანამე ბიწი, ნუ მოვალნ შესწირვად მსხვერპლისა ლეთისა მისისა“. მეორედ ბიწი ცოდვისა არის არა ეგოდენ მძიმე, ვითარცა ზემო ვაქტ; და მას შინა შთავრდომილი სინანულითა კვალად მოვალს მღვდელობად და შემწირველობად, როგორც პეტრე შთავარდა ცოდუაში, მაგრამ სინანულითა ისევ მღვდელობად მოვიდა, და ძრისტეს ცხოვრების მწყსა ერწმუნა, ვითარცა პრქა ძრისტემან: „დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი“. ამის მეორისა ცოდვისა მსგავსათვის იტყვის შუალი: „იყოს თუ ვისთანამე ბიწი, ნუ მოვალნ შესწირვად მსხვერპლისა ლეთისა მისისა“, ესე იგი: რომლისათანა იყოს მცირე ცოდუა, უკეთუ სინანულითა არა განსწმედს, ვითარცა პეტრე, ნუ მოვალნ შესაწირავად მსხვერპლისა. ჩვენის მეტყველებისაგან ორი რამე ჰსჩანს; ერთი ესე: რომელსაც დიდი მომაკვდინებელი ცოდუა აქტნდეს, უნდა დასცხრეს მღვდელობისაგან; თუ არ დასცხრა—საღმრთოს რისხვისაგან დაისჯება, როგორც ამის დამამტკიცებელი სახედ ზემო ნადაბ და აბიულ მოვიდეთ; მეორე ესე: რომელსაც მომაკვდინებელის ცოდვისაგან უმცირესი ცოდუა აქტს, პირველად ის სინანულით უნდა განიბანოს და მერმე მღვდელობად და შემწირველობად უნდა მოვიდეს, ვითარცა პეტრეს იუდასგან უმცირესი შეცოდება აქტნდა, ის უმცირესი შეცოდება ცრემლით განიბანა, მერმე შემდგომად მღვდელობის სახე, ცხოვართ მწყსა, მიიღო ძრისტეს მიერ, ვითარცა ზემო წარმოვაჩინეთ. ღა თუ ან დიდის ცოდვის მქონებელი მოხვალ შესაწირავად და ან მცირის ცოდვის უნანელად, სწორედ ლმერთი არის მაყენებელი შენის მღვდელობისა და შემწირვე-

ლობისა; და თუ ვიპარ—უცხოველისა და ჭეშმარიტების სახეებით ვაჩუქნოთ. პირველი მღვდელი—დიდი ადამ. სამოთხესა შინა ანგელოზთა აახა შესწირვიდა ღვთისა მიმართ მადლობასა და ქებასა დაუცადებელად; და როდესაც შთავარდა მძიმეს შეცოდებაში, ანგელოზთაგან ჭენებით სამოთხით განიღვენა და ანგელოზთა თანა შემწირველობისაგან დაეყენა; ეგრეთჲც შენ, მღვდელი, მსგავსად სამოთხისა ეკკლესიასა შინა მღვდომარე ხარ და შესწირავ მსხვერპლსა ღვთისა მამისა მიმართ, და თუ მძიმეს ცოდუაში შთავარდები, მაშინ დიდისა მამისა ზრახვისა ანგელოზი, ძრისტე უფალი, ჭენებით განგავლინებს ეკკლესიადამ უღირსად შემწირველობისათვის. ძიღვე მღვდელობის სახე ჰყო ძაენ და შესწირა შესაწირავი უფალსა ღმერთსა; მაგრამ მძიმის ბრალის მქონებელი რომ იყო, ღმერთმან არც ძაენსა და არცა მის შესაწირავს არ მიხედა. ზესმის მოსეს მიერ თქმული: „ძაენს ზედა და მსხვერპლთა მისთა ზედა არა მოიხალა“. არა თუ ღმერთმან უღირსად შემწირველს ძაენს მხოლოდ ეს აკმაჲა რომ არ მოხედა, წესადრწუნებელი წყევა დართო და ჰრქუა: „წყეულ იყავ შენ ქრცყანასა ზედა! მგრეთჲც, რომელიც ბრალთაგან უღირსი ხარ და მსხცბრპლს შესწირავ ძაენის მსგავსად, არც მოიხილავს შენზედ და წყევასაც დაგრთავს; რომელმანც მაშინ უღირსად შემწირველობისაჲვის უგულუბელს ჰყო, ეხლაც იგივე უფალი არის. თვით უფალი იცსო ამტკიცებს და იტყვის: „მე ვარ და არა ვიცვალეები“. მაშასადამე, ესეც ჭეშმარიტი არის—უღირსად შემწირველი ძაენისებრ დაისჯების. ღა თუ ვინმე სიმღიდრისაგან ამპარტავნებს და კადნიერებით მოვალს მსხვერპლისა შესაწირავად—**ღზია** მეფე კადნიერებით შევიდა წმიდასა შინა წმიდათასა, და სულით და ხორციით დაისაჯა. მგრეთვე, რომელიც უღირსი არის და კადნიერებით შევალს შესაწირავად წმიდასა შინა წმიდათასა, **ღზიასებრ** სულით და ხორციით დაისჯება, ვითარცა ხმოზს მოციქული და იტყვის: „რომელი უღირსებით სჰამდეს და სმიდეს სასამელსა ამას—დასასჯელად თავისა თვი -

სისა სქამს და სვაჲს, რამეთუ არა გამოიკითხნა კორცნი უფლისანი!“ ჳეშმარიტისა და უცდომელის სახეებით აღმოჩნდა ეს, რომ უღირსად შემწირველი მღუდელი სულით და კორციით დაისჯება.

აწ ეს წარმოვაჩინოთ, მღუდელი როგორ უნდა იქცეოდეს. მღუდელი ანგელოზად ითქმის, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი მალაქია: „ბაგენი მღუდელთანი იწურთიდეს მეცნიერებასა, და ჰსჯული იძიოს მისგან, რამეთუ ანგელოზი არს უფლისა ყოვლისა მპყრობელისა“. რადგან ანგელოზად ითქვა მღუდელი, ანგელოზის თვისებაც უნდა აქტნდეს. **თუ** ვითარ— ესთქათ: ანგელოზის თვისებას ისაია მოგვითხრობს და იტყვის: „ექტს ფრთე ესხნეს ერთსა: ორითა იფარვიდეს პირთა და ორითა ფერხთა და ორითა ფრინვიდეს“. ამას დიდი დიონოსი ასე განმარტებს: „ორითა პირს იფარვენ, რომ თავისს უმაღლესს, რომელიც არ მისცემიათ, არ ეძიებენ; ორით ფერხს იფარვენ—და რომელიც უმაღლესი მათი შეუმსგავსებელი რამ არის, მისდა მიმართ არ მოვლენ; ორითა ფრთითა ფრინვენ—და საღმრთოს მსახურებასა აღასრულებენ“. **ეს** თვისება უნდა გაქტნდეს მღუდელს, რადგან ანგელოზად იწოდეს: ორითა ფრთითა პირს უნდა იფარვიდე—და რომელიც არ მოგცემია უმეტესს არ უნდა ეძიებდე; ორითა ფერხს უნდა იფარვიდე—და რომელიც მღუდელობის უმსგავსოს მდაბალი საქმე იყოს, მისდა მიმართ არ უნდა ხვიდოდეს; ორითა უნდა ფრინვიდე—და მღუდელობის მსახურებას უნდა სრულ-ჰყოფდე. **თუ** ასე არა ჰყოფ და ან უმაღლესობას ეძიებ და პირს არა იფარავ, და შეუმსგავსებელისა საქმისა მიმართ ჰრბი,—ესენი მღუდელობას არა ჰშეძენს; ამისთვის ჰრისტე დიდების ძიებისაგან გაყენებს და გეტყვის: „რომელსა უნდეს თქტან შორის დიდყოფა, იყვენ ყოველთა მსახურ“. **შენის** უმსგავსოს საქმის აღრევისაგან მოციქულის პირით გაყენებს და გიბრძანებს: „და ნუ თანა ეზიარებით საქმეთა მათ ბნელისათა“. **თუ** ესენი არ ისმინე და სოფლიურის დიდების ძიება დაიწყე და ან უმსგავ-

სოს საქმისა მიმართ აღრევა ინებე, მღუდელობის მსახურებას კეთილად ვერ იპყრობ, ვითარცა **ქრისტე** გიბრძანებს: „ვერ ძალ-უძს ორთა **შფალთა** მონებად“; და რადგან მღუდელობის მსახურებას კეთილად ვერ იპყრობ, ეს ზემო მტკიცე იქმნა, უეჭველად დასჯასაც მიიღებ, ვითარცა **მფნი** და **ფინეხ**. **ბიდე** მღუდელი თუ მსახური არის, ვითარცა **მოციქულნი** მსახურებდნენ **ქრისტესა** **ლმერთსა**, ვითარ იგი ხმოვს **მოციქული**: „და ხელნი ჩუტნნი მსახურებდეს სიტყუთასა მას ცხოვრებისასა“. **რადგან** **ლეთის** მსახურად იწოდა მღუდელი, აწ **ლეთის** მსახურების სახე მოვილოთ და ვაჩუტნოთ, მღუდელი როგორ უნდა მსახურებდეს **ლმერთს**. **მოსე** **ლეთის** მსახური იყო და ესე-ვითარის საქმით მსახურებდა **ლმერთს**: **მგვიბტელი** მოჰკლა და ქვიშასა შინა დაფლა და **ისრაელნი** განარინნა **მგვიბტით**, და **ფარაო** მეფისაგან ივლტოდა, აქუნდა მარხუთა საკვირველი, რამეთუ მისთვის წერილ არს: „და იყო მუნ **მოსე** ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, პური არა სჭამა და წყალი არა სვა; და მოილო **ლეთისაგან** ფიცარნი სჯულისანი“. **რადგან** **ლეთის** მსახური არის მღუდელი, **მოსე** **ლეთის** მსახურის მსგავსად უნდა იქცეოდეს: **მგვიბტელი** (ესე იგი ვნება ცოდვისა), რომელიც ახალს **ისრაელს** **ქრისტესებრ** ებრძვის, ის საღმრთოს მადლით უნდა მოჰკლას, და ნაცვლად ქვიშისა თავის წლილადს ქადაგებაში დაჰფლას, და დავიწყებულ ჰყოს, ერი **ქრისტესი** უნდა იხსნას, **მგვიბტისა** (ესე იგი ცოდვის ვნებისაგან) და უხილავს **ფარაოს** ეშმაკისაგან ივლტოდეს, მარხუთა უნდა შეიტკბოს და საღმრთო სჯული **ლეთისა** მიერ მოილოს, ვითარცა უბრძანებს **ლმერთი** **შფალი** პირითა წინასწარმეტყველისა **მალაქიისათა**: „ბაგენი მღუდელთანი იწურთიდეს მეცნიერებასა და ჰსჯული იძიოს მისგან“. **თუ** ამავებს არა ჰყოფს, ცოდვის ვნებას არ მოჰკლავს და **ქრისტეს** ერს არ იხსნის, უფროსად ცოდვისა მიმართ მიიზიდავს, **მგვიბტის** (ესე იგი ცოდვის ვნებისაგან) და უხილავს **ფარაოს** ეშმაკისაგან არ ივლტის, არც მარხავს შეიტკბობს, უფროსად ნაყოფენებასა ჰყოფს და არც

საღმრთოს სჯულს მოიღებს, უფროსად მას წინააღმდეგობა
ჰყოფს—ესე ვითარი არა თუ ლეთის მსახური არის, უმეტესად
ეშმაკის არის და მას მსახურებს, რომელსა უფალი იცნო ცხა-
დად უბრძანებს და ეტყვის: „თქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ“..
მღვდელი და ძრისტეს მოწაფე ლეთის სიტყვის მსმენელად
იქმის, ვითარცა უბრძანებს ძრისტე მოწაფეთა ათვისთა: „ნე-
ტარ არიან თვალნი, რომელნი ხედვენ, რომელსა თქვენ ჰხე-
დავთ, და ყურნი რომელსა ესმის, რომელი თქვენ გესმის“..
აწ ლეთის სიტყვის მსმენელს რა განკრძალუა მართებს—მისი
სახე მოვილოთ: ილიას ძორების მთაზედ ლმერთი ეუბნა. ძო-
რების მთაზედ აღსლვამდის ორმეოცი დღე და ორმეოცი ღა-
მე ელო, ესეოდენ გზის მაშტრალობაში ორჯელ ანგელოზ-
მან მოუტანა პური და წყალი, თორემ სხუა არა მიუღია რა;
ილიას რომ უფალი ეუბნა, ასე განკრძალული იყო, რომე-
ლიც ანგელოზმან არ მოსცა საზრდელი, მეტი არა მიუღია რა,
ისე წინასწარ განკრძალული იყო უფლის უბნობის სმენისა-
თვის. მღვდელო! შენც გესმის ლეთის უბნობა, ესე ზემო ძრის-
ტეს სიტყვით დაგიმტკიცე: მაშასადამე შენც ასე განკრძალუ-
ლი უნდა იყო: რომელიც დიდისა ზრახვისა ანგელოზმან—ძრი-
სტემან დღითი დღე საზრდელი მოგცეს, იმითი უნდა იზრდე-
ბოდე და უსამართლოდ შეკრებულს არ უნდა მიიღებდე; და
თუ მიიღებ—ალარც უფლის უბნობას ისმენ, და სწორედ ით-
ქმის შენზედ ლავით წინასწარმეტყველის სიტყუა: „ყრუსა რო-
მელსა დაეყენიან ყურნი მისნი, რომელმან არა ისმინის ხმა მსა-
ხტრალისა და წამლისა მწამლველისაგან ბრძნისა“ მღვდელი.
შემწირველი არის, თვთ ძრისტეს შესწირავს მსხვერპლად მამისა..

აწ ამისი სახე მოვილოთ და ვსთქვათ, თუ მღვდელობი-
საგან შემწირველობა როგორ უნდა. ღიდი აბრაჰამ თავისს
ძეს, ისაკს, ლეთისა მიმართ შესწირვიდა. აბრაჰამის გონებაში,
როდესაც ისაკს შესწირვიდა, სხუა სოფლის ამოება არ იყო
რა, მხოლოდ ეს იყო—ღმერთმან რომ თავისის ძის ისაკის
მსხვერპლად შესწირვა უბრძანა, ის აღესრულებინა, მისი გო-

ნება მარტო ამას ხედვიდა და სხუას არა რას. ისაკის შეწირვა ძრისტეს მსხვერპლად შეწირვას მოასწავებდა: ვალი გაქუს მლტედელს მსხვერპლის შემწირველობაში სხუა არა რაამე იყოს შენს გონებაში, მხოლოდ ლეთისა საიდუმლოსა უნდა ხედვიდე. თუ მსხვერპლის შეწირვაში ამას რასმე ხედავ, აბრაჰამის კურთხევას ვერ მიიღებ უფლისაგან, უმეტესად გაყვედრებს ისაიას პირით: „ერი ესე ბაგითა მათითა პიტვიმცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან“. შენს ხედვასა და ნებაზედ არ უნდა იქცეოდე; თუ ვითარ—ძრისტეს მიერ ვისწაოთ: დასაბამი და დასასრული მლტედელობისა ძრისტე არის, და როდესაც ძრისტე, თავისს თავს მსხვერპლად მამისა შესწირვიდა კაცთა ცხოვრებისათვის, მაშინ კაცობრივს ნებას არ ჰყოფდა, უფროსად ლეთისა მამისა ნებას ჰყოფდა, ესრეთ იტყოდა: „ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ“. მგრეთვე შენ, როდესაც მსხვერპლს შესწირვიდე, შენი ნება არ უნდა ჰყო, მხოლოდ ნებასა ლეთისასა უნდა დაემორჩილო; ვინათგან ძრისტეს სახე მოგაქუს, ძრისტესებრ ლეთისა და მამისა მიმართ მტკიცედ უნდა ხმობდე: „ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ!“ მგების ვინმე სამლტედელოთაგანმან სთქუას: „ეს საქმეები სოფლიურს კაცს არ ძალუძს“. აქ მე ნაცვალს მივუგებ: სამლტედელო ერი ძრისტესი სოფლიური არ არის; სამლტედელოთა თვისთა მოწაფეთა ძრისტე ესრეთ უბრძანებს: „თქუენ არა ხართ სოფლისა ამისაგანი, ვითარცა მე არა ვარ“. რადგან მისთა მოწაფეთა ესრეთ ჰრქუა, ეს სიტყუა შენზედაცა მტკიცე არის: ანუ სამლტედელოებისა და ძრისტეს მოწაფეობისაგან უნდა განხვიდე და ანუ, როგორც ძრისტე გიბრძანებს, სოფლისაგანი არა უნდა იყო. მგების ვინმე სამლტედელოთაგანმან სთქუას: „სოფელში ხორცით კაცი იყოს და სოფლისაგანი არ იყოს, როგორ შესაძლო არის?“ მტკიცე და ყოვლად უძლიერესი სახე მოვილოთ ამისი—ხორცით სოფელში კაცი იყოს და სოფლისაგანი არ იყოს. ლიდი იოანე წინამორბედი და ნათლის-მცემელი ხორცით სოფელსა შინა იყო,

სოფლისაგანი არ იყო. ამისთვის არ იყო სოფლისაგანი — სოფლიურს ნებასა და უჯერობასა არ აღერეოდა. თვით შთალი იქნა მისთვის ზეცის ანგელოზებას ბრძანებს: „მე წარვაკლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა ჩემსა“. სამლტდელოთაგანი ვინმე მკითხავ და მეტყვი: „ნათლის-მცემელს უნდა ვემსგავსოო?“ რადგან მლტდელი ხარ, არათუ ნათლის-მცემელს — თვით შთალს იესოს უნდა ემსგავსებოდე, და სოფლიურს სიხენეშეს არ უნდა შეეხებოდე. მიზეზს თუ იკითხავ, რომ რასათვის? — რადგან მლტდელობით ძრისტეს ემსგავსები, სოფლიურის სიხენეშის შეუხებლობაშიდაც უნდა ემსგავსო; გესმის თქმული ესე: „წმიდა იყვენით, რამეთუ წმიდა ვარ მე“. აწ ეს უნდა მოგახსენო, თუ მლტდელობით ძრისტეს როგორ ემსგავსები. ძრისტეს მლტდელი ეწოდება, ვითარცა ღვით წინასწარმეტყველი ხმობს მისა მიმართ: „შენ მლტდელ უკუნი-სამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა“; და შენც მლტდელი გეწოდება! ძრისტემან ბრძანა: „მიიღეთ და სკამეთ, ესე არს კორცი ჩემი“, — და ამას საკვირველსა სიტყვასა შენცა ხმობ; ძრისტემან ღმერთმან მიუტევნა ცოდუანი და ჰრქვა: „მიგეტვენენ შენ ცოდუანი შენნი“ — შენც შენს მოწაფეს და სამწყსოს ჯეროვნად ცოდვისაგან განათავისუფლებ და მიუტევებ მლტდელობით, — ასე ძრისტეს მსგავსი ხარ, და სხვითა საქმი-თა არა ემსგავსები, და სოფლის სიხენეშესა შინა აღერევი. მლტდელობა და სოფლის სიხენეშე ერთად არ დაზავდება. თუ ვითარ — გამოვაცხადოთ. შენ რადგან ძრისტეს მოწაფე ხარ, ძრისტე ასე გიბრძანებს: „თქჳსნ ხართ ნათელნი სოფლისანი“; და თუ სოფლის სიხენეშეში აღერევი — დაბნელებული შეიქმნები; გესმის ბრძნის სოლომონისაგან: „შური სიხენეშისა და-ბნელებს სულსა“; — შენ, თვთ დაბნელებულა, სხუას ვითარ განანათლებ? ძრისტემან გიბრძანა: „უძლოურთა განკურნებ-დი“; — თუ ცოდვისაგან მოუძლოურებული ხარ, სხუას ვითარ განკურნებ? ღიდი საკდემელი არ იქმნება შენთვის, რომ ჰასუ-ხი გიგონ და გრქვან: „მკურნალო, განიკურნე თავი შენი!“


ძვალად გიბრძანებს ძრისტე: „მკუდართა ალაღვინებლით“;—
თუ თვით ცოდვისაგან მკუდარი ხარ, სხუა ვითარ უნდა განა-
ცხოველო? ძრისტე გიბრძანებს: „კეთროვანთა განსწმედ-
ლით“—თუ თვით ცოდვისაგან კეთროვან ქმნილ ხარ, და რო-
გორც ძრისტემან კეთროვანს უბრძანა: „წარვედ და უჩუტნე
თავი შენი მღუდელსა“;—თუ წმიდის აღსარებით განწმედილად
თავი შენი მღვდელისათვის არ გიჩუტნებია, სხუა ვითარ უნდა
განსწმიდო? ძრისტემან გიბრძანა: „ეშმაკთა განასხემლით“;—
თუ თვით ეშმაკს ემონები, სხვისაგან ვითარ უნდა განასხა?
მგების იძიოთ: „ეშმაკს ვითარ ვემონები!“ **თუ** ლმერთი არ გი-
ყუარს, ცხადი არის, ეშმაკის მონა იქმნები; და თუ ეს სო-
ფელი სიბოროტისათვის გიყვარს—**ლვთისა** მამისა სიყვარული
შენ შორის არ იქმნება. **მოციქული** გიმტკიცებს: „უკეთუ ვის-
მე უყვარდეს სოფელი ესე, არა არს სიყვარული მამისა მისთა-
ნა“. ძვალად ძრისტეს მიერი ბრძანება მოვიხსენოთ, თუ რას
გიბრძანებს: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართ-
ნი;“—როგორ უნდა მოიმოწაფო ვინმე, თუ თვით ძრისტეს
მოწაფეობის საქმეს არ იპყრობ? **არ** გესმის **მოციქული** პავ-
ლე რას ხმობს: „უკეთუ სხუათა ვუქადაგებდე და გამოუცდელ
ვიყო, ჰსჯულის გარდამავალად თავი ჩემი შემირაცხიეს!“ ძრის-
ტე ასე გიბრძანებს: „იყვენით უმანკო ვითარცა ტრედნი“;—
შენ სოფლის ამოების სიყვარულისათვის მზაკვარებას ჰყოფ,
და მზაკვარება ძრისტეს მოწაფეობისაგან შორს გყოფს, ვი-
თარცა **იუდა** განხადა კრებულისაგან ძრისტეს მოწაფეთასა და
მღუდელობისაგანაც უცხო ჰყო.

ქადაგებისა ამის დასაბამი მოვიხსენოთ, თუ რასა გვიბრ-
ძანებს **უფალი ლმერთი**: „იყოს თუ ვისთანამე ბიწი—ნუ მო-
ვალნ შესაწირავად მსხვერპლსა **ლვთისა** მისისა“, მსხვერპლის
შემწირველის უბიწოებისათვის რომ ბიწი არ უნდა აქტნდეს,
ხელად თვით **ლმერთი** ბრძანებს და ბრძანებული მისი ჩუტნის
ულონოების მსგავსად სარწმუნო სიტყვით განვაცხადეთ და
ვისტკვიოთ. მაგრამ ეგების ღინმე ზრახვიდეს თავის გონებაში, და

საკვირვოდ მიაჩნდეს: უბიწო კაცი ვინ უნდა იქმნეს?“ მაგრამ ეს ზემო დავამტკიცეთ, რომელსა დამაყენებელი ბიწი რამ აქტს, მღვდელობისაგან უნდა დაეცადოს; თუ დამაყენებელი ბიწი არა აქტს, მცირის ბიწისაგან აღსარებითა და სინანულითა უნდა განწმდეს და უბიწოებით უნდა მოუხდეს წმინდასა საიღუმლოსა. **თუ** ასე არა ჰყოფს და ბიწის მქონებელი ვინმე შესწირავს, სხუას ეს უკვირს, უბიწო კაცი ვინ იქნებაო, მე ამისგან უფრო საკვირვოდ ამას ვხედავ: ცოდვაში მყოფი წმინდასა **ქრისტეს** საიღუმლოსა როგორ შეეხება? **თუ** **ქრისტე** ლტოლად არა ჰსწამს, არა თუ მღვდელი—ულმართო ვინმე იქნება! **თუ** **ქრისტე** ღმერთად ჰსწამს **ქერაბინნი** და **სერაბინნი** მიხედვისაგან **ძრწიან**, სწორებით მიხედვასაც ვერ იკადრებენ: ფრთითა იფარვენ პირთა თვისთა, ბიწიანის კელით ვითარ შეეხება? როგორ განსაკვირვებელი არ არის ეს! **დიდი** **იოანე** წინამორბედი და ნათლის მცემელი, რომლისათვის **ქრისტე** **შუალი** ყოვლითა ნაშობთაგან უმეტესობას სწამებს მისთვის და იტყვის: „არა აღდგომილ არს ნაშობთაგან დედათასა უფროს **იოანე** ნათლის მცემლისა“,—**ქრისტეს** შეხებისათვის ეს **დიდი** წინამორბედი იშიშვოდა და სძრწოდა,—და ბიწიანი ვინმე, უშიშრად და კადნიერებით შეეხება! როგორ ზესთა საკვირველობისა არ არის ეს საქმე! **პეტრე** მოციქული, რომელსაც **ქრისტემან** უბრძანა უქეშმარიტესისა აღსარებისათვის: „შენ ხარ კლდე, და ამა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას, და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათასანი, და რომელი განხსნა ქტყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა, და რომელი შეჭკრა ქტყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა“;—ამისთანა საკვირველი კაცი **ქრისტეს** ნავსა შინა ვედრებით ეტყოდა: „განვედ ჩემგან, **შუალო**, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ!“ **პეტრე** ასე იშიშვოდა,—და სხუა ვინმე ბიწიანი **ქრისტეს** შეეხება! მე საკვირველებისა ამის გამოკატლევა არ ძალ-მიძს! საყვარელო, თუ **ქრისტეს** შეეხება გნებავს, უცხო

რამ სასწავებელი სახე გაქტს: ვითარცა დიდი იოანე მახარებელი და ლეთის-მეტყველი, სრულის ქალწულებისაგან განწმედილი, მკერდზედ მიეყრდნო და შეეხო ძრისტეს, ისე შენ განწმედილებით შეეხე: თუ უღირსად შეეხები.— იუდას მსგავსი შეიქმნები: ისიც უღირსის ბაგით შეეხო, და შენც უღირსის ბაგით შეეხები. რომლითა უნდა განირჩიო ძრისტეს შეურაცხის მყოფელთა ერთაგან? ისინიც ბიწიანის ხელით შეურაცხად შეეხებოდენ, — შენც ბიწიანის კელით შეურაცხყოფად შეეხები! დიდი რამ შეურაცხება არ არის შენის პატიოსნებისა. რომ პასენაკის ოდენი კრძალვა ვერ მოილო ძრისტეს მიმართ? პასენაკი პილატესგან რისხვის სახედ წარვლენილი იყო იესოს შემოყვანებად; პასენაკი რომ თავის-თავს უღირსად ხედვიდა, პატივი სცა და არა თუ ხელი შეეხო, ოღარი დაუფინა და იესო ისე პატივით შემოიყვანა. საკვირველი დიდი ნაკლულებანება არ იქმნება ჴენის მღჭდელიობის პატიოსნებისა, პასენაკის ოდენ პატივი ქრისტეს ვერ მისცე, და უღირსის კელის შეხებით შენ შორის, ანუ სხვისა შორის უპატიოდ შენოიყვანო, — ეს შენს მღჭდელიობას არ შეემსგავსება. და რადგან ძრისტეს შეხება გეგულება, კელი ასე განწმედილად უნდა გაქტნდეს მოღვაწეებისაგან, ვითარცა დიდისა ნათლის-მცემელისა კელი განწმენდილ იყო, ამისთვის რომ ისიც ძრისტეს შეეხო და შენც ძრისტეს ეხები; ბაგე ასე განწმედილი უნდა გაქტნდეს, ვითარცა თვით შუალი გიბრძანებს წინასწარმეტყველისა დავითის მიერ: „დააცხვრე ენა ჴენი ბოროტისაგან, და ბაგენი შენნი იუ იტყვიან ზაკვასა“. შინაგანების გონებისა ადგილისა განმზადებად ასე მოსწრაფე უნდა იყო, ვითარცა ზაქე, რათა შევიდეს ძრისტე შინაგან სულისა შენისა და სთქჳას შენთვის: „დღეს იქმნა ცხოვრება სახლისა ამის! — და მადლი მისი იყოს შენ შორის მოუკლებელად, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.





თავი 19. მონაზონებისათვის.

იტყვის სანატრელი დიდი ჰაელე: „უკეთუ მოჰკატლდით ქრისტესთანა, ნივთთა მათგან ამის სოფლისათა რასათვის, ვითარცა ცხოველნი, ჰბრძნობთ სოფელსა შინა?“. ჩემის უგუნურების ჰაზრისაებრ, სიკუდილი ოთხი არის: ერთი სულისა და ხორცის ურთიერთარს განთვისება და სიკუდილი ამის სოფლისა; მეორე უუსაშინელესი სიკუდილი—საუკუნო წარწყმედა; მესამე მონაზონებითი სიკუდილი, რომელნიც სოფლისა ამის ნივთთაგან მკუდარნი არიან, ვითარცა იყვნენ პირველნი მამანი: ანტონი, მეთიმი და საბა; მეოთხე—მაცთურებითი და არა კეშმარიტებითი სიკუდილი, ვითარცა ჰყოფენ სოფლის მოყვარენი მონაზონნი, რომელთაც სახე სოფლის მოკუდავების შეუმოსია, შინაგან ცხოველი არის სოფლისა და მისის საქმისათვის, რომელთაც ქრისტე ცხადად ამხილებს და უბრძანებს: „გარეგან ცხოვართათა მოსილ, ხოლო შინაგან მგელმტაცებელ“. ოთხად რომ სიკუდილი ვსთქვით, მოციქულის სიტყუა, სამისათვის არ არის—მეოთხისათვის არის. მოციქულის სიტყუა მეოთხეს სიკუდილს სამისაგანვე განარჩევს. სულისა და ხორცისა განყოფით სიკუდილისაგან განარჩევს თქმითა „რომელნი მოჰკატლდით ნივთთა მათგან ამის სოფლისათა“; წარწყმელის სიკუდილისაგან განარჩევს თქმითა: „უკეთუ მო-

ჰკატსდით ძრისტესთანა“ — ძრისტესთანა მკუდარი საუკუნოდ ცხოვრებად მიიწევა, ვითარცა ჰრქუა მორწმუნესა ავაზაკსა ძრისტემან: „ღღეს ჩემთანა იყავ სამოთხესა“; მზაკვარებით და მაჩუტნებლობით სოფლის სიკუდილისაგან განყოფს თქმითა: „შკეთუ მოჰკატსდით ძრისტესთანა, ნიეთთა მათგან ამის სოფლისათა რასათვის, ვითარცა ცხოველნი, ბრძნობთ სოფელსა შინა?“ მონაზონებით ქრისტესთანა მკუდარი სოფლისათვის არა ბრძნობს, და მაჩუტნებლობითი მონაზონი ისევ სოფლისათვის ბრძნობს და იქცევა. სწორებით წარმოსჩნდა, რომ მოციქულის სიტყუა ჰეშმარიტისა და უზაკველისა მონაზონებისათვის არის. მოწაფე ძრისტესი, სრული მონაზონი, ნიეთიურის სოფლისათვის მკუდარი უნდა იყოს, ვითარცა განსაზღურებს დიდი იოანე სინელი და იტყვის: „მონაზონება არის უარყოფა სრულიად სოფლისა და საქმეთა მისთა“. ახლა კიდევ მოციქულისავე სიტყვით დავამტკიცოთ, რომ ჰეშმარიტითა გულისითა მონაზონი, და ძრისტეს შემდგომი, სოფლისაგან მკუდარი უნდა იყოს. ძრისტეს შედგომილისა პავლესი ისმინეთ, რასა იტყვის: „არღარა ცხოველ ვარ მე, არამედ ცხოველ — არს ძრისტე ჩემ შორის“. მონაზონო, თუ ჰეშმარიტის გულისით შედგომილ ხარ ძრისტესი, პავლეს სიტყვის მსგავსად, ნიეთიურის სოფლისათვის ცხოველი არ უნდა იყო, რადგან საკვირველი ძრისტეს მეგობარი ხარ; ძრისტეს მეგობარს ლაზარეს უნდა ემსგავსო, თუ ვითარ — ვსთქუათ: ლაზარე მეგობარი ძრისტესი მოკუდა. ძრისტემან თავისი მეგობრის სიკუდილი რომ ჰსცნა, ძრისტემან ხმა უყო: „ლაზარე, გამოვედ გარე“ — განცხოველდა და საფლავილამ გამოვიდა, ხელით და ფერხით შეკრული. ჰრქუა მონათა თვისთა: „განხსენით და უტევეთ“, განხსნეს და ვიდოდა. მგრეთუტ შენ მონაზონებით ნიეთიურის სოფლისაგან უნდა მოჰკუდდე: როდესაც ძრისტე შენს სოფლისაგან მოკუდავებს ჰსცნობს, მაშინ, ლაზარეს მსგავსად გიწოდებს: „გამოვედ გარე საფხრისაგან ეშმაკისა!“ და ააშინ ცხოველ იქმნები სულითა, და უბრძანებს ანგელოსთა:

„განსხვავებით ვეცდები კოდვისა კრულებათაგან და უტყვევებ სჯულად სასუფეველსა შინა“. მგების ეს ვინმე იიქვნოს: სრულიად რომ ასე სოფელს განვეშორო, ხორცი ვითარ გამოვზარდო, ან საზრდელი როგორ მოუპოვო? რადგან ძრისტეს შედგომილ ხარ, ამისი მსგავსი ზრუნვა შენგან შორს უნდა ჰყო, ამისთვის რომ შთალი შენი იესო ამას გამცნებს: „ნუ ზრუნავთ, რა სჭამოთ, ანუ რა სვათ, ანუ რა შეიმოსოთ: იცის მამამან თქვენს მან ზეცათამან, რა გიხმს ამათ ყოველთაგანი“. რადგან ნივთიურის სოფლისაგან განსრული ხარ, რომლისი სოფლისა ხარ, აწ ის უნდა წარმოვაჩინოთ. პავლე განგიცხადებს და გეტყვის; „არა გვაქვს აქა საყოფელად ქალაქი, არამედ მერმესა მას ვეძიებთ“; არა თუ ქრისტიანისა ამის მსგავსი არის, ყოვლითურთ უცხო და სხვა რამ არის ამისგან. ღა თუ ვითარ — ვსთქვათ.

ძრისტიანა იგი ზეცისა არა არის ნივთიური, არამედ უნივთო; არ არის წარმავალი, არამედ საუკუნო; მეუფე მის ქრისტიანისა არს ყოველთა დაბადებელი შთალი; ძრისტიანა იგი არა განათლდების შექმნილისა და დაბადებულისა მზისა მიერ, არამედ შეუქმნელისა და დაუბადებელისა ღვთისა მიერ: ქრისტიანისა მას შინა ნაცულოდ ვარსკულაისა ბრწყინვან პანგელოზნი და სულნი წმიდათანი; ძრისტიანისა მას შინა გლახაკნი უსანატრელეს არიან მდიდართაგან, თქმისაებრ საუფლოსა: „ნეტარ იყენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“; ძრისტიანისა მას შინა ამის მსგავსი მხედარი უმეტესად საქებელი არის, რომელიც მარტენის ყრუმლისმცემელს მარჯუნესაც მიუპყრობს, რომელიც სამოსლის მიმტაცებელს კვართის მიღებადცა არა აყენებს; ქრისტიანისა მას შინა არა რამე არს მწუხარება და ურვა, გარნა მხოლოდ ცხოვრება პანგელოზებრივი და სიხარული საუკუნო. შენ, საყვარელო მამაო, ამისებრის სოფლის ჩინებული ხარ და არა ნივთიურის სოფლის. რადგან ზეციურის სოფლის ჩინებული ხარ, და იქ მისულა გეგულოვება, ნივთიურს სოფელს ნუ ექცევი, თორემ ზენა სოფელს, ესე იგი სასუფეველს, ვერა მი-

იღებ. **ღა** თუ ვითარ—საღმრთოს წერილის მაგალითით გა-
ჩუქნათ. ისრაელთ მგვიბტისა და **ფარაოს** მონებიდამ გამოს-
ვლის მიზეზი მოიღეს და ჰსთქტს: „განვალთ სამისა დლისა
სავალსა და ვმსახურებთ **შფალსა** **ღმერთსა** ჩუქნსა“; როდეს-
საც გამოვიდენ მგვიბტიდამ და **ფარაოზის** მონებიდამ და მო-
სეს შეუდგენ, ოდესმე კიდე მგვიბტედვე მიქცევა ინებეს;
ამისთვის განურისხდა **ღმერთი**, და მგვიბტიდამ გამოსულთა
აღთქმის ქტსყანა ვერ იხილეს, უდაბნოს მოსწყდენ. მგრეთვე
შენ უხილავის **ფარაოს**—ეშმაკის და ნიეთიურის სოფლის მო-
ნებიდამ გამოსვლის მიზეზი მოიღე; სამის დლის სავალის მსგავ-
სად, ეს სამი რამ მოჰქტთე—კოდვისა აღსარება და სინანუ-
ლი; გამოხტად სოფლისა და ეშმაკის მონებიდამ და შეუდგე
ძრისტესა მონაზონების აღთქმისა მიერ. **ღა** თუ კიდე სოფ-
ლის უჯერებისა მიმართ მიქცევას ინებებ, განრისხდება **შენზედ**
ღმერთი, და როგორც მათ აღთქმის ქტსყანა ვერ იხილეს,
ისრე შენ სასუფეველს ვერ იხილავ. **ღიდის** მოციქულისაგან
გესმის დაყენება: „არავინ მოღვაწე შეეყოფვის სოფლის საქ-
მეთა, რათა ერისთავსა მას სათნო ეყოს“. მგების მიზეზი ვინ-
მე ჰსთქტას: „ძლიერის ბრძოლისა და საბრძნისაგან ეშმაკთასა
მოვეუძღურდი“. ეს მიზეზი უჯერო არის. **ღა** თუ ვითარ—სა-
ღმრთოს წერილის მაგალითით ვაჩუქნათ. ისრაელთა შორის
ეს განჩინება იყო: მოშიში ბრძოლად ვერ განვიდოდა; ყგრე-
თტს ესეც განჩინებული არის: ვისაც არ ძალუძს მონაზონე-
ბისა მოღვაწების ტვირთვა და მოშიში არის, მონაზონებად
არ უნდა გამოვიდეს. ძრისტეს შეუძლებელი არ უბრძანებია
რა, ასე ბრძანებს: „უღელი ჩემი ტკბილ-არს და ტვირთი ჩემი
სუბუქ არს“; და თუ მოვა მონაზონებად—ღვაწლიც უნდა
იტვირთოს, თორემ **შფლისა** **იესას** სიტყვა რისხვით მიეგება:
„ვერ გამოხვიდე მიერ საპყრობილით, ვიდრე არა მისცე უკა-
ნასკნელი წყლილი“. მგების კიდე ვინმე სთქტას მიზეზი:
„ესეოდენს ერში ვარ და რა ვყო, რომ სოფლიურს საქმეში
არ აღვერიო“. მსეც მიზეზი უჯერო არის; და თუ ვითარ—

ვაჩუცნოთ: დიდი **იოანე** ნათლის-მცემელი მრავალჯერ იყო. ერის სიმრავლისა შორის; გესმისა მისთვის თქმული: „და განვიდოდა მისა ყოველი **იერუსალემი** და გარემო სოფლები, და ნათელ იღებდეს მისგან და აღუარებდეს ცოდუთა მათა“; ესეოდინის ერის შორის იქმნებოდა, მაგრამ სოფლის საქმეში არა თანა-ეზიარებოდა. **მგრეთჳს** შენ მრავალთა შორის რომ იყო, უჯერო საქმეში არ უნდა ეზიარო. **ჴე** შმარიტი უნდა ვსთქვა, უჯეროსა საქმესა შინა თუ აღერივი, სიმრავლეში ყოფა ვერ განგამართლებს. ამისი სიმტკიცე სიტყვით და საქმით წარმოვაჩინოთ: **მოსე** ლეთისა მზრახვალი გვამცნებს: არა შეერთო მრავალთა თანა საქმედ ბოროტისა“; **პავლე** მოციქული ამტკიცებს: „და ნუ თანაეზიარებით საქმეთა მათ ბნელისათა, არამედ ამხილებდითცა“. **აწი** საქმით ვაჩუცნოთ, რომ უჯეროს საქმეს მრავლის ერის შორის ყოფა ვერ განამართლებს: **პეტრე** მოციქული უარის ყოფაში რომ შთავარდა, ამითი არ განმართლებულა, **ჴური**ათა სიმრავლისა შორის რომ იყო, ამითი განმართლდა: „გამოვიდა გარე და სტიროდა მწარედ“. **მგრეთჳს** შენ, მამაო, მრავლის ერის შორის ყოფით ვერ განმართლდები, თუ **პეტრესებრ** მწარედ ტირილს არ ჰყოფ. რომელიც მონაზონების სახეს შუტნოდეს, ის საქმეები აჩუცნე, თორემ მონაზონების სახის შემოსა და უჯეროს საქმის ქმნა, ძნელს საკიცხელს საქმეებს დაგდებს. **პირველად** ჰრისტე დაგდებს კიცხვას და მიგამსგავსებს უშუტრს საფლავს და გიბრძანებს: „მსგავს არიან საფლავთა განგოზილთა, რომელნი სჩანედ გარეშე შუტნიერ, ხოლო შინაგან სავსე არიან ძვალეებითა და არა-წმიდებითა“. ამას თვით **ჰრისტე** განგიმარტებს და უნზედ განაცხადებს: **ეგრეთჳს** სჩანედ წინაშე კაცთა შუტნიერ, ხოლო შინაგან სავსე ხართ ორგულებითა და არა-წმიდებითა. **თუ** მონაზონების საქმეს თან არ ადევნებ სახესა მონაზონებისასა, **იუდას** მიგამსგავსებს: **იუდას** გარეშე სახე ჰრისტეს მოწაფეობისა აქუტნდა, შინაგან **ჰრისტეს** განცემას იწუროთიდა; **ეგრეთჳს** შენ გარეშე—მონაზონებისა და **ჰრისტეს** მო-

წაფეობის საქმე გაქტეს და შინაგან ბოროტს იწუროთი, ეს იუ-
დას მსგავსება არის! არა თუ მარტო იუდას მიგამსგავსებს, კერპ-
საც მიგამსგავსებს ლავით წინასწარმეტყველის თქმისაებრ: თვალ
გასხენ და არა ხედავ საქმესა მონაზონებისასა; ყურ გასხენ და
არა გესმის სიტყუა მოციქულისა, რომელსა გეტყვის: „უკეთუ
მოჰკატსდით ძრისტესთანა, ნიეთთა მათგან ამის სოფლისათა რა-
სათვის, ვითარცა ცხოველნი, ჰგრძნობთ სოფელსა შინა“; ხელ
გასხენ და არა განიხილავ საქმესა მოღვაწეებისასა; ფერხ გასხენ
და არა ხვალ გზასა ძრისტეს მცნებათასა, არცაღა ხმობ ხორხითა
შენითა ლოცვასა, ვითარ იგი ჯერ-არს. ლიდი ბრიგოლი ლვთის-
მეტყველი მწვალებელს ეტყვის: „ანუ იყავ ტფილ და ანუ იყავ
გრილ“; ეგრეთჲც მონაზონთა მიმართ ვიტყვი მე უღირსი: ანუ
მკუდარი უნდა იყოს სოფლისა ნიეთთაგან და ანუ ცხოველი, და
მონაზონების სახე არ უნდა ემოსოს, რათგან სოფლის ნიეთი-
სათვის ცხოველი არის; თორემ, როგორც ზემო ვსტქუ, სა-
კიცხელი რამე იქმნება. მაგალითი მოვილოთ, თუ როგორ სა-
კიცხელი არის. ცხოველმან კაცმან მკუდრის სამოსელი სუ-
დარი რომ შთაიკუთას და ერთა შორის იარებოდეს, ერისაგან
საკიცხელი რამე იქმნება თუ არა? მგრეთჲც მონაზონების სა-
მოსელი ნიეთიურის სოფლისაგან მკუდრის მონაზონის სამო-
სელი არის, და თუ შენ ნიეთიურის სოფლისათვის ცხოველი
ხარ და მონაზონების მოკუტდავების სამოსელი გაცვია ერთა
შორის ლვთისათა, ესე იგი ანგელოზთა და წმიდათა კაცთა
შორის, საკიცხელი იქმნები. თუ ჰეშმარტებით მონაზონების
სიკუტდილი მიიღე, როგორც მკუდარს დაყროლებულს არა ეს-
მის რა, არც შენ სხვისი სოფლიურის ვისიმე არა რამევე სუ-
ლის მავნებელი არ უნდა გესმოდეს. ამისი კიდევ მაგალითი
მოვილოთ: როდესაც ლაზარე მოჰკუტდა, არავისი ხმა არ ესმო-
და, არცა თვისისა და არცა მეგობრისა; მხოლოდ ძრისტეს
ლვთისა ხმა ისმინა; ეგრეთჲც, როდესაც მონაზონებით ნიეთი-
ურის სოფლისაგან სიკუტდილი მიიღო, უჯერო ხმა არავის უნ-
და უსმინო, მხოლოდ ძრისტეს ლვთისა ხმასა უნდა დამორ-

ჩილდე. ძრისტეს ლეთისა მორჩილებას არა თუ მარტო მონაზონე-
ბითი წესი გაწვევს—ბუნებითი სჯულიცა, ვითარ იგი ხმობს:
„ჰქმენ რაფეცა იგი სრულ-გყოფს შენ და მდგომოობასა შენსა“.
მხოლოდ ძრისტეს მორჩილება სრულ-ყოფს შენს მდგომოებას და
არა სხუა რაჲმე, ვითარცა ხმობს მახარებელი იოანე: „ყოველივე
მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისსა არცა ერთი რა იქმნა, რაო-
დენი რა იქმნა“. მოციქული გაწვევს სიტყვითა ამით: „გამოიძიეთ
და უკეთესი იგი შეიკრძალოთ“. მორჩილება ძრისტესი უმჯობეს
არს ყოვლისავე, ვითარ იგი ემობს ბრძენი სოლომონ: „უმჯო-
ბეს არს ყოველსა ლეთის-მსახურება“. თვინიერ ძრისტესა სხუა
ვერა რას გარგებს. მოვილოთ ამისი მაგალითი: ლაზარეს ვინ
რა არგო? რომელმან მოყუასმან იხსნა, ან რომელმან შეგობარ-
მან?—არა რომელმამე; მხოლოდ ძრისტემან იხსნა სიკუდი-
ლისა და ჯოჯოხეთისაგან. მგრეთჲც შენ თვინიერ ძრისტესა
სხუა ვერა რომელიმე გიხსნის სიკუდილისა და ჯოჯოხეთი-
საგან. მგების ამისთვის ვინმე შეცდეს და ჰსთქუას: „მრავალი
ერი ჩემდა შემოდგომილ არს“. თუ ძრისტეს ლეთისა მორჩი-
ლი არა ხარ, ერისა სიმრავლე შენთვის სახმარი არ არის; თო-
რემ ამას მიხედვ: იუდას ჰურიათა ერისა სიმრავლე შეუდგა,
მაგრამ იუდა რომ ძრისტეს განეშორა, ერის სიმრავლემ ვერა
არგო რა, სულით და კორციით დაისაჯა; ეგრეთჲც შენ თუ
ძრისტეს განეშორე, ერის სიმრავლე ვერა გარგებს, სულით
და კორციით დაისჯები; და თუ ძრისტეს შედგომილი ხარ,
სხვისაგან ვნება არა შეგეხება, ვითარ იგი ემობს მოციქული:
„უკეთუ ლმერთი ჩუენ კერძო არს, ვინ არს მტერ ჩუენდა?“
და თუ ამას იტყვი: „ცხოველმან კაცმან როგორ უნდა ვი-
ცოცხლო, თუ სოფლიური ყოველი დავუტეო“: აქ ერთი რამ
საკვირვო საქმე იხედვება; ეს არის საკვირვო: თუ სოფლისა-
გან ჰგონებ შენს ცხოველობას, რომელმან სოფლიურმან კაც-
მან შთაბერა შენ შორის სული სიკოცხლისა? რომლის სოფ-
ლიურის კაცისაგან გაქუეს განწესება დღისა და ჟამისა, რომ
შენი სიკოცხლე ამათ შორის არის? მსე ყოველივე ლეთისა-

გან გაქტეს და არა სოფლიურისა ვისგანმე და რათ ამბობ: „რომ სოფელი დაეუტეო, ვითარ ვიცოცხლო?“ ძრისტე შფალი აღდგომა და ცხოვრება არის და მის მიერ იცხოველე. თუ საზრდელის ზრუნვა გაქტეს, ძრისტესგან უმჯობესი სარზდელის მომცემი სოფელსა შინა რომელი გივის? ხუთის პურით ხუთი ათასი განადლო და შვიდის პურით ოთხი ათასი; და თუ სამოსლისათვის ზრუნავ, ან ამას რად ზრუნავ, თვთ შფალი იცხოვრობდნენ: „ნუ ზრუნავთ რა სქამოთ, ანუ რა შეიშოსოთ“. თუ მაშინც კიდევ არ შეიგონებ და სოფლის სიმდიდრეს ეძიებ, ჰსჩანს რომ ძრისტეს მოწაფეობა და სიმდიდრის მოყვარეობა ერთად არ დაზავდება; თვისთა მოწაფეთა ასე უბრძანებს: „ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა“; და თვისის მოციქულის პირით გიბრძანებს: „ნუ გიყვარს სოფელი ესე, ნუცა რა არს სოფლისა ამის“. იონანე ლეთის-მეტყველი და მახარებელი თვისთა კათოლიკეთა შინა ცხადად გამხილებს: „უკეთუ ვისმე უყვარდეს სოფელი ესე—არა არს სიყვარული მამისა მისთა-ნა“. რადგან ამას სოფელსა მინდობილ ხარ, ცხადად იხედვება, რომ ძრისტესგან შორს ხარ, ვითარცა ბრძანებს შფალი იცხოვრობ: „ვერ ძალ უძს ორთა შფალთა მონებად“. მგების ვინმე კითხუა ჰყოს და იძიოს: რასათვის არა დაზავდება მოწაფეობა ძრისტესი და სიყვარული სოფლისა? ნაცვალს კითხუას მეც წინა უყოფ: რასათვის ცეცხლი და წყალი ურთიერთარს არ დაზავდება? მიზეზი ეს არის—ერთმანეთის წინააღმდეგომნი არიან. მგრეთუც ძრისტეს მოწაფეობა და სოფლის სიყვარული ერთმანეთის წინააღმდეგომნი და დაუზავებელნი არიან, თუ ვითარ—გამოვაცხადოთ. სოფლის სიყვარული განსუტნებას და ფუფუნებას შემოიღებს, და განსუტნება და ფუფუნება ამას სოფელსა შინა ძრისტეს მოწაფეთაგან უცხო არის; არათუ მოწაფეთაგან კაცობრივის ბუნებით, თვით შფლისა და მოძღვრისა იესოსაგან შორს იყო განსუტნება ამას სოფელსა შინა, ვითარ იგი ხმობს თავისა თვისისათვის: „არა აქტეს ძესა კაცისასა სადა თავი მიიღრიკოს“; და მოწაფე ძრისტესი მოციქული ხმობს: „ქირნი

ავაზაკთაგან, ქირნი ძმათა მტყუართაგან“. ზულის კმის-ყოფით მიხედვე თქმულთა ამათ, თუ დაზავდება ძრისტეს მოწაფეობა და სოფლის სიყვარული, ერის მთავრის მორჩილებას შემოიღებს, და ერის მთავრის მორჩილება სოფლიურს ამაოვებაში ძრისტეს მოწაფისაგან შორს არის, ვითარ იგი ხმობს მოციქული: „არაეინ მოღვაწე შეეყოფვის სოფლისა საქმეთა, რათა ერისთავსა მას სათნო ეყოს“. **ღ**ა მოციქული პეტრე უფროსად განაცხადებს და იტყვის: „უკეთუ კაცთა სათნო ვეყოფოდე, ძრისტეს მონამცა არა ვიყავ“. სოფელსა შინა სამი რამ სიხენეშე არის: სიძვა, გულის თქმა სიძვისა და ამპარტავენება. ამათ სამთავე განაცხადებს **ი**ოანე მოციქული და მახარებელი თვისთა კათოლიკეთა შინა და იტყვის: „სამნი ესე არიან სოფელსა შინა—გულის-თქმა კორცთა, გულის-თქმა თვალთა და სილაღე ამის ცხოვრებისა“. ამათ სამთა ვნებათაგან აყენებს **შ**უალი შედგომილსა თვისსა, და პირველისათვის უბრძანებს წინასწარმეტყველისა მიერ: „წმიდა იყვენით, რამეთუ მე წმიდა ვარ“; და მეორისათვის ბრძანებს **შ**უალი **ი**ესო: „რომელმან მიხედა დედაკაცსა მრუშებად, მანვე იმრუშა გულსა შინა თვისსა“; და მესამისათვის კვალად ბრძანებს **შ**უალი **ი**ესო: „ყოველი მალალი გულითა კაცთა შორის, საძაგელ-არს წინაშე **ღ**ვთისა“; ამათ სამთა ხენეშთა საქმეთაგან უდიდესის ყენებით **შ**უალი გაყენებს, და ეს სამი სიხენეშე სოფელსა შინა არს. **მ**აშასაღამე, თუ ძრისტეს **ღ**ვთისა ქეშმარტი მოწაფე მონაზონი-ხარ, სოფლის ვნებისაგან ყოველითურთ უნდა ივლტოდე, ვითარცა მაკუდინებელისაგან გესლისა. პირველითგანვე მივხედოთ, თუ მონაზონების სახის მაჩუქნებელნი სოფლისაგან როგორ განშორებულნი იყენენ. **ი**ლია დიდი წინასწარმეტყველი ხალენითა მოსილი, რომელიც **შ**ულის მონებისათვის ასე განშორებულ იქმნა სოფლისაგან, მხოლოდ ყორნისაგან მიიღებდა საზრდელსა. მეორედ-**ი**ლიად სახელდებული, დიდი **ი**ოანე ნათლის-მცემელი, სოფლისაგან ასე უცხო იყო. ძრისტე **შ**უალი ბრძანებს მისთვის: „მოვიდა **ი**ოანე ნათლის მცემელი, არცა

სჯამდა, არცა სმიდა“. **მ**იცი ამას იტყვი, ჩემის უღირსებისა მომართ: „არ უნდა ვსჯამოთო და ვსვათო“. **მ**ე უღირსი თქუ-
ლნდა მომართ, ამის თქმას ვერ ვიკადრებ, რომ არცა სჯამოთ
და არცა სვათ; მაგრამ მოციქული გაყენებს ქამისაგან და გე-
ტყვის: „უკეთუ ვისმე საქმის არა ნებავენ, ნურცა ჰსჯამნ“.
ჰსჩანს მოციქულის სიტყვისაგან: თუ საქმე მოღვაწებისა არა
ვნებავენ, არცა უნდა ჰსჯამო. ჭვალად მოციქული ასე იტყვის:
„არა აღუკრა პირი ხარსა მეკალოესა“; შენთვის არის ეს სი-
ტყვა, თორემ პირუტყვისათვის არ არის. **თ**ვით მოციქულის
სიტყუა აცხადებს და იტყვის; „არათუ ხართათვის რაჟმე ზრუ-
ნვა ედვა“; რადგან შენთვის არის ეს სიტყუა, თუ სათნოების
კალო, მუშაკობა და ღუწა არა გაქტს, სამართალი არის, პირი
აკრული უნდა გაქტნდეს მარხვისა მიერ, და არ უნდა სჯამდე.
ისმინე ჭეშმარიტი: უქმისა ჭამა არა განწესებულ-არს. **თ**უ ამას
იტყვი: „ნივთიური კაცი, თვინიერ საზრდელისა, ვითარ იცო-
ცხლოს?—სათნოების მუშაკობა ჰყავ და მერმე მიიღე საზრ-
დელი. **მ**ოციქულის პირით გიპრძანებს: „არა აღუკრა პირი
კარსა მეკალოესა“, და თუ ამისი ზრუნვა გაქტს, რომ არ გე-
პოება რა: **ი**ლია უპოვარი იყო, მაგრამ უფალმან ყორნისა
მიერ გამოზარდა;—შემძლებელი არის, რომ შენც გამოგზარ-
დოს. **თ**უ კიდევ ამას იტყვი: **ი**ლიას ოდენი ღირსება მე არა
მაქტს,—აქ კიდევ სხუა სანუგეშო მაგალითი მოვილოთ: **მ**რი-
სტემან მცირითა პურითა მრავალი ერი გამოზარდა; თუ მრავალი
მცირის პურით გამოზარდა, უეჭველად შენ ერთს უფრო
გამოგზარდის მცირის პურითა; და თუ კიდევ შესძენ და
იტყვი: რადგან სოფელი დავუტევე, მცირედი პურიც არ მე-
პოება, რომ განმიმრავლოს **მ**რისტემან და აღმავსოს; ამისი სა-
ნუგეშოც სხუა მაგალითი მოვილოთ საღმთოს წერილიდამ:
ღანიელ უფლისა ღვთისათვის ლომა ღვიმეში შემწყვედულ
იქმნა; **ღ**ანიელისათვის იქ საზრდელი ყოვლითურთ უპოვარი
იყო; ამბაკომ წინასწარმეტყველს მუშაკთან საზრდელი მოაქუ-
ნდა; უპყრა ანგელოზმან ამბაკომს, და ის საზრდელი ამბაკო-

მის ხელით ანგელოზჰან ღანიელს მოართვა. მგრეთ შენ, უფლისა ღვთისათვის ლომთ ღვიმეში, ესე იგი ეშმაკის ბრძოლის განსაცდელში ხარ და მას კეთილად ითმენ; დიდისა მამისა ზრახვისა ანგელოზი უფალი იესო ძრისტე უპყრობს ერთს ვისმე ღვთის-სათნო კაცს და მისის კელით მოგცემს საზრდელსა და გამოგზრდის ხორცითა, ხოლო სულითა აღგავსებს საუკუნოჲთა კეთილითა, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 20. საყროგნებისათვის.

მაცხოვარი ჩჳსნი, უფალი იესო, თვისთა მოწაფეთა ასწავებს ჯეროვნისა საზრდელისა თხოვად, ესრეთ: „პური ჩჳსნი არსებისა მომეც ჩჳსნ დღეს“. უფლის სიტყვა ოთხს რასმე აცხადებს: პირველად, რომელიც ცთომამდის კაცთა ბუნებას საზრდელი აქჳნდა ანგელოზებრი და მათებრ ღვთის-ხედვით იზრდებოდა, ვითარ იგი კმობს წინასწანმეტყველი ღავით: „და პური ანგელოზთა სჳამა კაცმან“. ამას საზრდელსა აცხადებს და გვიბრძანებს მისვე ანგელოზთა საზრდელისა თხოვად და თქმად ესრეთ: „პური ჩჳსნი არსებისა მომეც ჩჳსნ დღეს“. მეორედ, აცხადებს ხორცსა და სისხლსა ძრისტესსა, და ეს არ-

ის ჩუნი სიტყვიერის არსების შესამსგავსი პური, რომელიცა შეგვაერთებს ძრისტესა ღმერთსა, ვითარ იგი გიბრძანებს უფალი იესო: „რომელი სკამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგრომილ არს და მე მისთანა“; და ამის უკდავ-ყოფელისა პურისა გვასწავებს თხოვად: „პური ჩუნი არსებისა მომეც ჩუნი დღეს“. მესამედ, აცხადებს დღითი დღე საზრდელად ჩუნიდა მოცემულსა პურს, და ამისადაც თხოვად გიბრძანებს. მეოთხედ, აცხადებს მტაცებლობისაგან შორს ყოფას, და მხოლოდ ღვთისაგან თხოვით მოღებას გვამცნებს და თქმას: „პური ჩუნი არსებისა მომეც ჩუნი დღეს“. ძიდევ სხუა სამი რამ ძალი აქუს ამას სიტყუთასა. მართი ესე: დღითი დღე წარმავალის საზრდლის მოღება. ჩუნი ცოდვის მიზეზი არის, თორემ ღმერთს ანგელოზებრი ცხოვრება ენებებოდა ჩუნითვის, მაგრამ ის პატივი ჩუნი ვერ დავიშარბეთ, ამისთვის პირუტყვის მსგავსად საზრდლის მოღება დაგვესაჯა, ვითარ იგი კმობს ღვით: „კაცი პატივსა შინა იყო და არა გულის-კმა ჰყო; ბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ“, რადგან ჩუნი ცოდვისათვის ჩუნი მოგებული არის, ამისთვის ითქმის „პური ჩუნი“. მეორე ესე, რომელიც ჩუნი არსებას ეხმარება, მას უნდა მოვიღებდეთ და ნაყროვნება ჩუნიგან შორს უნდა ვჰყოთ. ამისთვის ითქმის: „პური ჩუნი არსებისა“. მესამე: რომელსა დღესა შინა ვართ, მის დღისა საზრდელი უნდა ვითხოვოთ, და ხვალისათვის არ უნდა ვზრუნვიდეთ, ვითარ იგი გიბრძანებს უფალი იესო: „ნუ ზრუნავთ ხვალისათვის“; ამისთვის ითქმის: «მომეც ჩუნი დღეს». ძიდევ მეოთხე ძალა აქუს, უფლის ბრძანებულს: რომელიც დღითი დღე საზრდელი უფლისაგან მოვილოთ, მხოლოდ ჩუნითვის არ უნდა გვენებებოდეს, საერთო უნდა იყოს ყოველთა ძმათათვის. ძრისტეს მოწაფეთა ასე უტუნის, გესმისა, თუ ძრისტეს მოწაფენი როგორ იქცეოდენ? ლუკა ჰსწერს საქმესა შინა მოციქულთასა: „არცა ერთმან ვინ ჰსთქუას, მონაგები თვისი თვისად“. თუ ძრისტეს მოწაფე ხარ, შენც ასე საზო-

გადოდ უნდა გაქჷნდეს ყოველივე; **შ**ფალი **ი**ესოც ისე გასწავებს, ასე არ უსწავებია: „მომეც მე დღეს“, ასე გასწავა: „პური ჩჷსნი არსებისა მომეც ჩჷსნ დღეს“. **ც**ხადად ჰსჩანს, საზრდელი **შ**ფლისაგან მოცემული საერთოდ უნდა იხმარებოდეს ძმათათვის. **რ**ადენიც ჩჷსნს უნდოებას ძალ-ედვა, მცირედ **შ**ფლის სიტყვის ძალი გამოვაცხადეთ, შემდგომად დღეს რომლისაც მეტყველება გვეგულვებოდეს მისთვის ვიწყეთ მეტყველება.

დღეს ჩჷსნი ჰაზრი კორციელის პურის და საზრდელისათვის არის, რომელნიც ბოროტად ითხოვენ საზრდელს და კეთილად ლეთისაგან მოცემულს ბოროტად შეცვლიან. მინ არიან ესენი?—**ნ**აყროვანნი: ისინი ითხოვენ ბოროტად. **თ**უ ვითარ—გამოვაცხადოთ. **ჭ**რისტეს ლეთისაგან სწავებული თხოვა ეს არის: „პური ჩჷსნი არსებისა მომეც ჩჷსნ დღეს“. **ნ**აყროვანს საზრდელი სულისა და ხორცისა განსაკრწნელად ჰნებავს და არა არსების დამცველად; ამისთვის რომ ნაყროვნება სულსა და კორცს ორსავეს განხრწნის: ხორცს განჰხრწნის ნაყროვნება სნეულებითა, როგორც მკურნალნი იტყვიან; სულსა განხრწნის, ვითარ იგი განსაზღვრებს **ი**ოანე სინელი: „ნაყროვნება დედა არს სიძვისა“. **ნ**აყროვანს **ჭ**რისტესგან მოცემული ლოცვა არა აქტს. ამისთვის **შ**ფალი **ი**ესო ბრძანებს; „რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, იგი მრავალსა ზედა ცრუ არს“. **ნ**აყროვანი ლექსით მცირესა ამას სიტყვასა ზედა: „პური ჩჷსნი არსებისა მომეც ჩჷსნ დღეს“, ამას ზედა ცრუ არის, ამისთვის რომ ბოროტის ნაყროვნებისათვის ითხოვს. მაშასადამე ყოველს **ჭ**რისტეს მოცემულს ლოცვაზედ ნაყროვანი ცრუ არის; და ნაყროვანი თუ მაშინც ორგულებით ილოცავს, ვითარცა ფარისეველი, ვერას მიიღებს, ვითარ იგი იტყვის **ი**აკობ მოციქული: „ითხოვთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვთ“. სჩანს ქეშმარიტის სიტყვისაგან, **ჭ**რისტეს მიერ მოცემული ლოცვა ნაყროვნისაგან შორს არის. რადგან ლოცვა შორს არის მისგან, თვით ნაყროვანიც **ჭ**რი-

სტეს სიყვარულისაგან შორს არის. სწორი სიცხადე მიესცეთ ამას. **შფალი იესო** ბრძანებს: „რომელსა უყვარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხოვ“. ნაყროვანი ძრისტეს მცნებას არ იმარხოვს, რომელ არს პური ჩუქნი არსებისა, დასაცველად არა მიიღებს, უფროსად განსახრწნელად, ვითარცა ზემო ვსტქუ; უეჭველად ძრისტეს სიყვარულსაც არ იმარხოვს და შორს არის მისგან. **ღა** რადგან ძრისტეს სიყვარულისაგან შორს არის, ეშმაკის სიყვარული მახლობლად და თან შეკრულად ექმნება; აცხადებს ამას პირველად **შფლის იესოს** სიტყუა, ვითარ იგი ბრძანებს: „ერთი იგი მოიძულოს და სხუა იგი შეიყვაროს“; მეორედ, თვით ნაყროვანის საქმე აცხადებს: ნაყროვანი, რომელიც **ღმერთს** უყვარს, განაგდებს და რომელიც ეშმაკს ჰნებავს, მას ჰყოფს. **ღმერთს** მარხოვს ჰნებავს, როგორც ეს პირველითგანვე ცხადი არის, ვითარცა **ადამს** მისცა სახე მარხოვისა და ჰრქუა: „არა სჰამო“; და **ისაიას** პირით ბრძანებს: „წმიდა ჰყავთ მარხოვა“; უკანასკნელ თვით ძრისტემან აღასრულა და იმარხოა ორმეოცი დღე. **მს** ღვთის სიყვარული მარხოვა ნაყროვანს განაგდებული აქუს და რომელიც ეშმაკს ჰნებავს, მას ჰყოფს. **ეშმაკს** კაცისა შორის ყოფა ჰნებავს, ვითარცა ბრძანებს **შფალი**: „შევიდის და დაიმკვიდრის კაცისა მის შორის“; ნაყროვანსაც ეს ჰნებავს, ეშმაკი მის შორის იყოფს და არა განვიდეს. **ეშმაკი** თვინიერ მარხოვისა არ განიდევენება ვითარ იგი ამტკიცებს **შფალი**: „არა რათ განვალს ნათესავი ესე, გარნა მარხოვითა და ლოცვითა“. ნაყროვანს მარხოვა არ ნებავს, მაშასადამე ეს ჰნებავს, ეშმაკი მის შორის იყოფს. **მსე** ცხადი შეიქმნა: ნაყროვანი ძრისტეს მოიძულეებს და ეშმაკს შეიყვარებს. **ზემო** თქმულთა მიზეზთაგან არის ამისი სიცხადე.

აწ ერთი რამ უნდა ვაცნობოთ ნაყროვანს: ის თავის თავს სიტყვიერად და გონიერად გონებს, და პირუტყვისაგან უფრო სიხენეშეში არის. პირუტყვთა როგორც **ღმერთმან** გაუჩინა საზრდლის მიღება, ისინი ისე მიიღებენ. ნაყროვანი **ღვთის** განჩინების მსგავსად არ მიიღებენ საზრდელს; **ღმერთმან** ამისთვის მოსცა საზრდელი და ამისთვის განუჩინა

ხორცის არსება კეთილად დაცულ იქმნას. ნაყროვანი არსების დამცველად არ ხმარობს საზრდელს, უფროსად სულთა და კორცთა მავნებელად, ვითარცა ზემო ვთქუთ. ძაცს რომ საზრდელი მოსცემია ლეთისაგან, ნაყროვანი ისე არ ხმარობს საზრდელს; მოცემულისაგან გარეშე სხვად რადმე ბოროტად ჰხმარობს. ლმერთმან კაცს საზრდელი მისაღებელად მოსცა, ვითარცა ჰრქუა ადამს: „**მ**ფლითა პირისა შენისათა სკამდე პურსა შენსა“. **შ**ფლისა სიტყუა ასე არის: „სკამდე“; ნაყროვანი რომ მიიღებს, მას ჰამა არ ეწოდება: საძაგელი შთაყრა ეწოდება, ვითარცა იტყვის მიხითარ ფილოსოფოსი: „ნაყროვანთა ამისთვის ეზედწოდა ნაყროვან, ვინათგან შთაყრიან ნაყარსა მუცელთა შინა თვისთა“. სიტყუვიერმან კაცმან ჰამა არ უწყოდეს, საძაგლად რადმე ჰყრიდეს თავის თავში, ამისგან უფრო უშუტარი რა უნდა იქმნეს! მაგრამ უდიდესი და უსაშინელებისი უშუტარება ჰსჩანს ნაყროვნისა შორის; ეს უშუტარება ჰსჩანს: ნაყროვანი ყოვლითურთ ეშმაკის მსგავსი არის; ეშმაკს ლეთის მცნება ჰსძაგს,—ნაყროვანსაც ლეთის მცნება (ესე იგი მარხუა) სძაგს; ეშმაკს სძულს კაცი, ნაყროვანსაც სძულს კაცი ამის შიშისათვის—საზრდელი არ მიუღოს; ეშმაკი ლეთისა მიერის ნითლისაგან ივლტის და ჰსძულს; ნაყროვანიც ნათლისაგან ივლტის და ჰსძულს. **ს**ხადად **შ**ფალი **ი**სსო ამხილებს: „ყოველი, რომელი იქმს ბოროტსა, ჰსძულს მას ნათელი, და არა მოვალს ნათლად, რამეთუ არა ემხილნენ საქმენი მისნი ბოროტნი“. ჰსძულს ნაყროვანს ნათელი, ამისთვის რომ მისი ბოროტი ნაყროვნება არ ემხილოს. ნაყროვანი ჰგონებს, მეტი საზრდლის ძიება განსუტნება რამ იყოს; მაგრამ განსუტნება არ არის, უფროსად სატანჯველის მომცემელი არის, თორემ ჩუტნ მიერ მოღებულს სახეს მოხედეთ: ადამ, პირველმან კაცმან მეტი საზრდელი იძია, რომელიც მისს არსებას არ ეხმარებოდა; მეტი საზრდლის ძიებამან არა თუ განსუტნება—მოუთმენელი სატანჯველი მისცა; ესმა: „ოფლითა პირისა შენისათა სკამდე პურსა შენსა; მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც!“ **მ**გრეთუტ

ნაყროვანი მეტის საზრდლისა ძიებით არა განსტყნებას ჰპო-
ებს—სულით და ხორციით სატანჯველს მიეცემა. როგორც
ძილში მპარავი მოვიდეს და კაცის დიდება ყოველივე წარტ-
ყვენოს, ეგრეთჲც ნაყროვნებაში მყოფს სიკუდილი უგრძნუ-
ლად წარსტყტნავს. ამისთვის მაგალითი საღმრთოს წერილი-
დამ მოვილოთ. ნოეს ჟამში ჴამისა და სმის შექცეულნი იყ-
ვნენ, ვითარ იგი ბრძანებს უფალი იცნო: „სჴამდენ და სმი-
დენ“; მოიწია წყლით რღუტნა და წარიღო ყოველი. ეგრეთჲც
ნაყროვანი ჴამისა და სმის შექცეული რომ იქმნება, მოვა სი-
კუდილის რღვნილება და სულით და ხორციით წარღვნის და
ოხერ ჰყოფს. მაშინ უსჯულოთა კაცთა და უმართლოთა კი-
დობანმან ვერა არგოს რა.—ეგრეთჲც ნაყროვნებაში მყოფს
კაცს სახედ კიდობნისა აღშენებული ეკკლესია ვერას არგებს.
მგების ეს ვინმე იიჴყვნოს და სთჴჯას: საზრდელის მიღება რა
ცოდუთა არის? საზრდლის მიღება ჯეროვანი ცოდუთა არ არის,
ვითარცა ბრძანებს უფალი: „არა თუ პირით შემავალი შეა-
გინებს კაცსა“. მაგრამ ნაყროვნება მიღება არ არის, საძაგელი
რამ შთაყრა არის, ვითარცა ზემო ფილოსოფოსის სიტყვით
დავამტკიცეთ; და ამისთვის არა თუ მცირე რამ ცოდუთა არის,
საშინელი რამ ძნელი ცოდუთა არის, ორის მიზეზისათვის. პირ-
ველად ამისთვის: მარხუთა ეშმაკის მკუღლელი არის, ვითარცა
იტყვის წინასწარმეტყველი ისაია უკეთურთა ეწმაკთა მიმართ:
მოსრას სიყმილმან ნათესავი შენი“; თუ სიყმილი მკუღლელი
არის, ნაყროვნება განმაცხოველებელი და განმადლიყრებელი
იქმნება ეშმაკისა, ამისთვის მეტად ძნელი რამ არის. მეორედ,
იოანე ხინელი იტყვის: „უკეთუმცა დედუფალსა ემთავრო, ყო-
ველმან დასაჯდომელმან გმონოს შენ“, —დედუფლად მუცელს
იტყვის. ძალი ეს არის: თუ ნაყროვნებასა ჰსძლევ და ემთავ-
რები, ყოველი ბოროტი შენ მიერ ძლეული იქმნება. თქმულ-
თა ამათგან ჰსჩანს, თუ ნაყროვნებას ვერ ჰსძლევ, ვერა რასა-
მე ბოროტსა ვერ ჰსძლევ. ამისთვის ნაყროვნება მეტად მძიმე
არის და საძაგელ. და რადგან ესეოდენი ვნება და სიმძიმე

აქტს ნაყროვნებას, მიზნში რაჲ არის, კაცი რომ ნაყროვნებას. არ განეშორება? მეგობის ჰსტყუას ვინმე: სურვილი ძნელი რამ. დასათმენი არის, და საზრდლის სურვილი მაქტს, ამისთვის ნაყროვნებას ვერ განვაგდებ. აქ ორი რამ აღმოჩნდება. მართი—სწორედ პირუტყვის მსგავსება: პირუტყვს რისაც წადილი აქტს, ის წადილი არ აღასრულოს, არ ძალუძს. შენც თუ პირუტყვის მსგავსად მქცევი იქმნები! მეორე ესე: რადგან წადილს ვერ დასთმობ, ყოველს ცოდუას წადილი სდევს, მაშ ყოველს ცოდუას უნდა ასრულებდე, და ყოველის ცოდვის აღსრულება, ეშმაკის მსგავსად, ლვთის მოძულედ აღმოგაჩენს. მშმაკიც ყოველს ბოროტს მოქმედებს, და თუ წადილს ვერ დააყენებ—შენც ყოველს ბოროტს უნდა მოქმედებდე. მიხედე, თუ რა უჯერობაშიდ ხარ! ცხადად ძრისტეს ლვთისაგან განშორებული ხარ, რადგან ეშმაკს მიემსგავსე ყოველის ბოროტის აღსრულებითა: ძრისტესთან მკვიდრობა აღარა გაქტს, არცა ძრისტეს მოწაფესთან: გესმისა მოციქულთაგან, ეშმაკის მიმსგავსებულს სიმონ მოგვეს რა უთხრეს: „არა გიძს ნაწილი, არცა სამკვიდრებელი ჩტანთანა“. მიხედე, თუ რაოდენს ძნელს უბადრუკებას მოიღებს შენზედ ნაყროვნება! ლვთისა მამისა მცნება რომ აღასრულო, არად შეგგრაცხება, თუ ნაყროვნებას ექცევი; ლვთისა მამისა კურთხევისაგან, უცხო და განშორებული გყოფს; ლვთის-მშობელისა მარიამის მეოხებას შენგან შორს ყოფს; ლვთისა მიერ მოძულეებული შეიქმნები, სულით და კორცით დაბნელები. თუ ვითარ—საღმრთოს წერილიდამ მოვილოთ ამისი მაგალითი. მსავემან ნაყროვნების სახე აჩტანა და თავის ძმას იაკობს მცირის საზრდლისათვის პირმშოება მისცა. აწ ეს ვსცნათ, ნაყროვნების შემდგომად მსაფროგორ ყოველითურთ დააბნელა: მამის მცნება აღასრულა, უნადირა ნადირი და შემოუგბო, ვითარცა უყვარდა მამასა, მაგრამ უხმარი შეიქმნა. მამამან პირმშოების კურთხევა არ მისცა. ლედის შეწევნა არ აქტნდა მსავეს, უმცირესის ძმის იაკობისთვის ილტწილა რებეკა. ლვთისა მიერ მოძულეებული შეიქმ-

ნა მსავე, ვითარ იგი ჰსთქუა ლმერთმან: „მსავე მოვიძულე, ხოლო იაკობი შევიყვარე“. ამისთვის მსავე დაბნელდა სულით და კორციით. მგრეთუბ შენც, მსავეის მსგავსად, თუ ნაყროვნებას შეუდგები, ლეთისა მამისა მცნება რომ აღასრულო, შენტვის უხმარი არის, ამისთვის რომ რადგან ნაყროვანი ხარ, სასუფეველის პირმშობებას არა მოგცემს. აღარც ლეთის მშობელი შენდა შემწედ იქმნება,—რომელიც მმართველი არის, მას შეეწევა; და როგორც რებეკამ იაკობს ცხვრის ტყავი მოხვია, მამას ისე უჩუბნა და იაკობს მამისაგან კურთხევა მოუპოვა,—ეგრეთუბ ლეთისმშობელი მარიამ, რომელიც მმარხუბლი არის, არა თუ უსიტყვის ცხოვრების ტყავს კრავად წოდებულის ისსოს მადლს მოხვევს, მამასა ლმერთსა ის უჩუბნებს და საუკუნო კურთხევას მოატყუბს; და ნაყროვანი, მსავეის მსგავსად, განგდებული და მოძულეებული შეიქმნება, სულით და ხორციით დაბნელდება. მგების ვინმე ჩემდამო ყუბდრება ჰყოს და ჰსთქუას: „ხორციელს კაცს საზრდლის მიღებისაგან გვაყენებს“. —საზრდლის მიღებისაგან არა ვაყენებ, ნაყროვნებისაგან ვაყენებ. ნაყროვნება საზრდელი არ არის, უფროსად უმუბტრუბა და ხრწნილება არის სულისა და ხორცთათვის, ეს ზემო განვაცხადეთ და ვსთქუთ. საზრდელი, ვითარცა მრისტემან გასწავა თხოვად, ის არის: „პური ჩუბნი არსებისა მომეც ჩუბნდღეს; ნაყროვნება არსების საზრდელი არ არის, სხუბ რამ მეტი უჯეროება არის. მაგრამ რადგან შენ საზრდელად ჰხადი, მცირედ ჟამ სათნო ვეყოფვი შენს სიტყვას და მეც საზრდელს ვუწოდებ, ასე შევრაცხოთ, საზრდელი იყო. საზრდელსაც რომ მოშორდე, წარმატების მეტი არსებას არა დააკლდება რა, თორემ საძაგელის ნაყროვნების განშორებით რომელი ნაკლულევანება უნდა იქმნეს შენზედ? ლავამტიცოთ ეს, რომ საზრდლის მოშორება სიტყვიერს არსებას უმეტესად განაშვენებს. სადამდის პირველი მამა აღამ ნიეთიურის საზრდლისაგან განშორებული იყო, მადამდის ანგელოზთა თანა მოდასე იყო; როდესაც ნიეთიურს საზრდელს შეეხო—პირუტყვთა თანა აღი-


რაცხა, თქმისაებრ წინასწარმეტყუტლისა ღვთისა: „ბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ!“ მგების აქ ვინმე კიდევ წინააღმდეგომი სთქვას: „ცთომილს კაცობრივს ბუნებაში მყოფს საზრდლის მოშორებება არ ძალ-უძს“. ღვარღვიოთ წინააღმდეგომის სიტყუა და ესთქუათ: ნათლისმცემელი იოანე ცთომილის კაცობრივის ბუნებისა იყო; მაგრამ საზრდლისაგან ასე განშორებული იყო, უფალი იცნო მისთვის ასე ბრძანებს: „მოვიდა იოანე ნათლისმცემელი, არცა სჯამდა, არცა სმიდა“. აწ ჩვენ ესე ესთქუათ: თუ სრულიად საზრდლისაგან განყენება არ ძალ-გიძს, ვითარცა ნათლისმცემელსა, სხუა მქამელსა და მსმელს გიჩუანებ, და მას მიემსგავსე. მკითხავ: ვის მიჩუანებ? მიჩუანებ მოძღუარსა შენსა, იცნოს: იგი სჯამდა და სმიდა, ვითარცა თვით ბრძანებს: „მოვიდა ძე კაცისა, სჯამს და სვამს“. მკცი აქაც მიზეზს დასდებ და იტყვი: ძრისტე ღმერთი იყო, და ღვთის საზომზედ ვინ უნდა მიიწიოს.—სხუა სახე მოგართუა კიდევ. მოციქულნი შენებრნი კაცნი იყვნენ: სჯამდენ, სმიდენ, ნაყროვნებას არა ჰყოფდენ, მაგრამ კეთილად იზრდებოდენ. მგრეთუც შენ სჯამე, ჰსუ და ნაყროვნებას ნუ ჰყოფ, მაშინცა კეთილად გამოიზრდები; და თუ მაშინც უჯგორობას არ დააცხრობ და ნაყროვნებას არ განაგდებ, ცხადად ჰსჩანს, არც სიძვას განაგდებ, ამისთვის რომ ნაყროვნება სიძვას წარმოშობს, ვითარცა იტყვის იოანე სინელი: „ნაყროვნება დედა არს სიძვისა“; და თუ არა ირწმუნებ, სახეებს მოგართმევ ძველის წერილიდამ, რომ ნაყროვნებაში უთავრდომილი, უეჭველად ცოდუასა შინა უთავრდომილ იქმნა. ვითარცა მსაც უთავარდა ნაყროვნებაში—უთავარდა ძმის სიძულილსა და მტერობაში. უთავარდა ნაყროვნებაში ლოთ, და ნაყროვნებისაგან უთავარდა საძაგელს ბილწებაში; ჰქმნეს ისრაელთა ნაყროვნება,—და შეიბილწნენ ცოდვითა და უთავარდნენ რისხუასა შინა ღვთისასა. და მხოლოდ შენ ნაყროვნებაში მყოფი ცოდვისაგან განერები? ეს მოგონება ცთომილი არის და არა ჭეშმარიტი. აღმოჩნდა ჭეშმარი-

ტებით ნაყოვნება, თვით მომაკუთღინებელი ცოდუა, სხუას ცოდუას წარმოშობს, ესე იგი სიძვას და სხუათა ცოდუათა. ღა რადგან ასე მძიმე არის ნაყოვნება, განეშორე, თორემ ქუცსკნელთა შინა ჯოჯოხეთისათა დაგანთქამს. მეგების სასო-
ვება გაქტუნდეს რომლისამე, ანუ სიმდიდრისა, ანუ თვისისა—
ვერა რომელიმე ვერ ვიხსნის; ვერც სიმდიდრე, ვითარცა იტ-
ყვის ბრძენი სოლომონ: „არად სარგებელ ეყენენ მონაგებნი
უსჯულოთა დღესა შინა საჯელისასა“; ვერც თვისი ვიხსნის,
ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ღავით: „მამამან ვერ იხ-
სნას“. **თუ** ამას იტყვი, ღვთის მოწყალებას და მისთა წმიდა-
თა მეოხებათა და შუამდგომელობას ვესავე, აქ ძველის წერი-
ლიდამ ერთი მაგალითი უნდა მოვიღოთ. ბილწებისათვის
ღმერთი სოდომს და ზომორს განურისხნა; ღიდმან აბრაჰამ
ღვთისა მიმართ მათთვის შუამდგომელობა და მეოხება იწყო,
ესე ვითარისა სიტყვით: „ნუ წარსწყმედ მართალსა უღმრთო-
სა თანა“. **შვალმან** უბრძანა: მას ქალაქსა შინა თუ ათს მარ-
თალსა ეპოვებ, ეპრიდებ“; მას ქალაქსა ათი მართალი ვერ იპო-
ვა ღმერთმან და ცეცხლითა დასწენა და დააქცივნა. **აწ** ეს უნ-
და ხმა ჰყოთ: იქ სოდომსა და ზომორში ათი მართალი იძია,
ვერ ჰპოვა და რისხვით წარსწყმინდა; შენ რადგან ნაყოვნე-
ბაში ხარ. ერთს მართალსაც ვერ იპოვებ შენ შორის ღმერ-
თი, და ან ღმერთმან ვითარ უნდა შეგიწყალოს? ანუ წმიდა-
თა შენთვის მეოხება ვითარ ჰყონ? ღმერთმან რაჲ შენ შორის
მართალი იძიოს, მიჰტანე რომელი არის შენ შორის მართალი?
რომელი საგრძნობელი გაქტეს შეუგინებელი? რადგან ნაყოვნე-
ბაში ხარ, ყოველივე შენი საგრძნობელი შეგინებული
არის!

თუ იძიებ, როგორ არის შეგინებული, ეს ჩემ მიერ მტკიცედ
აღმოიჩინა, რომ ნაყოვნება სიძვის დედა და წარმომშობელი
არის. რომელი საგრძნობელი იქმნება, რომ ამათ ორთაგან არ
შეიგინოს? ხედვა ბოროტის გულის-თქმით ხედვისაგან შეიგი-
ნება, სასმენელი—სიძვის სიტყვისაგან, შესახებელი და სასყი-

დელი—ნაყროვნებით მიღებული საზრდლის გემოვნებისა და სუნისაგან. ჰსჩანს, რომ მართალი საგრძნობელი არ იპოება შენ შორის, როგორც სოდომისა და ზომორისა შორის არ იპოვებოდა. ამისთვის მოიწევა შენზედ რისხუა ლეთისა და დაქცევა სულით და ხორციით. ხედავ, საყვარელო, ნაყროვნების ტრაპეზიან და საზრდელმან სულით და ხორციით ყოვლითურთ დაგაბნელა! მოეგე გონებას, აღსდევ ნაყროვნების ტრაპეზისაგან, მოიძიე სხუა ტრაპეზი სულთა და ხორცთა განმანათლებელი! თუ ვითარ—მაგალითი გიჩუტნო: უძღვები შვილი სახიერს მამას რომ განეშორა, ასე გლახაკი შეიქმნა, თავისი გონება ღორთაგან ჭამას აწვევდა. მოეგო გონებას, ისევ სახიერს მამასთან მივიდა. მამამან ზვარაკი ჭამებული დაუკლა და ჭამადად მისცა. მგრეთუტ შენ, საყვარელო, მამასა ლმერთსა რომ განეშორე, ასე გლახაკი შეიქმენ, ღორთაგან ჭამასა ჰყოფ (ესე იგი მისებრ ნაყროვნებით იქცევი); მოეგე გონებას, აღსდევ ნაყროვნების ტრაპეზისაგან, მიხვედ მამისა მიმართ ლეთისა და ის ჭამებული ზვარაკი მიიღე, რომელი მამამან შენთვის დაჰკლა ხორციითა—შფალი იქსო ჰრისტე, რათა მისისა მიღებისაგან განათლდე სულით და კორციით, აწ და უკუნითი უკუნი სამდე. ამინ.





თავი 21. ვეცხლის მოყვარებისათვის.

მაცხოვარი ჩუქნი და უფალი გვასწავებს მეტყველი: „ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუკა ვეცხლსა“. ცხადი რამ არის რომ ბოროტს მოგებას აყენებს, თორემ კეთილად მოგებას არ დააყენებს. ძეგილად მოგებას რომ აყენებდეს, ოქრო და ვეცხლი უხმარი იქმნება: თუ კეთილი მოგება დააყენა, ბოროტი ყოვლითურთ უკუთქმული და დაყენებული არის, და ვითარ უნდა იქმნეს სახმარი? ღაბადებული სახმარი არ იყოს ერთს რასმე საქმეში არ იქმნება, ვითარცა იტყვის ღამასკელი იონა: „არა რაჲ არს დაბადებულთაგანი რაჲმე, რომელსა შინა არა დასდვა ღამბადებელმან სახმარება რაჲმე“; და რადგან სახმარი არის თითოეული—ვეცხლისა და ოქროსას ბოროტად მოგებას აყენებს, თორემ კეთილს მოგებას არ აყენებს.

საღმრთოს წერილიდამ მოვილოთ ამისი დამამტკიცებელი სახე და სიტყვა. ისრაელით მგვიპტიდამ გამოსლტა რომ ეგულვებოდათ, მაშინ ღმერთმან უბრძანა: თითოეულმან ისრაელმან მგვიპტელთაგან ითხოონ ჭურჭელი ოქროსა და ვეცხლისა, და გამოსლტაზხედ თან წამოილონ ყოველი ეგვიპტელთ

ჭურჭელი, ოქროსა და ვეცხლისა. ისრაელთ ჰყტმს ეს ბრძანება და მგვიბტის დიდება თან წაიღეს, ვითარცა ხმობს წინასწარმეტყველი ლავით: „და გამოიყვანნა იგინი ოქროთა და ვეცხლითა“. ხედავთ, კეთილი მოგება არა დააყენა ლმერთმან. კეთილი მოგება ვითარ იყო, თუ ამის ცნობა გნებავს, ესრეთ ჰსცან. შარაოს მეფე ისრაელთ ამუშაკებდა და სასყიდელს არ აძლევდა; ამისთვის სასყიდლად მგვიბტელი ოქრო და ვეცხლი მისცა ლმერთმან ისრაელთ. მიხედვით აქ, თუ დააყენა ლმერთმან კეთილი მოგება. ძიღვე ლვეტილნი ათისთავს მოიგებდენ, ლმერთი არ აყენებდა, უფროსად ამცნებდა ათეულის მიღებას, ვითარ იგი ხმობს მოციქული: „და რომელნი ლვეის ძეთაგანი მღუდულობასა მიიღებენ, მცნება აქუს ათეულისა მიღებად ერთისაგან“; კვალად იგი მოციქული ჰავლე არ აყენებს ჯეროვნად მოგებას და იტყვის: „უკეთუ ჩუტნ სულიერი დავთესეთ, დიდ-რამე არსაა, რათა ჩუტნ ხორციელი მოვიმკოთ“.

აწ ერთი სახე მისთვის მოვილოთ, თუ ვითარს მოგებას აყენებს ლმერთი. მლისეს მსახურმან, ბეზიმ, მისის უფლისა ნება არ იყო, ძე მოიგო ვეცხლი და დაისაჯა სულით და ხორცით; ეგრეთუტ რომელიც ძრისტეს მსახური, ამისს მსგავს ვეცხლს აღიღებ, რომელიც ძრისტეს ნება და ბრძანება არ არის, ბეზის მსგავსად სულით და ხორციით დაისაჯები. ძვალად ლმერთი ამის მსგავსს მოგებას აყენებს: მოღება გნებავს და მიცემა არა. მს ძრისტეს ლეთისა ნება არ არის; ძრისტე უფალი ასე გიბრძანებს: „ყოველი რაოდენი გინდეს, რათა გიყონ თქუტნ კაცთა, ეგრეთუტ თქუტნ ჰყვით მათდა მიმართ“. მე უღირსი ამა სიტყუტასა ესრეთ განვიმარტებ: ყოველი რაოდენიკ კაცისა ძრისტეს ლეთისაგან შენ გნებავს, ეგეოდენი ძრისტეს შენ უნდა მისცე, ესე იგი, გლახაკს, ვითარ იგი გამცნებს ძრისტე: „რაოდენი უყავთ ერთსა მცირეთაგანსა ძნათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“; და თუ ასე მოიგებ, რომ მიცემა აღარ გნებავს, ამის მსგავსის მოღებისაგან გაყენებს უფალი, ამისთვის

რომ საქმესა შინა მოციქულთასა ლუკა სწერს ძრისტეს მიერ ბრძანებულს და იტყვის: „თავადმან სთქუა, უმჯობეს არს მიცემა, ვიდრე მოღებისა“. ძველად ვსთქუათ განცხადებით, რომელს მოგებას აყენებს ლმერთი. აყენებს ლმერთი მპარაობით მოგებას, ვითარცა ამცნო მოსეს: „ნუ იპარავ“. ძიდევე სხუა მაგალითი მოვიდოთ. ისრაელთა შორის აქარქარიმის ძემან იპარა ოქრო და ვეცხლი და სიკუდილ დაისაჯა; ვგრეთუც, რომელიც მპარაობით ოქროსა და ვეცხლს მოიგებს, სულით სიკუდილს, ესე იგი საუკუნო წარწყმედას, მიეცემა. ძიდევე აყენებს ლმერთი ამის მსგავსს მოღებას: შენ ვეცხლი და ოქრო მოიგო და ერთი ვინმე უბრალო და გლახაკი შეაწუხო, საუკუნოდ დაისაჯები, ვითარცა იუდამან ვეცხლი მოიგო და უბრალო ძრისტე ვნებად მისცა; ვგრეთუც ერთს ვისმე, ანუ დიდს, ანუ მცირეს, ვნებასა და მწუხარებას მისცემ, იუდას მსგავსად დაისაჯები, თუ ოქროსა და ვეცხლის მიღების მიზნისათვის, ერთი ვინმე მწუხარებასა და ვნებას მიეცი. ძიდევე აყენებს ლმერთი ესე ვითარსა მოგებას: რომელთამე ჰურიათა მიიღეს ვეცხლი და დაფარეს ძრისტეს აღდგომა; ვგრეთუც შენ ვეცხლისა და ოქროსათვის ძრისტეს საიღუმლოს დაფარავ და კეთილად ერსა არ განუცხადებ,—ვინც ვეცხლისათვის ძრისტეს აღდგომა დაჰფარა, შენც მასთან აღირაცხები! იმანაც ძრისტეს საკვირველება დაჰფარა ვეცხლისათვის, და შენც საკვირველს საქმეებს ჰფარავ ვეცხლის მოყვარებისათვის და ერს კეთილად არ ასწავებ და არ განუცხადებ. ბაყენებს უფალი ესე ვითარის მოგებისაგან, როგორც ანანიამ მოიგო ვეცხლი და მცირედი მისცა ძრისტეს მოწაფეთა და მოციქულთა, სხუა დაუფარა; ამისთვის „ანანია დაეცა და სულნი წარხდეს“. მგრეთუც შენ ოქროსა და ვეცხლს მოიგებ, მცირედს რასმე მისცემ ძრისტეს მოწაფეთა და უმრავლესს დაუფარავ, ანანიას მსგავსად სულიერებრივად დაეცემი, და როგორც ანანიას სული სიცოცხლისა განეშორა, ისე შენგან სული საუკუნოსა სიცოცხლისა (რომელ არს სული წმიდა) განგეშორე-

ბა. იკითხავ: ყოველივე მას უნდა მივსცე, თუ რა ვჰყო? **მუ** ჰრისტეს მოწაფე ხარ, ესრეთ უნდა ჰყო: შენთვის და სხვათა ჰრისტეს მოწაფეთათვის საერთოდ უნდა იყოს შენი მოგებუ-ლი; მოწაფენი ჰრისტესნი ასე იქცეოდნენ, ვითარცა ჰსწერს **ლუკა** საქმესა შინა მოციქულთასა: „არცა ერთმან ვინ ჰსთქვის მონაგები თვისად“. **მგებ**ის ეს საქმე ძნელად ვისმე აღუჩნდეს; აქ **უფლის** **იოსოს** სიტყვა უნდა მოვიხსენოთ: „უადვილეს არს აქლემი განსლოჯად ხერგლსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესლ-ჯად სასუფეველსა ცათასა“. **შინც** სიძნელე დასდტა მონაგების ერთად საზოგადოდ ხმარებისა, ნაცვალი სიძნელე ჰრისტემან მიუვო შესამსგავსი, პირის-პირ მდგომი.

ბაყენებს უფალი ესე ვითარის მოგებისაგან: ვითარცა **ლაზარე** გლახაკის ჟამში მდიდარი ვინმე რომ იყო, მან მრავალი სიმდიდრე მოიგო, და მისს სახლში მყოფი **ლაზარე** გლახაკი შიმშილისაგან იტანჯებოდა, — ამისთვის მდიდარი დაისაჯა ჯო-ჯოხეთსა შინა, და აბრაჰამისაგან წვეთი წყლისა ითხოვა და ვერ მიემთხვა. **მგრეთჲც** შენ მრავალი სიმდიდრე გაქტს და გლახაკს მწუხარედ ხედავ და მის შორის სიმდიდრისაგან სუ-ფევას არ მისცემ, მდიდრის მსგავსად ჯოჯოხეთსა შინა დაის-ჯები და ვერცა თუ წვეთის შესამსგავსს მცირეს რასმე **ღვთის** მოწყალებას მიემთხცვი. — **ბაყენებს** **ღმერთი** მტაცებლობით მოგებისაგან, ვითარცა გასწაევებს უფალი **იოსო**: „ეკრძალენით და დაიკრძალენით თავნი თქტნი ყოველისაგან ჰანგარებისა, რა-მეთუ არა ნამეტავ ვისამე არიან ცხოვრება თვისი“. **ეს** უფლის სიტყვა მოწყალებითი სწავლა და განკრძალვა არის; და თუ სიტყვისაგან უფლისა არ შეისმენ, და ჰანგარებისა და ტაცე-ბისაგან არ განეყენები, შესაძრწუნებელის რისხვის სიტყვა გე-სმას უფლისაგან პირითა მოციქულისათა: „არცა მტაცებელ-თა სასუფეველი ღვთისა ვერ დაიმკვიდრონ“. **რაოდენის** უჯე-როს ვეცხლის მოგებისაგან უფალი გაყენებს, ეს შემოკლებით მცირედ ითქტა. **მუ** არ შეიგონე და არ დააყენე უჯერო ვეც-ხლის მოგება; დიდი რამ ბრალ ი შეგემთხცვა; როგორც უჯე-

როდ ვეცხლის მოგებად ითქუა გლახაკთ უწყალოება. მარტო ამას მიხედვე, თუ რა დიდი ვნება სდევს, და ერთისა ამისგან სხუთა ძნელი ვნება შეისწავე და განეკრძალე. **თუ** შენ სიმდიდრით სუფევ და რომელიც გლახაკ შენდა მახლობელად არის და ის უპოვარებისათვის ჰსწუხს და მას გლახაკსა ხორციელის საქმისა და სახმრის მწუხარებას არ აღუმსუბუქებ, ძრისტეს შემაწუხებელთა ჰურიათა თანა შეირაცხები. — **ვითარ?** ჰურიანი სიმდიდრითა და შვეებით აღსავსენი იშვებდენ და ხმოვანებდენ და იზახდენ ხელმწიფებით. ძრისტე მწუხარებით მყოფი წყალს ითხოვდა და არავინ მიუპყრა. **მგრეთჲც** შენ სიმდიდრით იშვებ და ხელმწიფებრ იზახებ, და გლახაკს სიღარიბისაგან მწუხარედ ჰხედავ და მას მწუხარებას არ აღუსუმბუქებ, — შენც ძრისტეს შემაწუხებელთა ჰურიათა თანა აღირაცხები; გლახაკიც ძრისტედ შერაცხილი არის თვით ძრისტეს მიერ, ვითარცა ბრძანებს: „რაოდენი უყავთ ერთსა მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“. ჰხედავ, საყვარლო, უჯეროდ ვეცხლის მოგებას და ქონებას რა ვნება შეუდგება! **ანუ** სრულიად უნდა მოიძაგო ოქრო და ვეცხლი, ანუ რომელიც თესლი და ვნება თან ჰყვება ოქროსა და ვეცხლს მისის ვნებისაგან განწმენდილი უნდა მიიღო. **თუ** ვითარ — მაგალითი უნდა მოვიღოთ. **ბველი** შენ რომ შეიპყრა და სკამო, გესლიანი არის და სიკუდილს მიგცემს; მკურნალისაგან თუ მიიღე თრიაქ-ფარუქი, რომელიც არის გველი შემზადებული, არას გავენებს. **მგრეთჲც** ვეცხლი და ოქრო შენის ძიებით და გონების წადილით თუ მიიღე, ვითარცა გველი, ამის მსგავსად მკვლელ გექმნება; თუ ძრისტესგან მიიღე, რომელიც მკურნალი არის სულთა და ხორცთა, მისგან მიღებული არას გავენებს. **მს** საქმე აწ საღმრთო წერილიდამ დავამტკიცოთ. **ისრაელთ** რომ **შფლის** მცნებით მიიღეს ეგვიპტელთაგან ვეცხლი გამოსლვის ჟამში, მათ არა ვნებია რა; **მლიხეს** მსახურმან, **ბეზი**, **შფლის** წინააღმდეგობით მიიღო ვეცხლი — სულთ და ხორციით დაისაჯა; **ეგრეთჲც** შენ, თუ **შფლის** მცნების მსგავსად

მიიღებ ოქროსა და ვეცხლსა—არას გავენებს; თუ უფლის მცნების მსგავსად არ მიიღე და ურჩებით შეიკრიბე—სულით და ხორციით ბეზისაებრ დაისჯები. **თუ** შესცთე სიმდიდრის სურვილისაგან და უჯეროდ ვეცხლი და ოქრო შეიკრიბო, აქაც რომელსაც მაგალითს მოგახსენებ, მისდა მსგავსად უნდა ჰყო: თუ გესლიანი რამ საზრდელი მიიღო, მკურნალთან უნდა მიხვიდე და სამკურნალი წამალი მისგან უნდა ისწავო; ეგრეთვე გესლიანი უჯეროდ ვეცხლის შეკრება თუ ჰყო, მკურნალს ძრისტესთან უნდა მიხვიდე და წამალი საკურნებელი მისგან უნდა ისწაო და მიიღო, რომელსა გასწავებს და გეტყვის: „ისხენით თავისა თქტუნისა მეგობარნი მამონასა მისგან სიცრუვისა, რათა რაჟამს მოაკლდეთ თქტუნ ამიერ საყოფელთაგან თქტუნთა, შეგიწყნარენ თქტუნ საუკუნეთა შინა საყოფელთა“. მდაბიურად ასე ითქმის: სიცრუვის მამონას ვეცხლს ეძახის; ვეცხლის უხვად მიცემისაგან გლახაკნი მეგობრად უნდა მოვიგოთ, რომ როდესაც აქედამ სიკუდილისაგან მოვაკლდეთ, ძრისტემან შეგვიწყნაროს სასუფეველსა შინა ცათასა. ზემო თქმულთაგან ორი რამ წარმოჩნდა ვეცხლის გესლიანობის სამკურნალოდ: ერთი ესე რომ ძრისტეს ღვთისაგან უნდა ვითხოვოთ, და მისგან მოვილოთ კურნება; მეორე გლახაკთა უნდა განვუყოთ. **ახლა** ეს ვიძიოთ, თუ ამათი უქნელობის მიზეზი ვისმე აქტს. **რა** მიზეზი უნდა აქტდეს? **თუ** ვინმე იტყვის: „ძრისტეს რომ ვსთხოვოთ, არ მოგვცემს“—ეს ყოვლითურთ უქეშმარიტო არის, ამისთვის რომ ძრისტეს სიტყუა ტყუელი არ იქმნება, ვითარცა თვით ბრძანებს, „ცანი და ქტსყანა წარხდეს, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა-სადა წარხდეს“, და ეს უტყუველი პირი ძრისტესი ბრძანებს: „ითხოვდით და მოგეცესთ“. **ღა** თუ იტყვი: „ვსთხოვე და არ მომცა“—კიდევ შენი მიზეზი არის, რომ არა მოგცა, ამისთვის რომ ბოროტად ითხოვე და არ მოგცა, ვითარცა იტყვის მოციქული **იაკობ**: „ითხოვეთ და ვერ მიიღებთ, რამეთუ ბოროტად ითხოვეთ“; თუ კეთილად ითხოვე, შენის **იხსოს** მსგავსად ვინ უნდა მოგცეს? **ვერა** რომელიმე

მსგავსად მისსა ვერ მოგცემს. სხტამ რომ მოგცეს, გაყვედრებს, და შენი იცხო შენდა მომართ ყვედრებას არ ჰყოფს და სხტათაგან უფრო სავსებით მოგცემს, ვითარცა თვით გიბრძანებს: „მოგეცეს თქუნი სასწაული კეთილი, შეხრილი და დატენილი და ზედა-გარდათხეული“. მეორეთ გლახაკთ მიცემა ითქუა ვეცხლის მოყვარების სამკურნალოდ; და თუ ამის მიზეზად ამას ვინმე იტყვის, რომ სიმდიდრეს ვერ განებაზნევთ, ამას სოფელსა ამითი უნდა ვიცხოვროთო,—აწ ამისი ნაცვალი სიტყვა ვიძიოთ და ვსთქუათ: საყვარელო, შენ რომ შეკრებას ეძახი, ვერ ჰხედავ, თორემ ეგ უფრო განბნევა არის; მაგრამ ვეცხლის მოყვარებას დაუბრმია შენი გონების თვალი და ვერ ხედავ, თუ შეკრებისაგან უფრო როგორ განაბნევ. იუდა ვეცხლის მოყვარებამან დააბრმო; ის შეჰკრებას ჰგონებდა—უფროსად განბნევა შეხტდა. თქმული არის მისთვის: „დააბნია ოცდაათი იგი ვეცხლი“. მგრეთჲც შენ შეჰკრებას ჰგონებ, უწყოდე უფროსად განაბნევ, ვითარცა ბრძანებს შუალი იცხო: „რომელი არა შეკრებს ჩემთანა, იგი განაბნევს“. რადგან გლახაკს არ განუყოფ შენს სიმდიდრეს, არც ჰრისტესთან შეჰკრებ, მაშასადამე განაბნევ; შენ შენს საუნჯეს კეთილად ჰრაცხ, მაგრამ კეთილი არ არის: მლილი, მპარავი და ავაზაკი—ყოველივე შეეხება შენს საუნჯეს, და როგორ კეთილი საუნჯე იქმნება? საკვირველი ეს არის: თუ გძულს ოქრო და ვეცხლი, გლახაკს რასათვის უშურველად არ მისცემ? თუ გიყვარს—რასათვის ასეთს საუნჯესა შინა არ დამარხავ, რომ ვერც მლილი, ვერცა მპარავი მიეხოს, ვითარცა გიბრძანებს მაცხოვარი: „საუნჯე თქუნი იყავნ სადა მლილმან და მქამელმან არა განრყენის და სადა მპარავთა არა დათხარიან და განიპარიან“. თუ საუნჯისა ამის ცნობა გნებაესთ, გლახაკთა შორის იპოვება ამისი მსგავსი საუნჯე; მათ შორის დაუნჯებულს ვნება არა შეეხება. რა, ამისთვის რომ თვით ჰრისტე მცველი ექმნება, სიტყვისა ამისგან სჩანს: „რაოდენი უყოთ ერთსა მკირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“. თუ ასე არა ჰყოთ და სხტა გვარად


ვეცხლის მოყვარებით შეიკრებ, აქაც ცთომილი ხარ. თუ ვითარ—ვსტკბათ. მოციქული ჰავლე იტყვის: „რომელსა ეგონოს თავი თვისი ვითარმედ არს რაჟმე და იგი არა იყოს, თავისა თვისსა აცთუნებს“. სიტყვისა ამის მსგავსად ვეცხლის მოყვარე თავის-თავს აცთუნებს; მას თავისი თავი მდიდარი ჰგონია, მას არა აქვს რა მხოლოდ ერთის ტილოს მეტი. ამას მტკიცე აღმოჩინება მივსცეთ. მოციქული იტყვის: „არა რაჟ შემოვიდეთ სოფლად“. ჰსჩანს, რომ არცა რაჟ განღებად ძალ-გვიძს. როდესაც იშვა მდიდარი, სოფლად არა რაჟმე შემოულია,—ვერცა რას განიღებს, მხოლოდ ერთის ტილოს მეტს; და ერთი ტილო რა სიმდიდრე არის? მიხედვით, რა ცთომაში არის ვეცხლის მოყვარე! მეგების ჰსტკბას ვეცხლის მოყვარემ: ერთის ტილოს მეტი როგორ არ მაქვს-რა; ჩემი საუნჯე სრულებით ოქროთა და ვეცხლით სავსე არის. ვეცხლის მოყვარეო, ეგე შენი არა არის! ზესმის მეუფის იცხოს მიერ: „სხტანი დამაშტრალ-არიან, და თქვენ შრომილსა მათსა შემოხტპდით“. შენზედ ეს სიტყვა ასე ითქმის: დაჰშვერი და შეიკრიბე, მაგრამ შენს შრომილზედ სხტა შემოვა და სხტა მიიღებს, შენ ლიტონი და ცალიერი დაშთები. თქმულსა ამას თუ არ ირწმუნებ, მე მდიდარს გიჩტპნებ, რომ თავისი სიმდიდრე არც ცათა შინა აქტნდა და არცა ქტყანასა ზედა. ეს ჰრისტეს მიერის სიტყვით დაგიმტკიცო. ჰრისტემან მდიდარს უთხრა: „განყიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთ და გაქტნდეს საუნჯე ცათა შინა და ქტყანასა ზედა“. ჰსჩანს თავისი მონაგები მტკიცედ არა ჰქონია; თუ მტკიცედ ჰქონებოდა—„გაქტნდეს“ ასე არ ეტყოდა, ასრე ეტყოდა: „გაქტს“. მაგრამ ვეცხლის მოყვარეს არც ცათა შინა და არცა ქტყანასა ზედა მტკიცედ არა რაჟმე აქტს,—ზემო ჰრისტეს მიერ თქმულმან ესრეთ წარმოაჩინა. ძიდევ ვსტკბათ, რომ ვეცხლის მოყვარეს არა რაჟმე აქტს სიმდიდრე; სიმდიდრის ქონება ეს არის, როცა რაჟმე ენებებოდეს კაცს, თავისის სიმდიდრისაგან მოიპოვოს; თუ კი ვერას მოიპოვებს რაც ენებება, მდიდარი

არ იქმნება. ახლა მას მდიდარსა მიეხედოთ, რომელიც ლაზარე გლახაკის ჟამში მდიდარი იყო; ერთი წვეთი წყალი დასჭირდა, რა დიდის სურვილით ითხოვა, მაგრამ ვერ მოიპოვა! **თუ** მდიდარი იყო, სადა ჰსჩანს მისი სიმდიდრე?—**პრა** სადა! ამისთვის არა ჰსჩანს, რომ უგვანად შეკრებული იყო. **ოქრო** და ვეცხლი ამოდ და ცუდად განიბნევა.

თუ იძიებ, რომ რომელს სიმდიდრეს აქტუს კეთილი მდგომარეობა, გიჩუქნო **ქრისტეს** მიერის სიტყვით. **უფალი იესო** ბრძანებს: „რაჟამს ძლიერი შექურვილი ჰსცვიდინ ეზოსა თვისსა, მშვიდობით არიან მონაგები მისი“. **როდესაც** **ქრისტე** შენს სიმდიდრეს ეზოს ჰსცავს მაშინ შენი მონაგებიც მშვიდობით არის, და თუ **ქრისტე** არ ჰსცავს, ყოვლითურთ უხმარი არის, ვითარცა არ ქონებული, ვითარცა ზემო წარმოვაჩინეთ ამისდა მაჩუქნებლად საქმე მდიდრისა. მოვიდეთ და **ქრისტესა** და მოწაფეთა მისთა მიერ თქმული ვეცხლის მოყვარებისა დახსნისათვის მაგალითად ვიხმაროთ. **ქრისტემან** ბრძანა: „რომელმან განუტეოს ცოლი თვინიერ სიტყვისა სიძვისა, მან იმრუშა; და რომელმან განტევებული შეირთოს, მანცა იმრუშა“. მოწაფეთა მოახსენეს: „უკეთუ ესოდენი ბრალი არს დედაკაცისა თანა, არა-რა შეგავს ქორწინება“. **ქრისტემან** უბრძანა: „არა ყოველთა დაიტიონ“. **მგრეთუც** სახედ ამისა შე უღირსი ვიტყვი: რომელიც უჯეროდ ვეცხლს შეიკრებს, ისიც ვეცხლის მოყვარე არის; და რომელიც ჯოროვნად შეკრებულს, როგორც ჯეროვანი არის, ისე გლახაკს არ განუყოფს, ისიც ვეცხლის მოყვარედ აღირაცხება; და თუ ესოდენი ბრალი არს ვეცხლისა, არა შეჭგავს მოგება; მაგრამ არა ყოველთა დაიტიონ, თორემ უმჯობესი—სრულიად მოუგებლობა არის, ვითარცა არს სიტყვა მაცხოვრისა: „ნუ მოიგებთ **ოქროსა**, ნუცა ვეცხლთა“. **ზნებავს** ამისი ცნობა, თუ სრულიადი უპოვარება როგორ უმჯობესი არის სიმდიდრისაგან? **მე** გიჩუქნო: მდიდართ ვება აქტუს **ქრისტესგან**, ვითარცა ბრძანებს: „ვაჲ თქუნიდა მდიდარნო, რამეთუ მიგიღებინს ნუგეშინისცემა თქუნი“; და გლა-

ხაკთა ნეტარება აქტს იცნოს მიერ: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“. მიხედვით რაოდენად უმჯობესი შეიქმნა გლახაკნი მდიდრისაგან: გლახაკი ნეტარებაში არის და მდიდარი ვაებაში. უცხადესი წარმოჩენა ამის უმეტესი რაჲ იქმნება? მაგრამ ერთი სახე კიდევ მოვილოთ მდიდრისა და გლახაკისა, თუ რომელი უმჯობესი არის. საექვო არ არის, რომ გლახაკი უმჯობესი არის: ლაზარე გლახაკი სასუფეველში და მდიდარი—ჯოჯობეთსა შინა. აქ ერთი საკვირვო საქმე არის: უსულოსა და უგრძობელსა ნივთზედ, ყოველითურთ ჯეროვნება ეს არის— შენ უნდა უფლებდე; და რადგან ვეცხლის მოყვარე ხარ, შენ ვეცხლის უფლად არა ჩან-ხარ; თუ შთალი ხარ, ეს როგორ არის, ხელით და ფერხით მისგან შეკრული და დამონებული ხარ: ხელი შეკრული გაქტს მოწყალეებისათვის, რომ ერთი რამ ძრვა შენს ხელს მოწყალეებისათვის არა აქტს; ფერხი შეკრული გაქტს და ეკლესიასა შინა სჯულას ვერ ახშირებ ამის მოშიშებისათვის,—ვეცხლი მპარავმან არ წარიღოს; თვალი მის მიერ დაბნელებული გაქტს და ძრისტეს მსგავსს გლახაკს კეთილად მოწყალეობით ვერ ჰხედავ.

ძრატისტოს ვინმე ბრძენი ვეცხლისაგან თავისის თავის შეკრვასა და მონებას ჰხედვიდა, ამისთვის ყოველივე სიმდიდრე მისი ზღვაში გარდაყარა, და ვეცხლს თავისი თავი არ დაამონა. თუ გნებავს, რომ შენც განირიხო თავისი თავი, ვეცხლის მონებისაგან კელი განხსენ და აღძარ გლახაკთ მოწყალეებისათვის, ფერხი განხსენ სჯულად ეკლესიასა შინა ლოცვისათვის, თვალი განაღე გლახაკთ მოწყალეობით მიხედვისათვის; ძრატისტოსმან ზღვაში განაბნია; შენც ზღვის მიმსგავსებულს ძრისტეს სიყვარულში (ესე იგი გლახაკთ მოწყალეებაში) განაბნიე, რათა წარმავალისა და განხრწნადისა წილ წარუალი და განუხრწნელი მიიღო საუკუნო დიდებაჲ, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 22. უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტვირთი ჩემი სუბუქ არს.

ბრძანებს უფალი იესო: „უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“. მეუფისა იესოს სიტყვა თვით თავის-თავად ყოვლითურთ ჭეშმარიტი არის. ჩჷნგან და ჩჷნ მიერის სიტყვით დამტკიცება მას არ ეხმარება, ამისთვის რომ ყოვლისაგანვე უმეტესად მტკიცე არის მეუფისა ჭრისტეს სიტყვა, ვითარცა თვით დამტკიცებს უფალი იესო: „ცანი და ჭჷს-ყანა წარხდეს, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა სადა წარხდენ“. მაგრამ რომელიც უღები და დახსნილი არის, არ ირწმუნებს ჭრისტეს სიტყვას, და ჭრისტეს უღელს მწუხარედ და ტვირთს მძიმედ ჰრაცხს, წინააღმდეგობით ჭრისტეს სიტყვას თვით ჭრისტეს სიტყვის დამხსნელად მოიღებს: „იწრო არს გზა იგი და საჭირველ, რომელნი მივლენ ცხოვრებად საუკუნოთ“. ამისთვის ერს უნდა დავარწმუნოთ კეთილის გამოძიებით და მეტყველობით, რომ ჭრისტეს უღელი ტკბილი არის და მისი ტვირთი სუბუქი არის. საყვარელო, შენ რომ ჭრისტეს სიტყვა მოგაქვს საწინააღმდეგოდ,— „იწრო არს გზა იგი და საჭირველ“, უღებისა და დახსნილისათვის არის ეს სიტყვა, თორემ იწრო და საჭირველი არ არის: ამას თვით უფალი გიტკიცებს სიტყვითა ამით: „უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი

სუბუქ არს“. და თუ ვინმე უგუნური ამას ყოვლად ქეშმარიტსა სიტყუასა არა შეიწყნარებს, ვითარცა მოციქული იტყვის: „მშეინვიერი არა შეიწყნარებს სულიერსა“. — მოვიდეთ და სოფლიურის მაგალითით ვარწმუნოთ ძრისტეს უღლის და ტვირთის სისუბუქე: სნეული სადამდის სნეულებაში არის, მადამდის მცირისა და სუბუქის აღება მძიმედ აღუჩნდება; და როდესაც სნეულებისაგან განვალს, მძიმესაც ადვილად იტვირთავს, არა თუ სუბუქს. მგრეთჲს, რომელიც ცოდვაში არის და ცოდვისაგან არ განთავისუფლებულა, მას ტკბილი უღელი და მსუბუქი ტვირთი ძრისტესი მწარედ და მძიმედ აღუჩნდება; როდესაც ცოდვისაგან გამოვა წმიდის აღსარებით, მაშინ ტკბილად და სუბუქად აღუჩნდება ძრისტეს უღელი და ტვირთი, რომელ არს ქეშმარიტი სინანული, ვითარცა პეტრე მოციქული სადამდის კთომასი იყო, ძრისტეს უღელი (ესე იგი სინანული) ვერ იტვირთა, და როდესაც კთომისაგან გამოვიდა, მაშინვე ძრისტეს უღელი, (ესე იგი სინანული) იტვირთა, ვითარცა იოანე ჰსწერს პეტრესთვის: „გამოვიდა გარედ და სტიროდა მწარედ“. ძიდევ სხტა მაგალითი მოვილოთ: რომლისაც ფერხი ბორკილით შეკრული არის, იმისთვის გზაზედ ვლა შესაწუხებელი არის; რომლისაც ფერხი ბორკილით შეკრული არ არის, მას გზაზედ ვლა ადვილად აღუჩნდება. მგრეთჲს, რომელსაც ცოდვისაგან შეკრულება აქტს, მას ძრისტეს მცნების გზაზედ ვლა იწროდ და მძიმედ აღუჩნდება; რომელიც ცოდვის შეკრულებისაგან განიხსნება, ის სუბუქად განვლის ძრისტეს მცნების გზას, ვითარცა ხმობს პავლე: „სრბა აღმოსრულებიეს“. საყვარელნო ერნო, ერთი რამ კითხტა უნდა ვყო თქტსნდა მომართ: მდიდარმან ჯოჯოხეთიდან აბრაჰამს სასუფეველიდამ ერთი წვეთი წყალი თხოვა, ცეცხლის აღით იწვებოდა, ეს სათხოველი ვერ იპოვა მდიდარმან მის ჟამითგან აქამომდე და უკვე ცეცხლის აღსა და წყურვილში დაშთომილი არის. მს უფრო სუბუქი არის, თუ მცირედის დღის სასჯელი? მს უეჭველი არის, მცირედის დღის სასჯელი და

წყურვილი უფრო სუბუქი არის დაუღველენის სასჯელისა და წყურვილისაგან. მგრეთჲც ამას სოფელსა შინა სინანულის სასჯელი მცირედ და მალე აღსასრულებელი არის, ვითარ იგი ხმობს ლავით: „განვლეთ ჩჲსნ ცეცხლი და წყალი“; და საუკუნო სატანჯველი დაუსრულებელი არის, ვითარ იგი ბრძანებს უფალი იცნო: „მატლი მათი არა დაესრულების და ცეცხლი მათი არა დაშრტების!“ რადგან საუკუნო სატანჯველი უფროსად უმძიმესი არის და სინანულის სასჯელი მცირე, ამისთვის ბრძანებს უფალი: „უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“. ძიღვე უნდა მოგახსენო, საყვარელო! ძრისტემან ასე გიბრძანა: „უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“; ძრისტემან თავისი უღელი და ტვირთი გიბრძანა—შენ სხვისი უღელი და ტვირთიც დაგიძს, და რა საკვირველი არის, ძრისტეს უღელი და ტვირთი მძიმედ აღგიჩნდება და ორსავე უღელს და ტვირთს ვერ იტვირთავ. თვით ძრისტე გიმტკიცებს: „ვერ ძალ-გიძს ორთა უფალთა მონებად“. იკითხავ: რომელი არის სხვისი უღელი და ტვირთი?— ეშმაკის მონება და მორჩილება. მს ასეთი რამ მძიმე არის, სადამდის ამას არ განავდებ, აღდგომად არ გიტევებს. ამისითვალით სახილველი მაგალითი მოვილოთ. აღამმან ეშმაკის მონება და მორჩილება უღლად და ტვირთად მიიღო, ამისმან სიმძიმემან ქტსკენელთა შინა ჯოჯოხეთისათა შთახადა. ახლა შენ მიჩტსნე, თუ ეშმაკის უღელსა და ტვირთსა არ განავდებ, ძრისტეს უღელსა და ტვირთსა როგორ იტვირთავ?

ზემო ძრისტეს მიერის სიტყვით დამტკიცებული არის, ორის უღლის და ორის ტვირთის ტვირთვა არ ძალ-გიძს, თორემ ძრისტეს უღელი და ტვირთი მძიმე არ არის. მოვილოთ და უფროსად გამოცხადება მივსცეთ ამას. რომელსაც ლვთის სიყვარული აქტს, არა რაჲმე სათნოება და მოღვაწება მისთვის ძნელი არის, ამისი სახე და მაგალითი ჯერ ძველის წერილიდამ მოვილოთ. ცეცხლისაგან უძლიერესი და უმეტესი სამწუხარო რა უნდა იქმნეს? თანა-მოწამე ხართ, ცეცხლისაგან უძ-

წარესი არა არის რა; ეს მწარე ცეცხლი წვილ წილად აღგზნებული საშინელად მგზებარე, ფისითა, ნაძვიითა და ნასხლევითა აღტყინებული, სამთა ყრმათა იუდიანთა—პნანია, აზარია და მისაილ,—ღვთის სიყვარული რომ აქტუნდათ, ცეცხლი, როგორც თივა, ისე დათრგუნეს და შეურაცხ-ჰყვეს, და ცეცხლსა შინა შეთხეულნი, ვითარცა ცვარსა და ნიავსა შინა ზაფხულისასა ესრეთ იშვებდენ და გალობდენ. ნეტარ შიმშილისაგან უძნელესი იქმნება რამე? შიმშილში საზრდელი რომ არ მიიღოს, იცით თუ რა ძნელი არის? მორისა და სამის დღის შიმშილს ძნელად ვინმე თავს იღებს; და მოსეს საკვირველი ღვთის სიყვარული რომ აქტუნდა, ორმეოც დღე საზრდელ მიუღებელად ეგო. ასე არის მისთვის აღწერილი: „და იყო მუნ მოსე ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, ჰური არა ჰამა და წყალი არა სხვა“. აწ ახლის მაგალითით მოვიღოთ უსაკვირველესი. პრის შესაძლებელი კაცმან არც სვას და არც სჭამოს? შერვინ იტყვის, რომ შესაძლებელი იყოს, თვინიერ ღვთის სიყვარულისა; და ღვთის სიყვარულისაგან შესაძლო არის არც სვას და არცა სჭამოს, ვითარცა სწამებს შუალი იოსო წინამორბედისა იოანესთვის: „მოვიდა იოანე ნათლისმცემელი, არცა სჭამდა, არცა სმიდა“. ახლა კიდევ სხვა სიტყვა შემოვიღოთ. ნეტარ, ყოვლისავე სოფლისა და სოფლიურის საქმის დატევება ძნელი არის თუ არა? თანა-მოწამე ხართ ამას ზედა, რომ ძნელი არის; მაგრამ ვისაც ძრისტე მტკიცედ უყვარს, სოფლის დატევება ასე სუბუქად უწნს, ვითარცა ერთის ნაგავისა და მტვერისა, ვითარ იგი ხმობს მოციქული: „ყოველივე შემირაცხივის ნაგავად, რათა ძრისტე შევიძინო“. მოციქულთ ასე მოიძულეს სოფელი, სოფლისაგან არღარა იყვნენ, ვითარცა თვით შუალი იოსო უბრძანებს მათ და ეტყვის: „თქვენ არა ამის სოფლისაგანნი ხართ“. სხვა სიტყვა შემოვიღოთ. რომელიც კაცის სამწუხარო არის, რაც უნდა იყოს, ყოვლისაგანვე უფროსად სამწუხარო და მოუთმენელი არის სიკუდილი. მაგრამ რომელთაც ძრისტე შეიყვარეს, სიკუდილი განსტუნებად შე-

რაცხეს, ვითარცა წმინდანი მოწამენი ვეცხლსა და წყალსა სასიკატდინოდ რომ მიეცემოდენ, განსტანებად შერაცხდენ და ასრე ხმობდენ: „განვლეთ ჩჳსნ ცეცხლი და წყალი და გამოძიყანენ ჩჳსნ განსასტანებელად“. სწორე სიმართლით განიხილეთ, თუ ვინც ძრისტეს სიყვარული მოიგო, ყოველივე საძნელო მისგან ადვილად შესაძლო თუ არ იქმნა! მაშასადამე შენ ძრისტე გძულს და სათნოება და მოღვაწება მძიმედ და ძნელად გიჩნს. შიცი, ერი მეტყვის: ძნელი არის და ძნელად გვიჩნს. ამის მაგიერად ერსა ამას ვეტყვი: მცირე რამ ჰყოს და ადვილი, ვისაც ძრისტე ჰსძულს, მაშინაც ღიდი და ძნელი შეიქმნება, თორემ ძრისტეს უღელი მძიმე არ არის. მოვიდეთ და ამისი გამოსაცხადებელი სახე თვით ძრისტეს საქმეებითგან მოვილოთ. ღიდი პეტრე მოციქული, ძრისტეს უარის ყოფაში შთაფარდა, მაგრამ სინანული ჰყო, ვითარცა ჰსწერს იოანე მახარებელი: „გამოვიდა გარედ და სტიროდა მწარედ“. იუდაც შთაფარდა ძრისტეს უარის ჰყოფაში; რასათვის იუდამ მცირე ცრემლი ვერ მოიპოვა? რა ძნელი საპოვნელი იყო? მისისავე თვალიდამ მოიპოვებოდა, ვითარცა პეტრემ მოიპოვა. პეტრეს ზღვიდამ არ ამოულია, არც კლდიდამ, თავისის თვალიდამ მოიპოვა ცრემლი. რასათვის იუდამანც ვერ მოიპოვა ცრემლი?— ამისთვის რომ ძრისტე არ უყვარდა. პეტრეს უყუარდა, ამისთვის ცრემლიც მოიპოვა. ლოგინოს ასისთავემან საშინელი ძრვა, განპება კლდეთა და დაბნელება მზისა რომ იხილა, აღიარა ძრისტე და ჰსთქუა: „ქეშმარიტად კაცი ესე ძე ლეთისა იყო.“ ამის ერთისა თქმისა უადვილესი რა უნდა იქმნეს? სხუათაც იხილეს ძრვა, განპება კლდეთა და დაბნელება მზისა. რასათვის მცირე სიტყვა, რომელიც ასისთავემან ჰსთქუა, მათაც ვერ ჰსთქუას? ამისთვის, რომ ძრისტეს სიყვარული არა აქტნდათ მოპოვნებული. ასისთავემან ძრისტეს ლეთისა სიყვარული მოიპოვა, ამისთვის აღიარა და სთქუა: „ქეშმარიტად ძე ლეთისა იყო“. ორნი ავაზაკნი ძრისტესთან ჯვარცმულნი იყვნენ, ერთი მარჯუტნით და ერთი მარცხენით.

მარჯვენით მან ავაზაკმან აღიარა ძრისტე: „მომიხსენე მე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევეთა შენითა,“ და სამოთხე დაიმკვიდრა; და რქუა ძრისტემან: „დღეს ჩემთანა იყავ სამოთხესა შინა“. რასათვის მარცხენით მან ავაზაკმან არ აღმოსთქუა ეს მცირე სიტყუა: „მომიხსენე მე უფალო?“ **მ**უ მარჯუტპნით მან ავაზაკმან კი შეუძლო თქმა, მარცხენითს რა აყენებდა? **მ**რნივე ერთს ძრისტესთან იყვნენ ჯვარსა ზედა დამსჭვალულნი. მარცხენითის ავაზაკის გონებაში ძრისტეს სიყვარული არ იპოებოდა, უფროსად აყვედრებდა და იტყოდა: „უკეთუ ძე ხარ ლეთისა, იხსენ თავი შენი და ჩუტნცა“; მარჯუტპნითი ავაზაკი არა აყვედრებდა, უმეტესად ძრისტეს სიყვარულზედ დაადგრა; ამისთვის აღიარა ძრისტე და სამოთხე დაიმკვიდრა.

ღიდისა და უმრავლესის მტკიცის სასოებით აღმოჩნდა, რომ რომელსაც ძრისტე არ ჰსძულს, ძრისტეს უღელი და ტვირთი მძიმე არ არის; და რომელსაც მძიმედ გიჩნს, ჰჩანს ზემო სახეებისაგან, რომ ძრისტე გძულს, და ძრისტეს სიძულელი ყოვლითურთ ამაოდ და უბადრუკ ჰყოფს შენს ცხოვრებას. **მ**უ ვითარ—თითოეულად აღგირაცხო. პირველად, ძრისტეს მოწაფეობისაგან უცხო გყოფს; რადგან გძულს მოწაფეობისაგანაც შორს იქმნები, ვითარცა იუდამან მოიძულა და შორს იქმნა ძრისტეს მოწაფეობისაგან. **მ**გების სთქუა: „მიყვარს“—რადგან მის მცნებას არ იმარხავ, არც გიყვარს; თვითვე გიბრძანებს: „რომელსა ვუყვარდე მე მცნებანი ჩემნი და იმარხნენ“. **მ**ეორედ, შენი სიტყვიერება დაბნელდება.—**მ**ითარ?—რადგან ძრისტეს განეშორება, უშუტრი და ბნელი იქმნება, ვითარცა იუდას სიტყვიერება ძრისტესგან განშორებული უშუტპრ და ბნელ იქმნა, რამეთუ ძე წარწყმედისა უწოდა. **მ**ესამედ, შენი მყოფობა რადგან ძრისტეს მოწაფეობისაგან მოეკუტებება, არა-მყოფობა უმჯობესათ შეირაცხება შენის მყოფობისაგან, ვითარცა ბრძანებს უფალი **ი**სსო: „უმჯობეს იყო მისსა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი“, რომელიც ძრისტეს უღელს არ იტვირთავს და სათნოებას არა ჰყოფს. **ს**ხუა უბა

დრუკება მისი რაღათ ვსთქტა?—ჭამის ღირსი არ არის და არ უნდა სჭამდეს, რადგან სათნოებას არა მოქმედებს. ვითარცა მოციქული იტყვის: „უკეთუ საქმის არა ჰნებავენ, ნურცა სქამნ“.

მგების ამისი ძიება ვინმე ჰყოს, თუ მძიმე არ არის, ძრისტეს უღელი და ტვირთი რასათვის მძიმეთ და ძნელათ უჩნს კაცთა? ზემო ჩემგან რომელიც შესაძლო იყო, ამისი მიზეზები ვსთქვით. აწ მეორედ ვსთქვით და განვაცხადოთ ამისი მიზეზი. ისრაელთ თუ შარაოს მონება არ განეგლოთ და მისი მუშაკობაც არ განეგლოთ, მოსეს ვერ შეუდგებოდენ, ვერც მის მცნებას დაიმარხვიდენ, ამისთვის რომ მოსესი და შარაოს მორჩილება ერთათ არ იტვირთოდა, ვერც ისრაელნი შეუძლებდენ ტვირთვას. მგრეთჲც, რომელიც უხილავს შარაოს—ეშმაკის—მონებას არ განაგდებს და ცოდვის მუშაკობაც არ დაუტევებს, ძრისტეს ვერ შეუდგება და ვერც მის მცნებას იტვირთავს, ამისთვის რომ ორივესი ტვირთვა ერთად შესაძლო არ არის. შენ, საყვარელო, ორივესი ტვირთვა გნებავს, ეშმაკისა და ძრისტეს ტვირთისა; ამისთვის ძრისტეს ტვირთი მძიმედ გიჩნს. იონა ზღვაში ვეშაპმან შთანთქა; ამისგან უმძიმესი რა უნდა იქმნეს? მაგრამ ითხოვა ლეთისაგან და აღუსუბუქა ლმერთმან სიმძიმე. მგრეთჲც შენ სოფლისა ზღვა-სა შინა ეშმაკმან შთანგთქა; როგორც იონა, ლეთის ვედრებით თუ ვეშაპისაგან არ ხსნილ იყო, სიცოცხლის გზაზედ ვლა მძიმე და შეუძლო იყო; ეგრეთჲც თუ ლეთის ვედრებით ეშმაკისაგან ხსნილი არ შეიქმნება, შენი საუკუნო სიცოცხლის გზაზედ ვლა მძიმე და შეუძლებელი არის; თუ ეშმაკისაგან ხსნილ იქმნები, სუბუქი და ადვილი არის. ლაზარემ საფლავ-სა შინა მყოფმან სადამდის ძრისტეს სიტყვა არ ისმინა და სიცოცხლე არ მიიღო, მადამდის ფერხით ვლა მისთვის მძიმედა შეუძლო იყო; როდესაც ძრისტეს სიტყვა ისმინა და განცხოველდა, მაშინ სუბუქი და ადვილი შეიქმნა. მგრეთჲც შენ, ლაზარესებრ, ცოდვის საფლაოში წყოფი და სულითა მომკვდარი, სადამდის ძრისტეს სიტყუას არ ისმენ და ცოდვის მო-

კდავებისაგან არ განცხოველდები, მადამდის ძრისტეს მცნების გზაზედ ვლა შენთვის მძიმე არის; როდესაც ძრისტეს სიტყუას ისმენ და, ვითარცა ლაზარე საფლავიდან გამოვიდა, ეგრეთჲს შენ კოდვის დაფლულებიდან გამოხვალ და კოდვის მოკდავებისაგან განცხოველდები, მაშინ ძრისტეს მცნების გზაზედ ვლა შენთვის სუბუჟი არის. ბოლიათის ძლევა, რომელნიც კეშმარიტი ლეთის მონანი არ იყვნენ, მძიმეთ უჩნდათ; ლავითს, კეშმარიტს ლეთის მონას, მძიმედ არ უჩნდა და კიდევ დაკვეთა. ეგრეთჲს, რომელიც ძრისტეს მონა არ არის, მას ეშმაკის ძლევა მძიმედ უჩნს; რომელიც კეშმარიტი ძრისტეს მოწაფე არის, მას მძიმედ არ უჩნს და კიდევ ჰსძლევს, ვითარცა ჰრქტის მოციქულთა ისსოს: „შფალო სახელითა შენითა ეშმაკნიცა დაგვემორჩილებიან“. ლა თუ მაშინც კიდევ მწარედ შერაცხ ძრისტეს უღელს, აქ ძრისტეს სიტყვა უნდა მოვილოთ. ბრძანებს შფალი ისსო: „ანუ ჰყავთ ხე იგი ხენეშ და ნაყოფიცა მისი ხენეშ: ანუ ჰყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ“. შფალი ისსო ამას თავისა თვისისათვის ბრძანებს: ანუ ძრისტეც ტკბილათ უნდა შერაცხო და მისი უღელიც: ანუ რადგან ძრისტეს უღელს მწარედ ჰრაცხ, ძრისტეც უნდა მწარედ შერაცხოთ. მაგრამ უნდა წარმოვაჩინოთ, თუ სად აჩვენა ძრისტემან სიმწარე? მართი ადგილი დასდევით სიმწარის! — არა ჰვგონებ, რომ ჰპოვოთ სადამე. სადა უნდა ჰპოვოთ ძრისტესგან სიმწარე? — ძტყუანასა ზედა იშტა და სიტკბოება მოფინა, ვითარ იგი კომბს მოციქული: „ხოლო რა ჟამს სიტკბოება და კაცთ-მოყვარება გამოჩნდა მაცხოვრისა ჩტანისა შფლისა ისსო ძრისტესი, ქტყუანასა ზედა ვილოდა და ყოველსა ადგილსა სიტკბოებასა მოფენდა“. ზაქეს სახლში შევიდა, მოფინა სიტკბოება და უბრძანა: „დღეს იქმნა ცხოვრება სახლისა ამის!“ მივიდა პეტრესა მიმართ და მიფინა სიტკბოება, რამეთუ სიდყდრი პეტრესი, მხურვალეებითა შეპყრობილი, განკურნა — პირველ ვნებისა ეს სიტკბოება ჰყო; ვნებად მომავალმან ეს სიტკბოება ჰყო: თვისსა გამცემელსა იუდას ფერ-

ხი სიმდაბლით დაჰბანა და ამბორს უყო; ხორცი და სისხლი თვისი მისცა საზრდელად უკუდავ-მყოფელად. როდესაც ეს გამოუთქმელი სიტკბოება დაივიწყა იუდამ და იოსო მისცა უსჯულოთა და უსჯულონი უწყალოდ ჰსცემდენ, იოსო სიტკბოებას აჩუბნებდა და იტყოდა: „უკეთუ ბოროტსა ვიტყოდემ, ჰსწამე ბოროტისათვის, და უკეთუ არა—რასათვის მცემ მე“; თვისთა მკუთლელთათვის ამ სიტკბოებით ილოცვიდა, და იტყოდა: „მამაო, მიუტევე, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“. აწ თვით შენს თავს მიხედე, თუ რაოდენი სიტკბოება ჰყო შენზედ: შეგქმნა და დაგბადა, სიტყვიერებითა, გონიერებითა და თავისუფლებითა შეგამკო, ხატებითა და მსგავსებითა თვისითა გადიდა და აღგამალა. მსოდენის სიტკბოების მაგიერად შენ მოიძულე და დაუტევე, მაგრამ მან არ დაგიტევა! თვით გიწოდებს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისტანო თქტან“. მიხედე, საყვარელო, კეთილად რომ შენს ადგილსა და თვით შენ შორისცა ძრისტემან სიტკბოება აჩუბნა და არა სიმწარე, აღიღე მისი უღელი და ტვირთი, უწყოდე უეჭველად—ტკბილი და სუბუქი არის. თუ სიტკბოებასა და სისუბუქეს არ ირწმუნებ, აქ სხუას რასმე ვიტყვი: შენ აღიღე ძრისტეს უღელი და ტვირთი, და თუ ვერ შეუძლებ შენ ტვირთვას, თვით ძრისტე შეგეწევა და ის იწყებს შენთვის ღუწასა. თუ როგორ იწყებს ძრისტე შენთვის ღუწასა—სიტყვით და საქმით ორივეთი წარმოგიჩინო: სიტყვით ვითარცა ღვით წინასწარმეტყველი იტყვის: „შფალი მწე მეყო მე და მე ვესავ მას“. ღა კვალად იტყვის: „ინებე და აღგადგინოს დავრდომილი“. საქმით—ადამს უბრძანა ღმერთმან: „არა სჯამოთ“. ადამმან უქმელობა ვერ შეიძლო და სჯამა და მით მოკტდა; ადამმან ვერ უძლო მარხვა—ძრისტე შეეწია მისს უძლურებას და იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე. აგვალად ისრაელთ სიყმილში მანანათი შეეწია და მიუ განაძლიერნა. მგრეთუტ შენ მარხვის სიყმილში ზეცისა მანანათაგან (ესე იგი თავისის უბრწუნელის ხორცისა და სისხლისაგან)

შეგეწევა, მას მოგცემს საზრდელად და მით განაძლიერებს. პეტრემან წყალთა ზედა სტრა ვერ უძლო, დანთქმად იწყო, მაგრამ ძრისტემან უპყრა და აღადგინა: ეგრეთჲც შენ მოლტაწების ზღუასა ზედა სტრა რომ ვერ უძლო და დანთქმა იწყო, ვითარცა პეტრეს, თვით ძრისტე გიპყრობს და აღადგინებს. ჭეშმარიტნი ძრისტეს მოწაფენი და ძრისტეს უღლისა ამღებელნი განსაცდელში მოუძღურდენ, და ძილად მიცემულნი შეიქმნენ, მაგრამ ძრისტე მოვიდა და განაღვიძა. მგრეთჲც, რომელიც ძრისტესი ჭეშმარიტი მოწაფე არის და ძრისტეს უღლის ამღებელი, განსაცდელის ჟამში რომ მოუძღურდეს და მკონარების ძილს მიეცეს, ვითარცა თვისთა მოწაფეთა ესრეთ განაღვიძებს და განაძლიერებს. საყვარელო! ეს მრავლის სახით დამტკიცებული შექმნა: რომელიც ჭეშმარიტი ძრისტეს მოწაფე არის, მისთვის ძრისტეს უღელი და ტვირთი მძიმე არ არის. მსეც საქმის ჩუბნებით დამტკიცდა: თუ ვინმე ჭეშმარიტი ძრისტეს მოწაფე, ძრისტეს უღლის ტვირთვაში მოუძღურდა, თვით ძრისტე შეეწევა და განაძლიერებს; რომელიც ზემო უძღურების განსაძლიერებელი საქმეები მოგახსენე, თუ იმითი ძლიერება ვერ მიიღო და კიდევ სწუხდე, სათნოების საქმეში ძრისტეს მიემსგავსე და მით განაძლიერდი. ზითარ? ძრისტე ვნების ჟამში კაცობრივის ბუნებით რომ შეწუხდა, მამას ევედრა და ჰსთქვა: „მამაო, მიხსენ მე ჟამისა ამისგან“. მგრეთჲც მოლტაწებისაგან ხორციით ვნებაში რომ შეწუხდე, ევედრე მამასა ლმერთსა, ჰსთქვი ძრისტესებრ: „მამაო, მიხსენ მე ჟამისა ამისგან“;— გიხსნის შეუძლებელის მწუხარებისაგან და განაძლიერებს. თუ უღებებამან დაგაყენოს და ვერც ეს ჰყო, სოფლიურს მუშაკს მიემსგავსე. ზითარ? სოფლიურმან მუშაკმან რომლისამე მიზეზით იფქლი რომ ვერ მოიმუშაკოს, სხტა საზრდელის მუშაკობას იწყებს, არამც საზრდელისაგან მოკლებული არ შეიქმნეს და სიკუდილს არ მიეცეს. მგრეთჲც სულიერმან მუშაკმან რომლისამე მიზეზით მარხტა ვერ მოიმუშაკო, სხტა სულიერს მუშაკობას შეუდგე,

არამც, სულიერის საზრდელისაგან მოკლებული, სულით სიკუჭ-
დილს, ესე იგი წარწყმედას, არ მიეცე; სხტა სულიერი საზრ-
დელი იმუშავე, ესე იგი დაცვა ენისა. შესაძლო არის რომ
ამითი სული გამოზარდო. ზესმის სიმტკიცე მოციქულისაგან:
„რომელი სიტყვით არა სცთებოდეს, იგი სრული კაცი არის“.
თუ ვერც ეს მოიმუშაკო და ყოვლითურთ უპოვარი შეიქმნე
სულიერებრივის საზრდელის, სხტათაგან უნდა ითხოვო და ისე
უნდა გამოზარდო შენი სული, **ღა** თუ ვითარ—ძველის წერი-
ლის მაგალითით ვაჩტნათ: **ოსებ** მისთა ძმათა მოიძულეს,
უარ-ჰყტს და **მგვიპტეს** განყიდეს. **მგვიპტეს** **ოსებ** არა თუ
დამდაბლდა, უფროსათ ამაღლდა: **მგვიპტის** უფროსობა და
ყოვლის ქტსყნის იფქლის განმყოფელობა მან მიიღო; **ოსე-**
ზის ძმანი საზრდელის უპოვარნი შეიქმნენ, შიმშილისაგან შეს-
წუხდენ, სხტა წემწე არლარა ჰყტანდათ, და, რომელიც მათ
უარყტს **ოსებ**, ისევე მასთან მოვიდნენ და მანვე გამოზარდა
და სიყმილისაგან იხსნა. **მგრეთტ** თქტნ, საყვარელო: თქტნ-
და ძმად წოდებული ძრისტე მოიძულეთ და უარ ჰყავთ, **მგ-**
ვიპტეთ მიეცი (ესე იგი ჩტნის ცოდვისათვის ვნებად მიცე-
მულ იქმნა); მაგრამ ვნებასა შინა ტკბილი **ოსო** უმეტეს ამაღლ-
და, ვითარცა თვით ბრძანებს: „აწ იდიდა ძე კაცისა და ლმერ-
თიცა იდიდა მისთანა“; და სულიერებრივის იფქლის განმო-
ფელობაც მისი არის. **შხედავთ**, საყვარელნო, ჩტნ თავს, რომ
სულიერებრივის საზრდელისაგან მოკლებულნი ვართ და სუ-
ლიერებრივის სიყმილით მოვსწყდებით, სხტა ჩტნი შემწე არა-
ვინ იპოვება, რომელიც ჩტნ უარ ვყავით ტკბილი **ოსო**;
მისთანავე უთავილეთ **მგვიპტეს**, (ესე იგი მისს ცხოველს მყო-
ფელს ვნებაში,) მივხედოთ მხურვალითა გულითა და ვითხო-
ვოთ მისგან საზრდელი სულთა, რათა გამოგვზარდნეს სულით
და კორციით აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.





თავი 23. ყუდათ მეტყველებისათვის.

იტყვის მამად ღვთისა წოდებული ღვით წინასწარმეტყველი: „დააცხვრე ენა შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი იტყვიან ზაკვასა“. საშინელს გამობაში არავინ შთაფარდეს და ეს არავინ იფიქროს: ენა და ბაგე ღვთისაგან ბოროტად ქმნილი იყოს; ამისი მოგონება საშინელი რამ გამობა არის და საუკუნო სატანჯველის მომატყვებელი, ამისთვის რომ ბოროტის მოქმედება ღვთისაგან ყოვლითურთ უცხო არის, ვითარცა იტყვის მოსე ღვთისა მზრახვალი: „და იხილა ღმერთმან ყოველი, როადენი ქმნა, და ავა კეთილ ფრიად“. მნისა და ბაგისა სიბოროტე ეშმაკისა და კაცისაგან არის შემოდებული, ვითარცა წინასწარმეტყველის სიტყუა ბოროტის კაცისა მიმართ არის: „დააცხვრე ენა შენი“. „შენა“—ესე იგი შენი, ცვალებული ბოროტად და მოპონებული ეშმაკთაგან სიბოროტე ენის და სიცრუე. ღა თუ ვინმე ენასა და ბაგეს სიბოროტისაგან არ დააცხრობს, დიდისა ღვითისა წინასწარმეტყველისა სიტყუა ყოვლის ცხოველისაგან გარეშე განაყენებს ესე ვითარისა თქმითა: ღვით, სულითა წმიდითა მეტყველი, ყოველთა სულიერთა აწვევს ქებად შფლისა და ეტყვის: „ყოველი სული აქებდით შფალსა“. ღა მხოლოდ ბოროტის ენით მოქმედთა დაადუმებს და ეტყვის: „დააცხვრე ენა შენი“. სხუა ცხოველი, შფლის მქებელი და ბოროტის მეტყველი დაცხრომილი უეჭველად ყოვლის ცხოველისაგან გარეშე იქმნება; რომლისაც ენა ღმერთს აღიდებს, ის ანგელოზთა თანა მემწყობრე არის

და ანგელოზთაებრ ლმერთსა უგალობს; და რომელიც ბოროტის მოქმედი არის, ის ეშმაკთა თანა მოდასე არის, ვითარცა უბრძანებს უფალი იცნო: „თქმენ მამისა ეშმაკისანი ხართ“, მაგრამ დიდი წინასწარმეტყველი სრულიადს განწირულებასა და სასო-წარკუწთილებაში არ დაუტევებს ბოროტის ენის მოქმედს ამისითა თქმითა: „დააცხვრე ენა შენი ბოროტისაგან“, — ბოროტისაგან დაცხრომას უბრძანებს. რადგან ბოროტისაგან დაცხრომას უბრძანებს, ჰსჩანს ამისგან, როდესაც ბოროტისაგან ენას ღააცხრობს, ისიც ანგელოზთა თანა შეერთდება, თუ კი ინებებს, ვითარცა იცნო ამტკიცებს: „რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე“. ბოროტის ენის მოქმედი ცხადად თავის თავს ლეთისაგან განაშორებს და ეშმაკის მსგავსად წარმოაჩენს თავის თავს. ვითარ? — ეშმაკი ლეთისაგან კეთილად შექმნილი იყო პირველ და თავისი თავი ბოროტად შესცვალა, ამისთვის ლეთისაგან უცხო და განვრდომილ შეიქმნა; — ეგრეთჲც შენ ლეთისაგან ყოვლითურთ კეთილად შექმნილი და დაბადებული ხარ, და თუ ბოროტის მეტყველებით, ეშმაკის მსგავსად, თავის თავს ბოროტად შეცვლი, შენც ეშმაკის მსგავსი შეიქმნები და ლეთისაგან განვრდომილი. მითხარ ბოროტის ენის მოქმედმან, — ვისთან დააწესებ შენს თავს? უსულოთა თანა ვერ დაეწესები, ამისთვის რომ შენ სულიერი ხარ; სულიერთა თანა ვერ დაეწესები, ამისთვის რომ ისინი ლმერთს მსახურებენ ქებითა და შენ ეშმაკს მსახურებ ბოროტმეტყველებითა. თუ ეშმაკთან დაეწესები, თორემ სხუა ადგილს ვერ მოიპოვებ ბოროტის ენით. მეგების ჰსთქუა: „ლმერთს მეც ვაქებ“ — სადამდის ბოროტისაგან ენას არ დააცხრობ, მადამდის შენგან ქებას არ შეიწირავს. ამისი სიმტკიცე აქედამ ჰსცან: თუ შემწიკტლებულის ძაენის ხელისაგან ძღვენი არ შეიწირა, არც შენის შემწიკტლებულის ენისა და ბაგისაგან ქებას შეიწირავს. თუ ვინმე სამღვდელოთაგანი ხარ ბოროტის ენის მოქმედი, შენ იუდასთან უნდა დაეწესო, შენ ყოვლითურთ იუდას-მსგავსი ხარ. ვითარ? იუდამან სერობად მისრულმან ფერხი კი-

დაიბანა და ენა და ბაგე მწიკტლით აღსავესეჰქონდა, ძრისტეს ხორცსა და სისხლსა ისე შეეხო; ეგრეთჲც შენ, მსხვერპლის შეწირვად რომ მიხვალ, ხელს დაიბან და იტყვი: „დავიბანე უბრალოებით კელნი ჩემნი“—ენა და ბაგე ბოროტებითა აღსავესე გაქუს და ძრისტეს კორცსა და სისხლსა ისე შეეხები,— მიხედე, თუ სწორედ იუდას არ ემსგავსები! იუდას არ ეშინოდა ლეთისა და არცა ჰრცხტუნოდა,—არც შენ გეშინია და გრცხვენია ლეთისა; თუ გეშინოდეს ლეთისა მამისა, შემწიკტლებულის ენითა და ბაგითა როგორ ითხოვ მისგან სულსა წმიდასა და ეტყვი: „შესცვალე სულითა შენითა წმიდითა“.

თუ გრცხვენოდეს ძრისტეს ლეთისა, ძრისტესა და ბელიარს ერთად როგორ შერაცხ? ვითარ არ ისმენ მოციქულისას: „რა ზიარება არს ძრისტესი ბელიარისთანა?“ თუ გნებავს ამისი გამოცხადება, რომ როგორ რაცხ ძრისტესა და ბელიარს ერთად,—მე გიჩუბნო: ერთის ენით ძრისტესაც მსახურებ და ბელიარსაც. ტრაპეზსა ზედა სამეუფოსა ძრისტეს მსახურად იხილვები, რომ მღვდელმოქმედებ; გარეთ განსრული ბელიარს მსახურებ, რომ ბოროტს მეტყველებ. ვითარცა იუდა ოდესმე ძრისტეს მსახურად იხილვებოდა, რომ მასთან იქცეოდა, ოდესმე ეშმაკს მსახურებდა, რომ ეშმაკის ვნების მსგავსად ბოროტსა იტყოდა,—ეგრეთჲც შენ ოდესმე ძრისტეს მსახურად იხილვები, რომ მღვდელ-მოქმედებას ეხები, ოდესმე ეშმაკს მსახურებ, რომ მისის ნების მსგავსად სიცრუესა და ზაკუას იწუროთი.

მგების ის ვინმე იფიქროს, თუ ენა ბოროტისაგან არა დააცხო, სხუა კეთილით ცხონდეს. ჰეშმარიტი უნდა განვაცხადო, მოციქული ასე გვამცნებს: „ყოველი განცხადებული ნათელ არს“. შოველი მოღუაწება რომ ვინმემ აღასრულოს, თუ ენა კეთილად დაცული არა აქუს, საუკუნო ცხოვრებას ვერ მიიღებს. თვით უფალი იცხო ამტკიცებს: „სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“. სად წარმოჩნდა შენი ცხოვრება, რადგან კი დაისჯები? საყვარლო! ამას კეთილით განჰსჯით მიხედე. ცხოვრება და წარწყმედა სიტყვისაგან არის, თვით ძრისტე გიბრძა-

ნებს ამას: „სიტყვათა შენტაგან განმართლდე და სიტყვათა შენტაგან დაისაჯო“. **თ**ვით საქმით წარმოვიჩინო, რომ სიტყვით არის ცხოვრება და წარწყმედა: სიტყვით წარწყმედა მარცხენით ავაზაკი, სიტყვით ცხოვნდა მარჯუტნით ავაზაკი.

ცხადად საჩინო არის, რომ სიტყვით არის ცხოვრება და წარწყმედა. **ღ**ა თუ ეს სიტყუა კეთილად დაცული არა გაქტეს, რომლის საქმით უნდა სცხონდე? **შ**ძღებს შვილს, რომელმან ყოველივე სიმდიდრე, მამული განაბნია, თუ ეს კეთილი სიტყუა არ ჰქონოდა: „ვესკოდე, მამო, ცად მიმართ და წინაშე შენსა“—რომლის საქმით მოვიდოდა მამასთან, ანუ პირველსა პატივსა რომლითა მიიღებდა? **ანუ** მამა იგი სახიერი ზეგარაკსა ჰამებულსა როდეს დაუკლვიდა?—**არა** სადა. **მ**გრეთჲც შენ, საყვარელო, თუ სიტყუა კეთილად დაცული არა გაქტეს, შეცოდებული მამისა ლეთისა მიმართ რომლისა საქმით მოხატალ? **ანუ** პირველსა მადლით შეიღებისა პატივსა ვითარ მიიღებ? **ანუ** ვითარ მიიღებ ზუარაკსა ჰამებულსა, ესე იგი ხორცსა და სისხლსა ძრისტესსა? **მ**ერა სადა. **ა**ქ ერთს კითხუას შემოვიღებ: **ა**ენ სცხონდა, თუ წარწყმედა? **ი**სე ურცხვინო არა ვინ იქმნება, **ა**ენის ცხოვნება სთქუას. **მ**გრეთჲც ვიტყვი: ასე ურცხვინო არვინ იქმნება, ბოროტის ენის მოქმედის ცხოვნება ჰსთქუას. **თ**უ ვინმე მიზეზს იძიებს: **ა**ენმან ძმა მოჰკლა,— ბოროტის ენის მოქმედიც, ვისთვისაც ბოროტს ზრახავს, ენით ძმას ჰკლავს; ისიც ძმა არის, ვითარცა ბრძანებს **შ**ჴალი **ი**სსო: „თქუტუნ ყოველნი ძმანი ხართ“. **ღ**ა თუ ვინმე სიტყვით სიკუდილს არა შერაცხს, ამგვარი ვინმე **ი**უდასაც განამართლებს და **ძ**რისტეს მკულელად არ დასდებს: **ი**უდას **ძ**რისტესთვის კელით არა უენია რა, სიტყვით ჰსთქუა: „რომელსა მე ანბორს ვუყუო, იგი შეიპყართ“. **ღ**ა **ი**უდას განმართლება ვითარ იქმნება? **თ**ვით **ძ**რისტე განაცხადებს სიბოროტესა მისსა და იტყვის: „მიმცემელსა ჩემსა უდიდესი ცოდუა აქტეს“. **თ**უ **ი**უდას განმართლება არ ეგება, არც ბოროტ-მზრახველის კაცის განმართლება იქმნება და ისიც **ა**ენის მსგავსად ძმის მკულელად აღირაცხება.

ნუ ჰგონებ ვინმე, ნურც შზრახველი, ნუცა ეკკლესიის შემწირველი, რომ საუკუნო ცხოვრება მიიღო, თუ ენა კეთილად არ დაიცევი. ამისი უცთომელი მაგალითი გვაქტეს: როგორც ფარისეველს მარხტა აქტუნდა, ათეულსაც შესწირვიდა, ვითარცა თვით კმობს: „ვიმარხავ ორგზის შაბათსა შინა და ათეულსა შესწირავ ყოველისაგან მონაგებისა ჩემისა“, მაგრამ ენა რომ კეთილად არ დაიცვა, — დაისაჯა, ეგრეთჲც შენ გინა თუ იმარხო, გინა თუ ათეული შესწირო, თუ ენა კეთილად არ დაიცევი, ფარისეველებრ ქტსკენელთა შინა ჯოჯოხეთისათა დაისჯები. მსეც უნდა ვსთქათ: ღავით წინასწარმეტყველი ყოველის სათნოების უპირველესად ენისა და ბაგის დაცვას გვასწავებს ესრეთის თქმითა: „დააცხვრე ენა შენი ბოროტებისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკვასა“. მერმე სხტა კეთილს გვასწავებს და გვეტყვის: „მოიქეც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი“. რომელსაც დიდი წინასწარმეტყველი პირველ გასწავებს შენ შემდგომაც არ ჰყოფ, — რით უნდა წარემართოს შენი კეთილი? წირვის უმჯობესი ქტსყანასა ზედა არა მოცემულა რა. ჰრისტემან ჩტუნდა საცხოვრებელად და თვისთა სახსენებელად ეს გაგვიწესა და ასე გვიბრძანა: „ამას ჰყოფდი მოსახსენებელად ჩემდა“; მაგრამ ენის დაცვა ასე დიდი რამ არის, ენით მშვიდობისა და მისდა გებისათვის ამ საშინელის საიდუმლოს დატეებას გვიბრძანებს და ენით ჰეშმარიტის მშვიდობისა და ძმათა მიმართ დაგებისა ქმნას გვიბრძანებს, ვითარცა ბრძანებს შტალი იტსო: „ოდეს შესწირვიდე შესაწირავსა შენსა და მოგეხსენოს, ვითარმედ ძმა შენი გულ-ძვირ რამე არს შენთვის, დაუტევე შესაწირავი იგი შენი, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა და მერმე მოვედ და შესწირე შესაწირავი შენი“. შტყუელის ჰრისტეს სიტყვით წარმოსჩნდა, თუ ძმათა მიმართ ენითა და ბაგითა ჰეშმარიტი მშვიდობა არა გაქტეს, მსხვერპლის შეწირვა უნდა დააცადო, შენთვის უხმარი არის: გესმის ეს სიტყუა ჰრისტეს მიერ: — „დაუტევე შესაწირავი იგი შენი“. ზემო თქმული კიდევ უნდა დავამრჩობლო: თუ ენა

და ბაგე მშვიდობით არა გაქტს და შფოთებ, შენთვის ყოველი კეთილი უხმარი არის. შითარ?—**თუ** ღმერთი შენ კერძო არის, სხუა რა კეთილი უნდა გეყოს? **ღა** რადგან ენითა და ბაგით შფოთებ, ღმერთი შენთვის საკეთილოდ არ არის; თვით მოციქული გიმტკიცებს: „არა არს ღმერთი შფოთისა, არამედ მშვიდობისა“. შემდგომად ამას ვეტყვი: ენით და ბაგით შფოთება ძრისტეს მიმართ ცხოვრებაში უსრულად ამყოფებს კაცს, ვითარცა კმობს მოციქული: „რომელი სიტყვითა არა სცდებოდეს, იგი სრული კაცი არს“. შენ ჰსცდები სიტყვით, ვივთგან შფოთებ; მაშასადამე ძრისტეს მიმართ უსრული და უმტკიცო ხარ. მნისა და ბაგის ბოროტად მოქმედებისაგან ესეოდენი ვნება შემოვიდა, რაოდენიც ზემო ითქუა. რადგან ასე საშინელს ვნებას ვხედავთ, ყოვლითურთ ჯეროვანი არის, რომ წინასწარმეტყველის სიტყვა ვისმინოთ და ენა და ბაგე უჯეროსაგან დავაცხროთ. იძიებ ვინმე და წინააღმდეგობით იკითხავ და იტყვი: ნურც ბოროტს, ნურც შეცოდებულს ბოროტის ენით ვზრახვთ? ნაცვლად ამისა ამას გეტყვი: ბოროტის მოქმედების ვისთვისმე ბოროტის ზრახვისაგან მოციქული გაყენებს და გეტყვის: „შენ ვინ ხარ, რომელი განიკითხავ სხვისა მონასა?“ **ღა** თვით შფალი იცსო გიბრძანებს: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“. **თ**ვით შენი სამწყსო რომ იყოს, მისდა მიმართაც სიტკბოება უნდა გაქტნდეს. ძრისტეს მოძღურების შედგომილი თუ ხარ, გესმის ძრისტესთვის, თუ ვითარი სიტკბოება აქტს? იგი თავადი ტკბილი არის უმაღლოთათვისცა და უკეთურთა. ძვალად ვიტყვი, შენდამი შეცოდებულთათვისცა ბოროტის ენითა და ბაგით არ უნდა ზრახვიდე, ამისთვის რომ თვით შფალი გიბრძანებს მოციქულის პირით: „ნუგის წინასწარ ჟამისა განიკითხავთ, ეცით ადგილი რისხუასა ღეთისასა, რამეთუ წერილ არს: „ჩემი არს შურის გება და მე მივაგო მათ“. შცილებელის სიტყვებით დამტკიცდა: არცა ბოროტთა და არცა შენდამი შეცოდებულთათვის ბოროტის ენითა და ბაგით არ უნდა ზრახვიდე.

აწ საქმით გიჩუბნო ამისი სიმტკიცე, რომ ძირისტეს მოწაფენი არცა ბოროტთა და არცა თვისდამი შეცოდებულთათვის ბოროტს არ ზრახვიდენ. სვიმონ მოგვი ბოროტი იყო, მაგრამ მოციქულთ მისთვის ბოროტი არ უზრახავსთ რა; თუმცა ეს უთხრეს: „გული შენი არა არს წრფელ ღვთისა მიმართ“ — ეს ბოროტის ზრახუა არ არის, უმეტესად სიყვარულით პირის-პირ მხილება არის მოსაქცეველად; თორემ მოციქულთა შემდგომი სიტყუა განიხილეთ, თუ მოქცევას არ აწვევენ. მსრეთ ჰრქტს: „შეინანე უკეთურებისა ამის შენისაგან“. ღა თუ ამ თქმას ბოროტად შერაცხ, ღავით წინასწარმეტყველი რომ იტყვის: „მოიქეც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი“ — ესეც ბოროტად უნდა შერაცხო; და ამისი ბოროტად შერაცხვა ყოვლითურთ უჯგეროება არის, ამისთვის რომ კეთილი სწავლა არის. მგრეთუც მოციქულთ სიტყუაც სვიმონ მოგვის მიმართ კეთილი მხილება და სწავლა არის. ძიდევ ანანია მოციქულთა მიმართ შეცოდებული იყო, ამისთვის რომ სასყიდელი დაუფარა; მაგრამ ბოროტი არა უზრახავსთ რა უფროსად კეთილად ამხილეს მოციქულთა და ჰრქტს: ანანია, რასათვის აღავსო გული შენი ეშმაკმან ცრუებად სულისა წმიდისა და გამოხვებად სასყიდელსა? ანუ იყო რა შენი იყო და განრავიდე კელმწიფებასავე შენსა იყო? ღა რასათვის დაიდევ საქმე ესე გულსა შენსა? არა ეცრუე შენ კაჟთა, არამედ ღმერთსა“. აქ ეგების წინააღმდეგომმან ჰსთქუას: მოციქულთ სიტყუა ანანიას მიმართ თუ კეთილი იყო, რასათვის „დაეცა და სული წარხდა?“ ნაცვლად ამას ვიტყვი: კეთილი მხილება კეთილის გონებით არ მიითვალა, ამისთვის სიკუდილით დაისაჯა. ამას ზედ უნდა დაერთოს: ბოროტს არ უნდა ზრახვიდენ ორის მიზეზისათვის: პირველად რადგან ძირისტეს მოწაფე ხარ, მისი უნდა ისმინო, ვითარ იგი გასწავებს უშალი იცხო: „ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ“. ბოროტის მყოფელისათვისცა ასე გასწავებს, თორემ კეთილის მყოფელისათვის ბოროტის ზრახუა ძირისტეს მოწაფეთაგან ყოვლითურთ შიორს

არის. მეორედ ამისთვის რომ თავის-თავს უფროსად ავნებ მისგან. ამისი სარწმუნო მაგალითი მოვიღოთ: სუსანასთვის ორთა მოხუცებულთა ზრახვის ბოროტი და დასდრის ბრალი მრუშებისა; მაგრამ ბოროტის მზრახველნი ორნი მოხუცებულნი ერისაგან სიკუდილს მიეცნენ და სუსანა უვნებელად დაშთა; კვალად ფარისეველი მეზვერისათვის ბოროტად ზრახვიდა და აყუბდრებდა—ფარისეველი დაისაჯა ბოროტად მეტყველებისათვის და მეზუტრე განმართლებული იქმნა და სცხონდა. მობედე თუ ბოროტ-მზრახველნი ვითარ დაისაჯნენ!

აწ ესე ვსთქვათ, თუ რომლისა საქმით შეხატდება კაცს და შეემთხუტება ენითა და ბავით ბოროტის ზრახვა. პირველად სიყრმის უგუნურებისაგან, ვითარცა ჰავლე იტყვის: „ოდეს ვიყავ ყრმა, ვიტყოდი ვითარცა ყრმა; ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც, დაუტევე სიყრმისა იგი“. მეორედ ძრისტეს განშორებისაგან: სადამდის ძრისტეს კაცი არ განეშორება, მადამდის არც ბოროტს ზრახუასა ჰყოფს; როდესაც მას მოშორდება, მაშინ ბოროტს ზრახუას შეუდგება. ამისი ცხადი და ქეშმარიტი მაგალითი მოვიღოთ. იუდა როდესაც ძრისტეს განეშორა, მაშინ იწყო ბოროტის ზრახვა ჰურიათა მიმართ. პეტრე მოციქული სადამდის ძრისტესთან მახლობელად იყო, მადამდის ძრისტესთვის თავის-თავის სიკუდილს იტყოდა, მცირედ რომ განეშორა, უარ ჰყო. მოციქული ჰავლე სადამდის ძრისტეს შეუდგებოდა, მადამდის ბოროტს ზრახუაში იყო, ოდეს ძრისტეს შეუდგა, ბოროტი ზრახუა დაუტევა. ღიდის ქეშმარიტის სახით დამტკიცდა, ბოროტის ზრახვის მოქმედი ძრისტესგან განეშორებული არის. მსეც ყოვლითურთ სარწმუნო არის, რომელსაც ბოროტის ზრახვის შედგომა არ ჰნებაეს, ძრისტეს არ განეშორება. მსე თვით მოციქულთაგან დავამტკიცოთ. ძრისტემან მოციქულთ უბრძანა: „ნუ უკუტ თქუტნცა გნებაესთ წარსლვის“. მაგრამ მოციქულნი ბოროტს ზრახვის რომ ეკრძალებოდენ, ძრისტეს არ განეშორნენ. ღა ესრეთ ჰრქუტს: „შთალო, სადა წარვიდეთ, რომელ სიტყუანი ცხოვ-

რებისა საუკუნოსანი გქონან შენ“.


აწ ეს უნდა ვსთქვათ, რომ ამ საშინელის საბრძისაგან განრინება როგორ უნდა. ძაცის განრინების საქმე ვასწაოთ ერთა, არამც ამ საშინელის ვნებისაგან ვინჟე დაინთქას. მეწამულს ზღვაწი ისრაელთ განვლა შეუძლო იყო, მაგრამ მოსეს კვერთხმან განაპო და დაუნთქმელად განვიდენ; ეგრეთჲს ბოროტ მზრახველობისაგან დაუნთქმელად წიად სლჳა შეუძლო არის, თუ მოსეს კვერთხის მსგავსად ჯუარმან ძრისტესმან ცუდად მეტყველებისა ზღვა არ განახშო და ერი ძრისტესი დანთქმისაგან არ იხსნა. მაგრამ აქ კეთილად მიხედეთ, საყვარელნო: მოსეს რომ შეუდგა ერი და მგვიბტეში ყოფა მოიძულეს, ამისთვის მოსეს მიერ ზღვა განიპო კვერთხითა, და ერი ისრაელთა უვნებელად განყუანებულ იქმნა. მგრეთჲს თუ ძრისტეს შეუდგებით და მგვიბტეში (ესე იგი კოდვაში) მყოფობას თუ მოიძულებთ, ძრისტეს მიერ ჯუართა ცხოველს მყოფელითა ცუდად მეტყველების ზღვა განიპება და განხმება, და თქჳს უვნებელად განყვანებულნი შეიქმნებით. ძვალად, როდესაც ისრაელთ ამაღეკი ბრძოდა, მოსე რომ კელს განიპრობდა, ამაღეკი მოუძღურდებოდა; მოსე თუ არ განიპრობდა კელს, ამაღეკი გაძლიერდებოდა;— ეგრეთჲს, როდესაც ერსა ლეთისასა ცუდად მეტყველება ბრძავს, როდესაც, მოსეს მსგავსად, მოღჳაწებისა კელს განიპრობს, მაშინ ცუდად მეტყველება მოუძღურდება; თუ მოღჳაწების კელს არ განიპრობს, მაშინ ამაღეკის მსგავსად ცუდად მეტყველება განძლიერდება, და ერი ძრისტესი მოუძღურდება. შძლიერესი ბრძოლის სახე ვასწაოთ ერთა. თუ ინებებთ, ძრისტეს მსგავსებას მიიღებთ რომლისაჟე საქმით: ვითარ ძრისტეს მოწათფენი ზღვის ღელვისაგან შესწუხდენ, ძრისტემან თვისნი მოწათფენი მწუხარედ რომ იხილნა, „შერისხნა ქართა და ზღჳათა და იქმნა დაყუდება ღიდი“; ეგრეთჲს როდესაც ცუდად მეტყველების ღელვისაგან შესწუხდე, სიმშვიდისა და ღუმილის რისხვით შერისხენ ძრისტეს მსგავსად ქარსა და ღელჳასა ცუდად მეტყჳსლები-

სასა, და იქმნას დაყუდება დიდი შენ შორის, და ხსნილ იქმნა სულიერებრივისა დანთქმისაგან. ანუ კვალად ამ საქმით მიეჭა-გავსე ძრისტესა: ვითარ ძრისტე ლელჯთან მივიდა, ნაყოფი რომ ვერ ჰპოვა, ჰაწყევა, და საუკუნოდ განხმა ლელ-ვი იგი,—ეგრეთჲც შენ, ძრისტეს მსგავსად, მიხვედ ბოროტ მეტყველების ნერგთან, რა ვერ ნახავ მისთანა ტკბილსა ნაყოფ-სა, დასწყევე და საუკუნოდ განახმე შენ შორის ნერგი იგი ბოროტ-მზრახჲსლობისა. ძრისტემან ერთგზის განიხილა ლე-ლვი და შენ უფრო მტკიცე ყოფისათვის ორ-გზის მიხვედ და განიხილე, და რა ტკბილს ნაყოფს ვერ ჰპოვებ, ჰსწყევე და საუ-კუნოდ განახმე შენ შორის ნერგი ბოროტ-მეტყველებისა. პირველად სამოთხესა შინა განიხილე ბოროტ-მეტყველება გვე-ლისა; საშინელისა სიმწარის მეტს ნაყოფს ვერ ჰპოვებ; მეორედ იუდას ბოროტ-მეტყველება განიხილე: თვით დაისაჯა სულით და კორციით, და ნაყოფი ვერ ჰპოვა რა. ბესმის ძრისტეს მი-ერ: „პირითა ორისა და სამისა მოწამისათა დაემტკიცების ყო-ველი სიტყუა“. ზემო ორმან ხილუამან უნდა დაგიმტკიცოს, რომ ბოროტ-მეტყველებას სიმწარის მეტი ნაყოფი არა აქვს; მაშ უნდა სწყეო ბოროტ-სიტყუაობა და საუკუნოდ უნდა გა-ნახმო. ამას თუ არა ჰყოფ და დიდის ლავით წინასწარმეტყვე-ლის სიტყუას არ ისმენ, რომელსა იტყვის: „დააცხვრე ენა შე-ნი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკუასა“— ეშმაკის შეპყრობისაგან, ვერ განერები. როგორ უნდა განერო? თუ ერთი კერძო შენი, ანუ ხელი, ანუ ფერხი მტერს უპყრია უეჭველად მისგან შეპყრობილი ხარ. მეგრეთჲც შენი ენა და ბაგე ბოროტ-მეტყველებისაგან თუ ეშმაკს უპყრია, უეჭველად სრულებით ეშმაკისაგან შეპყრობილი ხარ. თუ მიხედავ, მაც-ხოვრისა იმსოს სიტყუა შენზედ აღსრულებული არის, რომელ-სა ბრძანებს: „პირველად შეპყრას ძლიერი იგი და მაშინლა საუნჯენი მისნი იავარ ჰყვენ“. — პირველად შენ შორის ძლიე-რი სიტყუა ბოროტის მეტყველებით ეშმაკს შეუკრავს, და ყო-ველი შენი სურიელებრივი საუნჯე წარუტაცნია. შითარცა

იუდა ბოროტის მეტყველებით ყოვლის კეთილისაგან ცალიერ-
რი ჰყო, ეგრეთჲც ჰნებაეს შენთვის, რომ ბოროტ-მეტყველე-
ბით ყოვლის კეთილისაგან ცალიერ ჰყოს. ანლა ტკბილის
იქსოს სიტყუა მოვიდოთ, რომელსა ბრძანებს: „უკეთუ ნათე-
ლი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენმე?“ მსგავ-
სად ამისა მე გეტყვი: სიტყვიერების უმჯობესი ნათელი შენ
შორის არა არის რა, და თუ ეს ბოროტ-მეტყველებით შენ
შორის დაბნელებული არის, სხუა ნათელი და კეთილი რა
უნდა იპოვოდეს შენ შორის? ანუ ეშმაკს რითი განიოტებ
შენგან? სხეული არ არის, რომ ხელით ებრძოლო. ძეთილი
სათნოება უნდა გაქტნდეს და სიტყვით უნდა შერისხვიდე ეშ-
მაკსა, ვითარცა წმინდანი ჰყოფდენ. შენ სიტყუა ეშმაკისათვის
დაგიმორჩილებია ბოროტის-მეტყველებით და ჰრითი ჰსძლევ
და განიოტებ? რადგან სიტყვით მას ემორჩილები, მისგან ძლე-
ული და დამორჩილებული ხარ, ვითარ იგი კობს მოციქული:
„რომლისაგანცა ვინ ძლეულ არიან, მისდა დამონებულ არიან“.

თუ თქტსნი თავისუფალი გონება ითნებს ამ ძლიერს ვნე-
ბას, კურნების სახეს მოვიპოვებთ ძლიერსა და ყოვლად ქეშ-
მარტს, რომ ენის ცთომილება განიკურნოს. პეტრე მოციქუ-
ლი ენითა და ბაგით ცთომაში შთავარდა, რომ თვისი მეუფე
და მოძღუარი შუალი იქსოს უარ ჰყო. მს ვნება რომ შეემთ-
ხვია და სიტყვით ცთომაში შთავარდა, თავის თავს აღარ მიენ-
დო, უფროსად ყოვლითავე თავის თავი ძრისტეს მიანდო.
ძრისტემან რომ ჰკითხა: „სიმონ იონჰსო, გიყუარმეა?—პეტ-
რემან თავის თავს ძრისტეს სიყვარული ვეღარ დაუჯერა, რად-
გან ერთჯერ უარყო; ამისთვის ჰრქუა: „შენ ყოველი უწყი,
რამეთუ მიყუარ შენ“. პეტრეს სიტყუას ეს ძალი აქტს: მე
სიტყვით ცთომილი ვარ, პირველ სიყუარული აღგიტქვი და
უარ გყავ, აწ შენს სიყუარულზედ ჩემს თავს ვერ ვერწმუნე-
ბი: შენ უწყი მიყვარხარ, თუ არა. ცთომისა შემდგომად პეტ-
რემან ასე ყოვლითურთ მიანდო თვისი თავი ძრისტესა, ამის-
თვის განწმენდილი იქმნა; ეგრეთჲც შენ სიტყვით შეცთომი-

ლი თავის თავს ნუ მიენდობი, უფროსად ყოველი ზეხი ცხოვრება ძრის ზეს მიანდევ. რომ სიტყვით ცთომილი მოგაქციოს ქეშმარიტებისა გზისა და მკვიდრ გყოს ყოველნი ზეცათა სასუფეველსა, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 24. შეცოდებთა მსტყუებისათვის.

მაცხოვარი და უფალი ჩუნი იესო გვიბრძანებს: „უკეთუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, თქუენცა მოგიტევნეს მამამან თქუენმან ზეცათამან, და უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა თქუენ მოგიტევნეს მამამან თქუენმან ზეცათამან“. ჳგონებ მე, ყოვლად უღირსი, რომ ამ სიტყუას ერის სამწუხარო არა აქუს რა. რომელიც სხეულის შესაწუხებელი არის მარხუა, ანუ სხუა ძლიერი მოღუწება, ამ სიტყუაში არ არის, მხოლოდ ეს არის: მიუტევნეთ ძმათა და თქუენცა მოგიტევნეს ლმერთმან შეცოდებანი თქუენნი; და აქ შესაწუხებელი არ ჰჩანს რა. მსეც უნდა ვსტუათ, არა თუ ვისმესათვის არის ეს სიტყუა,—საერთოდ ყოვლისა ძლიდრისა და გლახაკისათვის არის მეუფისა ძრისტეს სიტყუა; ამ სიტყვისაგან ყოველნივე საერთოდ უნდა იხარებდენ. მგების ძიება ჰყოს ვინმე ამისი, რომ ამ სიტყუას რა მოაქუს სიხარულის მიზეზი? აქ მეც კითხუას ვჰყოფ: რომელი

შეწუხების მიზეზი უნდა ჰქონდეს შეცოდებულის ძმის მიტყვევას? შორიდან მოსალეველი არ არის, თვით შენის გონებიდან არის მოსალეველი; ძნელი რამ არ არის, თვით ითქმის: უადვილესი ამისგან არ იქმნება რა. ამის სიადვილეს თვით შუალი იცნო ამტკიცებს და ბრძანებს: რა უადვილეს არს თქმად ანუ სიტყვად: მიგეტევენ ცოდუანი შენნი“; მიჩუტნეთ, თუ სადა არის ამის შორის შესაწუხებელი საქმე? თქვენ ვერ მიჩუტნებთ შესაწუხებელს საქმეს ამის სიტყვისაგან, მე სასიხარულო მიზეზებს მტკიცეთ გიჩუტნებ სიტყვისა ამისგან. უდიდესი სასიხარულო რა იქმნება: შენ შენს ძმას წარმავალისა და განახარწნელის და წუთის სოფლის შენის თავის შეცოდებას მიუტევებ, და შენ საუკუნო და წარუალი ღვთისა მიმართი შეცოდება მიგეტევება; შენ ჟამიერის ტანჯვის ღირსს შეცოდების შენდობას მიიღებ. მცირედისაგან გამოუთქმელი და აღურიცხველი კეთილი მიიღო, უდიდესი სასიხარულო რა უნდა იქმნეს? შემეტესი სასიხარულო ეს არის, რომ უტყუელი შუალი იცნო აღვითქვამს ამ ნიქს: „უკეთუ მიუტევენთ კაცთა შეცოდებანი მათნი, თქვენცა მოგიტევენთ მამამან თქვენმან ზეცათამან“. ღა თუ ვინმე ზემო იქმული არ შეიწყნაროს და ძრისტეს სიტყვა მძიმედ და ძნელად შერაცხოს, მას გონიერი არავინ დაერწმუნოს და სიციფედ უნდა შერაცხოს მისი სიტყვა, ამისთვის რომ სწორედ ჰეშმარიტებით სახილველი არის ძრისტეს სიტყვისა სიადვილე და მისგან დაუსრულებელისა სიმდიდრისა მოღება. აქ ერთი მაგალითი უნდა მოვილოთ. ზღვის უფსკრულიდან უსასყიდლო მარგარიტი მოიპოვება; ვინც იმ მარგალიტს მოიპოვებს და ცუდად არ განაბნევს, საექველი არ არის, უექველად გამდიდრდება. მგრეთუც ეს უსასყიდლო მარგარიტი — „უკეთუ მიუტევენთ კაცთა შეცოდებანი მათნი, თქვენცა მოგიტევენთ მამამან თქვენმან ზეცათამან“ — ეს მარგალიტი, მიუწლომელის ღვთის კაცთ-მოყუარების უფსკრულიდან არის მოპოვებული; ვინც ამას მოიპოვებს, და ცუდად არ განაბნევს, უექველად სულიერებრივს სიმდიდრეს მიიღებს.

ქვალად სხვა მაგალითი მოვიღოთ. მართი ვინმე უფალი თავის მონას მტერისაგან დაგლახაკებულს რომ იხილავს, არა თავს იღებს მტერისაგან თავის მონის დაგლახაკებას, თავისის საუნჯისაგან მისცემს და განამდიდრებს. მგრეთჲს ქრისტემან ღმერთმან თავისი მონანი მტერისაგან დაგლახაკებულნი რომ იხილა სულიერად, არა თავს იღუა მონისა თავისისა დაგლახაკება; ამისთვის თავისის მიუცილებელის მოწყალების საუნჯი-დამ სულიერებრივად სიმდიდრედ ეს მოსცა კაცთა: „უკეთუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი“ და შემდგომი. აქ უფლისა იესოს სიტყუა კეთილად დასაზავებელი არის: „მთეველსა და მომკრპლსა ერთბამად უხაროდის“. მთესჲტლსა შენდობისასა, ესე იგი მიმტევებელსა უნდა უხაროდეს, ამისთვის რომ თავისის ცოდვის მიტევებას მიიღებს საუკუნოსა მამისაგან; მომკრპლსა, ესე იგი შენდობილსა და მიტევებულსა უნდა უხაროდეს, ამისთვის რომ მის სიძულილისა და შერისხვისაგან განერა. შოვლითურთ ქეშმარიტი არის ამ სიტყუის საზოგადოდ სიმდიდრედ და სიხარულად შერაცხუა.

მეუფისა იესოს სიტყუას თუ რა სიხარული და სიმდიდრე აქუნდა ზემორე შემოკლებით ითქუა. აწ ეს უნდა ვსთქუათ: რომელიც ქრისტეს სიტყუას არ მოისმენს და მათა შეცოდებას არ მიუტევებს, თუ რა მძიმე შესაწუხებელი არის. მაგრამ ჯერ ეს უნდა ვსთქუათ, მმა არა თუ მარტო ხორციელად თავისა ეწოდება, ყოველნი მართლმადიდებელნი ქრისტეანენი ურთიერთარს მმად იწოდებიან, ვითარცა ბრძანებს უფალი იესო: „თქუნ ყოველნი მმანი ხართ“. აწ ეს ვიწყით, ვინც მათა შეცოდებას არ მიუტევებს, თუ რა მძიმე და სამწუხარო არის, აქ ერთი მაგალითი უნდა ვსთქუათ. ზღვის კიდეს რომ ვინმე ხტნიდეს, მხვნელთათვის დიდად სამწუხარო არის, ამისთვის რომ ცუდად ოფლსა სთხევს და ვერას მოიპოვებს. მგრეთჲს რომელიც მათა შეცოდებას არ მიუტევებს და მტერობას ჰყოფს, დიდად სასჯელსა ჰყოფს და სარგებელს ვერას მოიპოვებს. იხილეთ თუ რაჲ სარგებლობა აქუნდეს! თუ ვინმე ამას

იტყვის, ძმამან მანოა, აქ ამას ვეტყვი: ძმამან შენმან მახვილით დაგაწყლულა, მაგიერად რომ მახვილით ჰსწყლა, შენს წყლულს მისი წყლულება რას არგებს? რომელს სიმრთელეს მისცემს? **ცხად** ჰსჩანს, რომ არა რამე სიმრთელე მიეცემა მისგან. **სხუა** ვნებაზედაც ასე არის: მისის ვნებისაგან შენ არა გერგება რა, უფროსად მას არგებ. **თუ** იძიებ, რომლით არგებ—შენ ჟამიერი კაცი ჟამიერსა და წარმავალს შურს შიავებ და საუკუნოსა ღვთისა მიერის რისხვისაგან განარინებ, ამისთვის რომ რომლისა საქმისათვის შენ დაჰსჯი და განიკითხავ, მის საქმისათვის ღმერთი არ დასჯის და არც განიკითხავს. **მითარცა** მეზჭირე ფარისევლისა მიერ დასჯილი ღმერთმან არა დასაჯა და განამართლა. **ეგრეთუც** შენ მიერ დასჯილს რომლისაც საქმისათვის დასჯა, მის საქმისათვის ღმერთი არ დასჯის და არც განიკითხავს. **თუ** ამას იტყვი: ნივთიურს რასმე მივსტაცებ და შევიძინებ, აქ არა თუ შევიძინებ, უფროსად საწყალობელი შეიქმნები, ამისთვის რომელ სასუფეველისაგან განვრდომილი შეიქმნები, ვითარცა ემოზს **უფალი იცის**: „არცა მტაცებელთა სასუფეველი ღვთისა ვერ დაიმკვიდრონ“. **საკვირველი** ეს არის: თუ ვნება და მტერობა გნებავს შენის მავნებელის, შენ ერთი უძლიერი რამე ხარ, ეგების ვერც რამე ავნო; და ყოველთა უძლიერესი ღმერთი, რომლისაგანაც ყოველნი ძრწიან, ის რომ გიბრძანებს: „ჩემი არს შურისგება და მე მივაგო მათ“—რასათვის მას არ აცადებ, რომ შენგან უუძლიერესად ის ავნებს? **და** თუ ვნება არ გნებავს, რასათვის შეცოდებას არ მიუტევებ? **თუ** არ მიუტევებ ძმათა შეცოდებას—დაუსრულებელს სატანჯველს მიიღებ, ამის უცილებელის სიტყვისაგან ჰსჩანს: „არცა თქტან მოგიტევენს ძმამან თქტანმან ზეცათამან“ ეს საუკუნო მისაგებელი.

აწ ესე ვსთქვით, ამასვე სოფელსა წინა თუ რა ვნება მიეცემა რომელიც ძმათა შეცოდებას არ მიუტევებს. **პირველად** ეს ვნება შედგება: ძრისტეს მოწაფეობისაგან შორს იქმნება, რომელიც მოძღვარმან ძრისტემან ასწავა, თუ ის არ ის-

წავა და არ მიიღო, როგორი მოწათე იქმნება? ძრისტემან თვისთა მოწათეთა ასწავა: „ნუ მოიგებთ ოქროსა, გინა ვეცხლსა“. იუდამ ეს მოძღურება არ ისწავა და ძრისტეს მოწათეობისაგან განვარდა; ვგრეთჲჲ ძმათა შეცოდებისა მიტევება ძრისტემან ასწავა თვისთა მოწათეთა, ვითარცა პეტრემან ჰკითხა შევალსა: „რაოდენ გზის შემცოდოს ძმამან ჩემმან და მიუტეო—ვიდრე შეიდგზისამდე?“ ძრისტემან ეს მიტევება მცირედ შერაცხა და პეტრეს ასე უბრძანა: „პეტრე, არა გეტყვი ვიდრე შეიდგზისამდე, არამედ სამეოცდა-ათ-შეიდგზისამდე“. ძრისტემან ესრედ მტკიცედ ასწავა მოწათეთა თვისთა შეცოდებულთა ძმათა მიტევება; შენ ამ სწავებას არა ჰყოფ და არცა მიიღებ,—ვითარცა იუდა ისე განვარდები ძრისტესაგან. მეორედ ესე ყოვლისავე ნათლისაგან სული შენი ცალიერ და ბნელ იქმნება, ამისთვის რომ მიუტევებლობა შურს შემოიღებს და შური სიბნელეს, ვითარ იგი ხმობს ბრძენი ხოლომონ: „შური სიხენეშისა დაბნელებს სულსა“. მესამედ: რომელიც კეთილი გიმოქმედებია, ყოველსავე უნაყოფოდ აღმოაჩინს შენს შორის; ყოველი კეთილის მოქმედება ამისთვის არის კაცისაგან—თავისი შეცოდება მიეტეოს ლეთისაგან, და რომელიც შეცოდებულთა ძმათა არ მიუტევებს, არც მას მიეტევების ლეთისაგან თავისი შეცოდება, როგორც ზემო ძრისტეს მიერი სიტყუა ამტკიცებს: „არცა თქუენ მოგიტევნეს მამამან თქუენმან ზეცათამან“. მაშასადაზე ყოველი კეთილი შენ შორის უნაყოფო იქმნება, თუ შეცოდებულთა ძმათა არ მიუტევებ. მეოთხედ, ეს ვნება შეუდგება შეცოდებულთა ძმათა მიუტევებლობას: როგორც ეშმაკეული ვინმე თავის თავს იწყულულებდეს და იკოდეს, აგრევე რადგან ძმას შეცოდებას არ მიუტევებს, ისიც ეშმაკეულის მსგავსად ძმის მტერობითა და შურით თავის თავს სულიერებრივად იწყლავს და ვნებას აძლევს. შეძღომად ეს უნდა დავრთოთ: რომელიც ყოველსა დღესა ლეთისა მამისა მიმართ ცრუდ ილოცავს, მას კეთილი ანუ სულით, ანუ ხორციით ვითარ უნდა ეყოს? მსე ვითარს რომ კე-

თილი ეყოს, შესაძლო არ არის. რომელიც ძმათა შეცოდებას არ მიუტევებს, ესე ვითარი ღვთისა მამისა მიმართ ცრულ მლოცველი არის; ღვთისა მამისა მიმართ დღითი დღე კმობს: „მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“, — მხოლოდ სიტყუასა კმობს ღვთისა მამისა მიმართ, თორემ ძმას შეცოდებას არ მიუტევებს, თითონ კი ითხოვს ღვთისაგან მოტევებას და შეცოდებულის ძმის მიტევება არა სებავს. რით შეიძლება რომ ამისთანა მლოცველის კეთილი უყოს? მხოლოდ ამითი არის შესაძლო: როგორც ღვთისა მამისა მიმართ ილოცავს: „ვითარცა ჩუენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა“, ეს სიტყუა უნდა განამართლოს და შეცოდებულთა ძმათა მიუტეოს, თორემ ვერც თითონ მიიღებს ღვთისაგან მოტევებას. შეცოდებულთა ძმათა მიუტევებლობის მიზეზი არცა უძღურთა აქტს და არცა გლახათა. უძღურს რა მიზეზი უნდა აქტნდეს? რომელი სხეულის ღუაწლი და ოფლი დაშკირია შეცოდებულის ძმის მიტევებას? არ არის ეს მარხვისა და სხუა მოღუაწების მსგავსად ძნელად სატვირთო. მს სხეულს სხუა მოღუაწების მსგავსად არ დააქნობს, არც მოაუძღურებს; მაშასადამე უძღურს მიზეზი არა აქტს შეცოდებულთა ძმათა მიუტევებლობისა. ზლახაკს რა მიზეზი უნდა აქტნდეს? არ არის ოქრო და ვეცხლი, რომ სიგლახაკისათვის ვერ მოიპოვოს; სხვის საუნჯიდან არ არის ეს საქმე მოსაპოვნებელი, თავისის გონებიდან და სიტყვიდან უნდა მოიპოვოს. თუ მოიპოვა და ძმათა შენდობა მისცა, გლახაკი და უპოვარი საუკუნო სიმდიდრედ თვისთა ცოდუათა მიტევებას მიიღებს. არ ესახმარება ესე, რომ თვით არა აქტნდეს და სხვისაგან მოიპოვოს, — თვით თავის თავად შემძლებელი არის ძმათა შენდობის მიცემად. ჰსჩანს რომ მიუტევებლობის მიზეზი არავის აქტს. მაშ აქ ერთი მაგალითი საღმრთოს წერილიდან უნდა მოვიღოთ; ჰინდოეთის დედოფლის საქუროსი ისაია წინასწარმეტყველის წიგნს იკითხვიდა: „ვითარცა ცხოვარი კულად მიიგუარა და ვითარცა ტარიგი წინაშე მრძ-

სველისა თვისისა უხმობელად, ესრეთ არა აღაღებს პირსა თვისსა“. **ფილიპვე მოციქულმან** ჰკითხა: „რასაც ახლა აღმოიკითხავ, იცი, რასა აღმოიკითხავ? **საქურისმან** უთხრა: „როგორ შემიძლია ამისი ცნობა, თუ ვინმე მასწავლელ არ მექმნება?“ **ფილიპვე** სწავლება და მოძღვრება **ძრისტესთვის** იწყო და **იოსოსთვის** განუმარტა ის სიტყუა. **საქურისმან ფილიპვეს** სიტყუა რომ ისმინა და მოუქცეველობის მიზეზი რომ ველარ ჰპოვა, გზაზე ვიდოდენ და წყალი ნახეს, **საქურისმან** ემაჰყო: „აჰა წყალი, რალა ყენება არს ნათლისღებად?“ **საქურისი** და **ფილიპვე**, ორნივე წყალში შთახდენ; **საქურისმან** ნათელ იღო; **საქურისი** წყლიდამ რომ ამოვიდა, სული წმიდა მოვიდა მასზედა. როგორც **საქურისს** მოუქცეველობის მიზეზი არა ჰქონდა რა **ფილიპვეს** სიტყვისაგან და მგზავრ მავალმან იხილა წყალი და შთახდა ნათლისღებად, და, როდესაც აღმოვიდა, სული წმიდა მოვიდა მის ზედა,—ეგრეთჲს თქუენ ძმათა მიუტეველობის მიზეზი არა გაქუსთ რა მეთუისა **ძრისტეს** სიტყვისაგან, რომ ის გიბრძანებს შეცოდებულთა ძმათა მიტევებასა; და როგორც **საქურისმან** გზად მავალმან წყალი იხილა და შთახდა, ეგრეთჲს თქუენ სოფლად მავალმან, როდესაც თქუენდამო შეცოდებული ძმა იხილოთ, მყის თანად მისის მიტევების წყალში შთახედით და ემზახის მსგავსად ამის მიერ განიბანენით ცოდუათა თქუენთაგან, რომ თქუენზედა სული წმიდა მოვადეს. თუ ასე არა ჰყოფთ, ცოდუათა მიტევებას ვერ მიიღებთ; თუ ვითარ—განვაცხადოთ: ცოდუათა მიტევებას ლეთისაგან ვითხოვთ, და ავით ლმერთი შუალი **იოსო** **ძრისტე** ასე გვიბრძანებს: „უკეთუ არა მიუტევენთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა თქუენ მოგიტევენეს მამამან თქუენმან ზეცათამან“. **ლმერთი** ამას გიბრძანებს და სხუამან ვინ უნდა მოგიტეოს? **თვინიერ** ლეთისა ვის ძალ-უძს შენი ცხოვრება? —**არცა** რომელსამე. **აწ** თუ ცხოვრება გნებავს, მიუტევე ძმათა, ახარე **ანგელოზთა** და კაცთა: **ანგელოზთა** ამითი ახარებ, ძმათა შეცოდებისა მიტევებითა შენს შეცოდებას. შეინა-

ნებ და შენის სინანულისათვის ანგელოზნი სიხარულს ჰყოფენ, ვითარცა კობს უფალი იცნობის ცათა შინა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს“; კაცთა ახარებ, როდესაც შენი ძმა განიხარებს თვისისა ცთომისა შენდობისათვის და შენ მიერ სიყვარულით შეტკობისათვის. შემდგომად ეს უნდა ვსთქუათ, თავის თავსაც უსახომოდ ახარებ, ახარებ ამას სოფელსა შინა, რომ თვინიერ ღუაწლისა, ოფლისა და ჭირისა შენის ცოდვის აღხოცასა ჰყოფ ძმათა შეცოდებისა მიტევებითა. ახარებ თავისს თავსა უსახომოდ, რომ საუკუნო ცხოვრებას მიიღებ. ამ სანატრელს და უსასყიდლო საქმეს კიდევ მიიღებ სოფელსა შინა—ესე იგი ძრისტეს მიემსგავსები. ვითარ?—ძრისტე მიუტევებდა შეცოდებათა და ეტყოდა: „მიგეტვენენ შენ ცოდუანი შენნი“; შენც ძრისტეს მსგავსად შეცოდებულს ძმას მიუტევებ და ეტყვი: „მიგეტვენენ ჩემდამო ცთომანი შენნი“. მიხედე თუ რა უსასყიდლოს საქმეს მიიღებ! მართის ძმათა მიტევებისათვის ესეოდენი გამოუთქმელი ნიჭი გეძლევა და რა გაყენებს? მიზეზი უნდა ვსთქუა. მგების ოქრო და ვეცხლი მიგილო ძმამან და მისის ძლევისათვის მიტევებას არა ჰყოფდე. თუ ამისთვის დააყენე მიტევება, ამის მიზეზს ძრისტე მოგისპობს. ის გპირდება ნაცვალს და უმეტესსაცა სიტყვითა ამით. „მოგეცეს თქუენ საწყაული კეთილი შეხრილი და დატენილი და ზედა გარდათხეული“. აქაც ეს მიზეზი შენ მიერ კუდი და ამაო არის. მგების ეს ვინმე ჰსთქუას: რადგან მტერი არის ჩემი და ჩემი ვნება ჰნებავეს, მეც მტერობასა და ვნებას ვჰყოფ. აქ ორს რასმეს ვიტყვი: ერთს ასე ვიტყვი, რომ ძრისტეს სიტყუას მაგალითად მოვიღებ: „ვერ ძალ-გიძს ორთა უფალთა მონებად“. მგრეთც მე ვეტყვი: ორთა მტერთა მტერობა არ ძალ-გიძს, ხორციელს მტერსაც ემტერო და სულიერსაც, ეს არ ძალ-გიძს; ხორციელს მტერობაში სულიერს მტერს—ეშმაკს—ვერ ემტერები; რაოდენ ჟამ ძმის მტერობასა და შურში ხარ, ეგოდენ ჟამ ეშმაკი გძლევეს და შენ ეშმაკს ვერ ჰსძლევე. როგორც ძა-

ენ, ძმის შურითა და მტერობითა შეპყრობილმან, ეწმას ვერ ჰსძლო, უფროსად ეშმაკისაგან იძლია, ეგრეთჲც შენ ძმის შურითა და მტერობითა შეპყრობილი ვშმაკს ვერ ჰსძლევ, უფროსად შენ გძლევს. აქ კეთილად განიხილევ, თუ რა ძნელს ბოროტებაში ხარ: მოყუასსა და ძმას მტერობით აუძლოურვ და ეშმაკს აძლიერებ, — ლეთის ხატად და მსგავსად შექმნილს კაცს ეს არ შეემაგავსება. მეორეს ამას ვიტყვი: შენ შურითა და მტერობით ჰგონებ ხორციელის მტერის ძლევას; მტერობით ვერ ჰსძლევ, უმეტესად სიტყვობებით ჰსძლევ, ვითარცა მოციქული აცხადებს და იტყვის: „შიოდეს თუ მტერსა შენსა, პური ეც მას და ჰსწყუროდეს თუ, წყალი ასე მას: ესე რა ჰყო ნაკვერცხალი შეუკრიბო თავსა მისსა“. თუ არ ირწმუნებ მოციქულისას და მტერობას არ დააცხრობ, ანუ ლეთის გმობაში შთავარდები, ანუ ჭეშმარიტის სიმართლისაგან გარეშე იქმნები; და თუ ვითარ — გამოვაცხადოთ.

აქ ერთი კითხვა უნდა ვჰყი: მოწყალეობით მიტევება სამართალი არის, თუ უსამართლო? თუ იტყვი უსამართლო არის, აქ ლეთის გმობაში შთავარდები, ამისთვის რომ ლმერთი მოწყალეობით მიტევებელი არის, და თუ მიტევება უსამართლოება არის, შენის სიტყვის მსგავსად ლმერთი უსამართლო იქმნება. თუ იტყვი, სამართალი არის მოწყალეობით მიტევება, შენ სამართლისაგან გარე გახდილი დაშთები, ამისთვის რომ შეცოდებულთა ძმათა მიტევებას არა ჰყოფ; ვკონებ შენის ცოდვის წყლულება უკურნებელი იყოს, — ვითარ? — სულთა და კორცთა მკურნალმან ძრისტემან ლმერთმან ეს სუბუქი ცოდვის სამკურნალო წამალი მოგცა — ძმათა შეცოდებისა მიტევება; თუ კი ამას არა ჰყოფ, სხვა ცოდვის სამკურნალო — სინანული უმეტესად მძიმე და შესაწუხებელი არის, სხუას უფრო ვერა ჰყოფ, და რომლითა უნდა ჰსცხონვდე? ბიჭუნო ცხადად, რომ თუ შენდამი შეცოდებულთა არ მიუტევებ, შენი ცხოვნება შესაძლო არ არის: მამამან ლმერთმან რომ ცოდუა არ მოგიტეოს ყოვლითურთ ცხადი და საჩინო არის, რომ შენი ცხოვ-

ნება შესაძლო არ არის; და თუ შენ შენს ძმას არ მიუტევებ, არც ღმერთი მამა შენ მოგიტევებს, ვითარცა გიბრძანებს ძრისტე: „არცა თქჳსნ მოგიტევნეს მამამან თქჳსნმან ზეცათამან“. მაშასადამე თვინიერ ძმათა მიტევებისა შენი ცხოვნება შესაძლო არ არის.


შგების ეს ვინმე იძიო შეცოდებულთა მიმართ: მე მივიდე და მოვიძიო? მე გეტყვი, თუ მოძღუარისა შენისა ძრისტეს მსგავსება გნებავს, შენ უნდა მიხვიდე და შენ უნდა მოიძიო; მოძღუარმან შენმან ძრისტემან ესრედ ჰყო, თვით მოვიდა შეცოდებულთა მიმართ; ეგრეთვე შენ ძრისტეს მოწაფემან უნდა ჰყო და შეცოდებული უნდა მოიძიო. სამართალი არის, უძღურს სნეულთან მკურნალი უნდა მივიდეს; შენი ძმა და მოყვასი შენის შეცოდებისაგან სულით უძღური და სნეული არის, შენ ვითარცა მკურნალმან მოიძიე; სიყვარულისა და ტკბილ სიტყუაობისა ზეთი დაასხ; სიმდაბლითა შეხვიე წყლული შეცოდებისა მისისა და მიტევებითა სრულიად ჰკურნე, რათა შენ უმეტეს განიკურნო სულით და ხორციით. თუმც უძღები შვილი აქეთ მოვიდა სახიერს მამასთან, მაგრამ სადამდის სახიერს მამასთან მოვიდოდა, სახიერმან მამამან უსწრო, მირბოდა და წინა მიეგებოდა, შოიკითხა და ამბორს უყო. მგრეთჳც შეცოდებული რომ შენდა მომართ მოვიდოდეს, შენ სახიერს შამას მიემსგავსე: სრბოლით მიეგებე, მოიკითხე, შეიტკბე და ამბორს უყავ. თუ ესეები ვერ ჰყო და ვერც ძრისტეს მიემსგავსო, და შეცოდებულთა მიმართ ვერ მიხვიდე და ვერც სახიერს მამას მიემსგავსო, და შეცოდებული რომ შენდა მომართ მოვიდოდეს და წინ ვერ მიეგებო— მოსებს მაშინც მიემსგავსე; ვითარ?— მოსებ არც შეცოდებულთა ძმათა მიმართ მისულა, არც წინ მიჰგებებია; მაგრამ როდესაც მასთან მოვიდნენ, დიდის სიყვარულით შეიტკბო და არა რაჲმე ძვირი უხსენა, ისე ყოვლითურთ სიტკბოებით შეიწყნარა. მგრეთჳც შენდა მომართ ვიტყვი: შეცოდებულთა მიმართ თუ ვერ მიხვიდე, ან თუ შენდა მომართ მოვიდოდეს და წინ ვერ მიეგებო, მო-

სების მსგავსად სიყვარულით შეიწყნარე, ძვირს ნუ უხსენებ და სიტყბოება აჩუქნე. აწ რომელიც ძმათა მიმართ მეცოდველი არის, მას განვაკრძალებ, არამც იუდას არავინ მიემსგავსოს;— ვითარ?— იუდას ძრისტეს უარის ყოფა გონებაში აქვდა; ძრისტემან მაშინც მოიძია და თვისსა ტაბლასა იზიარა და მიუწოდებელი სიყვარული აჩუქნა; მან ყოველი უარყო და ძრისტეს უარისყოფასა და სიძულილსა შეუდგა. მგრეთეს რომელსაც ძმის უარისყოფა და შეცოდება გაქვს გონებაში და თვით შენთან შენგან უარყოფილი ძმა მოვიდეს და სიყვარულის ტაბლაზედ გიზიაროს და შეგიტყბოს, მისი უარისყოფა და ბოროტი შენის გონებისაგან შორს ჰყავ, თორემ წინც იუდას მსგავსი შეიქმნები. იუდამაც რომელსაც სცოდა, ძრისტესა, მისი სიტყბოება და სიყვარული შეურაცხყო, როდესაც თვით შეგიტყბო; წინც რომელსაც სცოდე, მისსა სიტყბოებასა და სიყვარულს შეურაცხყოფ, როდესაც შენდამო მოვა და შეგიტყბობს, — ეს იუდას მსგავსება არის; ეს ქეშმარიტს ძრისტეს მოწაფეს არა ჰშუტნის. რომელიც ქეშმარიტი ძრისტეს მოწაფე არის, პეტრეს მსგავსად ტირილი უნდა იწყოს, თავისის შეცოდებისათვის.

მგების ეს ვინმემ იძიოს, რასათვის დიდად ძღუენად მიითვალავს ლმერთი მოყუჩის ბრალთა მიტევებას? ამისთვის რომ მრავლის სათნოებით არის აღსავსე; და მოყუჩის ბრალთა მიუტევებლობა ამისთვის სძაგს— მრავლის ბოროტით არის აღსავსე. ჯერ ეს ვსთქვათ, თუ როგორ ბოროტით აღსავსე არის მიუტევებლობა; შემდგომად მიტევების კეთილით აღსავსეობა ვსთქვათ. მოყუჩის ბრალთა მიუტევებლობას შეუდგება ამპარტავენება, რომ გონების მალლოობით ნაცულის მიგება ჰნებავს და ამპარტავენება საძაგელი არის წინაშე ლვითისა, ვითარცა ბრძანებს შფალი იცხო: „ყოველი მალალი გულითა საძაგელ არს წინაშე ლვითისა“; შეუდგება შური ამის გამო, რომ მტერობა ჰნებავს მისი და ვნება, და შური ნათლიანს სულს დააბნელებს, ვითარ იგი ხმობს ბრძენი სოლომონ: „შური სიხენეშისა დააბნელებს სულსა“; შეუდგება გულისწყრო-

მა, რომ გულისწყრომით ნებავეს მისი ტანჯვა, და გულის წყრომა კაცია შორის ღვთისა სიმართლესა მოსპობს, მოციქულისამებრ: „გულის წყრომამან კაცისამან სიმართლე ღვთისა არა ჰყვის“; შეუდგება სიძულილი, რამეთუ „სძავს ძმა შეცოდებული, ვინ არა შეიწყნარა“, და სიძულილი ძმათა ბნელსა შინა დაადგინებს კაცსა; ვითარ იგი ხმობს მოციქული: „რომელსა სძულდეს ძმა თვისი, იგი ბნელსა შინა არს“. ეს საშინელნი ვნებანი რომ შეუდგებიან, ამისთვის ჰსძავს ღმერთს მოყუჩის ბრალთა მიუტევებლობა; მიტევება მოყუჩისა ბრალთა ამისთვის ჰნებავეს, რომ მრავალი სათნოება შეუდგება: შეუდგება სანატრელი სიმდაბლე, ამისთვის რომ სიმდაბლით ძმისაგან შეურაცხებას თავს იღებს, და სიმდაბლე აღმამაღლებელი არის, ვითარცა ბრძანებს უფალი: „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი იგი ამაღლდეს“; შეუდგება სიმშვიდე ამის მიერ, რამეთუ მავნებელთა ძმათა ზედა არა ნებავეს რისხვა, და სიმშვიდე მადლით ძედ ღვთისა ჰყოფს კაცსა, ვითარცა ბრძანებს ძრისტე უფალი: „ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისა იწოდნენ“; შეუდგება მოთმინება ამის მიერ, რამეთუ ძმისაგან შეურაცხებას თავს იღებს, და მოთმინება საუკუნო ცხოვრებას დაუმკვიდრებს, ხმისაებრ საუფლოსა: „რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი სცხონდეს“; შეუდგება სიყვარული ამის მიერ, რამეთუ შეცოდებულთა ძმათა ფრიად შეიტკობს, და სიყვარულისა არა რაჲ არს უმაღლეს, ვითარცა ხმობს მქროპირი იოანე: „არა რაჲ არს სათნოებათა შორის უმაღლეს სიყვარულისა“. ამისთვის ყვარობს ღმერთი მოყუჩისა ბრალთა მიტევებასა, რომ ესეოდენნი კეთილობანი შეუდგებიან; ამისთვის თანამდებ ხართ, რათა მიუტევნეთ მოყვასსა შეცოდებანი, რათა თქტუნცა მოგიტევნეს მამამან თქტუნმან ზეცათამან, რომლისა არს დიდება აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.





თავი 25. სინანულისათვის.

ბრძანებს უფალი ღმერთი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: „განიბანენით, წმიდა იქმნენით, მოისვენით უკეთურებანი სულთაგან თქტჳნთა წინაშე თვალთა ჩემთა“. ზანბანას რომ გვიბრძანებს, განიბანენით—სინანულით განბანა არის, თორემ მეორედ ნათლისღება და განბანა ემბაზისაგან არ არის ბრძანებული. აქედამ არის ამისი შეუცვალეზელი სიმტკიცე: ჭრისტემან რომ ჩჳსნდა სამოძღვრებელად და სახის მოსაცემელად ნათლის ღება ინება, ერთს გზის ნათელს ილო და არა ორგზის. მოციქულისა პირით ერთგზის გვიბრძანა ნათლისღება და არა ორგზის, ვითარ იგი კმობს მოციქული: „ერთ უფალ, ერთ სარწმუნოება, ერთ ნათლისღება“. მეგების ამაზედ ვინმე იქვენული იყოს, რომელსაც უფალი იცნო ბრძანებს: „რომელი არა იშჳსს მეორედ“. ამას სიტყუასა ეს ძალი აქუს: პირველი შობა დედისაგან, მეორე წმიდისა ემბაზისაგან; თორემ მეორედ ნათლის-ღება წყლისაგან ჭრისტეს მოძღვრებისაგან შორს არის. აქ სჩანს ჳეშმარიტებით, რომ უფლისაგან ბრძანებული ისაიას პირით: „განიბანენით“, „წმიდა იქმნენით“—სინანულისათვის არის; და თუ ვინმე ძიების მოყვარე ამას იძიებს, რომ რასათვის სინანულსაც ემბაზის მსგავსად განბანა ეწოდება,—სიყვარული, სინანულსაც ემბაზის მსგავსად ამისთვის ვანბანა ეწოდება ნათლის-ღების მსგავსად ცოდვის განშებანილი არის და ამითი მსგავსი არის ნათლის-ღებისა; და

თუ ვითარ მსგავსი არის, ესაქტათ. თვინიერ ნათლის ღებისა
 ადამის ბრალთაგან ვერ ვინ განწმდება; ეგრეთჲც თვისთა ცო-
 ლუათაგან ვერ ვინ განწმდება თვინიერ სინანულისა, ვითარ
 იგი იუდამან არ აჩუბნკ ჯეროვანი სინანული, და დაისაჯა
 საუკუნოდ; სდგას მღვდელი მოქმედებად მშაზსა ზედა— ეგრე-
 თჲს სდგას მღვდელი მოქმედებად სინანულისა სწავებასა და
 მოძღვრებასა ზედა; ნათლის-ღებასა შინა ივლტის კაცი ეშმა-
 კისაგან, — ეგრეთჲც ჭეშმარიტსა სინანულსა შინა ივლტის კა-
 ცი ეშმაკისაგან; ნათლის-ღებასა შინა სრულ იქმნება შედგო-
 მა ჰრისტესი, — ჭეშმარიტსა სინანულსა შინა სრულ იქმნების
 შედგომა ჰრისტესი; ნათლის-ღებასა შინა ყრმა განწმდება ადა-
 მის ბრალთაგან, — სინანულისა შინა ყრმის მსგავსი ვინმე
 უგუნურებითა და ცთომილი განწმდება; ზოვალს სული წმი-
 და ნათლის-ღებასა ზედა, — ეგრეთჲც ზოვალს სული წმიდა ჭეშ-
 მარიტსა სინანულსა ზედა; ნათელ-ღებულს ერთი ვინმე აღ-
 მოიყვანს და ძედ მიითვალავს, — აქ უდიდესი საქმე ჰსჩანს: ჭე-
 შმარიტს მონანულს აღიყვანს საუკუნო მამა და მადლით ძედ
 მიითვალავს, ვითარცა სწერს დიდი იოანე ღვთის-მეტყველი
 და მახარებელი: „მისცა მათ კელმწიფება შვილ ღვთისა ყო-
 ფად“. მშაზისაგან აღმოყვანებულს ვისმე ყრმას ჯერეთ კეთილ-
 მეტყველების შემძლებელობა არა აქტს, — და სინანულისაგან
 ცათა შინა აღყუანებულს აქტს კეთილ-მეტყველების შემძლე-
 ბელობა, რომ ანგელოზთა თანა უგალობს ღმერთსა; ეშაზი-
 საგან აღმოყვანებული კვალად ჰსცოდებს, — სინანულისაგან ცა-
 თა შინა აღყუანებული არა სადა ჰსცოდავს; მშაზისაგან აღ-
 მოყვანებული მოკუდების ხორცითა, — სინანულისაგან ცათა
 შინა აღყვანებული არა მოკუდების, რამეთუ საუკუნოდ ცხოვ-
 რებად მიიცვალეების; მშაზისაგან აღმოყვანებული ითქმის შვი-
 ლად ეკლესიისა, — სინანულისაგან აღყუანებული ცათა შინა
 ითქმის შვილად სასუფეველისა.

ზემო მსგავსებაც ითქმა სინანულისა ნათლის-ღებისა მი-
 მართ და რომლითავე საქმით უაღრესობაც. აწ მოვიდეთ და

ამათი განყოფილებაც ესთქჳათ. ნათლის-ღების განცხადებას და სხვისაგან ხილჳას ლმერთი არ აყენებს. როგორც შილიპპემ საქურისს ნათელსცა, არა თუ დაფარულად, მგზავრ ვიღონენ და ისე საცხადოდ ორნივე წყალში შთახდენ; და ძრისტემან რომ მოციქულთ ნათლისცემა უბრძანა, დაფარვა არ უბრძანებია, მხოლოდ ეს უბრძანა: „ნათელს ცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“, მაგრამ სინანულის განცხადებას არ ბრძანებს ლმერთი, როგორც რომ ამ ქადაგების დასაბამის შემდგომი სიტყუა აცხადებს: „მოისვენით უკეთურებანი სულთაგან თქტუნთა წინაშე თვალთა ჩემთა“. ისმინეთ ამ სიტყვის ძალი, ესრეთ გიბრძანებთ ლმერთი: წინაშე თვალთა ჩემთა ჰყავნ სინანული და ნუ საჩუტნებელად ერისა. რომელსა უცხადესად უფალი ჩტანი იცხო ძრისტე დაამტკიცებს და ბრძანებს: „შევყდ საუნჯესა შენსა და დახშ კარა შენი და ილოცე მამისა შენისა ფარულად, და მამამან შენმან, რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“.

ნათლისღება სიჩხოებაში იძიება და ჯეროვნება ეს არის, მაშინ უნდა აღსრულდეს, — სინანული აღზრდასა და სრულებაში იძიება; ნათლის ღება ერთ გზის არის, — სინანული მრავალ გზის და მრავალსა ჟამსა შინა; ნათლის ღებას არა უხმს არცა ოფლი, არცა ჰირი, — სინანულს ესე ყოველივე უხმს და ესახმარება; ნათლის ღებასა შინა ნაცვლად ყრძისა სხტა აღიარებს, — სინანულსა შინა თვთ უნდა აღიაროს ყოველივე საქმე თვისი. განყოფილებაც ითქუა ნათლის ღებისა და სინანულისა, მაგრამ რომელიც სრული მამაკაცი არის, ორივე თუ შეერთებულად არა აქტს — ნათლისღება და სინანული, — საუკუნო ცხოვრებას ვერ მიიღებს. ამას თვთ უფალი იცხო ამტკიცებს. ნათლისღებისათვის ბრძანებს: „რომელი არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ კელემწიფების შესლჳად სასუფეველსა ცათასა“; მსგავსად ამისა სინანულისათვის ბრძანებს: „უკეთუ არა შეინანოთ, სახედ ვგრეთტს ყოველნი წარსწყმდით“. უფალმან იცხო ძრისტემან ესრეთ დაამტკიცა ზემო სიტყვითა თვი-

სითა: არცა თვინიერ ნათლის ღებისა იქმნება ცხოვნება და არცა თვინიერ სინანულისა; ორივე ერთად უნდა აქტნდეს კაცს; თორემ მხოლოდ ნათლის ღება სრულს მამაკაცს არად არგებს, თუ სინანულიც არა აქტს. შიხედეთ, რომ სიმონ მოგვს მხოლოდ ნათლის ღებამ არა არგო რა; მოციქულთ ასე უჯბრეს: „შეინანე უკტს უკეთურებისა ამისგან შენის და ევედრე შეფალსა მით ხოლო თუ გიტეოს უსჯულოება ეგე გულისა შენისა“, ნათლის ღებაზედ ეს სინანულიც დაურთეს, და ასწავეს. არა ჰყო სინანული და წარსწყმდა. თუ სინანულს არა ჰყოფ, შენც წარსწყმდები. თუ ამას იტყვი, სიმონ მოგვი არა ვარო, აქ ეს უნდა ესთქათ: სიმონ მოგვი არა ხარ და ჭრისტეს მგმობელი ხარ, რადგან სინანულს არა ჰყოფ. თუ ვითარ, გამოვაცხადოთ: ჭრისტეს ცოდვილად ხადი; ვიცი ამას განიკვირვებ, მაგრამ აქ ერთს რასმეს კითხუასა ვჰყოფ შენდამი. ჭრისტემან რომ იმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე, რასათვის იმარხა? თუ იტყვი ცოდვილი იყო, ეშმაკისაგან უბოროტესად მგმობელი იქმნები. ისინი ცოდვილად თქმას ვერ იკადრებენ; ჭრისტეს ასე მოახსენეს: „ვიციოთ შენ ვინა ხარ ვმიდა ეგე ლეთისა“; და თუ ჩუტნდა სამოძღვრებელად და სასწავებელად იმარხა—ამას იტყვი,—კიდევ შეურაცხის მყოფელი იქმნები, ამისთვის რომ თუ ქეშმარიტი ჭრისტეს მოწაფე ხარ, სინანულს რასათვის არ შეიტკობ? შიხედე დიდს პეტრეს, თუ სინანული როგორ შეიტკობ და თუ ვითარ მწარედ სტიროდა, თქმისაებრ იოანე ლეთის-მეტყველისა და მახარებელისა: „გამოვიდა ვარე და სტიროდა მწარედ“; შენ რომელი განსამართლებელი მიზეზი გაქტს, რომ სინანულს არა ჰყოფ? თუ ამას ჰგონებ, რომ თვინიერ სინანულისა ცხოვნება იქმნება და სინანული ცუდი მაშტრალობა არის, აქედამ შესაძრწუნებელი რამ გმობა შეიმზადება: თუ თვინიერ სინანულისა ცხოვნება იქმნება, ძაენ რასათვის წარწყმდა, ან იუდა რად დაისაჯა? აქ შენი ცთომილი სიტყუა ლმერთს უსამართლოებას სდებს; და რომელმან ჯოჯოხეთმან აღმოსთქუა ესე

ვითარი გმობა! მიხედვ რა საშინელს ცთომილებაში ხარ! **თუ** თვინიერ სანანულისა ცხოვნება იქმნება, კეთილი და ბოროტი აღარ განირჩევა; მარჯვენითის ავაზაკის აღსარება და მარცხენითის ავაზაკის გმობა ერთად უნდა შეირაცხოს; ძრისტეს მკუთლელთა სასჯელი არ უნდა მიეხადოს: რადგან თვინიერისა სინანულისა ცხოვრება იქნება, უექველად ესენიც ასე იქმნებიან. **ივლიტადე** შორს ესე ვითარისა მწიკუთლეფანისა გულის სიტყვისაგან.

ღა თუ ამას იტყვი, რომ ცოდუა არა მაქვს, ესეც დიდი რამ უგუნურება და ცთომილება არის, ამისთვის რომ ეს ყოვლად ჭეშმარიტი თქმულება არის: „არავინ არს უცოდველ გარნა მხოლო **ღმერთი**“. **აწ** რას იტყვი უნანელობის მიზეზს? **თუ** იტყვი შესაწუხებელი და მძიმე არის, ამას **იოანე** მოციქული და მახარობელი თვისთა კათოლიკეთა შინა დაარღვევს და იტყვის: „სათნოებანი მისნი მძიმე არა არიან“. საყვარელო! შენ უნანელობის მიზეზს ვერას ჰპოვებ და ჩემმან უნდოებამან უნდა გაცნობოს თუ რა არის შენი უნანელობის მიზეზი. საყვარელო, კელით და ფერხით ეშმაკისაგან შეკრული კარ: სადამდის მისის კრულებისაგან. არ განიხსნები, სადამდის სინანულის გზაზედ ვლა არ ძალ-გიძს; როდესაც ეშმაკის კრულებისაგან განიხსნები, მაშინ სინანულისაგან ვერა რაჟმე დაგაყენებს. ამისი უცთომელი მაგალითი და ჭეშმარიტი საღმრთოსა წერილიდამ მოვიღოთ. სადამდის უძღვები შვილი ეშმაკისაგან შეკრული იყო, შორს სოფელსა იყო, თავის მამის სამკვიდრებელში არ იყო; როდესაც თავისის მამის სიყვარული მტკიცედ მოიგონა და მასთან წარსლუა ინება, ეშმაკის კრულებისაგან განიხსნა და სახიერს მამასთან მოსვლისაგან ვერა რაჟმემან დააყენა. **მგრეთჲც** შენ სადამდის ეშმაკისაგან შეკრული ხარ, **ღმრთისა** მამისაგან შორს ხარ და არც მისს სამკვიდრებელში სარ; და როდესაც **ღმრთისა** მამისა სიყვარულს მტკიცედ მოიგონებ და მასთან მისლუთას ინებებ, ეშმაკის კრულებისაგანაც განიხსნები და **ღმრთისა** მიმართ მისლვისა და

სინანულისაგან ვერა რაჲმე დაგაყენებს. მანასე ეშმაკისაგანაც შეკრული იყო და რკინის საკვრელითაც, მაგრამ როდესაც მტკიცედ ღმრთის შევრდომა და სინანული ინება, ვერა რაჲმემან დააყენა,—ეგრეთჲც შენ, როდესაც ღმრთის შევრდომას და სინანულს ინებებ, რაოდენისა საცთურისა და საბრხისაგან შეკრული იყო, ვერა რაჲმე დაგაყენებს, თუ არ ინებებ—იძულებითი კეთილი არა კეთილ-არს. ღიდი პეტრე სადამდის სხვის მოშიშებაში იყო, მადამდის უარის ყოფაშიდაც იყო, ძრისტეს ვნებაში, როდესაც სხვისი შიში დაუტევა და მხოლოდ ძრისტეს სიყვარულს და შიშს შეუდგა, მყის თანად სინანულიც შეუძლო; თუ სხვის შიშსა და აღსრულებას არ მოშორებოდა, ვერც სინანულს შეიძლებდა;—ეგრეთჲც შენ სადამდის სოფლის სიყვარულის მოშიშებაში ხარ, მადამდის ძრისტეს უარისყოფაშიდაც ხარ. ბესმის მოციქულისაგან: „სიყვარული სოფლისა ამის მტერობა არს ღმრთისა“. როდესაც სოფლის სიყვარულის შიშს დაუტევებ და მხოლოდ ძრისტეს სიყვარულს და შიშს შეუდგები, მაშინ სინანულსაც დაუყენებელად შეუძლებ; და თუ სოფლის სიყვარულის შიშს ვერ დაუტევებ, ვერც სინანულს შეუძლებ.

აქ ერთი რამ უნდა გაუწყო: ზემო ითქვა ჩუტნგან, თუ ეშმაკის კრულებისაგან არ განთავისუფლდები, სინანულს ვერ შეუძლებ; და ეშმაკის კრულებისაგან განთავისუფლება, თუ ღმრთის შემწედ არ მოიგებ, შესაძლო არ არის. ზემო თქმულს მაგალითებს მიხედვ: უძღებმან შეიღმან ჯერ თავისი სახიერი მამა სიყვარულით მოიგონა და ჰსთქვა: „აღსდგე და წარვიდე მამისა ჩემისა“; ამ სიყვარულისაგან განძლიერებულმან შეძლო სახიერს მამასთან მოსლუა და პირველისა შეიღებისა პატივისა აღსვლა;—ეგრეთჲც შენ პირველად ღმრთისა მამისა სიყვარული უნდა მოიგონო და მამისა სიყვარულით განძლიერებულმან უნდა შეუძლო სინანულის გზის ღმრთისა მიმართ მისლუა და პირველისა მადლით შეიღებისა პატივისა მიღება. მანასემ პირველად ღმრთის შემუსრვილი და დამდაბლებული გონება

აჩუქნა და მით ლმერთი შემწედ მოიგო და ეწმაკის კრულე-ბისაგან განთავისუფლებულმან სინანული მტკიცე ჰყო. მგრეთჲც შენ პირველად შემუსრვილითა და მდაბლითა გულითა ლმერთი შემწედ უნდა მოიგო. მერმე სინანულს კეთილად სრულ ჰყოფ. თვინიერ ლეთის შეწევნისა არა რაჲ კეთილად განგემარჯულები: როგორც დიდმან პეტრემ თავის თავად იჩემა ერთგულება ძრისტესი და ჰსთქუა: „დალათუ ჯერ იყოს სიკუდილი ჩემი შენთანა, არა სადა უარგყო შენ“. — თითონ რომ იჩემა, მისთვის ვერ შეუძლო აღსრულება და ცთობაში შთავარდა; ხოლო როდესაც თვით ძრისტე თანაშემწედ აქტუნდა, ძრისტესთვის სიკუდილი მხიარულებით და სუბუქად აღასრულა. — მგრეთჲც შენ თუ ძრისტე შემწედ არ გვივის, არა რაჲმესა კეთილისა სრულ ყოფა ძალ-გიძს; თუ ის შემწედ გვივის, ყოველსავე კეთილად სრულ ჰყოფ, ვითარ იგი ხმობს მოციქული: „ყოველივე ძალ-გიძს განმადლიერებელისა ჩემისა ძრისტეს მიერ“.

ზემო თქმულთაგან ქეშმარიტებით აღმოჩნდა, რომ სინანულის თანაშემწედ და განმადლიერებელად უფალი იცხოუნდა გყვანდეს; თუ ის თანაშემწედ არ გვივის, ჩუტნ ვერა რაჲმეს კეთილს სრულ ვჰყოფთ. ზესმის წინასწარმეტყველისა ლავითის მიერ: „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნი“, ესე იგი სულისა სახლი და განსასტუნებელი, რომელ არს სინანული, არა აღეშენების, უკეთუმცა ძრისტე არა თანა შემწედ იყოს. ძიდევ ორი რამ ჰჩანს. მრთი ესე: რომელიც სინანულისათვის ძრისტეს თანაშემწედ მოიგებს, ძრისტე საუკუნოდ მასთან ეგება, ვითარცა მოციქულთა ყოველისა სათნოებისა და კეთილისა თანაშემწედ ძრისტე მოიგეს, ამისთვის ძრისტემან ლმერთმან მათთანა ჰყოფა აღუთქუა უკვე, ვითარ იგი ჰრქუა ძრისტემან თვისთა მოციქულთა: „მე თქუტანთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“. მეორე ჰჩანს: რომელიც ძრისტეს სინანულისა თანაშემწედ არა მოიგებს, ის კაცი ძრის-

ტესგან საუკუნოდ განვარდება. როგორც იუდამან სთქვა, მკირედრე სახე სინანულისა: „ესკოდე“, მაგრამ ძრისტე თანაშემწედ არ მოიგო, ამისთვის განვარდა ძრისტესგან საუკუნოდ. თუ თვინიერ სინანულისა ცხოვნებას ვინმე გონებს, ეს შეუძლო არის, ამისთვის რომ თვით ძრისტეს სიტყვით ზემო დამტკიცდა: „უკეთუ არა შეინანო სახედ, ეგრეთჲს ყოველნი წარწყმდეთ“; და თუ თვინიერ სინანულისა ცხოვნება არ იქმნება და სინანული თუ კი ვნებავსთ, რასათვის ძრისტეს შემწედ არ მოიგებთ? მაგრამ ჰგავს, რომ სინანული არ ვნებავსთ და მიზეზს რასა სდებთ. ჯერ არ წამოჩენილა. სიძნელეს ვერ დასდებთ მიზეზად, ამისთვის რომ თუ ძნელი არის, ძრისტეს რასათვის შემწედ არ მოიკებთ, რომ მისგან ყოველივე შესაძლო არს კმისაებრ საუფლოსა: „რომელ ლვთისა მიერ ყოველი შესაძლებელ არს“; და თუ ამას იტყვით, რომ მარტო ცოდვისაგან დაცხრომა კმა საყოფელი არის საცხოვრებელად და ამისთვის სინანულს არ ჰყოფთ, ეს განზრახუა უგუნურებისა და ცთომილებისა არის, და თუ ვითარ—მაგალითითა და საღმრთოს წერილით ვაჩუქნათ. მახვილისაგან წყლული ერთჯელ იწყლვის; დადგება მახვილი და არღარა სწყლავს მას ერთს ვისმე; მაგრამ რადგან ერთჯელ იწყლა, სამრთელელების წამლით უნდა განიკურნოს. მგრეთჲს, რომელიც ცოდვისაგან იწყლვის, ცოდვისაგან რომ დასცხრეს, კიდევ სინანულის წამლით უნდა განიკურნოს. აწ საღმრთოს წერილიდამ მოვილოთ ამისი მაგალითი, რომ მხოლოდ ცოდვისაგან დაცხრომა, თუ სინანულს არა ჰყოფს, საცხოვრებელად არ ეკმება.

ქაენმან რომ ძმა მოკლა, ძმის მკუთლელობისაგან დაცხრომილი ჰსჩნდა, სხუა ძმა არ მოუკლავს; მაგრამ სინანული არ ჰყო და საუკუნოდ დაისაჯა; ეგრეთჲს შენ რომ ცოდუა დააცხრო, მარტო დაცხრომა არ გეკმება; თუ შეძლების მსგავსად სინანულსაც არ ჰყოფ, საუკუნოდ დაისჯები. აწ უახლესი მაგალითი მოვილოთ. პეტრე მოციქულმან რომ ძრისტე უარყო სამგზის, უარისყოფა დააცხრო. პეტრეს სამგზის მეტად

უარისყოფა არ შემთხვევია, მაგრამ მხოლოდ უარის ყოფის დაცხრომა არ ეკმავა; სინანული შესძინა, ვითარცა იგი სწერს მისთვის **იოანე მახარებელი**: „გამოვიდა გარედ და სტიროდა მწარედ“. **მგრეთჲს** შენ **ძრისტეს** უარის ყოფა და ცოდნა რომ დააცხრო, არ გეკმავება, თუ სინანულს არ შესძინებ.


მსეც უნდა ვსთქვა: თუ სინანულს არა ჰყოფ, ვერც ცოდნასა და უკეთურებასა დააცხრობ. **ძრისტეს** მკვლელთა ჰურიათა სინანული რომ არა ჰყუტს, ვერც უკეთურების დაცხრომა შეუძლეს; **ძრისტეს** საფლავის მკვლელთა განსაცვიფრებელი **ძრისტეს** აღდგომა რომ იხილეს, უკეთურთა ჰურიათა ვეცხლი დიდძალი მისცეს **ძრისტეს** აღდგომის დაფარვისათვის. **ბრიგორი ლეთის-მეტყველი იტყვის**: „ანუ იყავ ტფილ და ანუ იყავ გრილ“; **ეგრეთჲს** მე **გეტყვი**: „ანუ იყავ ცხოველ და ანუ იყავ მკუდარ“; ცხოველი იყავ სინანულითა **ძრისტესთანა**, **მოციქულისამებრ**: „**ძრისტესთანა** განგვაცხოველნა მკუდარ შეცოდებითა“; **კვალად მოციქულისამებრ**: „როშელნი ერთგზის მოჰკუტდით შეცოდებითა“. **მაგრამ** ცოდვისაგან სიკუდილს საშინელი სიმწარე აქუს, ვითარცა იტყვის **ბრძენი ისოძე ზირაქისი**: „რბამ მწარე არს, სიკუდილო, ხსენება შენი!“ **სინანულით** ცხოვრება ტკბილი არის, ვითარცა **ბრძანებს შფალი ისო**: „უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს“. ამისთვის უფროსად ჯერ არს, რათა სინანულითა ცხოველ ვიყვნეთ. **ღა** თუ ვინმე უძლური და სნეული მარხუას ძნელად რაცხ და იურვი, ამისთვის რომ შენს სხეულს არ ძალ-უძს, ამისთვის ნუ მწუხარე ხარ, სანუგემო მაგალითს საღმრთოს წერილიდამ მოგართმევ. **ძველს ჰსჯულში**, რომელიც ასე თუ უღონო იყო, რომ **შფლის** შესაწირავად არა ებოვებოდა რა, ორი გურიტი, ან ორი ტრედის მართჲს უნდა შეეწირა რადგან უღონო იყო, ამისთვის **შფალი** კეთილად შეიწირვიდა. **მგრეთჲს** შენ, რადგან უძლური ხარ და არა ძალგის რომ **ღმერთს** მარხუა შესწირო, ორის გვრიტის ანუ ორის ტრედის მართჲსთა წილ შესწირე სიმდაბლეს და სიმშვი-

დე, და დიდად შესაწირავად და ძნელად მიითვალავს, რადგან უძლოური ხარ. ღა თუ ვითარ—ახლა თვით ძრისტეს მიერი მაგალი მოგართუა შენის უძლოურების ნუგეშად. ძრისტეს მრავალთა მდიდართა მრავალი რამ შესწირეს; ერთი უღონო ქვრივი იყო; მას ორის მწუთლილის მეტი არა აქუნდა რა და ის შესწირა; ძრისტემან ქუთრივის მწუთლილი უფროსად მიითვალა, ასე ბრძანა: სხუათა თავისის ნამეტნავის ქონებულისაგან შესწირეს, ამან თავისის ნაკლულევანებისაგან რაცა აქუნდა საცხოვრებელი შესწირა. მსგავსად ამისა სხუანი სათნოებით და მოღუაწებით მდიდარნი მრავალს და მოღუაწებას შესწირვენ ძრისტეს, შენ რომ უპოვარი და უღონო ხარ, ორის მწუთლილის მსგავსად შესწირე სიმდაბლედ და სიმშვიდედ, რომ ქვრივის მწუთლილის მსგავსად შეიწიროს და სთქუას შენთვის ძრისტემან: „რაცა აქუნდა საცხოვრებელი თვისი, შესწირა“.

ჩემის მეტყველების ღვაწლი ამისთვის არის: რომელსაც უძლოურება არა სძლევს, სინანულის ღვაწლი და ოფლი უნდა იტვირთოს მარხვითა, მუხლოთ-დრეკითა და სხვითა მოღუაწებითა. ღა უძლოურებისაგან ძლეულს და უღონო ქმნილს სასჯელი არ ძალ-უძს; ამისთვის ერთი სანუგეშო მაგალითი საღმრთოს წერილიდამ მოვიღოთ. ძველს სჯულში სამი ქალაქი იყო კაცის მკუთლელთათვის განჩინებული, რომელიც კაცის მკუთლელი იქ მივიდოდა, მას არ მოჰკლავდენ; თუ იქ არ მივიდოდა, სიკუდილს უნდა მისცემოდა ის კაცის მკუთლელი. მგრეთუც შენ, საყვარელო, კაცის მკუთლელი ხარ, ამისთვის რომ ცოდვით შენი თავი სულიერად მოგიკლავს, უძლოური ხარ და სხუა მოღუაწებით ვერ იხსნი თავის-თავს, და სამის ქალაქის ნაცულოდ სამი რამ შესავედრებელი არის ღვთისა მიერ განჩინებული: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული; თუ ამათ შორის შეავედრებ თავის-თავს, სულიერის სიკუდილისა ესე იგი წარწყმედისაგან, განერები, და თუ ამათ შორის არ დაემკვიდრები, საუკუნო სიკუდილს ესე იგი წარწყმედას, უნდა მიეცე. როდესაც ღოეს ჯამში საშინელი წყლის რღუნა მოსრული იყო,

ნოემ ტრედი და ყორანი ორივე კიღობნად შეიყვანა, არც ერთი არ დაურჩდა, ორივე კიღობნად ნოესთანა შევიდნენ. ეგრეთუპ, საყვარელო, ცოდვის რღუთნილება, რომელ არს წარწყმედა, მოსასტლელი არის. ნოეს მაგიერად ძრისტე გაწვევს სინანულში შესულას; ყორნის მსგავსადცა, რომელიც ცოდვისაგან მოუქცეველი ხარ, გაწუტევეს შესლვად, რომ წარწყმედის რღუთნილებისაგან განერო; ტრედის მსგავსს მონანულსა და უმანკოსა გაწვევს შესლუად, რომ უმეტესად გაბრწყინდე. მაგრამ რომელიც ძრისტეს მოწაფე ხარ, არა თუ ყორანს და ტრედს უნდა მიემსგავსო—თვით შენი უფალი იცის ასე. გიბრძანებს: „იყვენით მეცნიერ, ვითარცა გველნი და უმანკო ვითარცა ტრედნი“. როგორ უნდა მიემსგავსო—ამისი სახე მოვილოთ. ძიღობანსა შინა მყოფმან ტრედმან, ნოეს წყლით რღუთნის დაცხრომა ახარა; ეგრეთუპ შენ სინანულსა შინა მყოფმან, შენის ცოდვის რღუთნილების დაცხრომა შენ მოძღუართან ახარე ძრისტეს. სოფელსა შინა რღუთნა იყო, მაგრამ ტრედს კიღობანში არა ენებია რა; ეგრეთუპ სოფლის ცოდვის რღუთნილებისაგან სინანულს მყოფს არა ენებია რა. ზანვიდა კიღობნისაგან ტრედი და არლარა შემოვიდა, ამისთვის რომ რღუთნილება დაცხრა და განსტუნება ჰპოვა; ეგრეთუპ სინანულსა შინა, ამისთვის რომ განსტუნებას ჰპოებს საუკუნოსა შინა სუფევასა. საყვარელო! პირველსა მამასა ადამს წარემატები; პირველი მამა, ადამ, ანგელოზმან სამოთხით იძულეებით განიყვანა; იძულებით განყვანებულმან ადამ სიმწარე ჰპოვა და საშინელი სიკუდილი. შენ თუ სინანულში ეგები, იქედამ ანგელოზი იძულებით განგიყვანს, ესე იგი სულს კორცთაგან განაშორებს, და მუშინ ვითარცა ადამ სამოთხისაგან შორს იქმნა, ეგრეთუპ სინანულისაგან შორს იქმნები, მაგრამ ადამს წარემატები: მან ანგელოზისაგან იძულებით განყვანებულმან სიმწარე და სიკუდილი ჰპოვა; შენ სინანულსა შინა მყოფი და ანგელოზთა მიერ ხორცთაგან იძულებით განყვანებული, არა თუ სიმწარესა და სიკუდილს—უფროსად საუკუ-

ნოსა სიტყბოებასა და ცხოვრებასა პოეზ მამისა მისგან საუკუნოსა, რომლისა არს დიდება, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 26. სასო-წარჱკვეთიღებისათვის.

იტყვის საკვირველი მართალი იობ: „სასოება არა წმიდათა წარწყმდეს“. პრა-წმიდება პირუტყვის საკუთარი არის, და ავას რომ ამბობს—„სასოება არა წმიდათა წარწყმდეს“—არამც პირუტყვზე არავინ ჰგონოს ეს სიტყუა. პირუტყვნი სასოებისა და მომავალისა ცხოვრებისაგან ყოვლითურთ უნაწილო და უცხო არიან; და მართალი იობ ამას სიტყუასა შინა საუკუნო ცხოვრების სასოებას ჰნიშნავს. მიიხედეთ აქ, თუ პირუტყვი როგორ უცხო და უნაწილო არის. ცხადად საჩინო რამ არის რომ კაცთათვის არის მართლის იობის სიტყუა; მაგრამ აქ ერთი რამ საძიებელი არის. იობ არა-წმიდებას ამბობს: „სასოება არა-წმიდათა წარწყმდეს“; და მოციქული თვით მოციქულთა საქმესა შინა ასე იტყვის: „და მე მიჩუტნა ლმერთმან, რათა არავინ კაცი შევრაცხო ბილწად არა-წმიდად“. ჳერ

ეს სიტყვები მოციქულისა და მართლისა იობისი დავაზაოთ, რომ ესენი წინააღმდეგობად ჰსჩანან; მერმე სხუა მეტყველება ვიწყოთ. მოციქული ასე იტყვის: „არავინ კაცი შევრაცხო ბილწად და არა წმიდად“. ღა რომელიც განგრძობით უნანელად ცოდუაში სდგას, მას ღვით წინასწარმეტყველი კაცად არა რაცხს, უუროსად პირუტყვად ჰრაცხს და იტყვის: „ბაძვიდა იგი პირუტყვთა და უგნურთა და მიემსგავსა მათ“. ღა რადგან განგრძობით უნანელად ცოდუაში მდგომი პირუტყვად ითქმის, სამართლად დიდი იობ არა-წმიდას ეძახის. მაგრამ ამას რომ ამბობს — „სასოება არა წმიდათა წარწყმდეს“ — მარტო არა წმიდისათვის არის სასმენელი, თუ წმიდისათვისაცა გასაგონი არის? მრისათვისვე სასმენელი არის: არა წმიდისათვის საზხილებელი არის, რომ ცუდად და ამაოდ ატურება, რომ მისი სასოება ტყუილი და ამაო არის; წმიდათათვის სანუგეშო არის, — არამც სასოწარკვეთილება არ ეკუთბოს. სიტყვითა ამით ნუგეშს-სცემს მართალი იობ: არა წმიდის სასოება წარწყმდება და ამაოთ იქმნება; ხოლო თქტუნ წმიდათა სასოება მტკიცე არს და არა წარწყმდების და არცა ამაო იქმნების. ამათ თქმულთაგან ასე წარმოიჩინება: შიში სასოწარკვეთილებისა წმიდათა და არა წმიდათა, ორთავე ეკვეთება, მაგრამ წმიდათა რომ ეკუთბება — მას კუთბებულსა ძრისტე ნუგეშინისცემს და განუქარვებს, ვითარცა მოციქულთა მოსცა ნუგეში ძრისტემან დახსნად სასოწარკვეთილებისა და ჰრჭუა: „ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქტუნნი, გრწმენინ ლმრთისა და გრწმენინ ჩემდამო“. არა-წმიდას რომ ეკუთბება სასოწარკვეთილება — მისთვის ვნება არის, ამისთვის რომ ძრისტე ნუგეშინისმცემლად არღარა ჰყავს. ამისთვის ვაებას აძლევს ისაია წინასწარმეტყველი და იტყვის: „ვაი მისა, რაჟამს დაეცეს ერთი და არა იყოს მეორე აღმადგინებელ მისა“, — მეორე — ესე იგი ძრისტე უფალი.

ძიდევ ვსთქუათ საღმრთოს წერილის მაგალითად, თუ სასოწარკუთბილება წმიდათა და არა-წმიდათა როგორ ბრძავს და თუ წმიდათა როგორ ვერ ერევა და არა წმიდათა როგორ დაანთქამს

—ესენი ვაჩუბნოთ. ნოეს ჟამში წყლით რღუნილება მოვიდა; სხუანი ქუცყანასა ზედა მყოფი მოაშთო, მაგრამ ნოეს ვერა ავნო რა, ამისთვის რომ კილობანი აქუბნდა მფარველად. მგრეთუც სასო-წარკუბტილება მოიწევა სოფლად, არა-წმიდათა დანტქამს და წმიდათა ვერას ავნებს, ამისთვის რომ ეკლესია აქუბსთ მფარველად. იუდას ეკუბთა და საუკუნოდ დაისაჯა, — დიდს პეტრეს ვერა ავნო რა, ამისთვის რომ ცრემლითა მიერ ძრისტე თანაშემწედ მოიგო: და თუ ვისმე ჰნებაეს შეწევა ძრისტესი, თუ შეცოდებულსა პეტრეს შეეწია და არა დაუტევა, მასცა შეეწევა და არა დაუტევებს. ლა მაშინც თუ მეტის მოშიშებისაგან ვინმე სძრწის და სასოწარკვეთილების ღელვისაგან იურვის, აქ ერთი რამ ძლიერი სანუგეშო უნდა მოვიღოთ. წყლით რღუბა შესაძრწუნებელი იყო, მაგრამ ნოეს მართალსა კაცსა ლმრთის ბრძანებით ქმნილი კილობანი აქუბნდა ნუგეშად და მით განერა. მგრეთუც სასო-წარკუბტილება შესაძრწუნებელი რამ არის, მაგრამ რომელსაც სინანული ჰნებაეს, ნოეს კილობნისაგან ზესთა უსაკვირველესი და უაღრესი ლმრთის ბრძანებით ქმნილი კილობანი აქუბს ნუგეშად, რომელ-არს ლეთის-მშობელი მარიამ. კილობანი ნოესი უღბოღველის ძელისაგან იყო, — და ეს ჭეშმარიტი კილობანი არათუ ძელთაგან, არამედ სულისა სიტყვიერისა და ხორცთაგან, რომლისა შორის არა ხილული არს მლილი და სიმბალე ცოდუთა. ნოეს კილობნისა შორის ტრედი იყო, — ამის ჭეშმარიტისა კილობნისა შორის სული წმიდა იყო მკვიდრად და არს უკვე. ძველს კილობანში როდესაც სოფელსა შინა წყლით რღუბა იყო, ნოე დაემკვიდრა, — ამას ახალსა კილობანსა შინა როდესაც სოფელსა შინა ცოდვის რღუბა იყო, თვით ძე და სიტყვა ლმრთისა დაემკვიდრა. ძველის კილობანიდამ ნოე გამოვიდა, ვენახი დაასხა და სვა ღვინო, მისგან დაითრო და განშიშვლდა; იხილა შიშლოება მამისა თვისისა შამ ყრმამან და განბასრა: იხილეს სემ და იაფეთ შიშლოვა მამისა თვისისა და ზერგ უკუნ ქვევით დაჰფარეს; განიღვაჲ ნოემ და დასწყევა

ქამ ყრმა, ხოლო სემ და იაფეთ აკურთხა;—ახლის კიდობნი-
დამ, რომელ არს ლეთის-მშობელი მარიამ, გამოვიდა ახალი
ნოე აღმაშენებელი ზეცისა და ქრისტეანისა, რომელ არს უფა-
ლი ძრისტე; ამან დაასხა ვენახი, რომელ არს წმიდა ჯვარი,
მიიღო მისგან სასმელი სიკუდილისა და მიიძინა ჯვარსა ზედა
ხორცითა; იხილეს ჰურიათა ხორცითა შიშლოება მეუფისა და
განკიცხეს; იხილა მზემან და მთოვარემან ხორცითა შიშლოება
მეუფისა თვისისა; სემისა და იაფეთის მსგავსად დაჰფარეს შიშ-
ლოება მეუფისა თვისისა სიბნელითა, რომელთა ნათელი თვისი
არა გამოსცეს; განიღვიძა მეუფემან და აღსდგა მკურნალობით;
ქამის მსგავსად დასწყევა ჰურიანი ურწმუნონი და სემისა და
იაფეთის მსგავსად აკურთხნა მორწმუნენი. **თუ** ძველის რღუნა-
ში ნოე და მისი კიდობანი დიდი ნუგეში იყო, ახალსა შინა
მიხედვ, თუ როგორ ზესთა უაღრესი კიდობანი და ნოე გივის,
რომელ არს ლეთის-მშობელი მარიამ და უფალი იესო! **ღა**
რასათვის წარკეჭთ სასოებას? მეგების ჩემებრ ცოდვილს ვისმე
ამისი მოშიშება აქტნდეს—ლეთის-მშობელმან და იესომ არ შე-
გიწყალოს და განგადოს? **თუ** შენ არ განეშორები, ის არ
განგადებს. შორანი ნოემ კიდობანსა შინა შეიწყნარა და არა
განგადო, მაგრამ თითონ ყორანი განვიდა კიდობნისაგან და
წყალობა შინა მოიშთო. **მგრეთუ** შენ, ყორნის მსგავსად ცო-
დვისაგან დაშავებულს, ძრისტე ახლის კიდობნის ლეთის-მშობ-
ლის მარიამის საფარველიდამ არ განგადებს, თუ შენ არ გან-
ხვალ; და თუ შენ განხვალ მისის საფარველისაგან, როგორც
ყორანი მოიშთო რღუნაობისაგან, ეგრეთუ შენ ცოდვის
რღუნაობისაგან სულით მოიშთებ.

საყვარელო, მიზეზი რა არის შენ შორის სასო-წარკეჭ-
თილებისა? ანუ სრულიად უღმრთო ხარ და ანუ ლმერთი
ცვალებულად გრწამს? **თუ** სასო-წარკეჭთილებაში ხარ, უქვე-
ლად ორს საშინელს ვნებაში ერთი გაქტს: ანუ სრულიად
უღმრთო ხარ, ანუ ლმერთი ცვალებულად გრწამს და კიდევ
უღმრთობაში იქნები. **თუ** ლმერთი გრწამს და სრულიად

უღმრთო არა ხარ, რასათვის ასე მოშიშებაში ხარ, რომ სასოება არა გაქვს? როგორ დაივიწყე მოციქულისა სიტყვა: „უკეთუ ლმერთი ჩჷსნ-კერძო არს, ვინ არს მტერ ჩჷსნდა?“ მაგრამ რადგან სასოწარკჷთილი ხარ, ჰსჩანს რომ სრულიად უღმრთო ხარ. თუ იტყვი სრულად უღმრთო არა ვარ, მაშ, რადგან სასო-წარკჷთილებაში ხარ, უეჷველად ლმერთი ცვალებულად გრწამს და ესე კიდევ უღმრთოება არის. თუ ამას იტყვი, რომ არა მრწამს ლმერთი ცჷალეებულად,—თუ ცჷალეებულად არა გრწამს, მანასეს შემწყნარებელს ლმერთს ხედავ, რასათვის უსასო ხარ? პეტრეს შეცოდების მიმტვევებელს ხედავ—ვითარ სასოწარკვეთილ ხარ? თუ სხვა სინანული არა ძაღვიძს—„ვსცოდე“,—ეს ლექსი როგორ დაივიწყე, რომელმან უძღებსა შეიღსა პირველი პატივი მიანიჭა? თუ ეს გაშინებს რომ იუღამაც თქჷა „ვსცოდე“, ლექსი, მაგრამ წარწყმდა,—იუღამ კეთილად ვერ იხმარა ეს ლექსი, ამისთვის კეთილად არ შეერაცხა, ვითარცა იტყვის დამასკელი იოანე: „არა კეთილ-არს კეთილი, უკეთუ არა კეთილად იქმნეს“. იუღას მიერ თქმული ლექსი „ვსცოდე“ ამისთვის კეთილიდ არა იქმნა; მხოლოდ ლექსი სთქჷა „ვსცოდე“,—საქმე ბოროტი შესძინა და შიშთვიღობა. შენ როდესაც „ვსცოდე“ ლექსის თქმა იწყო, ნუ ბოროტს შესძინებ, უფროსად საქმით სინანული შესძინე, და რით უნდა გეკჷსთოს სასო-წარკჷთილება? თუ ამის მოშიშებაში ხარ, რომ ცოდვის სიმრავლის ღელვაში ხარ, აქ ერთს მაგალითს საღმრთო წერილიდამ მოვიღებ. იონა ზღვის სიღრმეში იყო, იქ არ წარიკჷტთა სასოება—და იხსნა ლმერთმან. იონას მხსნელი ლმერთი შენც გიხსნის,—რასათვის უსასო ვარ? შევედრე და იონას მსგავსად ცოდვათა სიღრმისაგან აღმოგიყვანს.

ღა თუ ვინმე მოხუცებულობის უძღღრებაშიდ ხარ და ეს გაურეებს, ხელი და ფერხი მოუძღღრებული გაქჷს და იურვი, რომ ღჷაწლი და სასჯელი სინანულისა რომლით უნდა ვყო,—სანუგემო მაგალითი კიდევ საღმრთოს წერილიდამ

უნდა მოვიღოთ. სამნი ყრმანი რომ ცეცხლსა შინა შეითხივნეს, კელით და ფერხით შეკრულნი იყვნენ; არცა ერთი სახმარად არა აქტუნდათ; მაგრამ სიტყვით ევედრნენ ლმერთს, და შეისმინა ლმერთმან მათი ვედრება და იხსნა. მგრეთჳს შენც თუ უხმარად გაქტეს კელი და ფერხი მოხუცებულობის უძლურებისაგან, სიტყვით ევედრე ლმერთს და იხმენს, და გიხსნის ცეცხლისაგან უშრეტისა. თუ ამისთვის ხარ სასო-წარკჳთილი, რომ არ იცი ამას სოფელსა შინა, შეგიწყნარებს ლმერთი თუ არა,—ამისი ქეშმარიტი საცნობი სარკე მოგართვა: შთახედვ დველის სარკისა მანასესსა შორის და აღმოცნობ ცოდვილთა შეწყნარებასა; შთახედვ ახლისა სარკისა პეტრეს შორის და აღმოცნობ სინანულითა აღზოცასა ცოდუათასა. თუ ეს გაძლევს სასო-წარკჳთილებას, რომ სინანული აღარ ძალ-გიძს უძლურებისაგან—ამისთვის სანუგეშო მაგალითი ზემო ითქუა; მაგრამ ახლა კიდევ მეორედ ვსთქუათ ქეშმარიტის მაგალითით: საყვარელო! შენგან შეუძლებელს ლმერთი არას ითხოვს; რომელიც შენგან შესაძლო არის მას ითხოვს; ვითარცა მარჯჳტნით ავაზაკი რომ იყო ძრისტესთან ჯვარსა ზედა დამსკვალული, ავაზაკსა მისგან ძრისტეს შეუძლებელი არა უთხოვია რა; რომელიც ავაზაკს შეეძლო სიტყვით, ის აღსარება შესწირა, და ძრისტეს მისთვის მეტი არა უთხოვია რა და სიტყვით აღსარებისათვის სამოთხე მიანიჭა და უბრძანა: „დღეს ჩემთანა იყავ სამოთხესა შინა!“ მგრეთჳს შენგან შეუძლებელს არას ითხოვს, რომელსა შეძლებისაებრ შესწირავ სიტყვით, თუ საქმით მას მიითვალავს და საუკუნო ცხოვრებას მოგცემს. ღიდად განკვირვებული ვარ შენის სასო-წარკჳთილებისათვის. რომელსაც კელმწიფება აქტეს სიკჳდილისა და ცხოვრებისა, იგი უფალი იცნო ნუგეშს გცემს და გიბრძანებს: „ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქტუნნი“. ახლა მიჩტუნე—რომელს ეშიშვი? პეტრემ მოშიშებით ზღვაში დანთქმა იწყო, მაგრამ ძრისტემ რომ კელი უპყრა და ნუგეში სცა, შიშისაგან განთავისუფლდა. მგრეთჳს შენ მოშიშებით სასოწარკჳთილების ზღვაში ინ-

თქმი, მაგრამ რადგან ძრისტე ნუგეშინის გცემს, სასო-წარკვეთილებისაგან უნდა განთავისუფლდე.

რომლისამე სასო-წარკვეთილებას რომ ვხედავ, აქ სხუა იქვი და შიში შემოვა ჩემის უღირსებისა შორის: ვაი ჩემს უღირსებას, თუ ცოდვისაგან გამოსლვა და ხსნა არ გენებებოდეს! თუ კი ცოდვისაგან განშორება გნებავს, სასო-წარკვეთილების მიზეზი რა უნდა გაქტნდეს?—მერას მიზეზს ჰპოვებ. მაგრამ ცოდვისაგან გამოსლვა არ გნებავს, და რადგან არ გნებავს, ხსნაც შეუძლო არის: თუ ვითარ— მაგალითით ვსტყუათ. პეტრე მოციქული რომ შეპყრობილი იყო, მხსნელის ანგელოზის სიტყუა რომ არ ერწმუნა და საპყრობილიდამ არ გამოსრულ იყო და ანგელოზს არ შედგომოდა, პეტრე ისევ საპყრობილეში დაშთებოდა; მაგრამ მხსნელის ანგელოზის სიტყუა ირწმუნა, საპყრობილიდამ გამოვიდა და მას შეუდგა, ამისთვის საპყრობილიდამ ხსნილი შეიქმნა. მგრეთუც შენ შენის მხსნელის დიდისა მამისა ზრახვისა ანგელოზი ძრისტეს სიტყუას თუ არ ირწმუნებ და ცოდვის საპყრობილიდამ არ გამოხვალ და ძრისტეს არ შეუდგები, ისევ ცოდვის საპყრობილეში დაშთები; თუ მის სიტყუას ირწმუნებ და მას შეუდგები— უეჭველად ცოდვის საპყრობილიდამაც ხსნილ იქმნები. რომელმან საუკუნითგანნი კრულნი განათავისუფლნა, ის ტკბილი იცნოსო მხსნელად გივის! მიჩტნე, რომლისა მოწიწებისათვის სასო-წარკუტთილ ხარ? მგების ამის მოშიშებაში იყო, ახლად ცოდვისაგან მოქცეულს მრავალი სიცოცხლის ჟამი არ მოგეცეს და იურვოდე, ამისთვის რომ მცირე ჟამში ვერ ჰსრულჰყო სინანული. რადგან ცოდვისაგან მოქცეული ხარ, მცირე ჟამისათვის ნუ იურვი. ამისი ჭეშმარიტი ნუგეში მოვილოთ სიტყუით და საქმით,—სიტყუით—ვითარცა მოციქულის პირით გიბრძანებს შუალი: „რომლითაცა საქმით გიხილო აღსრულებული, მითვე საქმითა განგიკითხო“, ცოდვისაგან მოქცეულს და სინანულსა შინა მყოფს აღსრულებულად გიხილავს და ამითვე საქმითა განგიკითხავს და საუკუნოსა სუფევასა ღირს გყოფს.

ახლა საქმით ვაჩუქნოთ ამისი ნუგეში: ავახაკი გვარსა ზედა დამსჭტალული რომ მოიქცა და ძრისტეს აღმსაარებელი რომ შეიქმნა, მცირე ჟამი აქნდა სიცოცხლის, მაგრამ სამოთხე მიიტაცა. მგრეთჳს, შენ თუ ქეშმარიტი სინანული და ცოდვისაგან მოქცევა ჰყავ, ჟამის სიმცირე ვერას გაენებს და საუკუნო სუფევას მიიღებ. თუ ეს გაურვებს, რომ უძლური ხარ, ამისი ნუგეში ზემო ითქვა, მაგრამ ახლა კიდევ ახალი დავსძინოთ და ვსთქვათ. პეტრეს სიდედრი მხურვალეებისაგან დავრდომილი და მოუძლურებული იყო; მაგრამ ძრისტემ რომ მის სახლში მივიდა, ასე განკურნა სიდედრი პეტრესი, რომ მის შორის უძლურება არ დაშენილა, მყის განძლიერდა, ვითარცა ცხად ჰყოფს მახარებელთა მიერ მისთვის აღწერილი: „აღსდგა და მსახურებდა მას“. მგრეთჳს, როდესაც შენ შორის ძრისტეს მოუწოდებ, ასე განკურნებს მოწყალეების კელის შეხებით, შენ შორის ცოდვის მოუძლურება აღარ დაწთეს, აღსდგე ცოდვის მხურვალეებისაგან დაცემული და მსახურებდე ძრისტესა; თუ ძრისტეს შენ არ მოიძულებ და შეიყვარებ, ნურც ამაზედ ხარ უსასო: შენის ცოდვის სიმყრალისათვის არ მოგიძულებს და კიდევ შოგიძიებს. ლაზარესი მოახსენეს: „შეალო, ყროდის“, მაგრამ მისთვის არ მოიძულა და საფლავით აღადგინა. მგრეთჳს შენ, მისდამი მისრულს, ცოდვის სიმყრალისათვის არ მოგიძულებს და ცოდვის მოკრძალებისაგან განგაცხოველებს.

რაც სასო-წარკუტსთილების ნერგი იყოს, ყოველივე აღმოვფხვრათ და უჩინო ვჰყოთ ძრისტეს მიერ! მგების ამისთვის უსასო იყო, მრავალ ჟამ ეკკლესიაში არ შესრულ იყო და გარეშე ყოფილიყო შენი ქცევა. ნურც ამისთვის წარიკუტსთ სასოებას. ამისი სანუგეშო მაგალითი მოვილოთ: ეშმაკეული ვინმე, რომელსა ლუკა სწერს, სახლსა შინა არა იყოფოდა, მრავალჯამ სამოსელი არა შეემოსა, მაგრამ ძრისტემან არ უგულლებელს ჰყო, და განაძო მისგან ეშმაკი. მგრეთჳს შენ მრავალ ჟამ ეკკლესიასა შინა არ ყოფილ იყო და სამოსელი სი-

ნანულისა არ შეგემოსოს, მაშინც ჰრისტე არ უგულვებელს ჰყო და ამისთვის თუ იშიშვი, შენი შინაგანი ადგილი სულისა ცოდვისაგან უპატიო ქმნილა და იშიშვი, ჩემ შორის ჰრისტეს როგორ მოვეუწოდო შეურაცხ ადგილში, — ვითარ თავს იდებს შემოსლვასო — ამისთვის ნუ იშიშვი; კაცთა ცხოვრებისათვის შეურაცხს და უნდოს ადგილს არ რიდებს. **პ**კ მიხედვ, უნდოს ადგილებს კაცთა ცხოვრებისათვის ჰრისტემან თუ რიდა: პირუტყვთ ბაგასა შინა იშვა, ზაქეს უნდოსა და გლახაკს სახლში მისლვა ჯერ იჩინა; სიმონ კანანელის სახლში ისერა. მსენი ყოველნივე უნდონი და შეურაცხებანი იყვნენ წინაშე ჰრისტესა, მაგრამ ჰრისტემან კაცთა ცხოვრებისათვის უნდოს ადგილს მისლვა არ უღირს იჩინა. მგრეთჲც შენის ცხოვრებისათვის შენის უნდოების შორის მისლვას არ უღირს იჩინებს ჰრისტე. **თ**უ ამას მწუხარე ხარ, რომ რა შევსწირო, — რომელიც ზაქემ შესწირა, შენც ის შესწირე. ზაქემ ეს შესაწირავი მოართვა: „შთალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთა მივსცე გლახაკთა“. მიითვალა ჰრისტემან შესაწირავი ესე და უბრძანა: „დღეს იქმნა ცხოვრება სახლისა ამის!“ **პ**გრევე შენც ეს შესწირე და შენის ქონებულისაგან მიეც გლახაკთა, რომ სთქუას მეუფემან შენის შინაგანის სულის ადგილისათვის: „დღეს იქმნა ცხოვრება სახლისა ამის!“ **და** თუ ნივთიური არა გაქუს რა — შენი უნივთო გონება შესწირე; თუ აღარც ის გაქუს, რომ ეშმაკისთვის მიგიცია, თუ კელ მეორედ არ წაართმევ, ჰრისტე განსდევნის გონებიდამ. **ე**შმაკეული ვინმე რომ იხილა ჰრისტემან, შერისხვით უბრძანა ეშმაკს: „განვედ და ნურღარა შეხვალ მაგისსა“, — მყის განვიდა მისგან ეშმაკი. **პ**გრევე შენის გონებისათვის უბრძანებს ჰრისტე: „განვედ და ნურღარა შეხვალ მაგისსა“. **თ**უ შენს გონებას შენ კი მისცემ ჰრისტეს, ეშმაკი მიახლოვებასაც ვერ იკადრებს. **თ**უ შენ ჟამიურს და თვით ჟამში მყოფს ამისი მოშიშება გაქუს — ჰრისტე არ შეგიწყნარებს, — და არა რომელსამე ჟამში ჰრისტეს მიერ შეუწყნარებლობა არა ჰსჩანს, თუ კი გონებას ჰრისტეს მიანდობ, რომელი ჟამი

გაქტუს შეუწყნარებლობის? შენის მყოფობის ჟამი ამას სოფელსა შინა სამი არის: სიყრმისა, ვაჟკაცობისა და მხკოვანებისა; ამას სამსავე ჟამსა შინა ძრისტე შენგან ნაყოფს ეძიებს ჰეშმარიტის თქმის მსგავსად: „სამი წელი არის ვინათგან ვეძიებ ნაყოფსა“; სამი წელი ამას სამსა ჟამსა ჰნიშნავს—სიყრმისა, ვაჟკაცობისა და მხკოვანებისა ჟამსა; ამას სამსავე ჟამსა შინა, რომელსა შინა შენ გარე შეცუულ ხარ, ძრისტე შენგან ნაყოფს ეძიებს; და რომელი ჟამი გაქტუს შეუწყნარებლობის, თუ კი შენს გონებას შესწირავ?

თუ კი შენის ცოდვისაგან მოწიშება გაქტუს ძრისტესი და პირის-პირ ვედრებას ვერა ჰყოფ—წმიდანი შუამდგომელად გივის და მათ მიერ ევედრე; უეჭველად მათის ვედრებით ხსნილ იქმნები. სიტყვით და საქმით ჰსჩანს ამისი სიმტკიცე. სიტყვით—ვითარ იგი კმობს წინასწარმეტყველი ლავით: „ნება მოწიშთა მისთა ჰყოს და ვედრებისა მათისა შეისმინოს“;—საქმით ჰჩანს: ისრაელთ ხბოს თაყვანისცეს, ლეთისა მიერის რისხვით მოისრვოდენ; მაგრამ შოსეს შუამდგომელობით ხსნილ იქმნენ. მგრეთჲც შენ ცთომილი წმიდათა შუამდგომელობითა ხსნილ იქმნები. შესწევლობა და უკურნებელი განწირულება ეშმაკის არის, რომ მას სინანული არა შეუდგეს, ამისთვის რომ უსხეულო არის. შენ სხეულევანი ხარ და სინანული გაქტუს გამოსახსნელად საუკუნოსა სატანჯველისაგან.—თუ ამას იტყვით, უძლურების ჟამში მეწია და სინანული არა ძალ-მიძს, ზემო თქმულისავე განგიახლებ,—გონება მიეც ძრისტეს და შენის სინანულის მაგიერს ის დასდებს სასწორთა ზედა, როდესაც, აღსრულების ჟამში, შენის ცოდვის აღწონას იწყებენ ანგელოზნი; შენს მტყალს ანგელოზს უბრძანებს: მე რომ ცოდვილთათვის სასჯელი თავს ვიდევ, მისი სინანულის მაგიერ ის მიეცი სასწორს, რომ მადლი უფროს იქმნეს ცოდვისა მისისა და ცხოვნდეს. ამას ცხად ჰყოფს ზაქარია წინასწარმეტყველის პირით და იტყვის: „აღწონეთ, მიეცით სასყიდელი ჩემი“. თუ გონებასა განუსაკუთრებ ძრისტეს—შენს უძლურე-

ბას ასე განაპლიერებს. ხედავ საყვარელო, ძრისტეს მიერის უსაზღვრო მოწყალებით ყოველი ძირი სასო-წარკვეტილებისა აღმოიფხვრა? ახლა ყენება აღარ არის, ძრისტეს უნდა დაეგო; თვით გასწავებს ბრძნისა სოლომონის პირით: „ამბორს მიყოს მე ამბორის ყოფითა პირისაგან თვისისა“. შებლალულს გულს და ბაგეს ის განწმედს და განაახლებს, ვითარ იგი ხმობს წინასწარმეტყულისი: „განცხრას მწიკული ძეთა და ასულთა სიონისათა“. მისმან განშორებამ შწიკლოვან გყო—და ახლოება კვალად განგწმედს. მთოვარე რომ მზეს მოშორდება, დაბნელდება; როდესაც პირის პირ წარმოდგომით დაუახლოვდება, მაშინ ნათლით აღივსება. მგრეთეს შენ, როდესაც ძრისტეს განეშორები, დაბნელდები; როდესაც დაუახლოვდები—ნათლით აღივსები.

რასალა ჰყოფნი ძრისტესთან მისლვას? თუ მისგან მოცემული ნათლით სამოსელი მტერმან განგძარცვა და შიშლოებისათვის იშიშვი, მაგისი მოშიშება ნუ გაყენებს: აღამ და მვა თავისის ცთომისაგან შიშველნი შეიქმნენ, მაგრამ ძრისტემან კვალად ნათლისა სამოსელი შემოსა. მგრეთეს შენ შენის ცთომისაგან განშიშვლებულს კვალად ნათლისა სამოსლითა შეგმოსს, პირუტყვების საზრდელისაგან განგაშორებს და სიტყვიერების საზრდლით გამოგზრდის, ესე იგი უხრწნელითა ხორციითა და სისხლითა თვისითა. ნურცა ამისთვის შეწუხდები, რომ უკანასკნელს მოხუცებულობის ჟამში მოხვიდე ძრისტესთან, ამისთვის რომ მისის მოწყალებით მეათერთმეტის ჟამის მოსრულთა არა განაძებს და პირველისაებრ შეიწყნარებს; ვგრეთეს შენ, უკანასკნელის მოხუცებულობის ჟამში მოსრულს, არა განგაძებს და პირველისაებრ შეგიწყნარებს.

ძიდევ ვსთქუათ და გკითხავ, საყვარელო: მიჩტსნე, რომლის მიზეზით უსასო ხარ? მოდრუას რაც ვენება აქტს ძრისტეს მიერის მადლით ყოველსავე აღმოფხვრილად და განხმობილად გიჩტსნებ და მერმე რომლისამე მოშიშებისათვის უნდა მიეცე სასო-წარკვეტილებას? — შგონებ მიზეზი ვერა ჰპოვო რა. თუ

შენს თავს ძრისტეს მიანდობ, ცოდვის ვნება ვერა შეგაძრწუნებს, თორემ ცოდვის შემაძრწუნებელი ვნებანი მოვიხსენოთ და განხზობა ვსთქვათ, და მიხედვ და ჰსცანი, თუ რა ვნება შეეძლოს ცოდუას, თუ შენს თავს ძრისტესგან არ განაშორებ. ცოდუას შეუდგება საშინელი ვნება, ესე იგი სიკუდილი. ვითარცა მოაკუდინა პირველი მამა ადამ; მაგრამ თუ ძრისტეს შედგომილი ხარ, შენთვის სიკუდილი შესაძრწუნებელი არ არის, უფროსად ძილი და განსტანება არის, ვითარცა ხმობს შუალი ისო მეგობრისათვის ლაზარქსა: „ლაზარემ, შეგობარმან ჩემმან, დაიძინა“. იცის ცოდუამან საშინელი ღელვისა მიერი დათქმულება, ვითარცა შარაო და ერი მისი დაანთქა ზღვასა შეწამულსა. მაგრამ თუ ძრისტეს შედგომილი ხარ, ცოდვის ღელვა ვერას განებს, ვითარცა მოსეს შედგომილთა ისრაელთა ზღვის ღელვამ ვერა ავნო რა: შარაო და ერი მისი დაინთქა, ისრაელნი უვნებლად განვიდენ. მგრეთჲც შენ, ძრისტეს შედგომილს, ცოდვის ღელვა ვერას განებს: უხილავი შარაო—ეშმაკი გუნდითურთ მისით დაინთქმი და შენ უვნებლად განწვალ. იცის ცოდუამან საძაგელი წყლულება და სიმყრალე, ვითარცა იტყვას წინასწარმეტყველი ლავით: „შეყროლდეს და დაღბეს წყლულებანი ჩემნი პირისაგან უგუნურებისა ჩემისა“; მაგრამ თუ ძრისტეს შედგომილი ხარ, შენის ცოდვის წყლულება და სიმყრალე ყოვლითურთ უჩინო იქმნების: ვითარცა მისდამი მისრულსა და შედგომილსა მეძავსა დედაკასა ძრისტემან ყოველი წყლულება და სიმყრალე ცოდვისა განუქარვა, მგრეთჲც შენ თუ ძრისტეს შეუდგები, ყოველს შენს ცოდვის წყლულებას და სიმყრალეს უჩინო ჰყოფს. იცის ცოდუამან შესაძრწუნებელი ჯოჯოხეთად შთამხდელი სიმძიმე, ვითარცა მარცხენით ავაზაკი შთახდა ქრსკნელთა შინა ჯოჯოხეთისათა; მაგრამ თუ შენ ძრისტეს შედგომილი ხარ, ცოდვის სიმძიმეს ის აღვისუმბუქებს და სასუფეველად აღგაფრენს: ვითარცა მარჯუტნით ავაზაკი იხსნა ძრისტემან სიმძიმისაგან ცოდუათასა და აღიყვანა სასუფეველად, მგრეთჲც

თქტუნ, კემმარიტთა ძრისტეს მოწაფეთა, აღგისუბუქებს ძრისტე სიმძიმესა ცოდუათასა და მკვიდრ გყოფს ზეცათა სასუფეველსა, რომლისა არს დიდება, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 27. ლოცვისათვის.

იტყვის სანატრელი ჰაელე: „ილოცვედით ყოველსა ჟამსა სულითა“. ზერ ეს უნდა გამოვაცხადოთ, თუ ლოცუა რა არის, მერმე მისთვის სხუა მეტყუტლება ვიწყოთ.

ღამასკელი იოანე ლოცვას ასე განასაზღვრებს და იტყვის: „ლოცუა არს აღსლვა გონებისა ლეთისა მიმართ“. აქ საზღვარში მლოცველი და ანგელოზი ერთად მდგომი შეიქმნა: ანგელოზის ხედვა ლეთისა მიმართ არის და მლოცველიც გონებით ლეთისა მიმართ აღვალს და მას ხედავს; ზემო თქმულმან საზღვარმან ესრედ ცხად ჰყო. ღა რადგან მლოცველი ანგელოზთა თანა—მდგომად განიწესა, დიდი კრძალუა მართებს, არამც ანგელოზთა თანა-მდგომარეობისაგან შთამოვარდენ: ვითარცა რომელთამე ანგელოზთა ლეთის ხედვას მოაშორეს გონება და ამოასა და ცუდსა დაუწყეს ხედვა, მყის ანგელოზთა თანა-მოდასეობისაგან შთამოვარდომილ იქმნენ, ეგრეთუტ, რომელიც მლოცველნი ლოცვასა შინა ლმერთს გონებას მოაშორებს და ამოასა და ცუდსა დაუწყებს ხედვას, მყის თანად ანგელოზთ

შოდასეობისაგან ქვეშ შთამოვრდომილი შეიქმნება. ლოცვა თვით ძრისტიმან ვანგვიწესა და გვასწავა; არა თუ მარტო სიტყვით—საქმითაც გვიჩუბნა და გვასწავა. შითარ?—სიტყვით გვასწავა, როდესაც ჰრქტა მოწაფეთა თვისთა: „იღვიძებდით და ილოცვედით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა“. საქმით გვასწავა, როდესაც თვით ილოცვიდა ჟამსა ენებისასა.

ბქ მოციქულის სიტყუაში რომ არის— „ილოცვედით ყოველსა ჟამსა“;—სიტყვისა ამისგან ეგების შეშინდეს ვინმე და სთქუას: ყოველს ჟამში რომ ვილოცოთ, ხორცთაგან განვიდეთ და უსხეულო ვიქმნეთ, თუ სხეულის საქმე როგორ უნდა განვაგოთ? ბქ ორი რამ სათქმელი მაქტს; ერთი ესე: თუ ჟამ მარად შენს გონებას ძრისტეს მიანდობ და ჟამ მარად ლოცვას ჰყოფ, სხეულის ჯეროვანს საქმეს ყოველსავე ძრისტე გპირდება, ვითარცა გიბრძანებს: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ლვთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს თქუტან“, და კვალად: „ნუ ზრუნავთ ანუ რა სვათ, ანუ სჰამოთ, ანუ რა შეიმოსოთ, რამეთუ იცის მამამან თქუტანმან ზეცათამან, რა გიხმს ამათ ყოველთაგანი“;—მეორე ესე: „ილოცვედით ყოველსა ჟამსა“—ესე თქმა ყოველს საათს არ ნიშნავს,—კანონისაებრ განწესებულს ღამისა და ღლის ლოცვას ჰნიშნავს. მოველს ჟამსა რომ ამბობს, ეს არის ყოველსა ღღესა და ყოველსა ღამესა შინა განწესებისაებრ უნდა ვილოცვიდეთ, თორემ ყოველს საათს ღამისას და ღლისას არ ჰნიშნავს. მს ჩუტან მიერი განმარტება თვით მოციქულთა მიერ დავამტკიცოთ. მოციქულნი ყოველს საათში არ ილოცვიდენ, ოდესმე სხუა საქმესაცა ჰყოფდენ; ოდესმე თევზობდენ, ვითარცა მათთვის იტყვის მახარებელი: „ითხველიდეს რა სათხვევლითა ზღვასა მას“; ოდესმე სჰამდენ, ვითარ იგი გვამცნებს კვალად მახარებელი: „მუსრვიდეს თავსა ხუვილისასა კელითა და სჰამდეს“. თქმულთა ამათგან ჰსჩანს, რომ ყოველს საათში არ ილოცვიდენ, სხეულის საქმესაც ჰყოფდენ. ლა რადგან არ ილოცვიდენ ყოველს საათს, არც ჩუტან დაგვიდებენ სჯულდებით, ვითარცა ცხად

პყოფს მოციქული: „უკეთუ სხუათა უქადაგებდე და მე გამო-
უცდელ ვიპოვო, სჯულისა გარდამავალად თავი ჩემი შემირაც-
ხის“. მაშასადამე, მოციქულისა მიერ თქმული, — „ილოცვი-
დით ყოველსა ჟამსა“, — არა ნიშნავს ყოველსა საათსა, არამედ
ჯერისებერ წესიერსა ლოცვასა ღამისა და დღისასა.

ჰვალად არს მოციქულისა სიტყვასა შინა: „ილოცვიდით
ყოველსა ჟამსა სულითა“. თქმასა ამას — „სულითა“, — ორი
ძალი აქვს; ერთი ესე: კეთილად უნდა ვილოცვიდეთ; სული
წმიდა თანა-შემწედ უნდა გვაქუნდეს ლოცვისა ჩუქნისა; თუ
სული წმიდა თანა-შემწედ არა გვივის, კეთილად ლოცვა არა
ძალ-გვიძს, ვითარცა ხმობს მოციქული: „და ვის ძალ-უძს
თქმად შუალი იცხო, გარნა თუ სულითა წმიდითა“. მეორე
ესე: „ილოცვედით სულითა“, ესე იგი გონებითა, პირითა.
ლოცვას გონება განუშორებელი უნდა აქუნდეს, ვითარცა იტ-
ყვას ჰვალად მოციქული: „ვილოცვიდე თუ პირითა, ვილო-
ცვიდე გონებითაცა“. თუ გონება ლოცვაში სხუად მიმოექ-
ცევა ის ლოცვა ლეთის დაახლოლებულად არ შეირაცხება —
უფროსად შორს არის ლეთისაგან, ვითარცა ბრძანებს შუალი
პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: „ერი ესე ბავითა მათი-
თა პატივსმცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ
არიან ჩემგან“. თუ გონება ლოცვაშიდ სხუას მიმოექცევა, ის
ლოცვა ცხოვრებად წარსამართებელად არ არის. ცხოვრების
წარმართება უნუგეშოთ შესაძლო არ არის, თორემ მიხედეთ
უგუნებოთა პირუტყვთა, თუ ყოვლითურთ უცხო და უნაწი-
ლო არ არიან საუკუნოსა ცხოვრებისაგან. მგრეთუც ლოცვა-
ში, რომლითაც შენ ცხოვრებას მოელი, უგონებოდ არის,
რომ შენი გონება სხუად მიმოიქცევა: რით უნდა მოიპოვო
საუკუნო ცხოვრება? — თვინიერ კეთილისა გონებისა ცხოვრე-
ბა შესაძლო არ არის.

მგების სთქუას ვინმე: სიტყვიერის ლოცვა პირუტყვს რათ
შეუმსგავსე? საყვარელო! თუ ლოცვაში შენი გონება ლოც-
ვასთან განუშორებელად არა არის, შენი ლოცვის ხმოვანება.

და პირუტყვის ხმოვანება ერთი არის. **თუ** ვითარ — ცხად ვჰყოთ: პირუტყვის ხმოვანებაც უგუნებო არის; შენი ლოცვის ხმოვანებაც უგუნებო არის, ამისთვის რომ შენი გონება სხუად მიმოექცევა და ლოცვისაგან შორს არის. პირუტყვი ხმოვანებისაგან ვერას კეთილს მოიპოვებს; ვგრეთვე შენ უგუნებოს ლოცვით ვერას მოიპოვებ კეთილსა. პირუტყვითა ხმა არ აღიწერება, — არც შენი უგუნებო ლოცვა ცათა შინა აღიწერება. პირუტყვის ხმაც ჰაერად განიბნევა, — და შენი უგუნებო ლოცვაც. **თქმულთაგან** ასე ცხადი არის: პირუტყვისაგან განყოფილად და სრულ სიტყვიერად მაშინ შეიარაცება, როდესაც ლოცვაში შენი გონება ღმერთს ჰხედავს და არა სხუასა ამოსა რასამე. **თუ** ლოცვაში შენი გონება ამოს რასმე ხედავს, ლოცვამ რა უნდა გარგოს? ამ მაგალითს მოხედე: სამოსელს ერთი ვინმე რეცხდეს, მეორე ამწიკულებდეს, — ცუდად რეცხისაგან რა სარგებელი უნდა ეყოს? შფროსად განიბრძარვის და ევენება. მეგრეთუ შენი ბაგე ჰრეცხს შენს სხეულს მწიკულისაგან, რომ ილოცავს: გონება ამწიკულებს, ამისთვის რომ ამოსა და ხენეშსა ექცევა, და რა სარგებელი უნდა ეყოს შენს სხეულს ცუდად ლოცვისაგან? — შფროსად ეშმაკის ვნებისაგან დაიბძარვის და ევენება. ლოცვაში რომ სხუად მიმოიქცევა შენი გონება მიზეზი რა არის? ღვთის უმჯობესი რა უნდა იქმნეს, რომ მას გონებას მოაშორებ და სხუას ხედავ? ანუ სასუფეველის უტკბესი რა იქმნება, რომ მის თხოვას დაივიწყებ და სხუას შეექცევი? **თუ** მრავალი რამ განსაგებელი გაქვს — ამას იტყვი, — და ამისთვის გონება უცალო არის, ეს მიზეზი ამაო და ცუდი არის, ამისთვის რომ ჯერ უპირველესად სულისა და ხორცის საქმე ლოცვით უნდა წარმართო, თორემ ვერას განაგებ, ვითარცა ბრძანებს უფალი **იესო**: „ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა, გეყოს თქუნი“. სიტყვისა ამისგან ჰსჩანს, თვინიერ ლოცვისა არა რაჲ კეთილი გეყოფა. მაშასადამე მრავლის განსაგოს მიზეზით ლოცვას რომ გონებას მოაშორებ, ეს მიზეზი ცუდი და ამაო არის,

ამისთვის რომ ზემო ძრისტეს სიტყვით წარმოჩნდა, თვინიერ ლოცვისა არა რაჟმე კეთილი გეყოფა. აწ ესეც უნდა ვსთქვათ, ამისი უაღრესი განსაგო რა უნდა იქმნეს? ხორცისათვის საზრდელი ლოცვით უნდა მოიპოვოთ, ვითარცა გვასწავებს შუალი იოსო თხოვად ლოცვისა შინა: „პური ჩუპნი არსებისა მომეც ჩუპნ ღღეს“. მოტევება ცოდუათა ლოცვით უნდა მიიღო, კვალად ვითარცა გვასწავებს იოსო ლოცვისა შინა თხოვად: „მომიტევენ ჩუპნ თანა-ნადებნი ჩუპნნი, ვითარცა ჩუპნ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩუპნთა“; ყოვლისა განსაცდელისა და ბოროტისაგან ლოცვით უნდა ხსნილ იქმნა, ვითარ ესეცა გასწავა მაცხოვარმან თხოვად ლოცვისა შინა: „და ნუ შემიყვანებ ჩუპნ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩუპნ ბოროტისაგან“; ლოცვა ფრთედ უნდა გვაქუნდეს, რომ ცოდვით ქუპ დაცემულნი ფრთითა ლოცვისათა სასუფეველოდ აღვფრინდეთ, ვითარ ხმობს წინასწარმეტყველი ლავით: „ნეტარ თუმცა მცნა მე ფრთენი, ვითარცა ტრედისანი და აღვფრინდე და განვისუტნო“. ამათ უაღრესი განსაგებელი რომელი გაქუეს, მიჩუპნე? ეს ზემო თქმული ყოველივე ლოცვით უნდა განეგოს. შენ კეთილად არ ილოცავ და გონებას სხვად მიმოაქცევ, — ყოვლის ზემო თქმულის კეთილისაგან ცალიერი იქმნები; ვერც მიიღებ ცოდუათა მოტევებას, ვერცა საუკუნოს სუფევისა, და იქმნები ყოვლითურთ მსგავს ეშმაკისა; — და თუ ვითარ? — ის შემდგომად ვსთქვათ.

ღა ჯერ ეს ვსთქვათ, რასათვის არა გრცხვენია ლვთისა და კაცისა, ესე იგი შულისა იოსო ძრისტესი, რომ დაუსაბამოსა მამასა მისსა შეურაცხ-ჰყოფ. — ვითარ? პირველად ზრახვას დაუწყებ საუკუნოსა მამასა და კანდიერებით ხადი მამად და იტყვი: „მამო ჩუპნო, რომელი ხარ ცათა შინა“; შემდგომად მცირედისა მას დაუტევებ და ამოას ზრახვას შეექცევი, — ცხადი შეურაცხყოფა არის ლვთისა მამისა! მას დაუტევებ — დაბადებულთა შეექცევი! უდიდესი შეურაცხყოფა რომელი იქმნება? ცხადად ეშმაკისთანა სწორად აღმოგაჩენს ეს საქმე; —

ვითარ?—**ეშმაკი**მან **ღმერთი** დაუტევა, **შენც** ლოცვასა **შინა** დაუტევებ და ამაოთა მომართ მიიქცევი; ვერ მიიღებს **ეშმაკი** ცოდუათა მიტევებასა, —**უგვანის** ლოცვით ვერც **შენ** მიიღებ ცოდუათა მიტევებასა; **ეშმაკს** არა აქუს ნაწილი საუკუნოსა **შინა** სუფევასა, —**ეგრეთუც** **შენ** **უგვანის** ლოცვით არა გაქუს ნაწილი საუკუნოსა **შინა** სუფევასა. **ბაწვევს** **შუალი** **ღმერთი** ეკლესიასტესა **შინა** ლოცვად პირითა **ღავითისითა**: „**ეკლესიასა** **შინა** აკურთხევდით **შუალსა**“. ამისთვის გაწვევს **ეკლესიაში** ლოცვად—**იქ** **ეშმაკს** ძალი არა აქუს, თუ არ განაძლიერებ. **თუ** ვითარ არა აქუს ძალი და **შენ** განაძლიერებ, ამისი მაგალითი მოვიღოთ. **სამოთხესა** **შინა** **ეშმაკი** შევიდა; **სადამდის** **ადამ** **ეშმაკის** ზრახუას არ შეუდგა და **ღმერთი** არ დაივიწყა და ამაოს არ მიექცა, **მადამდის** **ეშმაკს** ძალი არ ჰქონდა; **როდესაც** **ღმერთი** დაივიწყა, **ეშმაკსა** და **ეშმაკის** ამაოს ზრახვას შეუდგა, მასზედ **ეშმაკი** განძლიერდა და **ადამ** **სამოთხით** **ექსორია** ჰყო. **მგრეთუც** **ეკლესიასა** **შინა** შემოვალს **ეშმაკი**; **სადამდის** **ღმერთს** არ დაივიწყებ და **ეშმაკს** არ შეუდგები და ამაოს ზრახუას და შექცევას არ იწყებ, **მადამდის** **შენზედ** **ეშმაკს** ძალი არა აქუს. **როდესაც** **ღმერთს** დაივიწყებ და **ეშმაკის** ზრახუასა და ამაოს შეექცევი, მაშინ **ეშმაკი** გძლევს და **სასუფეველისაგან** **ექსორია** გყოფს. **თუ** **შენ** კეთილად და მართლიად მდგმოებ **ეკლესიასა** **შინა**, **ეშმაკი** ვერას ვნებას შეგახებს. **ნოე** რომ მართლა და კეთილად იყო კიდობანსა **შინა**, კიდობანში გველიც იყო, მაგრამ **ნოეს** ვერა ავნო რა,—**ეგრეთუც** თუ **შენ** **ეკლესიასა** **შინა** კეთილად მდგმოებ, **ეშმაკი** ვერას გავენებს; არა თუ მარტო **ეკლესიასა** **შინა**, ვერა რაჲმესა ადგილსა **შინა** გავენებს, თუ **შენ** კეთილად მდგმოებ. **შუგვანად** ლოცვისაგან რაოდენი ვნება შემოვა ეს ითქვა. **აწ** ეს არის **ჩუპნი** **საძიებელი** და ესე უნდა ვიძიოთ, რომელი ადგილი უფრო საკუთარი არის ლოცვისა? **მართი** **ეკლესია**, ვითარცა **იტყვის** წინასწარმეტყველი **ღავით**. „**ეკლესიასა** **შინა** აკურთხევდით **შუალსა**“; **მეორე**—**სხუა** ადგილი ყოველივე, ვითარცა **იტყვის** მოციქული:

„მნებაფს ლოცვა მამათა ყოველსა ადგილისა“. შოველსა ადგილსა შინა წესიერი ლოცვა ნაყოფიერი არს, ვითარცა მკვიპტელი მარია ილოცვიდა ნაღვარევისა ადგილსა რასამე უგზოსა, და ყოვლად კეთილ და ნაყოფიერ იქმნა ლოცვა მისი; მესამე—უსაკუთრესი ადგილი ლოცვისა, რომელი გვასწავა ძრისტემან: „შევედ საუნჯესა შენსა და დახშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა ფარულად, და მამა შენი, რომელი ხედავს ფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად“. შენის გონების საუნჯეში, ესე იგი რაც შენ მიერ ქმნილი შენს გონებაში დაუნჯებული არის, იქ უნდა შეხვიდე, კარი უნდა დახშო, რომ შენს გონებაში თვინიერ ლოცვისა არღარა შევიდეს რა. ასე დაფარულად რომ ილოცავ, დაფარულთა მხედველი მამა ცხადად მოგაგებს. მგების იკითხოს ვინმე: ეკლესიაში რომ ვილოცვიდეთ, გონების საუნჯეში მაშინც უნდა შევიდეთ? რომელსაც ადგილს ილოცავ, თუ გონების ხედვით გონების საუნჯეში არ შედი, კარი არა დახშე, ვითარცა ზემო ვსატუ, შენი ლოცვა ლოცვად არ შეირაცხება. მს ერთი. შეუძლებელი არ არის რა; თუ შენ, ეკლესიაში მდგომი, გონებით შორს სხუასა ადგილსა იქცევი, ეს უფრო იეფათ შესაძლო არის—შენის გონების საუნჯეში შეხვიდე და იქ ილოცვიდე. თუ ასე არ ჰყოფ, შენი ლოცვა უფროსად დამსჯელი გექმნება და არა განმამართლებელი, ვითარცა ფარისეველი ილოცვიდა ტაძარსა შინა და თავისს გონების საუნჯეში არ იყო, სხვის ცოდვას გამოეძიებდა და მეზტარეს აყუბდრებდა—ამისთვის დაისაჯა; მეზტარე თავისის გონების საუნჯეში ხედვიდა და იყო; სხუას არას ხედვიდა, მხოლოდ მის გონებაშიდ იქცეოდა ამისთვის განმართლდა და სცხონდა. მგრეთუც შენ ლოცვასა შინა თუ ფარისეველებრ შენის გონების საუნჯეს არ ჰხედავ და სხუას აყვედრებ ცოდვისათვის—ფარისეველებრ დაისჯები; და თუ მეზტარისაებრ შენს გონების საუნჯეს ჰხედავ და სხუას არა განიკითხავ და ისრე ილოცავ—მეზტარისაებრ განმართლდები და ცხოვრებასა საუკუნოსა მიიღებ.

აწ ეს უნდა ვიძიოთ, თუ ვითარ ვილოცოთ. **მ**-უმც ზემო შემოკლებით ითქვა, თუ როგორ უნდა ვილოცოთ, მაგრამ ამისთვის კიდევ უნდა ვყოთ მეტყუელება. ძილევ ეს უნდა ვიძიოთ, თუ რა ვითხოვოთ ლოცვასა შინა, თუ როგორ უნდა ვილოცოთ. მოციქული გვასწავებს სიტყვითა ესე ვითარითა: „მნებაეს ლოცვა მაშათა ყოველსა ადგილსა წმიდად, ხელ აღპურობია, თვინიერ რისხვისა და გულის თქმისა“. რადგან მოციქული ასე გვამცნებს ლოცვას, რომ ლოცვასა შინა რისხუა და გულის-თქმა არ უნდა გვაქტნდეს, მაშ რომელიც წირვისათვის გვასწავა მაცხოვარმან შფალმან, ის ლოცვისათვისცა კვალად კეთილად დასაზავებელი არის, ვითარცა წირვისათვის გვასწავა შფალმან: „ოდეს შესწირვიდე შესაწირავსა შენსა და მოგეხსენოს, ვითარმედ ძმა შენი გულ-ძვირ რამე არს შენთვის, დაუტევე შესაწირავი იგი შენი, მივედ და ეგე პირველად ძმასა შენსა და მერმე მოვედ და შესწირე შესაწირავი შენი“. მგრეთუტ შენის ლოცვისათვის ჯეროვნად სათქმელი არის: ოდეს შესწირვიდე ლოცვასა შენსა და მოგეხსენოს ვითარმედ ძმა შენი გულ-ძვირ რამე არს შენთვის, დაუტევე შესაწირავი იგი ლოცვისა შენისა და მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა და მერმე მოვედ და შესწირე შესაწირავი ლოცვისა შენისა.— აწ რა ვითხოვოთ, ის უნდა ვსთქათ. მარი რამ უნდა ვითხოვოთ ლოცვასა შინა—თითოს დღის ჩუტნი საზრდელი პური და მოტევება ცოდუათა ჩუტნთა, ვითარცა გვასწავებს შფალი მის მიერ მოცემულსა ლოცვასა შინა თხოვად: „პური ჩუტნი არსებისა მომეც ჩუტნ დღეს, და მომიტევენ ჩუტნ თანა-ნადებნი ჩუტნნი, ვითარცა ჩუტნ მიუტევებთ თანადებთა მათ ჩუტნთა“. მაგრამ ყოვლისა თხოვისაგან უსანატრელესი ეს არის—ცოდუათა ჩუტნთა მოტევება ვითხოვოთ, ამისთვის უსანატრელესი არის, სხეულის სახმარებელის თხოვით ცოდუათა მოტევებას ვერ შევიძენთ, და ცოდუათა მოტევების თხოვისაგან რაც სხეულის სახმარ-არს ყოველსავე შევიძენთ,— თუ ვითარ?—**ვ**სთქათ: ცოდუათა მოტევების თხოვა სული-

რებრივი სიბრძნე არის, და სიბრძნის წადილმან და თხოვამან სოლომონ ბრძენს სიბრძნეც მისცა და სხეულის სახმრად მეფობა დაუმკვიდრა; ეგრეთუტ ჩუენ სულიერის სიბრძნის წადილით და თხოვით სულიერს სიბრძნეს—სათნოებასაც შევიძინეთ და სხეულის სახმარსაც. შოველსავე ამას საქმესა შფალი ჩუენი იცნო დაამტკიცებს და იტყვის: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ლეთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ“. აღმოჩნდა ჭეშმარიტებით, რომ ცოდუათა მოტევების თხოვა უმჯობესი არის ლოცვასა შინა სხუა ნივთიურის თხოვისაგან.

სიხარულით აღვიდეთ ჩუენის ქადაგების დასაბამისა მიმართ და მოვიხსენოთ სიტყვა მოციქულისა: „ილოცვიდით ყოველსა ჟამსა სულითა“. მართი შემოკლებითი განმარტება ამისი კიდევ ვსთქუათ. მოციქული გაწვევს: ოდეს ილოცვიდეთ, მის ლოცვისა ჟამსა შინა ყოველსა სულითა, ესე იგი გონებითა, უნდა ილოცვიდეთ, და თვინიერ ლეთისა არა რასამე ხედვიდეთ. ლიდი რამ განკვირება არის ჩემის უღირსებისა შორის, ამისთვის რომ ლოცვასა შინა თვინიერ ლეთისა მისახედუტლი რა გაქუს, თუ შენის გონებიდამ განსრული არა ხარ და სრულებით უგონებო! წარმოაჩინე ერთი რამ მისახედველი ლოცვასა შინა თვინიერ ლეთისა, თუ ვითარ ყოველისა მიხედვისათვის სულელად და უგონებოდ შესარაცხელი არ შეიქმნე. თუ იტყვი: სხეულის რასამე სახმარს ვხედავ, აქ ერთს რასმე კითხუასა ვყოფ: შენი ხედვა და მუშაკობა უფროსად განაგებს სხეულის სახმარსა თუ ძრისტე? თუ იტყვი: შენი ხედვა და მუშაკობა უფროსად განაგებს ძრისტესაგან—ამ თქმისათვის უფროსად უგონებოდ შეირაცხები, ამისთვის რომ საუკუნოს მამის ძალისა და სიბრძნისაგან,—რომ მამის ძალი და სიბრძნე ძე არის,—მისგან უფროსს ძალს იქადი; აქ ზეშთა რამ უგონებობა ჰსჩანს შენი! თუ ამას იგონებ, რომ ძრისტეს არ ჰნებავს შენი სახმარი და თვინიერ მისისა ნებისა შენ შენის ხედვითა და ძალითა განაგო—ესეც უგონებობა არის: თუ მას

არ ჰნებავს, მისი წინააღმდეგობა ვის ძალ-უძს? რომლითა საქმითა დაყოფილი არს შენი ყური, რომ მოციქულის სიტყუა არ გესმის: „და ვინმე წინააღმდეგა ბრძანებასა მისსა?“ **ღა** თუ ძრისტეს ჰნებავს შენი სხეულის სახმარი რაჲმე და უტყუელის პირით აღგიტყუამს: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა **ღვთისასა** და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს **ტქტან**“. **აქაც** უგონებო არის შენი ქცევა. **შოვლისა** შემძლეველი **იოსო** ასე აღგიტყუამს ზემო სიტყუათა: პირველად სასუფეველის ძიებით სხეულის კეთილად სახმარი ყოველი შეგეძინოს. სასუფეველის ხედვა დაგიტევებია, რომლითაც ძრისტე სხუა სახმარს აღგიტყუამს, და შენ შენის ძალით მეცადინებ თვინიერ ძრისტესა,—ამისაგან უმეტესი უცნობელობა არა იქმნების.


ღა თუ ვისმე ხორციელს თვისს ხედავ ლოცვასა შინა, აქაც ფრიადი უცნობელობა იქმნება შენი. **თუ** ხორციელს მამას ხედავ ლოცვასა შინა, მიხედე შენს უცნობელობას: საუკუნო **ღმერთი** მამა, რომლისაგანაც ყოველსავე კეთილსა მოეწილი, მას განშორებიხარ და მიწიერს უძღურს მამას ხედავ. **თუ** **ღმერთი** შემწედ არ გივის ხორციელი მამა რას გარგებს? რა არგო ძაენს ანუ მსავეს ხორციელმან მამამან, **ღმერთი** რომ შემწედ არ ჰყავდა? **მგრეთჲც** შენ, კორციელი მამა ვერას გარგებს, თუ **ღმერთი** თანა შემწედ არ გივის. **თუ** ხორციელს ძმას ჰხედავ ლოცვასა შინა, ესეც პირველისაებრ უცნობელობა არის; ძმად შენდა წოდებული ძრისტე დაგივიწყებია, რომელმან ცთომილი მოგიძია და სიკვდილითა თვისითა გიხსნა და საუკუნოსა ცხოვრებისა ღირს გყო! მს დაივიწყე და ლიტონს ხორციელს ძმას ჰხედავ,—აქ გონიერად შენი შერაცხვა კეთილად არ შემირაცხია. **თუ** ხორციელს მეგობარს ჰხედავ ლოცვასა შინა—აქაც უცნობო ხარ, ამისთვის რომ რომელიც **ღვთისაგან** მცველი ანგელოზი გყავს მეგობრად დადგინებული, ის დაგივიწყებია და სოფლიურს მეგობარს ხედავ; **ღვთისაგან** მოცემული მეგობარი—**ანგელოზი**—განგიხსნია და შენ მიერ მოგებული მიწიერი მეგობარი შეგიტკბია! **შენი** მცვე-

ლობა სულით და ხორციით, შენს მეგობარს ანგელოზსა აქვს მოცემული, ვითარცა ხმობს წინასწარმეტყველი ლავით: „ანგელოზთა მისთა და უბრძანებიეს დაცვად შენდა, კელთა მათთა ზედა აღვიპყრან შენ. ნუ სადა წარსცე ქვასა ფერხი შენი“. ამისი მსგავსი მეგობარი დაგივიწყებია და სოფლიურს მეგობარს ხედავ! სადა ჰსჩანს აქ კეთილი გონიერება და ცნობა? ლა თუ ხორციელს მტერსა ხედავ ლოცვასა შინა—აქაც უცნობო არის შენი ხედვა. მითარ?—რომელმან ხორციით სიკუდილს მიგცა და სულით მარად ეამ შენი წარწყმედა ჰნებავს და საუკუნოსა ცეცხლსა შინა ტანჯვა, ამის დაუძინებელისა მტერისა—ეშმაკისა—საწყლულელი და შესამუსრუტლი ლოცუა დაგიტევებია და ხორციელს მტერს ჰხედავ! წუთისა და აზრდილისა მსგავსად წარმავალის მტერის შურს ეძიებ და საუკუნო მტერის ეშმაკის მტერობა განგიხდია! ამას საქმესა შინა სადა სჩანს გონიერება და კეთილი ცნობა? თუ იკითხავ, ლოცვასა შინა ხორციელი დაუტეო,—მე მოგიგებ: ყოველივე ხორციელი ხედვა უნდა დაუტეო, ვითარცა მოსე მთაზედ რომ აღვიდა ლეთის სახილველად, ყოველივე ხორციელი თვისი და მეგობარი და სხუა მონაგები თვისი დაუტევა, და მხოლოდ მთასა ზედა იყო ხილვად ლეთისა და უბნობად. მგრეთჲც შენ როდესაც ლოცვის მთაზედ აღვიდოდე მოხედვად ლეთისა, ყოველივე უნდა დაუტეო კორციელი თვისი, მეგობარი და მონაგები და მხოლოდ ლოცვისა მთაზედ უნდა იყო გონებითა ლეთისა ხილვად და უბნობად. თუ ასე გონებით კეთილად არ ილოცავ, ლმერთი შენს ლოცვას არ მიითვალავს. ლმერთი შინაგანს გონებასა და თირკმელს განიკითხავს, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ლავით: „რომელი განიკითხავს გულთა და თირკმელთა“; განიკითხავს შინაგანს გონებასა და შესაწირავს ისე მიითვალავს. თუ გონება კეთილად ვერ იხილა, შესაწირავს არ მიითვალავს, ვითარცა ძაენის გონება რომ კეთილად ვერ იხილა, არც შესაწირავი შეიწირა მისი, ვითარცა სწერს მოსე ლეთისა მზრახველი: „ძაენს ზედა და მსხვერპლთა მისთა

ზედა არა მოახილა“. მგრეთვე ლოცვის შეწირვაში შენს გონებას მოჲედავს, თუ კეთილად ვერ იხილა, შენს ლოცვას არ შეიწირავს.

რომელიც კეთილის გონებით არ ილოცავს და გონებით ამაოსა და ცუდს ექცევა, აქ ერთი რამ საეპეველი არის, — ვგონებ ცოდვა არ მოუძაგებია. თუ ცოდვა მოძაგებული აქვს და ჭეშმარიტის სინანულის შედგომილი არის, ლოცვაში მის გონებას მოცალეობა სადა აქვს, რომ ამაოს ხედვიდეს? თუ ჭეშმარიტად ცოდვაც მოაძულა, წასრულის ცოდვისათვის მოტევებას უნდა ითხოვდეს. ვითარცა გვასწავებს შფალი იესო თხოვად: „მოპიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი“, და მომავლის ცოდვისაგან ხსნას უნდა ითხოვდეს, ვითარცა გვასწავებს კვალად შფალი იესო: „და ნუშემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩუენ ბოროტისაგან“. თუ ჭეშმარიტებით ცოდუა მოიძაგა, ესრეთ უნდა ილოცვიდეს. რადგან ასე არ ილოცავს, ჰსჩანს რომ არც ცოდუა მოუძაგებია. ამისი ჭეშმარიტი მაგალითი მოვილოთ ძველის წერილიდამ. მანასექ რომ ცოდუა მოიძაგა, მყის თანად ზეცად აღმავალი ლოცვა მოიგო, თუ ცოდუას მოიძაგებ. შენცა ზეცად აღმავალსა ლოცვასა მოიგებ; მაგრამ რადგან კეთილად არ ილოცავ, აღმოჩნდა მაგალითითაც რომ ცოდუა არ მოგიძაგებია და ცოდვის მოყვარე და მოუქცეველი ეკლესიაში სდგახარ და ჯვარსა ზედა დამსჯვალულსა ჭრისტესა ისე ხედავ. ამისი მსგავსი ჭრისტეს მიხედვა მის მიერ წყევას მოგატყუებს და არა კურთხევასა, ვითარცა ჭამ ყრმამან შიშლოება მამისა თვისისა იხილა, არა სიყვარულით ჰედვიდა, არამედ განასრა; ამისთვის დასწყევა ჰამამან მისმან, — ეგრეთუც წენ ცოდვისაგან მოუქცეველი ეკლესიაში ჯვარსა ზედა დამსჯვალულსა ჭრისტეს შიშულად ხედავ: როგორც ჭამ ყრმამან იხილა მამა თვისი წიშველი და განბასრა და მის მიერ დაიწყევა; ეგრეთუც შენ შიშველს ჭრისტეს ჯვარსა ზედა იხილავ, და რადგან ცოდვისაგან არ მოქცეულხარ და კეთილად არ ილოცავ, ჭრისტეს ჰბასრობ და მის მიერ წყევას მიიღებ, ანუ იუდას მიემსგავსები

უგვანის ლოცვით, — ვითარ? — იუდა სხეულით ძრისტესთანა იყო, გონებით ბოროტს იწუროთიდა; ეგრეთჲც შენ ლოცვასა შინა სხეულის თვალთ ძრისტეს ხედავ და შენი გონება ბოროტში იქცევა. ჩადგან ჰეშმარიტი ძრისტეს მოწაფეობა გნებავს, ნუ იუდას უფროსად ძრისტეს მიემსგავსე: ვითარ? — ძრისტე რომ ილოცვიდა, თვისი ნება მამასა თვისსა მიანდო და ჰსთქვა: „მამაო, ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ“! ეგრეთჲც შენ როდესაც ილოცვიდე, ნუ შენს გონების ნებას მიენდობი; უფროსად ნება შენი მიანდვე ლმერთსა მამასა, რათა მან წარმართნეს ლოცვანი შენნი და ღირს გყოს ზეცათა სუფევასა, რომლისა არს ღიდება, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 28. მათთვის, რომელნი ჰგონებენ ვრძელსა ცხოვრებასა და ყოვნიან მოქცევად და სინანულად.

მოციქული იაკობ იტყვის: „არა იცით ხეალისა, რამეთუ ვითარ არს ცხოვრება თქუნი“. — სჩანს ამ სიტყვისაგან, მოციქული ხედავს რომელთამე უგუნურთა ერთთა, რომ ჰგონებენ უგუნურნი ერნი სიცოცხლის ჟამს განგრძობლებულად და ამ მიზეზით ჰყოვნიან ცოდვასა შინა და არა ინებებენ სინანულსა. თავისის ცოდვისაგან უგუნურ ქმნილი ჟამის სიმოკლესა

და მსწრაფლ წარმავლობასა ვერ ხედვენ.

ზიცი, რომელნიც ამის მსგავსნი უგუნურნი ერნი არიან, წინა აღმიდგებიან და მეტყვიან: „ასე უცნობო როგორ ვართ, ჩუტნი ჟამის მსწრაფლ-წარმავლობა არ ვიცოდეთ? როგორ ვერ ვხედავთ ღამისა და ღლის მსწრაფლ-მავლობას? ვხედავთ ღლითი-ღღე ჩუტნი ცხოვრება განილგვა და საფლავად მივი-სწრაფით; ამისი უცნობო როგორ ვართ?“ მოვიდეთ და ჩუტნს წინააღმდეგომს ნაცვალი სიტყუა მიუგოთ. მოციქულის სიტყუა მაგალითად ვიხმაროთ და სიტყუა ასე უგოთ. მოციქული იტყვის: „იცოდეს ლმერთი, და არა ლვთაებრ აღიდებდეს მას“. მსგავსად ამისა მე გეტყვით თქუტნს: იცით წარმავლობა ჟამისა, და წარმავლისაებრ ვერ ხედავთ; თუ ხედვიდეთ წარმავალად, ცოდვისაგანაც მსწრაფლ მოიქცევით, მაგრამ თქუტნს ჟამს შემოკლებულად არ ხედავთ, უფროსად ჟამის სიგრძეს მოელით ამას სოფელსა შინა; და აწ ამას მიხედეთ, თუ რა დიდი უგუნურება არის ამას სოფელსა შინა გრძელის ჟამის მოლოდება. მოციქულნი სულითა წმიდიცა სავსენი იყვნენ; ცხადად საჩინო იქმნა, რომ მათ ზედა ცეცხლის ენით სული წმიდა მოეფინა და უცხოთა ენითა მეტყველება იწყეს, ვითარცა სწერს ლუკა მოციქულთა საქმესა შინა: „და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყვად უცხოთა ენათა“. ასე სულით წმიდით აღსავსე იაკობ მოციქული გვეუბნება: „არა იცით ხვალისა, რამეთუ ვითარ არს ცხოვრება თქუტნი“. თუ ხვალის ღღე არ იცი, ჟამის სიგრძე ვითარ უკუტუნდა უწყოდღე? თუ ერთის ღლის უმეცარ ხარ, წლის სიმრავლეს ვითარ ჰსცნობ, ანუ რომლითა აღირიცხავ თთუტთა და წელთა სიმრავლესა? ზეშმარიტად ასე ცთომილი მიმოგონება საკვირვო არის!

თუ მოციქულისაგან არ ირწმუნებ ამ სიტყუას, უძლეველისა ლვთისა სიტყვითა დაგიმტკიცო, რომ შენ მომავლის ჟამის ცნობა არა გაქუტს, თუ ვითარ არს შენთვის. თვით ჟამისა შემოქმედი და განმაწესებელი უფალი იცნო თვისთა მო-

წადეთა ასე უბრძანებს: „არა თქტანი არს ცნობა ჟამთა და წელთა, რომელი იგი მამამან დასხნა თვისითა კელმწიფებითა“. სულითა წმიდითა აღტესებულთა, თვით ხელით მსახურთა საყვარელთა მოწაფეთა და ერთგულთა თვისთა ასე უბრძანა: თქტანი არა არისო ჟამისა და წლის ცნობა. თუ მოციქულნი ვერ ჰსცნობენ და მათი არ არის ჟამის ცნობა, შენ ვითარ ჰსცნობ? მოციქულთაგან უაღრესი კარ, თუ მათგან უცნობო საქმეს ვითარ გამოეძიებ? არა ვგონებ მათი მსგავსიც იყო. თუ მათი მსგავსი ხარ, მიჩტანე როდეს მოვიდა შენზედ სული წმიდა ცეცხლის ენით და მეტყველებდი უცხოთა ენითა? ანუ ოდეს გიბრძანა ჭრისტემან, ვითარ იგი უბრძანა მოციქულთა: „არღარა გიწოდ თქტან მონად“. ლა კვალად „თქტან მეგობარნი ჩემნი ხართ“. ანუ ეს ოდეს გიბრძანა, რომელიც მოციქულთა უბრძანა: „ვითარცა მომავლინა მე მამამან სოფლად, მეცა წარგავლინებ თქტან“; ანუ შენ ოდეს დაუტევე ყოველი და შეუდეგ ჭრისტესა, ვითარცა ჰყჳს მოციქულთა, ვითარ იგი ჰსთქტს ჭრისტეს მიმართ: „ჩტან ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ“. თუ ესეოდენის საქმით და სხვითაცა უბრავლესნი არიან და ისინი ვერ ჰსცნობენ მომავალსა ჟამსა და წელსა, თუ ვითარ არის მათთვის, შენ ვითარ იკადრებ მომავალის ჟამის ცნობას, თუ ვითარ არს შენთვის? ღიდი წინასწარმეტყველი ლავით ასე საკვირველი კაცი იყო, მისს სიკეთეს თვით ლმერთი ეწამა და სთქტა მისთვის: „ვჰპოვე ლავით, ძე იესესი, კაცი ერთგული გულითადი ჩემი, რომელმან ჰყოს ნება ჩემი“. ასე საკვირველი კაცი და სულითა წმიდითა აღსავსე, უცნობო იყო მომავალის ჟამისა, და ლვთისაგან გამოეძიებდა და იტყოდა: „მაუწყე მე შეალო აღსასრული ჩემი და რიცხვი დღეთა ჩემთა“. ასე ზეშთა საკვირველი კაცი და წინასწარმეტყველი რომლისამე მომავალის ჟამის თუ ვითარ იყო, უცნობო იყო, შენ ვითარ უწყი, რომ ცხოვრების ჟამი ამას სოფელსა შინა განმრავლებულად გაქტს? ღიდი ისაკ, რომელი სახედ და მაგალითად ჭრისტესა შეკრულ

იქმნა, ის ასე ამბობს: „არა ვიცი დღე იგი აღსრულებისა ჩემისა“. დიდმან ისაკმან არ იცოდა აღსრულების ჟამი, და შენ როგორ იტყვი ამას, რომ შენი ცხოვრების მომავალი ჟამი იცოდე, თუ ვითარ არს!

საღმრთოს წერილიდამ მრავლის სიტყვითა და სახითა წარმოჩნდა, რომ არავენ უწყის მომავალი ჟამი, თუ ვითარ არს. და ეგების საღმრთოს წერილისაგან შეიკლიმოს ვინმე ცოდუთა შინა მყოფმან და ჰსთქუას: მომავალის ჟამის ცნობა თუ ვითარ არს, არცა ძალ-მიძს და არცა ვეძიებ. აქ მოცაქულის სიტყუა შესამსგავსი არის რომ მოვილოთ: „სიტყვით აღიარებენ, ხოლო საქმით უარ ჰყოფენ“, ცოდუთა შინა მყოფნი მომავალის ჟამის უცნობელობას სიტყვით აღიარებენ და საქმით უარყოფენ. საქმით ასე უარყოფენ: მოხუცებულობის მომავალს ჟამს მოვლიან ჰაბუკნი და სინანულს მისთვის აცადებენ; თუ ზედვიდენ, რომ ჟამი მსწრაფლი და დახსნადი არის, ცოდუთა შინა არ ჰყოფნიან. ვითარცა ისრაელნი შევიდენ განზებულსა ზღუთასა შინა, — მარჯუტნით და მარცხენით წყალი იყო ზღუდედ, — მეცნიერნი იყვნენ, რომ წყლის ზღუდე დაირღუტა და დაინთქმოდენ; ამისთვის წყალთა შორის არ ჰყოფენ და განვიდენ; — ეგრეთუც ცოდვისა ზღუთასა შინა მყოფმან, თუ უწყოდეს, რომ ჟამის ზღუდეები ირღუტვა და დაინთქმის, ცოდვის ზღუთაში არ ჰყოფენ და სინანულით ცოდვისაგან განვალს: მაგრამ ვერ ხედავს, თუ სიცოცხლის ჟამი მალე დაირღუტვა. ვითარცა მზის დასლვის ჟამში ბრმა ვერ ხედავს, რომ ბნელი მსწრაფლ შემოსასლტული არის, ეგრეთუც დაუალისა მზისა ძრისტეს ლეთისა განშორებაში ცოდვისაგან ბრმა ვერ ხედავს, რომ სიკუდილის სიბნელე მსწრაფლ შემოსასლტული არის. მოდვა ასე დააბრმობს კაცს, თუ მრავალ ჟამ არ იცოცხლებს, არ უწყის, ვითარცა მდიდარი დააბრმო ცოდვამან და ვერ ხედიდა თავის ჟამის აღსრულებას და იტყოდა: „დავარღვიენე საუნჯენი ჩემნი და უფროსნი აღვაშენნე და შევიკრიბო მრავალი კეთილი და ვჰსთქუა სულსა ჩემსა; სულთა გაქუს

მრავალი კეთილი დაუნჯებული: სქამე, სუ და იხარე“; ცოდვის სიბრძნისაგან ასე ვერ ხედვიდა თავის აღსასრულს, თორემ მახლობელად იყო მისი აღსასრული, ვითარცა ჰრქუა ლმერთმან: „უგუნურო! ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან, და რომელ მოიშადე ვისა იყოს“? მსგავსად ამისა ცოდუა დააბრძობს კაცს და ჟამის მსწრაფლ წარმავალობას ვერ ჰსცნობს, და ამისთვის ჰყოფნის ცოდუასა შინა.

ზემო წასრულს სიტყვაში გიჩუბნე, რომ შენი არ არის მომავალის ჟამის ცნობა, გიჩუბნე ძირისტეს მიერ და მოციქულთაგან, მამათ მთავრისა ისაკის მიერ და წინასწარმეტყველისა ლავითის მიერ; ამათ მიერი ჩუბნება ზემო განვაცხადეთ. **ღ** თუ არ შეიწყნარებ ამათგან დამტკიცებულს და მაშინაც მოელი მომავალის ჟამის სიგრძეს, წარმოაჩინე და გვიჩუბნე, თუ რომლისაგან ჰსცნობ მომავალის ჟამის სიგრძეს? **თ**უ ამას იტყვი: ყრმა ვარ,—სიყრმისაგან ჟამის სიგრძე არ წარმოჩნდება და ჰეშმარიტებით არ იცნობება; თორემ მიხედე, **ნ**ოეს ჟამში რაოდენნი ყრმანი იყვნენ, მაგრამ ჟამი არ გაგრძელდებიათ—სიყრმის ჟამში რღუნისაგან მოიშთუნენ. **თ**უ ამას იტყვი: აწ რღუნა აღარ მოიწევა,—თვით ამ ჟამში მიხედე, თუ სიკუდილისაგან რაოდენნი ყრმანი და ჰაბუკნი მოისრვიან! **ა**წ ამ მაგალითს მიხედე: ზამთარი და ყინელი ახალს ნერგს რასე როდის ჰრიდებს?—**შ**ეჰველად განახმობს. **მ**გრეთუც სიკუდილი როდის ჰრიდებს შენს სიყრმეს, ანუ ჰაბუკობას,—**უ**ეჰველად განახმობს.

აწ ერთი რამ ძიება შემოვიღოთ. სიკუდილი რასათვის შემოვიდა?—**ს**ხუა მიზეზი არა არის რა, ცოდვისათვის შემოვიდა, ვითარცა ხმობს მოციქული: „ცოდვა სოფლად შემოხდა და ცოდვისა ძლით სიკუდილი შემოხდა“. **ახ**ლა ეს განსაჯე: სიკუდილი ცოდვისაგან არის და შენ ცოდუაში იქცევი და გრძელს სიცოცხლეს მოელი ამას სოფელსა შინა! **მ**ს შენი მოგონება და მეცნიერება თუ ვითარს უცნობელობას ემსგავსება, მის სახეს მოგართმევე: ერთს ვისმე მაკუდინებელი

სამსალა პირში აქტუნდეს და გრძელს ცხოვრებას მოელოდეს ამას სოფელსა შინა,—შენი ცნობა ამას სულელობასა ემსგავსება! სიკუდილის შემომღებელსა დამსახურებულ ცოდუაში იქცევი და გრძელს ცხოვრებას მოელი ამას სოფელსა შინა! ახლა ამისთვის სხუა სიტყუა შემოვიღოთ. **ც**თომისა და შეცოდებისათვის **ღ**მერთმან ადამს უბრძანა: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც“. ეს სიტყუა არა თუ მარტო მოხუცებულზე—ყრმასა და ჭაბუკზედაც არის: როგორც ვხედავთ, დღითი დღე საფლავად მირბიან; და შენ რომლის საქმით ჰსცანი, რომ შენს ჭაბუკობაში ეს სიტყუა შენზედ არ მოიწიოს და მცხოვანების ჟამდმდე საფლავად არ მიხვიდე? **წ**არმოიჩინე ნიშანი, რომლითა ჰსცანი. **თ**უ შენ ვერ წარმოაჩენ ამის ცნობის ნიშანს, მე გეტყვი ერთს ნიშანს და ის მიჩუბნე. **შ**ამის სიგრძეს რომ შენის ნების მსგავსად მოელი, მიჩუბნე თუ შენის ნების მსგავსად იქცევა ჟამი და ერთი დააყოვნე, რომ უგრძესი შეიქმნეს სამისა და ბნელი არ შემოვიდეს! აღიარებ ამას და არ უარყოფ, რომ შენის ნების მორჩილებაში არ შემოვა და არ განგრძელდება. **მ**აშ ესეც უნდა აღიარო, თუ უცნობო არ შეიქმნები, შენის ნების მსგავსად ამას სოფელსა შინა შენი ჟამი არ გაგრძელდება, და შენ რომ სიცოცხლის გრძელს ჟამში ელი, ეს მოლოდინა ტყუილი და ამაო არის. **შ**ემდგომად ეს დავრთოთ და ვსტყუათ: სწორებით იცი ასე, შეურაცხოთ—სწორებით მეცნიერ ხარ, რომ მოხუცებულობის ჟამდმდე მიიწევი; ამისთვის სინანული არ უნდა დააყოვნო; თუ დააყოვნე, ძნელს რასმე საბრხეში შთავარდები. **წ**არმოვაჩინოთ. **ს**აყვარელო, გკითხავ და უნდა მომიგო: სიჭაბუკეში სინანული უმეცრება არის, თუ მეცნიერება? **თ**უ იტყვი—მეცნიერება არის, რასათვის არა ჰყოფ, რადგან მეცნიერება არის სიჭაბუკეში სინანული და არა ჰყოფ, უმეცრების საბრხეში შთავარდები; და თუ იტყვი—უმეცრება არის სიჭაბუკესა და სიყრმესა სინანული, აქ დიდის ნათლის-მცემელისა და წინამორბედისა **ო**თანეს უარისყოფაში შთავარდები, ამისთვის რომ მან სიყრმიდგან იწ-

ყო სინანული, ვითარცა სთქტა ანგელოზმან მისთვის: „ღვინო და თაფლოუკი არა სჭას და სულითა წმიდითა აღივსოს მიერვე დედის მუცლით მისითგან.

ამ საშინელს საბრხეს გარდა ახლა სხტა კითხტა შემოვილოთ რომელნიც ჭაბუკობის მიზეზით ცოდვას არ დაუტევენ მათდა მიმართ: თვინიერ სინანულისა სასუფეველად აღსლვა იქნება, თუ არა? **ს**თუ იტყვი—თვინიერ სინანულისა ცხოვნება იქმნება, მიხედვ რა ძნელს საქმეში შთავარდები: პირველად ძრისტეს ურჩებასა და წინააღმდეგობაში შთავარდები, ამისთვის რომ შფალი ასე ბრძანებს; „უკეთუ არა შეინანოა, სახედ ევრეთჲც ყოველნი წარწყმდეთ“; მეორედ საძაგელის ორგენის წვალებაში შთავარდები: საძაგელი იტყოდა: ეშმაკნი: პირველს პატივში აღიწვეიანო, და თუ შენ თვინიერ სინანულისა ცხოვნებას ჰგონებ მტკიცედ, ამისი თანა-მოწამე და ზიარი იქმნები: თუ თვინიერ სინანულისა ცხოვნებას იგონებ, უეკველად ეშმაკის პირველს პატივში აღყვანებასაც იგონებ. **და** თუ ამ საშინელის საქმეებისაგან შეიშინებ და იტყვი, თვინიერ სინანულისა არ იქმნება და სინანული ჯეროვანი არის, აქ ერთი კითხტა უნდა ვჰყო კიდევ: სინანული რომ ჯეროვანი არის და თვინიერ მისსა ცხოვნება არ იქმნება, ძნელი არის სინანული, თუ ადვილი? აჲაჲ ძნელს საქმეებში შთავარდები: თუ იტყვი ადვილი არის, ერთად უგუნურების საბრხეში შთავარდები. თუ ადვილი არის, რასათვის ჰყოვნი და ცოდვის სიმყრალეს მსწრაფლ არ განიბან სინანულითა? **ც**ოდვის სიმყრალეში ყოვნება ყოვლითურთ უგუნურება არის! **და** თუ იტყვი: ძნელი არის სინანული, ვითარცა ბრძანებს შფალი **ი**სსო: „იწრო არს გზა იგი და საჭირველნი, რომელნი მივლენ ცხოვრებად საუკუნოდ“; ძნელი არის, და სიჭაბუკეში აცადებ სინანულს და მოხუცებულობის ჟამში უნდა აღასრულო, როდესაც სისხლი მოკლებას იწყებს, კავშირნი მოუძღურდებიან, სიჭაბუკისა ძალი და ახოვნება მოკლებულ იქმნებიან, მაშინ აღასრულებ ძნელს სინანულს?! სიჭაბუკის ძლიერებასა და სიმ-

ზნეში არ აღასრულებ და უძღურებისა და დახსნილობისა ჟამში აღასრულებ? ეს განზრახუა ამ უგუნურების მსგავსი არის: უღები და დახსნილი ვინმე ნაყოფიერების ჟამში ზაფხულში უღებად და დახსნილად იყოს და ზამთრისათვის მეტყველებდეს იფქლის მუშაკობასა და შეკრებას, — შენც ამის მსგავსს უმეცრებაშიდ ხარ! სინანულის ჟამს სიკაბუკესა და ახოვნებაში უღებად და დახსნილად ხარ და მოხუცებულობისა და უძღურების ჟამისათვის აღსთქვამ სინანულს! იერემია წინასწარმეტყველი გამხილებს და გეტყვის: „წარხდა მკა და წარხდა ლეწვა“. მრუდ აღსთქვამ, თორემ მოხუცებულობის უძღურებაში ძლიერს სინანულის კალოს ვერ განლევ; და რადგან ცრუდ აღსთქვამ, აქ შესამსგავსი არის შენთვის თქმად მოციქულთაგან: „არა ეცრუე შენ კაცთა, არამედ ღმერთსა“. სიყრმეში რომ კაცს სწეულება შეხტდება, თუ ის სწეულება მოხუცებულებაში შთაყვა და არ განიკურნა სიყრმესავე შინა, მოხუცებულობის ჟამშიდ ძნელად განიკურნება წამლის მიერ, ამისთვის რომ მოხუცებულის აგებულება მეტად უძღური არის და ძლიერის წამლის შემწყნარებელი აგებულება აღარა აქტს. მგრეთჲც რომელსაც სიყრმეში სულიერებრივი სწეულება — ცოდვა — შეემთხებება, თუ ის მოხუცებულობაში შთაყვა, ძნელად განიკურნება, ამისთვის რომ მოხუცებულობის აგებულება და სხეული მოუძღურებული არის და ძლიერის სინანულის შემწყნარებელი აგებულება აღარა აქტს.

აბრამ ეს არაეინ ჰგონო, რომ მოხუცებულობის ჟამში შენი სინანული ძრისტემან არ შეიწიროს; ის შეიწირაგს და მიითვალავს, მაგრამ შენგან საექველი არის მოხუცებულობის ჟამში სინანულის ნაყოფის გამოღება, თორემ ძრისტე მოვა შენთან და მოხუცებულობის ჟამშიდ შენგან სინანულის ნაყოფს იძიებს, და მოხუცებულობის ჟამშიდ თუ შენგან სინანულის ნაყოფი ვერ ჰპოვა, საუკუნოსა წყევასა და უნაყოფოებასა მიგცემს, რომელ არს ჯოჯოხეთი. როგორც ლელვთან მოვიდა და ნაყოფი იძია; რომ ვერ ჰპოვა ნაყოფი, სწყევა და საუკუ-

ნოდ განხმა ლეღვი იგი,—ეგრეთჲს შენგან რომ სინანულიჲ ნაყოფს ვერ ჰპოებს, საუკუნო წყევასა და განხმობასა მიგცემს ვითარცა ზემო ვსთქუ. **თუ** ქრისტესთვის სინანულის შეწირვა გნებავს, და ქრისტეს სიყვარული გაქტეს, ჯერ ჴაბუკი ვარო— ამისთვის არ უნდა დააცადო. **ბქ** ერთი მაგალითი მოვიღოთ საღმრთო წერილიდამ. მოგვთ რომ ვარსკვლავი იხილეს ქრისტეს მიმართ წინამძღვრად და მიმყვანებლად, მოგუტნი მოხუცებულნი არ იყვნენ, მაგრამ ძღუნის შეწირვა არ დაყოვნეს; ვარსკვლავის წინაძლომით ქრისტესთან მოვიდენ და შესწირეს ოქრო, გუნდრუკი და მური. **ეგრეთჲს** შენ როდესაც განსაკვირვებელი ვარსკლავი, რომელ არს ლვთისმშობელი მარიამ, ქრისტეს მიმართ შენ წინამძღვრად და მიმყვანებლად რომ იხილო, ჴაბუკი ვარო—მისთვის ნუ ჰყოფნი, მყის თანად მოვედ ქრისტეს მიმართ, ოქროსა, გუნდრუკისა და მურისა მაგიერად შესწირე სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. **ჴაბუკობისათვის** ქრისტეს შედგომა არ უნდა ჰყოფნო: მარკოზ მახარებელისა მიერ აღწერილი მოიხსენე და ნუ დაივიწყებ რომელსა დასწერს: „მისდევედა ერთი ვინმე ჴაბუკი შორით“. **მნეზის** ჟამში ქრისტეს მიდევნება და შედგომა არ დააცადა. **თუ** ჴეშმარიტი ქრისტეს მოწაფეობა გნებავს, ჴაბუკობისათვის არც შენ უნდა დააცადო სინანული და შედგომა ქრისტესი. **საყვარელო**, თუ მეცნიერებისაგან განსრული არა ხარ, კეთილს არ უნდა აყოვნებდე; ბრძენი სოლომონ ასე გასწავებს: „ძალთუ გედუას კეთილის ყოფად, ნუ დააცადებ“. **კეთილის** დაცადებას ვნება შეუღდება. **ძველსა** და ახალში გიჩუტნო ამისი სახე. **ჰყოფნა** ისაკმან და მალე ვერ მოართვა მამასა თვისსა ნადირებული—და პირმშოებისაგან დაემხო; უსწრო **იაკობმან** და მოართვა მამასა თვისსა გბოლვილი თივანი—და მოიღო პირმშოება. **ეგრეთჲს** შენ რომ აყოვნებ სინანულის შეწირუას ლვთისა მამისა მიმართ, შენ მადლით ლვთის-შვილებისაგან დაემხობი, და რომელიც იაკობისებრ ლმერთსა მამასა დაუყოვნებლად სინანულს მიართმევს, მადლით შვილებას და კურთ-

ხევას ის მიიღებს. ახლა ახალში მოვიდეთ: იუდამ ჰყოვნა და არ შეინანა, შთაეარდა ეშმაკის საბრხეში, შიშტილიობა და წარწყმდა საუკუნოდ; და პეტრემ დაუყოვნებლად სინანული შესძინა, ეშმაკის საბრხისაგან განეკარა და საუკუნო ცხოვრება დაიმკვიდრა. რომელიც იუდასებრ სინანულს აყოვნებ, კვალად უძვირესი ეშმაკის საბრხეში შთაეარდები, ვითარ იგი ბრძანებს უფალი იცნო: „და მოიყვანის სხტანი შეიდნი სულნი უბოროტესნი და შევიდის კაცისა მის და დაიმკვიდრის, და იქმნის უკანასკნელი კაცისა მის უძვირეს პირველისა“, და ესე ვითარი დაისჯების საუკუნოდ. და რომელიც პეტრესებრ მსწრაფლ სინანულს შეუდგება, მას ეშმაკის საბრხე ვერ შეუდგება და ვერ შეეხება, და საუკუნოდ ძრისტესთანა მკვიდრ იქმნება. რადგან ძრისტეს მოწაფე ხარ, არ უნდა ჰყოვნო, უფროსად სრბოლით ძრისტეს მიმართ უნდა მირბოდე. შითარცა პეტრე აღსდგა და მირბიოდა საფლავად და შთახედნა საფლავსა მას, ეგრეთჲც შენ ცოდვის დაცემულებისაგან უნდა აღსდგე და სრბოლითა გონებისათა ძრისტეს ვნებასა და სიკუდილსა შინა უნდა შთაიხედო და მით სინანული მოიგო და არა განემორო ძრისტესა.

დიდად განსაკვირვებელად ვხედავ რომელსამე საქმეებს! სული უპატიოსნესი არს ხორცისაგან, ვითარცა ბრძანებს უფალი იცნო: „სული უფროს არს ხორცისა“, ხორციელი და სოფლიური სახმარი რომელიც არის, ამისთვის მოსწრაფე ვართ და მალე გვინდა აღსრულება, და სულიერებრივი საქმე რომელიც არის, დავაცადებთ და მსწრაფლ არ აღუასრულებთ! უპატიოსნესს და უფროსს—სულს არ ეძიებ და არც პატივსცემ! მს როგორ საკვირვო არ არის? თუ ამას იტყვი: ხორცისთვის ასე მოსწრაფებით არ ეყოთ სახმრის მიცემა—სიკუდილს მიეცემა,—საყვარელო, სულის სიკუდილის უმეტესი მოშიშება უნდა გაქტნდეს, ამისთვის რომ ხორციელი სიკუდილი ამ სოფლისა არის და დასრულდება, სულის სიკუდილი, რომელ არს სატანჯველი ჯოჯოხეთისა, დაუსრულებელ არს უკუნისამდე.

ძიღვე საკვირვოდ მიჩნს ესე: სუფევა გიყვარსთ, და სადაც სუფევა არის—მისთვის მკონარი და უღები ხართ; და სადაც ჭირი და მწუხარება არის—მისთვის მოყვარე და მოსწრაფე ხართ! სოფელში მწუხარება და ჭირი გაქტს, ვითარცა ბრძანებს უფალი იესო: „სოფელსა ამას ჭირი გაქტს“. ამ სოფლის მოყვარე და მოსწრაფე ხარ, და საუკუნო სუფევისათვის მკონარი და დახსნილი ხარ, სადაცა არსს დაუსრულებელი სუფევა! თუ ამას იტყვი, სოფელი მძღვეს და ძღვეულებით ჭირსა და მწუხარებას მძღვეს;—აქაც საკვირვო საქმე არის: თუ სოფელი გძღვეს, სოფლის უფალი და მძღველი ჰრისტე არის ვითარცა თვით ბრძანებს: „მე მძღვევიეს სოფლისა“; რასათვის მას არ ევედრები, რომ განგაძლიეროს და სოფლის ძღვეულებისაგან დაგიფაროს? მაგრამ ცხადი არის—სულიერის საქმისათვის მოსწრაფე არა ხარ. მსეც საკვირველი არის, რასათვის მოსწრაფე არ არის კაცი სულიერის საქმის და ხორცისათვის უფრო მოსწრაფე არის: სულიერის საქმის უმეტესს მოსწრაფებას პირველად ეს აჩუბნებს, რომ სული უფროსი არის ხორცისაგან, ვითარცა სთქტა მაცხოვარმან: „სული უფროს არს ხორცისა“. მეორედ ესე, რომ ხორციელისა და სოფლიურის საქმის მოსწრაფებას ჭირი შეუღდება, ვითარცა ჰსთქტა მაცხოვარმან: „სოფელსა ამას ჭირი გაქტს“, და სულიერის საქმის მოსწრაფებას—სუფევა საუკუნო. მესამედ თვით უფალი იესო აწვევს: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ლეთისასა და სიძართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქტუნ“. და რაჲ მიზეზი არის, რომ რომელიმე კაცი არ არის მოსწრაფე სულიერის საქმისათვის? საღმრთოს წერილით ვაჩუბნოთ ამისი მიზეზი. ისაკმან ძესა თვისსა მსავეს ამცნო, „მინადირე ნადირი და მიქმენ ვითარცა მიყვარს და გაკურთხოს შენ სულმან ჩემმან“; იაკობმან უსწრო მსავეს და მიართტა სანოაგე, ვითარცა უყვარდა მამასა თვისსა, და მან მიიღო კურთხევა პირმშობისა. მიზეზი რა იყო, ისავმან რომ ჰყოვნა და იაკობმან რომ უსწრო? მიზეზი ეს იყო, იაკობს დედა შეეწია ამის-

თვის თავისს მამის ბრძანებული უფრო მსწრაფლ მან აღასრულა. მგრეთუტც ლმერთი მამა უბრძანებს კაცთა სულიერებრივის საქმის მოღვაწებას და მისდა მირთმევას. რომელსაცა თავისის სიბოროტისა და უკეთურებისათვის მადლით დედა ლეთის-მშობელი არ შეეწევა, ის ჰყოვნის სულიერის საქმის მოღვაწებას და სასუფეველის პირმშოებისაგანაც განვარდება; და რომელსაც თავისის კეთილობისათვის მადლით დედა ლეთის-მშობელი მარიამ შეეწევა სულიერებრივს საქმეშიდ, ის არ ჰყოვნის და სხვისა უმოსწრაფესად ის აღასრულებს მამისა ლეთისა ბრძანებულს და სასუფეველის პირმშოებასაც ის მიიღებს.

მოვიხსენოთ ჩუტნის ქადაგების დასაბამი, რომელსა იტყვის: „არა იცით ხვალისა, რამეთუ ვითარ არს ცხოვრება თქტნნი“. თუ ხვალისა არა იცით, ეს ცხადი რამ არის, უშორესის ჟამის უფრო უცნობო იქმნებით; და უცნობო ჟამისათვის რომ აცადებ შენს სინანულს, რომლისაც ცნობა არა გაქტს, რას განაგებ მისთვის? ლდეს რომ ცხოველი ხარ და იცი შენი ცხოველობა, რომ ცხოველად ხედავ შენს თავს და კეთილი ვერა განგიგია რა, უცნობოს ჟამში რა კეთილი უნდა განაგო? თუ ამას იტყვი, როგორც დდეს მაქტს ცნობა ისე ხვალ ვიცნობ, ეს ყოველითურთ სიცრუე არის: ხვალ იცნობ თუ ვერა—არა იცი, ამას გიმტკიცებს იაკობ სულითა წმიდითა მეტყველი: „არა იცით ხვალისა“, მაშასადამე თანამდებ ხარ, რათა იმასვე დდესა, რომელსა შინა ხარ, იწყო სინანული და შეუდგე ძრისტესა სრულითა და უმანკოთა გულითა და გონებითა, რომლისა არს დიდება, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.




ძიდევ საკვირვოდ მიჩნს ესე: სუფევა გიყვარსთ, და სადაც სუფევა არის—მისთვის მცონარი და უღები ხართ; და სადაც ჭირი და მწუხარება არის—მისთვის მოყვარე და მოსწრაფე ხართ! სოფელში მწუხარება და ჭირი გაქტეს, ვითარცა ბრძანებს უფალი იცნო: „სოფელსა ამას ჭირი გაქტეს“. ამ სოფლის მოყვარე და მოსწრაფე ხარ, და საუკუნო სუფევისათვის მცონარი და დახსნილი ხარ, სადაცა არსს დაუსრულებელი სუფევა! თუ ამას იტყვი, სოფელი მძლევს და ძლეულებით ჭირსა და მწუხარებას მაძლევს;—აქაც საკვირვო საქმე არის: თუ სოფელი გძლევს, სოფლის უფალი და მძლეველი ჰრისტე არის ვითარცა თვით ბრძანებს: „მე მიძლევს სოფლისა“; რასათვის მას არ ევედრები, რომ განგაძლიეროს და სოფლის ძლეულებისაგან დაგიფაროს? მაგრამ ცხადი არის—სულიერის საქმისათვის მოსწრაფე არა ხარ. მსეც საკვირველი არის, რასათვის მოსწრაფე არ არის კაცი სულიერის საქმის და ხორცისათვის უფრო მოსწრაფე არის: სულიერის საქმის უმეტესს მოსწრაფებას პირველად ეს აჩუქნებს, რომ სული უფროსი არის ხორცისაგან, ვითარცა სთქტა მაცხოვარმან: „სული უფროს არს ხორცისა“. მეორედ ესე, რომ ხორციელისა და სოფლიურის საქმის მოსწრაფებას ჭირი შეუდგება, ვითარცა ჰსთქტა მაცხოვარმან: „სოფელსა ამას ჭირი გაქტეს“, და სულიერის საქმის მოსწრაფებას—სუფევა საუკუნო. მესამედ თვით უფალი იცნო აწვევს: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ლეთისასა და სიძართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქტუნ“. და რაჲ მიზეზი არის, რომ რომელიმე კაცი არ არის მოსწრაფე სულიერის საქმისათვის? საღმრთოს წერილით ვაჩუქნოთ ამისი მიზეზი. ისაკმან ძესა თვისსა მსავეს ამცნო, „მინადირე ნადირი და მიქმენ ვითარცა მიყვარს და გაკურთხოს შენ სულმან ჩემმან“; იაკობმან უსწრო მსავეს და მიართტა სანოაგე, ვითარცა უყვარდა მამასა თვისსა, და მან მიიღო კურთხევა პირმშობისა. მიზეზი რა იყო, ისავემან რომ ჰყოვნა და იაკობმან რომ უსწრო? მიზეზი ეს იყო, იაკობს დედა შეეწია ამის-

თვის თავის მამის ბრძანებული უფრო მსწრაფლ მან აღასრულა. მგრეთჲც ლმერთი მამა უბრძანებს კაცთა სულიერებრივის საქმის მოღვაწებას და მისდა მირთმევას. რომელსაცა თავისის სიბოროტისა და უკეთურებისათვის მადლით დედა ლვთის-მშობელი არ შეეწევა, ის ჰყოენის სულიერის საქმის მოღვაწებას და სასუფეველის პირმშოებისაგანაც განვარდება; და რომელსაც თავისის კეთილობისათვის მადლით დედა ლვთის-მშობელი მარიამ შეეწევა სულიერებრივს საქმეშიდ, ის არ ჰყოენის და სხვისა უმოსწრაფესად ის აღასრულებს მამისა ლვთისა ბრძანებულს და სასუფეველის პირმშოებასაც ის მიიღებს.

მოვიხსენოთ ჩუენის ქადაგების დასაბამი, რომელსა იტყვის: „არა იცით ხვალისა, რამეთუ ვითარ არს ცხოვრება თქუენი“. თუ ხვალისა არა იცით, ეს ცხადი რამ არის, უშორესის ქამის უფრო უცნობო იქმნებით; და უცნობო ქამისათვის რომ აცადებ შენს სინანულს, რომლისაც ცნობა არა გაქუეს, რას განაგებ მისთვის? ლღეს რომ ცხოველი ხარ და იცი შენი ცხოველობა, რომ ცხოველად ხედავ შენს თავს და კეთილი ვერა განგიგია რა, უცნობოს ქამში რა კეთილი უნდა განაგო? თუ ამას იტყვი, როგორც ღღეს მაქუეს ცნობა ისე ხვალ ვიცნობ, ეს ყოვლითურთ სიცრუე არის: ხვალ იცნობ თუ ვერა—არა იცი, ამას გიმტკიცებს იაკობ სულითა წმიდითა მეტყველი: „არა იცით ხვალისა“, მაშასადამე თანამდებ ხარ, რათა იმასვე ღღესა, რომელსა შინა ხარ, იწყო სინანული და შეუდგე ძრისტესა სრულითა და უმანკოთა გულითა და გონებითა, რომლისა არს დიდება, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.





თავი 29. მათთვის, რომელნი ნაკვლად კეთილისა მიაგებენ ბოროტსა,

ბრძანებს უფალი ღმერთი პირითა ისაია წინასწარმეტყველისათა: „ისწავეთ კეთილისა ქმნა“. რომლის კეთილის სწავებას გვიბრძანებს უფალი? სწავება მისი არის, რომელიც უსწავლელი რამ არის, ის უნდა ვისწავლოთ. და რომელი არის რომ არ გვისწავია?—ჯერ ის ვიძიოთ. თვინიერ სოფლისა და ქირისა სასუფეველის მოპოვება ძრისტემან მოილო და გვასწავა, თორემ სხვისაგან არ გვისწავია. მოციქული ასე გვამცნებს: „მრავლითა ქირითა ჯერ-არს ჩტუნდა შესლყა სასუფეველსა ცათასა“; და თვით უფალი იესო ქირითა და ღვაწლითა ბრძანებს შესლჳად სასუფეველსა და იტყვის: „იწრო არს გზა იგი და საჭირველი, რომელნი მივლენ ცხოვრებად საუკუნოდ“. მაგრამ სასუფეველის გზის სინანულისა და მოღვაწებისათვის უძლური კაცთა ბუნება დიდად შეწუხებული რომ იხილა, ძრისტემან ღმერთმან თავისის უსაზღვრო მოწყალებისათვის შეიწყალა კაცთა უძლური ბუნება და უჭირველი სასუფეველის გზა მოსცა, რომელ არს მტერთა კეთილის ყოფა და ბრალითა მიტევება, რომელსა სასუფეველისა უცთომელ გზად დაამტკიცებს უფალი იესო: „უკეთუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, თქტუნცა მოგიტევნეს მამამან თქტუნმან ზეცათამან“. რადგან სხტა სინანულისა და მოღვაწებისათვის მწუხარე ვართ, ეს შეუწუხებელი გზა სასუფეველისა, რომელ არს სი-

ყვარული, ეს უნდა ვისწაოთ. უფალი წინასწარმეტყველის პირით ამ კეთილის სწავებას გვიბრძანებს. ღა მოძღვარი და მასწავლებელი ამისი თვით უფალი იცნო არის; თვით ის გვიბრძანებს: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მწვიდ ვარ და მდაბალ გულითა“. ის გვასწავებს არა თუ მარტო სიტყვით,—სიტყვითა და საქმითა, ორითავე გვასწავებს. სიტყვით ვითარ?—„გიყვარდენ მტერნი თქუნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუნი და ულოცვედით მათ, რომელნი მგძლავრობენ თქუნი, რათა იყვნეთ თქუნი შვილ მამისა თქუნიისა ზეცათასა“. საქმით გვასწავა, ვითარ იგი მკუთლელთათვის ილოცვიდა და იტყუა: „მამაო მიუტყვე, რამეთუ არა იციან რასა იქმან“. აჰა ძრისტე, მასწავებელი სიტყვით და საქმით! უჭირველი გზა სასუფეველისა—მტერთა კეთილის ყოფა, რომელიც სასწავებელად მოგვეცა, რომელიც ყოვლითურთ ადვილად მისაღებელი არის კაცთაგან,—და რა მიზეზი ვისმე აქუს, რომ ეს კეთილი არ ისწაოს? თვით ძრისტე მაწვეველი არის ამის სწავებად და ესრეთ გვასწავებს; „ესრეთ ჰყოფდით, ვითარცა ისწავეთ“. ახლა თუ ვინმე ეს კეთილი არ ისწაოს და მიზეზები რამ შემოიღოს, ის განვიხილოთ და ნაცვალი პასუხი უგოთ. შიცი, გულფიცხელი და წინააღმდეგობი მიზეზს შემოიღებს და მეტყვის: სოლომონ ბრძნისაგან უბრძნესი ჩუნი არა ვართ, და ის არ ყვარობს თავის მტერს; ასე ამბობს: „მე მოყვარენი ჩემნი მიყვარან“. თუ დიდმან ბრძენმან არ შეიყვარა მტერი, ჩუნი მცირის სიბრძნის მქონებელმან როგორ უნდა შეუძლოთ შეყვარება მტერისა? აჰ ორი რამ უნდა მიუგოთ. მართი ესე: სოლომონ ბრძნისაგან ყოველად უუმეტესად ძესა ღვთისასა უნდა დაემორჩილო, ვითარ იგი იტყვის მოციქული პეტრე: „მორჩილება ჯერ არს ღვთისა უფროს, ვიდრე კაცთა“; და თვით ძე ღვთისა გიბრძანებს მტერთა სიყვარულს: „გიყვარდენ მტერნი თქუნი“. მეორე ესე: თუ ბრძნის სოლომონის მოწაფე ხარ—სოლომონიანი უნდა გეწოდოს და არა ქრისტეანი; და რადგან სოლომონიანი არ გეწოდება და ქრი-

სტეანე გეწოდება და ძრისტეს მოწაფე ხარ, ძრისტესი უნდა ისმინო და არა სოლომონისა. ძვალად მეტყვიან წინააღმდგომნი: ძრისტეს მოწაფენი თვისთა წაწყინებელთა და მტერთა ვნებას ეძიებდენ, ვითარცა ჰრქტეს შფალსა იოსოს: „შფალო, სთქუ რათა გარდამოვარდეს ცეცხლი და შესწამნეს ესენი“; ჩჷსნც ძრისტეს მოწაფენი ვართ: თუ სხუანი მოწაფენი ეძიებდენ თავისის მავნებელის ვნებას, ჩჷსნც რომ ვიძიოთ ჩჷსნთა მავნებელთა ზედა შური, რასათვის უნდა დავბრკოლდეთ? მს თჷსნ მიერ თქმული სიტყუა მაშინ ჯეროვანი იქმნებოდა, თუ შფალს მოციქულთა სიტყუა ესმინა და წინააღმდგომთა კაცთა ცეცხლი გარდამოეყვანა; რადგან არ ისმინა და ცეცხლი არ გარდამოეყვანა, ამისთვის თჷსნ რომელიც სთქუთ მტერის ვნება, უჯგრო არის. მოიხსენეთ ძრისტეს მიერ თქმული, რასა უბრძანებს თვისთა მოწაფეთა: „არა იციოთ, რომლისა სულისანი ხართ, რათა არა მოვიდა ძე კაცისა წარწყმედად სულებსა კაცთასა, არამედ ცხოვრებად“.

ძვალად მეტყვიან წინააღმდგომნი: დიდძან პეტრე მოწაფემან ძრისტესმან ძრისტეს შეპყრობის ეამში იძია შური, იხადა მახვილი და მოკჷსთა ყური ჰურიასა; თუ დიდძან პეტრე ესრეთ ჰყო, ჩჷსნთვის რა ბრალი არის, მტერს რომ შური უგოთ. აქ ორი რამ უნდა მიუგოთ. მართი ესე: პეტრეს თავისის ვნებისათვის არ უძიებია შური, ძრისტეს ვნებისა და მისის შეპყრობისათვის იძია შური, რომ ძრისტეს სიყვარულით ცეცხლებ აღტყინებული იყო;—მეორე ესე: აქაც მიხედვით, თუ ძრისტემან როგორ დააყენა დიდი პეტრე მტერთა შურის ძიებისაგან; დააყენა საქმის ჩჷსნებით, რომ მოკჷსთილი ყური განკურნა. შურის განკურნებით ცხადად უჩჷსნებდა შფალი პეტრეს: „მოწაფეთა ჩემთა მიერ არა მნებავს შურის ძიება მტერთა“; სიტყვით დააყენა, უბრძანა რათა: „მიაკციე მახვილი ქარქაშსავე თვისსა, რამეთუ რომელმან აღიღოს მახვილი—მახვილითა წარსწყმდეს“. ბრძანებს შფალი იოსო: „პირისა ორისა და სამისა მოწამისათა დაემტკიცების უოველი

სიტყვა“. ბაქტის უუძლიერესად სამად მოწამედ მტერთა სიყვარულისა ჰრისტეს მიერ სავგზის დაყენება მტერთა შურის ძიებისა; პირველად სიტყვით „გიყვარდენ მტერნი თქუბნნი“; მეორედ—არა უსმინა რა მოწაფეთა გარდამოვრდომა ცეცხლისა; მესამედ—დააყენა რა პეტრე შურის ძიებად და ჰრქუა: „მიაქციე მახვილი ქარქაშსავე თვისსა“. მაშასადამე თანამდებ ხარ, რათა დაამტკიცო საქმით კეთილის ყოფა მტერთა. არა რომელსამე ჩუბნ მიერ თქმულსა თუ არ შეიწყნარებ და მტერთათვის კეთილის ყოფას არ ინებებ და ამასაც ძნელ-სატვირთოდ დასდებ, შენ ჰსთქუ: რომლითა უნდა გაცხოვნოს ლმერთმან? რომელიც საცხოვრებელი გზა მოგცა, ყოველივე შეუძლებელად და მძიმედ შერაცხე, ახლა შენ გამოაჩინე წამალი ცხოვრებისა. მაგრამ რადგან მკურნალად შთალი იესო გვივის, ვითარცა იტყვის ლეთის-მეტყველი და მახარებელი იოანე თვისთა კათოლიკეთა შინა: „მკურნალი გვივის მამისა მიმართ, ჰრისტე იესო მართალი“; რადგან ის გვივის მკურნალად, მასვე მივანდოთ ჩუბნი კურნება და ეს საცხოვრებელი წამალი რომ განვაგდოთ, მტერთა კეთილისყოფა, ნაცვალს წამალს იგივე გვასწავებს. მრავალი საცხოვრებელი წამალი განვაგდეთ, მაგრამ განწირულებას არ მიგვცა და ნაცვალი წამალი მოგვცა. ვითარცა პირველ გვასწავა სიწმიდედ და ქალწულება და გვიბრძანა წინასწარმეტყველისა მიერ: „წმიდა იყვენით; რამეთუ მე წმიდა ვარ“,—რომელთამე ეს მძიმედ და ძნელად შერაცხეს და არ ინებეს; ოკბილმან იესომ შემოიღო სხუა წამალი გულის თქმისა და მისცა კაცთა და ჰსთქუა: „დაუტეოს კაცმან მამა თვისი და დედა თვისი, და შეეკოს ცოლსა თვისსა“,—რომელთაც ქალწულება ვერ იტვირთეს, ეს წამალი მოსცა. მოსცა ლმერთმან კაცთა მარხვა, ვითარცა იმარხა ჰრისტემან ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე. არათუ უხმდა მარხვა და განწმედა, უფროსად ჩუბნის სწავებისათვის ჰყო და ჩუბნ დაგვიდვა სახედ სასწავებელად და ბრძანა: „მსრეთ ჰყოფდით, ვითარცა იხილეთ“. მაგრამ მრავალთათვის ეს არ თავს

იდრესს, მძიმედ შერაცხეს მარხუა და განაგდეს. ძველად არ მისცა განწირულებას კაცი ტკბილმან იესომ, დასდვა წამალი მარხვისა განმგდებელთა და უბრძანა: „არათუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა“; და არა დააყენა კაცი ჯეროვანისა საზრდლის მიღებისაგან და ცხადჰყო ესე დაუყენებლობა არა მხოლოდ სიტყვით, არაჲედ საქმითაც; სიტყვით ჰსთქუა რა: „არათუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა“. საქმით ოდეს იგი თვით ისერა და კვალად ოდეს იგი ხუთი პური განუმრავლახუთ ათასთა და შვიდი პური ოთხ ათასთა. რომელთაც მარხვა ვერ იტვირთეს, მოწყალებით ეს წამალი შეუმზადა. მოსცა კვალად კაცთა საცხოვრებელად ცრემლი, მუხლდრეკა და ფსალმუნება. მსენი უფრო ვერ თავს იდრესს, ამისთვის უფრო მწუხარე იქმნენ და დაუტევს. ძველად არ უგულვებელს ჰყო ღმერთმან კაცი და მოსცა სხუა გზა ცხოვრებისა, რომელ არს მტერთა შეყვარება, რომელსა არა რაჲმე ოფლი და ჭირი შეუდგს, და ამის აღვილის გზისა მიერ დაგვიმტკიცა ძირისტემან ღმერთმან ცხოვრება და გვიბრძანა: „უკეთუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, თქჳნცა მოგიტევნეს კაცთა შეცოდებანი მამამან თქჳნმან ზეცათამან“. მაგრამ ესეც დაუტევეთ, და არა ინებეთ მტერთა სიყვარული. ახლა კიდევ მოგუცა ღმერთმან სხუა საცხოვრებელი გზა და თუ ვითარი— ვსთქუათ.

რადგან სიყვარული ვერ ჰყავ მტერისა, ორს რაჲმეს გამცნებს, ის მაშინც უნდა ჰყო, თუ ისიც არა ჰყავ და განაგდეთ შენი ცხოვრება შეუძლო შეიქმნება. პირველად ამას გამცნებს: რათგან ვერ შეიყვარე მტერი, ნურც მტერობას უყოფ, ვითარცა გიბრძანებს უფალი ღმერთი პირითა სოლომონ ბრძნისათა; „ნუ მტერ-მოყვარე ექმნები კაცსა ამაოსა“; მიხედეთ უფლის სიტყჳს! შენის მტერობის და ვნებისათვის ისიც ამაოდ შერაცხა ღმერთმან და გამცნო არცა სიყვარული და არცა მტერობა. მეორედ გამცნო სიყვარული მოყურისა და გიბრძანა პირითა ისაიასითა: „ისწავეთ კეთილისა ქმნა“. უნდა ჰყოთ ქმნა კეთილსა მოყვასთა მიმართ. მაგრამ ეს რომ არის „ის-

წავეთ“, ამას ორი ძალი აქტს. მითი ესე: მოყვასთა მიმართ კეთილის ქმნას ვითარცა ძრისტე გასწავებსთ, ისე უნდა ისწაოთ; ძრისტე ასე გასწავებსთ რომელიც კეთილი სხვისაგან შენთვის გეწადებოდესთ, აგრევე ის კეთილი, შენ სხვათა მიმართ უნდა ჰყო, ვითარცა გვასწავებს უფალი ძრისტე: „ყოველი რაოდენი გინდეს, რათა გიყონ თქვენ კაცთა, ეგრეცა თქვენ ჰყვით მათდა მიმართ“. მეორე ეს ძალი აქტს: თუ ვისმე ეწმაკის საბრხისაგან მოყუჩის კეთილის ქმნა მირიდებოდეს, კიდევ უნდა ისწავოს ძრისტეს მიერის მოძღვრებისაგან, ვითარ იგი ასწავებს: „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. საყვარელო! უწყოდე, თუ მოყუჩისა და კეთილის მყოფელის ყოფა დაივიწყე, ყოვლის ჰსჯულისა და წინასწარმეტყველთ თქმულის დამვიწყებელი შეიქმნები; და თუ ვითარ—ძრისტეს მიერით სიტყვით გიჩვენო. ზემო მაცხოვრისა იესოს სიტყვა ასე ვსთქუთ: „უფალი რაოდენი გინდეს რა გიყონ თქვენ კაცთა, ეგრეთცა თქვენ ჰყვით მათდა მიმართ, რემეთუ ესრეთ არს სჯული და წინასწარმეტყველნი“. ძრისტეს სიტყვა ამას წარმოგიჩენს: რომელიც კეთილი შენის მოყვისაგან გეწადება, აგრევე შენ მას უყო კეთილი, ამისთვის რომ სჯული და წინასწარმეტყველნი ესრეთ მჩვენებელ არიან; და შენ რომელსაც სჯული და წინასწარმეტყველი გიჩვენებს და იმ კეთილს შენს კეთილის მყოფელს არ მიაგებ, სჯულისა და წინასწარმეტყველთა დამვიწყებელი და გამგდებელი იქმნები. **თუ** სჯულს განაგდებ—ცხადი არის, აღარც წინასწარმეტყველთ თქმულს შეიწყნარებ.

ამას იკითხავ, თუ სჯულს როგორ განაგდებ? მე გიჩვენო. მაცხოვარი უფალი სჯულს გიდებს და გეტყვის: „შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“. შენ ამა სჯულსა არა ჰყოფ, და კეთილის მყოფელსა შენსა კეთილს არა უყოფ. —ცხადად სჯულის განმგდებელი ხარ. მეგების ჰსთქუა: ეს ერთი რომ ვერ აღვასრულო, სხვას მაშინც არ განვაგდებო. აქ მოციქული დაარღვევს სიტყვასა შენსა და იტყვის: „რომელ-

მან ყოველი სჯული აღასრულა და ერთითა ხოლო ჰსცთა, იქმნა იგი ყოველისავე თანამდებ“. საყვარელო ძრისტე შენგან მტერის სიყვარულს ითხოვდა, ვითარცა ზემო ითქვა და შენ მოყვასი და კეთილის მყოფელიც არ გიყუარს, რომ კეთილს არას უყოფ, და ეს ეშმაკის მსგავსება არის და არა ძრისტეს მოწაფისა. წარმოაჩინე, მიზეზი რა გაქტეს, რომ კეთილის-მყოფელს ბოროტს უყოფ და არა კეთილს? **თუ** ამას იტყვი, სიყრმეში რამ გაწყინა, მას მამობრივი სიყვარული მიუღია შენზედ, ვითარცა ბრძანებს უფალი პირითა სოლომონ ბრძნისათა: „ყოველი რომელი უყვარს მამასა, სწავლის და სტანჯის“. მან მამობრივი სიყვარული გიყო და შენ ბოროტს უყოფ, აქაც ჰსჯულის დამხსნელი ხარ, ამისთვის რომ საღმრთო სჯული ბრძანებს: „პატივ ეც მამასა შენსა“. შენ არ პატივს ცემ, რომელმან მამებრ შეგიყუარა და გსწავლა; მაშასადამე დამხსნელი ხარ სჯულისა.—**თუ** ამას იტყვი, რომ სრულ მამაკაცობაში გავნო რაჟმე და ამისთვის ბოროტს უყოფ კეთილის-მყოფელსა შენსა, ეშმაკის მსგავსი შეიქმნები. **ეშმაკი** მარადის ბოროტს იგონებს და კეთილი დავიწყებული აქტეს; ეგრეთუღ შენ შენის კეთილის მყოფელისაგან რაც კეთილი მოგცემია, ეს დაგივიწყებია და მხოლოდ ბოროტს იგონებ,—ეს ცხადი ეშმაკის მსგავსება არის. **აქ** რომ ეშმაკის მსგავსება ვსტქვი შენ ეგების ამისთვის განკვირდე და ჰსტქვა: **ღვთის** ხატად და მსგავსად ქმნილი კაცი ეშმაკს როგორ ვემსგავსები?—**რომელიც** ღმერთს ნებავეს, მას არა ჰყოფ და რომელიც ეშმაკს ჰნებავეს მას ჰყოფ; **ღმერთს** მოყვისის სიყვარული და კეთილის ყოფა ნებავეს და შენ არა ჰყოფ, და ეშმაკს ბოროტის ჰყოფა ნებავეს და მას ყოფ, რომ მოყუთას ბოროტს უყოფ! შენვე განსაჯე, თუ ეშმაკის მსგავსი არა ხარ და ღვთისა უმსგავსო!

მს სიტყუა, ვიცი საწყინოდ აღვიჩნდება. **რომელიც** ბოროტი გაუწყო, საწყინოდ არ უნდა აღვიჩნდეს, ამისთვის რომ მოციქული ასე გვასწავებს: „**იტყო**დეთ ქეშმარიტსა კაცად კაცადი მოყვისისა მიმართ“. **ღა** თუ ამას ეძიებ, რომლითა სჩანს

შენი ეშმაკის მსგავსება, ქეშმარიტებით ცხადად სარწმუნო სიტყვით წარმოგიჩინო. ზარდამატებულის სიბოროტისათვის ეშმაკს ღმერთი სძულს; და შენც თუ ღმერთი გძულს, უეჭველად ეშმაკის მსგავსი შეიქმნები. მციო, შენ ღვთის სიყვარულს აღიარებ და სიძულილს უარჰყოფ. მაგრამ რადგან შენს კეთილის მყოფელს ბოროტს უყოფ და გძულს, ღვთის სიყვარული შენგან სარწმუნო არ არის. პეაღად ამას ძრისტე გიმტკიცებს: „რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, იგი მრავალსა ზედა ცრუ არს“. მცირედს ეამიერის კეთილის მყოფელის სიყვარულზედ ცრუ ხარ, ამისთვის რომ არა რაჲმესა ნაცვალსა კეთილსა უყოფ; მაშასადამე დიდისა და უსაზღვროსა ღვთის სიყვარულსაცა ზედა ცრუ ხარ და არა ყუარობ. მეორედ— მოციქული გიმტკიცებს: „რომელმან ჰსთქუას, ვითარმედ ღმერთი მიყვარს და ძმა თვისი სძულდეს, იგი მტყუარ არს“. სარწმუნო სიტყვით წარმოჩნდა, რომ მსგავსად ეშმაკისა ღვთის მოძულე ხარ. მეგების შენდა განსამართლებელად მოიღო, და ჰსთქუა: მოყვას ამისთვის კეთილს აღარ ვუყოფ, ნაცვალი კეთილი აღარ ძაღუძს. აქ ამას გეტყვი, თუ ძრისტესგან სრულიად განშორებული არა ხარ, ძრისტე რომ ბრძანებს: „რომელმან ასვას მცირეთაგანსა სასმელი წყალი ერთი გრილი სახელად მოწაფისა, ვითარმედ მოწაფენი ხართ ძრისტესნი, არა წარწყმდეს სასყიდელი მისი“. — მს სიტყუა რად დაივიწყე და პირველი მისგან კეთილის ყოფა რასათვის შენის გონებისაგან განიშორე? კეთილის მოგება აღარ ძაღუძსო, მეტყველებ: თუ პირველისათვის ნაცვალი კეთილი მიაგე, შემდგომად რომელიც არ ძაღუძს ნაცვალს ძრისტე აღგითქუამს: „რომლითა საწყაულითა მიუწყათ— მოგეწყოს თქუტან.“ თუ პირველისათვის ნაცვალი კეთილი არ მოგიგია, ანუ აწ არ მიაგებ, უწყოდე, შენს ნამუშავეს სულიერს კეთილს ის მიიღებს; აქილამ ჰსცანი ქეშმარიტი— უტყუელი პირი ძრისტესი ბრძანებს: „არა წარწყმდეს სასყიდელი მისი“. ღა შენ კეთილის მაგიერს არას მიაგებ უეჭველად შენგან ნამუშავეს სულიერს კეთილს

ის მიიღებს;—და თუ ვითარ მიიღებ, ამისი მაგალითი და სახე ქრტიმორე წარმოვაჩინოთ და ჯერ ესე ესთქათ.

მს განსაკვირველი საქმეა: ლეთის ხატად და მსგავსად დაბადებული ხარ და ასე მიფარული არის შენ შორის, არცა თუ კნინოდენი რაამე სჩანს შენ შორის ლეთის-მსგავსება! ლმერთი კეთილთა და ბოროტთათვის ორისათვისვე უხვად მოწყალე არს. ბესმის უტყუელი სიტყვა: „მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა“. მს ორისათვისვე ასე მოწყალე არის, და შენ შორის ა'ე უჩინო არის! მოწყალეა არათუ მარტო მტერისათვის,—კეთილ-მყოფელთათვისცა უჩინო არის, შენგან მოწყალეა, ამისთვის რომე ნაცვლად კეთილისა ბოროტსა უყოფ. სადღა ჭჩანს შენ შორის ლეთის მსგავსება! ქეთილის-მყოფელის ბოროტის ყოფა საკვირველს რასმე ბოროტებას შეგამთხჳსეს. ქვალად ლეთის მსგავსებისაგან და ძრისტეს მოწაფეობის-გან უცხო გყოფს; მეორედ—ეშმაკს მიგამსგავსებს; მესამედ—ჰსჯულისა და წინასწარმეტყველთაგან გარეშე გყოფს; და თუ ვითარ ესენი ზემო ითქვა: მეათედ—რომლისაც შენი კეთილის მყოფელისათვის ბოროტი გვენებას, შენი მოგებული კეთილი მას მიეცემა;—და თუ ვითარ—საღმბთოს წერილის მაგალითით ვაჩჳნოთ. ძველთა ისრაელთა შორის ეს წერილი იყო: რომელიც ცხოვართ მწყ'იდა, სასყიდელი მიეცემოდა იმ ცხოვართაგან, როდესაც შობდენ, ანუ ქრელი, ანუ სხვა რაამე ფერი მწყემსის სასყიდლად დაიდებოდა, რომელიც ფერი სასყიდლათ დაიდებოდა, რაოდენიც იმ ფერის იშობებოდა, ყოველივე მწყემსის იყო. იაკობ ისრაელმან მსახურა ლაბანს და მწყსიდა ცხოვართა მისთა. ლაბან თავისის კეთილის მყოფელის იაკობისთვის სასყიდლის დაკლებას განიზრახვიდა. ამისთვის ლმერთმან იაკობის სასყიდელი განამრავლა, და რომელიც ფერი მისდა სასყიდლად დაიდებოდა, ყოველი ცხოვარი მას შობდა, და ლაბანის ცხოვარი და დიდება შეემკირდა. მგრეთჳც შენ შენის კეთილის მყოფელის სასყიდელს რომ დაამკირებ, მისს სასყიდელს სუოით და ხორციით, იაკობისებრ, ლმერთი განამ-

რავლებს, და შენს სიმდიდრეს სულით და ხორცით, ლაბანი-
სებრ, ლმერთი დაამცირებს. ძველად ისრაელნი ეგვიპტელთა
კეთილსა უყოფდენ, რომ მათთვის მუშაკობდენ; მაგრამ ეგვი-
პტელნი ნაცვალს კეთილს არ უყოფდენ; ამისთვის ლმერთმან
ისრაელის ეგვიპტიდამ გამოსვლის ჟამში ყოველი დიდება მიუ-
ლო ეგვიპტელთ და ისრაელთ მისცა,—ეგრეთჲც შენ შენს
კეთილს მყოფელს, ნაცვალს კეთილს რომ არ უყოფ და არას
მიაგებ, აქედამ განსლვისა და სიკჳდილის ჟამში ლმერთი ყო-
ველსავე სულიერს სიმდიდრეს მიგიღებს და მას მისცემს. მიხე-
დე და კეთილად გულის-კმაყავ! შრიათა ძესა ლვთისასა ნაცე-
ლად კეთილისა ბოროტი მიაგეს; ამისათვის სულით და ხორ-
ცით დაისაჯნენ,—ეგრეთჲც შენ მადლით ძესა ლვთისასა, სი-
ტყვიერსა კაცსა, ნაცულად კეთილისა ბოროტს მიაგებ—სუ-
ლით და ხორციით დაისჯები.

მრთი ესე ჭეშმარიტებით სიტყუა იუწყე: როდესაც ბო-
როტს ვისმე უყოფ, შენ საცთურისა და ბოროტისაგან ვერ
განერები,—ვითარ? თუ მდიდარს ვისმე მიაგებ ბოროტს, ხორ-
ცით შეგემთხჳცვა საცთური და ბოროტი, ამისთვის რომ ის
მდიდარი ნაცვალს საცთურს და ბოროტს შეგამთხჳცვს. თუ
მცირე ვინმე არის და მას უყოფ ბოროტს, აქ უძნელესი საც-
თური შეგემთხჳცვა, ამისთვის რომ ჭრისტეს მიმართ ბორო-
ტის მყოფელად აღმოჩნდები, ვითარცა ბრძანებს შთალი ჭრის-
ტე: „როდენი უყავი ერთსა მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი
მე მიყავთ“. ასე ჰსჯანს თქმულთა ამათგან! როდესაც ვისმე
ბოროტს უყოფ, შენც მასთან ბოროტი ვნება შეგემთხვევა.
ამისი სახე საღმრთოს მადლით საღმრთო წერილიდამ მოვი-
ლოთ. ძაენმან აბელი მოაკჳდინა: მიხედეთ თუ ძაენც სიკჳ-
დილს არ მიეცა და უუსაშინელესი ეს დაერთო,—პირისაგან
ლვთისა დაიწყევა და წარწყმდა. ძმათა იოსებ მგებტეს გან-
ჰყიდეს—ისინიც სიყმილისაგან მწუხარენი ეგვიპტესვე შთავიდენ,
თვითვე საძაგელს ენმაკს მიხედე: კაცს თავისის სიბოროტით
ჯოჯოხეთად შთაიყვანებს,—მისი საუკუნო საყოფელი და სა-

ტანჯველიც იგივე არის. **თქმულთა** ამათებრ ვერც შენ განერები ბოროტისაგან, როდესაც ვისმე თანა ძმას ბოროტს უყოფ. —**თუ** ამას იტყვი: ამას ჟამსა შინა სავენებელი არა გაქტს და ჯერ არა გვენებია რა, — უსაშინელესი ვნება ეს არის, აქ საწუთო ჟამში სუფევ და შენის ბოროტებისათვის აქ არა მოგეგო რა, უმეტესი ვაება არის შენთვის, ამისთვის რომ საუკუნოსა შინა უნდა მოგეგოს დაუსრულებელი ტანჯვა, ნაცვალი სიბოროტისა შენისა. აწ ესოდენის ვნებისაგან შეშინებული ვინმე თუ ამას იტყვის კეთილის-მყოფელს ბრძნის სოლომონის თქმის მსგავსად, ვითარ იგი იტყვის: „ნუ მტერ მოყვარე ექმნები კაცსა ამოსა, არც კეთილს უყოფ და არც ბოროტს“, — ეს განზრახუა და სიტყუა შენ მიერი ბოროტი არის, ამისთვის რომ ეს ბრძნის სიტყვა ზემო მისთვის ითქვა, რომელიც შენი ამოდ და ცუდად მტერი არის, თორემ შენის კეთილის მყოფელისათვის ეს სიტყუა არ ითქმის და არც მოიღება. ზემო რომ ბრძნის სიტყვა ითქუა მტერისათვის — „ნუ მტერ-მოყვარე ექმნები კაცსა ამოსა“ — ესეც შენის მოუთმენლობისათვის დაიწერა. **ცხად** მოსაღები არის აქ შუალის სიტყუა: „გუფიცხელობისა თქუბნისათვის დასწერა“, თორემ მტერსაც კეთილი უნდა უყო, ვითარცა ბრძანებს შუალი: „და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუბნთა“.

მგების სწავება ვინმე ინებო ამისი, თუ კეთილის მყოფელს კეთილი როგორ უნდა უყოთ, — შენის თავის მსგავსად უნდა უყო კეთილი. **თვით** ძრისტე ასე გასწავებს: „ყოველი რაოდენი გინდეს, რათა გიყონ თქუბნ კაცთა, ეგრეთცა თქუბნ ჰყვიო მათდა მიმართ“. **ძრისტეს** მოწაფენიც ასე ერთობის სიყვარულით იტკეოდნენ, ვითარცა სწერს **ლუკა** საქმესა შინა **მოციქულთასა**: „არცა ერთმან ვინ სთქვის მონაგები თვისი თვისად“. **იკითხავ**: თავისა ჩემისაგან არა უნდა განვარჩიო, ჩემი კეთილის მყოფელი? **მე** გეტყვი: არა უნდა განვარჩიო შენის თავისაგან, ისე უნდა უყოფდე კეთილს — ორის მიზეზისათვის: პირველად **ძრისტე** ისე გვასწავებს, ვითარცა ზემო ითქუა; მეო-

რედ, ძრისტეს მიერ ერთად ჩინებულნი ხართ, ვითარ იგი კმობს მოციქული: „თქჳსნ ყოველნი ერთ ხართ ძრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩჳსნისა“. უფრო გამოვაცხადოთ თქჳსნი ერთობა: ერთი მამა გივისთ, ვითარ იგი ხმობს უფალი: „ერთ არს მამა თქჳსნი რომელ არს ცათა შინა“; ერთის ემბაზისაგან აღმოშობილნი ხართ; ერთი ძრისტე გივისთ მასწავებლად და მოძღუჳრად, ვითარ იგივე უფალი კმობს: „ერთ არს მოძღუჳარი თქჳსნი ძრისტე“. რადგან ასე ერთნი ხართ, ამისთვის შენის თავისაგან შენს მოყვასს არ უნდა განარჩევდე კეთილის ყოფასა შინა. თუ ამისი იჳვი გაქჳს, რომ შენი ქონებული არ გეკმაება შენდა და შენს მოყვასს, ამისთვის რად იჳვეულებარ? იცი ეს ჳეშმარიტებით—რაოდენი რაჳჳე კეთილი გაქჳს, ყოველივე ჳვთისაგან გაქჳს, ვითარცა კმობს მოციქული იაკობ: „ყოველი მოცემა კეთილი და ყოველი ნიჳი სრული ზეგარდმო არს შთამომავალი მამისაგან ნათელთასა“; და რადგან ჳვთისაგან გაქჳს მოცემული, აღლევის მოშიშებისათვის შენის მოყვასისათვის ნურას იშურვებ: რომელმანც პირველი მოგცა, იგივე უფალი მოუკლებელის მოწყალეების საუნჯიდამ კიდევ მოგცემს. ზულის-კმა-ჳყავ, თუ ვითარი უტყუელი პირი ძრისტესი აღგიტჳბამს მოცემას და გიბრძანებს: „ითხოვდით და მოგეცესთ“.

მგების სთჳტას ვინმე: მიჩჳსნე, სხჳმან კაცმან ვინ ჳყო ესე ვითარი საქმე? მაჩჳსნოთ ამისი სახე, რომ ბოროტის მყოფელთა ზედა კეთილი ჳყო და ამისგან სირცხვილეულ-იქმნენ და განისწავლენ თვისის კეთილის-მყოფელის თავის მსგავსად კეთილის ყოფად. იოსებ მამათ მთავრის ძეს არ აქუნდა სჯული მასწავლელოდ; ამისთვის ჯერ ჳსჯული არ მოცემულ იყო; არ ასმიოდა ძრისტეს მიერა მოძღვრება, ამისთვის რომ ჯერ ძრისტე ქჳსყანად არ მოსულ-იყო, მაგრამ თავისი ბოროტის მყოფელნი ძმანი, ვითარცა კეთილის მყოფელნი, ყოველითუთრ ისე შეიწყნარნა. რაოდენად შენ უმეტესი ვალი გაქჳს, რომ შენი კეთილის-მყოფელი შენის თავის მსგავსად

უნდა შეიყვარო, ამისთვის რომ შენ სჯულიც გასწავებს და ძრისტეს მიერი მოძღვრებაც. აღასრულეთ სჯული და ძრისტეს მიერი მოძღვრება და შეიყვარეთ მოყვასი თქვენნი, ვითარცა თავი თვისი, რათა თქვენცა შეყვარებულ იქმნეთ ძრისტეს ლეთისა მიერ, აწ და საუკუნეთა უკუნისამდე ამინ.



თავი 30. ქრისტეანობისათვის.

იტყვის ცეცხლსა მკერდისასა შემხები ლეთის-მეტყველი და მახარებელი იოანე თვისთა კათოლიკეთა შინა: „რომელმან ჰსთქუას მისთანა ყოფა, თანა ამს რათა ვითარცა იგი თავადი ვიღოდა ვერცა მისი სლჷა“. ლიდი ლეთის მეტყველი რომ ამბობს ერისა მიმართ—„რომელმან ჰსთქუას მისთანა ყოფა“,--საძიებელი არის ჩუენგან და უნდა ვიძიოთ, თუ ერი მორწმუნე ვისთან ამბობს მყოფობას. მრთი ეს ცხადად ვიცი, წმიდათა მოციქულთა ძრისტეს ასე მოახსენეს: **უფალო** სადა წარვიდეთ, რამეთუ სიტყუანი ცხოვრებისა საუკუნოსანი გქონან შენ! ისინი ასე ჟამ-მარად ძრისტესთან იყვენენ; და ახლანდელი ერი ეკლესიასა შინა შემოაკრებული, ვისთან ამბობს მყოფობას—ჯერ სიტყადე არა აქუს. მაგრამ ესეც ასე ცხადდება: ძრისტესთან თუ იმყოფებიან, თორემ სსჯა ადგილი განსასუტნებელი არა აქუსთ. **შესამსგავსი** არის აქ მოღებად: არა აქუს ძესა კაცისასა, სადა თავი მიიღრიკოს“. უნდა ჭეშმარიტი განვაცხადოთ: ერნიც მარადის ძრისტეს შედგომას და

მასთანა ყოფას იქადიან. ძველნი ისრაელნი ამას იქადოდენ: „ჩვენ ნათესავნი აბრაჰამისანი ვართ; ახალი ისრაელი ამას იქდის: „ჩუტნ ძრისტეანენი ვართ“. ცხადი იქმნა თქუნი მიერის სიტყვითაც და არცა უარ-ყოფთ ამას, რომ ძრისტესთან ყოფასა და მისსა შედგომასა აღიარებთ. მსე არს, რომელსაც დღითი დღე კმობთ და იტყვით: „ძრისტეანე ვართ“. ლა რადგან ძრისტესთან მყოფობას იტყვით, თუ როგორ უნდა მასთან მყოფობა, ამას ლეთის-მეტყველი გასწავებსთ სიტყვითა ამით: „თანა ამს რათა ვითარცა იგი თაფადი ვილოდა, ეგრეცა მისი სულა“. ლეთის-მეტყველი და მოციქული სიტყვითა ამით ამას გვაწესებს: თუ ძრისტესთან ყოფას იტყვი—როგორც ძრისტე ვილოდა ისე შენ უნდა ხვილოდე. თუ მისდა მსგავსად არა ხვალთ, აღარცა ძრისტესთანა იქმნებით, და რადგან ძრისტესთან არ იქმნებით, აღარც ძრისტეანედ იწოდებით. თქუნივე საჯეთ ქეშმარიტი: სხუასა და სხუასა ზედა მავალი და სხუათა და სხუთა ალაგთა შინა მყოფი ერთად როგორ იქმნება? ძრისტე საუკუნოსა მამისა თანა მიმავალი და მისთანა მყოფი და შენ ეშმაკისა მიმართ მიმავალი და მისთანა მყოფი ძრისტესთანა ვითარლა უნდა იქმნე? ბახსოვს, საყვარელო, უძღები შეილი შორსა სოფელსა რომ წარვიდა სახიერს მამასთან აღარ იყო; ეგრეთუტ შენ ძრისტესგან განსხუაებულს გზასა და სოფელსა შინა რომ წარხუალ, ძრისტესთან აღარ იქმნები. მსეც მოიხსენეთ: დიდი პეტრე მცირის ადგილით მოშორდა ვნების ქაშში და უარის ყოფაში შთავარდა; ეგრეთუტ შენ მცირის ადგილით ძრისტეს რომ მოშორდე, უარის ყოფაში შთავარდები და მისგან შორს იქმნები. აქ ერთი მაგალითი უნდა მოვილოთ. შრიანი ძრისტეანედ და ძრისტეს შედგომილად არ ითქმიან, ამისთვის რომ ძრისტეს გზა დაუტევეს და სხუასა გზასა ზედა ვლენან; ეგრეთუტ თქუნი თუ ძრისტეს გზას დაუტევებთ და სხუასა გზასა ზედა სლუას იწყებთ, ძრისტეანედ და ძრისტეს შედგომილად აღარ ითქმით. აღმოჩნდა ქეშმარიტებით, რომელიც ძრისტეს გზაზედ არ ვლის, ის ძრისტეანედ

არ ითქმის. მაშასადამე ჩუბნი საძიებელი ეს არის: ჰრისტე რომელს გზაზედ ვიღოდა ის უნდა ვიძიოთ.

უფალი ჰრისტე მხოლოდ მამის ნებაზედ ვიღოდა; ესრეთ ეტყოდა მამასა თვისსა: „ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ“! აწ თუ ჰქმნარიტი ჰრისტეანობა გნებაეს, ჩუბნც ჰრისტეს შედგომილნი ლეთისა მამისა ნებაზედ უნდა ვიღოდეთ. ბუნებითი ძე, უფალი იესო ჰრისტე, მამის ნებაზედ ვიღოდა;—ჯეროვანი ეს არის, ჩუბნ მადლით ძენიც მამის ნებაზედ ვიღოდეთ. რომელი არის სება მამისა? ნება მამისა და სათნო ესე არს, რათა გვიყვარდეს ძე მისი, უფალი იესო ჰრისტე. მაშინ ვიქმნებით მამის ნების აღმასრულებელნი და საყვარელნი, ვითარცა კმობს ჩუბნდამო უფალი იესო: „რომელსა უყვარდე მე, საყვარელ-იყოს მამისა ჩემისა“! მაგრამ იესო თუ როგორ უნდა გვიყვარდეს, ისევ ჰრისტესაგან უნდა ვისწაოთ, ვითარ იგი გვიბრძანებს: „შეიყვარე უფალი ლმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა“,—ასე უნდა გიყვარდეს იესო. უკეთუ ამას იძიებ, თუ ყოვლითა გულითა და ყოვლითა სულითა სიყვარული რა არის—ესე არს: ყოველი შენი მყოფობა ჰრისტეს მიმართ შეერთებულად უნდა გაქუნდეს, გონება და შენის სხეულის შენაწვერეულება მისს მსახურებაზედ უნდა იყოს. თუ ვითარ მაგალითი ვაჩუბნოთ. ლედაკაცმან, მრავალსასყიდლის მირონი დაახა ფერხთა იესოსთა; ხელით თვით ფერხი ეპყრა უფლისა, თვალი მას ხედვიდა, თმითა თვისით წარხოცდა და ბაგით ამბორს-უყოფდა;—ეგრეთუბ შენის სხეულის შენაწვერეულება ჰრისტეს მსახურებისათვის უნდა იყოს განსაკუთარებული, და მისის მსახურების გარეშე არ უნდა იყოს სხეული შენი; თვალით მას უნდა ხედვიდე; ხელით მას უნდა მსახურებდე გლახაკთა მსახურებითა; ცრემლი დაახნ ნაცვლად მირონისა და წვლილადნი გულის სიტყუანი შენნი, ნაცვლად თმისა, მოხვიე ფერხთა იესოსთა აღსარებასა შინა და აღხოცენ საცრემლონი საქმენი შენნი. მსე არს ჰქმნარი-

ტი სიყვარული ძრისტესი, და მაშინ იწოდები ქეშმარიტ ქრისტეანედ!

მხოლოდ სხტა მაგალითი მოვიდოთ, რომელსაც მახარებელი მარკოზ აღწერს: ერთი ვინმე ქაბუკი ძრისტეს მოწაფე არ განეშორა ძრისტეს, ვნების ჟამში თან მიყუტბოდა; სხტა არა აქტნდა რა, მხოლოდ ერთი არდაგი ეხვია, თორემ შიშველი იყო; მაგრამ უღონოებისათვის არ მოიძულა ძრისტე და არ განეშორა, სადამდის ძრისტეს მტერთა მისი შეპყრობა არ ინებეს. შეპყრობა რომ იწადეს მისი, ძრისტეს მტერის კელში შთავრდომას ისევ ეს არჩია, არდაგი დაუტევა და შიშველი წავიდა. მგრეთჲს შენ თუ ქეშმარიტი ქრისტეანე და ძრისტეს მოწაფე ხარ, ვერა რომელმანმე უღონოებამ ვერ უნდა დაგაბრკოლოს, ჟამ-მარად ისე ძრისტეს წედგომილი უნდა იყო და მას უნდა მისდევდე; თუ ძრისტეს მტერმან ეშმაკმან შეპყრობა ინებოს შენი, როგორც ძრისტეს მოწაფემან ჰაბუკმან არდაგი დაუტევა და შიშველი ივლტოდა, ეგრეთჲს შენ დაუტევე ყოველივე სიყვარული სოფლისა და შიშველი გულის თქმათაგან სოფლისათა ივლტოდე კელთაგან ეშმაკისათა, და მაშინ იქმნები ქეშმარიტი ქრისტეანე და ძრისტეს მოწაფე. ასე საქმით უნდა აჩუტნო ძრისტეს სიყვარული; თორემ ცალიერის სიტყვით მისი სიყვარული არ გამოცხადდება. მოციქულის სიტყვა ისმინე: „ნუ ვიყვარებით ურთიერთარს მხოლოდ სიტყვითა, არამედ საქმითა“. და თვით შუალი იესო ბრძანებს: „არა ყოველმან რომელმან მრქუას მე, შუალო შუალო, და შევიდეს სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ჰყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა“. ხედავ თვით ქრისტესა და მოციქულთა მიერ, რომ საქმით უნდა განაცხადო ძრისტეს სიყვარული, თორემ სიტყვით არ განცხადდება.

და საქმით ძრისტეს სიყვარული როგორ უნდა, საღმრთოს წერილის მაგალითით ვაჩუტნოთ. ზაქემ ძრისტეს ხილტა იწადა, მაგრამ სხეულით მდაბალი იყო და ერის სიმრავლეში

ვერ იხილა; ლელუსულელზედ აღვიდა და აქედამ იხილა ძრისტეს;—ეგრეთჲს შენ, საყვარელო, ძრისტეს ხილტა რომ გინდოდეს წმიდითა ერისა სიმრავლისა შორის, თუ სათნოებით მდაბალი ხარ—ძრისტეს ვერ იხილავ; მაგრამ ზაქესებრი საქმე უნდა აჩუბნო: როგორც რომ ზაქე, ძრისტეს ხილვისათვის ლელუსულელზედ აღვიდა, ეგრეთჲს შენ სათნოებათა ზედა უნდა აღხვიდე, რომ ძრისტე იხილო. **ღ**ა როგორც ზაქეს უბრძანა ძრისტემან—**„ღ**დეს სახლსა შინა შენსა ჯერ არს ჩემი ყოფა“,—ეგრეთჲს გიბრძანოს შენ: **„ღ**დეს სახლსა შინა სულისა შენისასა ჯერ-არს ჩემი ყოფა.“ როდესაც ამის მსგავსს საქმეს აჩუბნებ, მაშინ იქმნები ქეშმარიტი ქრისტიანე; და ძრისტეს მოწაფე. პილვე აჩუბნა ზაქემ საქმით ძრისტეს სიყვარული მოწყალებითა და სინანულითა; მოწყალებითა—ოდეს იგი ჰრქვა **„შ**უალსა: **„ზ**ოგი ნაყოფთა ჩემთა მივსცე გლახაკთა“; სინანულითა—ოდეს იგი ჰრქვა: **„და უკეთუ ვისმეც კილი დავდე, მივაგო ოთხი წილი“**. ასე საქმით სიყვარულის ჩვენებისათვის უბრძანა ძრისტემან: **„ღ**დეს იქმნა ცხოვრება სახლისა ამის“;—ეგრეთჲს შენ უნდა აჩუბნო მოწყალების საქმითა და სინანულით ძრისტეს სიყვარული, რათა გიბრძანოს ძრისტემან: **„ღ**დეს იქმნა ცხოვრება სულისა შენისა“—და მაშინ იქმნე ქეშმარიტი ქრისტიანე და მოწაფე ძრისტესი.

ახლა სხტა მაგალითი მოვილოთ. **შ**უალი იესო ფასის საცავის წინაშე დაჯდა; რომელნიც მდიდარნი იყვნენ თავისის სიმდიდრისაგან აჩუბნეს საქმით ძრისტეს სიყვარული და მრავალი საფასე შესწირეს; ერთი გლახაკი ქერივი იყო, მას არა აქტუნდა რა ორის მწუთლილის მეტი; რადგან მის მეტი არა აქტუნდა რა, ძრისტეს ის ორი მწუთლილი შესწირა და საქმით სიყვარული ძრისტესი მით აჩუბნა;—ეგრეთჲს შენ, საყვარელო, ოდეს იხილო გონებითა **შ**უალი იესო სულიერს ფასის საცავსა ეკლესიასა შინა, მაშინ მრავალნი სათნოებით მდიდარნი შესწირვიდენ რა სათნოებასა და აჩუბნებდენ საქმით

სიყვარულსა ჭრისტესსა, შენ თუ უღონო იყო ქტირივის მსგავსად და სხუა სათნოების სიმდიდრე არა გაქტნდეს რა, ორის მწუთილის მსგავსად შესწირე სიმდაბლე და სიმშვიდე და ამით აჩუქნე საქმით სიყვარული ჭრისტესი, და მაშინ იქმნები ქეშმარიტი ქრისტეანე და ჭრისტეს მოწაფე. თვით ჭრისტემან გვასწავა თავისის სიყვარულის საქმით ჩუქნება მარხვისა მიერ, იმარხა რა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე. თუ ინებო მარხვისა მიერ ჭრისტეს სიყვარულისა ჩუქნება, ორი რამ თანა გაძს; ერთი ესე: მარხვის შინად რომ ეშმაკმან ნაყროვნებად გაწვიოს, არამც ნაყროვნებისაგან მარხვა არ შეიგინო და ეშმაკს არ ემორჩილო, უფროსად ვითარცა მოძღუარმან შენმან ჭრისტემან ჰყო, შენც ისე ჰყავ. უფალი იესო ეშმაკმან ნაყროვნების სახით განსცადა და ჰრქვა: „ჰსთქუ, რათა ქტიანი ესე ჰურ-იქმნენ“; მაგრამ ჭრისტემან არ სათნო იყო და შერისხვით უკუნ აქცია;—ეგრეთჲს შენ შინად მარხვისა ეშმაკმან ნაყროვნებად რომ გაწვიოს, შერისხვით განიოტე; როდესაც ასე იმარხავ, მაშინ იქმნები ქეშმარიტი ქრისტეანე და მოწაფე ჭრისტესი;—მეორე: მარხვა ანგელოზის მსგავსება არის და არამც მარხუასა შინა ეშმაკს არ მიემსგავსო; ვითარცა ფარისეველმან მიიღო მსგავსება ეშმაკისა, მოიძულა მეზტარე და აყუტდრებდა, ეგრეთჲს შენ არ მიემსგავსო ეშმაკს, და მარხუასა შინა არავინ მოიძულო და არავის აყუტდრო, ვითარცა გვასწავენს მოციქული: „არა მჰამელი იგი მჰამელსა მას ნუ შეურაცხყოფ“. როდესაც ასე იმარხავ, მაშინ იქმნები ქეშმარიტი ქრისტეანე და ჭრისტეს მოწაფე.

ჰვალად მოგვცა ჭრისტემან თავისის სიყვარულის საქმით ჩუქნებად სიმდაბლე და სიმშვიდე, ოდეს თვით აღასრულა და მოგვცა სახე სიჰდაბლისა და სიმშვიდისა, რამეთუ იგინებოდა და იგი არავის აგინებდა, ევნებოდა და არავის უთქმიდა! ჰაცთა მიმართ ეს მიუწდომელი სიმშვიდე და სიმდაბლე აქტნდა, და ეშმაკს ჟამ მარად რისხავს და განიოტებს,—ეგრეთჲს შენ უნდა მიემსგავსო მოძღუარსა შენსა ჭრისტესა და კაცთა მი-

მართ ის სიმდაბლე და სიმშვიდე უნდა მოიგო, რომელიც საქმით გიჩქუნა, ვითარცა ზემო ითქვა, და სიტყვითაც გასწავა და გრძობა: „რომელმან გცეს მარჯუტუნესა ყურბალსა, მიუპყარ მარცხენეცა“, და ეშმაკს ჟამ მარად უნდა შერისხვიდე, ვითარ იგი გასწავებს წინასწარმეტყველისა ლავითისა მიერ: „განრისხნებოდეთ და ნუ სკოდავთ“. როდესაც ასე მიემსგავსები მოძღვარსა შენსა იესოს, მაშინ იქმნები ქვეშარიტი ქრისტეანე და ძრისტეს მოწაფე. მგების ეს განზრახო ვინმე და ჰსთქვა: ოდესმე ძრისტეს შეუდგები და მონებასა მისსა იქმ და ოდესმე არა. საყვარელო, ეს განზრახუა არათუ ქვეშარიტი ქრისტეანობა და ძრისტეს მოწაფეობა არის, უფროსად ეშმაკისა და იუდას მიმსგავსება არის. მშმაკი ოდესმე ლვთისმსახური იყო და განუდგა ლმერთსა და დაივიწყა მისი სიყვარული;—ეგრეთჲც შენ ოდესმე ლვთისმსახური იყავი და ახლა ლმერთს მოიძულე და განუდგები, ეს ეშმაკისა მსგავსება არის. ჭვალად იუდა ოდესმე ძრისტეს შედგომილი და ოდესმე უარის მყოფელი და მოძულეებული შეიქმნა;—ეგრეთჲც შენ პირველ ძრისტეს მოწაფე იყავ და ახლა უარპყოფ და მოიძულე — ეს იუდას მსგავსება არის.

თუ ქვეშარიტი ძრისტეს მოწაფეობა და სიყვარული ვნებავეს, ძრისტეს მოწაფეობისა და სიყვარულისა სახეებს მოვიღებ წინაშე შენსა. თუ ქვეშარიტი ძრისტეს მოწაფე ხარ, ძრისტეს სიყვარულს ვერა რამემან უნდა განგაშოროს, ვითარცა ჰავლე ამტკიცებს სიყვარულსა ძრისტესსა და იტყვის: „ვინ განგაშორნეს სიყვარულსა მას ძრისტესსა, კირმან ანუ იწროებამან“? შენც ასე მტკიცე უნდა იყო ძრისტეს სიყვარულზედ, რომ ვერა რამემან კირმან და იწროებამან ვერ უნდა განგაშოროს ძრისტეს სიყვარულსა. მს არის ქვეშარიტი ძრისტეს მოწაფეობა და სიყვარული! თუ ვინმე ძრისტეს სიყვარულზედ შორს მყოფი წინააღმდეგობით იტყვის, რომ ძრისტეს ვნების ჟამშიდ მოწაფეთა დაუტევეს და იელტოდენ, აქ ამას ვიტყვი—ხორციით იელტოდენ ჰურიათ შიშისათვის,

თორემ მათი გონება ძრისტეს სიყვარულზედ მტკიცედ იყო, ვითარცა მოციქულთა საქმენი აცხადებენ, და თუ ვითარ— ვაჩუქნოა: მტრე სიტყვით ცთომისათვის დიდს საქმით მწუხარებას მიუღია. ვითარცა ემობს მახარებელი: „გამოვიდა გარე და სტირილად მწარედ“. ძვალად: „პეტრე აღსდგა და მიბრძოლა საფლავად“. ზანხილვე, თუ ეს როგორ ცეცხლებრ აღტყინებულს სიყვარულს აჩუქნებდა და სიკუდილსა შინა უფლისასა მახლობელად ჯვრისა სდგა და არა განეშორა უფლისა და მოძღვარსა თვისსა. აწ კვალად სხუათა მოციქულთა საქმე განიხილვე მახარებელთა მიერ აღწერილი: „და განიხილეს მოწაფეთა, იხილეს რა უფალი“; აღდგომის შინად იხილეს და განიხარეს: აქ მიხედეთ მოციქულთაგან ჭეშმარიტს სიყვარულს: თუ დიდი და უცხო სიყვარული არ ჰქონებოდათ, მისის ხილვისთვის არ განიხარებდენ, ვითარცა ჰურიათ რომ არ აქტუნდათ ძრისტეს სიყვარული, არათუ განიხარეს, ზფროსად მწუხარე იქმნენ და ძრისტეს აღდგომის და ფარვისათვის დიდძალი ვეცხლი მისცეს, ვითარცა სწერს ზატთე და იტყვის: „ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ და ჰრქუეს, ესრეთ ჰსთქუთ: „მოწაფენი მისნი ღამეს მოვიდნენ და წარიბარეს იგი ვიდრე ჩუქნ გვეძინა“. ჰურიათ რომ სძულდათ, ძრისტეს აღდგომისათვის ასე მწუხარე იქმნენ. მოციქულთ რომ უყვარდათ ძრისტე, მისის აღდგომისა და ხილვისათვის გამოუთქმელის სიხარულით იყვნენ აღტყებულნი. თუ ჭეშმარიტი ძრისტეს მოწაფე ხარ, როგორც ზემო სიტყვით და საქმით მოციქულთაგან ძრისტეს სიყვარული გიჩუქნე; შენც ისე უნდა გიყვარდეს ძრისტე.

ახლა სხუა სახე მოვილოთ ძრისტეს მოწაფეობისა. ჭილოსოფოსთ წესი ეს არის, ჭეშმარიტი სიბრძნის მოწაფე მაშინ შეიქმნება კაცი, როდესაც სრულის სიყვარულით სიბრძნეს შეიყვარებს; და სიბრძნის სიყვარული მაშინ წარმოჩნდება, როდესაც სიბრძნისაგან ნაწილს რასმე მიიღებს და ასწავებს; თუ სიბრძნისაგან ნაწილი არ მიიღო და არ ისწავა,

სიბრძნის მოყვარედ არ შეირაცხება. მგრეთჲც ეკკლესიის მოძღუართა და სულაერთა ჭილოსოფოსთა შორის წესი ეს არის — საუკუნოსა მამისა სიბრძნე, რომელ არს ძრისტე უფალი, მისი კეშმარიტი მოწაფე მაშინ იქმნება, როდესაც მას შეიყვარებ და მისგან სულაერთბრის სიბრძნეს, რომელ არს სათნოება, ისწავებს, და ძრისტეს სიყვარულიც მისგან წარმოჩნდება, როდესაც მისგან სულიერებრის სიბრძნეს, ესე იგი სათნოებას, ისწავებს, ვითარცა თვით ბრძანებს უფალი იესო: „რომელსა უყუარდე მე—მცნებანი ჩემნი დაიმარხენინ“. თუ ძრისტეს მიერ სულიერებრივი სიბრძნე, რომელ არს სათნოება, არ ისწავება—ძრისტეს მოწაფედ არ შეირაცხება და არცა შეყვარებულად. აწ, საყვარელო! რადგან ძრისტეს მოწაფეობას იჩემებ, სულიერებრივი სიბრძნე, რომელ არს სათნოება, ჯერეთ თუ არ გისწავია, დაემოწაფე ძრისტეს და ისწავე, თვით მიგიწოდს და გიბრძანებს: „ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“. თუ პირველ ისწავე, მაგრამ შემდგომად რომლისამე საქმისაგან დაგავიწყდა, კიდევ აღიხსენე. თუ ვითარ უნდა აღიხსენო, ამისი სახე მოვილოთ. პეტრე მოციქული როდესაც ცთომასი შთავარდა, სულიერებრივი სიბრძნე, რომელ არს სათნოება, იმ ჟამად მიერიდა, მაგრამ ორის საქმით კიდევ აღიხსენა: ერთად ცრემლითა, ვითარცა სწერს მისთვის მახარებელი. „გამოვიდა გარე და სტიროდა მწარედ“; მეორედ—სამგზის ჰკითხა ძრისტემან სიყვარული თვისი შემდგომად ცთომისა და სამგზისვე პეტრემან სიყვარული მტკიცე უჩუბნა და ჰრქვა: „უფალო, შენ ყოველი იცი და ყოველი უწყი, რამეთუ მიყვარ შენ“; ამათ მიერ აღიხსენა პეტრემან სულიერებრივი სიბრძნე, რომელ არს სათნოება და იწოდა კეშმარიტ ძრისტეს მოწაფედ;—ეგრეთჲც შენ ცთომისაგან რომ მოგერიდოს სულიერებრივი სიბრძნე, რომელ არს სათნოება, მიემსგავსე დიდს პეტრე მოციქულს და მსგავსად მისსა ცრემლი შესწირე ძრისტესსა, დაუმტკიცე სამგზის სიყვარული ცოდვის მოძულეებითა, აღსარებითა და სინანულითა; ამათ მიერ

აღიხსენე სულიებრივი სიბრძნე, რომელ არს სათნოება, და მაშინ იწოდები ქრისტიანად და მოწაფედ და მყვარებლად. ესეც უნდა უწყოდე: დავიწყებული სათნოება თუ კიდევ არ აღიხსენე, უხმარი არის შენთვის:—**ღა** თუ ვითარ უხმარი არის —**სარწმუნო საქმით და სიტყვით გიჭინო.** აღამმან რომ აღარ აღიხსენა მისდა მიცემული სათნოება, მიხედვით, თუ წასრულმან სათნოებამ რაჟე არგო, რადგან ცთომანი შთავარდა.—**მგრეთჲც** შენ, რადგან ცოდვაში შთავარდები, წასრული სათნოება არას გარგებს. სული წმიდა მზეკიელის პირით იტყვის ცთომაში წთავრდომილისათვის: „უკეთუ მიაქციოს მართალმან სიმატლისაგან თვისისა და ქმნას უსჯულოება, არღარა მერმე მოხსენებულ იქნენ სიმართლენი მისნი“. ამ სიტყვისაგან ჰსჩანან, რომ უფალი ღმერთი გაწვევს მირიდებულის სათნოების აღსენებას, და თუ არ აღიხსენე—დავიწყებულის სათნოების ურგებობა ცხადად ჰსჩანს ამ სიტყვისაგან. ძვალად ამის მსგავსად ვიტყვი: როგორც დავიწყებული სათნოება ცოდვაში შთავრდომილისათვის უხმარი არის, ვითარცა ზემო მტკიცედ აღმოიჩინა, ეგრეთჲც ცალიერი ქრისტიანობის სახელი უხმარი არის, თუ საქმე თან არა სდევს.

იკითხავ, რა არის ქრისტიანობის საქმე? ზემო ითქვა თუ რა არის, მაგრამ ახლა კიდევ შემოკლებით ვსთქვათ. ქრისტიანობა ქრისტეს შედგომას ჰნიშნავს, და მივხედოთ, თუ ქრისტეს მოწაფენი რა საქმით იყვნენ ქრისტეს შედგომილნი და იქედამ შევიტყოთ, თუ რა არის ქრისტიანობის საქმე. მოწაფეთა ქრისტეს ასე მოაზსენეს: „ჩვენ უოველი დაუტევით და შეგიდევით შენ“. აქ, ვიცი, ამას იტყვი: ჩვენ ერის კაცნი ვართ და უოველისავე დატევება არ ძალგვიძს. აქ მე ამას ვიტყვი: თუ სახმარი ვერ დაუტეო, ქრისტეს სიყვარულისათვის უხმარი და უოველი უშვერა ცოდვა მანინც დაუტევებ და ეს მოიგე ქრისტიანობის საქმედ; თუ არც ამასა ჰყოფ, ლიტონი ქრისტიანობისა სახელი უხმარი არის შენთვის;—და თუ ვითარ—მაგალითი ვაჩვენოთ. ისრაელნი იქადოდენ: „ჩვენ ნათესავნი

აბრაჰამისანი ვართ და მოსეს მოწაფენი ვართ“: მხოლოდ სიტყვით იქადოდენ, თორემ აბრაჰამისა და მოსეს საქმე მათგან შორს იყო: მხოლოდ სიტყვით სიქადულმან ვერა არგორა, ამისთვის დაემხენენ საღმრთოსაგან მადლისა;—ეგრეთჲც თქვენ იქადით ძრისტეანობას ცალიერის სახელით, თორემ ძრისტეს საქმე თქვენგან შორს არის; და ცალიერი სახელი არას გარგებსთ, და საღმრთოს მადლისაგან დაემზობით. თუ სათნოების საქმით შემკობილი არა ხარ, ძრისტეს სახელისა ხსენება შენთვის უხმარი არის; და თუ ვითარ—კვალად მაგალითი ვაჩუქნათ: სკევას ძენი სულთა უკეთურთა ზედა ახსენებდენ ძრისტესა და პავლეს სახელს, მაგრამ ქრისტეანობის საქმე რომ არა აქუნდათ რა, ცალიერის ძრისტეს სახელის ხსენებით არათუ იდიდნენ, უფროსად განკიცხულნი შეიქმნენ უკეთურთა სულთაგან და ესრეთ ჰრქჳს: „ნესო ვიკით და პავლესათვისცა მეცნიერ ვართ, ხოლო თქვენ ვინ ხართ?“

ეგრეთჲც თქვენ ლიტონის ძრისტეს სახელის ხსენებით მის მოწაფეობაში არ იდიდებით, უფროსად განკიცხული იქმნებით. თავისთავად ლიტონი სახელისდება ვისმე აღიდებდეს, ანტე ქრისტეც დიდებული იქნება, რომ ცალიერს ძრისტეს სახელს უწოდებდეს თავის თავს; და ამისთვის არათუ იდიდება უფროსად დაეშობა შერისხვისაგან საღმრთოსა;—ეგრეთჲც თქვენ ცალიერ ქრისტეანედ სახელსდებთ თავის თავს, და ამისგან არა თუ იდიდებით, უფროსად დაემზობით შერისხვისაგან საღმრთოსა.

ჩუნი ქადაგების დასაბამი კვალად მოვიხსენოთ: „რომელმან სთქჳს მისთანა ყოფა, თანა ამს, რათა ვითარცა იგი თავადი ვიღოდა, ეგრეცა მისი სღივა“. ძრისტეანენო! რომელნიც ძრისტესთანა ყოფასა და შედგომასა იტყვიან, წარმოაჩინეთ თქვენის სულის გზა, თუ ძრისტეს გზაზე ხვალთ, აჩუქნეთ თქვენნი განსასჯენებელი, თუ ძრისტეს განსასჯენებელად სათნო არის. რადგან ძრისტეს შედგომას და მისთანა ყოფას იტყვიან, როგორც ის თავადი ვიღოდა, თქვენც მსგავსად მისა

უნდა ხვილოდეთ. ღვთის-მეტყველი და მახარებელი მოანე ასე გამცნებს, როგორც ამ ქადაგების დასაბამი აცხადებს. ახლა აჩუქნეთ თიოგულმან გზა და სამყოფი თვისი, თუ ძრისტეს გზისა და სამყოფის მსგავსად არის. ამპარტყანების გზა არავის გაქტნდეს, თორემ ძრისტესგან შორს იქმნები, ამისთვის რომ ის სიმდაბლით ვილოდა, ვითარცა თვით ბრძანებს: „მშვიდვარ და მდაბალ გულითა;“ მდაბალი და მცირე არავინ შეუტრაცხყო, თორემ ძრისტესგან კიდევ შორს იქმნები, ამისთვის რომ ძრისტე მდაბალსა და უღონოს არ შეუტრაცხყოფს და მისს სახლში განისტყნებს, ვითარცა განისტყნა ზაქსა და სიმონ კანანელისა სახლსა შინა; არ შეიყვაროთ შფოთება, თორემ ძრისტე ღმერთი თქტყნთან არ დაადგრება, ვითარცა კმობს მოცაქული: „არა არს ღმერთი შფოთისა, არამედ მშვიდობისა“.

ძრისტეს ღვთისაგან რომელი გზა და რომელი საქმე განგაშორებდა, ეს ითქუა; აწ ეს უნდა ვსთქუათ, რომელი არის ძრისტეს მიმართ მიმყვანებელი გზა და რომელი არის ძრისტეს სათნო განსასტყნებელი. ძრისტეს მიმართ მიმყვანებელი გზა—სიმდაბლე და სიმშვიდე არის ორის მიზეზისათვის; პირველად ამისთვის, რომ ძრისტეც სიმდაბლით ვილოდა, ვითარცა ზემო ითქუა; მეორედ ამისთვის—სიმდაბლე და სიმშვიდე გლახაკის სიყვარულს გასწავებს, და გლახაკის სიყვარული ძრისტეს სიყვარული და თვისება არის, ვითარცა კმობს შფალი იესო: „რაოდენი უყავით ერთსა მცირეთაგანსა ძაათა ჩემთასა, იგი მე მიყავით“. ძრისტეს განსასტყნებლად სათნო არის სიმშვიდე, რომელი მოიწვევს ძრისტესა განსტყნებად და თანა მყოფად, ვითარცა თვით კმობს შფალი იესო: „ვის ზედა განვისტყნო, გარნა მშვიდსა და მდაბალსა და მყუდროსა ზედა და რომელი ძრწოდის სიტყუათაგან ჩემთა“. ვსთქუა ნიშანი შემოკლებით ქრისტეანობისა და ძრისტეს შედგომისა: თუ ეს ზემო თქმული ნიშნები მოგაქტს, სამართლად იქადი ქრისტეანობისა და მისის მოწაფეობისათვის; თუ ეს ნიშნები არ მო-

გაქტეს—ქრისტეანობისათვის შენი სიქადული ამაო, და ცუდი არის, ამისთვის რომ ქრისტე არ შეგრაცხს მისდა მოწაფედ, ასე გიბრძანებს: „არა გიცინი თქუენ ვინანი ხართ“; ამისთვის გიბრძანებს უცნობელობას, რომ მისის მოწაფეობის ნიშანი არ მოგაქტეს. თუ ვინმე იქადი და იტყვი: ჩუენ მარადის ეკლესიასა შინა ვართ და მუნ ლოცვასა შინა შევსწირავთ, და ვითარ არა ვართ ქრისტეანე,—მრავალ გზის მითქუამს და აწცა ვიტყვა: ეკლესიაში ლოცვა ქრისტეს მოწაფედ ვერ წარმოგაჩინს, თუ სხუა ნიშანიც არა გაქტეს რა ქრისტეს მოწაფეობისა. შარისეველი ეკლესიაში ილოცვიდა, მაგრამ სხუა კეთილი რომ არა აქუნდა რა ნიშნად ლეთის მსახურებისა, ამისთვის ლეთისაგან განვარდა;—ეგრეთუც შენ ეკლესიასა შინა ლოცვად მდგომარეობის მეტი სხუა კეთილი ნიშანი ქრისტეს მოწაფეობისა თუ არა მოგაქტეს რა, ქრისტეს მოწაფეობისაგან განვარდები; ამისთვის მიიღეთ სხუაცა კეთილი ნიშნად ქრისტეს მოწაფეობისა—სიმდაბლე, სიმშვიდე და მყუდროება, რათა ქრისტესთანა დაადგრეთ აწ და საუკუნეთა უკუნისამდე.



თავი 31. უღირსებით ზიარებისათვის.

ბრძანებს უფალი ჩუენი იესო: „იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხოვრებად საუკუნოდ“. საზრდელი ორს ეწოდება: ერთი რომელიც განხრწნალი და წარმავალი არის; მეორე—განუხრწნელი

და წარუალი, რომელიც პურად ანგელოზთა ითქმის, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ლავით: „და პური ანგელოზთა უჭამა კაცმან“. უფლისა იესოს სიტყუა წამავალის საზრდელისათვის არ არის—წარუალის საზრდელისათვის არის, ვითარცა აცხადებს შემდგომი სიტყუა: „რომელი ჰგიეს ცხოვრებად საუკუნოდ“; და პირველი სიტყვის დაწყება რომ არის—„იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა“.—**ეს** ქმნა ორად ითქმის: ერთი ქმნა არის, რომ მღუდელი მოქმედებს წმიდასა საიდუმლოსა ძალითა და მოქმედებითა უფლისა იესო ძრისტესითა; მეორედ ქმნად ითქმის მიღება წმიდისა საიდუმლოისა; ამას მიღებასა შეუდგება ცხოვრება საუკუნოდ და წარწყმედა;—ცხოვრება ღირსად მიმღებელთათვის, აწ წარწყმედა უღირსთათვის. **ორ**თავე ამათ ცხად ჰყოფს სიტყუა უფლისა: „იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა, რომელი ჰგიეს ცხოვრებად საუკუნოდ.“

ახლა პირველად მღუდელთა და შემწირუბლთა მიმართ უნდა ვჰყოთ ჩუბნი სიტყვა. მღვდელი და შემწირველი თანამდებობა არის, რომ დედაკაცისაგან უძლიერესი უნდა იყოს ძრისტეს მორჩილებაში, ამისთვის რომ მას უმეტესი მაღლი მისცემია ძრისტეს მიერ: მღუდელი არის დადგინებულნი წმიდათა ზედა საიდუმლოთა და არა დედაკაცი; მღვდლისათვის იტყვის უფალი პირითა მალაქია წინასწარმეტყველისათა: „ბაგენი მღუდელთაგანი იწუროთიდენ მეცნიერებასა და ჰსჯული იძიოს მისგან, რამეთუ ანგელოზი არს უფლისა ყოვლისა მპყრობელისა“. მღუდელთა უბრძანებს უფალი: „თქუთ ხართ ნათელი სოფლისანი!“ მსგოდენი უძლიერესობა აქუს მღუდელს დედაკაცისაგან მიცემული უფლისა მიერ. ღიდი სირცხვილი არ იქნება მღვდელთათვის, რომ დედაკაცისაგან უფრო უძლიურათ სჩნდეს ძრისტეს მორჩილებაში? **თუ** ვითარ, გამოვაცხადოთ: მარია მამადალინელმან ძრისტეს შეხება იწადა; ძრისტემან უბრძანა: „ნუ შემომეხები“; მყის მორჩილ ექმნა მარია მამადალინელი. **უნ** მღუდელს—გებრძანებს ძრისტე:

„იქმოდედ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა“; შენ არ ემორჩილები, ამისთვის რომ შენს წარსაწყმედელსა საზრდელსა იქმენადგან უღირსად ეხები წმიდასა საიდუმლოსა; ამისთვის უფრო უძლურად ხარ ძრისტეს მორჩილებაში მარიამ მაგდალინელისაგან: ის კი დამორჩილდა და არ შეეხო, რადგან დააყენა შეხებისაგან; შენ დაგაყენა უღირსად შეხებისაგან და არ მორჩილ ექმენ და უღირსად ეხები წმიდასა საიდუმლოსა; რადგან უღირსად ეხები, იუდას ემსგავსები, და თუ ვითარ—ვსთქვათ: იუდა უღირსად შეეხო წმიდასა საიდუმლოსა,—შენც უღირსებით ეხები წმიდასა მაგას საიდუმლოსა; იუდამ უსჯულოთა მისცა ძრისტე,—შენც უსჯულოთა მისცემ ძრისტეს, როდესაც უღირსად აზიარებ ვისმე: თუ შენ უღირსებით მიიღებ, უექველად სხვათაგან უღირსად მისცემ; იუდამ ესრეთ ჰყო: ჯერ თვით უღირსებით მიიღო, მერმეთ ჰურიათ მისცა,—ეგრეთჲს, ესეც უცილობელი არის, რათგან შენ უღირსად მიიღებ სხვათაცა უღირსებით მისცემ; იუდა განვიდა ძრისტესაგან დაისაჯა,—შენც ძრისტესაგან განხვედ და დაისჯები საუკუნოდ, ვითარცა ხმოზს მოციქული: „რომელი უღირსებით შკამდეს და სმიდეს სასმელსა ამას, დასაჯელად თავისა თვისისა სპამს და სვამს“.

მგების ეს ვინმე იიკვნოს და ჰსთქვას, რომ უღირსად შემხები არ დაისჯება. ეს ბოროტი იქვი განვაქარვიოთ და ვსთქვათ, თუ უღირსად შემხებელთათვის როგორ დამსჯელი არის. ჯერ ერთი მაგალითი მოვილოთ. ღიღებულის მეფის ვისიმე სურათი ასეთი რამ იყო, ვინც უგვანის ხელით შეეხებოდეს, ის სურათი ყოველსავე რისხვასა და სატანჯველსა მიაგებდეს; სურათის პირველი სახე რომ არის, თვით მეფე, ის უფრო რისხვის მიმცემი იქმნება თუ არა? უექველი არის, ის უფრო რისხვის მიმცემი იქმნება, მგრეთჲს ძველი სჯული ახლის სჯულის სურათი და მაგალითი იყო, და თუ ის ძველი სჯული, რომელიც აჩრდილი იყო, და უღირსად შემხებს დასჯიდა, ვითარცა დაისაჯა ნადაბ და აბიუდ, როდენად უფროსად

ეს ახალი ჭეშმარიტება უღირსად შემხებს დასჯის, დასტანჯავს და უფროსად ეშმაკის სადგურად იქმს, ვითარცა იუდა იქმნა სადგურ ეშმაკისა, ვითარცა სწერს მახარებელი: „და შემდგომად ჰურის მიღებისა შევიდა მისსა ეშმაკი“. უღირსებით მიღება წმიდისა საიდუმლოსა ესე ვითარს სიბნელეს მისცემს კაცს; და მიზეზი რა არის, რომ არ ეშინისთ და უღირსებით მიიღებენ?

მგების იქვეული იყოს ვინმე და ამას იტყოდეს: ჰური კორცად და ღვინო სისხლად ვითარ შეიცვლება? და არ სწამდეს ამათი შეცვალება. მადლითა ძრისტესითა ყოველი მათი იქვეულება კეთილად განემართოთ და ვარწმუნოთ ერს ჰურისა და ღვინოსა ძრისტეს კორცად და სისხლად შეცვალება. რადგან ამისი ეჭვი გაქრსთ, ჰური და ღვინო კორცად და სისხლად როგორ შეიცვალება, აქ ერთი შეცვალება ჩვენ ვიკითხოთ და გამოვიკვლიოთ ერისაგან. მით უეჭველად, რომ კაცი მიწისაგან არის შემდგარი, ვითარ იგი ხმობს მოსე ღვთისა მზრახველი შესაქმეთა შინა: „და შექმნა ღმერთმან კაცი მტვერისა მიმღებელმან ქტსყანისაგან“. ახლა ამას ვიკითხავ ერისაგან: დაშავებული უშვერი მიწა შტსნიერ კაცის ხორცად რამ შესცვალა? მრს ამის მეტი სათქმელი არა აქ ს რა -- ღმერთმან ინება და სიტყვიერის სულისაგან უშტსრი მიწა შტსნიერ კაცის ხორცად შესცვალა. მსგავსად ამისა მე გეტყვი: ინება ღმერთმან, და სულისაგან წმიდისა შესცვალა ჰური და ღვინო ხორცად და სისხლად ძრისტესსა. ჭვალად სხვა მაგალითი მოვიღოთ. ნაბუქოდონოსორ მეფემან სამნი ყრმანი რომ ცეცხლსა შინა შესთხინა, ცეცხლი ცუარად მაგრილობელად შეეცვალათ, ვითარცა სწერს წინასწარმეტყველი ლანიელ: „და ჰყო შორის სახმილისა, ვითარცა სული ცვარისა“. შინ ჰყო ეს ცეცხლი ცუარად? -- მით ქემან ღვთისამან, ვითარცა სწამებს თვით ხილვისაგან ნაბუქოდონოსორ მეფე და იტყვის: „სამნი შეესთხინ და ვხედავ აოხთა: ხოლო ხილვა მეოთხისა მსგავსი ძისა ღვთისა“. მტერისაგან მო-

წამეობით დამტკიცდა—ქემან ლვთისამან სამთა ყრმათა ცეცხ-
ლი ცუარად შეუცვალა. იგივე ქე ლვთისა, რომელმან ცეცხ-
ლი ცვარად შესცვალა მონათა თვისათვის, დღესეც მონათა
თვისთა მორწმუნეთათვის შესცვლის პურსა და ღვინოსა ხორ-
ცად და სისხლად თვისად. ქვალად მაგალითი. მთხისა დღისა
მკუდარი და აყროლებული ლაზარე ცხოველ კაცად რამ შეს-
ცვალა?—ქრისტემან კმა უყო, ქრისტეს ხმასა თანა სიტყვიერი
სული მოეფინა და ცხოველად კაცად შესცვალა. მგრეთჳს
ქრისტე კმა უყოფს პურსა და ღვინოსა: „ესე არს ხორცი
ჩემი და ესე არს სისხლი ჩემი“, და მოეფინების სული-წმიდა
და იქმნების ხორცად და სისხლად ქრისტესა.

თუ პურისა და ღვინისა ქრისტეს ხორცად და სისხლად
შეცვალეზას არ აღიარებ, ანუ ყოვლითურთ ცრუდ აღმო-
ჩნდები, ანუ ქრისტეს უარის მყოფელად. ვითარ? თუ იტყვი:
ქრისტეს არა უბრძანებია პურისა და ღვინისა თვისად კორ-
ცად და სისხლად შეცვალეზა, აქ ყოვლითურთ ცრუდ აღმო-
ჩნდები, ამისათვის რომ თვით ქრისტემან ბრძანა: „ესე არს
ხორცი ჩემი და ესე არს სისხლი ჩემი“, ვითარცა სწერს მატ-
თე მახარებელი. თუ იტყვი: ქრისტემან ბრძანა, მაგრამ არ
შეიცვალა,—აქ ქრისტეს უარის ყოფაში შთავარდები, რომ
ქრისტეს უძლოურად ჰხადი. გამხილებს ცთომასა ამას მოციქუ-
ლი და გეტყვის: „ბრძანებასა მისსა ვინმე წინა აღუდგა“? და
ღავით იტყვის: „ყოველივე რაოდენი ინება, ჰქმნა ცათა შინა
და ქრესყანასა ზედა“. თუ ამას იტყვი, რომ ვითარ შეიცვა-
ლება პური და ღვინო ხორცად და სისხლად ქრისტესა,—
რადგან ვითარება იკითხე შეცუალეზისა, აქ ერთი სარწმუნო
და ჭეშმარიტი მაგალითი უნდა მოვიღოთ. ლვთის-მწმობელს
მარიამს ბაბრიელ ანგელოზმან სიტყვისა ლვთისა მუცლად
ღება რომ ახარა, ქალწულმან ჰკითხა: „ვითარმე იყოს ესე
ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“ ანგელოზმან მიუგო:
„სული წმიდა მოვიდეს შენ ზედა და ძალი მადლისა გფარვი-
დეს შენ“. მგრეთჳს შენ რომ იკითხავ, ვითარ შეიცვალეზის

პური და ლეინო ხორცად და სისხლად ძრისტესა, ანგელოზისაებრ გეტყვი: სული წმიდა მოვალს და ძალი მალლისა ჰყოფს პურსა და ლეინოსა ხორცად და სისხლად ძრისტესა. თუ ამას იქვეულებ, რომ რასათვის სრულ ძრისტედ ვერ ჰხედავ და ისევ პურად ჰსჩანს და ამისთვის არა გრწამს, აქ ამას გეტყვი: რასაც თვალით არ ჰხედავ, თუ არ ირწმუნებ, შენს სულს ვერ ხედავ და შენი სულიერება არ უნდა გრწამდეს; თუ სულს ვერ ხედავ და უხილავად სულიერება გრწამს, უხილავად ესეც სრულ ძრისტედ უნდა ირწმუნო. თუ ამითი ვერ დაირწმუნებ, ახლა სხუა სიტყვა შემოვიღოთ წინამდებარე ხორცი და სისხლი ძრისტესი ამისთვის მოგვეცა, რომ საზრდელად სულთა მივიღოთ და ძრისტესთანა ვეგნეთ, ვითარცა ბრძანებს შუალი: „რომელი შეჰამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემთანა დადგომილ არს და მე მისთანა“. და სრულ ძრისტედ რომ ხედვიდე, ძრისტე სრული ღპერთი და კაცი არის და სრულს კაცს საზრდელად როგორ მიიღებ? შენგან შეუძლო არის სრულს კაცს ხედვიდე და ის სრული კაცი საზრდელად მიიღო. ამისთვის სრულ ძრისტედ არ გეჩქენება, და პურის სახედ ხედავ, რომ მიიღო და ამ საიდუმლოსაგან ცალიერი არ დაშთე.

ახლა ერთი მაგალითი მოვიღოთ. მარტო ნზეს თავის თავად რომ მიხედო, ვერც ხილუას შეუძლებ და შენს უძლურს თვალს კიდევ აენებს; თუ სხვათა ნივთთა შორის მიხედავ, არც შენს სახედველს რასმეს აენება და მის ნათელსაც კეთილად განიხილავ და თვალსა შენსა ახარებ;—ეგრეთჲც თვით სრულის ძრისტეს ხილვა რომ იწადო, შენი გონება მისს ხილვას ვერ შეუძლებს და კიდევ აენებს შენს გონებას ამპარტავენებისათვას, რომ თვით ძრისტეს ხილვა იადე; თუ სხვასა ნივთსა შორის, ესე იგი პურის სახეში განიცდი კეთილად და ჯეროვნად, არც შენს გონებას აენებს და კიდევ განგანათლებს. აწ საღმრთოს წერილით ვიმეტყულოთ. აბრაჰამისა, მოსესსა და ილიასაგან შენ უმჯობესი არა ხარ. ათ

არათუ თვით ჰარტივი ლეთის არსება იხილეს, სხვასა ნივთსა შორის იხილეს ლმერთი: აბრაჰამმა სამტა კაცთა სახესა შორის, მოსემ — ჰრუბელთა შინა, ილიამ — ნიავ-წყალსა შინა. ამათ ესე ვითართა ნივთთა შინა იხილეს ლმერთი და აღიარეს. შენ თუ ქემშარიტი ლეთის მონა ხარ, პურისა სახესა შინა იხილე გონებითა ძრისტე ლმერთი და აღიარე.

ღა თუ ამისი ექვი ვისმე აქტს, რომ მრავალი ძრისტე არ არის, ერთი ქემშარიტი ლმერთი არის, და მრავალნი რომ მიიღებენ, რადგან ერთი ძრისტე არის, ყოველნივე სრულს ძრისტეს როგორ მიიღებენ, — ამ საქმისათვის მაგალითები უნდა მოვიღოთ საჩუბნებელად. შოველი ქუსყანა მზისაგან განათლდება, მაგრამ მრავალი მზე არ არის, ერთი მზე არის. მგრეთჲს ყოველი ქუსყანა მართლმადიდებელთა ამის საიდუმლოისაგან განათლდება, და არა თუ მრავალი ძრისტე არის — ერთი ძრისტე არის. ისრაელის ერის სიმრავლე დიდად მწყურველი კლდისაგან წყალსა სმიდენ, მაგრამ არათუ მრავალი წყარო იყო, ერთი წყარო იყო. მგრეთჲს ახალი ისრაელთა სიმრავლე, ერთი მორწმუნეთა, წყურვიელი უკუდავებისა წყაროსა სვამს კლდისაგან მომდინარესა წყაროსა, ესე იგი ძრისტეს მიერ ამას წმიდასა საიდუმლოსა, და არათუ მრავალი ძრისტე არის, ერთი ძრისტე არის. მრთი ზვარაკი მრავალს მშიერს აღავსებს, და მრავლის აღუყვებისათვის ის ზვარაკი მრავალ ზვარაკად არ შეიქმნება. მგრეთჲს ზვარაკად წოდებული შუალი ჩუბნი იესო ძრისტე მრავალთა მორწმუნეთა ერთა აღმოავსებს, და მრავალთა აღუყვებისათვის ძრისტე არ განმრავლდების, იგივედ ერთად ძრისტედ ეგება. სარწმუნოება ქემშარიტი ყოველთა მართლ-მადიდებელთა ერთა სიმრავლესა უპყვრია, — მრავალთა პურობისათვის სარწმუნოება სხუა და სხუად არ განმრავლდება, ერთი და იგივე სარწმუნოება არის, ვითარცა ხმობს მოციქული: „ერთ-შუალ, ერთ სარწმუნოება“; მგრეთჲს დღეს ყოველთა მართლ-მადიდებელთა ძრისტეს ხორცი და სისხლი მისაღებელად უპყრია, მაგრამ მრავალთა პურობისა და მიღებისა-

თვის ძრისტე არ განმრავლდებ:— ერთი და იგივე ძრისტე არის.

და თუ ვინმე კადევე ამის იქვე არის, რომ წმინდის ზიარების საღმრთლოსა რომელიმე მცირე ნაკვსის მიიღებს და რომელიმე უდიდესს, სახილველობით ასე სჩანს, და უფროსის მიმღებელს არ ემატება და უმცირესის მიღებელს არ დააკლდება, ყოველნივე ისე ერთს ძრისტეს მიიღებენ. ეს თუ ვითარ არის, რომ უდიდესის მიმღებელს არა ემატება რა და უმცირესის მიმღებელს არა დააკლდება რა, ყოველნივე ისრე სრულს ძრისტეს მიიღებენ— აქაც მაგალითებრი უნდა მივიღოთ ამ იქვის განსამართლებლად. წარმოვაყენოთ ყრმა მცირე სამისა წლისა და მამაკაცი დიდი ოც-და-ათ-ცამეტისა წლისა; ყრმის სიმცირე სიტყვიერს სულს ვერ დაამცირებს და სრული მამაკაცის სიდიდე სიტყვიერს სულს ვერ განადიდებს,— ორთავე ისე სრული და უნაკლულო სული აქვს. მგრეთჳს ნაკვეთით მცირე სახილველობა ძრისტეს ვერ დაამცირებს და ნაკვეთით დიდ სახილველობა ძრისტეს ვერ განადიდებს,— ორთავე შინა ერთი და იგივე სრული ძრისტე არის. წყურვიელი წყაროს რომელიმე დიდის ჭურჭლით მიიღებს და რომელიმე მცირით; დიდის ჭურჭლით მიმღებელს წყაროზედ არა მოემატება რა და მცირის ჭურჭლით მიმღებელს არა დააკლდება რა წყაროსაგან,— ორივე ერთად სრულს წყაროს მიიღებს. მგრეთჳს ამ უკდავების წყაროს წმინდის ზიარების წყურვიელი სახილველობით რომელიმე მცირეს მიიღებს და რომელიმე დიდს; დიდის მიმღებელს არა ემატება რა, და მცირის მიმღებელს არა დააკლდება რა,— ორნივე ისრე სრულს ძრისტეს მიიღებენ, ვითარცა ამტკიცებს საქმესა ამას ისრაელთაგან მიღება მანანახსა. მანანას თვისება ეს იყო, უფროსს რომელიც შეიკრებდა, არა ემატებოდა რა, უმცირესსა რომელიც შეიკრებდა არა დააკლდებოდა რა,— ორივესავე სწორი საკმავებელი საზრდელი იყო, ვითარცა სწერს მოსე ღვთისა მზახვალი: „რომელმან იგი უფროსი მიიღო, არა ემატა და რომელმან იგი უმცირესი მიიღო, არა დააკლდა“. მგრეთჳს უკდავ მყოფელი

მანანა, რომელ არს ხორცი და სისხლი ჭრისტესი.— ამისი თვისება ეს არის: რომელიც ნაკვეთობის სახილველობით დიდს მიიღებს, არ ემატება, და რამელიც მცირეს მიიღებს, არ დააკლდება,—ორივე ისე თანასწორად სრულს ჭრისტეს მიიღებს. ღვესძინოთ სხვა მაგალითი. აბრაჰამმა სამთა კაცთა სახისა შორის იხილა შვალი, ილიამ—მცირე ნიაფყალსა შინა; აბრაჰამმან სამთა კაცთა შორის რომ იხილა, ილიას მიერ ხილულის შფლისაგან უდიდესი შვალი არა უხილავს; და ილიამ რომ ნიაფ-წყალსა შინა იხილა—აბრაჰამის ხილულის შფლისაგან უმცირესი შვალი არ უხილავს. მგრეთჳს ამას წმიდასა საიდუმლოსა შორის დიდის ნაკჳთის მიმღებელი უდიდესს ჭრისტეს არ მიიღებს მცირის ნაკჳთის მიმღებელისაგან, და მცირის ნაკჳთის მიმღებელი უმცირესს ჭრისტეს არ მიიღებს უდიდესის ნაკჳთის მიმღებელისაგან,—ორნივე ერთს სრულს ჭრისტეს მიიღებენ.

თუ ამას გამოიძიებ, რომ რასათვის პური და ღვინო შესცჳალა ჭრისტემან ხორცად და სისხლად თვისსა და არა სხვა რამე ნივთი,—საყვარელო, საკურნებელი წამალი იქილამ მოსცა ლმერთმან კაცს, რომლისაც კაცს მიღების ჩჳსულება აქჳნდა, ამისთვის რომ უფრო სურვილით მიიღებენ კაცნი და არ განეშორებიან, ვითარცა მკურნალი საკურნებელს წამალს ყრმას ამითი შეუმზადებენ, რომელიც საზრდლის ჩჳსულება აქჳს, ამისთვის რომ ყრმა საკურნებელს წამალს უფრო სურვილით მიიღებს. მგრეთჳს ლმერთმან კაცთა საკურნებელი წამალი იქილამ შეუმზადა, რომელსაც კაცი ჩჳსული იყო, ამისთვის რომ უფრო სურვილით მიიღებენ კაცნი. ვითარცა კაცს ჩჳსულება აქჳს წყლით ბანისა და ზეთით ცხებისა,—ორთა ამათაგან შეზავა ლმერთმან მადლი სულისა წმიდისა და მოგვცა ნათლის ღება. ჭვალად კაცთა ჩჳსულება აქჳს პურისა და ღვინისა მიღებისა; ესენი ჰყო ჭრისტემან ხორცად და სისხლად თვისსა, რათა სურვილით მოვიდოთ და ვსცხოვნდეთ საუკუნოდ. რომელიც ვრს საეღველი რამე აქჳნდა, ვგო-

ნებ, მაღლითა ძრისტესითა, ყოვლის იტვის დასახსნელი სიტყვა და საქმე მოვიღეთ, და თუ ვინმე გულ ფიცხელობათ არ განაგდებს ჩუენს სიტყუას, სარწმუნოდ აღმოიჩინა ჰურიისა და ღვინისა ძრისტეს ხორცად და სისხლად შეცვალება.

აწ ეს არის ჩუენი საძიებელი, მიზეზი რა არის რომ უღირსებით ეხებიან წმიდასა საიდუმლოსა? სხვას მიზეზს ვერას ჰპოვებთ, თვინიერ ამისა — სიძულილისათვის ძრისტეს შეურაცხ ჰყოფენ. ვითარცა იუდამან დაივიწყა სიყვარული ძრისტესი და შეურაცხჰყო, ვგრეთჲს დღეს უღირსად შემხებნი ამის წმიდისა საიდუმლოისანი ძრისტეს სიყვარულს დაივიწყებენ და შეურაცხჰყოფენ; არათუ მარტო ძრისტეს შეურაცხყოფენ, — ძრისტეს რა შეურაცხყოფენ, საუკუნო მამასაც შეურაცხყოფენ, ვითარცა თვით ბრძანებს უფალი იესო ძრისტე: „რომელმან მე შეურაცხ მყოს, არა მე შეურაცხ მყოფს, არამედ მომავლინებელსა ჩემსა“. მგების საწყინოდ ვისმე. შეეკმნას ჩემი სიტყუა და ჰსთქუას: იუდას რათ გვაშგავსე. — იუდას საქმესა ჰყოფ და ამისთვის მას გაშგავსებ. იუდა უღირსის ბაგით შეეხებოდა ძრისტეს — და შენც უღირსის ბაგით ეხები. აქ თუ იუდა არ გიწოდო, პეტრე რომლის საქმით გიწოდო, რომ მისი საქმე არა გაქუს? პეტრე ნაესა შინა ძრისტესთანა იშიშვოდა და იტყოდა: „განვედ ჩემგან უფალო, რათა კაცი ცოდვილი ვარ!“ შენ არ იშიშვი და უღირსად ეხები. პეტრე სიტყვით ცთომისათვის მწარედ სტრემლეობდა, — შენ დიდთა საქმით ცოდვისათვის არცა ერთსა ცვარსა ცრემლთასა დამოადინებ. რომელი ჯეროვნება იქმნება, რომ პეტრე გიწოდო? აწ მსხვერპლის შემწირველთა მღვდელთა შესაძრწუნებელი ძრისტეს სიტყვა ისმინეთ: „მიმცემელსა ჩემსა უდიდესი ცოდვა აქუს“. მიხედე პატოხანო მღვდელო! ყოვლისაგან უძიმესს ბრალს შენ გდებს ძრისტე, ამისთვის რომ ეს წმიდა საიდუმლო შენ გარწმუნა და ასე განგაკრძალა: „ნუ დაუფენთ ღორთა მარგარიტთა და ნუცა ძალთა სიწმიდესა“, შენ არ იმარხავ ამ სიტყუას, და რომელიც ღორებრ ცოდვაში იწუნ-


პება და ანუ ძალღებრ, თავის ცოდვის ნათხევარს მიექცევა, წმიდას საიდუმლოს მას აძლევ, — სამართლად შენ უდიდესი ცოდვა გაქვს! მიხედვ შენს უჯეროებას, შენ ძრისტე დიდად პატივგცემს და გიბრძანებს: „და წარგიყვანე თქვენ თავისა ჩემისა თანა“. ძრისტეს მასთან მიყავებარ, და შენ ძრისტე უსჯულოთა მიცემად მიყავს! ეს საქმე ამას ემსგავსება: ძრისტე იუდას პატივსცემდა და ფერხთა ბანდა, ის განცემასა და სიკუდილს იწურთიდა. ძაცისა დიდებულისა სურათი რომ დიდებული პატივსცემული იყოს, უეჭველად წვით ის დიდებული კაცი უფროსად პატივსაცემი იქმნება. ახლა ამას მიხედვ: ძველს ჰსჯულნი დიდმან ღვით აბიშელიქ მღვდლისაგან პური ითხოვა, აბიშელიქ ჰრქვა: შესაწირავის პურის მეტი არა მაქვს, და მას, რომელნიც დედათაგან დაცულნი არ არიან, ვერ შეეხებიან. აჩრდილს და სახეს ახლისა ამის ქვეშარიტებისასა აჩრდილსა შინა მყოფი მღვდელი ასე ეკრძალოდა; შენ ქვეშარიტებაში მყოფს მღვდელს და თვით ქვეშარიტის საიდუმლოს მსახურს რაოდენი ზეშთა უდიდესი კრძალვა თანა-გაძს, თუ მღვდ ლობის წესისაგან არ განხვალ!

მგების ერი მწუხარე იქმნას და ჰსთქვას: თუ განვეშორით ამას წმიდასა საიდუმლოსა, ცხოვრებას ვერ მოვიპოვებთ, ამისთვის რომ შეფლისა იესოს მიერ ასე გვასმია: „უკეთუ არა შეჰამოთ ხორცი ძისა ძაცისა და სვათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხოვრება თავთა შორის თქვენთა“; თუ მოვილოთ — შიშისაგან განვილევით, ამისთვის რომ არ დავისაჯნეთ. ეს საძიებელიც კეთილად განვმართოთ მადლითა ძრისტესითა და ერი ამის ზრუნვისაგან გამოვიყვანოთ. საყვარელნო, არც უნდა დაისაჯნეთ ამის წმიდისა საიდუმლოსაგან, რომ უღირსებით არ უნდა მიილოთ; არც ცალიერნი უნდა დაშთეთ უსასყიდლოსა ამის მარგარიტისაგან, ამისთვის რომ ღირსებით და სიწმიდით უნდა მიიღებდეთ, ვითარცა ორთავე ამათ გაწვევსთ სიტყუა შეფლისა, რომელ არს დასაბამი ქადაგებისა ამის: „იქმოდეთ ნუ საზრდელსა წარსაწყმედელსა, არამედ საზრდელსა რომელი

ჰგიეს ცხოვრებად საუკუნოდ“. ახლა ამისი მაგალითი უნდა მოვიდოთ. სწეული მტკიცე საზრდელს რომ სრულებით შო-შორდეს, სიკუდილს მიეცემა; თუ სწეულებისაგან არ განწმ-და და სწეულებაში მყოფმან მტკიცე საზრდელი მიიღო, კი-დევე განიხრწნება, ამისთვის რომ სწეულებისაგან მოუძღურე-ბული აგებულება საზრდლის სიმტკიცეს ვერ იტვირთავს. მგ-რეთჲს ცოდვის სწეულებაში მყოფი თუ სრულიად განეშორა ამას წმიდასა საიდუმლოსა, სულით სიკუდილს, ესე იგი საუკუნო წარწყმედას მიეცემა, და თუ ცოდვისაგან არ განწმდა და ისე მიიღო სულით და ხორციით საუკუნოდ დაისჯება; ამისთვის რომ ცოდვისაგან მოუძღურებული სული წმიდის საიდუმლოს კეთილობის ძალს ვერ იტვირთავს.

მგების ეს ვინმე იიქვნოს, წმიდა საიდუმლო რომ ყოვ-ლითურთ კეთილი არის, მიმღებელს ბოროტი რასათვის შეხჯ-დება?—თუ რასათვის შეხჯდება ბოროტი, ეს ზემო ითქჳა, მაგრამ უფრო გამოცხადებისათვის კიდევ ვსთქვათ ამისი მაგა-ლითი. ქეთილი და უცხო სუნნელი ზეთი ღორს მოჰკლავს, ამისთვის რომ სიმყალის მოყვარე ზეთის კეთილ სუნს ელენა ვერ იტვირთავს და მოჰკუტდება. მსე არათუ სუნნელის სიბო-როტის მიზეზი არის,—უფროსად ღორის სიმყალის მიზეზი არის. მგრეთჲს ღორებრ ცოდვის სიმყალეწი რომ იწუნვე-ბა, ეს წმიდა საიდუმლო სულით მოჰკლავს. არათუ სიხენც-შის მიზეზი არის,—უფროსად ცოდვის მოყვარის სიბოროტის მიზეზი არის. აწ საღმრთოს წერილიდამ მაგალითი მოვიდოთ და ვაჩუქნოთ ერს, თუ ვითარის სახით უნდა ამის წმიდისა სა-იდუმლოსა მიღება. ისრაელნი ცხოვარს ამ სახით შეჰამდენ: წელმორტყმულნი, სანდალ შესხმულნი, კელთ კვერთხის-მპყრობ-ნი, სწრაფით სჰამდენ. წელ შერტყმულება ნიჲნავს ქალწუ-ლებასა, სანდალ-შესხმულება—მსახურებისათვის მზა ყოფასა, კვერთხის პყრობა—კეთილთა ზედა მტკიცედ მდგომარეობასა, სწრაფით სჰამა—სურვილსა. ძველს პასექს ისრაელნი ასე შეჰამ-დენ. რადგან ის ძველი პასექი ახლისა ამის ცხოვრებასა შირს-

ტეს მოსწავება იყო, მსგავსად მისსა კრძალვით უნდა მიიღოთ: წელ შერტყმულებითა, ესე იგი ქალწულებისა სიწმიდითა,— და უკეთუ ვინმე სკოდოს, კვალად სინანულისა განახლებითა; სანდალ-შესხმულებითა, ესე იგი ძრისტეს მსახურებასა ზედა განმზადებითა; კვერთხისა ჰერობითა, ესე იგი ძრისტეს მცნებასა ზედა მტკიცედ მდგომარეობითა, სწრაფით—ესე იგი სურვილით და ტრფიალებით მიიღოთ ხორცი და სისხლი ძრისტესი, რათა ძრისტესთანა ვგნეთ აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.



თავი 32. ანგაწებისათვის.

ბრძანებს შფალი ჩჷსნი იესო: „დაიცჷსნით თავნი თქჷსნი ყოვლისაგან ჰანგაარებისა, რათა არა ნამეტნავ ვისამე არიან ცხოვრება თვისი“. — „ყოვლისაგან ჰანგაარებისა“ რომ იტყვის, „ყოვლისაგან“ ამითი ჰსჩანს, რომ ჰანგაარება ერთი გვარი არ არის, მრავალგვარი არის. შემოკლებით რომ ვსთქვათ, ყოველი უსამართლოდ შეკრებული—ჰანგაარება არის. რადგან უსამართლოდ შეკრებულნი ჰანგაარებად ითქვა, აწ ეს ვიძიოთ, სამართლით მიღებული რომელი არის? შფლისა იესოს სიტყვა ასე აცხადებს: რომელსაც მეტი აქჷს თავისი ცხოვრების სახმარი, ნამეტნავისაგან ნებსით მიღებული სიმართლით არს და არა ჰანგაარება; და თუ ვისიმე ქონებული თავისის ჯეროვანის სახმარისაგან მეტი არ არის და ისე იძულებით მიუღო ვინმე—ჰანგაარებად შეირაცხება. მივხედოთ შფლის სიტყვას: „დაიცჷსნით თავნი თქჷსნი ყოვლისაგან ჰანგაარებისა,

რათა არა ნამეტნავ ვისსამე არიან ცხოვრება მისი“. ეს სიტყვა ასე აცხადებს: ჯეროვნის სახმარისაგან ვისაც მეტი აქტს, მისგან ნებსით მიღებული ჰანგაარებად არ შეირაცხება; თუ ჯეროვანის სახმარისაგან მეტი არა აქტს და ისე იძულებით მიიღო ვინმე, ჰანგაარებად შეირაცხება. **უფლისა იესოს** სიტყვის ძალი ასე აცხადებს. **აქ უფალნი და მთავარნი** განრისხდებიან და რისხვით წინააღმდეგობას დაიწყებენ და იტყვიან: რადგან ჩუნი მონა არის, ვალი აქტს ჩუნის მსახურებისა და უნდა გვამსახუროს; თუ მონათაგან არას მივიღებთ, როგორ უნდა ვიცხოვროთ. **აქ** ნაცვალნი პასუხი ეს უნდა მიუგოთ: **შენც** მონა ხარ **ლეთისა** და ვალი გაქტს მისის მსახურებისა, მაგრამ შენგან შეუძლებელს არას ითხოვს. **მოიხსენე უფლისა იესოსი**—მდიდართა და გლახაკის ქვრივისაგან არც იძულებით მიუღია რამე და არცა შეუძლებელი, რომელიც შეეძლოთ მდიდართაცა და გლახაკთაც ნებსით შესწირეს და არა იძულებით. **მგრეთჲც** შენ შენთა მონათაგან, მდიდართა და გლახაკთაგან, შეძლებისაებრ ნებსით უნდა მიიღო და არა იძულებით. **უღონომან** და **გლახაკმან** ნებსით რომ რამე გიძღუნას, შენ, თუ ჰეშმარითი ჰრისტეს მოწაფე ხარ, უმეტესი უნდა მისცე, ამისთვის რომ შენც შენი ჰრისტე მცირედისათვის უმეტეს გაძღვეს და ასე გაბრძანებს: „ას წილად მიიღოს“; და თუ მისი მოწაფე ხარ, შენც ჰრისტეს უნდა მიემსგავსო და მცირედისათვის უმეტესი უნდა მისცე უღონოთა.

ძეალად მეტყვიან წინააღმდეგომნი: თუ მონათაგან ხარკის აღება ჯეროვანი არ არის, რასათვის? ბრძანა **უფალმან იესომ**: „მიეცი თ კეისრისა კეისარსა“,— შეძლებისაებრ და ნებსით მიცემა ბრძანა, თორემ შეუძლებელს და იძულებით **ლმერთი** არას ბრძანებს; თორემ ამას მიხედვით, რომელიც ახლა მოცუაქულოთა და მამათაგან განჯრცნელებული სარწმუნოება არის, ეს **აბრაჰამის** ჟამში არ იყო, ამისთვის რომ ჰრისტეს მიერის მადლით ეკლესია არ განათლებული იყო. რადგან არ იყო მაშინ ესე ვითარი სარწმუნოება, **აბრაჰამისგან** **ლმერთმან** ეს

განვრცელებული სარწმუნოება არ იძია, მარტო რწმუნება ლეთისა—რომ ლმერთი ირწმუნა—იმის მიერ განამართლა, ვიოარცა დასწერს მოსე ლეთისა მზრახვალი და იტყვის: „პრწმუნა აბრაჰამისა ლმერთი და შეერაცხა მას სიმართლედ“. **თუ** აბრაჰამს ჟამში რომელიც არ იყო ის სარწმუნოება არ იძია, რომელი სამართალი არის, შენ რომ შენის მონისაგან შეუძლებელი ნივთიური რაჟმე ითხოვო? **თუ** ლმერთმან უდიდესი და უბრწყინვალესი სარწმუნოება მის ჟამისა მონათა შორის, რადგან უპოვარი იყო, არ ითხოვა იმ ჟამად, უმცირესს განსახრწნელს შეუძლებელს ნივთს რასმე იძულებით რათ ითხოვ შენის მონისაგან? ძვალად ისრაელთა შორის რომელთაც შეეძლოთ შესწირვიდენ შუალს ოქროს, ვერცხლს და სხჯათა ნივთთა; რომელიც შეუძლებელი იყო და უღონო იყო, ისინი ორს გვრიტს, ანუ ორს ტრედის მართჷს შესწირვიდენ. შუალი არ აიძულებდა და სათნო იყოფდა, ამას მცირესა შესაწირავსა. **თუ** შუალი შენი უღონოთაგან მცირეს შეიწირვიდა და არ აპირებდა,—თუ ჭეშმარიტი შულის მონა ხარ უღონოს შენს მონას ნუ აპირებ და შეძლებისაებრ მცირედი მიიღე მისგან.

იტყვიან რომელნიმე: ეს ხარკი ჩჷსნთა მონათა ზედა პირველთა კაცთაგან დადებული არის და ჩჷსნ რა ვჷყოთ? საყვარელო, ამითი ვერ განმართლდებით, ამისთვის რომ პირველთა კაცთა მრავალი მოიღეს უჯერო საქმე; ვითარცა მოიღეს მრავალთა და დასდევს კერპთ-მსახურება და მრავალი საძაგლება, მაგრამ რომელნიც ჭეშმარიტნი ლეთის მონანი იყვნენ, უჯერო საქმე არ შეიწყნარეს და თავისის თავისაგან შორს ჰყჷს. მგრეთჷს თქჷსნ პირველთა კაცთაგან დადებული არისო, ამისთვის უგვანი საქმე არ უნდა შეიწყნაროთ და შორს უნდა განიოტოთ. აქ ერთი სახე მოვილოთ ძველის წერილიდამ. პირველითგანვე დადებული არის ვაჷრობათა და მოყიდვათა შორის ნაცვალი რაჟმე ფასი უნდა დასდვას კაცმან, ეს პირველითგანვე დადებული არის; მაგრამ ჭეშმარიტმან

მონამან ლეთისამან იოსებ იაკობის ძემ, რომელიც იფქლის განყოფილ გამოჩნდა, რომელიც მისთა ძმათა ვეცხლი მიართვეს იფქლის ფასად, ის ვეცხლი ისევ მისცა, ამისთვის რომ უღონონი იყენენ მისნი ძმანი; მან მონამან ლეთისამან უღონოთაგან ფასი არ მიიღო, თუმც პირველითგან დადებული არის ფასის მიღება, მაგრამ იოსებ ლეთის მონებისათვის ჰრიდა უღონოთა. თუ მან ფასისათვის არ შეაწუხნა უღონონი, პირველითგან დადებულებისათვის უღონოთა მონათა რად შეაწუხებ უფასოსა საქმისათვის? წინააღმდეგომნი და ნიეთის მოყვარენი იტყვიან: იოსებმან მისნი ძმანი შეიწყალნა და ისევ მისცა იფქლის ფასი ვეცხლი, მაგრამ ჩუტნ მონათაგან აღვიღებთ ხარკს და არა ძმათაგან. აქ ძრისტეს სიტყვა უნდა მოვილოთ. შენ მარტო მონებას ამბობ და ძრისტე ასე გიბრძანებს: „თქვენ ყოველნი ძმანი ხართ“. მთავარნო და ხელმწიფენო! ეგ თქუტნის ხელმწიფება ლეთისა მიერ არის, ვითარცა იტყვის მოციქული პავლე: „და რომელნი იგი არიან კელმწიფებანი, ლეთისა მიერ განწესებულ არიან“. თქუტნის ხელმწიფების განმაწესებელი შუალი არავის აიძულებს, შეუძლებელს არავისაგან ითხოვს. ამისი სიმტკიცე ზემო ძველიდამ მოგახსენე; ახლა ახლიდამ მოგახსენო. მაცხოვარი ჩუტნი შუალი იესო ძრისტე ვნების ჟამში რომ სწუხდა, თვისთა მოწაფეთა მღვიძარება ამცნო და უბრძანა: „იღვიძებდით და ილოცევდით“. თვისთა აღრჩეულთა მოწაფეთაგან ეს ერთი მღვიძარება ითხოვა; მათ ვერ შეუძლეს მღვიძარება; რადგან ვერ შეუძლეს, არღარა აიძულა ძრისტემან, არცა შეაწუხა და უბრძანა: „დაიძინეთ ამიერთგან და განისუტნეთ“. ხედავ, აქ რომ თქუტნის ხელმწიფების განმაწესებელი შუალი და მოძღვარი თვისთა მონათაგან შეუძლებელს არას ითხოვდა, არც აიძულებდა, თქუტნის თქუტნთა მონათაგან შეუძლებელს ითხოვთ და მწუხარებას აძლევთ!.. ცხადად ჰსჩანს, რომ თქუტნის შულისა და ლეთის განწესებისა და მოძღვრებისაგან შორს ხართ.

მგების იძიოს ვინმე ამისი სწავება, თუ რომელი არის

უსამართლოდ და ჰანგაარებით მონისაგან აღებული. რომელიც შენგან აღებული მისი სხეულის ცხოვრებას შეაწუხებს და შესაწუხებელს იწროებას მისცემს, ამისი მსგავსი აღებული ყოველივე ჰანგაარებად შეიროცება. იტყვის ვინმე: თუ ჩვენთა მონათაგან არა მოვიღოთ რა რომლით საქმით უნდა ვიცხოვროთ? შენის ცხოვრებისათვის შენს მონას რათ აიძულებ? მისგან იძულებით აღება ჰანგაარებად შეგეცრაცება, და ჰანგაარება სასუფეველისაგან განგაწორებს, ვითარცა ხმობს მოციქული: „არცა ანგაართა სასუფეველი ლეთისა ვერ დაიმკვიდრონ“. მე გასწაო და მიგიძღვე შენის ცხოვრების გამომზრდელისა ძრისტეს მიმართ; მისგან მიიღე, რომელიც რამ კეთილი გესახმარებოდეს ის უპრო უშურველად და სავსებით მოგცემს, არც გაყვედრებს და უტყუელად მოცემასაც აღგიტყამს, რომელსაც ჯეროვანს ითხოვ, და გიბრძანებს: „ითხოვდით და მოგცესთ“. და თუ იძულებით მიტაცების სურვილი გაქვს, ეს უმჯობესი არ არის, რომ იძულებით სასუფეველი მიიტაცო? ვითარცა ბრძანებს შფალი იესო: „სასუფეველი ცათა იიძულებს, და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი“. და თუ ამას იტყვი: იესო ნივთიერს არას მომცემსო,—თუ მისის საფარველისაგან გარეშე არ განხვალ, სხეულის სახმარსაც უშურველად მოგცემს. აქედამ მიიღე ამისი სიმტკიცე: ძანას გალილეას ქორწილსა შინა ღვინო რომ არა აქვდა მის მონას, ლეთის-მწობელი მარიამ მეოხ ექმნა ძისა მიმართ თვისისა და რქვა: „შვილო, ღვინო არა აქვს“; ძრისტემან ისმინა, სიტყვა ღვინოსა თვისისა და შეცვალა წყალი ღვინოდ და მიანიჭა კაცსა მას. მგრეთჲც შენ თუ მისის მონებისაგან გარეშე არ განხვალ, რომელიც ნაკლულევანება რამ გაქვს, თვით ღვინო ლეთისა მეოხ გექმნების და ძე მისი იესო უშურველად მოგცემს; და თუ მისის მონებისაგან გარეშე განხვალ და უსამართლოდ შეკრებას იწყებ, არათუ მოიღებ რასმე, უეჭველად შენს ქონებულსაც სხუთა მიიღებს, ვითარცა იუდა განვიდა ძრისტეს მოწაფეობისაგან და იწყო უსამართლოდ შეკრება ვერცხლისა,

და არათუ შეიკრიბა რაჟმე, უფროსად სული და კორცი თვისი წარსწყმიდა და ქონებული მისი—მოციქულების დიდება—მატათამ მიიღო. უგვანს შეკრებას ესე გვარი საცთური შეუდგს! ჰანგაარი შეკრებას ჰგონებს, მაგრამ არათუ შეიკრებს—უფროსად განაბნევს, ამისთვის რომ ჰანგაარებით შემკრები ძრისტესაგან შორს არის; და რომელიც ძრისტესაგან შორს არის, მისთვის უფალი იესო ასე ბრძანებს: „რომელი არა შეჰკრებს ჩემთანა იგი განაბნევს“. ჰანგაარი არა შეჰკრებს ძრისტესთანა, არამედ ეწმაკისა თანა, მაშასადამე არათუ შეიკრებს ჰანგაარი, არამედ განაბნევს.

მგების იიქტნოს ვინმე და ჰსთქუას: ღარიბს და უღონოს არ ვაიძულებ, მდიდართაგან მივიტაცებთ რომლისამე ღონისძიებითა. ამასაც დიდი ვნება შეუდგება. პირველად ესე: ანუ ტაცება შემოვა და ანუ მპარაობა, და ორივესათვის თქმული არის მოციქულისაგან: „არცა მტაცებელთა, არცა მპარავთა სასუფეველი ლეთისა ვერ დაიმკვიდრონ“,—მეორედ: გესმის ზემო თქმული ძრისტეს მიერ: „რათა არა ნამეტნავ ვისამე არიან ცხოვრება თვისი“. მისი სიმდიდრე ეგების ნამეტნავი არ იყოს, და ნაცვლად საუკუნოსა ცხოვრებისა აქტნდეს სიმდიდრე ამის სოფლისა; და შენ რომ მიუღებ ამ სოფლის დიდებას, აქ საწიში არის, ნაცვლად მისსა სატანჯველი არ მიიღო. საყვარელო! შენ ჰანგაარების ბრალს რად მიიღებ და იძულებით და უსამართლოდ რასათვის ვისგანმე რასმე მიიღებ? თუ უფალს ნებავეს შენი სიმდიდრე, ის ყოველსავე უშრომელად შემოგიკრებს და მოგცემს, ვითარცა ისრაელთა ეგიპტის დიდება შეუკრიბა და მისცა; თუ უფალს არ ჰნებავეს შენი სიმდიდრე, რაოდენიც ღვაწლი და შრომა დასდვა, ყოველივე ცუდი და ამაო არის, ვითარცა კობს წინასწარმეტყველი ლავით: „არათუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შტრებიან მაშენებელნი მისნი, არათუმცა უფალმან დაიცვა ქალაქი, ცუდად იღვიძებენ ხმილავნი მისნი“. თუ უფალს არ ნებავეს შენი სიმდიდრე, შენი შრომა რომ ცუდი არის, ეს გიჩუტნე.

აწ ამას მიხედვე: იძულებით შეკრებას და მოღებას ჰანგაარებაზედ სხვა დამეტებული ვნება შეუდგება: თუ მდიდართაგან იძულებით მიიღე, კორციელი ვნება და შფოთება შეგემთხუცვა მდიდართაგან; თუ მცირეს და ღარიბს მისტაცე, ძრისტეს შეკოდების ბრალში შთავარდები, ვითარცა გიბრძანებს თვით შთალი იესო: „რაოდენი უყავთ ერთსა მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ“. მხოლოდ ერთს ჰანგაარების ვნებას ვხედავთ და სხვა რომელიც საკვირვო, ძნელი ვნება შეუდგება, მას ვერ ვხედავთ, თორემ არა ვგონებ, რომელისაგანაც ჰანგაარება გამოვა, თქუცნ იმას შეეხნეთ, თუ სრულიად უღმრთო არ შეიქმნებით. ტაცებისა და სხუა უსამართლოდ მისვე ჭირისაგან ცხადი ჰანგაარება წარმოადგება. ახლა ეს გამოვაცხადოთ. მხოლოდ ტაცებას ჰანგაარებასთან რაოდენი ურმძიმესი, დამეტებული ვნება შეუდგება: სხვისაგან რომ ნივთიურს შენს სახმარს იტაცებ, ანუ ბოროტს სასოწარკვეთილებაში ხარ და სრულიადს შენს მოძაგებას ვჰგონებ ლეთისაგან, რომელი ესე უძნელესი არის ყოველთა ვნებათა, ამისთვის რომ ამას შინა დათქმულნი უფრო ძნელად იხსენებიან სხვათა კოდტათაგან; ანუ მოუგონებელს ლმერთის გმობაში ხარ. იკითხავ თუ რასათვის? ამისთვის: ლმერთმან გიბრძანა: „ითხოვდით და მოგეცესთ“. შენ მისგან არ ითხოვ და ისე იძულებით იტაცებ; აქ ან უცნობოდ ჰგონებ ლმერთს, ანუ ყოვლისა მპყრობელად არა ჰგონებ და ანუ უძლურად ჰგონებ,—და თუ ვითარ—თვითოეული წარმოვაჩინოთ. თუ ლმერთს უცნობოდ არ ხადი, თვით ძემან ლეთისამან გამოცხადებით გაუწყა და გიბრძანა: „იცის მამამან ზეცათამან, რა გიხმს ამათ ყოველთაგან“. თუ ლმერთს უცნობოდ არ ხადი და ეს ძრისტეს სიტყუა კი გრწამს, შენმან მამამან ზეცათამან ლმერთმან იცის შენი ჯეროვნად ხახმარი რა არის, და შენ იძულებით რად იტაცებ? მაგრამ აქ ასე ჰსჩანს—ლმერთს უცნობოდ ხადი. ლა თუ ლმერთის ყოველსავე მცნობელობა გრწამს და აღიარებ, ვითარ იგი იტყვის პეტრე მოციქული ძრისტეს ლეთისა მიმართ: „შთალო

შენ ყოველი იცი და ყოველი უწყი“. — **თუ** ეს სიტყვა სარწმუნოდ არა გიჩნს, ყოვლისა მპყრობელად არა გრწამს ლმერთი; თუ ყოვლისა მპყრობელად გრწამს, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ლავით: „შენნი არიან ცანი და შენი არს ქტსყანა სოფელი და სავსება მისი“. **თუ** ასე ყოვლისა მპყრობელად გრწამს, ამას რად იქვენეულებ, რომ ლმერთმან შენი ჯეროვანი სახმარი არ მოგცეს? **თვით** ძრისტე გიბრძანებს: „ითხოვდით და მოგეცეს“; შენ იძულებით რალათ იტაცებ? მაგრამ ყოვლისა მპყრობელად არ გრწამს ლმერთი! **თუ** ყოვლისა მპყრობელად გრწამს, ყოვლისა შემძლებელად არა გრწამს და უძლურად აღიარებ ლმერთს; — ვითარ? **თუ** ყოვლისა შემძლებელად გრწამს, ვითარ იგი ჰსთქვა საღმრთომან ლავით: „ყოველივე რაოდენი ინება, ქმნა ცათა შინა და ქტსყანასა ზედა“. — **თუ** ასე ყოვლისა შემძლებელად გრწამს, თვით ძრისტე უტყუელის პირით ასე აღვითქვამს: „ითხოვდით და მოგეცესთ“; რადგან ასე უეჭველად მოცემას აღვითქვამს, რასათვის ყოვლად შემძლებელისა ლვთისაგან არ ითხოვ და იძულებით გლახაკთა და უღონოთაგან იტაცებ? აქაც ასე ჰსჩანს, ლმერთი ყოვლისა შემძლებელად არა გრწამს და უძლურად აღიარებ! **ღა** თუ ჩემ მიერ თქმულს შენდამი ურწმუნობას ყოველსავე დაარღვევ და ქეშმარიტებით იტყვი და აღიარებ ლმერთსა ყოვლისა მცნობელად, ყოვლისა მპყრობელად და ყოვლისა შემძლებლად, მაგრამ მაშინც თავის თავად დიდებას ეძიებ და ნივთიურს უსამართლოდ შეიკრებ, შენი ლვთის რწმუნებაც უსარგებლო არის, ამისთვის რომ მოციქული ცხადად გამხილებს: „ვითარცა ხორცი თვინიერ სულისა მკუდარ არიან, ეგრეთჲს სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკუდარ არს“; და შენგან დიდების ძიებაც ცუდი და ამოა მაშურალობა არის, ამისთვის რომ თავის თავად ძიებით შენ დიდებას ვერ მოიპოვებ. **მს** უეჭველის საქმითა და სიტყვითა გიჩაყნო. პირველად უძლვეელი ძრისტეს ლვთისა სიტყვა გიმტკიცებს: „არავინ თავით თვისით მოიღის პატივი, უკეთუ არა არს მისა მოცემულ

ზეგარდამო“. აწ საქმით წარმოგიჩინო, რომ თავის თავად მძი-
ებელი დიდებას ვერ მიიღებს. ვითარცა ძენი ზებედესნი თავის
თავად ძრისტესგან დიდებას ეძიებდეს, მაგრამ ვერ მიიღეს და
უგვანად შეერაცხათ თავის თავად დიდების ძიება; ასე უგვა-
ნად შეერაცხათ—სხუანი ძმანი კიდევ განურისხდენ, ვითარცა
ჰსწერს მატთე: „ვითარცა ესმა ათთა მათ, განრისხნეს ორთა
მათ ძმათათვის“; და თვით ძრისტე ასე ბრძანებს: „რომელსა
უნდეს თქჳსნ ჳორია დიდყოფა, იყავნ თქჳსნდა მსახურ“. **აწ**
ეს გიჩჳსნო: არ იძიეს თავის-თავად დიდება, მაგრამ
ღვთისა მიერის მადლით მიიღეს, ვითარცა იაკობს თავის თა-
ვად არ უძიებია პირმშოების დიდება, — დედამან თვისმა რომ
უთხრა: „მომგვარე მე თიკანი, და უქმნა ვითარცა უყვარს მა-
მასა შენსა, მიართვ და გაკურთხოს შენ“. იაკობმან უთხრა:
„მსავ ფაჩნიერი არის და მე წყლუტუ; განმიხილოს და მივი-
ლო წყევა და არა კურთხევა“. იაკობ ასე არ ეძიებდა პირმშო-
ების დიდებას, მაგრამ უფლისა მიერ მაშინც მოეცა პირმშო-
ება. საულ კარაულსა ეძიებდა და არა მეფობას, მაგრამ უფ-
ლისა მიერ მეფობა პოვა. ქვალად ლავით არ ეძიებდა მეფო-
ბას, რათა მწყემსი იყო ცხოვართა, მაგრამ უფლისა მიერ ცხე-
ბულ იქმნა მეფედ იუდასსა და ისრაელისა. მგრეთჳს შენ
რომ არ იძიო თავის თავად დიდება, რომლისაც ღირსება გაქჳს,
უფალი მოგცემს. თუ ღირსი არა ხარ—რაოდენის საქმით
იძიო, მაშინც ვერ მიიღებ. ვითარცა მსავ დიდების წადლით
ითხოვა მამისა თვისისაგან კურთხევა პირმშოებისა, და რადგან
უღირსი იყო, ვერ მიიღო, — ეგრეთჳს შენ უღირსი ხარ დი-
დებისა, რაოდენითაც სურვილით ითხოვო ღვთისა მამისაგან
ვერ მიიღებ, ვითარცა ხმობს იაკობ მოციქული: „ითხოვთ და
ვერ მიიღებთ, რათა ბოროტად ითხოვთ“.

იტყვის ვინმე: თუ არ ვიძიო ნივთიური, ვითარ ვიცხოვ-
რო? აქ ორი რამ სახე უნდა მოვილოთ—ერთი ძველისა და
ერთი ახლისა. ჳერ ძველიდამ მოვილოთ. აბრაჰამ ნივთიურს
ეძიებდა, მრავალი ყვანდა ცხოვარი და ზროხა და სხუანი პი-


რუტყენი, მაგრამ უსამართლოდ და ჰანგაარებით შეკრებული მისგან არცა ერთი იყო;—ეგრეთჲც შენ თუ იძიო ნივთიური და შეიკრიბო, ჰანგაარებით არცა ერთი უნდა შეიკრიბო, თუ აბრაჰამისებრ ლეთის-მონება გნებავს. აწ ახლიდამ მოვიღოთ სახე: თუ ქეშმარიტი ძრისტეს მონა ხარ, ნივთიურთათვის რომ არ იზრუნო, შენ მაშინც არ დაგაკლდება რა, ვითარცა მოციქულნი სოფლისა და ნივთიურისათვის არას ზრუნვიდენ; ასე მოახსენ ეს ძრისტეს: „ჩუენ ყოველი დაუტევეთ და შეგიდევით შენ. და ძრისტე ასე უბრძანებს: „ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუსა ვეცხლსა“. მაგრამ ქეშმარიტნი ძრისტეს მონანი რომ იყვნენ, არა აკლდათ რა; ვითარცა ჰკითხა ძრისტემან: „ოდეს იგი წარგავლინენ თქვენ, თვინიერ ვალანტისა და ვაშკარანისა და ფერხაა შესასხმელი-სა ნუ გაკლდა რა?“. და მათ ჰრქეს: „არა“. თუ ქეშმარიტი ძრისტეს მონა ხარ, არც შენ რამე დაგაკლდება ნივთიურთათვის რომ არ იზრუნო. მე მხოლოდ ზრუნვისათვის მოგართვი ეს სახე, თორემ ჰანგაარებით ზრუნვა და შეკრება ძრისტეს მოწაფეთაგან ყოველითურთ უცხო არის; და თუ ვინმე განვალს ძრისტეს მოწაფეობისაგან და ჰანგაარებით სიმდიდრეს იკრებს, ქეშმარიტი უნდა ითქუას, მისს სიმდიდრეს სიგლახაკე ჰსჯობს, ამისთვის რომ ბოროტად განმდიდრებულს საუკუნო ვაება მიეცემა, ვითარცა ბრძანებს უფალი იესო: „ვაი თქუენდა, მდიდარნო, რათა მიგიღებთ ნუგეშინისცემა თქუენი!“! ზლახაკს საუკუნო ნეტარება აქუს მიცემული, ვითარცა ბრძანებს კვალად უფალი იესო: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.

ახლა თვით ჰანგაარს დავუწყოთ შეტყველება. საყვარლო! უსამართლოდ და ჰანგაარებით რად შეიკრებ? თუ ლმერთი არ განარისხე, ყოველსავეს ის მოგცემს, თვით ძრისტე გიბრძანებს: „ნუ ზრუნავთ რა შკამოთ; ანუ რა სვათ, ანუ რა შეიმოსოთ“, თუ ლმერთი განარისხე, ყოველივე ქტსყანა შენი იყოს, მაშინც გლახაკი იქმნები, ვითარ იგი ყოველი ქტსყნის დიდება აღამის იყო, ლმერთი რომ განარისხა, გლახაკი შეიქმ-

ნა, ვითარცა კმობს მისთვის წინასწარმეტყველი ლავით: „დაე-
გლახაკენ და დავდამბლდი სრულიად“. ძვალად სხუა რაამე
მოგახსენო: შენი სიცოცხლე თუ გძულს, ნივთიურს რასმე რა-
სათვის შეიკრებ? რადგან სიცოცხლე გძულს, რად გნებავს
ნივთიური რაამე? **მ**უ გიყვარს შენი სიცოცხლე, ჰანგარებით
რად მოიხტტკ? რისათვის არ მოიხსენებ, რომ უგვანად შეკრე-
ბამ აქარ ჰარიმის ძე სიკუდილით დასაჯა? მგრეთუტ შენ უგ-
ვანად ჰანგაარებით შეკრებასულით და ხორკით საუკუნოდ სიკუ-
დილად დასჯის. **მ**უ ძველი არ მოიხსენო, ახალი მოიხსენე. **მ**უ იტ-
დას უგვანად ვეცხლის შეკრებამან ვითარ ყოვლის კეთილისაგან
უცხო და განშორებულ ჰყო, — ეგრეთუტ შენ ყოვლის კეთილი-
საგან უცხო და განშორებულ გყოფს: განგაშორებს სანატრე-
ლის სიმდაბლისაგან, ამისთვის რომ ამჰარტავანებით შეურაცხ-
ჰყოფ ვისმე და მოიხტტკ უსამართლოდ მისგან; და ესე ამჰარ-
ტავანება საძაგელჰყოფს წინაშე ლეთისა, ხმისაებრ საუფლოსა:
„ყოველი მაღალი გულითა საძაგელ არს წინაშე ლეთისა“;
ჰანგაარება შემოიყვანს შურსა და განხდის სიყვარულსა, ამისთვის
რომ შურიტ და მტერობით იტაცებს ვისგანმე, და ესე სიყვა-
რულისაგან უცხო არს, არამედ მხოლოდ შური არს, რომელი
დააბნელებს სულსა ვითარ იგი იტყვის ბრძენი სოლომონ:
„შური სიხენეშისა დააბნელ ,ბს სულსა“. ძვალად ჰანგაარება
შემოიყვანს რისხვასა, ამისთვის რომ რისხვით მიუღებ ვისამე
თავის საცხოვრებელს და არა წყალობით, და ესე რისხვა შენ
შორის უჩინო ჰყოფს სიმართლესა ლეთისასა; ვითარ იგი ხმობს
მოციქული: „გულის წყრომამან კაცისამან სიმართლე ლეთისა
არა ჰყვის“; შემოიყვანს ძაენებრსა ძმის მკუთლელობასა შური-
სა მიერ, რამეთუ ძაენ შურითა მოაკუდინა ძმა თვისი; ეგრეთუტ
ჰანგაარი შურისათვის ვეცხლისა მოაკუდინებს ძმასა თვისსა და
მიმსგავსებისათვის ძაენისა მიიღებს მისსა სულითა სამკვიდრე-
ბელსა, ესე იგი სატანჯველსა დაუსრულებელსა.

სოფლის მოყვარე და ცუდად მტყველი ვინმე იტყვის:
არა მაქვს რა და მიშველი ვითარ უნდა ვილოდე? აქ მაგიერს

ვიკითხავ: შენი ძრისტე უიშველი ვითარ ვიღოდა ვნების ჟამ-
ში? შენ რომ ვერ ითმენ უიშლოებას, მან ვითარ მოითმინა?
რა გაქტეს ნაცვალნი პასუხი?—არა რამე პასუხი გაქტეს ამის
მეტე, ყოველივე კაცთა ცხოვრებისათვის დაითმინა. აწ ამას
მიხედ: ძემან ლეთისამან იესომ შენის სიყვარულისათვის და-
ითმინა უიშლოება და სხტა აურაცხელი ვნება, და შენ ძრის-
ტეს სიყვარულისათვის არ მოითმენ უიშლოებას? მიჩტუნე თუ
რომელით სახით წარმოაჩენ ძრისტეს სიყვარულს?—არ ძალ-
გიძს რომელითამე ძრისტეს სიყვარული წარმოაჩინო, —იკით-
ხავ მიზეზს, თუ რასათვის? თვით ძრისტეს სიტყვით გიჩტუნო.
შუალი იესო ბრძანებს: „რომელი მცირესა ზედა ცრუ არს,
იგი მრავალსა ზედა ცრუ არს“; თუ მცირეს უიშლოებაზედ ცრუ
ხარ და ძრისტეს სიყვარულისათვის ვერ მოითმენ და ძრისტეს სა-
ძულველს ჰანგარებას ჰყოფ, სხტას მრავალს სათნოების სიმძიმეს
სულ ვერას იტვირთავ და უფრო ცრუდ აღმოჩნდები ძრისტეს
სიყვარულზედ! აწ მოიღე ძრისტესთვის უიშლოება და მოი-
ძულე ჰანგაარება. უიშლოებისათვის ნუ იურვი: შროშანთა ვე-
ლისთა შემამკობელი შენც შეგამკობს, და რომეცოძან სიშიშ-
ველე მამისა აღამისი დაჰფარა, შენს უიშლოებასაც დაჰფარავს
საღმრთოთა მით მოწყალებითა თვისითა და აღგავსებს ყო-
ველთა ყოვლითა კეთილითა აწ-და საუკუნეთა უკუნისამდე.
ამინ.



თავი 33. მცონარებისათვის.

იტყვის მოციქული პავლე: „სწრაფასა ნუ მცონარე ხართ“. მდაბიურად რომ განვაცხადოთ მოციქულის სიტყვა ასე ითქ-

მის: როქელაც სასწრაფო საქმე იყოს, მისთვის მცონარებას არ უნდა ვუკუღეთ, დაუყოვნებლად უნდა აღვასრულებდეთ. და სასწრაფო საქმე კეთილი მხოლოდ არის და მის აღსრულებას უნდა ვისწრაფდეთ, და არა უნდა ვაყოვნებდეთ ვითარცა გვასწავებს ბრძენი სოლომონ და იტყვის: „ძალ თუ გედვას კეთილის ყოფად, ნუ დააცადებ“. მოციქულისა და ბრძნისა სოლომონის პირით მტკიცე იქმნა—კეთილი არ უნდა დავაცადოთ და მსწრაფლად აღვასრულოთ.

აწ საქმით ვაჩვენებთ, რომ კეთილის აღსრულება სისწრაფით უმჯობესი არის. მსავეჟან ჰყოვნა და თვისსა მამასა ნადირებული თვისი მსწრაფლად ვერ მიართვა; იაკობმან უსწრო და სწრაფით მიართვა მამასა თვისსა შემზადებული სანოვაგე; მსავე მოაკლდა კურთხევისაჲ და დაეცა პირმშობისაგან, იაკობ აღივსო კურთხევითა და მიიღო პირმშობება. ამისთვის ვეტყვი მათ, რომელნი აყოვნებენ მათ კეთილსა და მცონარებენ: ეკრძაღე რათა არა მსავესებრ განიცადო! ახლა კიდევ მოციქულის სიტყვა შემოვიყვანოთ: მოციქული კეთილისათვის ყოვნებას არ ამბობს, უფროსად მოსწრაფებას აცხადებას და იტყვის: „ყოველნივე ჰრბიედ ასპარეხსა მას“. შეიქმნა მტკიცედ აღმოჩენილი, რომ კეთილი არ უნდა დავაყოვნოთ და მალიად უნდა აღვასრულებდეთ. რადგან ეს მტკიცე შეიქმნა, რომ კეთილის ყოვნება უგვანი არის, აქ რამ ცხადი სიმტკიცის წარმოჩენა არის, ბოროტისათვის მცონარება უნდა ჰყოთ, თორემ ბოროტისა მიმართ მოსწრაფება უკურნებელს წყლულებაში მიიზიდავს კაცს, ვითარცა იუდა ისწრაფდა და მირბიოდა ბოროტისა მიმართ და შთაფარდა უკურნებელსა წყლულებასა შინა. მცონარენი მაკუთნინებელის მცონარებისაგან სულის სუცოცხლეს და კურნებას შიიღებენ, თუ ცოდვისათვის იხმარებენ მცონარებას. ამისი მაგალითი მოვიღოთ. მკურნალნი გესლიანის გველისაგან საკურნებელს თერიაყს ჰპოებენ; ეგრეთჲც სულისა თვისისა მკურნალნი გესლიანის მცონარებისაგან კურნებას ჰპოებენ, როდესაც ცოდვისა მიმართ იხმა-

რებენ. აქ შეღლისა ჩტნისა იესოს სიტყვა მოვიდოთ: „მიზეზი არა აქვთ ცოდვათა მათათვის“. ეს სიტყვა კეთილად მოიღება მკონარზედ, ამისთვის რომ მკონარების მიზეზი არა აქუს. რაჲ მიზეზი უნდა აქუნდეს, თუ სძულს მკონარება კეთილისა მიმართ? რასათვის ჰყოფს მკონარებას? და თუ უყვარს, რასათვის ბოროტისა მიმართ არ ამოქმედებს? სიტყვიერნო და გონიერნო! კეთილი მიხედვა და განკრძალვა ჰყავთ, არა აღრიოთ ეს საქმე: მკონარება კეთილისა მიმართ არა იხმაროთ, თორემ ცხადი ძრისტეს მოძულე შეიქმნებით. ჭეშმარიტი რამ საჩინოება აქუს ამას: ბოროტისა მიმართ მოსწრაფე ძრისტეს მოძულე არის და კეთილისა მიმართ მოსწრაფე მოყვარე არის ძრისტესი; ორისათვისვე სარწმუნო მაგალითი მოვიდოთ. ცოდვილი დედაკაცი ძრისტესთვის შესაწირავად კეთილის მირონის მოსყიდვას ისწრაფდა, ამისთვის ძრისტეს მოყვარედ შეიარაცხა; იუდა ბოროტთა ჰურიათა მიმართ ჰრბიოდა და ბოროტისა მიმართ ისწრაფდა, ამისთვის ძრისტეს მოძულე იქმნა.

აწ ესე ვსთქვათ, რომ კეთილის მკონარება და დაცადება თუ როგორ ბოროტი არის. საყვარელო! კეთილის ქმნას რომ დააცადებ, მაშინ ბოროტი ვნება შემოვა, ვითარცა ადამიანი, რომელიც წინა მდგომი კეთილი აქუნდა, მისი ხედვა და ქმნა დააცადა, ამისთვის ბოროტის ვნებაში შთავარდა;—ეგრეთჲც შენ რომელიც კეთილი სამოქმედოდ წინამდებარე გაქუს, ამას დააცადებ და ჰყოფნი, უეჭველად ბოროტს ვნებაში შთავარდები. მოიხსენე, დიდმან პეტრე მოციქულმან მცირედ-ჟამ ძრისტეს სიყვარული დააცადა, უარის ყოფის ბრალში შთავარდა;—ეგრეთჲც შენ თუ მცირედ ჟამ ძრისტეს სიყვარული დააცადე, ძრისტეს უარის ყოფაში შთავარდები. აქ ერთი კითხვა უნდა ვყოთ. კეთილს რად აყოვნებ? თუ ამას ჰგონებ და მიმოაქცევ შენს გონებაში, რომ კეთილს აცვალი გარდამატებული მისაგებელი არა აქუს რა, ეს მოგონება უღმრთოებად მიიწევა ამისთვის: თუ კეთილს გარდამატებული მისაგებელი კეთილი სუფევა არა აქუს, არცა ბოროტთა სატან-

ჯველი ექმნება, და შენის უგნურის გონების წსგავსად არცა კეთილთათვის სასუფეველი იქმნება და არც ბოროტთათვის ჯოჯოხეთი. მართლთათვის ეს ტკბილი ხმა უნდა მოისპოს: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ თქმნთვის განმზადებული სასუფეველი“; ცოდვილთათვის ეს მოუთმენელი ხმა უნდა მოისპოს: „წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნოსა, რომელი განმზადებულ-არს ეშმაკისათვის და ანგელოსთა მისთათვის“! ამათი მოგონება სრულიად უღთოება არის, რომელსა დაეზავების თქმული წინასწარმეტყველისა ლავითისი: „სთქტა უგუნურმან გულსა შინა თვისსა, არა არს ლმერთი!“ ლა თუ მიზეზს დასდებ და იტყვი: ვერა განვარჩიე კეთილი არის, თუ ბოროტი, ამისთვის ვაცადებ, — ამისის მსგავსის დაცადებისათვის კიდევ ვნება და ბოროტი ამპარტავანება შეგვემთხტვა ამისთვის: თუ შენ კეთილზედ ვერა ჰსცანი, რასათვის სხვისაგან არ ისწავე, ვითარცა გამცნებს მოსე ლეთისა მზრახტალი: „ჰკითხე მამასა შენსა, გითხრას შენ და მოხუცებულთა შინთა გაუწყონ შენ“, აქ ამპარტავაების ვნებაში ხარ, რადგან სხვისაგან არ ისწავე. საყვარელო! რომელსა ჟამში კეთილი წინა გიძს საქნელად და იმ ჟამში არა ჰყოფ და აცადებ, ანუ სრულიად კეთილის უქმნელობა გნებავს და ანუ იმ ჟამში, როდესაც კეთილს აცადებ, მაშინ ლეთის უარის ყოფაში ხარ. ორნივე ესე წარმოგჩინო. თუ სრულად უქმნელობა არა გნებავს კეთილისა, მომავალი ჟამი არ იცი თუ ვითარ არს; ამას თვით შთალი იესო გიბრძანებს: „არა თქტნი არს ცნობა ჟამთა და წელთა, რომელი იგი მამამან დახსნა თვისითა კელმწიფებითა“; და რადგან მომავალი არა იცი და რომელსა ჟამში ახლა მყოფობ, მაშინ არ ჰყოფ კეთილს, უეჭველად უქმნელობა გნებავს კეთილისა და ანუ ლეთის უარის ჰყოფაში ხარ, ამისთვის ლმერთმან ჟამი მოგცა კეთილის სამოქმედოდ, ჟამს ის მოგცემს, თორემ შენი არ არის ჟამი, — მისი არს — და ის უფლებს, ვითარცა კმობს წინასწარმეტყველი ლავით: „შენი არს დღე და შენი არს ღამე“.

ღვთის არის ჟამი და მან მოგცა კეთილის სამოქმედოდ. **თუ** ამისთვის აცადებ კეთილის ქმნას, რომ აწმყო ჟამს ბოროტად ჰგონებ ღვთის უარის ყოფაში ხარ, ამისთვის რომ ლმერთს ბოროტის ჟამის მოცემად ჰგონებ. **თუ** ჟამს კეთილად ხადი, მაგრამ კეთილის ყოფა არ გნებავს, ეს კეთილის მოძულეობა ცხადი თავისთავად ღვთის მოძულეობა და უარის ყოფა არის.

იტყვის ვინმე: მომავალს ჟამში ვიქმ კეთილს, და ამ ჟამმად დავაცადებ. **მს** სიცრუვის ვნება არის ამისთვის: ზემო ძრისტეს მიერას სიტყვით დაგიმტკიცე, რომ ნომავალი ჟამი თუ ვითარ არის, ამისი ცნობა შენ არა გაქტს. **ახლა** იოანე **ოქროპირის** სიტყვით დაგიმტკიცო, ვითარ იგი იტყვის: „არა უწყით რასა შობს შემომსლველი დღე“. რადგან სიცრუის ვნებაში შთავარდი, ეს ვნება სულის მოძულეობაში შთაგაგდებს, ვითარცა ხმობს წინასწარმეტყველი **ლავით**: „ხოლო ვის უყვარს სიცრუე, მას ძულს სული თვისი“. **რომელიც** კეთილისთვის მკონარებს და კეთილის მოქმედებას აცადებს, ჰაბუკი არის თუ მოხუცებული, ორივე ცთომილებასა და უგუნურებაში არის.—**ვითარ?** **თუ** ჰაბუკი აცადებს კეთილის საქმეს, ცთომილება და უგუნურება არის ამისთვის: კეთილი საქმე და სასუფეველის გზა ხორცთათვის მცირედ ძნელი არის, ვითარცა ბრძანებს **შფალი იესო**: „**იწრო** არს გზა იგი და საჭირველ, რომელნი მივლენ ცხოვრებად საუკუნოდ“, და საძნელო: საქმეს ჰაბუკობაში აცადებს, როდესაც ძლიერი არის და მხცოვანების ჟამისათვის იმარხავს, როდესაც უძლურების ჟამი გარეთ შეიცავს, ავისაგან უდიდესი ცთომილება: რა უნდა ითქვას? **თუ** მოხუცებული აცადებს კეთილის საქმესა ისიც ცთომასა და უგუნურებაში არის ამისთვის: მოხუცებულისათვის უფრო მახლობელი არის სიკუდილი, და სიცოცხლის ჟამში აცადებს და ჰყოენის კეთილის საქმეს და როდესაც სიკუდილისა მიერ კაცის მოძრაობა და მოქმედება დასდგება, იმ ჟამისათვის იმარხავს კეთილის მოქმედებას, და არა მოიხსენებს **იერემია** წინასწარმეტყველისა თქმულს: „წარხდა მკა

და წარვიდა ლეწვა!“ რომელთავე ერთა იციან: დღეს დავაცადებ და ხვალ აღვასრულებო კეთილის საქმესა;—ესეც უგუნურება და ცთობა არის ამისთვის: ზემო თვით ძრისტეს მიერ და შემდგომად იოანე ოქროპირისა მიერ მტკიცედ აღმოჩნდა, რომ ხვალის ცნობა არა გაქვს, თუ რასა შემოიყვანს, ანუ რასა იქმს შენთვის.

მრთი საქმე საძიებელი არის და უნდა ვიძიოთ. როდესაც სხეულის რასამე სახმარი მოგეცემა კაცს სამოქმედოდ, არა აცადებს და მალიად მის აღსრულებას შეუღდგება, და თუ სულიერებრივი რამე კეთილი არის—მისთვის ჰყოვნიან და მრავალ ჟამ აცადებენ;—და ეს როგორ არის? სული უმჯობესი არის ხორცისაგან, ვითარცა ბრძანებს უფალი იესო. „სული უფროს არს ხორცისა“: უფროსისა და უპატროსნისის სულის საქმეს დაივიწყებენ მრავლის დაცადებისაგან და უმცირესის—ხორცის საქმეს—მალიად აღსრულებენ. ჯეროანი მეცნიერება ეს არის: პირველად სულისათვის იღუაწოს და მერმე ხორცისათვის. ძეთილად მოეზავება ამას თქმული იგი მაცხოვრისა: „ესე ჯერ-არს ყოფად და იგი არა დატევებად“. პირველად ჯეროვანი არის სულის საქმე ჰყონ და მერმე ხორცის ჰყონ ჯეროვანი და კეთილი. **ღ**ა ამას ჯეროვნებას რომელიმე უგუნური ბოროტად გარე მოაქცევს: პირველად ხორცისა საქმესა ჰყოფენ და სულს მეტის მცონარებისაგან დავიწყებას მისცემენ. **ღ**ა რომლის მიზეზით განიმართლებენ თავის თავს, ეს ვიუწყოთ? **ბ**ქ წინააღმდეგობით ძრისტეს სიტყვას შემოიღებენ და იტყვიან: „სული ვიდრემე გულს-მოდგინე არს, ხოლო ხორცნი უძლურ“; და რადგან ხორცი უფრო უძლური არის, უფრო ხორცისათვის უნდა ვიზრუნოთო. **ბ**ქ ორი რამ სიტყვა ვჰყოთ: პირველად ესე, რომ წინააღმდეგობით მეტყველს საშინელი მისი ცთობილება უნდა ვამხილოთ, რომ ლეთისაგან უფრო შემძლებელად ჰგონებ თავის თავს; თუ ლეთისაგან უფრო უმძლებელად არა ჰგონებს თავის თავს, ძრისტემან ლმერთმან გიბრძანა: „ნუ ზრუნავთ, რა ვშჰამოთ, ანუ რა შევიძოსოთ;

იცის მამამან თქუპნმან ზეცათამან, რა გიხმს ამათ ყოველთაგანი“. ძრისტემ ლეთისა მამისა მიმართ მიგიძღვა და ისე გიბრძანა: შენ ჳორცთათვის ნუ ზრუნავ, რაც კეთილი გიხმს, იცის მამამან ემმან და იგი აღავსებს ნაკლულევეანებასა შენსა; ხორცის ნაკლულევეანების აღმავსებელად ლმერთი მამა გივის. შენ რაღათ ზრუნავ ხორცისათვის, თუ თავის თავს უძლიერესად არ ჰგონებ ლეთისაგან? მაგრამ ამ საქმისაგან ასე სჩანს: რადგან მამასა ლმერთსა არა მიენდევ და თავის თავად ზრუნავ—თავის თავს უძლიერესად ჰგონებ ლეთისაგან, და ესე არა სხუა რაჟმე არს, გარნა სრულიად უღმრთოება. მეორედ ამას ვიტყვი: თუ სრულიად უღმრთო არა ხარ და აღიარებ ლმერთსა, მორჩილი უნდა იყო ლეთისა, ვითარცა გვამცნებს მოციქული: „მორჩილება ჯერ არს ლეთისა“—და შენ არა ხარ მორჩილი, ამისთვის ძრისტემან ლმერთმან გიბრძანა: „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ლეთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუპნ“. შენ პირველად სასუფეველს არ ეძიებ, პირველად ხორცის სახმარს ეძიებ და სასუფეველი მცონარებისაგან დაგივიწყებია, მაშასადამე უღმრთოებისა სიღრმესა შინა დანთქმულ ხარ. ახლა სხვა სიტყვა შემოვიღოთ მცონართა და წინააღმდგომთა მიმართ. ზემო მცონართა კეთილისათა წინააღმდგომობით სთქუტს: ხორცი უფრო უძლური არისო სულისაგან, ამის მიზეზისათვის, ხორცისათვის უფრო ვზრუნავთო. აქ ამას ვიტყვი: თუ სული ძრისტეს განეშორა გონებით, სულსაც საკვირველი რამ უძლურება აქუს. ვითარ იგი მცირედ ჟამ მოციქული პეტრე ძრისტეს მოშორდა, გარეშე ეზოსა სჯდა; მცირედ ჟამ მოშორებისათვის ასე უძლური შეიქნა, უძლურმან დედაკაცმან სიტყვით ძრწოლარე ჰყო და მოძღვრისა და შეფლისა თვისისა უარის ყოფაში შთავარდა. თუ დიდის პეტრეს სული და გონება მცირედ ჟამ ძრისტეს მოშორებით ასე მოუძლურდა, შენ რომ კეთილისათვის მცონარებ და ჰყოენი და მისთვის ძრისტეს განეშორები, მიხედვ, რაოდენ უფროსად უძლური შეიქმნება შენი სუ-

ლი და გონება? **ლ**ა თუ ხორცისათვის კი ზრუნავ უძღურების მიზეზისათვის, რაოდენად უფროსად ვალი გაქვს, რომ უძღურის შენის სულისათვის იზრუნო, და კეთილისათვის მცონარი არ შეიქმნე, დაუცადებლად იქმოდე კეთილს!

მგების სთქუას ვინმე: მარადის კეთილი როგორ ვიმოქმედოთ, არც ვსვათ არც შევიმოსოთ, არც ვქამოთ? **თ**უ როგორ უნდა ვყოთ მარადის კეთილი? **ბ**ქ მოციქულის სიტყვა შემოვიღოთ და ვსთქუათ: „გინათუ შქამდეთ, გინათუ სმიდეთ, გინათუ რასაცა იქმოდეთ, ყოველსავე სადიდებელად **ლ**ეთისა იქმოდეთ“. **ბ**ესმის მოციქულისაგან: თვით ქამისა და სმისა და სხუათაცა სოფლისა საქმეთა შინა კეთილი არ უნდა დააცადო და არ უნდა განეშორო საქმითა ამით ყოველსავე სადიდებელად **ლ**ეთისა უნდა იქმოდე. საყვარელნო ერნო! **ქ**ეთილზედ მცონარება და დაცადება **ქ**რისტესგან განგაშორებს; და თუ **ქ**რისტეს მოწაფე ხარ, **ქ**რისტეს არაოდეს უნდა განეშორო გონებითა და სულითა, თვით **ქ**რისტე ასე გამცნებს, თორემ ამას მოღებულსა საქმესა მოხედე. **ზ**ებედეს ძენი **ქ**რისტეს შეევედრენ და განტევება ითხოვეს თავს მამის დასამარხველად და მოახსენეს **ქ**რისტეს: „მიბრძანე ჩჳნ ჰირველად მისვლად და დაფლვად მამისა ჩჳნისა“. **ქ**რისტემან არ განუტევენა და არა განიშორნა ძენი **ზ**ებედესნი **ქ**რისტემან. **მ**გრეთჳს შენ არ განიშორებს, თუ კეთილზე მცონარებისაგან არ უარ ჰყავ და იძულებით არ განიშორე—თუ იძულებით განეშორე, მოღებულისა ამის მაგალითისა მსგავსად შეგემთხჳტვა: ცხოველობას რომ კაცი განეშორება, უეჭველად სიკუტდილს მიეცემა; ეგრეთჳს რამელიც სულით **ქ**რისტეს განშორდება, საუკუნო სიკუტდილს და წარწყმედას მიეცემა, ამისთვის რომ თვით **ქ**რისტე არის ცხოვრება სულითა, და ცხოვრებისაგან განშორებული საუკუნო სიკუტდილსა და წარწყმედას მიეცემა. **თ**ვალს რომ ხედვა მოაკლდება, ყოვლითურთ უხმარი და ბნელი შეიქმნება; ეგრეთჳს კეთილზე მცონარებისა და დაცოვნებისაგან გონებას რომ მოაკლდება ხედვა **ქ**რისტესი და ნათელი მისი ყოვლი-

თურცა უხმარი და ბნელი შეიქმნება. ზემო თვით ძრისტეს მიერით მაგალითით გიჩუქნე, თუ როგორ მარადის განუშორებელნი უნდა ვიყვნეთ გონებით ძრისტესგან. ახლა ლეთის-მშობელის მარიაშის მიერი მაგალითი მოვიღოთ. როდესაც ძრისტე ყრმა იყო, თავისს დედას მცირედ ჟამ მოშორდა, შეწუხდა ლეთის-მშობელი და იწყო ძიებად; რომ იხილა თავისი ძე, მწუხარებით ჰრქვა: „რამე მიყავ შეილო, რამეთუ მე და მამა შენი ვრონიებთ და გეძიებთ“. თუ ლეთის-მშობელი მცირედ ჟამ განშორებისათვის მწუხარე იყო, შენ მცონარება საუკუნოდ განგაშორებს ძრისტეს, და საუკუნოს განშორებას, როგორ თავს იღებ და ან მწუხარებით როგორ არ განიღვე, — ჰეშმარიტად დიდად საკვირვო არის! მცონარება კაცს ცნობისაგან განაყენებს და ვითარცა ეშმაკეული ისე აქცევს. ეშმაკეული თავის თავს იწყლავს; ეგრეთუ მცონარი თავის თავს იწყლავს და სიკუდილს აძლევს, — რომლითა სახითა? — ეს ზემო წარმოაჩინა: კეთილს რომ განეშორები, ძრისტესაგანაც შორს იქმნები, ზემო სიტყვისა ძალი ასე აცხადებს, — და მცონარი რომ კეთილისაგან განეშორები, აქ სამართლით მიეხედოთ და ესცნათ, თუ ვისი მახლობელი იქმნები, რომლისაგანაც სულით და ხორციით სიკუდილს მიეცემი, ვითარცა პირველი მამა ადამისცა სულით და ხორციით სიკუდილსა: საყვარელო! საძაგელმან ეშმაკმან კაცთა ბუნება ძნელს სნეულებას მისცა, და სნეულებისა ამის მკურნალად ლმერთმან ძე თავისი მოავლინა, უფალი იესო ძრისტე; და ძრისტემან სამკურნალოდ წამლად კეთილი მოქმედება შეგიშხადა. შენ მცონარებისაგან ძრისტესაც განშორებისარ და კეთილის წამლის მიღებაც არ გნებავს, და როგორ უნდა განიკურნო? ჰსჩანს, რომ უკურნებელს წყლულებაში უნდა დაშთე. მძიმედ სნეულმან რომ მკურნალი მოიძულოს და არც სამრთელელებელი წამალი მიიღოს, ხორცის სიკუდილს მიეცემა, — ეგრეთუ რომელიც ცოდვით მძიმე სნეული მკურნალს ძრისტეს მოიძულებს და მცონარებისათვის კეთილის წამალს არ მიიღებს, სულითა

და ხორციით საკუდილსა და საუკუნო წარწყმედას მიეცემა.

მგების ჰსთქუას ვინმე მკონართაგანმან: „მისი არს ღღე და მისი არს ღამე; ამ ჟამად რომარ აღვასრულო კეთილი, როდესაც აღვასრულებ, ლმერთი ჟამ მარად შეიწირავსო“. ნაცვალთ სიტყუა ეს მოუგოთ: ლმერთი ყოველსა კეთილსა შეიწირავს, რომელსაც ჟამში შესწირავ, ეს სიტყუა ქეშმარიტი არის; მაგრამ ამას რომ ამბობ, ამ ჟამად დავაცადებ კეთილსა და მერმე აღვასრულებ, ეს ყოვლითურთ საიქვო არის და არა ქეშმარიტი; და თუ ვითარ,—სარწმუნოს სიტყუით წარმოვაჩინოთ. ძეთილს რომ ვინმე აყოვნებს და მძიმედ უჩნს, ეს ცხადად ეშმაკისაგან არის, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყველი ლავით: „რომელნი იქმან შრომასა ბრძანებულსა ზედა“. ახლან ეშმაკის ბოროტის მოქმედებას მივხედოთ. მრთი ეშმაკი სხვას უბოროტესსა შეიღს ეშმაკს მოიყვანს, ვითარ იგი იტყვის უფადი: „და მოიყვანნის სხვანი შეიღნი სულნი უბოროტესნი“; თუ ერთმან ეშმაკმან გძლია და ამ ჟამად კეთილის ქმნად დაგაყენა, შეიღს სულს უბოროტესს რომ მოიყვანს, მაშინ უმეტესად ძლეული შეიქმნები, და უფროსად საექვო არის შენგან კეთილის ქმნა. ამისთვის გასწავებს მოციქული და გეტყვის: „სწრაფსა ნუ მკონარე ხართ“.


აწ კითხუა ვყოთ ერისა მიმართ. საყვარელნო, კეთილი გძულსთ, თუ გიყვარსთ? თუ კეთილის სიძულვილს იტყვით, ყოვლითურთ ბოროტად აღმოჩნდებით; თუ სიყვარულს იტყვით და გიყვარსთ, რასათვის ჰყოვნით და მსწრაფლ არა აღასრულებთ? თუ ვინმე იტყვის: უძლური ვარ და ამ ჟამად აღასრულება არ ძალ-გიძს,—წინასწარმეტყველი გამცნებს: „ინებე და აღგადგინოს შენ“. ძეთილი ინებე და უძლურებისაგან ძირსტეგანგკურნებს და აღგადგინებს. თუ იქვი გაქუს შენის განკურნებისა, ამას მიხედვ: რომელმან ოცდა თვრამეტის წლის მდებარე აღადგინა, უექველად შენც აღგადგინებს და განგკურნებს, თუ კეთილის ქმნას ინებებ. თუ იტყვი, რომ დამაშვრალი ვარო და ამის ჟამსა ამას კეთილის მოქმედებას ვერა

ჰყუფ, — ანა მიზეზსაცა ჭრისტე ნოგისპოპს და ასე გიბრძანებს: „მოვედით ჩემდა ყოველიოი მაშერალნი და ტვირთ მძიმენი და მე განგისტანო თქტინ“. ზგანებ მიზეზი არღარა გაქენდეს რა. მაგრამ მცონარებას ვერ განავლებ და ჭრისტეს მიმართ სიმსწრაფლით სლვას ვერ მოიგებ, სადამდის უძღლების შევილის საქნეა არ ჰყოფ; და როგორც უძღლებს შევილს სახიერისა მამისა ლეთისა განშორებთა მიემსგავსე, ეგრეთუტ მამისა მიმართ მოქცევი-თაცა ემსგავსე, და თუ ვითარ? — ესთქათ. უძღებმან შევილმან მადამდის მამისა მომართ მოქცევა ვერ იწყო, სადამდის თავისის მამის სახლის პურის სიმდიდრე არ მოიგონა; ეს რომ მოიგონა და ჰსთქათ: „რაოდენთა სასყიდლით დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური, ხოლო მე აქა სიყმილითა წარ-ეწყმდები“. — მს რომ ჰსთქათ, განავლო მცონარება და ჰსთქვა: „აღესდგე და წარვიდე მამისა ჩემისა“, — და მოვიდა მამისა მი-მართ თვისისა. ეგრეთუტ შენ სახიერისა მამისა მიმართ სიმ-სწრაფლით სლვას ვერ იწყებ, სახიერის მამისა და ლეთისა სახ-ლის პურს თუ არ მოიგონებ, ესე იგი ეკლესიასა შინა შეწი-რულსა ხორცსა და სისხლსა ჭრისტესსა; ესენი მოიგონენ და ჰსთქუ: „რაოდენთა სინანულისა სასყიდლით დადგინებულთა მამისა ლეთისათა ჰმატს პური“, ესე იგი უხრწნელი ხორცი და სისხლი ჭრისტესი, ამასის ხსენებით სთქუათ: „აღესდგე და წარ-ვიდე ლეთისა მამისა მიმართ“, დაუტევე მცონარება და მსწრაფ-ლად ჰყავ მოქცევა ლეთისა მიმართ. თუ შეცოდების შემდგო-მად ჭრისტეს მიმართ მოქცევა გნებაესთ და სრულიად ჭრის-ტეს არ განუღვებით, კეთილისა და სინანულის საქმეს ნუ აყოვნებთ; თუ ჭრისტეს მოწაფეობა გნებაესთ, სინანულს არ უნდა აყოვნებდე, ვითარცა ღიდმან პეტრე მსწრაფლ მოიგო სინანული, როგორც მატთე სწერს, უარის ყოფასთან ქათმის ყვიღსა თანა მყის პეტრეს სინანულს იტყვის: „და მეყსეუ-ლად ქათამმან იყვიღა და მოეხსენა პეტრეს სიტყუა იგი იე-სოსი, რომელი ჰრქათ მას: ვიდრე ქათამისა კმობადმდე სამ-გზის უარმყო მე; და გამოვიდა გარე და სტიროდა მწარედ“. თუ ჰეშმარიტი ჭრისტეს მიმართ მოქცევა გნებაესთ, ასე

მსწრაფლად უნდა მოიგო სინანული. საექვო არის, სინანულის ყოვნებაში უძვირესი ეშმაკის საბრხე არმოვიდეს. ვითარცა იუდამან ჰყოვნა და არა აჩუბნა ჭეშმარიტი სინანული და შთავარდა უკურნებელსა შიშთვილსა შინა. მგრეთვე რომელიც აყოვნებს სინანულსა და არა შეინანებს, შთავარდება უკურნებელსა განწირულებასა სენსა შინა.

აწ მაგალითი მოვილოთ. მრთი ვინმე მრავლის ჟამიდგან საზრდელის მიუღებლობით სიკუდილად მიახლებული იყოს, თუ კიდევ ჰყოვნა და საზრდელი ვერ მოიპოვა, სიკუდილს მიეცემა;— ეგრეთჲს რომელიც მრავლის ჟამითგან სულიერებრივის საზრდელის, ესე იგი უხრწნელის ჭრისტეს ხორცსა და სისხლისა მიუღებლობით, სულიერად სიკუდილად მიახლებული არის, თუ კიდევ ჰყოვნა და სინანულის მუშაკობით სულიერებრივი საზრდელი— ჭრისტეს ხორცი და სისხლი არ მრილო სულით და ხორციით საუკუნო სატანჯველს მიეცემა. ძიდევ სხტა მაგალითი ისმინეთ. ზღვის ღელვაში მყოფი თუ ცნობისაგან მოკლებული არ შეიქმნა ლიმენად მისვლას არ ჰყოვნის, უფროსად ისწრაფის, რომ ღელვისაგან არ დაინთქას, — ეგრეთჲს ცოდვის ღელვაში მყოფი, თუ ცნობისაგან მოკლებული არ არის, სინანულისა მიმართ მისვლას არ უნდა ჰყოვნიდეს, უფროსად უნდა ისწრაფდეს, რომ ცოდვის ღელვისაგან არ დაინთქას. ძეთილზედ მცონარებისა და დაყოვნებისაგან მრავალი ვნება მოიწვევა, ვითარცა ზემო ითქვა, და მიზეზი რა არის, რომ აყოვნებს კაცი კეთილის და ბოროტის მცონარებისაგან არ იელტის? მიზეზი ეს არის, რომ ჭრისტეს კმას არ ისმენს; თუ ჭრისტეს ხმას ისმენდეს, მცონარების უძლოურებასაცა ადვილად განაგდებს; ვითარცა განრლტსულმან ისმინა ხმა ჭრისტესი და განაგდო უძლოურება განრლტსულებისა, აღილო ცხედარი თვისი და წარვიდა სახიდ თვისსა; — ეგრეთჲს რომელიც ჭრისტეს სიტყუას ისმენს, მცონარების უძლოურებას განაგდებს და ადგომილი სულიერად სახლად ეკლესიად წარვალს. ძეალად ლაზარემ ისმინა ჭრისტეს სიტყუა და განაგდო უძლოურება სიკუდილისა და აღსდგა, — ეგრეთჲს რომელიც ჭრისტეს სიტყუას ისმენს, მცონარების უძლოურებას განაგდებს

და აღსდგება. მგების ჰსტქუას ვინმე: ლაზარეს ხმა უყო ძრის-ტემან და უწოდა, ჩუტნ ოდეს კმა გვიყო, ანუ ოდეს გვიწოდა? ჩემებრ მცონარნო? თუ ძრისტემან არ გვიწოდა, ეს კმა ვისი არის: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძი-მენი და მე განგისტუნო თქუტნ“. ორის საქმისათვის აწ მცონ-ნართ მცონარების მიზეზი არა აქუთ: ერთად ამისთვის რომ თვით ძოისტე უწოდს, ვითარ იგი არს: „მოვედით ჩემდა“, მე-ორედ: მცონართ რომ განსტუნება სურისთ, ძრისტეც განსტუ-ნებას აღუთქვამს, ვითარ იგი არს: „და მე განგისტუნო თქუტნ“. მინათგან მიზეზი არა გეპოვებათ რა, ყოვლითურთ უმსგავსო არის მცონარება კეთილთა ზედა, არამედ მოსწრაფებით იქმო-დეთ კეთილსა და შეუდგებით მწოდებელსა თქუტნსა ძრის-ტესა მეუფესა, რომლისა არს ღიდება აწ და საუკუნეთა უკუ-ნისამდე. ამინ.



თავი 34. მორჩილებისათვის.

იტყვის მოციქული პეტრე თვისთა კათოლიკეთა შინა: „დაემორჩილენით ყოვლითა მოშიშებითა თვისთა უფალთა, ნუ ხლოო სახიერთა და ტკბილთა, არამედ უსახურთაცა“. მრავალნი მოციქულისა სიტყვასა ბოროტისა საქმის მოწამედ შემოიყვანებენ და იტყვიან: ბოროტს საქმეზედ ჩუტნს უფალს რომ არ დავემორჩილოთ, მოციქულის სიტყუა როგორ უნდა დავხსნათ და უარ-ვპყოთ; მოციქული სახიერისა და უსახური-საც მორჩილებას გვიბრძანებს; აქ ბრალი არა გვაქტს რა. ჩუტნ ნაცვალი ეს უნდა მიეუგოთ: მოციქული შენის შფლის მორჩი-ლებას გაწვევს, სახიერი იყოს თუ უსახური, ეს ქეშმარიტი

არის; მაგრამ კეთილის მორჩილებასზედ გაწვევს მოციქული და არა ბოროტისა მორჩილებისათვის. მივსცეთ ამას მტკიცე გამოკვლავება, რომ ბოროტზედ მორჩილებას არ გიბრძანებს, მოციქული უფროსად გაწვევს მორჩილებად კეთილისათვის. მოციქული უფლის მორჩილებას ასე ბრძანებს— „ყოველითა მოშიშებითა“. ახლა მოციქულის სიტყუას მივხედოთ: „ყოველითა მოშიშებითა“ მორჩილებას რომ ამბობს, ყოველს მოშიშების თქმაწი უფლისა ლეთისა შიშიც თან ინიშნება; და როგორი ლეთის მოშიშება იქმნება, თუ ბოროტზე ვისმე დაემორჩილები? მაშასადამე მოციქული არ ამბობს ბოროტისათვის მორჩილებასა, არამედ კეთილისათვის. თუ ბოროტისათვის ამბობს მოციქული მორჩილებას, სხუასა ადგილსა რასათვის დარღვივა ჰსჩანს ამის სიტყვისა მოციქულის სიტყვისაგან: „და ნუ თანა ეზიარებით საქმეთა მათ ბნელისათა, არამედ ამხილებდით-ცა“. ჩანს რომ დიდი პეტრე არ გაწვევს ბოროტისათვის მორჩილებას, არამედ კეთილისათვის:

მგების იიქვნოს ვინმე და ჰსთქუას, რომ უფალს ბოროტზედ არ ვემორჩილო, ვნება რამ მომეცემო. აქ სამი რამა სიტყვა უნდა შემოვიდო. მართი ესე: თუ სულის ვნებისათვის ხორცს ჰრიდებ, ქეშმარიტი ძრისტეს მოწაფე არა ხარ, ამისთვის რომ ძრისტე ასე გიბრძანებს: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყვიდნენ ხორცი, ხოლო სულისა ვერ კელმწიფების მოკუთლად; არამედ გეშინოდენ მისსა უფროს, რომელი შემძლებელ არს სულისა და ხორცთა წარწყმედად გენიასა შინა“. — შენ ეს ძრისტეს სიტყუა არ დაგიმარხავს, რომელსაც ხორცის მოწყვედა ძალ-უძს და სულისა ვერა; მას ქუცყნიურს უფალს ეშიშვი და ბოროტზედ ემორჩილები და ძრისტეს არ ეშიშვი; სამართლად არა შეირაცხები ქეშმარიტ ძრისტეს მოწაფედ. — მეორე: თუ ქეშმარიტი ლმერთის მონა ხარ, ხორცის შიშისათვის ბოროტზედ არ უნდა ემორჩილო, ამისთვის რომ ხორციელის განსაცდელისაგან ლმერთი გიხსნის, ვითარცა სამნი ყრმანი არ დაემორჩილენ ბოროტთა ზედა უფალსა თვისსა

და იხსნა შუალმან ლმერთმან ცეცხლისაგან ძლიერისა;—ეგრეთჲ შენ გიხსნის განსაცდელისაგან, თუ ბოროტში არ აღერევი, ვითარცა გიმტკიცებს ამას წინასწარმეტყველი ლავით და იტყვის: „მან გიხსნას შენ საბრხისა მისგან მონადირეთასა და სიტყვისა მისგან განსაკრთომელისა“.—მესამე ეს უნდა ვსთქვათ: ეგების ბოროტზედ ურჩებისათვის სულით ვნებას ვინმე იტყვეულებდეს,—უმეტეს განათლდება, ვითარცა სამნი ყრმანი განათლდენ სულითა, არა დაემორჩილნენ რა ბოროტთა ზედა მეფესა, რამეთუ პირველად ცეცხლისაგან უვნებელად განერნენ და მერმე, შემდგომად მრავალთა ჟამთა მოწამეობისა გვირგვინითა მსხვერპლად ლეთისა მამისა შეწირულ იქმნენ.

იტყვის ვინმე: უფლისა თვისისა მორჩილება კეთილი არის. ეს თქმა უნდა გავარჩიოთ. კეთილზედ მორჩილება ყოვლითურთ კეთილი არის; ბოროტზედ მორჩილება ბოროტად შეირაცხება და არა კეთილად, ვითარ იგი იტყვის ოქრო ნეკტარი დამასკელი იოანე: „არა კეთილ არს კეთილი, უკეთუ არა კეთილად იქმნეს“. შეიქმნა მტკიცედ აღმოჩენილი, რომ ბოროტზედ მორჩილება არ უნდა ვჰყოთ, და არც მოციქულის პეტრეს სიტყვა ბოროტზედ მორჩილებისათვის არ არის,—კეთილზედ მორჩილებისათვის არის. მგების ეს ვინმე გამოიკითხოს: ბოროტის უფლის კეთილზედ მორჩილება ჯეროვანი არის, თუ უჯერო? მოციქულის სიტყვა რომ არის—„დაემორჩილენით ყოვლითა მოშიშებითა თვისთა უფალთა, ნუ ხოლო სახიერთა და ტკბილთა, არამედ უსახურთაცა“,—რადგან ასე ამბობს „უსახურთაცა“—კეთილს საქმეზედ სახიერთაც უნდა დაემორჩილო და უსახურთაცა. მრავალი სახე გაქრს ამისი დასამტკიცებელი. უსახურისა გველისაგან ჰპოებ კეთილსა წამალსა—თრიაქ-ფარუქსა და თერიაყსა, და სარგებელ არს შენდა და არა მავნებელ; ეკალთაგან შეიკრებ ვარდსა, და კეთილ სუნნელ-არს; დაშავებულის მიწისაგან კეთილს იფქლს შეიკრებ და ჰპოებ, რომელიცა სარგებელ არს შენდა. ამა ზემო თქმულთაებრ, უსახურის ყოვლისაგან კეთილი რომ რამე ჰყო, კეთი-

ლად შეგერაცხება და არა ბოროტად. სხუა მაგალითი ვსთქვათ: წმიდათა მოწამეთა უსახურისაგან უფლისა დიდი რამ კეთილი შეიძინეს;—ვითარ?—**ცოდვილთა** რომ ხედვიდენ სიბოროტისათვის ღვთისა მიერ ტანჯულად, ამის ხედვისათვის ბოროტი დაუტევეს და ზემთა გვირგვინი მოწამეობისა მიიღეს. ამისდა წარმოსაჩინებლად კობზ წინასწარმეტყველი ღვით: „ხელნი მისნი დაიბანნეს სიპლითა ცოდვილისათა“. **უსახურის** მიხედვით ეს კეთილი მოწამეობა მიიღეს და საუკუნო შტება დაიმკვიდრეს. მსგავსად შენცა უსახურის უფლის კეთილზედ მორჩილების მიხედვით, კეთილს მორჩილებასა ჰყოფ, და საუკუნო შტებას დაიმკვიდრებ. **ვსთქვათ** კიდევ მაგალითი. **მგვიპტელნი** უსახურნი იყვნენ, მაგრამ კეთილი ოქრო და ვეცხლი უსახურთა მგვიპტელთაგან მიიღეს ისრაელთა და გამდიდრდენ. **მგრეთჲც** შენ უსახურის უფლისაგან მიიღე კეთილი, კეთილზედ მორჩილება და გამდიდრდი სულითა. **ბოროტმან** უფალმან რომ კეთილზედ გაწვიოს, და ურჩ ექმნა, საუკუნოდ დაისჯები. ამისი სახე მოვიღოთ. **პილატე** ბოროტი იყო და ისრაელთ კეთილს საქმეზედ მოუწოდა და უფლისა იესოსათვის ჰრქვა: „მე არა რაჲმესა ბრალსა ვჰპოვებ კაცისა ამისთანა“; ისრაელნი ამ სიტყვაზედ არა დამორჩილდენ, შრისტე ბრალეულად ჰსთქვა. **თუმც** პილატე ბოროტი იყო, მაგრამ კეთილზედ რომ არ დამორჩილდენ, საუკუნოდ დაისაჯნენ. **მგრეთჲც** შენ: თუმც უფალი ბოროტი იყოს, კეთილზედ რომ გაწვიოს და არა დაემორჩილო, საუკუნოდ დაისაჯები. **ბოროტზედ** მორჩილება ყოველად უჯერო არის; კეთილზედ მორჩილება, ყოველითურთ კეთილი არის, ვითარცა ესენი ზემო წამოაჩვენენ.

ზემო მტკიცედ აღმოიჩინა, რომ ბოროტზედ არც ხორციელს უფალს უნდა დაემორჩილო და არც სულიერს, რომელ არიან სამღვდელოანი დასანი. **ბოროტზედ** არც ერთს უნდა დაემორჩილო, კეთილზედ ორისავე მორჩილი უნდა იქმნე—**ხორციელისა** და **სულიერისა** უფლისა. **ბინდ** ხორციელი უფალი ვსთქვათ, გინდ სულიერი, რომელსაც კეთილ საქმეზედ ურჩ-

ექმნები, არა თუ მარტო კაცის ურჩებასა ჰყოფ—ღვთის ურჩებასა ჰყოფ, და თუ ვითარ—ესთქვათ: თუ ხორციელს შფალს კეთილზე ურჩ ექმნები, სწორებით ღვთის ურჩებაში ხარ, ამისთვის რომე უფლება და ხელმწიფება ღვთისაგან არის, ვითარცა ხმობს მოციქული: „და რომელნი იგი არიან კელეწიფებანი, ღვთისა მიერ განწესებულ არიან“,—და რადგან ღვთისა მიერ განწესებული არის და ღვთისა მიერ განწესებულს უფლებას შენ დახსნი, რომ კეთილზედ არ ემონები და არ ემორჩილები, უეჭველად ღვთის ურჩებაში ხარ. შეფესაგან მოვლენილს მხედარს რომელიც არ დაემორჩილება, მეფის ურჩად შეირაცხება. მგრეთვე მეუფისა ღვთისაგან დადგინებულსა უფალს რომელიც კეთილზედ არ დაემორჩილება—მეუფისა ღვთისა ურჩად შეირაცხება. თუ სამღვდელოთა დასთა ვინმე ეურჩები—აქ უფრო ცხადად ჰსჩანს ღვთის ურჩება. ვითარ?—ძრისტე შფალი სამღვდელოთა დასთა უბრძანებს: „რომელმან თქუენ შეურაცხ გყვენს, მე შეურაცხ მყოფს“. ჰსჩანს ძრისტეს ღვთისა სიტყვისაგან, სამღვდელოთაგან ვისმე რომ შეურაცხ ჰყოფ და ეურჩები სწორებით ძრისტესა ღმერთსა შეურაცხ ჰყოფ და ეურჩები. თუ ვინმე ამას იტყვი: ძრისტემან ეს სიტყვა,—„რომელმან თქუენ შეურაცხ გყვენს, მე შეურაცხ-მყოფს“—მხოლოდ მოციქულთა უბრძანა და არა სხუათა, ეს თქმა და იქვი სიცრუის არის, ამისთვის რომ ძრისტეს სიტყვა ზემო თქმული მარტო მოციქულთათვის არ არის, ვითარცა ბრძანებს თვით შფალი იესო: „არა ამათთვის ხოლო გკითხავ, არამედ სხუათა ყოველთათვის“.

ჴეშმარიტებით აღმოჩნდა, რომელიც სამღვდელოთაგანს ვისმე ეურჩება, სწორებით ძრისტესა ღმერთსა ეურჩება. აქ შესაძრწუნებელი რამ ვნება შემოვა ურჩებისაგან: როგორც ეშმაკი განუნათლებელად დაბნეული არის, აგრევე ურჩებაც განუნათლებელად დააბნელებს კაცს. რით უნდა განათლდეს ურჩებასა შინა მყოფი? სოფლის განმანათლებელნი სამღვდელონი დასნი არიან, ვითარცა ბრძანებს შფალი იესო: „თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი“. ეს სიტყვა საზოგადო არის მოციქულთა და სხუათა სამღვდელოთა, როგორც ამისი სიმტკიცე

ძრისტეს მიერის სიტყვით ზემო წარმოიჩინა; და რადგან სამღვდელონი არიან განმანათლებელნი, და ურჩებით შათ შეურაცხ ყოფ და განეშორები, ვინ უნდა განგანათლოს?—ვირვინ განგანათლებს და დაშთები განუნათლებლად მსგავსად ეშმაკისა. აწ მაგალითი მოვილოთ. ზანეშორება მთოვარე განმანათლებელსა მხესა და დაბნელდება, — ეგრეთჲც ურჩი განეშორება ურჩებისაგან თვისისა განმანათლებელსა სამღვდელოთა კრებულსა და დაბნელდება სულით და ხორციით. ზანეშორა ეშმაკი ანგელოზთა კრებულსა და იქმნა განუნათლებელ, — განეშორება ურჩი სამღვდელოთა კრებულსა, რომელ ივლტის მოძულებისათვის მორჩილებისა, და იქმნების განუნათლებელ. ზანვიდა იუდა სამღვდელოსაგან კრებულისა და იქმნა ნაწილ ეშმაკისა, — მსგავსად მისსა განვალს ურჩი საღვდელოსაგან კრებულისა და იქმნების ნაწილ ეშმაკისა და დაბნელებულ მსგავსად მისსა. მგების იიქვნოს ურჩმან ვინმე და ჰსთქუას: სამღვდელოთა დასთა რომ არ ვემორჩილო — ძრისტეს ვემორჩილებიო. მს სიტყუა ყოვლითურთ ამაო და ცუდი არის, ამისთვის რომ თვით ძრისტე უმტკიცებს სამღვდელოთა დასთა და ეტყვის: „რომელმან თქჲსნი ისმინა — ჩემი ისმინა“. ძრისტეს სიტყუა ასე აცხადებს: რადგან სამღვდელოსას არ ისმენ და არ ემორჩილები — არც ძრისტეს სიტყვის მსმენელი და მორჩილი იქმნები. მიხედეთ, თუ ურჩნი ყოვლისაგანვე არა განდგა და ეშმაკის მსგავსად განუნათლებელი არ შეიქმნა! ძიდევ განვაცხადოთ ურჩის ბოროტი ვნება. ურჩნი ან ეშმაკის მსგავსად ურცხვინო იქმნება და ან ლვთის გმობაში შთავარდება; და თუ ვითარ — ვაჩუბნოთ. მჰკითხოთ ურჩს: ურჩება კეთილი არის თუ ბოროტი? თუ იტყვის — კეთილი არის, აქ ლვთის გმობაში შთავარდება, ამისთვის რომ, თუ ურჩება კეთილი არის, — ლმერთმან აღამ ურჩებისათვის დასაჯა და ჰრქუა: „მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც“, უსამართლოდ დაუსჯია, თუ ურჩება კეთილი არის! ურჩნი ლვთის უსამართლოებას სდებს, ეს ყოვლითურთ ეშმაკის მსგავსება არის, ამისთვის რომ ეშმაკთაც

დასწამეს უსამართლოება ძრისტესა ლმერთსა და ჰსთქჳს: „მოხვედ ჟამისა უწინარეს ტანჯვად ჩჳსნდა“, რომელსა გვამცნებს მახარებელი, ეშმაკაც დასწამა უსამართლოება ლმერთს და ურჩმანც, ამისთვის ურჩი ეშმაკის მსგავსი შეიქმნა;—და თუ იტყვის: ურჩება ბოროტი არის,—აქ ეშმაკის მსგავსი ურცხვინო იქმნება: ეშმაკი ბოროტისათვის არ ირცხვინს,—ეგრეთჳს ურჩი არ ირცხვინს ბოროტის ურჩებისათვის! მგების ჰსთქჳს ვინმე: რად მინდა სხვისი მორჩილება? ლმერთმან მიბრძანა კეთილის ქმნა და მე ვიქმ კეთილსა. მსეც უმსგავსო და უგუნურების სიტყჳა არის. ლმერთმან ბრძანა თქმა აღსარებისა, ვითარცა სწერს მოციქული იაკობ: „აღუარებდით ურთიერთას ცოდჳათა“. მს აღსარება მოციქულის პირით ლმერთმან ბრძანა, მაგრამ თავისის თავის მოძღვრება არვის ძალ უძს, თუ სხჳა სულიერის მამის მორჩილებას ქვეშ არ შევა;—ეგრეთჳს ლმერთმან გიბრძანა ქმნა კეთილისა, მაგრამ მარტო შენგან კეთილად ქმნა შეუძლო არის, თუ სხვის მორჩილებით არ იმოქმედებ, ამისთვის რომ შენს კეთილს მოქმედებას ურჩება დაჰფარავს და უნაყოფო ჰყოფს. ამისი მაგალითი სარწმუნო საღმრთოს წერილიდამ მოვილოთ. მსაეს თვისმან მამამან უბრძანა მონადირება და ნადირებულის შემზადება; ესავმან ჰყო მამის ბრძანებული და აღასრულა, მაგრამ ეს სრულება უნაყოფო შეიქმნა—საწადელი კურთხევა ვერ მიითვალა, იაკობის ძღჳსნი უფრო ნაყოფიერი შეიქმნა, რომ მან საწადელი კურთხევა მიიღო მამისაგან თვისისა. იაკობის ძღჳსნი ამისთვის უფრო ნაყოფიერ იქმნა, რომ მამის ბრძანებული სხვის მორჩილების შემწეობით აღასრულა; მსავის ძღჳსნი ამისთვის უფრო უნაყოფო იქმნა, მამის ბრძანებული თავის-თავად სრულ-ჰყო, სხვისი მორჩილება არ აქჳნდა შემწედ. მგრეთჳს შენ მამა ლმერთი გიბრძანებს კეთილის ქმნას; თუ იმ კეთილის ქმნასთან სხვისი მორჩილება თანა შემწედ გაქჳს, შენი კეთილი საქმე ნაყოფიერ იქმნება იაკობის ძღჳსნის მსგავსად და საწადელს კურთხევას მიიღებ ლეთისა მამისაგან. და თუ მორჩილება არა გაქჳს და

ურჩი ხარ—შენი კეთილი საქმე უნაყოფო იქმნება მსავეის ძღუ-
ნის მსგავსად და ვერც საწადელს კურთხევას მიიღებ საუკუ-
ნოს მამისაგან. საყვარელო, რასათვის ურჩ ექმნები სამღვდე-
ლოთა? **თუ** უმეცრებას სწამობ და მისთვის ეურჩები, აქ **ძრის-**
ტეს უარის ყოფაში შთაფარდები, ამისთვის რომ თვით **შფალი-**
ნესო აღუღქუამს: „მე მოგცე პირი და სიბრძნე“. **თუ** ამას
ჰგონებ, რომ **ნესოს** სიბრძნის მოცემა არ შეუძლია, უძლურად
მისი მოგონება დიდი გმობა არის: გესმის თვით **ძრისტეს** მიერ?
„რასაცა მამა იქმს, მსგავსადვე მისსა ძე იქმს“. **თუ** უძლურე-
ბას უკუსთქვამ და ამას იტყვი: აღუთქვა **ძრისტემან** პირი და
სიბრძნე, მაგრამ არ მისცემს,—ესეც საშინელი გმობა არის,
რომ **ძრისტეს** ცრულ ჰხადი: გესმის თვით **შფლისა** **ნესოს** მი-
ერ? „**ცანი** და **ქტყყანა** წარხდეს, ხოლო სიტყვანი ჩემნი არა-
სადა წარხდენ“. **თუ** ურჩებისაგან, ამისთანა საშინელი გმობა
მოიწევა შენზედ, რა მიზეზი გაქტს განსამართლებული, რომ
სამღვდელოთა არ დაემორჩილო? **თუ** უგუნურებით შემოიღებ
სიტყუას და იტყვი: კაცს არ ვემორჩილები, და **ღმერთს** და-
ვემორჩილებიო,—ამისი დასარღუტველი სიტყუა ზემო კმა სა-
ყოფელად ითქვა; მაგრამ რადგან მეორედ შემოიღე, ეს ერთი-
სიტყუა, მეც მეორედ დავარღუტე მოციქულის სიტყვის მაგა-
ლითად კმარებითა. **იოანე** მოციქული თვისთა კათოლიკეთა
შინა იტყვის: „უკეთუ ვინმე ჰსთქუას, **ღმერთი** მიყვარს და ძმა
თვისი სძულდეს, იგი მტყუარ არს“. **მიზეზს** რას დასდებს ეს
მოციქული—მდაბიურად ვსთქუათ: თუ ხილული ძმა არ უყვარს,
უხილავსა **ღვთისა** შეყვარება ვითარ ძალ-უძს? **მკრეთუტ** ამ
მოციქულის სიტყვის მსგავსად მე გეტყვი: უკეთუ ვინმე
ჰსთქუას, **ღმერთს** ვემორჩილები და სამღვდელოთ არა ემორ-
ჩილება, მტყუარი არის. **მიზეზსაც** მოციქულისა და მახარებე-
ლისაებრ დაესდებ. **ამისთვის** მტყუარი არის: თუ ხილულისა
მწყყნისა და მამისა მორჩილი არ არის, უხილავისა **ღვთისა**
მორჩილება ვითარ ძალ-უძს? **ჩემის** უღირსების ბაგით დავრთავ—
შეუძლო არის, საყვარელო! **ღმერთმან** მოსეს პირით გიბრძანა:

„ჰკითხე მამასა შენსა—გითხრას შენ, და მოხუცებულთა შენთა გაუწყონ შენ“; შენ არ ჰკითხავ და არ ემორჩილები; აქ ლვთის განწყების უარის-ყოფელი და დამხსნელი ხარ. მამობა ლმერთბან განწყესა, ვითარცა იტყვის მოციქული: „ამისთვის მოვიდრეკ მუხლთა ჩემთა მამისა მიმართ ზეცათასა, რომლისაგან ყოველნი ნათესავნი ცათა შინა და ქრისტიანთა ზედა სახელდებულ არიან“. შენ მამობას დახსნი და უპატიო ჰყოფ, რომ არ ემორჩილები,—სწორებით ლმერთის განწყების დამხსნელი ხარ. საყვარელო! ამას მიხედვე: დიდი საკვირველი ლვთის-მხილველი მოსე ერთის მცირედის რასმე სიტყვით შეცოდებისათვის აღთქმის ქრისტიანაში ვერ შევიდა,—შენ დიდის ურჩების მოქმედი სასუფეველში ვითარ უნდა შეხვიდე? თუ ამას იტყვი: მოსემ ლვთისა მომართ სცოდა და მე ლიტონს კაცს ვეურჩები,—ეს შენი სიტყვა უგუნურებისა და უმეცარებისა არის, ამისთვის რომ ზემო ძრისტეს მიერის სიტყვით დამტკიცდა: მის მიერ დადგინებულისა მწყემსისა და მამისა ურჩი ძრისტეს ლმერთისაც ურჩი არის. მს ყოველთავე უნდა იცოდეთ, მეცნიერი ხარ, თუ უმეცარი, ორივეს თანამდებობა გაქვს, რომ შენს მწყემსს და სულიერს მამას უნდა ემორჩილო; და თუ როგორ თანამდებხართ,—ეს თქვით. თუ უმცირესი ხარ ვინმე, მაშინც მწყემსსა და სულიერს მამას უნდა ემორჩილო და მისგან უნდა განისწავლო, ამისთვის რომ უშალი იესო ასე გამცნებს მოციქულის პირით: „და ერჩდით წინამძღვართა თქუცნთა, რამეთუ იგინი იღვიძებენ სულთა თქუცნთათვის“; და კვალად სხუასა აღგალსა: „ეზიარებოდეთ უმეცარი იგი სიტყვასა მას მასწავლელისასა“;—თუ მეცნიერი ხარ ვინმე, მაშინც თანამდები ხარ, რომ შენს მწყემსს და სულიერს მამას უნდა დაემორჩილო, ამისთვის რომ ბრძენმან და მეცნიერმან დიდი რამ მოლტაწება უნდა მოიპოოს, ვითარცა იტყვის ბრძენი სოლომონ: „მეცნიერმან მოლტაწება მოიპოვოს“; და მორჩილება დიდი რამ მოლტაწება არის, ამისთვის რომ დიდი იოანე სინელი მორჩილებასა დედად სათნოებათა იტყვის; მაშას-

დამე თანამდებები არის რომ ბრძენმან მორჩილება უნდა მიიღოს. — აწ ეს ვთქვათ, თუ ურჩება რა დიდი ვნება არის და მორჩილება თუ ვითარ ზესთა სარგებელი რამ არის. ლიდმან მოციქულმან პეტრე ძრისტეს მცირედი რამ ურჩების სახე ვაჩვენა და მოახსენა: „შეალო, არა იყოს ვგრე“. იესო განურისხნა და პრქუა: „საცთური ჩემდა ხარ სატანა, რამეთუ არა ზრახვე ლეთისასა, არამედ კაცთასა!“ მიხედვ, თუ რა დიდი ვნება არის ურჩება: დიდს პეტრეს მცირედის ურჩების სახისათვის ეს დიდი რისხვის სიტყვა უბრძანა ძრისტემან. აწ მორჩილების ზესთა სარგებლობა ვსთქვათ. მორჩილება თუ კაცთა შორის არის, ყოველი სათნოება მის შორის იქმნება, ამისთვის როჷ იოანე ზინელი ყოველის სათნოების დედად უწოდებს და იტყვის: „მორჩილება დედა არის ყოველთა სათნოებათა“. რადგან დედა არის ყოველთა სათნოებათა, უეკველად ყოველს სათნოებას წარმოშობს კაცთა შორის; თუ მორჩილება კაცთაგან განვიდა, ყოველი ბოროტი შემოვა კაცისა შორის, ვითარცა, მორჩილება რა განვიდა პირველისა მამისა ადამისაგან, — ყოველი სიბოროტე შემოვიდა კაცთა შორის. აწ კიდევ ურჩების საშინელი ვნება ვსთქვათ. ურჩება კაცთა შორის ლეთის მოყვარების ცეცხლს დაშრეტს და განაქარვებს; და თუ ვითარ — საღმრთოს წერილის მაგალითით ვაჩვენოთ. სამთა ყრმათა ქალდეველთა კეთილი ურჩება ჰყტს, რომ ნაბუქოდონოსორ მეფეს არ დაემორჩილნენ და კერპს არ თაყვანისცეს; ამან კეთილმან ურჩებამან შემწუტლი ცეცხლი დაშრიტა, რომ სამთა ყრმათა ვერა ავნო რა. ისმინეთ გულისკმის-ყოფით: თუ კეთილმან ურჩებამან შემწუტლი ცეცხლი დაშრიტა, უეკველად თქტსნი ბოროტი ურჩება რომ მწყემსსა და სულიერს მამას ეურჩებით, თქტსნ შორის კეთილს ლეთის მოყვარების ცეცხლს დაშრეტს. აწ კიდევ მორჩილების საქებლობა ვიწყოთ. ეს ზემო ძრისტეს მიერის სიტყვით აღმოიჩინა: საწლდელო დასთა მორჩილი — ძრისტეს ლეთისა მორჩილი არის, და ლეთისა მორჩილება თუ ვითარ კეთილი არის, მოკ-

ლე სიტყვით ვაჩუქნოთ მათ, რომელნიც ჩემებრ უმეცარნი არიან, თორემ მეცნიერთ არა ესახმარება ამისი ჩუქნება, იციან თუ ვითარ ზეშთა კეთილი არის ლეთის მორჩილება; მაგრამ ჩუქნ ჩუქნებრ უმეცართა ვამცნოთ. **თუ პირველი მამა, ადამ,** ურჩებად სანათხით განხადა, უეჭველად მორჩილება კაცთა სასუფეველად აღიყვანებს. **აწ** კვალად ურჩების ძნელი სიბოროტე ვსთქათ. **ურჩება** ასე ძნელი არის: პირველად ეშმაკმან კაცთა ბუნება ურჩებით შეჰკრა და ტყუტ ჰყო; სანამდის **ქე ლეთისა** არ მოვიდა, მადამდის მისი დარღუტვა ვერ ვინ შეუძლო; სწამებს ამას მოციქული და იტყვის: „ამისთვის მოვიდა **ქე ლეთისა**, რათა დაარღვივნეს საცთურნი ეშმაკისანი“. **საყვარელო!** უფალი ჩუქნი **იესო ქრისტე** ვნების ჟამში კაცობრივის ვნებას არ მიჰყვა, თვისსა მამასა ჰრქვა: „**ნუ** ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ“! **თუ** ჰეშმარიტი **ქრისტეს** მოწაფე ხარ, მას მიემსგავსე მორჩილებითა, და როგორც ეს ვნების ჟამში კაცობრივის ნებას არ მიჰყვა და თვისსა მამასა მორჩილ ექმნა, — ეგრეთუტ შენს შორის ნებას **ნუ** მიყვები, შენს მწყემსს და სულიერს მამას დაემორჩილე, **ქრისტეს** მსგავსად შენც არქუ: „**ნუ** ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ“. **მს** ყოველსავე ცხადად იცი, რომ სამღვდელონი დასნი **ქრისტეს** მოწაფენი არიან, და **ქრისტეს** მოწაფის ურჩი ულხინებელს სატანჯველს მიეცემა, ვითარცა ურჩი **ქრისტეს** მოწაფეთა, **ანანია**, მიეცა ულხინებელს სასჯელს, რომ „დაეცა და სული წარხდა“, — ეგრეთუტ შენ **ქრისტეს** მოწაფეთა ურჩს წარგხდება სული სიციცხლისა და მიეცემა ულხინებელსა **ჯოჯოხეთისა** სატანჯველსა.

საყვარელო! **ურჩება** **ქრისტეს** მოწაფეობის ნიშანი არ არის, უფროსად ეშმაკის მოწაფეობის ნიშანი არის; გულის კმის-ყოფით მოხედეთ მოღებულსა სახესა: **ღმერთმან** თავისის მოწაფეობის ნიშნად **ადამს** მორჩილება მისცა და უბრძანა: „**ხისაგან** ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შექამო“; ეშმაკმან თავისის მოწაფეობის ნიშნად **ურჩება** და **ხისა** მის ჰამა

ამცნო. მიხედვე ცხადს ნიშნებს: სადამდის ადამ ლეთის მორჩილებაში იყო, მადამდის მისდა შედგომილად და მოწაფედ ირაცხებოდა; როდესაც მორჩილებილამ განვიდა—ლეთის მოწაფეობისაგან განსრული შეიქმნა და ეშმაკს დაემონა,—ეგრეთჲც შენ სადამდის მწყემსისა და სულიერისა მამისა მორჩილებაში ხარ—ჰეშმარტი ძრისტეს მოწაფე ხარ; როდესაც მორჩილებილამ განხვალ—ძრისტეს მოწაფეობილამაც განხვალ და ეშმაკის მოწაფე შეიქმნები. თუ ამითი არ დაირწმუნებ, აწ სხტა სიტყუა უნდა შემოვილოთ: თუ შიში არა გაქტს ლეთისა, არც მოწაფე იქმნები მისი, და თუ მორჩილება არა გაქტს, არც შიში გექმნება; შიში ლეთისა მაშინ იქმნება შენ შორის, როდესაც მორჩილება გექმნება. შმტკიცესი და უჰეშმარტიცესი სახე მოვილოთ ამისი სამტკიცოდ; როდესაც აბრაჰამმა ლმერთს დამორჩილდა და ისაკის შეწირვა ინება, მაშინ ხმა უყო ანგელოსმან: „აწ ვუწყი რომ გეშინის შენ ლეთისა“,—ეგრეთჲც შენ როდესაც კეთილს მორჩილებაში ხარ, მაშინ გიწოდებს დიდისა მამისა ზრახვისა ანგელოზი, შფალი იესო, თვისად მოშიშად და მოწაფედ; ლავსძინოთ სხტაცა: თუ მორჩილება არა გაქტს, არც ძრისტესთან ნაწილი და სამკვიდრებელი გექმნება; მოვილოთ ამისი უძლიერესი სახე. როდესაც სა. შინელს სერობაზედ შფალი იესო მოწაფეთა თვისთა ფერხთა ჰბანდა, მაშინ დიდმან პეტრე მეტის მოშიშებისაგან მცირედ ურჩება აჩტანა და მოახსენა ძრისტეს: „არა დამბანე ფერხნი უკვე!“ მიხედვე, თუ მცირედის ურჩებისათვის რა უბრძანა ძრისტემან: „უკეთუ არა დაგბანე ფერხნი, არა გაქტნდეს ნაწილი ჩემთანა!“ მაშინ პეტრე ყოვლითურთ დამორჩილდა და ჰრქტა: „ნუ ხოლო ფერხნი, არამედ თავიცა და ხელნიცა ჩემნი!“—მგრეთჲც შენ გეტყვის ურჩებისათვის: „არა გაქტნდეს ნაწილი ჩემთანა“; მაგრამ შენ ყოვლითურთ პეტრესებრ მორჩილება აჩტნე, რათა ძრისტესთანა მიილო ნაწილი და სამკვიდრებელი აწ და საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.

